ჯემალ ქირია

ბელეტრისტიკა

ტომი 7

ყიჯე ოიოჯილი

(ტრილოგია)

წიგნი პირველი . დღესასწაული, 1947 (გვ.5)
წიგნი მეორე. კვარცხლბეკი, 1953 (გვ.207)

თბილისი 2008
გამომცემლობა „საარი“

ამ ტომში წარმოდგენილია ტრილოგიის პირველი ორი წიგნი.

პირველი წიგნი — „დღესასწაული, 1947“ გამოქვეყნებულია ჟურნალ „მნათობში“ (5—6, 1995, 1—2, 3—4, 5—6, 1996).

მეორე წიგნი — „კვარცხლბეკი, 1953“ გამოქვეყნებულია ჟურნალ „განთიადში“ (3—4, 5—8, 9—12, 1994).

მესამე წიგნი ქვეყნდება მომდევნო ტომში.

© ჯემალ ქირია - კიბე იაკობისი
საავტორო უფლებები დაცულია

ტექნიკური რედაქტორი: ირინა მარკოზაშვილი

გამომცემლობა „საარი“
ISBN 99940-

ესი ზმრა ყრმას, მართალი თოდუას:

იდგა იგი უდაბნოსა ადგილს, არა უწყოდა გზაი არსაით, არცა აღმოსავალით, არცა დასავალით, არცა ჩრდილოით და არცა სამხრით... წყუროდა და წყალი არა დიოდა წყაროისა... არცა პური აქუნდა მშიერსა და მაშურალსა... ვერღარა ეპოვა სიბრძნეი იგი ცხორებისაი, რამეთუ სიცოცხლე უფროის ძნელ არს, ვიდრე სიკუდილი...

„უფალო, მასწავე მე გზანი ჭეშმარიტნი!“ – ღაღადყო ყრმამან მან მართალი თოდუამ.

„ჰე, ძო, აღახილნე თუალნი შენნი!“–ხმაი მამისაი განივრცო ზეცასა შინა.

აღახილნა თუალნი ყრმამან მან.

ნახა კიბე იგი საცარი, მიწითგან ვიდრე ზეცად აღმართული.

ანგელოზნი ღმრთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს კიბესა ზედა.

თაყუანისცა სასწაულსა მას ყრმამან მართალი თოდუამ. განაგდო ბიწი და ჭუჭყი მიწისაი და აღვიდა ცასა ეთეროვანსა, რამეთუ სული მისი სუბუქი ივლტოდეს ზევით.

იხილა ყრმამან ტახტი იგი ოქროისი, მუნ ჯდეს მამაი ჩუენი და ხელთ უპყრის სასწორი სამართალისა... მუნ ქერუბიმნი შემოკვრიდეს ბუკსა და ნაღარასა, მუსიკობდის და მღეროდის...

ძნელ არს მოსმენაი ხმათა ღვთაებრივთა მართალთა...

ძნელ არს ხილვაი სინათლისა ჭეშმარიტისა...

და განიღვიძა მართალი თოდუა ძილისაგან... ვერღარა ხედვიდის ნათელსა და არღარა ესმოდის ხმანი...

წიგნი პირველი

დღესასწაული, 1947

შქვით ნოემბერქ მუ მიღუნი,
ვაგაჭყორდუ მოხანდეს,
არწივიში მანგიორო
*ჩაქუჩ-მაგანა დოხანტეს...**

1

შემდგომ, არაერთგზის, შეჭირვების ჟამს, მართალი თოდუა ცდილობდა ჩაეღწია მეხსიერების შორეთში, უფრო მიღმაც კი, სიზმრისა და ცხადის გასაყარში. ნისლსა და ბუნდოვანებაში ჭვრეტდა იგი სინათლის სუსტ ანარეკლს, მკრთალი ციალი უბნევდა გონებას და ერთმანეთისაგან ვერ გაერკვია ნამდვილი და წარმოსახული, ჭეშმარიტი და მოგონილი... პირუკუ ჩაჰყვებოდა დროის სათვალავს, ეწადა უხილავი ზღვარისათვის მიეღწია, არარსისაგან „მე“-ს რომ გამოჰყოფდა, მაგრამ გასცდებოდა ხოლმე დანიშნულების სადგურს — ჟამს სულის შთაბერვისა და იჭვნეულად კითხულობდა: ნუთუ მარად ვარსებობდი? ვერ მოეაზრებინა, თუ რა იყო ეს არსებობა, რა ფორმით მოერგო მის ლტოლვილ სულს, საით მიდიოდა გზა, რომელზეც უსასრულოდ უნდა ევლო, ვერ მიმხვდარიყო მიზეზსა და მიზანს, სწყუროდა ამოხსნა არსებობის ქარაგმისა, თუმცა კარგად უწყოდა, მიუწვდომელს რომ გამოჰკიდებოდა, წინასწარმეტყველურად გრძნობდა, ჭეშმარიტების კარიბჭესთან რომ გასრულდებოდა ეს სრბოლა, იქ, კიბის პირველ საფეხურთან მოვიდოდა უსასრულო და უკიდეგანო სიმშვიდე...

მკრთალად ახსოვდა: ოდესღაც ქვა იყო, უკუნიდან მოვლენილი. მიწა იძრა და მოულოდნელად მოწყდა იგი მაცხოვრისგორის ფერდობს. მოწყდა და დაგორდა... სინათლისა და სისწრაფისაგან თავბრუდახვეულმა ჩამოლეწა ბუჩქნარი, მოსრისა მწვანე, ლორთქო ბალახი, ჩააღწია ჩხერიის ჭალაში, ნაპირზე, სხვა, ადრე ჩაგორებულ ლოდებში ჩაიჭედა, გაყუჩდა, წინ კი გამჭვირვალე ჩქერალს მოჰქონდა მსუბუქი ტალღები... ნეტავ ვინ ჩადო მეხსიერებაში ეს გაელვება — მაცხოვრისგორიდან დაგორებული ქვის განცდა... ან რანაირად არსებობდა შემდგომ და შემდგომ სამყაროს ეს უსულო ნატეხი, ჩხერიისპირას რომ მიეჩინა ბინა... ხან მწველი მზე დაჰნათოდა, ხან კოკისპირული ჩამოთქრიალდებოდა ციდან, სინათლეს ბნელი ცვლიდა, ბნელს კვლავ სინათლე... ზოგჯერ ადიდებული და მღვრიე

ჩხერია გადაუვლიდა, წახნაგებს ჩამოურეცხავდა, ადგილიდან კი ვეღარა ძრავდა... მერე მოვიდა ვიღაცა, დაკოჟრილი ხელისგულები შემოაჭდო, ღონივრად მოზიდა, ძლივძლივობით მოწყვიტა რიყეს, ციმციმ წაიღო და მაცხოვრისგორის ფუძესთან, მაღალი კიბის პირველ საფეხურში ჩადო, გვერდები კირით შემოულესა — ამ პირველი საფეხურიდან მწვანე ფერდობი არბოდა ზევით, ცის გუმბათამდე...

როდის მოხდა ყოველივე ეს? ან მოხდა კი?.. ეჭვის ბინდი ეფინა ამ გახსენებას, რადგან სხვა ხატიც ტივტივებდა მართალი თოდუას წარმოსახვაში და ვერ გაეგო, სიზმრის კვალი იყო თუ ცხადისა... უკან მაცხოვრისგორა აზიდულა, წინ გამჭვირვალე ჩქერალი მოაგორებს მსუბუქ ტალღებს. კუს ბაკნისათვის შეუფარებია თავისი ჯერაც შეუცნობელი, ეული სული. სამყარო საშიშროებითაა სავსე. ხანდახან თავს გამოყოფს ბაკნიდან, ფრთხილად მიმოიხედავს, წყლის მოუსვენარ ტრიალს დააკვირდება — წყლის ლუკლუკს ერთვის ლოდებში ქარის სისინი, ფოთლების შრიალი... ჩუ, უცხო ხმებიც ისმის! მიწა იძვრის თითქოს!.. ადამიანები მოაბიჯებენ!.. სადღაც ზარი რეკავს — ძინძინძინ! კუ ბაკანში იმალება, თავის გამოყოფისა ეშინია... მიწა ირყევა, უთვალავი ფეხისხმა ერთმანეთს უერთდება... ადამიანთა უსასრულო ნაკადი მოედინება ჩხერიის ჭალაში, ზოგნი საურმე გზას მოჰყვებიან, ზოგნი რიყეზე გადმოდიან, ქვებს აჩხრიალებენ, სხვები წყალში დგაფუნით გადიან, ამღვრევენ... მოდის ლაშქარი და ჰაერში ჰკიდია შეგუბებული, მრისხანე დვრინი — „უტუში ჯარიში გოლუაფირო, ვოჰოჰოიაოდო!..“* ზარი კი სადღაც გამაფრთხილებლად რეკავს — ძინძინძინ!

უცებ ვიღაცა ჩერდება. პაწაწკინტელა კუს გაუჩინარება სწადია, გატრუნულა, თავს იმკვდარუნებს... „უტუ, დახე, მდინარის კუ!“ ბაკანი რიყეს მოსწყდა, ჰაერში გადაყირავდა, მზემ შემოანათა და მზესთან ერთად — ორმა ლურჯმა, დაღლილმა და დაფიქრებულმა თვალმა... „ნუ გეშინია, საბრალოვ, შენც ღვთის შექმნილი ხარ!“ — თქვა დიდმა უტუმ, მართალიად წოდებულმა, და კუ რიყზე დასვა...

დიახ, ახსოვდა მართალი თოდუას, თვალებში როგორ ჩახედა დიდმა უტუ თოდუამ, მართალიად წოდებულმა, ჩახედა ლურჯი, ფიქრიანი, აუმღვრეველი მზერით, სადაც ამოიკითხებოდა: ვინა ხარ? ნუთუ შენც უფალმა გაგაჩინა? გონიერება თუ მოგანიჭა? მეხსიერებით თუ დაგაჯილდოვა? ალბათ იმიტომ სდუმხარ, ჩემზე მეტი იცი და უკვე ამოხსენი მარადისობის საიდუმლოება!.. იქნებ საცნაურია შენთვის, თუ საიდან მოვდივართ ჩვენ, კაცნი ქართლოსიანთა მოდგმისა, კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიაროთ სისხლის ამ წვიმებში, წინ რა მოგველის?.. გაიტრუნა მდინარის კუ, თავი მოიმკვდარუნა. მის სიზმარეულ და ბინდმოფენილ ზმანებებში ქურუში ღრუბლები ჩანდა, საიდანაც სისხლის წვიმები მოშხაპუნებდა და ჩხერიის ტალღებს წითლად აფერადებდა... დიდმა უტუ თოდუამ კი, მართალიად წოდებულმა, ამოიოხრა და გაამხნევა: „შენც ღვთის შექმნილი ხარ!“ ზმანებიდან გამოვიდა მდინარის კუ, შეხედა კაცს. ამ ლმობიერი პირისახის მიღმა, თვალსაწიერზე ჩანდა სხვა დაღლილი სახეები წვეროსანი მამაკაცებისა, თავზევით ფრიალებდა უტუს ლაშქრის წითელი შილა, უფრო შორს, ზევით აზიდულიყო მწვანე ფერდობი და იქ, ცის გუმბათზე ოქროს ჯაჭვებით ეკიდა უფლის მაღალი ტახტი... ყოველი მხრიდან სხივმოფენილი, იგი იწვოდა თითქოს, სამყარო ნათელს აევსო და მაცხოვრისგორიდან ჩრდილი არსაით ეფინებოდა... არც უტუ თოდუას ჰქონდა ჩრდილი, მართალიად წოდებულს, მზის სხივებს განემსჭვალა იგი და ჰაერის ამ გამჭვირვალებაში ქრებოდა მეხსიერების ფოფინა ხატი...

ვინ განსაზღვრა შესაძლებლისა და შეუძლებლის ზღვარი? განა შეუძლებლის შესაძლებლობა არაა, რომ მიწამ დაგვბადა და მარადიულ გზაზე სახეტიალოდ გაგვიშვა! — ასე ფიქრობდა მართალი თოდუა და შორეული სიზმრების ანარეკლი სულს უფორიაქებდა.

— ბჟა დია რე ჩქიმი, თუთა მუა ჩქიმი...* — ხუმრობით ჩაულექსა ერთხელ ეფრო და ცაცანა ბებიებს.

ეფრომ პირჯვარი გადაიწერა, რატომღაც ხმა გაებზარა:

— მაცხოვრის შვილო!

ამ სიტყვების შინაარსი ვერ ამოხსნა მართალიმ. დედაბერს ალბათ უნდოდა ეთქვა, მზესა და მთვარეს შეეშვი, ყველანი ღვთისშვილები ვართო, ან იმას გულისხმობდა, ხორციელი დედმამა არა გყავს და ღმერთს მიენდეო, ანდა იმასაც ფიქრობდა, მიწამ დაბადა ადამიანი და ამჯერად მაცხოვრისგორამაო... ეფროს სჯეროდა სასწაულისა, — მაცხოვრისგორას უბედურების მოტანაც შეეძლო და ბედნიერებისაც... მაცხოვრისგორამ გერა მოინელა, მერე კი ნესტორიც, მაგრამ მაცხოვრისგორამ მის შვილიშვილს სული შთაბერა და ამით არ გაწირა თოდუების გვარი.

— მაცხოვარს შეეშვი! — მკაცრად ჩაურთო ცაცანამ, მუხლზე გადაშლილი სქელტანიანი წიგნი შეიმაგრა, სათვალიდან გამოხედა ეფროს: — ბავშვს ტვინს ნუ უმღვრევ! იცის ბიჭმა, ვისი შვილიცაა!

მართალის „ბჟა“ მართა იყო, „თუთა“ — ტატაჩი.

— ადრე ამ გორას სახელი არ ჰქონდა, — თქვა ცაცანამ, — მაცხოვრისგორა უტუს დროს დაერქვა. უტუ თოდუამ, მართალიად წოდებულმა ზედ საყდარი ააშენაო, გერა იტყოდა... მერე მოვიდა ნესტორი და დაანგრია...

ახლა ტაძარი აღარ იყო მაცხოვრისგორის თავზე. მწვანე ხეთა ვარჯებში ნანგრევები თუ გამოკრთებოდა რუხად, მაგრამ ეფრო იქითკენ როცა გაიხედავდა, წინანდებურად მაღლა აზიდულ ტაძარს ხედავდა, ცის გუმბათზე ოქროს ჯაჭვებით ჩამოკიდებულს, და პირჯვარს გადაიწერდა: „ღმერთო, ჩემი მართალის მფარველო!..“ შეხედავდა შვილიშვილს და კვლავ პირჯვარს გადაიწერდა: „ღვთისმშობელო ქალწულო, სასწაულმოქმედო!..“

ერთხელ იყო და ეფრო ბებიას დასცდა: იქ, მაცხოვრისგორაზე მუხლის ჩოქვით ავიდა ქალწული მართა, ღვთისმშობელს ევედრა, ბერწად ნუ დამტოვებ, ძე მომივლინეო... შეისმინა ღვთისმშობელმა!

ურწმუნოდ გააქნია თავი ცაცანამ, ცხვირი წიგნში ჩარგო, თქმით კი არაფერი უთქვამს.

— და სული ჩემი ჩასახლდა ჩემსავე გვამში! — იანგლა მართალიმ, რადგან არა სჯეროდა სასწაულებისა. ადრევე, სკოლის კარიბჭეშივე შთააგონეს, რომ ღმერთი არსადაა ცათა შინა, რომ არის უკიდეგანო სივრცე და ჩვენ მტვერნი ვართ, ამ სივრცეში გაბნეული, უსულო მატერიის ცვალებადობათა შედეგი, შემთხვევითობათა ჯამი, არსაიდან და არსაითკენ მავალნი...

2

თავისი ოთხთვალიანი ოდა აგურის მაღალ სვეტებზე შემოდგა ტატაჩი თოდუამ. სახლი უცხო რამ ფრინველს დაემსგავსა, ისე მსუბუქად აწეულიყო, საცაა გაფრინდებაო, ანდა ქარი დაუბერავს და წაიღებსო. ალბათ ასეც მოხდებოდა, მტკიცედ ნაგები ბუხარი რომ არა, შუაში რომ ამოიყვანეს, ოთხივ ოთახისაკენ პირი გაუხსნეს, მეხუთე კერია ქვემო, ღია სართულზე დაუტოვეს. იფიქრა, ალბათ, ტატაჩიმ, ვინძლო ბედმა გამიღიმოს, საშუალება მომეცეს — კედლებს ამოვუშენებ და ესეც პირველი სართული იქნებაო. თურმე დიდხანს არ ეწერა საკუთარ სახლში ცხოვრება და ეს იმედი, სხვა იმედებთან ერთად, საითკენაც წავიდა, იქით გაიყოლია... მოხერხებული რამ აღმოჩნდა ღია სართული. ზამთრისათვის შეშას შეინახავდა პატრონი, ან ძროხას მიუჩენდა ადგილს, ზაფხულობით კი ისეთი გრილი სიო უბერავდა, პაპანაქებაში სულს მოათქმევინებდა კაცს.

ეს დაუმთავრებელი სახლი დარჩა ტატაჩის. ჯერაც რამდენი რამ იყო გასაკეთებელი! სხვენის თაგვი ლამფის ჭერიდან იჭყიტებოდა და მტვერს ჩამოყრიდა ხოლმე... იატაკის ღრიჭოები თანდათან ჭუჭყით ამოიგლისა და გაქრა. კედლის ჭუჭრუტანებში ადრე უბერავდა. ერთი პირი ძველი გაზეთი ააკრეს, ზედ შპალერი დააწებეს. მოგვიანებით, შპალერს თუ ცოტათი აახევდი, „ყაზაყიში გაზეთის“ ყვითელი ფურცელი გამოჩნდებოდა და მეგრულად დაწერილი კომუნისტური ლოზუნგები სასაცილოდ იკითხებოდა... ერთხელ ანახევიდან ტატაჩის სურათმაც გამოიხედა. დახეთ, მამას იმოდენა წონა ჰქონია, მის სურათს გაზეთში ბეჭდავდნენ.

— ისაკის საქმეს გადააყოლეს ჩემი შვილი, ჟვანიასი! — თქვა ერთხელ ეფრომ, ამის მეტი არაფერი წამოსცდენია.

ზუსტად ათი წლის წინ გავიდა შინიდან ტატაჩი. მართალიმ მაშინ არაფერი იცოდა ამაებისა, იწვა აკვანში, კმაყოფილი ღუღუნებდა და ხან თავის „ბჟას“ ახედავდა, ხან „თუთას“. მახსოვსო, თავს იტყუებდა მართალი, აკვანში ვიყავიო ჩაკრული, სატყუარას ვწუწნიდი, ვღუღუნებდი და მართას და ტატაჩის ვათვალიერებდიო. ალბათ ეფროსა და ცაცანას მრავალგზისი მონაყოლი ეფინებოდა ერთიმეორეს და იგი მართალის მეხსიერების ნაწილი გახდა. ორი წლისა კვლავ აკვანს ითხოვდიო, ამატებდა ცაცანა, და თითქოს ყველაფერი თავის ადგილას ლაგდებოდა.

დაიხარა ტატაჩი აკვანზე. ლოყა გაპარსული ჰქონდა, ულვაშები ჩაპაევური და პატარას ამ ულვაშებით ღაბაბზე მიუხახუნა. მერე წამოიმართა, შეხედა გამტკნარებულ მართას, ჩახლეჩილი ხმით თქვა: „ამაღამ, ალბათ, მოვლენ!“ სიტყვა დამთავრებულიც არა ჰქონდა, ჭიშკართან გაჩერებული მანქანის თუხთუხი გაისმა. ტატაჩიმ ბუდიდან რევოლვერი ამოიღო და მოსულთ გაეგება. ისინი სამნი იყვნენ და უკვე კიბეზე ამოდიოდნენ. ტატაჩიმ რევოლვერი შემართა და უბრძანა: „შეჩერდით! იცოდეთ, არ დაგინდობთ!“ სამეული გაჩერდა. ტანზე ტყავის ქულაჯები ეცვათ, სარტყელზე მაუზერები ეკიდათ, მაგრამ სამიდან ერთი ვერ დაასწრებდა ტატაჩის და უკანდახევა ამჯობინეს. ეზოდან ხელებაწეულნი გავიდნენ. ტატაჩი ტრიფოლიატის დაბალ ღობეს გადაევლო და მეზობელი ეზოებით მოუსვა... სამეული ცოტა ხანს იდგა თოდუების ჭიშკართან, ყოყმანობდნენ. მერე ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს, მოპირდაპირე სახლს მიადგნენ და იქ რომ იზორიები ცხოვრობდნენ, იმათი მამაკაცები წაასხეს, მანქანით ნელინელ მიჰყვნენ...

ის იზორიები უკან ვეღარ დაბრუნდნენ... ვერც ტატაჩი დაბრუნდა უკან, მიწამ პირი უყო თითქოს...

ცოცხალი მამის ხატება არ შერჩა მართალის მეხსიერებას. ულვაშის ცაცუნიღა ეზმანებოდა და ეღუტუნებოდა. ტატაჩი მხოლოდ სურათებში არსებობდა. კედლის ფოტოზე ვიწროსახიანი, დამფრთხალი ახალგაზრდა ჩანს. გაზეთის ფურცლიდან სულ სხვა, თავდაჯერებული კაცი იყურება, ულვაშები ყოჩაღად აუწვართია... ტატაჩის ფოტოს გვერდით, კედელზე, სხვა სურათიც ჰკიდია, ათიოდე წლის გოგონასი. ბავშვური, გაცრეცილი პირისახე, დიდრონი თვალები, წმინდად დავარცხნილი, შუაზე გაყოფილი თმა და მკერდზე გადმოგდებული ორი ნაწნავი. გოგონა ნაწნავის ბოლოს მორცხვად აწვალებს. ესაა და ეს! მართამ ვერასოდეს მოიცალა სხვა სურათის გადასაღებად. მართა აღარაა, კედელს კი ათი წლის გოგონას სურათი შერჩა და მართალი ცდილობს ამ ბავშვში ამოიკითხოს დედის ხატი...

ერთი დიდი სურათიც ამშვენებს ზალას — მუყაოზე დასტამბული. ზედ ოთხი ბელადის თავია გამოსახული, თითქოს კისრებზე წაუჭრიათო. ადრე ამ ადგილას ღვთისმშობლის ხატი ეკიდა. ცაცანამ ჩამოახსნევინა და სამაგიეროდ ეს სურათი გამოჭიმა. ბელადები ამომავალ მზეს გაჰყურებენ. სამს სერიოზული, ოცნებანარევი მზერა აქვს, მეოთხე ულვაშებში იღიმება და მართალის ვერ ამოუცვნია ეს ღიმილი.

სურათებქვეშ, კედელთან მომცრო მაგიდაა. ზედ წიგნები აწყვია, ტატაჩის ნაყიდი წითელყდიანი, ოქროსვარაყიანი ტომები. ოთხი ბელადის ბრძნული აზრებია შიგ ჩაწიკწიკებული. ტატაჩის თურმე ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, ოდესმე მოვიცლი, ჩავუჯდები და სიბრძნის პირველწყაროს ვეზიარებიო. ვერა და ვერ მოიცალა... ახლა ცაცანა დასაკუთრებია ამ წიგნებს. სასოებით აიღებს მორიგ ტომს, არ გავაჭუჭყიანოვო, გაზეთს შემოახვევს, ცხვირზე სათვალეს წამოიცვამს და ტუჩების ცმაცუნით კითხულობს. ეფრო ამ დროს შორიახლო ჩამოჯდება, წინდას ქსოვს, ხანდახან გახედავს ცაცანას, თავს უკმაყოფილოდ გააქიცინებს, ალბათ, მიაჩნია, ამოდენა წიგნების წამკითხველი მთლად ჭკუაზე ვერ იქნებაო... გავა დრო, მართალიც გადაშლის ამ ტომებს, ჭეშმარიტების ამოკითხვას მოინდომებს — პასუხს კითხვებზე, აზრის პირველი გაელვებიდან რომ დაჰყვა: საიდან მოვდივართ? სად მივდივართ? რისთვის?.. გვიან მიხვდება — პასუხის მისაღებად მსოფლიო ბიბლიოთეკის ყველა წიგნიც არ კმარა... ჯერჯერობით კი პატარა მართალი ფრთხილად შეახებს თითს წითელ, ოქროსვარაყიან ყუას და მადლიერია მამისა, ანდერძად რომ ასეთი სიმდიდრე დაუტოვა...

ზალის უკან სასადილოა. ასე ჰქვია, თორემ ორი დედაბერი და ბიჭი სადაც როგორ მოუხერხდებათ, ისე სადილობენ. ფანჯარასთან დედიკოს საწოლი დგას. მართალის ლამაზი და სევდიანი დედა უკვე აღარაა და ამ საწოლში არავინ იძინებს. ხანდახან მოეჩვენება მართალის, რომ დაღლილი მართა საწოლზე ჩამომჯდარა, ხელები მუხლებზე ჩამოუწყვია. ზის ჩუმად, სივრცეში იყურება... რა ტკიოდა დედას? რა აწუხებდა? ცაცანა იტყოდა, ჩემი გოგო ადრე სულ სხვანაირი იყოო. ცერზე აიწევდა თურმე, მკლავებს გაშლიდა, კი არ ცეკვავდა, დაფრინავდაო... ფანდურზე რომ დაამღერებდა, ისეთი სირინოზის ხმა ჰქონდა, ცრემლს ვერ შეიკავებდიო... გაიცინებდა და პირიდან ვარდი და მარგალიტი ცვიოდაო... ჩემი ლამაზი გოგოო! — დასძენდა ცაცანა... როდის იყო ეს? რომელი სიზმრიდან შერჩა ცაცანას ქალიშვილის ძველი ხატი?.. მართალის არასოდეს სმენია დედის სიმღერა, ფანდური კი მუდამ დუმდა კარადაში — იმ დღიდან, როცა ტატაჩი გავიდა შინიდან და აღარ დაბრუნდა... ხმაჩახლეჩილი პატეფონი თუ აჟღერდებოდა თოდუების ოჯახში ხანდახან, ადრე ტატაჩის რომ აჩუქეს სანიმუშო სამსახურის წილ. პატეფონის ხმა ბანგივით მოქმედებდა მართაზე, კუთხეში მიჯდებოდა, გაილურსებოდა, უჩუმრად ცრემლს შეიწმენდდა... მერე ის ბნელი ღამე დადგა, მართა და მართალი შინიდან რომ გავიდნენ. უკან დახურული კუბოთი მოასვენეს მართა, გახსნა აუკრძალეს... დედაბრებმა ცივ ფიცარს ახალეს თავი, ისე დამარხეს ერთის შვილი და მეორის რძალი, თითქოს ბატონებს წაეყვანათ...

დიდი ხნის შემდეგაც, ძილის წინ ცაცანა მოულოდნელად გაყუჩდებოდა და ხმადაბლა იკითხავდა:

— იქნებ შიგ მართა არ იყო, ჰა?

ეფრო თავს ასწევდა, ისიც ჩაფიქრებული იტყოდა:

— ვინ იცის, იქნებ ჩემი ტატაჩიც ცოცხალია!

დედაბრები შეთქმულებივით ერთმანეთს შეხედავდნენ და თავთავიანთ ოთახებში წაცუნცულდებოდნენ...

უკანა, მომცრო ოთახი, საკუჭნაოს რომ ჰგავდა, ეფრო ბებიასი იყო. თვითონაც მოცუცქნულსა და გალეულს, ეს ოთახიც ებევრებოდა. უამრავ პატარპატარა ბალიშებსა და მუთაქებში ისე ჩაიკარგებოდა, არცა ჩანდა. ბუხრის თავზე ღვთისმშობლის ერთი ციდა ხატი იდგა, ცაცანამ ზალიდან რომ გამოაბრძანა. ეფრო შიშნეულად, ჩუმჩუმა უნთებდა სანთელს. ფანჯრიდან გახედავდა მაცხოვრისგორას და პირჯვარს გადაიწერდა, მერე შეხედავდა ხატს და კვლავ გადაიწერდა: „ღვთისმშობელო, შენ გადააფარე მწყალობელი კალთა ჩემს მართალის!“

ცაცანა წინა ოთახში იძინებდა, ფუმფულა ლეიბებსა და საბნებში იწვა. ესეც პატარა ქალი იყო, ოღონდ თვითონაც ფუმფულა და ქათქათა. უზარმაზარ ბალიშებს შემოიწყობდა, ცხვირზე სათვალეს წამოიცვამდა და ტუჩების ცმაცუნით, მარცვალმარცვალ კითხულობდა. ხანდახან ამოიოხრებდა და გაოცებით წამოიძახებდა: „ვინ ყოფილა, ძა, ეს ბუხარინი!“ „დი, ვინ ყოფილა ეს ტროცკი!“

აი, ამ სახლში დაიბადა და ფეხი აიდგა მართალი თოდუამ. ფეხი აიდგა და ფართო აივანზე გავიდა... გავიდა და გაირინდა, თვალი გაუშტერდა. სახლი არც ისე მაღლა იდგა, მაგრამ ჩხერიისპირა ველი მსუბუქად იტალღებოდა და ტალღის ზურგს ამოეწია თოდუების უბანი, რომელსაც ადრე კოსიორის ქუჩა ერქვა, მერე კომუნარებისა, დაბოლოს — ტალახაძისა... პირველხილული სურათი მერეთისა სამუდამოდ შერჩა მართალის: ზაფხულის მცხუნვარე დღე იყო ის დღე. სივრცეს თვლემისმომგვრელი სიწყნარე ეფინა. ლორთქო მწვანეში ჩაფლული ყავრიანი ოდები ერთიმეორის გასწვრივ ჩამორიგებულიყო. ქალაქი აუჩქარებლად ეშვებოდა ჩხერიის ჭალისაკენ. გაღმა ნაპირი კვლავ აღმა ადიოდა და იქ თეთრად მოქათქათე რამდენიმე შენობა ამპარტავნულად დაჰყურებდა გარემოს. შენობებს მიღმა მწვანე კედლად იდგა ქალაქის ბულვარი და ბოტანიკური ბაღი, რომელსაც თავის წიაღში მიეღო მთავრის ძველი სასახლე. დაბოლოს, მაცხოვრისგორა წამომართულიყო ქალაქის თავზე, ცას მიელტვოდა... უფრო შორს კავკასიონის ლურჯი ქედი იგრაგნებოდა; მარადი კავკასიონი თითქოს მცირდებოდა მაცხოვრისგორის უჩვეული ზესწრაფვასთან...

3

ზარის დარეკვას ცოტაღა აკლდა, როცა მართალის წინ დაჭმუჭნილი ქაღალდი დაეცა. ბიჭები უკვე მოუთმენლად ცმუკავდნენ. გეოგრაფიის მასწავლებელი გრიშა ყოლბაია აუჩქარებლად აგროვებდა მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს. ბოლოს ჟურნალიც დაკეცა, საჩვენებელი ჯოხი შიგ ჩადო და იღლიაში ამოიჩარა. იმავე ხელით გლობუსიც ჩაიხუტა. თავისუფალი მარჯვენით ყავარჯენს დაეყრდნო და ხის ფეხი კარისაკენ ბრაგუნით გადადგა. სწორედ ამ დროს დაირეკა, მაგრამ სანამ გრიშა მასწავლებელი კარს არ გაიხურავდა, ადგილიდან წამოხტომა ვერავის გაებედა.

მართალიმ ქაღალდი გახსნა და სახე აუხურდა. შიგ ერთადერთი სიტყვა ეწერა — „მეზიზღები!“ ვინ უნდა ყოფილიყო? მართალიმ მზერა ფრთხილად გააპარა. ბიჭები სტარტზე იდგნენ, გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს მასწავლებლის ნელ, მტანჯველ სვლას კარისაკენ. ლესტამბე თოლორაიამ პირი მიაბრუნა, წიგნებს საქმიანად ჩრიდა ნაჭრის ჩანთაში. „რა უნდა? — გაიფიქრა მართალიმ, — რას გადამეკიდა?“

ლესტამბე კლასელებში ყველაზე მაღალი იყო, ოწინარივით ზევიდან დაჰყურებდა თანატოლებს. სიგამხდრისაგან სინათლე გასდიოდა. პატარა პირისახეზე პაჭუა ცხვირი აჩნდა. „თავი მოაქვს, — ბრაზით სჯიდა მართალი, — ალბათ გრძელია და იმიტომ, ანდა მაგისი მამიკოსი ეშინიათ, ბიკენტისი, და იმიტომ... ან სახელის გამო! ტყუილად კი არ იხუმრა არიქა ძაძუამ, ვინც ლესტამბეს ჭიტლაყს ამოჰკრავს, კომკავშირში არ მიიღებენო!“

გრიშა ყოლბაიამ ფეხი ზღურბლს მიღმა გადგა და ბიჭების მოთმინებაც დაილია. მთელმა კლასმა კარისაკენ იხუვლა.

— ჰა, რას ელოდები? — არიქამ შეყოვნებულ მართალის მუჯლუგუნი ჰკრა.

— შენ ხომ არ იცი, ვის ვეზიზღები?

— გააფრინე?

მართალი უცბად წამოხტა, ლესტამბეს მიეწია, საკინძეთი ჩაბღუჯა და კედელს ზურგით მიაჭეჭყა.

— ვა, რა გინდა?! — გაიოცა ლესტამბემ.

— მე კი არა, შენ რა გინდა? — მუქარით ჰკითხა მართალიმ. თავით ყანყრატომდე თუ სწვდებოდა, მაგრამ ღონივრად ეჭირა.

დურუ გეგია მოვარდა, შუაში ჩაეკვეხა.

— ჩხუბობთ?

გასვლა ვინც ვერ მოასწრო, ირგვლივ შექუჩდნენ.

— ჩხუბობენ?

— ჩხუბობენ!

ჩხუბი ზეიმია!

— მე რა მინდა? — გაწელა ლესტამბემ, თან მიმოიხედა, მშველელს თუ ეძებდა.

მშველელმაც არ დააყოვნა, აქლემაპარმენმა შემოყო გრძელ კისერზე წამოცმული თავი.

— შენ! — თითი მიუშვირა მართალის, — შენ! — არიქას, — შენ! — დურუს, — და შენც! — ლესტამბეს, — დირექტორთან!

დერეფანი უნდა გაევლოთ. წინ აქლემაპარმენი მიდიოდა და ლესტამბეს გული მოეცა.

— რა მინდა და... — ჩაუჩურჩულა, — ჩხუბი მინდა!

— დავარტყათ?

— დავარტყათ!

— ბოტანიკურში! — ბეჭედი დაუსვა მართალიმ.

აქლემაპარმენმა ეჭვით მოიხედა, ალბათ ვერაფერი გაიგო და გზა განაგრძო.

დირექტორი მარტო არ ბრძანდებოდა. სხვა ვითარებაში ამპარტავანი, ქედმაღალი და მკაცრი, საჩხუბრად მომართული თამარადირექტორი ახლა პირმოთნეობის განსახიერება იყო, ბაგეზე ნაძალადევი ღიმილი აღებეჭდა და სტუმარს თვალში შესცინებდა. სტუმარი კი, ბიკენტი თოლორაიას მოადგილე ვავა ზარქუა შინაურულად მიყრდნობოდა სკამის ზურგს, ფეხი ფეხზე შემოედო, ხელში საყვავილედან ამოღებული ვარდი ეჭირა და აწვალებდა.

ბიჭები კედლის გასწვრივ ჩამწკრივდნენ მორიდებულად. არავინ იცოდა საკუთარი დანაშაულის სიმძიმე, მაგრამ თავდახრილები ელოდნენ მსჯავრს. ხანდახან შიშიანად შეხედავდნენ ვავა ზარქუას და მის თითებში მომწყვდეულ ვარდს, რომელსაც, ალბათ, ეზარებოდა კაცის თეთრად გაცრეცილი თითები და ზიზღისაგან კვდებოდა.

მართალისაც ეზარებოდა ეს კაცი. ვავა ზარქუას მელოტზე ღერი თმა არ შერჩენოდა და თავზე ძარღვების ლურჯი ქსელი აჩნდა. მეჩხერი, ჟღალი წარბების ქვეშ უფერული, უწამწამო თვალები თითქოს ჩაშრეტოდა და მიცვალებულის თვალებს უფრო მიუგავდა. მართალის გააჟრჟოლა კიდეც, კაცმა კი სწორედ მას მიაცივა მზერა, კარგა ხანს ათვალიერა, მერე სხვა ბიჭებსაც შეხედა და ვითომც გაიღიმა.

— კარგი ბიჭები ჩანან!

— დიახ, დიახ, კარგად სწავლობენ, მოწინავე პიონერებია! — შვებით მიუსწრაფა დირექტორმა.

— რა გქვია? — გეგიას შეეკითხა ვავა ზარქუა.

— დურუ!

— გვარი არა გაქვს?

— დურუ გეგია!

— შენა?

— არიქა ძაძუა!

— შენა? — ყასიდად ჰკითხა ლესტამბესაც.

— ლესტამბე თოლორაია!

— შენა, ყმაწვილო?

— მართალი თოდუა!

— ბიჭოს, რა სახელი შეურჩევიათ! — ღოჯა კბილები მტაცებელივით დაკრიჭა ვავა ზარქუამ. — მამაშენს რა ჰქვია?

— ტატაჩი!

— სად მუშაობს მამაშენი? — წინ გადმოიხარა ვავა და ბიჭი მიხვდა, ამ კაცმა ყველაფერი იცოდა და განგებ კითხულობდა.

— მოკვდა! — მხრები აიჩეჩა.

— ჰო! — ვავა ზარქუამ ვარდი მოჭმუჭნა და სანაგვე კალათაში გადაუძახა, — კარგი ბიჭები ჩანხართ! — კრუტუნით

ალაპარაკდა, — პიონერული ფიცი ხომ დადეთ? ყელსახვევები რატომ არ გიკეთიათ? ეს არაა კარგი, მაგრამ არა უშავს... თქვენმა დირექტორმა მითხრა, სანდო ყმაწვილები არიანო!.. ხომ იცით, მე ვინცა ვარ? — იკითხა უცებ.

— ეს ამხანაგი ვავაა! — სულსწრაფად ჩაურთო დირექტორმა.

— ახლა მე თქვენ ერთი საიდუმლო უნდა გაგანდოთ! — ხმას დაუწია ვავამ და ბიჭებმა კისრები წაიგრძელეს. როგორია, ბიკენტის მოადგილე მათ საიდუმლოს ანდობდა! — იცოდეთ, არსად ერთი სიტყვაც არ წამოგცდეთ, თორემ დაისჯებით!.. ყმაწვილებო, ალბათ მასწავლებლები გასწავლიდნენ, რომ ჩვენს დიად სამშობლოს უამრავი მტერი ჰყავს. ჩვენ დღე და ღამე ვებრძვით მათ, მაგრამ მტერი ძლიერია და ბოლომდე ჯერ ვერ დაგვიმარცხებია! — ვავა შეყოვნდა, თითი ასწია და ჩურჩულზე გადავიდა: — ჩვენს მხარეში შემოპარულა მეტად საშიში დივერსანტი. არ ვიცით, რას აპირებს, იქნებ რამე ააფეთქოს, ანდა ჭები დაგვიწამლოს... ჩვენ მონდომებით ვეძებთ, მაგრამ...

აქ ვავა ზარქუა კვლავ შეყოვნდა, ბიჭებს სათითაოდ შეხედა, ისინი კი, პირდაღებულნი, გაფაციცებით უსმენდნენ.

— მაგრამ კვალს ჯერ ვერ მივაგენით. გადავწყვიტეთ, პიონერებსა და კომკავშირლებს მივმართოთ დახმარებისათვის. ყველას, ცხადია, ვერ ვენდობით! ჩვენ უნდა შევქმნათ სადაზვერვო სამეულები. აგერ თქვენ სამნი — გეგია, ძაძუა და თოდუა ერთად იქნებით, თოდუა იყოს მეთაური... თოლორაიასაც ორ ბიჭს მოვუძებნით... უნდა იაროთ ქალაქსა და შემოგარენში. რაიმე საეჭვოს თუ შეამჩნევთ, ანდა ყურს მოკრავთ, უნდა შეგვატყობინოთ... გასაგებია?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ბოტანიკურით დავიწყებთ! — ყოყმანით თქვა მართალიმ. — „ჯერ ლესტამბე უნდა გავლახო!“ — ფიქრში დასძინა.

— ჰო, — თვალი გაუსწორა ვავამ და მართალის გაახსენდა ანტიკური ქანდაკების თვალები სახელმძღვანელოდან, — ჰო! — გაიმეორა ვავამ, — ბოტანიკური და მიღმა უბნები, ჩხერიის სათავის მიმართულებით. ოღონდ არაფერი შეგამჩნიონ, ვითომ თამაშობთ და ეგაა...

დღე იყო შაბათი, თვე — ნოემბერი, რიცხვი — პირველი, წელი — 1947...

* * *

მერე მრავალგზის იხსენებდა მართალი თოდუა დღეს, როცა დამთავრდა ბავშვური თამაშობანი და დაიწყო სხვა ცხოვრება. ლესტამბეს გალახვა ჯერ კიდევ ბავშვური გულფიცხობა იყო, დივერსანტის კვალზე სირბილი — უკვე „კლასობრივი ბრძოლა“.

არიქა, დურუ და მართალი ადრე მოვიდნენ, ბუჩქებში ჩასხდნენ.

წინათ აქ უღრანი ყოფილა თურმე. მთავარმა შემოაღობინა. ფრანგი მებაღე ჩამოაყვანინა, სულ ცინცხალი ოქროთი უხდიდა. ფრანგმა ზედმეტი გააკაფვინა, მეტი სინათლეაო საჭირო; სადაც მეჩხრად იყო, ახალი ჩაარგვევინა... ჩხერიის პირას ჩამოსახლდა აქამდე უცნობი არისტოკრატები — თბილი მხარეების ხე და ბუჩქი, მარადმწვანენი, ბრჭყვიალა ფოთლებით, ფანტასტიკურად ჭრელი, ხელისგულისოდენა ყვავილებით, ჭაობის გამოუცდელ მწერებს რომ იტყუებს და აბრუებს...

აგერ, ბაღის სიღრმეში ძველი სასახლის ნანგრევებია... მკვიდრად ნაგები აგურის კედლები, სუროთი და ველური ვაზით გადახლართულნი. იქით მცირე გორაკია, დეკორატიული ყვავილებით მოჩითული... წითელ ფონზე თეთრად იკითხება: „ოქტომბერი, 30 წელი“, „დიდება დიდ სტალინს!“ უფრო იქით მომცრო ტბის კრიალა ზედაპირია, შუაში პატარა ნახევარკუნძულია შემოჭრილი, ზედ ნეკერჩხლები დგას. ტოტებში წითლად ღვივის ტრანსპარანტი: „ოქტომბერი, 30 წელი“, „დიდება დიდ სტალინს!“

დურუ ხანდახან თავს ამოყოფს, მიდამოს დაზვერავს, ისევ ჩაიმალება.

სხედან და თათბირობენ. ხან დივერსანტზე საუბრობენ, ხან ლესტამბეზე, ეამაყებათ მაღალი დავალება, თავს კაცებად გრძნობენ.

ჩაიარეს ქალთა სკოლის გოგონებმა. წინ სათვალიანი მასწავლებელი მიუძღვება, ცხვირი ზევით აუპრეხია, აქაოდა, სათვალე არ ჩამომივარდესო. გოგონები წყვილწყვილად, ხელიხელჩაკიდებულნი მიჰყვებიან. უზარმაზარი თეთრი ბაბთები თმებში ჩამჯდარი პეპლებივითაა.

— ჯერ ლესტამბე უნდა გავლახო, — ჯიუტობს მართალი, — დივერსანტს მერე მოვძებნით!

— არ მომწონს მე ეს ამბავი! — წუწუნებს არიქა, — მაბეზღარაა, დაიხსომე ჩემი ნათქვამი, ბიკენტის ჩაუკაკლავს და ციხეში ჩაგვაყუდებენ!

— როგორ უნდა გალახო, ასეთი სახელი ჰქვია! — ყოყმანობს დურუც.

— დავაშავე რამე? — ფიცხობს მართალი. — მეზიზღებიო! იქნებ არც მე მეხატება გულზე...

ბილიკზე მილიციელი გამოჩნდა. ბიჭები სულგანაბულნი ადევნებენ თვალს. იქნებ მთლად ბიკენტის გამოგზავნილია, ამათ ეძებს. მადლობა ღმერთს, ისე ჩაიარა, აქეთკენ არ მოუხედავს.

— მოდი, თავი დავანებოთ... — ისევ იწყებს არიქა.

— ვცემ და მერე დავანებებ! — იქადნება მართალი. — მერე მივალ და ბიკენტის ვეტყვი, ძია ბიკენტი, დღეს შენი ბიჭი გავლახემეთქი...

— უჰ, გაბედავ? — თვალი გადმოკარკლა დურუმ.

— ეტყვი და თავზე ხელს გადაგისვამს. — დაეჯღანა არიქა. — დამრჩები უყურებოდ!

— თან მოვახსენებ, დივერსანტი დაჭერილიამეთქი და ყურებიც შემრჩება!

ბიჭები ჩუმად ხითხითებენ.

ირგვლივ სიწყნარეა, თბილა. ნიავი ტოტებს ატოკებს და კენტად მოწყვეტილი ყვითელი ფოთოლი ფარფატით ეშვება.

— იქნებ არც მოვიდეს! — ამბობს არიქა და საპასუხოდო, თავზევით, ხის კენწეროზე ჩიტი აჭახჭახდა, აგერ, აგერ, მიმალულანო.

ბილიკზე ლესტამბე გამოჩნდა. მარტო არ იყო, „თავისი“ ბიჭებიც წმოეყვანა, ერთით მეტნი იყვნენ.

— მოერევი? — ხმა მთლად ჩაუვარდა არიქას.

— უნდა ვცემო! — ჯიუტად გაიმეორა მართალიმ.

— სცემ და ციხეში ჩაგაყუდებენ! — ნაღვლიანად გააფრთხილა დურუმ და სამალავიდან გამოძვრნენ.

ლესტამბე გაჩერდა, ის ბიჭებიც. ნელნელა მიუახლოვდნენ ერთმანეთს. წრე თავისთავად შეიკრა, უთქმელად. შუაში მოჩხუბრები იდგნენ, ერთიმეორეს მამლაყინწებივით მისჩერებოდნენ.

— გაბედე და თითი დამაკარე! — დაქადნებით თქვა ლესტამბემ, ხმა უკანკალებდა.

— შენ თვითონ გაბედე და დამაკარე!

— გაბედე და თითის წვერით შემეხე!

— თუ მაგარი ხარ, შენ შემეხე!

ლესტამბემ ჰაერში ხელით რაღაც მოხაზა, თითით კი არ შეხებია.

— იქნებ არ გეჩხუბათ, ჰა? — იკითხა არიქამ.

— მოდით, შევარიგოთ! — დინჯად ჩაურთო ბიჭმა, ლესტამბეს რომ ახლდა.

— შერიგება ჯობია! — კვერი დაუკრა დურუმ.

— მაშინ მითხრას, რა დამიშავებია! — თქვა ჯიუტად მართალიმ. — მეზიზღებიო!

ლესტამბე წამოწითლდა, ფეხებს ანაცვლებდა, ვერ ისვენებდა, ენას იჩლექდა:

— იმიტომ რომ... მამაშენი ნაძირალაა და დედაშენიც ნაძირალაა!

სიტყვა მომთავრებულიც არ ჰქონდა, მართალი გაქანდა და თავური მკერდში აძგერა. ლესტამბე ზურგით გადავარდა, მდელოზე გრძლად გაიშხლართა. მართალი მკერდზე დააჯდა, ხელები გაუკავა და მოემზადა, რათა შუბლი პირდაპირ ცხვირში ეთავაზებინა, მაგრამ რაღაც მოხდა. ირგვლივ მდგომი ბიჭები დაფრთხნენ, ჩიტებივით შეიფრთხიალეს და მიმოიფანტნენ.

მართალის ვიღაცამ იღლიებში ჩაავლო ხელი და აქაჩა.

— დაწყნარდი, დაწყნარდიმეთქი, ყმაწვილო!

მართალი იმ ხელს აჰყვა, განზე გაიწია, მაგრამ ვერ დაუძვრა.

მუზეუმის დირექტორი ბერი ზაქარაია ჩასჭიდებოდა, მეორე ხელით კი ლესტამბეს ადგომაში შველოდა.

ძლივს აიზლაზნა ლესტამბე, წელში ძლივს გაიმართა, თვალი აცრემლებოდა.

— დაწყნარდით, ყმაწვილებო! — ბერი ზაქარაიას რბილი, მშვიდი ხმა ჰქონდა. — ძალადობა ბოროტებაა, ყმაწვილებო!.. თქვენც აქეთ მოდით, ნუ გეშინიათ! — სხვებს გასძახა: — მეგობრების გასაჭირში მიტოვება სირცხვილია! აქეთ მობრძანდით, აქეთ!

ბიჭები ნელნელა მოგროვდნენ, განგან იყურებოდნენ გასაქცევად მომზადებულნი.

— მოდით, წყენა დავივიწყოთ! — თქვა კაცმა, — გულიდან ბოროტება ამოვირეცხოთ და სიკეთე შემოვუშვათ! წამობრძანდით, მე თქვენ დღეს მუზეუმს უფასოდ შემოგატარებთ!

4

— თოდუა რომელია?

— მე!

— რა გქვია, ვაჟკაცო?

— მართალი!

— შენ ტატაჩის შვილი ხარ?

— დიახ!

— ბაბუას რა ერქვა, თუ იცი?

— ნესტორი!

— ნესტორის მამას?

— გუდუ!

— გუდუს მამას?

— უტუ, მეტსახელად მართალია!

— მე მიცნობ?

მართალიმ — ყოყმანით:

— დიახ, ძია ბერი!

ბერი ზაქარაია თვითონაც სამუზეუმო ექსპონატსა ჰგავს. ქერა, სამკუთხად შეკვეცილი მოკლე წვერი და კოხტა ულვა-

შები კაცს წინა საუკუნის მემამულეს შეახსენებს. შეხუჭუჭებული, მისი ასაკისათვის საკმაოდ მდიდარი ქოჩორი მაღლა აუვარცხნია, ფართო შუბლი მის გონიერებას ცხადყოფს, წვრილი მაჯა და გრძელი თითები — ინტელიგენტურობას. სქელლინზებიანი სათვალიდან მომზირალი ბეცი თვალები კი უცილოდ ქაღალდის ჭიას ავლენს.

ყოველივე ეს მართალის გონებაში ჩაიხატა. შეცბუნებული პასუხობს, რაკი ბიჭებში გამოარჩიეს... წუთის წინ ჩხუბის მონაწილენი ახლა უხერხულად იშმუშნებიან, ერთმანეთის უკან იმალებიან. ლესტამბე მხრებში იხრება, ცდილობს, რაც სიმაღლე აქვს, იმაზე ნაკლები გამოჩნდეს. მორიდებით ჩაახველა და ამოღერღა:

— მუზეუმი ლამაზია!

მართლაც რომ! მუზეუმის თეთრი შენობა (რა თქმა უნდა, ყოფილი მთავრის სასახლე!) იზიდავს მერეთელებს, ამაყობენ, ჩვენს პატარა, პროვინციულ ქალაქში ისტორიამ როგორღა შემოიტოვა ასეთი უცხო, რომანტიკული ხიბლით შემოსილი ძეგლიო. ორსართულიანი შენობა ისე ამაყად აწეულა, ბევრად უფრო მაღალი ჩანს. ვიწრო, აზიდულ ფანჯრებს, ქონგურებს, ფერად ვიტრაჟებს, მოჩუქურთმებულ სვეტებს და ღია აივანს, მაგნოლიებით დაჩრდილულ შიდა ეზოს სულ სხვა მერიდიანებზე გადაჰყავს მერეთის მკვიდრნი. თუმცა იმასაც ფიქრობენ მერეთელები, რომ ღირსნი არიან ამ სიკეთისა, რადგან ამ ქალაქის სახელწოდება მეგრულიდან ითარგმნება როგორც „სასწაული“.

ბერი ზაქარაია აქ ყველაფერია — დირექტორი, მეცნიერმუშაკი, ექსკურსიამძღოლი... იგი მთელ მერეთში გამორჩეული პიროვნებაა, დიდპატარა „ამხანაგოს“ ვერ უბედავს და ბატონობით მიმართავს. ერთმანეთში კი ჩუმჩუმა, ცხადია, სიყვარულით, შერეკილიაო, ირწმუნებიან. ეს უწყინარი ქილიკი ოდნავადაც არ ამცირებს, პირიქით, კიდევ უფრო გამორჩეულსა ხდის, რადგან მერეთში იქნებ ჭკვიანიც საკმარისია, გიჟიც, მაგრამ ცოდნით შერეკილი მართლაცდა სხვა არავინ მოიძებნება.

ბიჭები შიშნარევი ცნობისმოყვარეობით უსმენენ ბერის, უხერხულობა ავიწყდებათ, წინ მიძვრებიან. აგერ არიქა ძაძუა სერიოზულად აყვლიპინებს თვალებს... დურუ გეგია მოზვერივით ქშინავს, თითქოს ყველაფრის კბილებით გასინჯვას აპირებდეს... ლესტამბე თოლორაიას კისერი წაუგრძელებია, სხვებს ჟირაფივით ზევიდან დაჰყურებს... იმ სამ ბიჭსაც, ლესტამბეს რომ წამოყვნენ, ალბათ დაავიწყდათ, აქ როგორ მოხვდნენ...

— აქედან, ბავშვებო, აი, აქედან!.. — ბერი გრძელ ჯოხს დირიჟორივით მაღლა ასწევს, მეორე ხელით ჰაერს შემოხაზავს.

ექსპოზიცია გეოლოგიური ეპოქებით იწყება...

— დააკვირდით, მეგობრებო, ეს ხერხემლის ძვალია, ალბათ კაპიტოზავრისა. აგერ, ეშვიც, ვფიქრობ პარეიაზავრისა. — ბერის კილო საზეიმო ელფერს იძენს, თუმცა უმალვე ხმას დაბლა წევს და მორცხვად დასძენს: — ამისი სპეციალისტი მე არ გახლავართ, ჩვენს მუზეუმს, სამწუხაროდ, პალეონთოლოგი არა ჰყავს...

ოცი წლის წინ, მერეთიდან ათ კილომეტრზე, ხურჩას ნაპირას (სადაც ხურჩას ჩხერია უერთდება) აღმოაჩინეს ნამარხი ცხოველების სასაფლაო. სწორედ იქ იპოვეს ეს ძვლები. ეს, ალბათ, ხერხემალია აი იმ კაპიტოზავრისა. პარეიაზავრი ძლიერი ეშვებით ჩაჰფრენია კაპიტოზავრს, ის კი აუტანელი ტკივილებისაგან საშინელი ხმით ღრიალებს... ადგილობრივი მხატვრის ჩიჩუას ნახატშია ასე. მხატვარს ტილოზე იმდენი სისხლი დაუქცევია, თუ ახლოს არ მიხვალ, წითელი დროშების ფრიალი გეგონება.

დარბაზი დარბაზს მისდევს, ექსპოზიცია იცვლება... პირველყოფილი ადამიანები ქვის იარაღს აკეთებენ, მამონტებზე ნადირობენ, გამოქვაბულში ცეცხლთან თბებიან.

ცოტა აქეთ ადრე შუასაუკუნეებისა და ეთნოგრაფიის კუთხეებია... ტაძრები, ციხეები, გალავნები, ფრესკები, მოზაიკა... „ყაზაყიში* ჯარგვალი“ — შუაცეცხლი, ლარჭაზე დაკიდებული შავი კარდალი, ღომის შესაზელი სუთით... გამურული ძელის კედლები, რომელთა გასწვრივ გრძელი სკამლოგინებია... შუაცეცხლის ერთ მხარეს „მეგრელი“ ზის, პაჭიჭები, ძიქვა და

ბლუზა აცვია, თავზე ყაბალახი შემოუხვევია, გრძელი ყალიონი პირში გაუჩრია. მეორე მხარეს ჩითისკაბიანი დედაკაცი აკვანს არწევს, მუხლებზე ორიოდე წლის მოკლებლუზიანი ბავშვი ეპოტინება და პატარას ვარდისფერი ტაკუნები მოუჩანს... „ჟინოსქუაში* დარბაზი“ — გრძელფარდაგიან ტახტზე ფეხმორთხმული ღიპიანი კაცი ჩიბუხს ექაჩება, ჩიხტიკოპიანი კნეინა იქვე ჩამომჯდარა და ქსოვით ერთობა... ბოლოს თავადები — ლუარსაბი და დარეჯანი, სხვანაირი თავადები ბავშვებს ვერც წარმოუდგენიათ...

— დააკვირდით, ყმაწვილებო! — ბერის ხმა უფრო ჟღერადი ხდება. — აქ ჩვენ ვხედავთ ბუნების საოცრებას! რას იტყვით, ყმაწვილებო, განა ეს საოცრება, — კაცი თვითონაც გაკვირვებული ჩანს, — განა ეს საოცრება სამყაროში სიცოცხლის ჩასახვისა და მისი განვითარების შეუცნობელ გზებზე სასაუბროდ არ განგვაწყობს?

ბიჭები პირდაღებულნი მისჩერებიან მუზეუმის ღირსშესანიშნაობას — ორთავიან ხბოს. მთელი ქალაქი ხომ ამ საოცარ ხბოზე მსჯელობს. იმის დასანახად შორეული სოფლებიდანაც მოდიან. მოხუცი ქალები პირჯვარს იწერენ და ფუი, ეშმაკსო, მიაყოლებენ.

— ძია ბერი, — თქვა უცებ მართალიმ, — ერთ სხეულში მარტო ერთი სული უნდა ჩასახლდეს! როცა მარტო ხარ, მაშინა ხარ თავისუფალი. ამაში კი ორი სული ჩასახლდა...

ბერიმ ბიჭი გაოცებით შეათვალიერა. კარგა ხანს აზრი ვერ მოიკრიბა. მეორე სართულის კიბეს რომ აჰყვნენ, ფიქრი აეკვიატა, ეს ბავშვი ასაკზე მეტიაო. წუთის წინ ბავშვურად ჩხუბობდა, ახლა კი სულზე მსჯელობსო. რა იცის ამ ბავშვმა სულზე, ღმერთზე, სამყაროს ალტერნატიულ მოდელებზეო.

— აჰ, ჩემო მართალი, ადამიანი პალიმფსესტს მაგონებს!

ვერც მართალიმ, ვერც სხვა ბიჭებმა შერეკილის ქარაგმა ვერ ამოხსნეს, ბერი ზაქარაიამ კი სევდით გაიფიქრა:

„თვითონ მე ვარ პალიმფსესტი, რომლის ადრეული ტექსტი უფლისადმი ლოცვაა, ხოლო შემდგომი, გადაშლილზე ხელახლა დაწერილი — ღვთის უარყოფა... ეს ბავშვიც პალიმფსესტია. მასში ჩაწერილი კოდი სულს ეძიებს, სასკოლო ქრესტომათია კი იმას ჩასჩიჩინებს, შენა ხარ ხორცი და მეტი არაფერიო...“

— მარტოობაშიც არ არის თავისუფლება! მარტო თუ ხარ, შენს არსებობას ვერაფერს შეადარებ. თავისუფლება ადამიანებში უნდა მოიპოვო... — უცებ გაწყვიტა, თითქოს ზედმეტი რამ წამოცდაო, ენაზე კლიტე დაიდო.

ფართო კიბე ადის მუზეუმის მეორე სართულზე. ორთავ მხარეს მერეთელ მხატვართა ფერწერული ტილოებია. ადგილობრივი მხატვრები ოპტიმისტები და რეალისტები არიან. ვინც ისტორიის წიაღში თემას ეძებს, აუცილებლად ერთსა და იმავეს უტრიალებს — „მჭედელი უტუ მიქავა მიუძღვის გლეხთა მრისხანე ტალღას!“ დანარჩენების პური პეიზაჟია — უმთავრესად ჩაის ზურმუხტოვანი პლანტაციებისა, რომელთაც ლოყებდაბრაწული, უბესავსე ქალები შესევიან და პირზე ისეთი განცხრომა აწერიათ, იოლი მისახვედრია — ჩაის კრეფაზე სასიამოვნო საქმიანობას დედამიწის ზურგზე ვერავინ მოიგონებს...

კიბე ჯერ ბაქანს ებჯინება, მერე ორად იყოფა და მეორე სართულიც აგერაა. ბაქნის თავზე სამი ბელადის უზარმაზარი პორტრეტებია: „ლენინი რაზლივში“ — ვლადიმერ ილიას ძე ჯორკოზე ჩამომჯდარა, შავი პალტო შინაურულად მხრებზე მოუსხამს და მუხლზე დადებულ ქაღალდზე გაფაციცებით წერს; იოსებ სტალინი კრემლის ფონზე — ქირზის ჩექმები აცვია, ჯარისკაცის უბრალო შინელი და კოზიროკიანი ქუდი. ხელში ტრადიციული ჩიბუხი უჭირავს. დიდი სტალინი მეტად უბრალო და შინაურული ჩანს; ლავრენტი ბერია კი თითქოს სიღრმეში დგას, ლურჯი სამოქალაქო კოსტიუმი აცვია, მის უკან მხოლოდ ცის თეთრი ფონია.

ბიჭები რიდით გვერდს უვლიან ამ სურათებს. ლენინს ამათთვის არა სცალია. ორი ბელადის მზერა კი, საითკენაც შებრუნდები, იქით გაგყვება.

ორად გაყოფილი კიბე კვლავ ერთდება და მის თავზე ისევ სამი პორტრეტია: აგერ მჭედელი უტუ მიქავა — გრდემლზე უზარმაზარი ურო დაუდვია და ტარზე მსხვილი, დაკუნთული

მკლავით ეყრდნობა... აგერ კოჩი თოდუა ზის კუნძზე, დატყვევებულ თავადიშვილებს ასამართლებს... აგერ უტუ თოდუა, მართალიად წოდებული... კარგი აღნაგობის პირხმელ ვაჟკაცს საყდრის მაკეტი უჭირავს...

— აი, შენი წინაპარი! — ბერიმ კვლავ გამოარჩია ბიჭი.

მართალიმ თვალი მოჭუტა და ისე ახედა პორტრეტს.

— უტუ თოდუა, თურმე, ასეთი ბრგე არ იყო. რუსეთიდან რომ დაბრუნდა, ჩეხოტკიანსა ჰგავდა.

კვლავ გაოცდა ბერი, როგორც ტოლს, ისე შეეპასუხა:

— ამ სურათზე უტუ ჯერაც ახალგაზრდაა. საყდარიც ასეთი კი არა, ხისა ააშენა!

— ჩვენი სახლის ფიცრები უტუ თოდუას დახერხილია! — თქვა მართალიმ.

დიახ, უტუ თოდუამ, მართალიად წოდებულმა, ქონების მოსახვეჭად ვერ მოიცალა. წარსულს ჩაბარდა ნგრევაპარტახის ბოროტი წლები. ოფლიც საკმარისი ღვარა და სისხლიც, უპოვარიც იყო და ურდუს კეისარიც, მაგრამ ჭარმაგობის ჟამს მანათი ფარა არ შერჩა, რუსეთის თოვლყინულოვანი მხარეებიდან სული ძლივს ჩამოიტანა და ჩხერიისპირას, მაცხოვრისგორასთან დასახლდა... სახლის შენება რომ დაიწყო, საყდრის შენებაც წამოიწყო გორის თავზე. წაბლის ერთ მორს თავისთვის რომ გათლიდა, ორს — საყდრისთვის. საყდარი უფრო ადრე აშენდა. უტუ თოდუამ ეპისკოპოსი მოიწვია, აკურთხებინა, სანთელი აანთო, ღვთისმშობლის სახელზე ლოცვა აღავლინა. თავისთვის მცირედი იკმარა, ორთვალიანი ჯარგვალი შეკრა, ზევიდან ისლით გადახურა, შუაცეცხლი გამართა და ღომის კარდალი ლარჭაზე ჩამოჰკიდა.

უტუს ძემ გუდუმ ორ თვალს ორიც სხვა დაამატა, ვიწრო სარკმლების მაგიერ განიერი ფანჯრები გამოჭრა. ვაჭარი კაცი იყო გუდუ თოდუა, ფარაც საკმარისი უჩხრიალებდა ჯიბეში, მაგრამ თავისი მამის შვილს ღვთის მსახურება მიაჩნდა კაცთა უპირველეს ვალად. შეუჩნდა მეზობლებს, არც თავისი დაზოგა, სხვანიც დაიყოლია და მაცხოვრისგორის თავზე ძელური საყდრის ნაცვლად ქვითკირის თეთრი ტაძარი ააყელყელავა, სამრეკლოს ზარები ააწკრიალა, გუმბათზე ოქროს ჯვარი აღმართა.

— გაუნათლებელი ხარ, ბაბაია, შენ! — სიკვდილის სარეცელზე მწოლიარე გუდუს ჰკადრა ერთადერთმა ძემ ნესტორმა. — არ იცი, ღმერთი რომ არ არის? გერჩივნა ტრაქტირი აგეშენებინა, ანდა აბანო!

კოჭებში ეტყობოდა ნესტორ თოდუას, რა ეშმაკის ნაგრამიც იზრდებოდა. ტაძარს იგი რას შესძენდა, ტყვიის სამიზნედ გამოდგებაო, ასე ბრძანა. არც მამის ქონებისათვის წაუმატებია ბევრი რამ, მიწის ტკეპნა მობეზრდა და ძირს წაბლის ფიცრები დააგო...

ბევრი იცოდა ბერი ზაქარაიამ, მაგრამ ბავშვის სმენისათვის ყოველივე როდი იყო განკუთვნილი. ბავშვებს არ შეეძლოთ პალიმფსესტის პირველი ტექსტის წაკითხვა, მათთვის მხოლოდ გვიანდელი, გადაშლილზე დაწერილი, მრავალგზის შემოწმებული და გაწონასწორებული ტექსტი არსებობდა.

მუზეუმის ფართო დარბაზებში გამოფენილია მერეთის წარსული, აწმყო და მომავალი.

ბერი გაჩერდა, საჩვენებელი ჯოხი გაიშვირა. კედელზე კვლავ სამი სურათი ეკიდა, რევოლუციის სამი მერეთელი არწივისა — ნესტორ თოდუასი, ძღვიბი თოლორაიასი და გერა კვარაცხელიასი.

სიწყნარეს არღვევს ბავშვების მორიდებული ჩურჩული, ხველება, პარკეტის ჭრიალი. აქ დრო გაჩერებულა, მერეთის მატიანე ამ სურათებსა და წარწერებშია. მერეთი იმ ჟამს დაიბადა, როცა დიდმა მართალიამ პირველი წაბლის ხე წააქცია სამორედ, მატიანეს ბოლო ფურცელი კი ის წამია, როცა პატარა მართალი მუზეუმის კედელთან თავის დიდ წინაპარს შეხვდა.

— შეხედეთ, შეხედეთ, ყმაწვილებო, მართლაც „მერეთი“ ანუ სასწაული არ არის, აბა, რა არის? რიტმი თუ იგრძენით, ყმაწვილებო, დროს თავისი რიტმი აქვს, მდინარების რიტმი... — ძია ბერი ჰაერში ხელს ისე მოხდენილად არხევს, თითქოს დროის ორკესტრს დირიჟორობდეს. — წარმოიდგინეთ, ყმაწვილებო, თავდაპირველად ტყეში მიკარგული, პატარა სოფლის

ნელი, ზოზინა არსებობა... ჟამთასვლის ბორბალი ნელა ტრიალებს, მაგრამ ხომ ტრიალებს!.. დიახ, ის აჩქარდება... თანდათან, თანდათან... ჯერ ჭრაჭუნით, ძლივძლივობით... მერე და მერე აგუგუნდება, აგუგუნდება და ადამიანთა ბედიღბალს ფქვავს და ფქვავს... სისხლი და ოფლი, დაბადება და სიკვდილი, ასე წვალებაში აშენდა მერეთი, გაიზარდა, გაიშალა, გადაეფოფრა მიდამოებს, ორღობეებით დაქსელა ჩხერიის გაღმაგამოღმა ჭალები, თითქმის ხურჩამდე ჩააღწია... მერე ჯარგვლები ოდასახლებად გადაიქცა. მთავარს თვალში მოუვიდა, ბინა აქ მიიჩინა, ეს თეთრი სასახლე წამომართა, ევროპული ბაღი გააშენა, ჭადრის ხეივანი... სავაჭრო ფარდულები ჩამომწკრივდა ხეივნის გასწვრივ... აყაყანდა ბაზარი, ჟრიამული დასცა მარულამ... ყველაფერი პირველით იწყება, ყმაწვილებო: პირველმა ბოქაულმა ბიღა ულვაშები დაიყენა... პირველი მზეთუნახავი მოიტაცა პირველმა შეყვარებულმა... გაჩნდა სასაფლაო, სკოლა, ღვინის სარდაფი, ციხე, დილიჟანი, ეტლი, რკინიგზა, ღია თეატრი, სინემა... მერე იყო პირველი გაფიცვა, დემონსტრაცია, აჯანყება, პირველი სისხლისღვრა...

მოულოდნელად სიტყვა გაუწყდა ბერის, დაცხრა, თვალებში ჩაუქრა ფანატიკური ცეცხლი.

— ნახვამდის, ძია ბერი!

კარამდე ჩააცილა ბიჭები. მართალის მხარზე ხელი დაადო, მოაბრუნა.

— ქალბატონი ეფრო და ქალბატონი ცაცანა მომიკითხე, მოჩხუბარიძევ!

— დიახ!

— გადაეცი, ხვალზეგ ძია ბერი გინახულებთთქო!

— დიახ!

მუზეუმის გრილი დარბაზებიდან სინათლეზე გამოსული ბიჭები ერთმანეთს უხერხულად შეჰყურებდნენ.

— შერეკილია რა! — განაცხადა ლესტამბე თოლორაიამ.

მართალიმ ზურგი შეაქცია, წავიდა, არიქა და დურუ გამოედევნენ...

5

„მე, ბერი ზაქარაია, ძე სოლომონ ზაქარაიასი, ღმერთის, მთავრობისა და საკუთარი სინდისის წინაშე ფიცსა ვდებ, რომ არავითარი დანაშაული ჩვენი მუშურგლეხური ქვეყნის წინაშე არც საქმით, არც სიტყვით არ მიმიძღვის... არასოდეს მივნია პროლეტარიატის დიადი საქმისათვის, მუდამ ვცდილობდი ერთგულად შემესრულებინა პარტიის ბრძნული განაწესები... ერთხელ მაცდუნა ეშმაკმა. რა თქმა უნდა, ეს ბოროტი განზრახვით არ ჩამიდენია, შემეშინდა, არაფერი დამბრალდესმეთქი და გავჩუმდი...

პალიმფსესტი დავარქვი იმ ქაღალდებს, შემთხვევით, მუზეუმის აღწერის დროს რომ წავაწყდი. საარქივო საცავში, ძველი სეკრეტერის უჯრა გამოვწიე და შეკვრა აღმოვაჩინე. ჩვეულებრივი თაბახის ქაღალდი მეგონა. იქვე გაზეთში გახვეული საწერკალამი და მელანიც იდო. რაკი გაზეთი რევოლუციამდელი აღმოჩნდა, ძღვენიც უთუოდ იმდროინდელი იქნებოდა. ყველაფერი ეს საწერ მაგიდაზე დავალაგე. ავიღე ფურცელი და ყოველგვარი წინასწარგანზრახვის გარეშე ჯერაც 1918 წელს შეთხზული ხალხური ლექსის ორი ბწკარი დავწერე — „შქვით ნოემბერქ მუ მიღუნი, ვაგაჭყორდუ მოხანდეს...“ კალიგრაფია კარგი მაქვს, თავდაპირველად ამ კალიგრაფიის გამო მიმიღეს მუზეუმის უშტატო თანამშრომლად. ფურცელი ავწიე და მზის შუქზე გავხედე ლამაზად ჩაწიკწიკებულ ქართულ ასოებს... გავხედე და ვერაფერი დავინახე... თვალები მოვიფშვნიტე, ქაღალდი სუფთა იყო. ხელახლა დავწერე ლექსის ის ბწკარი, წუთიც და წარწერა ისევ გაქრა... მივხვდი, რომ ქაღალდიც და მელანიც საიდუმლო ჩანაწერებისათვის ყოფილა გადამალული. ეს კარადა რევოლუციის შემდეგ, ალბათ, არავის გაუხსნია და გვიანი იყო ამის პატრონის მოძებნა... ცხადია, შევცდი, რომ უმალვე ბიკენტი თოლორაიას არ ვაცნობე ყველაფერი, მაგრამ იქნებ არ დამიჯერონმეთქი, ვიფიქრე. როგორო, — მკითხავდნენ, — ნახევარი საუკუნე ეს

სეკრეტერი კუთხეში იდგა და მისი გახსნა არავის მოგაფიქრდათო?“

ბერი ზაქარაიამ საწერკალამი გადადო, ხელისგულები პირისახეზე ჩამოისვა. კაბინეტში მარტო იჯდა და შიშიან ფიქრებს უტრიალებდა. ცხადია, თავი საფრთხეში ჩაიგდო, ნაღმზე იჯდა და არ იცოდა ეს ნაღმი როდის აფეთქდებოდა. იოლზე იოლი იყო ამ ქაღალდების ცეცხლისთვის მიცემა, მაგრამ დანაშაულის სიტკბოება აიძულებდა, გადაემალა იგი.

მაშინ ნაპოვნი შეკვრა უკანვე შეინახა, ვითომ არც მიპოვნიაო. ამ რამდენიმე დღის წინ კი ბიკენტი თოლორაიამ დაიბარა. გიწვევენო, რომ გადასცეს, მუხლებში სისუსტე იგრძნო. იფიქრა, რაღაცნაირად გაიგო ბიკენტიმ ჩემი საიდუმლო და შეიძლება უცხო ქვეყნის აგენტობაც დამბრალდესო. ძლივს მიაღწია შინსახკომამდე. ბიკენტის კაბინეტი მეორე სართულზე ჰქონდა და ბერიმ ბარე ორჯერ შეისვენა სულის მოსათქმელად.

მდივანი ქალი ბეჯითად აკაკუნებდა შავ მანქანაზე, თვალი არც აუწევია, თავის მოძრაობით მიუთითა, შედი, გელოდებაო.

— მობრძანდი, მობრძანდი, ამხანაგო ბერი! — ბიკენტი ფეხზე იდგა, ხელით მაგიდასთან დადგმულ სკამზე ანიშნა.

— დამიბარეთ? — დაბნეულად იკითხა ბერიმ. არ იცოდა, რას უქადდა ეს საუბარი. წინასწარ მოიფიქრა, თუ სეკრეტერი უხსენეს, თავი ემართლებინა, ჩვეულებრივი ქაღალდი მეგონა და არაფრად ჩამიგდიაო.

— ჰო, საქმე მქონდა შენთან! — ბიკენტიმ დაუცადა, სანამ ბერი დაჯდებოდა და თვითონვე სკამზე დაეშვა, ფიქრიანი თვალებით მოაშტერდა.

საშუალოზე ცოტა მაღალი კაცი იყო ბიკენტი თოლორაია. ადრე უფრო ხმელი, დაწურული ვაჟკაცი ახსოვდა ბერის. ასაკმა საგრძნობლად შეცვალა, პირისახე დაუმრგვალდა, ტანზე ხორცი შეისხა, მიმოხვრა შეურბილდა, დაეხვეწა, კეთილშობილური, ჰუმანური ნიღაბი მოირგო, თუმცა თვალები არ ეცვლება თურმე ადამიანს. ბიკენტის მოცისფრო, მშვენიერი მოყვანილობის თვალები რატომღაც ნაკლებად მოსწონდა ბერის, ქალურად ლამაზი ეთქმოდა და ეს სილამაზე ზიზღსა და შიშს უმძაფრებდა.

— როგორაა მუზეუმის საქმეები? — სასხვათაშორისოდ იკითხა ბიკენტიმ.

ბერი შეეცადა, თავი ყოჩაღად დაეჭირა, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების თემაზე ახალი ექსპოზიცია გავაკეთეთო, აუხსნა.

— კარგი ბიბლიოთეკა გაქვთ, მგონია! — ჩაურთო ბიკენტიმ, ბერიმ კი გულისფანცქალით გაიფიქრა, კატა რომ თაგვს ეპარება, ისე ნელინელ მეპარებაო.

— დიახ, შესანიშნავი! — ხმა ძლივს დაიმორჩილა, — შესანიშნავი... მარტო ხელნაწერების ფონდი რად ღირს!.. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი, მაგალითად, ხომ იცით, ფასი არა აქვს... რამდენიმე ძვირფასი ბიბლია... პალიმფსესტი...

ჰქონდათ მართლაც ერთი პალიმფსესტი, მაგრამ ეს სიტყვა რომ ახსენა, ბერიმ თითქოს ზედ წაიბორძიკაო.

ბიკენტი ყურადღებით უსმენდა, თავს უკანტურებდა, თან ისეთი ინტერესით ათვალიერებდა, ბერის სიტყვებში ჩადებული ქარაგმის ამოხსნას ცდილობსო, ანდა უარესი — ფარული ფიქრების ამოკითხვას აპირებსო.

— შენზე ამბობენ, დისერტაციას წერსო, — თქვა ბიკენტიმ, — საიდუმლო თუ არ არის, რაზე მუშაობ?

— სწორედ იმ პალიმფსესტზე! ძველი აღთქმის ფრაგმენტია, იაკობს რომ კიბე დაესიზმრა და ზედ ანგელოზები მიმოდიოდნენ. ვფიქრობ, ძველი ნაწერი მეშვიდე საუკუნეზე გვიანდელი არაა, ახალი კი აგერ მეცამეტემეთოთხმეტესი...

— ჰო! — ბიკენტიმ ხელისგული მაგიდას გადაუსვა, წამოდგა, გაიარგამოიარა, — საინტერესოა, საინტერესოა...

ვერაფრით გაეგო ბერის, რისთვის აინტერესებდა შინსახკომის უფროსს ეს ამბავი. თვითონ მხოლოდ იმიტომ მოჰკიდა ხელი, იფიქრა, შორეულ საუკუნეებს შევაფარებ თავს, იქ მაინც ვერავინ მომიკაკუნებსო... ბიკენტიმ კი მოუკაკუნა და ეგაა! მიდიმოდის კაბინეტში, ბოლთასა სცემს, ფიქრობს. ბერი ჩუმად ზის, დრო მიეცა და კაბინეტს ათვალიერებს.

ხალვათი კაბინეტი ჰქონია ბიკენტი თოლორაიას; ფუნქციონერის სამკუთხა მაგიდა და მკაცრი წესრიგით ჩამწკრივებული მაღალზურგიანი სკამები... კუთხეშიც დგას ერთი უბრა-

ლო სკამი. განაგონი ჰქონდა ბერის, ეს სკამი იატაკზეა მიმაგრებული და პატიმრებისთვისაა განკუთვნილიო. მადლობა ღმერთს, არავის უთქვამს, აბრძანდი ახლა ბერიმამაძაღლო და გადაჯექი იმ სკამზეო.

— გვიანდელი ტექსტი რა შინაარსისაა? — იკითხა ბიკენტიმ.

— ნივთების ნუსხაა, — აუხსნა ბერიმ, — ან მზითევია ჩამოთვლილი, ან ვინმე ვაჭარი ადგენდა.

კვლავ დადუმდნენ. ბიკენტი ისევ ფიქრს მიეცა, ან იქნებ ამ დუმილით აგრძნობინებდა ბერის, ხედავ რა მძიმე სამსახური მაქვს, რამდენი საფიქრალი მიგროვდებაო.

ბერიმ თავი მოაბრუნა. კედლის სურათიდან სტალინმა შემოჰღიმა. ორმოციოდე წლის სტალინს შავი ულვაშები ჰქონდა. წუთის წინ ალბათ იცინოდა და თვალის კუთხეებში ნაოჭები ჯერაც არ გაქრობოდა... რაზე იცინის ბელადი?.. ნუთუ ხვდება, რომ ბერის სულში შიშია ჩაბუდებული?.. უსაფუძვლო შიში!.. მეორე სურათიც გადმოჰყურებდა ბერის ყურადღებით. ლავრენტი პავლეს ძის სათვალეს თეთრი ანარეკლი აბრჭყვიალებდა. მის თვალებში ვერც განაჩენს ამოიკითხავდა კაცი, ვერც თანაგრძნობას... კუთხის სეიფზე ლენინის თაბაშირის სკულპტურა იდგა, ორი მტკაველის ზომისა. ბელადს მხრებზე პალტო მოეგდო, გადაშლილ „პრავდას“ ჩაღრმავებოდა და მელოტი ულაპლაპებდა... ლენინს არ ეცალა ბერი ზაქარაიას მფრთხალი ფიქრებისათვის...

სამაგიეროდ ბიკენტი თოლორაიას ეცალა მისთვის. ბოლთის ცემა შეწყვიტა, ენერგიულად დაუბრუნდა თავის სკამს.

— ამხანაგო ბერი... ჰმ, უცნაურია მეტად, დიდი ხანია გიცნობ, ვიცი, ჩვენი კაცი ხარ, პარტია შენ გენდობა...

— მადლობელი ვარ! — მღელვარებისგან პირი გაუშრა ბერის, ბიკენტიმ კი მის სიტყვებს ყური არც ათხოვა, ისე განაგრძო:

— დალახვროს ეშმაკმა, ახლაღა მივაქციე ყურადღება! სახელად გქვია ბერი, მამაშენი სოლომონი მღვდელი იყო, მერე ეს პალიმფსესტი, ბიბლია და მისთანანი...

— თქვენ, მებრძოლმა ათეისტმა, ამწუთას ახსენეთ ეშმაკი, თუმცა ეშმაკისა არაფერი გწამთ, — ნაძალადევი ღიმილი შეაგება ბერიმ, — თქვენ იცით, ჯერ კიდევ როდის მიმიღეს კომკავშირში, ბერობასთან და ეკლესიასთან არაფერი მაკავშირებს, მუდამ პარტიის მთავარ გეზს მივყვებოდი და არსაითკენ გადამიხვევია!

— ჰო, — თვალი აუციმციმდა ბიკენტის, — ვიცი, მამაშენი საკუთარი ხელით რომ გაკრიჭე!

ბერის პირზე სიწითლე მოასკდა... დიახ, მოხდა ესეც!.. ყმაწვილი იყო, მოტყუებული და რეგვენი... მთელი სიცოცხლე უნდა ეზიდა ცოდვის სიმძიმე, თან ამის გაცხადება არ შეეძლო. უთქმელად მონანიება ვერ შედგებოდა, მოუნანიებლად კი უფალი არასოდეს აპატიებდა! არსებობდა კი უფალი?.. ესმოდა ბერი ზაქარაიას მწუხარე სულის ძახილი?.. სურვილი წვავდა, ვინმეს მინდობოდა ამ დაუნდობელ ჟამს?.. სწორედ აქ, ბიკენტი თოლორაიას მქრქალად განათებულ კაბინეტში გაუკრთა აზრი, ქაღალდისათვის მიენდო საიდუმლო, სეკრეტერში დამალული ქაღალდისათვის... ამ ფურცლებზე დაწერს იგი მისთვის მისაწვდომ სიმართლეს, ზედ კი, — ჩვეულებრივი მელნით, — საყოველთაო სიცრუეს, ფარად რომ აუფარებია თანაბრად ყველას... გავა დრო, შეიცვლება ჟამი და პალიმფსესტი გაცხადდება, სიცრუის ქვეშ შენიღბული სიმართლე წაიკითხება...

— კარგად მახსოვს ის დღე. რამდენი ვიცინეთ!.. უჰ, რამდენი... — ახლაც იკრიჭება ბიკენტი, ჯანსაღი კბილები მოუჩანს. მართლაც ლამაზი კაცია, თავიც მოსწონს და სხვასაც აწონებს, მაგრამ ბერის ის სძულს საშინელი სიძულვილით... ოღონდაც, სიმართლის გამჟღავნებას ვერ ბედავს, მამის გამწირავი კაცი გმირი ვერ გახდება!

აგერ, ბიკენტისაც ნათლად ხსომებია ის დღე, ბერის გულს რომ ღია ჭრილობად დააჩნდა, მისი ცხოვრების გზა სიცრუის კალაპოტში მოაქცია...

ეს ამბავი უფრო ადრე მოხდა, ვიდრე ქოსა ძღვიბიამ, ბიკენტის მამამ, და ნესტორ თოდუამ მაცხოვრისგორაზე თეთრი ტაძარი ჩამოანგრიეს. კომკავშირის ახლადგამომცხვარი კანდიდატი ბერი ზაქარაია ნალიაში გადამალულ მამას — სოლომონს ხმის ჩახლეჩამდე არწმუნებდა, ღმერთი არ არის, შენ კი წურბელა და მატყუარა ხარ, მოისროლე ეს ჯვარი და ჩვენთან, პროლეტარებთან გადმოდიო. უყურა სოლომონმა ატ-

როყებულ შვილს, უყურა და ისეთი ალიყური აჭამა, ეს მოზვერივით ბიჭი ფეხზე ძლივს გაჩერდა, თვითონ კი სწრაფად, სწრაფად პირჯვარი გადაიწერა, შემინდე, უფალო, შემინდე მე ცოდვილსო! ბერის ცრემლი წასკდა და ანჩხლად მიაყვირა, უფალს კი არა, შენდობა მე მთხოვე, შენს გამო კომკავშირში არ მღებულობენო... გავარდა გარეთ, შეყარა კომუჯრედის წევრები, მიუცვივდნენ სოლომონს, ჩამოათრიეს ნალიიდან და ჯორზე უკუღმა შესვეს... „ნუ მარცხვენ, შვილო!“ — თვალზე ცრემლი მოადგა სოლომონს... გული ჩაუვარდა ბერის, მაგრამ უკვე ვერაფერს გამოასწორებდა და იხტიბარი არ გაიტეხა. ახალგაზრდებმა მხიარული ხორხოცით მისდიეს ჯორს, ქუჩაქუჩა ჩაატარეს, რევკომის წინ დალაქი შეაგებეს. ზორბა კაცი იყო სოლომონი, გაუძალიანდა, მერე დაწყნარდა და მწუხარე ხმით ერთხელაც შეეხვეწა ბერის: „ნუ მარცხვენ, შვილო!“ რაღა დროს! ბერიმ ხელზე იკბინა და ტკივილი ვერ იგრძნო. მთელი ქალაქი გარეთ გამოეფინა. აივანზე ძღვიბი თოლორაია და ნესტორ თოდუა გადმოდგნენ, უყურებდნენ და იცინოდნენ... დალაქმა მაკრატელი მოუმარჯვა, გაატკაცუნა და მღვდლის წვერი მტვერში დაცვივდა. ახალგაზრდები, სასეირო რამ ნახესო, ზედ ბუქნას მოჰყვნენ... სოლომონმა თავი ასწია და რაღაც ჩაიჩურჩულა. გაკრეჭილი მღვდელი მართლაც სასაცილო იყო, თითს უშვერდნენ და ხარხარებდნენ... მხოლოდ ბერი იდგა გამტკნარებული. შვილმა მამის სიტყვები მოისმინა. ღმერთს შესთხოვა სოლომონმა — „უფალო, მიუტევე, რამეთუ უმეცარნი არიან!“ ბერის კი ტვინში თითქოს ვიღაცამ ჩასძახა: „რეგვენო, გეშინოდეს უფლის რისხვისა!“

ამასობაში ჯორი შეაბრუნეს, უკუღმა შემჯდარი, გაკრეჭილი სოლომონი ბულვარზე ხელახლა ჩაასეირნეს, შინ მიაბრძანეს. ჯორი რევკომმა წაიყვანა. კომკავშირლებიც გაიკრიფნენ და ეზოში ორნი დარჩნენ — მამა და შვილი. მხრებჩამოყრილი, დაჩიავებული იდგა ეს აქამდე ახმახი ვაჟკაცი. ბერი ზურგში უყურებდა, მაგრამ მიხვდა, რომ მამა ტიროდა. უნდოდა ფეხებში ჩავარდნოდა, პატიება გამოეთხოვა... ვეღარ გაბედა!

სოლომონი შინ შევიდა, ლოგინში ჩაწვა, კედლისაკენ მიბრუნდა და აქეთკენ პირი აღარ უქნია.

მეორე დღეს მიიღეს კომკავშირში ბერი ზაქარაია. ხმის კანკალით წარმოთქვა ფიცი. უკვე იცოდა, რომ ცრუ ცხოვრებით უნდა ეცხოვრა. სიმართლეს გულში იმარხავდა, იგი სიზმრის ნაწილი უფრო იყო, ცხადში კი ბეჯითი კომკავშირელი, მერე პარტიელი ბერი ზაქარაია ერთგულ ჯარისკაცად ედგა მაღალ მითითებებს.

— მაგრად იეშმაკე შენ მაშინ! — თქვა ბიკენტიმ.

ბერის ნირი შეეცვალა, ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს სიტყვები.

— შენმა პარტიულმა ერთგულებამ გადაარჩინა მამაშენი, თორემ გაკრეჭას ვინ აკმარებდა! — ბიკენტიმ მაგიდას ხელისგული გადაუსვა, თითქოს მღვდლის აჩრდილს შლიდა: — ისე, დიდხანს ვერ იცოცხლა სოლომონმა!

— ჰო, ერთ თვეში მიიცვალა!

— ბრგე ვაჟკაცი მახსოვს! — გაიღიმა ბიკენტიმ. — ასე უცებ რამ დაადნო, კაცო, გასაკვირია!

გაკვირვებული ბიკენტი კი არა, ბერი აღმოჩნდა. ბიკენტის სიტყვებში გულწრფელობა ჟღერდა. ნუთუ ვერ ხვდებოდა, რომ შვილმა მოკლა მამა. ბერი იარაღი აღმოჩნდა, ქოსა ძღვიბიასა და მისთანების იარაღი. იმათ გაისროლეს, ოღონდ შვილის ხელით. იმ დღეს, როცა მთელი ქალაქი მისცემოდა მხიარულებას, იქნებ მრისხანე ღმერთს ეწადა კიდეც დაესაჯა მერეთი, მოესრა სოდომსა და გომორასავით, მაგრამ სოლომონის სიწმინდემ შეაჩერა უფლის მსახვრალი ხელი... ასე ფიქრობდა სამსახოვანი ბერი ზაქარაია, რომლის არსში ერთად შეზავებულიყო იუდას სული, უფლის შიში და კომკავშირული რწმენა... ყოველივე ამას ვერ ხვდებოდა ბიკენტი თოლორაია. არც ის იცოდა შინსახკომის უფროსმა, რომ სეკრეტერის უჯრაში ბერის უდევს ქაღალდის დასტა, რომელიც ახალ პალიმფსესტად გადაიქცევა... „მე მას პარტიულ ამხანაგად და მისთა საქმეთა თანამონაწილედ მივაჩნივარ!“ — გაიფიქრა ბერიმ.

— პალიმფსესტს დროებით შეეშვი! — ბიკენტის რჩევას ბრძანების კილო დაჰკრავდა. — ხომ ხედავ, რანაირი ჟამი

დაგვიდგა. კლასობრივი ბრძოლა მწვავდება, მტერი ყოველი მხრიდან გვიტევს, ნაძირალების ხროვა ყველაფერს კადრულობს. არ დაგიმალავ და პირადად მეც მეცხება ჩირქი. სამშობლოს გამყიდველებმა იქ, კორდონს მიღმა ცილისმწამლებური პასკვილი შეთითხნეს, ძველ ბოლშევიკებს თავზე ლაფს ასხამენ. კარგი იქნება, ღირსეულ პასუხს თუ გავცემთ! აი, ჩვენი ქალაქის, მერეთის უახლესი ისტორია რომ დაგვაწერინა, ჰა... ახალგაზრდები წაიკითხავენ, მტყუანსა და მართალს გაარჩევენ... — ბიკენტი წინ გადმოიხარა, კილოში თხოვნა გაურია, თითქოს ეპირფერებოდა კიდეც: — ხომ იცი, ვისი შვილიცა ვარ, საიდან მოვდივარ! სიმართლის გამრუდებას არავის ვაპატიებ!

ესეც ასე!.. ყველაფერი გაირკვა!.. ხოტბა უნდა შევასხათ ქოსა ძღვიბიასა და მის თანამებრძოლებს!.. თანაც სიმართლეო!.. ვინ იცის სიმართლე?.. სიმართლე თუ ისეთი ლამაზი ვერ აღმოჩნდა, ვინ დართავს ნებას ჭეშმარიტების გაცხადებისა? — ბერი გულუბრყვილოდ ვერ მოტყუვდება...

— მასალა მუზეუმშიც ბევრია ალბათ, — ხმადაბლა დაურთო ბიკენტიმ, — საჭიროების შემთხვევაში, ჩვენს არქივშიც გამუშავებ. ცოცხალი მოწმეებიც ხომ გვყავს ჯერჯერობით, ეგერ ეფრო თოდუა და ცაცანა კვარაცხელია გვეყოფა, მაგალითად...

ბიკენტი თოლორაიას ლამაზ თვალებში ცივი მოლოდინი ჩადგა...

6

ცა უღრუბლოა, მაგრამ მზის მცხუნვარება შენელდა და ჩრდილს არავინ ეძებს.

ცაცანას თავისი ჯორკო მზის გულზე, ტრიფოლიატთან გამოუტანია. თვალი ელულება. ხელი წითელყდიან, სქელ წიგნზე უდევს, შიგ სათვალე გაუკვეხია და საჩვენებელი თითი ჩაუტანებია. გაცრეცილი, ჭრელი ხალათი აცვია, გვიანი შემოდგომის სიმბოლოსა ჰგავს.

ეფროს ჭასთან სარეცხი დაურეცხია, ახლა აღანღალებს, წურავს და ეზოს გარდიგარდმო გაჭიმულ თოკზე აფენს. ხანდახან შორიდან თვალმოჭუტული შეხედავს, შეამოწმებს, წესრიგი თუა დაცული, ზეწარი ზეწართან უნდა ეკიდოს, ბალიშისპირი — ბალიშისპირთან და ასე შემდეგ... ტანზე თალხი აცვია, სატინის შავი მანდილით შეუკრავს ჭაღარა. ეტყობა, მის ბებრულ ძვლებს მზის შესუსტებული სითბო უკვე ვეღარ ათბობს.

— მობრძანდით, ბატონო! — გამოფხიზლდება ცაცანა, წამოდგომა ეზარება და ვითომც ჯორკოს ვეყრდნობიო, ხელიგულს ებჯინება, წინ გადმოიწევა, ოღონდ ამაზე მეტად ღონეს არ ხარჯავს, — მობრძანდით, ამხანაგო ბერი!

— სალამი, თქვენი ჭირიმე! — ეფრო ჩერდება, მერე — ბოდიშით, — ნუ გამიწყრებით, ახლავე საქმეს მოვრჩები!

— გამარჯობა, ძია ბერი! — მართალი ჭიშკრის ჭრიალმა გამოახედა და კიბეზე ჩამორბის.

— ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ! — ხელებს ასავსავებს ბერი, ცაცანას წამოდგომას უშლის. — როგორ გიკითხოთ, ქალბატონო ეფრო! — დედაბერს მოიკითხავს და მართალის მიუბრუნდება: — შენს გაზრდას, ტაბურეტი გამოაყოლე ხელს!

უკვე მერამდენე დღეა ბერი ზაქარაია თოდუების სტუმარია. მოვა, ტაბურეტზე ჩამოჯდება, მუხლზე რვეულს გადაშლის, ფანქარს მოიმარჯვებს და დედაბრებს უსმენს... ყველაფერი აინტერესებს ბერის: რა, როგორ, როდის? მუზეუმის ბიბლიოთეკის ძველი გაზეთებისა და ბროშურების სიტყვებს ნაცრისფერი დასდებია, იქიდან სიცოცხლე გამქრალა... არქივში ჩაყვითლებულ ქაღალდებს გულგრილობა და სისასტიკე ახლავს... დედაბრების გულუბრყვილო ტიტინი კი ისტორიადქცეულ წარსულს ფერებით ავსებს... ბერი ზაქარაია მარცვალმარცვალ კრეფს სიტყვებს და ამით ცდილობს სიმართლის შენობა ააგოს...

„სიმართლე?.. რა არის სიმართლე? — ეჭვი აწვალებს ბერის, — საიდან იწყება ათვლის წერტილი?“

გაზეთის ნაცრისფერი სიტყვები, არქივის საბუთების ყვითელი სიტყვები, დედაბრების ვარდისფერი და შინდისფერი სიტყვები, ბერი ზაქარაიას ხან შავი, ხანაც ლურჯი სიტყვები... რას ნიშნავს „სიტყვები“?

სიტყვები... სიტყვები... სიტყვები... მერეთის ორღობეებში ნიავი დაფაჩუნობდა, თან დაჰქონდა უცნაური, მანამდე გაუგონარი სიტყვები — თავისუფლება... თანასწორობა... ავტონომია... ჩვენ საქართველო ვართ!.. ჩვენ გუბერნია არა ვართ!.. ჩვენ სამშობლო გვაქვს!.. ჩვენ სამშობლო არა გვაქვს!.. ჩვენ პროლეტარები ვართ, ჩვენი სამშობლოა მთელი დედამიწა!.. სიტყვები... სიტყვები, ჩუმ ნიავს ორღობეებში რომ დაჰქონდა, ყოველ ჯარგვალსა და ოდაში აღწევდა, სულს ამღვრევდა, აფორიაქებდა... ხალხი მოედნებსა და ბულვარებში გაჰყავდა... პირველი თავყრილობები... პირველი ტალღა რევოლუციისა... პირველი დემონსტრაციები... გაფიცვები... გიმნაზისტებისა და სემინარისტების ამბოხი... საპოლიციო უბნების რბევა... ტალღა ტალღას აჰყვა, ტალღა ტალღას მიეხალა... ცაცანა ჩაითრია ადამიანთა მორევმა, ეფროც ჩაითრია, ხან აქეთ მიაგდო, ხან — იქით... „აჰ, ბოდიში, ცირა, მგონი ფეხზე დაგაბიჯეთ!“ „უკაცრათ, პატონი!“ „ნამეტანი ხომ არ შეგაწუხეთ, ქალიშვილო?“ „პირიქით, პატონი!“ — ბრბომ ცაცანა გერას მიაჭეჭყა, ეფრო — ნესტორს... ქოსა ძღვიბია ამ დროს ღვინის კასრზე იდგა, ცხელ და მძულვარე სიტყვებს ისროდა: „ძმებო! ჩვენ ჩაგრულნი ვართ! ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს, ბორკილების გარდა! ჩვენი სამშობლოა მთელი დედამიწა, ჩვენი ერია ყველა დაჩაგრული და უპოვარი!.. წინ, ძმებო, დავანგრიოთ ასპიტთა ეს ბუდე!“

ენა უჭრიდა ქოსა ძღვიბიას და მერეთში პირველად მან თქვა სიტყვა, მერეთში წითელი დროშა პირველად გერა კვარაცხელიამ ააფრიალა, მერეთში პირველად ტყვია ნესტორ თოდუამ გაისროლა...

— სამივე კაი ვაჟკაცი იყო! — ცაცანას თვალები გაუბრწყინდა. — ძღვიბი ტანმორჩილი, მაგრამ ვერცხლისწყალივით მოუსვენარი მახსოვს... ნესტორსა და გერას თვალს ვერ ააწვდენდი. ნესტორი ფიცხი, გერა — მშვიდი... გაბრაზებული არ მახსოვს... ჯარობაზე იჭიდავეს, ღონე მოუსინჯეს ერთიმეორეს...

პარასკეობით, ბაზრობაზე, მინდვრის კიდეზე ტაშფანდური იმართებოდა. გოგონები ციდან ვარსკვლავებს წყვეტდნენ, ბიჭები ბედაურებსა ჰგავდნენ... ჭკუაცეტნი ცეკვათამაშით ერთობოდნენ, ღონივრებს საჭიდაოსაკენ მიუწევდათ გული. მძლავრი ტორები გადააჭდეს ნესტორმა და გერამ, იჯაჯგურეს, იბუქნავეს — ვერც ერთმა გადასძალა, ვერც მეორემ. კუტკალიასავით დახტოდა ქოსა ძღვიბია, ხელში წკნელი ეჭირა, მაყურებლებს ფეხებში უჟაპუნებდა. „დაიხიეთ, დაიხიეთ, წრე, წრე!..“ — ქალური ხმით გაჰკიოდა... ცოტათი კოჭლობდა ქოსა ძღვიბია და იმიტომაც დახტოდა, ნაკლი რომ დაემალა...

გოგოებმა, ეს რა დათვები დაბაჯბაჯებენო, კისკისი მორთეს... ცაცანა აჭახჭახდა სხვაზე მეტად; ეფრო ხითხითებდა, ტუჩებზე ხელისგულს იფარებდა, ვარდივით გადაფიჩინდა ჩათა — ქოსა ძღვიბიას რჩეული...

თვალები განგან წაიღო ქოსამ და გოგოებს ჩასჩურჩულა:

— აბა, ძღაბეფი, შენც ეფრო და შენც ცაცანა, გაიქეცით შინ და მშობლებს მოახსენეთ, ხვალ ჩვენს სათხოვნელად გერა და ნესტორი მოვლენთქო!

მერე ჩათას წინ დატრიალდა, მაიმუნივით დაიმანჭა, ააკისკისა და საცეკვაოდ გაიტაცა.

ეფრომ და ცაცანამ ერთმანეთს გადახედეს, გაიბუსნენ, დაფრთხნენ. ასეთი ხუმრობა გაგონილა?

— მეორე დღეს მართლაც მოგვაკითხეს, ძა! — ახლაც გაოცებით იგონებს ცაცანა, — აკი ხუმრობა გვეგონა! ის ღამე ეფროსთან გავათიე და დილამდე ბჭობა გვქონდა, იქნებ არც ხუმრობენ და მოვლენთქო... ისიც ვერ გაგვერჩია, რომელი რომელს გვთხოულობდა. მე უფრო გერა მომწონდა, ეფროს — ნესტორი... ასეც მოხდა!

გერა კვარაცხელია მორცხვი კაცი ყოფილა. ეტლში ხმაგაკმენდილი იჯდა. შინ, საკუთარ ჯარგვალს რომ მიაღწიეს, გაუბედავი ადამიანების ჩვეულებისამებრ, ზედმეტად გაისარჯა, პატარძალს მიწაზე ფეხი არ დააკარებინა, ხელში აიტაცა და ეს თეთრი პეპელა თავის გამჭვარტლულ ჯარგვალში შეიყვანა. ძირს დაშვება ველარ გაბედა და კერიასთან ჯორივით გაჩერდა. ცაცანას სიცილი აუტყდა, ცხვირი კაცის კისერში ჩარგო და მოუღიტინა...

— ეფრობები, შენ ხომ მთლად ფიორა ჩიტივით იქნებოდი? — იკითხა მართალიმ.

უფროსებს გაეცინათ.

— ხელებზე აყვანისა რა მოგახსენოთ, — ეფროს დამჭკნარ ბაგეებზე ღიმილი მიიჭუჭკა, — ნესტორი ისე მიაბიჯებდა, ვერაფრით მივეწიე. არიქა, გამექცევამეთქი და თავი მოვიკალი. ეს ოდა ხომ მაშინ ძირს იდგა, ორსაფეხურიანი კიბეღა ჰქონდა. ნესტორს საფეხურებისათვის ფეხი არ დაუკარებია, დირეს ისე გადაალაჯა, ჯორკოზე ჩამოჯდა, ჩექმები წაიძრო და მიბრძანა: ფეხის წყალი მომირბენინე, შურიგე!

— ტყუი, ტყუი! — ქოქოლა დააყარა ცაცანამ.

— შენ კი სულ სიმართლე ჩამოკაკლე! — უბოროტოდ შეეპასუხა ეფრო.

— ყველანი აქ ვიკრიბებოდით, ეფროსთან! — მოგონებებით გათბა ცაცანა, — გვიან ღამემდე კამათობდნენ კაცები. ძღვიბი თოლორაია ქალივით გაჰკიოდა, მარქსი და მარქსიზმიო, პროლეტარი და პროლეტარიატიო... მაშინ ხომ ახალი სიტყვები იყო, ყური შეჩვეული არა გვქონდა და გვეუცხოებოდა. ნესტორიც ასე იძახდა, მარქსი და პროლეტარიო; გერაც, ოღონდ დინჯად და უფალ ღმერთს დააყოლებდა!.. მიკვირდა, ყველანი ერთსა და იმავეს თუ ლაპარაკობენ, საკამათო რა აქვთმეთქი... წერაკითხვის უცოდინრები ვიყავით მე და ეფრო...

— შენ მაშინაც ჭკუის კოლოფი იყავი! — შეაწია ეფრომ.

— ყველანი ერთად ვიყავით! — ცაცანას ხმას სევდა შეეპარა, ეფროს შენიშვნას წაუყრუა. — თითქოს ვერაფერი გაგვყრიდა. მე მართა მეწვინა აკვანში, ეფროს — ტატაჩი, ჩათას — ბიკენტი!

— ვინ იფიქრებდა, ქალს თუ იშოვიდა! — დააგდო უცებ ეფრომ.

— რატომ? — ცაცანას ეფროს ქილიკი არ მოეწონა. — ჩათას მზე და მთვარე ამოსდიოდა ქმარზე, ოღონდ უხანე ყოფილა ის საცოდავი. ყველას აჯობა ძღვიბი თოლორაიამ ჭკუით, ისეთი ძალა იშოვა, ძღვიბის დაძახებასაც ვერ უბედავდნენ, შინაურები „ბიკენტის მამაო“ იტყოდნენ, შორებლები „ამხანაგო თოლორაიაო!“

— „ბიკენტის მამა“, — ჩაიხითხითა ეფრომ, — საკუთარი სახელი დაკარგა კაცმა.

საშიში ქალი იყო ეს ეფრო, არაფერს ერიდებოდა... ბერი ზაქარაიამ ქალის სიტყვები ვითომც ვერ გაიგო, უბის წიგნაკი დაკეცა და შეინახა...

7

წინა დღეს ბერი ზაქარაიამ ადგილობრივი გაზეთის „მებრძოლი სტალინელის” რედაქციის თხოვნით ორგვერდიანი წერილი გააშანშალა. ასეთ წერილებს ადრეც უკვეთავდნენ ხოლმე. დიდი ტვინის ჭყლეტა ამას არ სჭირდებოდა, რადგან ტრაფარეტულ, მზამზარეულ ფრაზებს თავს მაინც ვერ დააღწევდა. ერთგვარი ზიზღის გრძნობით ასრულებდა დავალებას, რადგან კარგად იცოდა, ამ სიტყვებში ჭეშმარიტების ნატამალიც არსად მოიძიებოდა. ჭეშმარიტება სისხლიანი და სასტიკი იყო. სიმართლის სინათლე სულს განწმენდს ხოლმე, ოღონდ ამის უფლება ბერის არ ჰქონდა და სიცრუის ჭუჭყი სულში ელექებოდა... ამჯერადაც წერილის შინაარსი, ოქტომბრის ოცდამეათე წლისთავს რომ უძღვნა, მერეთელ რევოლუციონერებს ეხებოდა. სამი ვაჟკაცის — გერა კვარაცხელიას, ძღვიბი თოლორაიას და ნესტორ თოდუას თავგადასავლები ოქროს ვარაყში უნდა ჩაესვა, ყოველნაირად შეელამაზებინა, მწიკვლი თუ რამ ეცხო, ჩამოერეცხა... ეს მატყუარა წერილები, თამაშის კანონით შეთხზულნი, ათვლის ცრუ წერტილიდან დანახული სამყაროს ფანტასტიკურ განზომილებას იძლეოდნენ... რატომ ვაკეთებ ამას? — ფიქრობდა ბერი, — ხომ შემიძლია უარი ვთქვა?.. არა მაქვს, ამხანაგებო, წერის ნიჭი და ნურც მიკვეთავთ. სხვაც ბევრია ისეთი, კალამს საითაც გინდათ, გააჭენებს...

ფიქრობდა ასე, მაგრამ იცოდა, ვერასოდეს გაბედავდა ამ სატყვების ხმამაღლა წარმოთქმას.

„რისი უნდა მეშინოდეს მე, ბერი ზაქარაიას?.. რისი ეშინია ადამიანს საერთოდ?.. ვითომ ლაჩარია და იმიტომ?.. უშიშარი

კაცი იყო მამაჩემი, სოლომონ ზაქარაია. ერთი რამისა ეშინოდა მხოლოდ — შერცხვენისა და ამას ვერ ასცდა... შიში ჩვენს სულში იმთავითვე ჩაბუდებულა. თავისუფლება, ალბათ, შიშისაგან განთავისუფლებაა. ამ გაგებით ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ თავისუფალნი. რევოლუციაც იმიტომ მოხდა, თავისუფლება მოგვეპოვებინა, მაგრამ მაუზერის თავისუფლებამ სულის თავისუფლება აკვანშივე ჩაკლა და თავისუფლების წილ დაგვრჩა შიში... უფლის წინაშე დავიფიცებ, რომ სიკვდილისა არ მეშინია. მაშ, რატომ მეშინია, რომ ეს უბრალო, არცთუ უჩვეულო სიტყვები ჩვეულებრივი მელნით ჩვეულებრივ ქაღალდზე ჩავიწერო. ბოლოს და ბოლოს სიკვდილზე უარესი ვის რა დამართნია?“

„მებრძოლი სტალინელისათვის“ დაწერილ წერილს დახედა. სათაური ტრაფარეტულია, სტილი კანცელარული, ქაღალდის ვირთხის დაწერილი. მისწვდა, უნდოდა გადაეფხრიწა, მაგრამ გონს მოეგო, განზე გადადო. დიახ, ხვალ რედაქციაში გაგზავნის, გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდავენ. გვარს არ მოაწერენ, სარედაქციო წერილად გაასაღებენ. კითხვით მაინც არავინ კითხულობს მსგავს წერილებს...

ბერიმ ქაღალდების სულ სხვა დასტა მოსწია. ზედ ლამაზი კალიგრაფიით გამოიყვანა: „რევოლუციის 30 წელი“. ჩაფიქრდა და ჩამოწერა: „1. გერა კვარაცხელია, 2. ძღვიბი თოლორაია, 3. ნესტორ თოდუა“, და კიდევ, ქვევით — „დასაწყისი“.

სანამ ბოლო სიტყვას დაწერდა, პირველი უკვე გაქრა, ბერიკი, ღამეს შეფარებული, თავის ოთახში განმარტოებული, შიშისაგან განთავისუფლებული შეუდგა აღწერას გერა კვარაცხელიას შიშისა... მრავალი წლის შემდეგ მართალი თოდუა ეტყვის ბერი ზაქარაიას: ძია ბერი, ის შიში ჩემშიც ცოცხლობს. დაბადებული არც ვიყავი, უფლის განაწესშიღა ვეწერე, მაგრამ ჩემი მომავალი არსებობის ხაზი ნესტორისა და გერას, ეფროსა და ცაცანას ცხოვრებაზე უნდა გასულიყო, იმთავითვე თანამონაწილე ვიყავი მათი სილაჩრისა და გმირობისა, მარცხისა და გამარჯვებისა...“

* * *

ოქტომბრის იმ დღეს — ეს მოხდა 1906 წელს — გერა კვარაცხელიამ სასახლის ქუჩაზე სიკვდილის ცივი სუნთქვა იგრძნო და სიცოცხლეში პირველად მძიმე გამოცდას ვერ გაუძლო. აზრი თითქოს გამოეთიშა, ძალა ფეხებს მიეცა. იმდენად მოულოდნელი, იმდენად დაუჯერებელი რამ ხდებოდა, მისი სხეული თავისთავად ესწრაფვოდა გადარჩენას... ყველაფერი აირია, ყველაფერი ყირაზე დადგა და გერას მეხსიერებას შერჩა მხოლოდ ფრაგმენტები — გააფთრებული, გიჟური სახეები კაზაკებისა, შიშველი ხმლები, ცხენების ოფლიანი, მოღრეცილი კისრები, გაშლილი ფაფარი და ძუა, ქაფიანი, ყვითელი კბილები... ძირს დაცემული ქალი, ბრბოსაგან გათელილი — ვერავინ იცლიდა ხელის შესაშველებლად... თოფების ჭახაჭუხი და ზრიალი... ზრიალი... ხმაურისაგან თავი უსკდებოდა გერას, შიგ ტვინში გუგუნებდა რაღაც უსაშველო და გაუგებარი... ყურში ისევ და ისევ ჩაესმოდა მჭახე და უხეში — „Шапку долой!“ სროლა, წივილკივილი, გნიასი... გარბოდა გერა და სიკვდილის შიშს ცნობიერებიდან ამოეშანთა ყოველივე დანარჩენი. თავზევით გრძნობდა სისხლიან ხმალს, ზურგში შაშხანის ხიშტი ებჯინებოდა თითქოს, მისთვის გასროლილი ტყვია ეწეოდა და იმასაც გაურბოდა... გარბოდა პროსპექტზე და დავიწყებოდა, რომ არსებობს ეშმაკი, სულის წილ სიცოცხლეს რომ გაჩუქებს, და არსებობს ღმერთი, თავდადების წილ უკვდავებას რომ გაზიარებს... არჩევანის შესაძლებლობა დავიწყებოდა...

„სამხედრო სობორის“ თეთრი კედლები... გიმნაზიის ნაცრისფერი შენობა... გიმნაზიელთა ტალღა, გერა კვარაცხელია რომ შენობაში შეიტანა... კიბე... სართულები... ისევ კიბე... აღმა... დაღმა... იყო უამრავი კარი, მაგრამ დასამალი ადგილი ვერსად იპოვა... ფანჯრებში შუშის მსხვრევის ხმა... ჩექმების ბრაგაბრუგი პარკეტზე, ყმაწვილთა დამფრთხალი თვალები თითქოს ნისლში მიცურავენო და კაზაკები: ლურჯი თვალები, ქერა ულვაშები, სიკვდილის ბანგი, სისხლის ყაყაჩოები... ეგონა გერას, რომ მხოლოდ მას მისდევდა სიკვდილი, მხოლოდ ის აეღო მი-

ზანში... ამიტომაც ვერ გაეგო, რატომ ეყარა ძირს გვამები, რატომ დიოდა სისხლი, გოდებით რატომ იყო ჰაერი სავსე... დერეფანში მოუხვია... კვლავ კიბე!.. ზევით თუ ქვევით, აქეთ თუ იქით?.. საფეხურებზე ჩაირბინა, კარი იპოვა, პატარა საკანი... იქ ჩვრებსა და ცოცხებში ჩაიმალა... ხმაურმა შორს გადაინაცვლა, თითქოს შენელდა, ჩაიხშო... ალბათ ბამბის კედლები ჰქონდა საკანს, ამიტომაც ვერ აღწევდა გარე ხმები, ანდა გერას გულის ბაგაბუგი ფარავდა ყველა დანარჩენ ხმას.

ზის გერა ბნელში, ცდილობს სუნთქვა დაიოკოს, ცდილობს გაქრეს, კედელში გაუჩინარდეს...

ჩქარი და მსუბუქი ფეხის ხმა ისმის, ვიღაცა მორბის, კართან წრიალებს, აღებს, შემოდის, იქვე ჩაცუცქდება, ბავშვურად სლუკუნებს...

უცებ კარი გასკდა, ტალღასავით შემოვარდა ღრიანცელი, ყვირილი, ღმუილი...

— აგერ, აგერ მიმალულა!

და შეშინებული, ტირილიანი ხმა:

— ძია, არ მომკლათ, არ მომკლათ, რა!

გერას შეაცივა... წამოდგა... პარკიდან ჭია რომ გამოძვრება, ისე გამოძვრა თავისი ლაჩარი, უმაქნისი გვამიდან... „უფალო, მომეც ძალა!“ — პირჯვარი გადაიწერა და კუთხიდან გამოაბიჯა.

სირცხვილის გრძნობას შიში გამოეხვეტა. მიხვდა, არაფრად უღირდა სიცოცხლე, მიხვდა, ამ წუთამდე მონა იყო, ამიერ კი — თავისუფალი... იგი სხვა კაცი გახდა, მაგრამ ამ სხვა კაცს თავისი მხრებით უნდა ეზიდა წინა გერა კვარაცხელიას უსაზღვრო დანაშაული.

გამოვიდა გერა სამალავიდან, კარი ფართოდ გააღო, სინათლე შემოუშვა. იქვე, საკნის ზღურბლთან სისხლისაგან დაცლილი გიმნაზიელი ეგდო. ძირს დაეშვა, ცივ შუბლზე ხელისგული დაადო, პირისახეზე ჩამოუშვა, ღიად დარჩენილი თვალები დაუხუჭა.

მაღლა აიხედა და უფალს შესთხოვა:

— ღმერთო, რომელი ხარ ცათა შინა, მიიბარე უმანკო კრავის სული!

ადგა და წამოვიდა. დერეფნებში კვლავ ჩოჩქოლი იდგა. ზედაც არავინ უყურებდა უცხოდ მავალს. ძალაუფლებით მთვრალნი მიეზიდებოდნენ, რისი წაღებაც შეიძლებოდა. ბალიშიდან ამოცვენილი ბუმბული ფარფატებდა ჰაერში, ძირს ეფინებოდა და ნასისხლარს ეკრობოდა.

— Пошел вон! — შეუბღვირა ვიღაცამ და გარეთ უბიძგა.

გოლოვინის პროსპექტი ნაომარ ველსა ჰგავდა.

პროსპექტს მიღმა, „სობორის“ გუმბათზე ჯვარი ბრწყინავდა და მის სხივთა ანარეკლში უფლის ხატება მოელანდა.

— შემინდე, უფალო, ცოდვილს! — ღაღადყო გერა კვარაცხელიამ...

ასე ყვებოდა ამ ამბავს ეფრო, მკაცრად და შეუვალად მოკუმავდა თხელ, დამჭკნარ ბაგეებს, თვალებში აშტერდებოდა მართალის და ბერი ზაქარაიას.

— იცოდეთ, შვილებო, ადამიანი სუსტია, ყველაზე ძალგულოვანი კაციც ვერ ვაჟკაცობს ყოველთვის, ნუ გიკვირთ სხვათა სისუსტე!

ვის გაუკვირდებოდა? ან კაცთა სისუსტე, ან ვაჟკაცური სიქველე!

— ტყუილია, ტყუილია! — ცხარობდა ცაცანა.— ჩემი გერა ორჯერაც არ წასულა თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე რა უნდოდა?... სწორედ მაშინ ააფრიალა მაცხოვრისგორის ტაძრის გუმბათზე წითელი დროშა...

— ეს მაისობაზე იყო, ნახევარი წლის შემდეგ! — შეუსწორა ეფრომ.

— მერეთში სულ პირველად საპირველმაისო ალამი ბაბუა გერამ აღმართა, — თავმომწონედ თქვა მართალიმ, — ნესტორ ბაბუა ეხმარებოდა და ძღვიბი თოლორაიაც!

იმ დროს სამივენი — გერა, ნესტორი და ქოსა ძღვიბია განუყრელი ძმებივით იყვნენ და სწამდათ კიდეც, ჩვენი ძმობა მარადი და ურღვევი იქნებაო.

— ჰე, ბიჭო, გერას კლავენ მგონია! — გადმოსძახა მეზობელმა ქოსა ძღვიბიას.

კლავენო? ქოსა ძღვიბიამ სამალავიდან ჩვარში გახვეული მაუზერი ამოიღო, ტყვიებით დატენა და მაცხოვრისგორისკენ გაიქცა.

— ნესტორ, გესმის, კაცო, გერას კლავენო! — იკივლა ეფრომ.

ნესტორი წუთის წინ მიუჯდა სუფრას წასახემსებლად. ლუკმა უმალ დააგდო და, აბა, თოფიო.

ეფრომ თავისი ხელით გამოურბენინა თოფი და სატყვიაწამლე.

ხიდთან რომ ორი ძირი კაკალი დგას, უტუ თოდუას, მართალიად წოდებულის, დარგული, აი, იქ შეხვდნენ ერთმანეთს ნესტორი და ქოსა ძღვიბია.

— გაიგე?

— ჰო, გავიგე!

კაკლების ჩრდილში მუდამდღე მოქალაქეები იყრიდნენ თავს. ახლაც ბლომად იდგნენ და მუსაიფით ერთობოდნენ. ამათ თვალს რა დაემალებოდა და შეხეთ, მთავრობასთან საომრად მიდიანო, ერთმანეთს გადაუჩურჩულეს.

— ამ გზით გაიარეს? — იკითხა ნესტორმა.

— ჰო, ამ გზით წავიდნენ! — გაუბედავად შეეპასუხა ვიღაცა.

— აბა, თქვენ იცით, ბიჭებო! — მიაძახა მეორემ.

ორიოდე საათით ადრე გერა კვარაცხელიამ წითელი დროშა დაკეცა, უბეში ჩაიდო და ცაცანას დაუბარა:

— მაგ წიგნებს რომ დააცანცარებ, ოსურპატონი, საქმის დროა უკვე!

ქალაქში უჩვეულო არაფერი ხდებოდა იმ დღეს. მერეთელებს არაფერი სმენოდათ მაისობაზე. ეგ იყო, რაღაც ცნობები აღწევდა თბილისიდან, იმპერიის ახლო და შორეული გუბერნიებიდან. მაზრის ხელმძღვანელობამ მანამდე ცქვიტა ყური, სანამ თანამოქალაქენი ძილბურანში ნებივრობდნენ. მაისობის ხსენებაც კი იმპერიის ბალავრის რღვევად მიიჩნია და ქუჩებში ჩაფრები და ცხენოსანი კაზაკები გამოიყვანა. საქმე ამათ არაფერი ჰქონდათ, ჩუმჩუმა ღვინის სარდაფებში ჩაიკარგებოდნენ და მთხლენარევ ღვინოს პირში ისხამდნენ...

მთავრის სასახლესთან რომ კარის ეკლესიაა, იქ შეიარა გერამ, სანთელი დაუნთო გიმნაზიელის უბიწო სულს, ჩუმად ილოცა და ეზოში რომ გამობრუნდა, მზემ თვალებში მოაბარჩხალა, თითქოს ღმერთის მზერას შეეფეთაო, წამით დაბრმავდა.

ხალხმრავალი ბულვარი გადაჭრა, კაკლის ხეებთან ჩაიარა, ნაცნობებს მიესალმა და ჩხერიას ხიდი გადაკვეთა. ამ დროს უკვე ქვის ხიდი იყო ჩხერიაზე გადებული, ორი ურემი ერთმანეთს გვერდს რომ აუვლიდა, ისეთი.

მთისძირი ტყიანი იყო, ჭრელი, შერეული ტყე მიჯრით იდგა. ოღონდ რაც უფრო უახლოვდებოდა გორაკს, მით უფრო დაბლდებოდა, თითქოს მაცხოვრისგორის წინაშე თავს მაღლა ვეღარა სწევსო. ფერდობი დაბალ ტყებუჩქნარს შეემოსა, უფრორე ბზას.

აღმართის დასაწყისს ვიღაც ღვთისნიერს ქვითკირის ცხრა საფეხური ჩაუდუღაბებია მტკიცედ. ვინ იცის, ვინ და როდის მოინდომა მაცხოვრისგორაზე კიბის აყვანა. ალბათ სახსარი არ ეყო, ან ღონე, ან სიცოცხლე... დარჩა ცხრა საფეხური — გერა ყოველ ასვლაზე ითვლიდა — რვა საღი და მეცხრე — ჟამისაგან მორღვეული...

შედგა ფეხი პირველ საფეხურზე გერა კვარაცხელიამ, აიხედა და მეცხრე, მორღვეულ საფეხურზე ყმაწვილი იხილა. გიმნაზისტის ფორმა ეცვა, გაბუტული, დაჭორფლილი, თეთრი პირისახე ჰქონდა, ბავშვურად ნორჩი და გულუბრყვილო გამოხედვა.

„მომდევენ?“ — იკითხა გიმნაზიელმა.

გერამ იცნო ყმაწვილი, სირცხვილი შეუბრუნდა, შეახურა.

„მაპატიე, შევრცხვი ყაძახი! — შესთხოვა, — შიშმა წამართვა ღონე, ვეღარ გიშველე!“

„ყოველივე ღვთის ნებაა!“ — ყმაწვილმა მარჯვენა შემართა და გერამ თვალს არ დაუჯერა — გიმნაზიელის ხელში ის წითელი დროშა აფრიალდა, აქამდე უბეში რომ ეგულებოდა.

„სასწაულია პირდაპირ!“ — გაიფიქრა.

გიმნაზიელი შებრუნდა, ნაბილიკარს აჰყვა. ისე მიაბიჯებდა, მიწას ფეხს არ აკარებსო, წითელი დროშა მაღლა ეჭირა, თავზევით მიაფრიალებდა.

გერა მიედევნა. ციცაბოზე ფეხის მოკიდება უჭირდა, ხანდახან ბზის ტოტს შეავლებდა ხელს და ეს უადვილებდა გზას.

მზემ დროშას სხივები მიაფინა, ააგიზგიზა, ცეცხლი წაუკიდა.

„ეს რა ხდება? — ფიქრობდა გერა, — ბიჭი ხომ კაზაკებმა მოკლეს! ჩემი თვალით დავინახე, აი, ამ ხელით დავუხუჭე თვალები!“

პირჯვარი გადაიწერა კაცმა, ხვდებოდა, რომ საშიშ გზას შესდგომოდა, მაგრამ მზად იყო თავგანწირვისათვის, ოღონდ მძიმე ცოდვა გამოესყიდა.

ნახევარი გზა გავლილი ჰქონდა, როდესაც მოიხედა. ჩხერიის ხიდს გამოღმა, ორღობეში, მხედრები შედგნენ. აქეთკენ იყურებოდნენ, ალბათ ცდილობდნენ გაერკვიათ, ასე წითლად რა ღვიოდა მაცხოვრისგორის მწვანე ფერდობზე. მერე ცხენები დაძრეს და გამოეშურნენ.

„იყოს, უფალო, ნება შენი!“

გიმნაზიელი საკმაოდ შორს წასულიყო. კაცი ძლივს ხედავდა ლურჯი ცის ფონზე, თითქოს ღვთის ანგელოზი მიაფარფატებდა წითელ დროშას.

კვლავ მისდია გერამ, მუხლჩაუხრელად იარა მაღლა და მაღლა, დაიღალა, სუნთქვა მოუხშირდა.

მხედრები პირველ საფეხურთან ჩამოქვეითდნენ. სამნი იყვნენ, შაშხანები ეჭირათ. გერას კი არავინ იცავდა, უფლისა და წინ გაჭრილი ყმაწვილის გარდა. ოღონდ შიში არ აწუხებდა კარგა ხანია, შიშისაგან სამუდამოდ განთავისუფლდა.

მდევრებს გაუჭირდათ, აღმართი იოლი დასაძლევი როდი იყო. „ეჰეი!“ — ატეხეს სტვენაყიჟინა, მუქარის სიტყვები გაურიეს. გერამ ყური არ ათხოვა, იმათთვის არ ეცალა, რადგან უსმენდა საკუთარ აჩქარებულ გულისცემას, ხშირ სუნთქვას, დაღლილ სხეულს და ჯიუტ სულს, ამ სხეულზე რომ მბრძანებლობდა.

გაიტკაცუნა, თითქოს კენჭი გასკდაო... მეორეჯერაც გაიტკაცუნა, ტოტი მოსხიპა, ბზას წვრილი ფოთლები დასცვივდა.

„მესვრიან!“ — აუღელვებლად გაიფიქრა. კიდევ ცოტაც და ტყვია ვერ მისწვდებოდა.

გიმნაზიელი უკვე ფერდობის თავზე იდგა. წითელ დროშას მზეზე აფრიალებდა და ალამი ცეცხლივით გიზგიზებდა.

„აჩქარდი, მდევარი მოგეწევა!“ — თითქოს მოუხმო.

აჩქარდა გერა, ღონე დალეოდა, გული აღარ უჩერდებოდა საგულეში.

ნაბიჯიც და მაცხოვრისგორის თავზე აღმოჩნდა. ყმაწვილი გამქრალიყო, გერა კი მომცრო გალავანთან იდგა.

„გმადლობთ, უფალო!“

გალავანზე გადაძვრა, ეზოში ჩახტა. გედივით ყელმოღერებული იდგა მაცხოვრის ტაძარი. ზე ასვეტილ გუმბათს მაღლა აეტყორცნა ოქროს ჯვარი.

მუხლებზე დაეცა გერა კვარაცხელია, მიწას შუბლით შეეხო, წითელი ალამი გულში ჩაიხუტა.

— უფალო იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღვთისა ცხოველისაო, შემიწყალე მე უღირსი ესე მონა შენი!

ისმინა თითქოს უფალმა, სუნთქვა დაუოკა, ღონე მოუბრუნა.

წამოდგა გერა, პირჯვრისწერითა და ლოცვის ბუტბუტით შემოუარა ტაძარს, ეზოში ტოტებგაშლილ კაკლის ხეზე გავიდა, იქიდან ნავზე გადაცოცდა, გუმბათიდან ჩამოკიდებულ ჯაჭვს მისწვდა, აჰყვა და წმინდა ჯვრის გვერდით წითელი ალამი აღმართა...

ის იყო, მდევარი მოეწია, მაგრამ მდევარს ზურგიდან ნესტორ თოდუა და ძღვიბი თოლორაია მოადგნენ, სულზე მოუსწრეს.

— ჰე, ჰე, ნუ ხუმრობთ, ბიჭებო! — შეუძახა ძღვიბი თოლორაიამ.

მთელი ის დღე — დღე პირველი მაისისა — მაცხოვრისგორის თავზე ფრიალებდა წითელი დროშა და ბრწყინავდა ქრისტეს წმინდა ჯვარი...

8

„წარსული მუდამ ჩვენს გვერდითაა. ადამიანთა მოდგმის ცხოვრება უწყვეტი ჯაჭვია, იგი დროის მდინარებას წამითაც ვერ გადაახტება, მაგრამ ქრონომეტრიმეხსიერება ყოველივეს თანაბრად ვეღარ აღნუსხავს. მარადისობის სათვალავში გარდასული ჟამი პუნქტირივითაა მონიშნული... ვის უნდა დავყრდნობოდი სიმართლის ძიებაში? რანაირად უნდა გამეცოცხლებინა გერასა და ნესტორის, ქოსა ძღვიბიას თავგადასავლები. ისინი ორი დედაბრის — ეფროსა და ცაცანას მეხსიერებაში განაგრძობდნენ არსებობას. ჩემს მოგონებებში კი უფერული აჩრდილებივით გაიცრიცნენ. ყველაზე რეალური ხატი მუზეუმის კედლებზე ჩამოკიდებული ფოტოებია. თუმცა ესენი ხომ წამიერი სინამდვილის მხოლოდ და მხოლოდ ასლებია. სიყვითლეგადაკრული, გაუფერულებული ფოტოები ლეგენდებს აცოცხლებენ... ჩვენ ისტორია არა გვაქვს, ჩვენი წარსული ლეგენდების კრებულია...

მაშინ, პირველი ამბოხის დროს ტყვიას გადაურჩა გერა კვარაცხელია, ტყვიას გადაურჩნენ ნესტორ თოდუა და ძღვიბი თოლორაიაც. ტყვიას კი გადაურჩნენ, მაგრამ სუსხი სასჯელისა სამივეს შეეხო, ამოგლიჯა მერეთის გამოზომილი ცხოვრებიდან, უფრორე კი — ძღვიბი თოლორაია...

* * *

ქოსა ძღვიბიას ჩექმებით შესდგნენ საპოლიციო უბანში, მერე ხელფეხშეკრული დააგდეს ურემზე და ქუთაისის საგუბერნიო ციხის კარამდე სულ ცემატყეპით მიაცილეს. ალბათ თვალში ეპატარავებოდათ. მისი უწვერულვაშო, ბავშვური პირისახე დაუცველობის შთაბეჭდილებას აძლიერებდა და ყოველ ვიგინდარას ხელი სილის გასალაწუნებლად გაურბოდა — ამანაც თავი როგორ წამოყო, ამ ნეხვის ჭიამ რანაირად

გაბედაო, ერთი დამიხედეთ, ესეც რევოლუციას აპირებსო. კაცად არავის ჩაუთვლია ქოსა ძღვიბია, ჩვრად მოეჩვენათ და ზედ ფეხებს აწმენდნენ. აქეთ ქურდებმა გაფცქვნეს, იქით პოლიტიკურნიც ალმაცერად უყურებდნენ, აქაოდა ყველა დაჩაგრულის მხარეს კი ვართ, მაგრამ ეს საცოდავი იმდენად დაჩაგრულია, ჩვენს საქმეებში რომ გავრიოთ, სახელი გაგვიტყდებაო.

ციმბირის გზას რომ გაუყენეს, ძღვიბის სასო წარეკვეთა. აქამდე თუ სულში პროტესტი უღვიოდა, თავისთვის მაინც იქადნებოდა, მოიცათ, ჩემი დროც მოვაო, ახლა მიხვდა, მისი დრო არც ისე ახლო იყო, ჯერჯერობით მავანთა და მავანთა ჟამი იდგა და მისი გულის სკდომა და ნაღვლის გასიება არავის აწუხებდა.

„სტოლიპინის“ ვაგონში ტევა არ იყო და ქოსა ძღვიბია შიგ რომ შეტენეს, კუპეში თექვსმეტი თავზეხელაღებული პატიმარი ისე ეწყო, როგორც ქაშაყი კასრში — ჰაერი არ ყოფნიდათ, ოფლად იწურებოდნენ.

— ეს ლამაზი საიდან დაგვიხატეს, ამისი დედა ასე და ისე! — ბრაზით დაიბუბუნა ბაყბაყდევმა, ხალვათად რომ იჯდა ქვედა მერხზე, ორთავ მხარეს ვინც ესხდნენ, ერთიერთმანეთზე მიეჭყლიტა, წინა მერხის პატრონები თვალებში პირფერულად შესციცინებდნენ, ზედა ფიცარნაგზე წამოწილილნი კი, გვერდის მონაცვლება რომ უჭირდათ, ხანდახან თავს გადმოჰყოფდნენ და ოფლის წინწკლებს გადმოასხურებდნენ...

— ეს ჯღანი გვაკლდა ახლა! — ვერ მშვიდდებოდა ბაყბაყდევი და საცრისოდენა თვალებით ხვრეტდა ქოსა ძღვიბიას, რომელიც ზურგით გისოსზე მიჭეჭყილიყო და ჯერაც არ იცოდა, ბედი რას უმზადებდა.

ბაყბაყდევი წინ გადმოიხარა, თითი ატაკა (თითი ხომ ქოსას მაჯის სიმსხო მაინც ექნებოდა), იკითხა:

— ვინა ხარ და რას წარმოადგენ?

ძღვიბიმ ხმას რიხი შესძინა:

— პოლიტპატიმარი თოლორაია!

— ჩვარი ხარ, შენ, პოლიტპატიმარო თოლორაია! — დაასკვნა ბაყბაყდევმა.

— როგორ გეკადრებათ... — წამოიწყო ძღვიბიმ, მაგრამ შარიანმა კაცმა ყური არ ათხოვა მის პროტესტს, აქეთ ჩააჯინდა:

— სიცოცხლე გიყვარს, პოლიტპატიმარო თოლორაია?

ძღვიბის გულმუცელი აემღვრა. შეეცადა შიში არ დაემჩნია და ვითომც უდარდელადო, ისე თქვა:

— სიცოცხლე ვის არ უყვარს!

— ჰოდა, ჩაჯექი ძირს!

ძღვიბის მუხლები თავისთავად მოუდუნდა, სადაც იდგა, იქვე დაეშვა. მიხვდა, მორჩილების ფასად უნდა ეყიდა სიცოცხლე...

ბაყბაყდევმა ბათინკებიდან ფეხები ამოიღო, გამოუწოდა და კატასავით მოურბილა:

— პოლიტპატიმარო თოლორაია, სახვევი შემხსენი!

სახვევი ოფლის სუნით ყარდა, მაგრამ სხვა რა ჩარა იყო, ძღვიბიმ შეუხსნა, თან ხითხითებდა, ვითომცდა მესმის ხუმრობის ფასიო, ფიქრში კი თავის დამამცირებელს ბარე ხუთჯერ გაუყარა დანა მუცელში.

ბაყბაყდევმა ფართოდ გაუღიმა. პირისახე ნიჩაბს მიუგავდა და მისი ღიმილი შემზარავი იყო.

— ჩემი მოკვლა ინატრე, არა?! — ფეხები მუხლებზე დაუწყო ქოსას და თითქმის მეგობრულად უთხრა: — ფეხისგულებზე მომფხანე, გუნებაში კი, რაც გინდა, ის იფიქრე, ჩემთვის სულ ერთია!

ძღვიბიმ ფეხისგულზე მოფხანა და მწარედ გაიფიქრა: „შე საცოდავო, შე მართლაც ქოსავ! ამოდენა იმპერიას უჯანყდები და აგერ, ამ პირუტყვმა დაგიმორჩილა!.. არაფერია! — უმალ შეეპასუხა მეორე ძღვიბი, „პოლიტპატიმარ თოლორაიად“ წოდებული, — მოვა ჩემი დროც, ჩაგრული აღსდგება!“

დერეფანში ჯარისკაცმა გაიარა, გისოსებში შემოიხედა. თვალი ზანტად მოაშორა და მოწყენით წაიდუდღუნა:

— არ იშლი შენსას, ჩორნა, ხომ?

„ჩორნა! — გაიფიქრა ქოსამ, — მოიცა, მოიცა, ჩემგან მოგელის შავი ბედი!“

მატარებლის კივილმა დაარღვია კუნაპეტი ღამე. ბორბლებმა დაგადუგით გადაიარეს ხიდზე, ვაგონი ირწეოდა. ქოსა ძღვიბია ჩორნას ფეხისგულებს ფხანდა, თან დაღლილმისავათებულს თვლემა ერეოდა.

— მაგარი რევოლუციონერი იყო პოლიტპატიმარი თოლორაია! — ამაყად ჩაურთო ცაცანამ. — ვაგონში რომ შეჰყავდათ, პერონზე მთელი ჯარი იდგა, თავზე არავინ დაგვეცეს და ტყვე არ წაგვართვასო. კუპეში მაჯისსიმსხო ჯაჭვით დააბეს, აქეთიქით შაშხანიანი სალდათები ამოუყენეს... აბა, ჩასძინებოდათ, ისე გაქრებოდა, ჩიტი გაფრენილაო...

საკუთარ ხვედრს ვერსად გაუფრინდა ძღვიბი თოლორაია. მატარებელმა გადაიარა სათათრეთი და ვლადიკავკავი, ვოლგისპირეთი და ურალი. დიდხანს მიხოხავდა აღმოსავლეთის ვრცელ ტრამალებზე. დაბოლოს, მიაღწია ტაიგის მხარეს. ამასობაში ჩამოთოვა და ციმბირული ყინვები დაიჭირა.

ძლივს გადაიტანა ძღვიბიმ ის ყინვები. თოხისა და ენის მოქავების მეტი არაფერი ეხერხებოდა, მაგრამ რად გინდა, თოვლში სიმინდს არავინ თესავს, ვერც თავისი საყველპურიო რუსულით გადარევდა ქვეყანას... ერთ მიყრუებულ ქალაქში დააგდეს და უბრძანეს, აქ იარსებე და გაქცევა არ გაბედოვო. რითი ეარსება?.. დადიოდა კარდაკარ ხელებგაწვდილი. მისი უწვერული სახე დაჭმუჭნილ ჩექმის ყელს დაემსგავსა, დამზრალი ფეხებით საგრძნობლად კოჭლობდა, ხმით ხომ კატასავით კნაოდა: „პოდაიტე, ხრისტა რადი, ბოჟიემუ ჩელოვეკუ!“ გუნებაში კი ბოღმისაგან გასიებული ღმერთს ტახტს აცლიდა და ქვეყნის დამხობას ნატრობდა... კარტოფილის ნაფცქვენითა და კომბოსტოს მწნილით გადაიტანა მკაცრი ზამთარი... ზაფხულში ეს დიდი ქვეყანა მწვანე ფერით დამშვენდა. ოღონდ ძღვიბის ერთი წვალება მეორეთი შეეცვალა — კოღო და ქინქლი აცლიდა სიქას... კბილები რომ ერთმანეთის მიყოლებით დასძვრა, საბოლოოდ მიხვდა, ვიღუპებიო, და გაქცევა სცადა. ასი კილომეტრით გაშორდა მისჯილ ქალაქს, როცა ხელი სტაცეს და ასი როზგი დაჰკრეს...

— ხუთჯერ გაიქცა პოლიტპატიმარი თოლორაია, — ყვება ცაცანა, თან თითებზე ითვლის, ერთხელ მატარებლითო, ერ-

თხელ დროგითო, ერთხელ ირმის მარხილითო, ცხენითო, ძაღლის მარხილითო, თხილამურებითო... ჩერდება, ხვდება, რომ ანგარიში შეეშალა და თავიდან იწყებს ჩამოთვლას.

ეს იყო ლეგენდა, ზღაპარი... სინამდვილეში რას აკეთებდა ათ წელზე მეტ ხანს ძღვიბი თოლორაია?.. რა ისეთი დანაშაული ჰქონდა, ამდენ ხანს რომ ვერ მოინანია?.. ალბათ დანაშაულს დანაშაული წაამატა... ის ათი წელი ბნელითაა მოცული და ცაცანას მოყოლილ ზღაპარს თუ არაფრად ჩავთვლით, სამუდამოდ წაშლილია კაცთა მეხსიერებიდან...

თვით ძღვიბის სიტყვებიდან ჩაწერილი ამბები უკვე რევოლუციის გარიჟრაჟს ეხება. ტყუილმართალის დადგენა ისევ ძღვიბისა და მისი მეხოტბეების სინდისზე იყოს!

უკანასკნელად სცადა ქოსა ძღვიბიამ გაქცევა. მოწყენილობამ გული დაუხრა, სიგიჟე მოერია და გზას თოვლში დაადგა. მგლის ხროვა აეკიდა კვალზე. მონადირის სახლი რომ არა, ვერაფერი გადაარჩენდა. ფაფუკი თოვლი იდო, წელამდე ეფლობოდა და ძლივს მიარღვევდა... თალხი, გაცრეცილი ცა დაბლა ჩამოწოლილიყო. თეთრად შესუდრული წიწვნარი ფერებს უსიხარულოდ ამუქებდა. სულიერი არსად ჭაჭანებდა და ძღვიბიმ შიშისა და დაღლილობისაგან ზმუილი მორთო. ცრემლი ღაწვზე ეყინებოდა. ხელთათმანს რომ ჩამოისვამდა, კანი ეფხაჭნებოდა. ტირილი ღონეს აცლიდა, მხნეობას უკარგავდა, მაგრამ თავის შეკავება აღარ შეეძლო. მგელი მაშინ ნახა და ძაღლი ეგონა. გზაზე ჩაცუცქულიყო და აზრიანი თვალებით შემოხედა, თითქოს ეუბნებოდა, ტყუილუბრალოდ რას წვალობ, ადამიანო, ვიცი, მალე თოვლში ჩაწვები და ჩემი კერძი გახდებიო. „ვავაი!“ — შეჰბღავლა ძღვიბიმ. მგელს თითქოს გაუკვირდა ეს უცნაური ხავილი, უკან გადახტა, ჯუჯა ნაძვს ამოეფარა... მიხვდა ძღვიბი, ტყე სავსე იყო მგლებით. ყოველი ხის ძირიდან უმზერდნენ მოთმინებით და ელოდნენ, როდის შეღამდებოდა, როდის დაუსხლტებოდა ფეხი, როდის ჩაემხობოდა თოვლში და დაადასტურებდა თავის უსუსურობას... შიშმა აამჩატა, ღონე მოემატა... შორიახლო შეჰყმუვლა მგელმა, მოშორებით ბანი მისცა ხროვამ... „ვავაი, ჩქიმი ცოდა!“ — მიიჩქაროდა და მიბღაოდა ძღვიბი. ამ სასოწარკვეთილი ბღავილით სიცოცხლის წამებს იხანგრძლივებდა, რადგან არაადამიანური, უცნაური ბგერები ხროვას აფრთხობდა... და უცებ რეტიანივით გაჩერდა... პირდაპირ, ჩანამქრული ბილიკის ბოლოს, ფიჭვნარში ჯარგვალი ჩაყურსულიყო შავად და ქოსას ელოდა... „ვავაი, ჩქიმი ცოდა!“ — უკვე სიხარულით შეჰღრიალა ძღვიბიმ და კარს მიაწვა, მძიმედ, ჭრიალით შეაღო და ბნელში შეაბიჯა. ზღურბლთანვე იატაკზე დაეშვა და კარგა ხანს იზლუქუნა, თვითონაც არ ესმოდა წუხილისაგან თუ სიხარულისაგან...

გონს რომ მოეგო, მაშინღა მიმოიხედა. მონადირის ქოხი აღმოჩნდა. ღუმელი... კოხტად დაწყობილი შეშა... კვესი და აბედი... გამხმარი ორცხობილა, შებოლილი ლორის ნაჭერი და ერთი ბოთლი არაყი... გამეხებული გული ვეღარ მოულბო ღვთის საჩუქარმა, ორად ორი კბილით ლოღნიდა ლორს და უმისამართოდ იმუქრებოდა — „მაცადეთ, გაზღვევინებთ სამაგიეროს!“ ტაიგაში კი განბილებული ხროვა ყმუოდა, უსასოოდ მოთქვამდა ბედის სამდურავს.

— ზურგზე რომ მგელი მოახტა, პოლიტპატიმარმა თოლორაიამ ქეჩოში ხელი სტაცა, გადმოიღო და ძირს დააბერტყა, — ცაცანამ თავისი უღონო, მაგრამ ფუმფულა ხელები ისე მოიქნია, თითქოს ზურგიდან ნადირის გადმოღებას აპირებდა, — აქ მეორემ ისკუპა, ძღვიბიმ ჭიტლაყი ამოკრა და ამოატრიალა... დაავლო კომბალს ხელი, დრუზა და დრუზა... — ცაცანას ქოშინი აუტყდა, სული ძლივს მოითქვა.

— ნეტავი შენ, ბავშვივით რომ აცეტდები! — ჩაიბუზღუნა ეფრომ.

გაზაფხულამდე დარჩა მონადირის ქოხში. საკვებს ახლო ტყეში პოულობდა. ხან ციყვის მარაგს გაანიავებდა, ხან არყის ქერქს ხარშავდა და ღეჭავდა... ყოველივე დავიწყებოდა. ერთადერთი სურვილი შერჩენოდა, როგორმე კუჭი ამოევსო... თოვლი სწრაფად დადნა, ნორჩ, მწარე ყლორტებს იტენიდა პირში... სოროებიდან მინდვრის თაგვებმა ამოყვეს თავი და ხაფანგი დაუგო...

მონადირეებმა ტყის საფრთხობელა რომ დაინახეს, შიშისაგან კინაღამ ტყვია დაახალეს. ამ არსებაში ძლივს ამოიცნეს ადამიანი. ქოსა სიხარულისაგან ახითხითდა. საზარელი იყო მისი დაჭმული ღოჯების ყურება... მთელი გზა ტაიგის სოფლამდე ისე მიხითხითებდა. „რას იცინი, რომ იცინი, ორი კბილი შეგრჩა და ისიც ამოგვარდება!“ — შეუღრინა ბოქაულმა, სოფლიდან ქალაქს რომ მიაბრძანა, იძულებული გახდა ორღობეში ტალახი ეზილა და ამის გამო ბოღმა კლავდა.

ციდან უსიამოვნო ჟინჟღლი ეშვებოდა უსახურ, დაბალ ჯარგვალებზე, ტალახიან, ფიცრულ ღობეებზე. ამ გაუხარელმა სურათმა და ამინდმა ძღვიბის სული სევდით ააკვნესა. თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ამ ნაცრისფერში, ნესტსა და სიცივეში უნდა ეტარებინა და ამის გაფიქრება გაუსაძლის ტკივილსა გვრიდა.

ტარანტასი გაჩერდა. სავარძელში კოხტა, შუახნის ოფიცერი და ლამაზი მანდილოსანი ისხდნენ. ძღვიბის ამათ დანახვაზე შეაძაგძაგა. რამდენი წელია, ლამაზად ჩაცმული, სუფთა ქალი არ ენახა. დავიწყებოდა, რომ ისიც კაცი იყო, ადრე კაცებში ერია, ჰქონდა სამშობლო, ჰქონდა სახლი და კარი, საჭმელიც მოეპოვებოდა და სასმელიც, იბანდა კიდეც და გარეცხილიც ეცვა. მის ცოლს ჩათას მზეთუნახავი არ ეთქმოდა, მაგრამ ქალს ხომ მაინც ჰგავდა, შვილი ბიკენტი აკვანში ეწვინა — ქოსას ეგონა, ახლაც აკვანში წევს და ღუღუნებსო... ყველაფერი ახლა მოაგონდა ძღვიბის და შერცხვა.

ოფიცერმა უცხოურად გადაულაპარაკა ქალს. „რა საშინელებაა!“ — თქვა ქალმა და ბაგე აუთრთოლდა, ალბათ სიბრალულის გამო. ოფიცერმა თითით მოიხმო ბოქაული: „ძმობილო, ვინ არის ეს კაცი?“ „პოლიტპატიმარია, თქვენო კეთილშობილებავ!“ „ძმობილო, ნუთუ არ გაგიგონია, რომ მეფე ტახტიდან გადააყენეს და პოლიტიკურები გაათავისუფლეს? გაუშვი, წავიდეს!“ ტარანტასი დაიძრა, ოფიცერმა მოიხედა და მონეტა გადმოაგდო. მონეტა ძღვიბის ფერხთით ჩავარდა. ქოსამ აიღო, მანეთიანი იყო, ნიკოლოზისა. დააცქერდა, დააცქერდა და უცებ გიჟივით ახარხარდა... მოაღო თავისი ჩაშავებული, უკბილო პირი და ხარხარებდა, ხარხარებდა...

ნირწამხდარი ბოქაული სარგადაყლაპულივით იდგა და გონს ვერ მოსულიყო.

— უჰ, შენი! — შეუბღვირა ძღვიბიმ და პანღური ამოჰკრა.

— ეე, რას შვები, რას შვები!.. — დაბნეულად ჩაიბურტყუნა ბოქაულმა და დედლურად მოუსვა.

— ძღვიბი თოლორაია ირმის მარხილით შეიჭრა ქალაქში, წელგამართული იდგა, თმა ლომის ფაფარს მიუგავდა! — ცაცანა ცდილობს წელში გაიმართოს, მაგრამ ქარისაგან ზურგატკიებულს კრუსუნი წასცდება. — დაინახა გუბერნატორის ცოლმა, ლამაზმა კნეინამ და ამოიოხრა: „აჰ, ჩტო ზა კრასავეც! მითხარით, გეთაყვა, რას ნიშნავს კოსა დზგვიბია?“ ძღვიბიმ მკერდი ბორბალივით გამოისროლა და ეშმაკურად უთარგმნა: „ეს, გენაცვალე, უმშვენიერეს ვაჟკაცს ნიშნავს!“ „აჰ, — აღფრთოვანდა გუბერნატორის ცოლი, — შენ ნასტაიაში კოსა დზგვიბია ხარ!“

— ოჰ, ოჰ, ღმერთი დაგსჯის მაგეთი ტყუილებისათვის! — გაეცინა ეფროს.

— ტყუილი რატომ იქნება, ბები, — ჩაერთო მართალი, — მუზეუმში, მეორე სართულზე ნახატი ჰკიდია — „პოლიტპატიმარი თოლორაია და გუბერნატორის ქალი“, აი...

— ჟამი შეიცვალა, — თავი ურწმუნოდ გააქნია ეფრომ, — კოჭლი თხა წინ აღმოჩნდა!

დიახ, ჟამი შეიცვალა!

— ჰეი! — შეუძახა ქოსა ძღვიბიამ.

აივანზე იჯდა, ფეხი ფეხზე შემოედო.

სახლის კუწუბზე წითელი დროშა ფრიალებდა. მოაჯირზე ორი „მაქსიმკა“ გადმოედგათ. ეზოში წითელრაზმელები მიმოდიოდნენ, ისვენებდნენ, ცხენებს არწყულებდნენ, იარაღს აჩხაკუნებდნენ, კამათობდნენ, ღიღინებდნენ, ყაყანებდნენ...

ძღვიბის ტანზე ეცვა წითლად მოსირმული კავკასიური ჩოხა, ფეხებზე — თექის ჩექმები, თავზე ბოხოხი ეხურა... შავად დაჭმუჭნილი მისი პირისახე ეშმაკს გზიდან მოაბრუნებდა. წვრილი, ცივი თვალები უხსენებელივით უბზინავდა.

ალაყაფის კართან ბაყბაყდევი იდგა. მთელი თავით მაღალი ჩანდა ორ რაზმელზე, აქეთიქიდან რომ ამოსდგომოდნენ შაშ-

ხნებით. ბაყბაყდევს ხელები უკან შემოეწყო, კისერი დაეძაგრა. მკლავები რომ გაეშალა, ალბათ მთელ ეზოს იფრენდა, მაგრამ ტყვია ძალოვანსა და სუსტს ერთნაირად პოულობს.

ძღვიბიმ თითით მოიხმო.

რაზმელებმა ზურგზე ხიშტი მიაბჯინეს. კაცი დაიძრა, ეზო გადაჭრა. აივანს სულ ხუთი საფეხური ჰქონდა და ისე ამოალაჯა, ძირს არ დაუხედავს.

თავდახრილი გაჩერდა ქოსას წინ.

— გამარჯობა, ჩორნა! — შეპარვით, ალერსით დაიკრუტუნა ძღვიბიმ.

გიგანტი შეკრთა, თვალებში ძრწოლა ჩაუდგა.

— ვეღარ მიცანი, ჩორნა!.. — ხმა კვლავ ალერსიანი და აუღელვებელი ჰქონდა ქოსას. — იქნებ მაშინ მიცნო, შე კონტრა, კედელთან რომ მიგაყენებ, ჰა!

ჩორნას ყბა აუკანკალდა.

— რა გეგონა, შე შობელძაღლო, ჩემი დრო არ მოვიდოდა, ჰა?

ჩორნამ რაღაცის თქმა მოინდომა, მაგრამ პირიდან ხმა არ ამოსდიოდა.

უყურა, უყურა ქოსამ უხსენებელის თვალებით და უცებ დასჭექა:

— ჩაჯექი მძღ...ო!

ჩორნა მოცელილივით ჩაჯდა.

ძღვიბიმ კი, ისევ ალერსიანად, შემპარავად —

— გამხადე ჩექმები, ჩორნა! — და ფეხები გაუწოდა.

ჩორნა გამოჩოჩდა, ძღვიბის ფეხები ჩაიხუტა და თექის ჩექმები სათითაოდ წააძრო.

— სახვევი შემხსენი! შენსავით აყროლებული კი არ მაცვია, დროზე ვარეცხინებ!

დევკაცმა სახვევი ნაზად შეხსნა, ვითომცდა ვცდილობ, რამენაირად არ გატკინოო.

აივანს რაზმელები შემოერტყნენ, ზოგი გაოცებით, ზოგი ჩუმი სიცილით უყურებდნენ სეირს.

— ფეხისგულებზე მომფხანე, ჩორნა!

ბაყბაყდევმა თავისი უზარმაზარი თათებით ფეხისგულებზე მოფხანა. ქოსა ნეტარებით ახითხითდა.

— რა კაი ფხანა გცოდნია, ჩემო ჩორნა! — მოულოდნელად ფეხები გამოსტაცა, სახვევი კოხტად შემოიხვია, თექის ჩექმები წამოიცვა და უბრძანა: — ადექი, ბოთევ!

წამოდგა დევკაცი, შიშისაგან ბავშვივით ჩაისლუკუნა.

— ნამდვილი სახელი რა გქვია?

— ივანე!

— ღირსი ხარ კედელთან მიგაყენო, როგორც ბურჟუაზიის ნასუფრალით გასქელებული და თვითონაც კონტრა, მაგრამ გადავწყვიტე აღგზარდო პროლეტარიატის ინტერესებისათვის... დღეის იქით ჩემი „ოხრანა“ იქნები!.. აგერ, შენ ბრაუნინგი!

ძღვიბიმ ბრაუნინგი გამოიძრო, ხელში შეათამაშა და გადმოუგდო.

ჩორნამ ჰაერშივე დაიჭირა, პირფერულად ჩაილუღლუღა:

— გმადლობ, უფროსო!

— მადლობას მერე მეტყვი! — დაიჯღანა ქოსა. — ჩადი ახლა ამ სახლის სარდაფში, გააღე კარი, იქ ქალსა და კაცს იპოვი. ქალი დაკითხული მყავს, კაცის დაკითხვა არ მჭირდება. კონტრაა, მაგისი დედა!.. წადი და მაგათი ხმაც არ გამაგონო!

ჩორნა უმალ გაძუნძულდა, სარდაფში ჩაიმალა.

— მეშინია, მიშა! — ჩაიჩურჩულა ქალმა სარდაფის მქრქალ ბინდში.

— ნუ გეშინია, კატრინ! — კაცმა ქალის თავი ჩაიხუტა და ყურში ჩასჩურჩულებდა: — ყველაფერი გაირკვევა და გაგვიშვებენ. ჩვენ ხომ ცივილიზებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ...

კარი გაიღო და ურჩხულმა შემოალაჯა, ნიჩაბივით სახეზე კაცმა შებრალება ვერ ამოიკითხა და ყველაფერს მიხვდა.

— ნუ გეშინია, კატრინ! — ხმა გაებზარა...

— რკინის კომისარი გახლდათ ძღვიბი თოლორაია, — ასე სჯეროდა ცაცანას, — მტერს შიშის ზარსა სცემდა!

— ოჰ, ნუ გააბუქე! — ეფრომ გაჩხინკულ მუხლზე ხელი დაიკრა. — პატივცემულმა ბერიმ ჩვენზე უკეთ იცის ეგ ამბები!

— შენ ყველაფერს ეჭვით უყურებ, — არ დათმო ცაცანამ, — ეჭვი რწმენაში ბზარს აჩენს, ბზარში კი უმალ ჩვენი მტერი შემოიპარება... რწმენას უნდა გავუფრთხილდეთ, დიახ!

— მხოლოდ ღვთისას... — ხმადაბლა ჩაიბურტყუნა ეფრომ, პირჯვარი გადაიწერა...

9

რისი რწმენა?.. გერამ დროშა ააფრიალაო, ძღვიბი თოლორაია რკინის კომისარიაო, ნესტორზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ცაცანა რომ მის სახელს ახსენებს, მოწიწებისაგან სიტყვები არ ყოფნის და „ოჰ, ოჰო!“ — იძახის... ეფრო (ამას ხომ უკეთ უნდა ცოდნოდა!) ტუჩებს ჯიუტად მოკუმავს, არაფერს იტყვის... მუზეუმის კედელზე რუკა ჰკიდია — „ნესტორ თოდუას გზა“. თავის შველა რომ დასჭირდა, ნესტორი მთავრობას მოხერხებულად დაუძვრა თურმე. მინდორში უბელო ცხენი დაიჭირა, ჭენებჭენებით ატარა ტურების ბილიკებით. ასე ჩააღწია მამიდა დარიკოსთან. ეს ქალი ერთი თავზეხელაღებული ვინმე იყო, კაცივით იარაღასხმული დადიოდა. ბოქაული ხმას ვერ სცემდა და ტყის ყაჩაღი ვერაფერს გაუბედავდა. გამოუცვალა დარიკომ ნესტორს ცხენი, ანაკლიამდე ჩააცილა. იქ თურმე ცხენი გაუყიდიათ, თურქს მოლაპარაკებიან, ნესტორი გემზე აპარულა და სტამბოლისაკენ გაჰყოლია...

ვითომ?.. კაცი იფიქრებს, ეს გემი იმისთვისღა იდგა, მერეთიდან გამოქცეულ ნესტორს დალოდებოდა. იქნებ მართლაც ყველაფერი ისე იყო, როგორც იმ რუკაზეა დახაზული. ნესტორი თურქს მიადგა, ჯიბეში ცხენის საფასურად აღებული ფული ჩაუჩხრიალა. ამანაც ხელზე ხელი დაუკრა — „იახშიოლ!“ და თავის შავად მხრჩოლავ გემზე ააპარა... რუკაზე აღნიშნული ხაზები მრავალ ზღვასა და ოკეანეს კვეთდა, ნავსადგურებზე კი, სადაც ნესტორი ჩასულა, პაწია, წითელი ალმები ეხატა... სხვა რამ კვალი იმ წლებისა ნესტორს არ დაუტოვებია, თუ არ ჩავთვლით პატარა ტატაჩის, რომელიც მამის ალიკვალი იყო, ისეთ დროს კი გაჩნდა, როცა ნესტორი ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით უნდა ყოფილიყო. ალბათ დიდ საიდუმლოებას არც წარმოადგენდა გერას ან ნესტორის ყოველდღიური ცხოვრების ავანჩავანი, მაგრამ ამისი გამოწვლილვით შესწავლა არავის უცდია და თუ მუზეუმის კედელზე რუკა ვიღაც მეზღაპრემ ჩამოჰკიდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჭეშმარიტი მერეთელი იყო, სურდა უცხოთათვის ემცნო, ჩვენი მერეთი მიყრუებული პროვინცია არ გეგონოთ, აქაური კაცის ნაკვალევი მთელ დედამიწას ფარავსო. ეფროს ამაზე თუ ვინმე სიტყვას ჩამოუგდებდა, მოგცლია ერთიო, — ხელს ჩაიქნევდა. ცაცანას მეხსიერება კი წვრილმანებს ნაკლებად ინახავდა, ცაცანას დროშების ფრიალი უფრო ახსოვდა...

ამიტომ ბევრ ვერაფერს ყვებოდა თავის მეცხედრეზეც. გერა კვარაცხელია მერეთიდან გაქრა, თითქოს არც ყოფილიყო. თავის მეჯოგე მოგვარეს გაჰყვა ლაკადის მაღალ იალაღებზე. შავი ტყეების ზემოთ ალპური საძოვრები პირუტყვისაგან ჭრელ ხალიჩას დამსგავსებოდა. გერა გაირინდებოდა მთის წვერზე. ქვემოთ მთათა გრეხილები იგვერგვებოდა, ლურჯზე ლურჯი ცა კი ისე ახლოს იყო, ფეხის წვერებზე თუ აიწეოდა, უფლის ტახტის საფეხურს მისწვდებოდა. ჰაერის გრილ გამჭვირვალებაში გერა აშკარად ხედავდა დიადი ბერიკაცის ნათელ ხატებას. ტახტიდან გადმოვიდოდა უფალი, ფეხშიშველა გაივლიდა ლორთქო მდელოზე, ლურჯი ჰაერის ტალღებს მიუშვერდა გულმკერდს... მოიხედავდა გერასაკენ, გაუღიმებდა. „მწყემსავ, გერა?“ „ვმწყემსავ, უფალო!“ „გწამს, გერა?“ „მწამს, უფალო!“ „რა გწამს, გერა?“ „სიკეთე, უფალო!“ „რა არის სიკეთე, გერა?“ „ყოველივე ეს, უფალო!“ — მიმოიხედავდა გერა, ცასა და მიწას, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გაშლილ სივრცეს ერქვა სიკეთე...

როდის დაბრუნდა გერა კვარაცხელია მერეთში, ან ნესტორ თოდუა როდის გამოჩნდა?

ის დღე დაამახსოვრდათ ეფროს და ცაცანას, ნესტორი რომ არსაიდან შემოიჭრა ქალაქში. ეტლზე იდგა, ხელი აეწია და გამვლელგამომვლელს გასძახოდა: „ხალხო, გძინავთ თუ რა ამბავია! ორი კვირის წინ პეტერბურგში მეფე ჩამოაგდეს, თქვენ კი ისე ცხოვრობთ, თითქოს ძველებურად ორთავიანი არწივი დაგჩხაოდეთ!“

გერა გამოეგება ნესტორს, გადაეხვივნენ ერთმანეთს.

— ნუთუ ეს მართალია?.. გაფიცებ ყველაფერს!

— გადამრევს ეს ხალხი, ჭურში ზიხართ თუ რა!

მოვიდა ერთი ბოქაული, შე მუდრეგო და ბუნტისთავოო, — სტაცა ხელი და საპოლიციო უბანში წაათრია. ნახევარი დღე აყურყუტეს ვიწრო და ჭუჭყიან საკანში, მერე ქუდები მოიშვლიპეს და ბოდიშებით გამოისტუმრეს.

გარეთ გერა ელოდებოდა ძმაკაცს. ერთად იპურმარილეს. ეფრომ ქათამი დაკლა, ღომი, სულუგუნი და მწნილიც ჰქონდათ. ცაცანამ ცოტა ჯანჯუხა და ტკბილისკვერი მოიტანა. დასხდნენ და იჭუკჭუკეს: რევოლუციას მოვესწარით და აწი კი დაგვიდგება ოქროს საუკუნეო... ოღონდ, ნესტორი მთელი მსოფლიოსათვის ამზადებდა ოქროს საუკუნეს, გერა ამ მთასა და იმ მთას შუა რაც ქვეყანაა, იმის მიღმა არ იხედებოდა...

მარტის ქურუში საღამო იდგა, ნელა და ცივად ცრიდა. მერეთი ნესტს გაეჯერებინა. ნისლი იბოლქვებოდა, ქუჩებში ჭუჭყიანი რუები მოწანწკარებდა და ტალახი აზელილიყო. ბუნებას თითქოს სულაც არ ახარებდა ოქროს საუკუნის დადგომა.

ტატაჩი ჭირვეულობდა აკვანში, მამაკაცთა ხმებზე გაფაციცდებოდა, ანდა ისე ჭყლოპინობდა, საცაა ავტირდებიო. ეფრო დაურწევდა, ჩუჩუო, ჩასჩურჩულებდა.

ცაცანა იქვე იჯდა. ხელები წამობურცულ მუცელზე შემოეჭდო. ცალი ყურით კაცებს უსმენდა, უფრო კი პაწაწკინტელა მართას, სასტუმროს კედლებს რომ ეხლებოდა და ქვეყნიერებაზე გაჩენას ჩქარობდა.

ნესტორმა ხმას აუწია, უმისამართოდ იმუქრებოდა, ტალღა რაკი აგორდა, მისი დაშოშმინება შეუძლებელიაო, ყველაფერს მოანგრევსო, ძველსა და დრომოჭმულს გადარეცხავს და დავიწყების უფსკრულში გადაუძახებსო... გერამაც უღალატა ჩვეულ სიმშვიდეს, იმანაც ხმას აუწია, რა არ გასვენებსო, ხომ დაინგრა ძველი წყობა, ახალს სულის მოთქმა ვაცალოთო... მათი კამათი ჩხუბს დაემსგავსა... ტატაჩი უცებ გულსაკლავად ატირდა, ეუცხოვა მამაკაცთა გაუხეშებული ხმები.

— რა მოგივიდათ, ბავშვი შემიშინეთ! — საყვედურით თქვა ეფრომ.

კაცები გაჩუმდნენ.

— ნეტა სად გადაიკარგა ძღვიბი თოლორაია? — მოულოდნელად იკითხა ცაცანამ.

იმ საღამოს შთაბეჭდილებებიდან ყველაზე მკვეთრად ტატაჩის ტირილი ჩაებეჭდა ეფროს მეხსიერებას, წინასწარმეტყველური ტირილი ანგელოზისა და ქოსა ძღვიბიას გახსენება, თითქოს ოქროს საუკუნის პირველ დღეს მჭმუნვარების შავი ლანდი გადაეფოფრაო...

აი მაშინ ახსენა პირველად გერამ კიბე!

— რა კიბე? — ფრთხილად, დადარაჯებულივით იკითხა ნესტორმა, შეიჭმუხნა.

ცაცანამ ხელები გაასავსავა, ამოდენა ყაძახი ბავშვივითააო, ეგეთ რამეს ამოიჩემებს, ჭკუათმყოფელი კაცი ხმამაღლა ვერ გააცხადებსო.

— კიბე უნდა ავაშენო! — თქვა გერამ.

ეს ფიქრი ადრევე აეკვიატა, იმ დღიდან, როცა უბით წითელი ალამი მაცხოვრისგორაზე აჰქონდა, წინ კი გიმნაზიელის ლანდი მიფარფატებდა. მაშინ გაიაზრა პირველად, რომ მაცხოვრის თეთრი ტაძარი ახლოსაა ცასთან, ადამიანებისაგან კი — შორს და კაცთაგან იშვიათი ვინმე თუ აუყვებოდა ხოლმე ციცაბო ბილიკს.

მავანს უცდია გერამდეც — ჩხერიიდან ლოდები ამოუღია, კირით ჩაუდულაბებია, ცხრა საფეხური მოუსწრია. სანამ დაიწყებდა, ჯერ მტკიცე ფუძე ჩაუქვითკირა. რვა საფეხურს ვერა ძალა ვერ მოანგრევს, მეცხრეს კი, რაკი მეათე არ წამატებია, ფერდობზე ჩამოღვრილმა წყალმა ძირი გამოუთხარა, შეარყია...

იმ მეცხრე საფეხურით უნდა დაეწყო გერას, ჯერ ის უნდა გაემაგრებინა. მერე თითოთითოდ უნდა გამოეჭრა, ზევით აეზიდა, საგანგებოდ გამზადებულ ფუძეში ჩაესვა. მტკიცედ ნაგები უნდა ყოფილიყო ეს კიბე, მარადისობისათვის უნდა გაეძლო.

— სულელი იყო მამაჩემი გუდუ თოდუა! — სიძულვილით თქვა ნესტორმა. — არ მეგონა, სხვა იმნაირი თუ დაიბადებოდა. რამდენი ფარა დაახარჯა იმ ტაძარს, მთაზე რომ წამოკოლიკებულა. ახლა შენ გამოგვიჩნდი შერეკილი, კიბე გინდა იქამდე აიყვანო!

ჯერ კიდევ ომამდე, გუშინდელი მეამბოხენი მონარქიას რომ სამსახურს სთავაზობდნენ, მკერდზე მუშტის ბრაგუნით ინანიებდნენ, საკუთარ სულში ჩაკეტილ გერას პოლიცმაისტერმა შესთავაზა:

— ვიცი, გულზე არ გეხატებით, მაგრამ ისიც ვიცი, პატიოსანი კაცი ხარ, სიტყვას არ გადახვალ! პოლიტიკაში ნუ გაერევი, მოძებნე მშვიდი საქმე, იყავი შენთვის და მიხედე ოჯახს.

— კიბეს ავაშენებ! — თქვა მაშინ გერამ.

— რა კიბეს? — შეცბა პოლიცმაისტერი.

— მაცხოვრისგორაზე ასასვლელ კიბეს!

— არ გაბედო! — მკაცრად უბრძანა პოლიცმაისტერმა. — მომინდომა წმინდანობა! მირჩევნია თოფი აიღო და ტყეში ყაჩაღად გახვიდე!

— მომინდომა წმინდანობა, — მძულვარედ გაიმეორა ნესტორმა, — დაფნის გვირგვინი, ვერცხლის ფრთები... თუ მაგდენი ღონე და ფარა გაქვს, აბანო ააშენე, ან კლუბი...

გერა გაუჩუმდა, არ შეპასუხებია. სარკმელში გაიხედა. წვიმა შეწყვეტილიყო. ღრუბლები გაიხლიჩა და მზემ ცალი თვალით გამოიხედა.

— არ გაბედო! — მუქარით დასძინა ნესტორმა.

ეს უჩვეულო, ფიცხი კილო არ მოეწონა ეფროს. შემრიგებლურად ჩაიწუწუნა ცაცანამ. გერა კი კვლავ უტეხად დუმდა.

— გაბედა რომელია! — მზერა გაუთბა ეფროს. — გერა უთქმელი კაცი იყო, მაგრამ ჯიუტი. რასაც გადაწყვეტდა, ბეჭედი ესვა. ნეტავი ხელს ვის უშლის, თუ კაცი ჭკუიდან გადაცდა და კიბეს აშენებს არსაიდან არსაითკენ... უნდა და აშენოს!

— იცოდა გერამ, რა კიბეს აშენებდა, ნესტორიც კარგად ხვდებოდა ამას! — უკმაყოფილოდ თქვა ცაცანამ.

„გუშინდელი ძმები ამ კიბემ გადაკიდა ერთმანეთს, — გაიფიქრა ბერიმ, — რატომ?“ უბის წიგნაკში კი ჩაინიშნა: „კიბე მაცხოვრისგორაზე — ცხრა საფეხური (მშენებელი უცნობია) — 101ე საფეხურის ჩათვლით — გერა კვარაცხელია!“

— იქნებ იმ კიბემ უბიძგა ნესტორსა და ძღვიბის, დაენგრიათ მაცხოვრისგორის ტაძარი? — იკითხა ბერიმ.

დედაბრებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ძველია ეს ამბავი, — თქვა ეფრომ, — გუშინდელმა ძმებმა სხვადასხვა გზა ირჩიეს. ახალმა მთავრობამ ახედდახედა გერას, შერეკილია, მაგრამ ჩვენიაო... გახედა ნესტორს, ესეც შერეკილია, მაგრამ მტრისიაო და ციხეში მიაბრძანა...

10

ბოტანიკურს ჭადრის ხეივანი კვეთს. ბილიკზე ჭრელი ჩრდილი აფენია. სამნი გარბიან და თვალები უჭრელდებათ.

— სად მივრბივართ? — ქოშინებს დურუ გეგია.

— ამ ბოლოდან იმ ბოლოსაკენ! — ძლივს ამოთქვამს არიქა ძაძუა.

— იცით, თოლორაია ახლა რას აკეთებს? — კითხულობს მართალი, — ლესტამბეს ცხვირი ძაღლივით წაუგრძელებია და ნაკვალევს სუნავს!

წინ ბზა გაწოლილა, დაგრაგნილ ურჩხულსა ჰგავს... იქნებ მართლაც ურჩხულია, მუზეუმის კედლიდან გადმოსახლებულა ბოტანიკურში... თუმცა რა უნდა მერეთში ურჩხულს? ასეთი საოცრებები მერეთში არ ხდება. აქ ცხოვრება აწყობილია. რაც ადრე მოხდა — მუზეუმშია. ახლა, დიდიდიდი, მტრის აგენტი შემოიპაროს და წყალი დაწამლოს... ეს აგენტიც ალბათ ვავა ზარქუას მონაგონია. იმიტომ დასჭირდა, ქვეყანას გააგებინოს, უქმად კი არ ვზივარ, აგე, უცხოურ აგენტებს ვიჭერო... რაც კი საინტერესოა, ყველაფერი უკვე მოხდა! ამ ქალაქში ურჩხული არ იჩეკება... მოსაწყენია ცხოვრება, როცა ყველაფერი უკვე მოხდა...

— რატომ? — ჩაეკითხა ერთხელ ისტორიის მასწავლებელი, გამხდარი და მაღალი აქლემი, პარმენ სიგუა. — რატომ არ ხდება?.. პირიქით, მერეთში ისტორია იჭედება! — თითი ასწია, ვიღაც უხილავს დაემუქრა. — ჩვენ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე პროგრესულ, ყველაზე დემოკრატიულ და ბედნიერ საზოგადოებას ვაშენებთ!

„სხვები ძაან ჩამოგვრჩნენ, — ფიქრობს მართალი, — აგერ თურქები, თურმე, შიმშილით იხოცებიან... გადავიპარები და წითელ დროშას ავაფრიალებ!“

— ამიტომაც მტერი ბევრი გვყავს! — გაფარჩხულ თითებს მუშტად შეკრავს აქლემაპარმენი. — ის აშკარად როდი გვებრძვის, კუთხეკუნჭულში მიმალულა, — ამ სიტყვისას ჯოხით საკლასო ოთახის „კუთხეკუნჭულს“ ჩხვერავს, — რაც უფრო მეტად გავიმარჯვებთ, მტერი მით უფრო გააფთრებით შემოგვიტევს... ამას გვასწავლის დიდი ბელადი!

„მტერი ბრიყვია, — ასკვნის მართალი, — მისთვის მთავარია, ოქრო მოიხვეჭოს, მუცელი ამოიყოროს, ღიპი დაიყენოს! — ერთი ღორმუცელა ბიჭი, ბოჩია ცინტორია ახსენდე ბოდა. ლუარსაბივით მსუქანი იყო ბოჩია, მოუთმენლად, თქვლეფათქვლეფით ჭამდა. ლუკმას პირში რომ იტენიდა, სალოკსა და შუათითს ახმარდა. — რა თქმა უნდა, ბურჟუა და პარაზიტი სწორედ ასე ჭამს!“

— ფხიზლად იყავით, ბაღნებო! — უფრო ცხარდებოდა აქლემაპარმენი, — მტერი ყოველ ნაბიჯზეა, მთელი მერეთი აგენტებითა და ტროცკისტებითაა სავსე!

„ნეტა აგენტი და შპიონი დამაჭერინა, — ოცნებობს მართალი, — უფრო კი — ტროცკისტი...“

ტროცკისტი მტერია, მტერს ბიკენტი თოლორაია ებრძვის, ლესტამბე ბიკენტის შვილია და რატომღაც მართალი ეზიზღება... თავში დომხალია, ყველაფერი ერთმანეთში აირია.

— სად მივრბივართ? — კვლავ კითხულობს დურუ.

— სადაც ურჩხული იჩეკება! — პასუხობს მართალი.

— რა გვინდა იქ? — არიქა ყოვნდება.

— უცხოს კვალს ავიღებთ! — დარწმუნებულია მართალი.

— მართლაც რომ გადავეყაროთ? — ეშინია არიქას.

— მაშინ ფეხებს ქარი დავატანოთ! — ამბობს დურუ.

აქ უკვე ბოტანიკური ბაღი თავდება, ჩვეულებრივი უბნები იწყება. მოსაწყენი ორღობეები კვეთენ ერთმანეთს. ზოგი მოხრეშილიც არაა, აქაიქ გუბურა ჩამდგარა. გუბურის პირას მოწყენილი ბაყაყი თვლემს, ყიყინი ეზარება... ნესტით ჩაშავებული მესერი, წკნელის ნაღობი, ტრიფოლიატი — ზოგან ლარზე გადაკრეჭილი, უფრო კი უშნოდ აძეძვილი... ღობეებს მიღმა მოსაწყენ ეზოებში მოსაწყენი ქათმები იქექებიან... კამეჩი წამოწოლილა და მოსაწყენად იცოხნება... ტალახში ამოგანგლულ უღლიან ღორებს ერთიერთმანეთზე სძინავთ... თხამ კიკინით მოიხედა, ტუჩებს აპარპალებს, თითქოს რაღაცას ჩქარჩქარა ამბობს...

ყველაფერი ნაცნობი და ჩვეულებრივია, ახალს ვერაფერს აღმოაჩენ!

— ვითომ რატომაო? — კითხულობს გეოგრაფიის მასწავლებელი გრიშა ყოლბაია, ხის ფეხს ეყრდნობა, სადღაც ამ ომში კი არა, წინა, პატარპატარა ომებში დაუკარგავს, რომლისა არავის არაფერი სმენია, დაჭრილდახოცილთა რაოდენობა კი მერეთსაც დაეტყო.

— ამერიკის აღმოჩენა როდი კმარა! — ხის ფეხზე რეზინის ქუსლია აჭედილი, მაგრამ გრიშა მასწავლებლის ნაბიჯს ისეთი ბრახუნი გააქვს, ალბათ ეზოშიც ისმის. — აბა, რომელი ყოფილხართ ჩხერიის სათავეზე? არავინ? ჩხერიის სათავეც გეოგრაფიაა, ჩხერია ხომ სადღაც იწყება და აქ, ჩვენს ქალაქში ჩამოივლის...

ორღობის ბოლო მოტიტვლებულ მინდორში გადის. ადრე ეს ადგილი უღრანით იქნებოდა დაფარული, შეშად გაიხმარეს. მერე საქონელი მიესია, მდელოს თავის აწევა არ აცალა. ბალახსაც რა ექნა, მიწისპირს მიეტმასნა.

— სათავე სულ ახლოსაა, ხუთექვს კილომეტრზეო, ბაბამ მითხრა! — არიქას ბაბა არ შეცდებოდა. სიმთვრალესა და სიმთვრალეს შორის, თუ შვილს ქამრით არა სცემდა, უფროსი ძაძუა ჩხერიაზე ფაცრით დაძვრებოდა აღმა-დაღმა.

მინდორი დაბლდება... ჯერ ხრეშია, მერე მსხვილმსხვილი ლოდები. ჭორომში ჩხერიას გამჭვირვალე წყალი მიედინება ჩუმი, მონოტონური შხუილით.

— ჩუ, უსმინეთ, ჩხერია ყვება! — მართალი თითს მაღლა აიშვერს.

ჩხერია მოშხუის პატარა ჭორომებში, ლოდებს გვერდს უბანს, თავზე გადასდის. ნაპირიდან ნაპირს ეხლება, თავქვე

მიგორავს, სწორზე ტბორდება, მერე ისევ მიგორავს, თან მიაქვს წყლის ხმები და გრილი სუნთქვა.

— უტუს ჯარმა ჩამოიარა თურმე ჩხერიის ჭალებში, უტუ თოდუასი, მართალიად წოდებულისა. აი, იქ, მაცხოვრისგორის ძირას შედგა. მერეთი მაშინ ჯერაც არ არსებობდა... დგას უტუ თოდუა, გაჰყურებს ჩხერიის სანახებს, ულევი ჯარი კი მოდის და მოდის, მდინარესავით მოედინება... „უტუში ჯარიში გოლუაფირო, ვოჰოჰოიაოდო!..“ — მღერიან მოლაშქრენი.

ჩხერიის გასწვრივ ვიწრო ბილიკი მიიკლაკნება. გაღმაგამოღმა მინდვრის ვიწრო ზოლებია. აქაიქ თხმელა წამომართულა, ტოტები ეკალას და მაყვალს დაუძენძია... ოდასახლები და ეზოები მოშორებით ჩამწკრივებულა. მშვიდმა ჩხერიამ ხანდახან გადარევა იცის, ადიდდება, აქაფდება, აღრიალდება, ნაპირს გადმოლახავს... მოსახლენიც ერიდებიან, ეკრძალვიან, მოშორებით სახლდებიან... ახლა უწყინარია ჩხერია, — მოშხუის, მოჟღურტულებს, მობუტბუტებს, მოლუკლუკებს, მართალის უგდებს ყურს.

— ისე ყვები, თითქოს შენც იქ იყავი! — უკვირს დურუს.

— მაშ, იქვე ვიყავი! — თავს უქნევს მართალი. — ლოდს უკან მივიმალე, მართალია თოდუამ ბაკანში ხელი ჩამავლო, ამწია და თვალებში ჩამხედა!

— ბაკანში? — პირი დააღო არიქამ.

— ჰო, მე ხომ მაშინ მდინარის კუ ვიყავი!

გიჟია ეს მართალი!

ჩხერია ყვებაო!.. ჩხერია რას უნდა ყვებოდეს, მოჩქრიალებს, მოუსვენრობს და ეგაა... რაც გუშინ იყო, იმ წყალმა ჩაიარა, ახალს ახალი ამბები მოაქვს ალბათ. ჩხერია თუ რამეს ყვება, მაშინ ნიავიც ყვება რამეს...

ნიავი მოფარფატებს ჩხერიის სანახებში, წყლის სიგრილეს აიტაცებს, ნაპირის ბუჩქნარებში შესისინდება, ხეთა ტოტებს შეარხევს.

აქ, ამ ადგილას მერეთი თავდება. ეს უკვე ქალაქი არაა, სოფელია. ნაპირი უსწორმასწორო ხდება, აღმადაღმა არბიჩამორბის, ხან მწვანედ მოიქოჩრება, ხან ჟანგიან პირს მოაღებს მორღვეული ფლატე, ბალახის ფესვსაც რომ არ იჭერს.

— ბაბაია აქ თევზაობს, — ამბობს არიქა, — ფაცრით იჭერს!

ხმაში სიხარული არ ეტყობა. მამის გახსენება კბილის ტკივილივითაა, იგი ღვინის სუნს და ქამრის სიმწარეს აგონებს.

დურუ არაფერს ამბობს. მას მამა სულაც არა ჰყავს. ისიც არ იცის, ჰყავდა თუ არა ოდესმე. დედა ერთი ჩუმი, მოანგარიშე ქალია, კოდალასა ჰგავს. გრძელი ცხვირი საანგარიშოზე დაუხრია და ჩხინკა თითებით ჩქარჩქარა აჩხაკუნებს. რასაც ანგარიშობს, ხომ სხვისია, შინ მოტანილი კაპიკები ხელისგულზე ადნება... ამაზე ფიქრობს დურუ გეგია და ჩუმად ოხრავს.

— ჰეი!

შემკრთალი ბიჭები მაღლა იყურებიან. ბექობზე ცხენოსნები დგანან, ბიკენტი თოლორაია, ვავა ზარქუა და ორიც სხვა. ბიკენტის ფრენჩი აცვია, ფეხებზე აზიური ჩექმები. ერთი ხელით ლაგამი უჭირავს, მეორეში მათრახი.

— ჰეი, ყაჩაღებო, აქეთ საით გაგიწევიათ?

ვავა ზარქუა პატრონის ლანდივითაა, იმასავით აცვია. ჩუმად, უთქმელად დასარსალებს ქალაქში, დიდებსაც აშინებს და პატარებსაც.

ბიჭები თავდახრილები დგანან. ელოდებინ, როდის ამოიღებს ხმას ვავა ზარქუა, დავალება ამათ მე მივეცი და იმიტომ თუ დაეხეტებიანო, მაგრამ იგი დუმს.

— რაკი ხმას არ იღებთ, ესე იგი საყაჩაღოდ მიდიხართ! — ბიკენტი წინ გადმოიწია, თითქმის ცხენის კისერზე გაწვა, ცდილობს კარგად შეათვალიეროს გაყუჩული ბიჭები.

მართლაცდა, რისი უნდა ეშინოდეთ? ბიკენტი ლესტამბეს მამაა, ლესტამბეს კი, როცა მოეპრიანებათ, მაშინ ამოკრავენ ჭიტლაყს... ქალაქში გამორჩეული კაცი იყო ბიკენტი, ეს თუ აშინებდა მერეთელებს. მუდამ ერთნაირად ჩაცმული გამოეცხადებოდა თანაქალაქელებს: ხაკისფერი ფრენჩი და ქუდი, გალიფე, აზიური ჩექმები, რომელზეც უამინდობაში კალოშს წამოიცვამდა.. სხვები თუ ეტლით, დროგით, ურმით, მოგვიანებით კი „პალტარატონკით“ დადიოდნენ, ბიკენტის „ვილისი“ ემსახურებოდა, — ერთადერთი მთელ მერეთში. გამოჩნდებოდა ქუჩის ბოლოს ის „ვილისი“ და უბანში შიშიანი სიწყნარე ჩამოეფინებოდა. წავიდოდა და ჰაერში ისევ ეკიდა პირფერ-

ული „ამხანაგო ბიკენტი!“ ეფრო ბებიასღა არ აკრთობდა ბიკენტის ხსენება, აქილიკებდა რაღაცნაირი, თითქოსდა უმი ზეზო გაბოროტებით: „ბიკენტი ძღვიბიევიჩი!“ ცაცანა გად მოკარკლავდა უმალ თვალებს: „როგორ გეკადრება, ქალბატონო ეფრო, მეფის მთავრობისაგან დაჩაგრულ გლეხს რომ ძღვიბი ერქვას, დასაცინია?“ „ახლა ესეც მეფეს დააბრალეთ, — ბუზღუნებდა ეფრო, — ძაან კი ეცოდინებოდა ნიკოლოზას, ბიკენტის მამას ძღვიბი და ქოსა რომ ერქვა!“ მართალისაც არ მოსწონდა ბებიის ეს ახირება, შიში გაკენწლავდა: „ვინმემ თუ გაუგო, დაიჭერენ ბებიას და სწორსაც იზამენ!“

— კვალს დავეძებთ! — მართალი შეეცადა რიხით ეთქვა.

— ყოჩაღ, თქვენი იმედითღა დავრჩით! — ღიმილის გარეშე თქვა ბიკენტიმ. — ლესტამბე რა უყავით?

— სხვა მხარეს წავიდა! — ხმა გაებზარა მართალის. გული ხშირხშირად უცემდა, ვერ მიმხვდარიყო, რატომ აფრთხობდა ეს კაცი, რა ისეთ ძალას ფლობდა ბიკენტი თოლორაია, მისი რომ უნდა სშინებოდათ.

— ფრთხილად იყავით, ძალიან შორს ნუ წახვალთ! — დაარიგა ბიკენტიმ. — საეჭვო ვინმე თუ შეგხვდათ, შემატყობინეთ! ხომ იცით, პიონერები ხართ!

ცხენი შეაბრუნა და აღმართს შეუყვა. მხლებლებიც მიჰყვნენ, ჯერ ვავა ზარქუა, მერე ორი სხვაც. პირდაპირ მზის დასავალისაკენ მიდიოდნენ. ცხენმხედართა ჩრდილი დაგრძელდა, დაგრძელდა და ჩხერიის ხეობაზე გაწვა... კვლავაც ნათელი, ლურჯი ცა გადმომხობოდა სანახებს, მაგრამ იმ ჩრდილმა თითქოს შეატოვაო უფერული ფერი, ქუფრი მოეფინა გარემოს... გორაკის თავზე შეყოვნდა ეჭვიანი ბიკენტი თოლორაია, გადმოჰყურებდა შემოგარენს ფხიზელი თვალით... არაფერი ამ მზერას არ დაემალებოდა, ფიქრშიც ვერ გაექცეოდი, იქაც ჩაგწვდებოდა და სააშკარაოზე გამოგიყვანდა.

— დავბრუნდეთ? — ყოყმანით იკითხა არიქამ.

დურუმ უსიტყვოდ შეხედა მართალის.

— სათავემდე თითქმის მივედით! — ხმამაღლა გამოუვიდა მართალის, ამ შეძახილით სულის კუნჭულში მიმალული შიში დააფრთხო.

კარგა ხანს მიდიოდნენ. გორაკები ერთიერთმანეთზე მიბობღავდა. ჩხერია ცდილობდა მათ შორის გზა გაეკვლია და აბნეული მიიკლაკნებოდა.

წინ მაღალი ფლატე წამოიმართა. სველი, წვრილი ბუწკით მოფენილი შუბლი გადმოაყუდა, თვალებმილულულ გიგანტსა ჰგავდა... იქ, სადაც პირი უნდა ჰქონოდა, უზარმაზარმა გამოქვაბულმა დაიღრინა და სიგრილე ამოისუნთქა.

ბიჭები შეჩქვიფდნენ, ერთმანეთს აეკვრნენ. დამფრთხალნი შეჰყურებდნენ პირფართო გამოქვაბულს, რომლის ჩაბნელებული სტომაქიდან გველეშაპის ენასავით გადმოვარდნილიყო თეთრად აქაფებული ჩხერია... სველ ჭერს ხავსი მოსდებოდა, ხავსზე წვეთები ეკიდა და კაპაკუპი გაჰქონდა... გამოქვაბულის ფსკერზე კამკამა წყალი ქაფქაფებდა და გარეთ გადმონთხეულ ჩხერიას სინათლეზე სიღრმისეული თოში ამოჰქონდა.

იდგნენ ბიჭები და ვერაფერი გადაეწყვიტათ.

მართალიმ იგრძნო — ვიღაცა უთვალთვალებდა... მოიხედა, არავინ იყო. დურუმ და არიქამაც სწრაფად მიმოიხედეს, ალბათ ამათაც იგრძნეს უცხო მზერა, ან მართალის ჯიქურმა მოძრაობამ შიშს შიში წაამატა.

მართალის შეაჟრჟოლა, არავინ ჩანდა, მაგრამ საფრთხე თვით ჰაერში ეკიდა.

ვინ უმზერდა ასე დაჟინებით?

იქნებ კლდე უყურებდა? ან ურჩხული გამოქვაბულის სიღრმიდან!.. ან ვიღაც უჩინარი გაყუჩულა გუბურის ფსკერზე!.. ან შორიახლო ბუჩქნარიდან... ან ფერდობზე შეფენილი შავი ტყიდან!..

— წავიდეთ, ბიჭებო! — წაიჩურჩულა მართალიმ.

თვალებდაცეცებულებმა დაიხიეს უკანუკან, მერე ქარივით მოწყდნენ ადგილს და ელვისუსწრაფესად, — თვითონ ეგონათ ასე, — ქალაქის შემოგარენში აღმოჩნდნენ.

— ვიღაცა გვითვალთვალებდა! — ქოშინი ძლივს შეიკავა არიქამ.

— ჰო, ვიღაცა იყო! — დაუდასტურა დურუმ.

ნათელი დღე იდგა. ქალაქმა სწრაფად შეიფარა თავისი დამფრთხალი შვილები და მართალიმ ჩაიცინა:

— მოგვეჩვენა!

— ალბათ მოგვეჩვენა! — ყოყმანით ამოღერღეს დურუმ და არიქამ.

— გამოქვაბულში ნეანდარტალელი იჯდა, მუზეუმის კედლიდან რომ იყურებოდა, ისეთი!.. აბა, რა გეგონათ! წარსული არ ქრება, იგი ჩვენს გვერდითაა!

ვერ გებულობდნენ დურუ და არიქა, როდის ხუმრობდა მათი ამხანაგი და როდის — არა!

11

ქალაქის საპატიო დაფაზე სამი მერეთელი რევოლუციონერის სურათი ჰკიდია. გვერდიგვერდ დგას ჩოხაახალუხიანი, ყაბალახმოხვეული სამი ვაჟკაცი... ნაბიჯი წინ გადმოუდგიათ, უტეხად გაჰყურებენ სივრცეს. გერასა და ნესტორს წითელი ალმები უპყრიათ. ძღვიბი თოლორაიას ხელი თვალზე მოუჩრდილებია, დაჟინებით აკვირდება დროის შორეულ სამანებს... ასეთებად დახატა ისინი ადგილობრივმა მხატვარმა ჩიჩუამ, ასეც ურჩია მას ყოვლისმცოდნე ბერი ზაქარაიამ.

— როგორ მიდის საქმე? — ჰკითხა ბიკენტი თოლორაიამ ბერის. საპატიო დაფასთან იდგნენ და ბიკენტიმ რევოლუციონერთა სურათისაკენ მიახედა. — ჩვენთვის ტრადიციულია სამი ვაჟკაცის გმირობა! ხომ გახსოვს, შოთასთან, „მათ სამთა გმირთა მნათობთა...“

ბერის, რა თქმა უნდა, ახსოვდა! კანონიკურ ისტორიოგრაფიაში ასეც ეწერა და ტექსტში წერტილმძიმის გადასმასაც ვერავინ გაბედავდა. თვითონაც ასე წერდა ხოლმე, — ჩვეულებრივი მელნით, სასკოლო რვეულის ფურცლებზე... იქ ისიც ეწერა, ჯერ თებერვალმა, მერე ოქტომბერმა გაჰყარაო სამთა გზები...

— ვინ ჩიქვანმოხელეა, დაჭერას რომ მიბედავს?! — იკითხა ნესტორ თოდუამ.

იდგა შინდისფერი რესპუბლიკის გაზაფხული... თავისუფლების მოედნიდან დაძრულ ეტლში ნოე ჟორდანია იჯდა, თეთრი, სპეტაკი წვერი მკერდზე ჩამოჰფენოდა... სასახლესთან გვარდიელები იდგნენ... ქუჩები სავსე იყო მოსწავლეებით, ოფიცრებით, ბანოვანებით... ისმოდა ბაბილონის ათასი ენა... თბილისიდან დასავლეთისაკენ მიმავალ მატარებელზე სამფეროვანი ალამი ფრიალებდა და სასულე ორკესტრი „მარსელიოზას“ უკრავდა... მწვანე საყანეებს გლეხობა შეჰფენოდა, მიწას იზომავდნენ... მერეთიც გამოცოცხლდა და მერეთელები ჰგავდნენ იმ ადამიანებს, ვინც ძილი ახლაღა მოიშორა და სიცოცხლის ძალა წამით წამზე ემატება.

ნესტორ თოდუას თვალებზე თითქოს ბინდი ჩამოწვაო, ბურანიდან ვერა და ვერ გამოსულიყო, სინათლეს ვერ ხედავდა.

— ვინ ჩიქვანმოხელეა...

— მე ვარ, ნესტორ! — მაგიდიდან გერა კვარაცხელია წამოდგა, შემოეგება.

— გავიგე, ჩემო გერა, ახალ ხელისუფლებას მხარი შეაგებე! — გულღრძოდ თქვა ნესტორმა. — შენ რომ კიბის აშენება გადაწყვიტე, მაშინ მივხვდი, რომ ჩვენს გზას განუდექი!.. თხუთმეტი წლის წინ მაცხოვრისგორაზე წითელი ალამი შენ ააფრიალე. ახლა კი ამ სახლის სახურავზე შინდისფერი დროშა ჰკიდია! ღალატის სუნი უდის ამას, იცოდე...

— მტრობა და სიძულვილი გალაპარაკებს, ჩემო ნესტორ, თორემ საკუთარი ქვეყნის სამსახური კაცს ღალატად როგორ ჩაეთვლება!

— რომელია შენი ქვეყანა?.. მერეთი?.. ადრე ჩვენ სხვა ფიცი ვფიცეთ, ვამბობდით, ჩვენი ქვეყანა მსოფლიო პროლეტარიატიაო!

— ჩემი ქვეყანა საქართველოა! — მხრები აიჩეჩა გერამ. — ახლა აქ შედარებით სიმშვიდეა, ირგვლივ კი სისხლის წვიმები მოდის. რა ვერ გაწყნარებს, ვერ გამიგია. ჩვენი მთავრობაც ხომ სოციალისტურია. თუ საქართველოს სიკეთეს მოვუტანთ, ამით მსოფლიო პროლეტარიატსაც ვარგებთ!

— ჩვენი ლაპარაკი ორი ყურნაკლულის საუბარს ემსგავსება. ადრე ერთი გზით მივდიოდით, მე, ძღვიბი და შენ! —

ნესტორის ხმაში გულწრფელი წყენა ისმოდა. — ახლა ჩვენ მტრები ვართ! იცოდე, გერა კვარაცხელია, არც მსურს და არც ველი შენგან შეწყალებას!

გერა აუღელვებლად უსმენდა, მერე წყნარად ჰკითხა:

— ეფრო როგორაა?

ნესტორმა მზერა აარიდა. ქალები ადრე სულ ერთად იყვნენ. რაც ქმრების გზები გაიყარა, ისინიც, თითქოს უბრად არიანო, თავთავიანთ სახლებში გამოიკეტნენ. ამიტომაც გაუკვირდა ეს უბრალო კითხვა, სიფიცხე შეუნელა.

— რა უშავს!

— ტატაჩი?

— ფეხი აიდგა!

— მართაც დიდია უკვე! — გერამ სარტყელზე რევოლვერის ბუდე შეისწორა და უცებ მოწყვეტით თქვა: — წავიდეთ!

ნესტორი გაფითრდა, იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, მღელვარება დაიოკა:

— ახლა ისეთი დრო არაა, სასამართლო კომედიები ვითამაშოთ! შენს ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი!

— წავიდეთ, წავიდეთ! — გააწყვეტინა გერამ, მკლავზე ხელი გამოსდო.

კიბესთან მდგარმა გუშაგმა განზე გაიწია, გერას არაფერი დაუბარებია.

მზე დაჰნათოდა მერეთს, ხასხასა მწვანე ფერი ჩამოეღვარა გაზაფხულს. მოქალაქეებმა ძილქუში ჩამოიგდესო, ბულვარზე, ტროტუარებზე, დუქნების მწკრივებთან გამოფენილიყვნენ. ზამთრის ტანისამოსი უკვე გადაენახათ, კაცები ბლუზებით, მანდილოსნები თეთრი კაბებით იწონებდნენ თავს. სიღარიბის ნიშანი ეტყობოდა მოსეირნეებს, მაგრამ პირზე კეთილგანწყობა და სიცოცხლის სიხარული იკითხებოდა და ნესტორ თოდუას შეებრალა თავი, დაენანა თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე... „მე ამათი ბედნიერება მინდა, — ფიქრობდა გულმოშხამული, — ესენი კი ასე იოლად მიმეტებენ!“ სურდა ალაპარაკებულიყო, ყურადღება მიეპყრო: „ხალხო, ნუთუ ვერ ხვდებით, ყოფილმა მეგობარმა გამიმეტა, მივყავარ, რათა

ტყვია თავში დამახალოს!.. მერე და რისთვის?.. მხოლოდ იმიტომ, რომ სიყმაწვილიდან ღატაკთა საქმე გავითავისე...“

ჩუმად მიდიოდნენ ყოფილი მეგობრები. არავინ იცოდა, რა ფიქრი ედო გულში გერას და რა ფორიაქს აეტანა ნესტორი.

ასე გადაკვეთეს ქალაქის ბულვარი.

ნესტორმა ნაბიჯი შეანელა.

— რა ჩაიფიქრე?

გერამ კეფა მოიქექა, მაცხოვრისგორისაკენ გაიხედა.

— ეფროს არ გამოემშვიდობები?

— მადლობელი ვარ წყალობისათვის! — უხეშად, ბრაზით წარმოთქვა ნესტორმა.

გერამ ამოიხვნეშა, დავა არ დაუწყია.

თოდუების სახლამდე მეტი არა თქმულა რა.

ეფრო ისე შეხვდა გერას, თითქოს აგერ, გუშინღა ხედავდაო, მკერდზე აკოცა, ცაცანა და მართა მოიკითხა.

ტატაჩი ხელში ეჭირა ქალს. ლაპარაკი უკვე შეეძლო პატარას, ენას იჩლექდა. ბაბა, ბაბაიაო, — ღუღუნებდა, ფუნჩულა ხელით ღილკილოზე ეპოტინებოდა მამას.

სული აემღვრა ნესტორს, ბავშვი გამოართვა, ჩაიხუტა.

— შინ შემოდით, გარეთ რატომ ვდგავართ! — შემოიპატიჟა ეფრომ.

— გვეჩქარება! — თავი გააქნია გერამ. — შედით, ერთმანეთს გამოემშვიდობეთ, მე აქ დაგელოდებით!

ნესტორმა თავისუფალი მარჯვენა გადახვია ეფროს, შინ შევიდნენ.

— რა ხდება ჩვენს თავს? — ჰკითხა ეფრომ, პასუხს არც დალოდებია, ხელი უკანა კარისაკენ გაიშვირა: — გზა აქეთაცაა, თოლიგე!

— რას ამბობ, ოსურპატონი*! — წარბი შეჰყარა ნესტორმა. — მე რომ გავიქცე, გერამ რა პასუხი გასცეს მთავრობას?

ეფრომ ხმა გაკმინდა, დაფაცურდა, სახელდახელო საგზალი გაუხაზირა ქმარს. უნდოდა ეთქვა ნესტორს, აღარ დამჭირდება აწი საგზალიო, მაგრამ გაჩუმდა, არ ისურვა დედაკაცის შეშინება.

ზღურბლზე დარჩა ეფრო, ხელში ბიჭუნა ეჭირა და კაცებს გაჰყურებდა.

— ბაბა, ბაბა! — აჭყლოპინდა ტატაჩი.

კვლავ ჩუმად მიდიოდნენ გერა და ტყვედქმნილი, ორღობეთა ხლართი არ ილეოდა. აწრიალდა ნესტორი, შეეჭვიანდა.

— ახლა საით? — ყრუდ იკითხა.

— ცაცანასთანაც შევიაროთ.

რაღა ეთქმოდა, გაუჩუმდა ნესტორი, ვეღარ ამოეხსნა გერას ჩანაფიქრი.

აგერ კვარაცხელიების ჯარგვალიც! ცაცანა წამოფრინდა, ქმარს კისერზე ჩამოეკიდა. ნესტორს ხელი გაუწოდა, რად დაგვივიწყე, ჩვენი დაძმობის პირობა სად გაქრაო.

მართა ფეხებში ებლანდებოდა დიდებს, ყოჩაღად დაბაჯბაჯებდა.

ნესტორმა ხელი დასტაცა, კისერზე ულვაში მოუცაცუნა, ააკისკისა.

— ამ წუთას სადილს მოგართმევთ! — დაფაცურდა ცაცანა.

— გვეჩქარება! — ალმაცერად გახედა ნესტორმა გერას.

სიხარული გაუქრა უცებ ცაცანას, კაცებს დააკვირდა.

— ნესტორ, გერა წინა კარიდან გავა, შენ უკანა კარით გადი! თქვენს ჯიბრს დრო გაარკვევს!

გერამ არაფერი თქვა, წვერზე ჩამოისვა ხელი. ნესტორმაც არაფერი თქვა, მართას ლოყაზე უჩქმიტა, გერას ანიშნა და ორივენი წინა კარით გავიდნენ.

ცაცანამ ბავშვი აიტაცა, აივანზე გაედევნა.

— გერა, კაცო!.. ნესტორ!

იმათ არ მოუხედავთ, ორღობეს დაუყვნენ, ჩხერიაზე გავიდნენ. კაკლებთან რომ ხიდია, ის გადაიარეს.

ხიდის თავზეც სამფეროვანი დროშა ეკიდა — შინდისფერი, შავით და თეთრით კუთხეში.

— თავისუფლებისაა ეს დროშა! — თითი ასწია გერამ.

— ბურჟუებისაა ეს დროშა! — უკმეხად შეეპასუხა ნესტორი.

კამათს აზრი არ ჰქონდა.

ორღობე მაცხოვრისგორასთან თავდებოდა. აქ იწყებოდა კიბის თეთრი საფეხურები.

შეჩერდა გერა, თვალი აადევნა.

შეჩერდა ნესტორიც, გუნებაში გადაითვალა. ცხრა საფეხური ახსოვდა, მეორე ცხრა და მესამეც დამატებოდა.

— როდისღა მოასწარი?

— თებერვლიდან ოქტომბრამდე, — ამოიხვნეშა გერამ, — ახლა მოცლა არა მაქვს. რესპუბლიკას დაცვა სჭირდება. დამშვიდდება ქვეყანა და ამ საქმესაც ეშველება!..

— მაგ სიმძიმე საფეხურებს ზურგით მოათრევ?

— უფალი ხელს მაშველებს და არ მემძიმება!

— მერედა ვის სჭირდება ეს?

— საქართველოს! — დაბეჯითებით თქვა გერამ. — სიმშვიდე და უფლის გზა, აი, რა სჭირდება საქართველოს!

ნესტორს ბრაზი შეუბრუნდა.

— აქ რატომ მომიყვანე? ამ თეთრ ქვებს ჩემი სისხლი სჭირდება?

— რესპუბლიკას არ სჭირდება შენი სისხლი, ნესტორ თოდუავ! — მშვიდად, აუღელვებლად წარმოთქვა გერამ. — იარე შენი გზით! ოღონდ, ძველი მეგობრის პირობაზე, თხოვნა შემისრულე — ერთი წლით მაინც გადაიკარგე მერეთიდან... ცოტა დრო მაინც მოგვეცით, თქვე დედმამისშვილნო, სული მოგვათქმევინეთ და მერე ვნახოთ!

ნესტორმა უნდობლად შეხედა:

— კეთილები ხართ, ხომ? მტერიც გეცოდებათ! ქამარზე კი მაუზერი გიკიდია!

გერამ მაუზერის ბუდე გახსნა, შიგ რაღაც რკინები ეწყო.

— რა არის ეს?

— სატეხებია. დროს რომ მოვიხელთებ, ქვებსა ვთლი, საფეხურებად.

ნესტორს ყბა მოექცა.

— უხერხემლონო, ლაჩრებო!.. ვის რაში სჭირდება თქვენი სიკეთე! ქვეყანა ლამისაა სისხლმა წალეკოს!.. ჩემი სიტყვები დაიმახსოვრე, დიდი ხანი არ გიწერიათ!

შებრუნდა და მთისძირა ბილიკს გაჰყვა.

გერამ თითქოს მძიმე ტვირთი მოიხსნაო, ამოიხვნეშა, კიბეზე ჩამოჯდა, საფეხურის გლუვ ზედაპირს ხელი გადაუსვა...

12

ბედი წყალობდა ძღვიბი თოლორაიას, თეთრებთან თეთრობდა, წითლებთან წითლობდა. ამათთან თუ მუშურგლეხურ ხელისუფლებაზე იფიცებოდა, იმათთან დენიკინის სახელზე იწერდა პირჯვარს. სამოქალაქო ომის სისხლიანმა მორევმა ჩაითრია ის და ჩორნა... ჩაითრია და აბურთავა, აღმადაღმა ატარა. ვერ გაეგო, საითკენ მიჰქონდა დინებას, რა მიმართულებით, ცდილობდა ზედაპირზე ეტივტივა და გადარჩენის ხრიკებს იმდენნაირად ხრიკავდა, რომ მტერსა და მოძულეს ოინი უყო... ჩორნასაც კი, ვისაც ეგონა, პატრონის ოინბაზობისა ყველაფერი ვიცი, არაერთგზის გაკვირვებისაგან დააფჩენინა პირი.

ჩორნას მთლად აებნა გზაკვალი. ამიტომაც არ სცილდებოდა ქოსას, ძუნძულითა და ქოშინქოშინით მისდევდა, ეშინოდა, ორომტრიალში ჩავიკარგები და შინისაკენ გზას ვერ გავიგნებო. ამიტომაც ერთგულებდა, ამიტომაც ეფიცებოდა ჩეკას, ძღვიბი თოლორაია ჩემი პარტიული ამხანაგიაო, ვითომც თვითონ დიდი ვინმე მოღვაწე იყო, ამიტომაც გამოჰყავდა ტყვიის წვიმიდან, არიდებდა შიმშილის მახეს. ქოსა ძღვიბია ის ტივტივა იყო, რომლის იმედით ჩორნაც არ ჩაიძირებოდა...

დაბოლოს, ტალღამ კავკასიის მთებზე მიაგდო ორივე. გამოღმა სისხლის წვიმები წვიმდა, გაღმა, საქართველოში სიმშვიდე სუფევდა, თუმცა ამ სიმშვიდის მოჩვენებითობაც საფრთხეს შეიცავდა. იქ რატომ უნდა ყოფილიყო სიმშვიდე, როცა აქ ყალყზე შემდგარი უქონელი სასტიკად უსწორდებოდა ყოველ მქონებელს.

— ბურჟუის ხარჭებია! — ასე აუხსნა რკინის კომისარმა ქოსას. — ამ მთებს მიღმა პროლეტარული თავისუფლების სიოს ჯერ არ დაუბერავს. ხალხი გმინავს მსოფლიო იმპერიალიზმის უღელქვეშ. მენშევიკები მიეყიდნენ გერმანელებს... იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტები, ინტელიგენტიკები... დიახ, ხალხი გმინავს და თავისუფლებას ნატრობს და ჩვენ უნდა მივეშველოთ... თუ საჭიროა, დანით გამოვუშიგნოთ გულმუცელი...

ძღვიბი და ჩორნა გარიჟრაჟზე შეუდგნენ აღმართს. მსუბუქი ტვირთი იკმარეს. ქოსას მაუზერი მოჰქონდა, ჩორნას ხელყუმბარა, ზურგჩანთაში შავი პური და ლორის ნაჭერი. მალვით მოდიოდნენ. უცხო მთის ხალხსაც არიდებდნენ თავს და ახალი რესპუბლიკის სასაზღვრე კორდონსაც.

ნაშუადღევს ააღწიეს უღელტეხილამდე. ქურუშ კლდეებზე გადმოკიდებული ყინულის ენები ტბათა ნაპირებს ლოკავდა. თეთრად მოელვარე მთებს ზევიდან ულურჯესი ცა გადმომხობოდა. ზღაპრული სანახაობა წარმოუდგათ თვალწინ, მაგრამ ძღვიბისა და ჩორნას არა გაეგებოდათ რა სამყაროს მშვენიერებისა, მათი ტვინი სულ სხვა რამეებით იყო გამოტენილი.

— არაფერი გესმის, ჩორნა, შენ! — გულდინჯად მოძღვრავდა ქოსა თანამგზავრს. — მგლის თავზე სახარების კითხვაა შენთან საუბარი. რაც გინდა უჩიჩინე მგელს, ის მაინც ტყისკენ იყურება. თუმცა რა შენი ბრალია! ექსპლოატატორთა კლასია დამნაშავე, შენ რომ მკვლელად და ყაჩაღად გაგზარდა. სოციალიზმის დროს არც ბანდიტი იქნება, არ მკვლელი. რკინის ცოცხით გამოვგვით ყველაფერ ბურჟუაზიულს და მაშინ გვექნება კაი ცხოვრება... აი, გაიმარჯვებს მსოფლიო რევოლუცია, ბურჟუებს ქათმებივით წავაკლავთ ერთმანეთს და მთელი დოვლათი ჩვენ დაგვრჩება. ვიცხოვროთ მერე ძმურად. რატომ ვიჩხუბებთ, რა გვექნება გასაყოფი? ერთად ვჭამოთ, ერთად ვსვათ, სახლიც ერთად ავიშენოთ, დიდზე დიდი, უთვალავი ოთახებით. შენი ჩემი იქნება, ჩემი — შენი...

— ქალიც საერთო გვეყოლება? — ჩაიხვიხვინა ჩორნამ.

— ქალიც, რა თქმა უნდა, თუ ის პარტიული ამხანაგი არაა, — ჩაფიქრდა ძღვიბი, — პარტიული ამხანაგი რაღა ქალია...

ნუთუ მართლაც ასე საუბრობდნენ უღელტეხილიდან გადმოპარული ძღვიბი და ჩორნა?.. ყოველივე ეს ბერი ზაქარაიას პალიმფსესტში წერია, მაგრამ ბერი იქ არ იყო, მან მხოლოდ ის იცოდა, რომ ორნი გადმოვიდნენ ქლუხორის უღელტეხილზე რკინის კომისრის დავალებით, ფრთხილად ჩამოჰყვნენ კოდორის ხეობას, იქიდან საკენისაკენ გადაუხვიეს, სოფელს ტყეტყე აუარეს, კვლავ ფერდობზე აფოფხდნენ. მოტიტვლებული სერი გადაკვეთეს და ჭუბერის ხეობაში აღმოჩნდნენ... კარგა ხანს მოდიოდნენ ასე. ფერდიდან ფერდზე ეშვებოდნენ, უღრანი ტყეები ჩაათავეს. საგზალი გამოელიათ და კენკრით იყუჩებდნენ შიმშილს... უფრთხოდნენ კაცსა და ნადირს... ჭუბერში, სახლის თავზე პირველად დაინახეს უცნაური დროშა — შინდისფერი, შავი და თეთრი ზოლით კუთხეში და ქოსამ ბოღმიანად შეიგინა:

— უუ, თქვენი, ბურჟუებო!

ჩაუყვნენ ნენსკრას. ქაფიანი ნენსკრა ღრიალებდა ვიწრო ხეობაში. დაღლილდაქანცულნი საცალფეხო ბილიკზე ძლივს მიცოცავდნენ. იქ, სადაც ნენსკრა ენგურში ჩაიხრჩო, ჩალანდრებს გადაეყარნენ, ჯორცხენით თაფლი და ყველი ჩაჰქონდათ მერეთის ბაზრობაზე. ეჭვით შეხედეს უცხო კაცებს, მაგრამ კითხვით არაფერი უკითხავთ, პურზე დაპატიჟეს... თითო არაყი გადაკრეს ძღვიბიმ და ჩორნამ. ქოსას ძვლები გაუთბა, ტვინში შეუღიტინა და ტყუილების ბადე გააბა:

— საკენში მამიდა მყავდა გათხოვილი, იმის სატირალში ვიყავით. კოდორის ხეობაში ყაჩაღები დაძრწიანო, ხალხს ძარცვავენო და გვირჩიეს, ჭუბერით დაბრუნდითო. აქეთ რა ისმის, ბოლშევიკები ხომ არ გადმოსულან?

ჩალანდრებმა მხრები აიჩეჩეს, ბოლშევიკებზე ყურმოკვრით გაგვიგონია რაღაცაო.

— როგორ, ლენინიც არ გაგიგონიათ? — გაუკვირდა ძღვიბის.

— რუსია? სვანები მთებზე რუსს არ გადმოუშვებენ! — გულდაჯერებით მოჭრა ერთმა ახმახმა.

გზა ერთად განაგრძეს. ქვევით, ღრმა ხეობაში ენგური გუგუნებდა, ქარავანი კი ვიწრო და საშიში ბილიკებით თავბრუდამხვევ ფერდობებზე მიიწეოდა. გამოცდილი ჩალანდრები და მთის მორჩილი ცხენები უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს. ძღვიბი ჩიტის წონისა იყო და მიწას მისი სიმძიმე რას დაეტყობოდა, მაგრამ ჩორნა მოლაყუნებდა მძიმედ, მის ქვეშ მიწა იზნიქებოდა და უფსკრულში გადაჩეხვას უპირებდა.

ხანდახან ერთურთს შეუძახებდნენ ჩალანდრები, მოკლე წინადადებებს ესროდნენ. ძღვიბი ვერაფერს გებულობდა, მით უფრო ჩორნა, ეგონა ჩვენზე ლაპარაკობენო და გულს ასკდებოდნენ, ბოღმა ავსებდათ. ენის ქავილი აუტყდა ძღვიბის, პირზე კლიტე ვერ დაიდო, როგორც კი ქარავანი წასახემსებლად მოხერხებულ ტაფობზე შეყოვნდა, სიტყვა ითხოვა:

— აი, თქვენ ლენინი არ გაგიგონიათ. რევოლუცია რომ მოხდა, იმას თუ მოჰკარით ყური?

— მეფე რომ ჩამოაგდეს? — იკითხა ახმახმა. — ეს ამბავი ვიცით, მაგრამ ჩვენ მაგას ვინ გვკითხავს...

— რუსეთში რევოლუცია მოხდა, მთელი ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს გადაეცათ, ბურჟუებს დედა უტირეს, დიდი ომი გაიმართა...

— მაგი რა ჩვენი საქმეა, — ხელი ჩაიქნია ახმახმა, — ჩვენს სოფელში ათასი წელია, ბურჟუა არ გვინახავს!

— როგორ თუ ბურჟუა არ გინახავთ? — გაცეცხლდა ძღვიბი. — გაიხედგამოიხედეთ, ყურები გამოიბერტყეთ! ვერა ხედავთ აქ, საქართველოში იმპერიალისტების აგენტები კისრებზე დაგაჯდნენ. ეს ჟორდანიები და რამიშვილები სულ ბურჟუები არ არიან? დაგყიდიან ნემეცებზე ერთად და ცალცალკე, მაშინღა მიხვდებით, ვინაა ბურჟუა და ვინ პროლეტარი...

— შენ რაღაც სხვანაირად ჭიკჭიკებ, — მოიღუშა ახმახი, — ვინცა გვყავს, ისაა ჩვენი მთავრობა, ბურჟუა არ ვიცი მე!

— ეს ისე უქცევს, საკენიდან კი არა, უფრო ზემოდან ჩამოსულსა ჰგავს! — ჩაურთო მეორემ.

— ესენი მერეთში ჩავიყვანოთ და მთავრობას ჩავაბაროთ! — თქვა მესამემ.

— საბუთები შევუმოწმოთ, — ახლა მეოთხე ჩაერია, — გაქვთ საბუთები?

ჩორნამ უბიდან ხელყუმბარა ამოიღო, შეათამაშა და დაიღრიჯა:

— აი, საბუთი!

ჩალანდრებმა ერთმანეთს ჭოჭმანით გადახედეს.

ჩორნამ წინ უბიძგა ძღვიბის, თავისი ფართო ზურგით დაფარა მოსალოდნელი თავდასხმისაგან.

ფეხს აუჩქარეს, რათა ქარავანი კვალზე მოეწყვიტათ. საღამოს ჩააღწიეს ბარში. სოფლებს გარეგარე უვლიდნენ და უკვე დღისით მერეთი გამოჩნდა.

დიდად არ შეცვლილიყო ძღვიბი თოლორაიას მშობლიური ქალაქი. ისევ ისეთი მტვრიანი ორღობეები გარეუბნებში, შორიშორ მდგარი ჯარგვლები, პატარა, მაგრამ ლამაზი ცენტრი — ქვაფენილი, ბულვარი, სასახლე, ორისამი ქვითკირის შენობა... მაცხოვრისგორის თავზე თეთრად აღმართული ტაძარი...

— ქვეყნიერება ინგრევა, ეს კი ისევე დგას, მაგისი ღდინი... — ბოღმით შეაგინა, გაუგებარი იყო, ტაძარს თუ მთელ მერეთს.

მართლაცდა, მსოფლიოს გრიალით უვლიდა რევოლუციის ქარიშხალი, აქ კი ერთი პატარა ქალაქი მყუდროდ გაწოლილიყო ჩხერიის სუფთა წყლის პირას, მაცხოვრისგორის მწვანე კალთასთან და უდარდელად თვლემდა.

შეყოვნდნენ, სანამ კარგად დაბნელდებოდა. ძღვიბი გაუძღვა ჩორნას. თითქოს სწორად მიდიოდა, თითქოს ნაცნობი ორღობეები გაიარა, მაგრამ როცა ეგონა, აგე, შინამდე მივაღწიეო, ადგილი ვეღარ იცნო.

ვინმესთვის უნდა ეკითხა, მაგრამ ყოყმანობდა.

— უკაცრავად, პატონი, ვერ მეტყვით, სად ცხოვრობს ძღვიბი თოლორაია?

ბნელში გამვლელს ძლივს არჩევდა.

— სად და ციმბირში! — ბერიკაცული ხრინწით შეეპასუხა უცნობი. — ამბობენ, იქ ჩაკლესო. თქვენ ვინა ხართ, ასეთ კაცს რომ კითხულობთ?

ძღვიბის პასუხი არ მოეწონა, თუმცა უნდა გაკვირვებოდა, ათი წლის შემდეგ ვიღაცას რომ მისი სახელი ახსოვდა.

— ვიცი, რომ გადაიკარგა, მაგრამ აქ ხომ ჯარგვალი დარჩა და ცოლშვილი!

— ჯარგვალი დაიწვა, — თქვა კაცმა, — ჟანდარმებმა ქნეს ეს საქმე, ძღვიბი რომ დაიჭირეს, მაშინ... ჩათაც დაიჭირეს და იმდენი ცემეს, დაჭლექდაო, ამბობდნენ. ცხოვრობს სადღაც გარეუბანში, გათხოვდაო, ისიც თქვეს... იქნებ ჭორია, თუმცა იმ ქოსას ხომ არ დაელოდებოდა სულ...

ძღვიბიმ ხელი ატაკა კაცს და გვერდზე მიაგდო. ჩორნამაც წიხლი მიაზილა. უადგილოდ აჭიკჭიკებულს ენა, ეტყობა, მუცელში ჩაუვარდა. ძღვიბი კი წინ გავარდა, გზაჯვარედინამდე ირბინა. ჩორნა ქოშინით წამოეწია.

— ჰა, რა დაგემართა? — ხელი თანაგრძნობით შეახო. — ცოცხლები ხომ არიან, მოვნახავთ!

— მომწყდი, ჩორნა! — აფეთქდა ძღვიბი და კვლავ წავიდა, ამჯერად ჩქარი ნაბიჯით.

ჭიშკართან გაჩერდა, სიღრმეში სახლი ჩაბნელებულიყო.

— ნესტორ! — ხმადაბლა დაუძახა ძღვიბიმ.

სახლიდან ჩქამი არ ისმოდა.

— ნესტორ, კაცო, ნესტორ! — ხმას აუწია.

პასუხი არ იყო.

— შინ არ არიან! — დაასკვნა ჩორნამ.

შებრუნდნენ. კარგა ხანს იარეს და ძღვიბი კვლავ გაჩერდა.

ეზოში სახლი იდგა და მოღიავებული კარიდან ჭრაქის სინათლე გამოდიოდა.

ძღვიბიმ მუხლის სისუსტე იგრძნო. სული მოითქვა და შეცვლილი ხმით გასძახა:

— გერა, ჰა, გერა!

ქალმა გამოიხედა.

— ვინ ბრძანდებით?

ძღვიბიმ ცაცანა იცნო, თავის გამჟღავნება არ ისურვა.

— გერა შინაა?

— არ გახლავთ, პატონი! შემობრძანდით, სტუმარი ღვთისაა!

— დიდი უკაცრავად, მაგრამ არა გვცალია! — ძღვიბი სიბნელეში იდგა და ისე პასუხობდა.

კარიდან ბავშვებმა გამოიხედეს. ორნი იყვნენ. ძღვიბი მათ სახეებს ვერ არჩევდა. „უკვე ორი ყოლია!“ — შურმა გაკენწლა.

თვითონ ხეტიალს გადაყვა, ძმაკაცები კი ლოგინს ვერ შორდებიან და ბავშვებს აცხობენ.

— დიდი უკაცრავად, მაგრამ ჩათას სახლი უნდა მიმასწავლოთ!

ცაცანა აივნიდან მთლად გადმოვიდა. ხელს იჩრდილებდა, რათა სიბნელეში რამე გაერკვია, მაგრამ კაცებს ვერა ხედავდა და ხმაში შიში შეეპარა.

— ამ ორღობეს გაყევით, პატონი, სულ ბოლო სახლი იქნება!.. შემობრძანებულიყავით, გერაც საცაა გამოჩნდება!

ძღვიბიმ ხმა გაკმინდა, სიბნელეს შეერია. ჩორნა შავი ლანდივით მიედევნა.

სიცხიანივით მირბოდა... ეგონა, ჩათა დახვდებოდა, ათი წლის უნახავი ცოლი, ჩათბუნდებოდა ცოლქმრულ სარეცელში, ოღონდაც ქალი ეშმაკისაა... ძღვიბი ცხოვრებამ ტანჯვის ზღვაში ათრია, მისი ცოლი კი კარგა ხანია სხვა კაცს ჩახუტებია, სხვასთან ნებივრობს... ქოსას გული ამის გაფიქრებაზეც კი ღვარძლსა და ბოღმაში ცურავდა... მთელი ქვეყნიერების მიერ გათელილს ამ ქალის დანდობის იმედიღა რჩებოდა და არც ამან დაინდო...

ორღობის ბოლოს სახლები შეთხელდა. ბნელში გაყურსულიყვნენ და აქაიქ თუ ჭიატობდა სუსტი ჭრაქი.

ძღვიბი უცებ შეჩერდა, ჩორნა ზედ გადააწყდა, კინაღამ წააქცია.

— აი, აქ! — თქვა ძღვიბიმ.

ღობეწნულთან იდგნენ. ბნელში ჭიშკრის ძებნა არ დაუწყიათ, ღობეს აუტეხეს ლაწალუწი.

დაბალი, ორთვალიანი ოდიდან სუსტი შუქი კრთოდა.

— რომელი ხარ? — იკითხა მასპინძელმა.

— სტუმრები ვართ, კეთილო კაცო, გზა აგვებნა!

— მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა! — შიშიანად შეეხმიანა მასპინძელი.

კიბე არც უგრძვნია ძღვიბის, ასე ეგონა, რაღაც ძალამ ეზოდან პირდაპირ აივანზე შეაგდოო.

კაცუნას დანახვამ მასპინძელი დაამშვიდა, მაგრამ სიბნელიდან ჩორნა რომ წამოიმართა, ხმა დაუტკბა:

— მობრძანდით, მობრძანდით! — თან უჩინარ დიასახლისს გასძახა: — ჩათა, სტუმრებია!

ქალი, ალბათ, აქამდე ტახტზე იჯდა, კაცის ხმამ წამოაგდო.

— მობრძანდით, ბატონო!

იგი არ ჰგავდა იმ გამწლეულ, თამაშთამაშა გოგონას. ათ წელიწადს ისე შეეცვალა, სადმე, ქუჩაში რომ შეხვედროდა, ვერც იცნობდა. ადამიანს თვალები ეცვლება ყველაზე გვიან, თვალებით იცნო თავისი ჩათა და გული შეუხტა.

— აქეთ, აქეთ, ჭირიმე, აქ დაბრძანდით! — ფაციფუცობდა თავგზააბნეული მასპინძელი.

ღარიბულ ოთახში მაგიდა და სადა ტახტი იდგა, ოთხი ტაბურეტი. ლამპა ბუხრის თავზე შემოედგათ და ოთახს მოწითალო შუქი ეფინა.

„ღატაკს გაჰყოლია!“ — ნიშნისმოგებით დაასკვნა ძღვიბიმ. გული ბოღმაში იძირებოდა და მასში პატიების გრძნობა არ გაფაჩუნებულა. ტაბურეტი ფეხით გამოსწია, დაჯდა და ჩორნასაც ანიშნა, დაჯექიო.

დიასახლისი დაბნეული იდგა, თითებით წინსაფარს აწვალებდა და ქმარმა შეუძახა:

— ჩათა, რამ დაგაბნია, დატრიალდი ახლა შენებურად, არ შემარცხვინო!

— ნუ წუხდებით! — ყასიდად ითავპატიჟა ძღვიბიმ.

იგუმანა, ქალმა მიცნოო და მისი დაბნეულობით ტკბებოდა.

— ჩემი სიკვდილი, მთლად გამოვშტერდი! — ხელები გაასავსავა ჩათამ. — კაცო, ღვინო ამოიტანე!

„იქნება შენი სიკვდილიც!“ — განაჩენი გამოუტანა ძღვიბიმ.

მასპინძელმა თითქოს გამოსავალი იპოვაო, მოზრდილ, სიმინდის ნაქუჩით თავდაცობილ კოკას დაავლო ხელი.

— უკაცრავად ვარ, მაგრამ ა, ამ წუთას გეახლებით! ღვინო შემოგვაკლდა, სარდაფი ორ ნაბიჯზეა...

სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს.

„გაგვცემს!“ — უსიტყვოდ იკითხებოდა ჩორნას სიფათზე.

„საპოლიციო უბანი შორსაა, ვერ გაბედავს!“ — გაიფიქრა ძღვიბიმ და მზერა მიაყინა შუა ოთახში გაუბედავად შეყოვნებულ ქალს.

— ჩათა! — ხმადაბლა გასძახა, ხმაზე გაღიზიანება ეტყობოდა.

ქალს თავით ტერფამდე ცახცახმა დაუარა, საწყლად გაუღიმა.

— ჩემი სიკვდილი, ძღვიბი, უმალ გიცანი, მაგრამ რა ვქნა მე დასამიწებელმა!

— ესაა შენი ქალობა? — ბოროტი შურისგებით იკითხა ძღვიბიმ. — ასე უერთგულე გაციმბირებულ ქმარს, ხომ! — ტაბურეტიდან წამოხტა, პირისპირ აეტუზა. ქალი ამ ათ წელიწადში ხორცით ავსებულიყო. სიმაღლეც მომატებოდა და ძღვიბი ქვემოდან აჰყურებდა. — მე იქ, სიცივეში, შიმშილით ვიღუპებოდი, შენ კი იმას ცდილობდი, ლოგინი არ მოგეცდინა, ხომ?

— შენ რომ დაგიჭირეს, ულუკმაპუროდ დავრჩით, ბავშვი კინაღამ გამითავდა... ისიდორემ გამიმართა ხელი, — თავის მართლებას შეეცადა ჩათა, — ბიჭი უკვე დიდია, დღეს ცაცანასთან დავტოვე...

ძღვიბი კბილატკიებულივით დაიჯღანა, თითქოს მუცელში ამოარტყესო, უცნაურად მოიკაკვა, მაიმუნს დაემსგავსა. რაღაც საშინელის თქმას აპირებდა, მაგრამ პირიდან სისინი ამოსდიოდა და ზარდაცემული ქალი გაბრუებული იდგა.

ჩორნამ ვერაფერი გაიგო ამათი ლაპარაკისა, იჯდა, ტაბურეტს აჭრაჭუნებდა და ხან ერთს მიაჩერდებოდა, ხან მეორეს.

ძღვიბის უხსენებლის პაწია თვალები დაუვიწროვდა. მის აღგზნებულ ტვინში მხოლოდ ერთი აზრი ტრიალებდა: აქვე, ახლავე, რამენაირად ეძია შური!.. სასჯელი უნდა ყოფილიყო სასტიკი და შეუბრალებელი. „წავაქცევ ტახტზე და ჩორნას თვალწინ ავხდი ნამუსს!“ — გულღრძოდ გაიფიქრა, მაგრამ ამ წამიერმა აზრმა უფრო გააბოროტა... ვერ შეძლებდა, კაცობა არ ეყოფოდა... სისხლიან ორომტრიალში დაკარგა ძღვიბიმ მამაკაცური ძალა. პირველად ამას რომ მიხვდა, კინაღამ ტყვია დაიხალა. თავი ვერ გაიმეტა, მაგრამ ქალის სინსილა შეზიზღდა. დარჩენილ სიცოცხლეს მისცემდა ახლა, ოღონდ ის ძალა მობრუნებოდა. იმისთვისღა ჭირდებოდა, მოღალატე ქალი ტალახში ჩაეზილა და შურისძიებით დამტკბარიყო.

ჩათა გუმანით მიხვდა, ძღვიბის სულში საშინელი რამ მზადდებოდა, შიშისაგან მუხლები მოაწყდა, ძირს დაეშვა და ხმაჩავარდნილმა შესთხოვა:

— მაპატიე, ძღვიბი, მე უბედურს!

— მე ვინ მაპატია! — თითქოს უკბინესო, შეხტა ძღვიბი. საკუთარმა უძლურებამ გაამწარა, თხელი პირიდან სისინით გამოსცრა: — ბოზო, უკაცოდ ვერ გაძელი, ხომ? აგერ მოგიყვანე შენი სადარი ახვარი! ჩორნა, მიდი!

ჩათამ ვერ გაიგო, რას უპირებდნენ. თითქოს დაყრუვდაო, სიტყვათა აზრმა მის ცნობიერებაში ვერ ჩააღწია. ოღონდ უზარმაზარი, ნიჩაბივით სახემოქცეული ჩორნა რომ წამოვიდა, ძღვიბის მუხლებზე მოეხვია:

— არა, არა!

ძღვიბიმ ცივად მოიშორა.

— არა, არა! — იწივლა ქალმა, მაგრამ ჩორნა უკვე თავზე ადგა. პირზე ხელი ააფარა, იატაკს მოწყვიტა და ტახტზე დააგდო. ქალი ასხმარტალდა, გიჟივით გაუწია წინააღმდეგობა. ოღონდ ბაყბაყდევის ღონიერ ხელებს ვეღარ უსხლტებოდა, — ჩორნა ხვიხვინებდა და კაბას ახევდა.

ძღვიბი კართან წამით შეყოვნდა. არ უნდოდა მოეხედა, მაგრამ უნებლიეთ მზერა გააპარა. ქალის შიშველ ბარძაყებს ჩორნას ბინძური ლეში გადაჰფოფრებოდა.

გულისრევა მოაწვა. იქვე, კიბესთან ანთხია.

ოთახიდან ფხაკური და ორთაბრძოლის ხმა გამოდიოდა და ძღვიბიმ თანდათან ჭკუაზე აიწია.

წაკუზული იყო და ვერა და ვერ იოკებდა ღებინებას.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხანში ზღურბლზე ჩორნა გამოჩნდა.

ძღვიბი თავს ძლივს მოერია. პირი შხამით ჰქონდა სავსე. ხმა დაიმორჩილა და ნაძალადევი გულგრილობით ჰკითხა:

— რა ქენი, ჩორნა?

— მე არ მინდოდა... — ენა დაება ჩორნას. — არ იკივლოსმეთქი და მოვუჭირე... ეტყობა, მეტი მომივიდა!

— გაგუდე?

ჩორნამ სუსტად ჩაისლუკუნა.

— წავიდეთ! — დაუგდო ძღვიბიმ და სიბნელეს შეერია.

ჩორნა ფეხდაფეხ მიჰყვა. შიშიანად კრუსუნებდა, თავს აცოდებდა.

წინიდან ფეხის ხმა მოისმა, ვიღაცა აჩქარებით მოდიოდა.

— მისმინე, ჩორნა! — ჩასჩურჩულა ძღვიბიმ. — ქმარი ბრუნდება. შინ რომ მივა, განგაშს ატეხს და ვეღარ გავასწრებთ. მიდი, გააჩუმე, სანამ ვერაფერს მიმხვდარა!

ჩორნა უსიტყვოდ გავარდა. ძღვიბი ღობის ჩრდილს აეკრა. თვითონ არ ჩანდა, ორ ლანდს კი შესანიშნავად ხედავდა.

ჩია კაცს მხარზე რომ შემოედგა, ცხადია, ღვინის კოკა იყო.

გზაზე შავ კლდესავით წამოიმართა ჩორნა და კაცი ზედ გადააწყდა.

— ა! — ერთი ბგერაღა აღმოხდა. ტკაცანი გაისმა. ეს ჩორნას მძიმე მუშტი დაეშვა ჩია კაცის თავზე. ძირს დავარდნილი დოქი გასკდა და ჰაერს ღვინის სუნი შეერია.

— გავიქცეთ! — ჩაუქროლა ძღვიბიმ.

ორივენი კარგა ხანს გარბოდნენ.

მერეც დიდხანს იხეტიალეს აღმადაღმა.

გარიჟრაჟზე ხურჩას პირას გააღწიეს, იქ, სადაც მღვრიე ხურჩას ჩხერია უერთდებოდა.

აღმოსავლეთით მზე ამოიწვერა და ჟანგისფერი სხივები გადმოაფინა.

დაღლილი ძღვიბი ხაბოზე ჩამოჯდა. მდინარე ფართოდ მიაქანებდა ტალღებს, ნესტი და სიცივე ამოდიოდა და ძღვიბის აცახცახებდა.

იჯდა და თავისი უბედური გზების უნებლიე თანამგზავრს გაჰყურებდა.

ჩორნა ნაპირზე ჩაცუცქდა, ხელები დაიბანა, წყალი პირზე შეისხა.

— ჩორნა! — ხმადაბლა დაუძახა ძღვიბიმ.

ჩორნამ უხმოდ ამოხედა. არ მოეწონა ეს ხმადაბალი შეძახილი. ძღვიბის ხელში მაუზერი ეჭირა და არც ეს მოეწონა ჩორნას.

— შენ დღეს საკუთარ თავს გადააჭარბე, ჩორნა! — შემპარავი ალერსით თქვა ქოსა ძღვიბიამ. — ის ქალი ჩემი ცოლი

იყო და ეს შენ იცოდი, ჩორნა... ჩემი შვილის დედა... ჩათა ერქვა... მე ის მიყვარდა...

ნაწყვეტნაწყვეტ ლაპარაკობდა, თითქოს ყოველ სიტყვას სასწორზე წონიდა.

გაჩუმდა და მაუზერი ასწია.

— რას შვები, ხომ არ გაგიჟდი! — შეუძახა ჩორნამ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ძღვიბიმ სასხლეტს თითი გამოჰკრა. ტყვიამ ბაყბაყდევს გულმკერდი შეუნგრია, ხურჩას მღვრიე ტალღებმა მის წიაღში გადავარდნილი ჩორნა ტაატით წაიღო...

13

მერეთი ემზადება სადღესასწაულოდ. მთელი ქალაქი გადაწითლებულა. დროშები, ყველგან დროშები... ელნათურების ბოძებზე, აივნებზე, დაწესებულებებზე... ქუჩების გარდიგარდმო ვეებერთელა ტრანსპარანტები გაჭიმულა, რუსულ და ქართულ ენებზე უსასრულოდ მეორდება ერთი და იგივე: „გაუმარჯოს... გაუმარჯოს... გაუმარჯოს!..“ სურათები... სურათები... მარქსენგელსლენინსტალინი, ან ლენინსტალინი, ან სტალინი და მისი თანამებრძოლები... მოლოტოვი სათვალიდან ბეცად იყურება... ბერიას პენსნე უკეთია... ვიშინსკი იმპერიალისტურ აგენტებს სჯის... ყველგან კვლავ სტალინი, სტალინი, სტალინი...

ბერი ზაქარაიას სულში უხერხულობის შეგრძნება იბადებოდა. არ მოსწონდა ეს სიჭრელე და აურზაური, თავის ტკივილი ეწყებოდა. სურდა გარიდებოდა ყოველივეს, მაგრამ ეს იყო არსებობის ერთადერთი ფორმა და მოცემულ განზომილებას ვერსად გაექცეოდა. პირიქით, ყველა მსგავს ზარზეიმში უნდა ჩაბმულიყო, ქალაქში გამორჩეული პიროვნება ამ პატივს ვერ დაემალებოდა.

ჩვეულებრივ კოლონის თავში აყენებდნენ ხოლმე. ეს მისი მუდმივი ადგილი იყო საშვიდნოემბრო თუ საპირველმაისო

მსვლელობისას. კულტურის ფრონტის მუშაკები ცალკე კოლონად ეწყობოდნენ. ყოველთვის ერთი და იგივე ლოზუნგი მოჰქონდათ: „კულტურა პარტიის ერთგული მსახურია!“ „პირისფარეშია!“ — ზიზღით გაიფიქრებდა ბერი. ამისი ხმამაღლა გაცხადება კი არა, იცოდა, გაფიქრებაც საშიში იყო. „ლაქიაა!“ — მაინც არ ეშვებოდა ასეთ ფიქრს, აკრძალულის სიტკბოება წამლავდა. ისე კი, სასულე ორკესტრის გრიალში, დემონსტრანტთა ნავარჯიშევ „ვაშაში“ მისი სუსტი ხმაც ალბათ თავისას აკეთებდა. სხვანაირად არც გამოუვიდოდა. იმიტომაც იყო გამორჩეული, იმიტომაც მიაბიჯებდა სხვაზე წინ, ქვეყანას ცოდნოდა, ვინ ვის უწყობს ნაბიჯს, ვინ უფრო გამოხატავს ენთუზიაზმსა და ერთგულებას. ტრიბუნაზე ჩამწკრივებული ხელმძღვანელი ამხანაგები ნაცრისფერ სილუეტებად აღიქმებოდნენ. ბერიმ იცოდა, რა ძალა იმალებოდა ერთ თარგში გამოჭრილ ამ სილუეტებში და ხელს უქნევდა, ნიშნად იმისა, თქვენი ვარ, ეჭვიც ნუ შეგეპარებათო... გასცდებოდა მოედანს და დაღლილი, მოთავებული ბერი გაიფიქრებდა: როდემდე? ნუთუ მთელი ცხოვრება ასე „ვაშას“ ძახილით უნდა გავლიოო... იქნებ ჯობდეს, ტყვია დავიხალო და ამით მოთავდება ყველაფერიო... მაგრამ ეს იქნებოდა გამოწვევა, ამბოხი, ბერი კი მეამბოხედ არ იყო გაჩენილი... ამბოხის წილ ისღა შეეძლო, ფეხაჩქარებით გასცლოდა ხალხმრავლობას, მიეტოვებინა უმეცართათვის მოგონილი საზეიმო რიარია...

მიაღწევდა მაცხოვრისგორის ძირს, აჰყვებოდა კიბის საფეხურებს, ფეხს მანამ უჩქარებდა, სანამ ქოშინი აუტყდებოდა. ღონე არ ყოფნიდა, ას მეერთე, ბოლო საფეხურამდე ასასვლელად. შეჩერდებოდა სულის მოსათქმელად, ამ დროს გულზე ხელი ჰქონდა მიდებული. შემობრუნდებოდა ქალაქისაკენ, გახედავდა.

ეულად, მარტოსულად ცხოვრობდა ბერი ზაქარაია. დედამიწის ზურგზე არავინ და არაფერი გააჩნდა ამ ქალაქის გარდა. ქალაქი კი, თბილი, ნაზი, მოსიყვარულე, ხანდახან ურჩხულს ემსგავსებოდა, მზად რომ იყო, თავისი უგუნურობით გაესრისა ბერის მეობა.

დღესაც აქ, ამ კიბეზე ამოირბინა, შემობრუნდა. გახედა ფერხთით გაშლილ მერეთს, შემოდგომის ყვითელვარდისფრად შეღებილ ბულვარს, ყავრიანკრამიტიან ოდასახლების უსასრულო რიგს... საფეხურზე გაზეთი დაიფინა, დაჯდა და გაყუჩდა.

მაცხოვრისგორის ფერდობზე გრილი ნიავი დაფაჩუნობდა, მყუდროება და სიწყნარე სუფევდა. ლურჯი ცა ახლოს იყო, ქალაქის არეული ხმები კი ციდან ექოდ ეფინებოდა, ნელდებოდა, რბილდებოდა...

სადღაც ცის ტატნობზე გაბერილი ბუშტი ტივტივებდა, კუდად წარწერიანი წითელი ნაჭერი გამობმოდა. წარწერა აქედან არ იკითხებოდა, მაგრამ ისედაც იცოდა ბერიმ, რაც ზედ ეწერა,.

„ნუთუ ოცდაათი გავიდა?“ — ამოიოხრა.

დიახ, თითქმის ოცდაათი წელი გავიდა იმ დღიდან, როცა თორმეტი წლის ბერი მაცხოვრისგორასთან მძიმედ დატვირთულ კაცს წააწყდა.

წელზევით შიშველს მხრებზე ქვის საფეხური შემოედო და ჩხერიისპირა ბილიკით ამოდიოდა.

კუნთები ეძაგრებოდა, ბურთულებივით ასხდა ტანზე. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა თავკისერზე.

„ლამაზი კაცი იყო ცხონებული, — სევდამ შეიპყრო ბერი, — ახალგაზრდული, ჩამოსხმული ტანი ჰქონდა, სული კი ბერიკაცივით ბრძენი. მიხვდა, რომ დროჟამმა კალიბანს გაუხსნა ასპარეზი, არიელი კი დააკნინა, ჰარმონიული წონასწორობა დაირღვა... თავისი ამ ახირებულობით შეეცადა დარღვეული წონასწარობის აღდგენას...“

მართლაც ახირებული კაცი იყო გერა კვარაცხელია. მეამბოხედ დაბადებული, ვეღარ ეგუებოდა ხელმწიფეთა ხელმწიფობას, თავს მხოლოდ უფალს უხრიდა. ეს იყო მესამე გზა, რაკი იმ დროს ერთი გზა ხელმწიფის მსახურება იყო, მეორე — მისი სრული უარყოფა.

„ხერხემალს გადაიტეხს საცაა!“ — შეშინდა ბერი. უნდოდა, წაშველებოდა, მაგრამ რაღაცამ შეაკრთო, ღონე წაართვა, ისე მიმოიხედა, თითქოს საძრახის საქმეზე წაასწრესო. შემ-

დგომ, უკვე ასაკში შესული, იხსენებდა იმ გაუგებარ შიშს. მიზანს ვერ მივუხვდი და იმან შემაშინაო, ფიქრობდა. იქნებ შერეკილი იყო გერა კვარაცხელია! მაშინ მისი მოქმედება იოლად აიხსნებოდა. მაგრამ თუ შერეკილი არ იყო, თუ ის უზენაეს ნებას ემორჩილებოდა?..

ასეთ კითხვებზე პასუხს თორმეტი წლის ბერი ვერ დაძებნიდა. მონუსხული უთვალთვალებდა უცნაურ კაცს. იგი ნელა მოაბიჯებდა, ფეხს მყარად ადგამდა. ასე მიაღწია პირველ საფეხურამდე, მოსინჯა, ხვნეშით აიწია. ახლა მეორე მოსინჯა. ასე თანდათან მიიწევდა ერთი საფეხურიდან მეორეზე, მაღლა და მაღლა, ბოლო საფეხურამდე... იქ ჩაიკუზა, ტვირთს ადგილი მოუძებნა, რათა დარტყმისაგან თლილი საფეხური არ გაპობილიყო. მერე წინასწარ გამზადებული ფუძე შეასწორა, აუჩქარებლად მოზილა დუღაბი, გადაუსვა. ლოდი გამოაჩოჩა, ჩასვა როგორც საჭირო იყო... ზედ ჩამოჯდა და ქალაქს გახედა...

— რაო, გიკვირს? — ჰკითხა ბერის, ულვაშებში ჩაეღიმა.

ყმაწვილი გაწითლდა, ეგონა, ვერ ამჩნევდნენ.

— ეს თეთრი კიბე აი, იმ ტაძარზე აგვიყვანს! — აუხსნა კაცმა.

ტაძარი ისე მაღლა იდგა, ასი წელი დასჭირდებოდა კიბის იქამდე აყვანას.

„მოცლილი უნდა იყო!“ — გაიფიქრა ბერიმ.

გერა კვარაცხელია მოცლილი არ იყო.

ჟამი იდგა მოუცლელობისა... რევოლუციამ შვა რესპუბლიკა, რესპუბლიკას ახალი ფორმა და ახალი სული სჭირდებოდა. ჰქონდა კი რესპუბლიკას დრო ისეთი ფორმის ჩამოსასხმელად, იმავდროულად ჭეშმარიტი სულიერების ჭურჭელიც რომ იქნებოდა!

ერთხელ კაცი ვინმე მოვიდა, გვარდიელის კიტელი ეცვა. მტკიცე მიმოხრა ჰქონდა, ხელი რევოლვერის ბუდეზე ედო.

ახედა გერას ნამუშევარს და თქვა:

— კიბე მარადისობისაა, ჩვენ კი ახლა გვიჭირს!.. რა არის უზენაესი მიზანი?.. სამშობლო! მისი აღშენება!.. სამშობლო აგერაა! — კაცმა ხელით ჰაერი შემოხაზა, თითქოს მთელ მერეთს

შემოავლო. — უნდა ავაშენოთ, საკუთარი ფორმა მივცეთ. მას კიბე კი არა, მაუზერი და ახალი კანონები სჭირდება!

გერამ ხელსაწყოები ჩანთაში ჩაილაგა, შინ წამოვიდა. ღამით ცაცანას სამფერი დროშა შეაკერინა. დილით ბულვარზე ფრიალფრიალით ჩამოატარა, მაზრის სამმართველოს შენობამდე მიიტანა, იქ აივანზე გადმოკიდა და კაბინეტში მაგიდას მიუჯდა.

— ვინ ჩიქვანმოხელეა, დაჭერას რომ მიბედავს! — გაიგონა რიხიანი შეძახილი და ნესტორ თოდუა შემოუყვანეს...

„სიკეთით უნდოდა რესპუბლიკის დაცვა, — ნაღვლიანად ფიქრობდა ბერი, — ნუთუ ბოროტება უფრო ძლიერია? სიკეთე ვერ გაუმკლავდა ბოროტებას!“

ოცდაათი წელი ვერ განიკურნა ბერი ზაქარაია იმ სიმთვრალისაგან. ვინმეს რომ გაეგო, მუზეუმის დირექტორი კიბეზე იმიტომ ჩამომჯდარა, მეხსიერებაში ყველასაგან მივიწყებულ და წაშლილ შინდისფერ რესპუბლიკას აცოცხლებსო, ოჰოჰო!.. ფიქრიც ხომ საშიში იყო, ოღონდ სად გაექცეოდა საკუთარ წარსულს. სიმთვრალის ჟამს ადამიანს რეალობის გრძნობა ეკარგება. იქნებ იმიტომაც ეჩვენებოდა ის შორეული წლები მარად გაზაფხულად, გერა კვარაცხელია კი იმ გაზაფხულის მეკვლედ... „ხალხი ჩვენს მხარესაა!“ — იტყოდა გერა და მართალიც იყო. ხალხი მის მხარეს იდგა, თუმცა ბევრმა არც იცოდა რატომ... ზოგს შინდისფერი დროშის ფრიალი მოსწონდა ალბათ, ზოგს რესპუბლიკა, ზოგს გერა კვარაცხელია...

მერე მოვარდა ჭუჭყიანი ზვავი. ქვაფენილზე ფლოქვები არაკუნდა, ჩექმები აბრახუნდა, ზარბაზნისა და ოთხთვალების რკინისსალტიანი ბორბლები აგრიალდა... საიდანღაც ჩამოიღვარა ხაკისფერი ტალღა დაუბანელი სალდათებისა, გზაგზა ტილი რომ ცვიოდათ... ნაკვალევზე უბნის ქათმები კენკავდნენ, თან ფრთხილობდნენ, მანდ არ დაგვიჭირონ და ცოცხლად არ გაგვპუტონო...

ამ უთავბოლოდ და უსაშველოდ გაჭიმულ არმიას, ვინ იცის სად ნაომარს, ახლა კი აღთქმულ ქვეყანაში ჩამოღწეულს, წინ, დახეთ, თეთრ ცხენზე ამხედრებული ქოსა ძღვიბია მოუძ-

ღვის, ვერ გაიგებ სარდლად, თუ უცხო ძალის მეგზურად საკუთარ სამშობლოში. პირისახე მაიმუნის ნიღაბივით უცინის, გამარჯვების სიხარულს ველარა მალავს... ქოსას გვერდიგვერდ შავცხენოსანი ნესტორ თოდუა ასდევნებია, გაუღიმარი და მკაცრი, ბედისწერასავით უცხო და გაუგებარი.

მოდიან თავიანთ ქვეყანაში, ხელთ წითელი დროშები უპყრიათ, ზედ არაქართული წარწერებია, მერეთში ორი კაცი ძლივს რომ ამოიკითხავს...

გერა კვარაცხელია კაბინეტიდან გამოდის. აივნიდან სამფეროვან დროშას ჩამოხსნის, დაკეცავს, გულის უბეში ჩაიდებს... მერე კიბეზე ჩამოირბენს და ტროტუარზე ჩერდება.

აგერ ხაკისფერმა ტალღამაც მოაღწია. ცხენები შეაჩერეს ძღვიბიმ და ნესტორმა.

— გერას გაუმარჯოს, გერას! — იძახის ძღვიბი. — დავბრუნდით, გერა, გავყარეთ ბურჟუები და თავისუფლება მოვიტანეთ!

გერას პირი მოუკუმავს, დგას, სადღაც სივრცეში, ძღვიბის მიღმა იყურება.

ახლოს მოაგდი ნესტორმა ცხენი, გადმოიხარა, უთხრა:

— ნუ გვიწყენ, გერა, უსაქმოდ დაგვირჩები, შენი ხელისუფლება ჩაბარდა წარსულს! შენმა მთავრობამ ოქროვერცხლი მიიტაცა და გემით მოუსვა!.. წინ ბევრი დრო გაქვს, შეგიძლია ქვები ათრიო და კიბე აშენო! ძალიანაც კარგი იქნება, კიბის თავზე ამ წითელ დროშას რომ ავაფრიალებთ!

— რა კიბე? — იკითხა ძღვიბიმ.

— ნახავ, რა კიბესაც გვიშენებს ეს ყმაწვილი! — ნესტორის ხმაში მუქარა გაკრთა.

გერა უტეხად უსმენდა, პასუხი არ მიუცია.

ძღვიბიმ და ნესტორმა ცხენები დაძრეს. ბულვარის ბოლოს, მოედანზე მცირერიცხოვანი ბრბო შეყრილიყო, კრებული ადამიანთა, ყოველ ახალ ხელისუფალთ ფიანდაზად რომ დაეგება...

14

იგი იმ კიბეზე დაიღუპა, ას მეერთე საფეხურზე... ოფიციალური ისტორიოგრაფია წვეთ ცრემლს დააპკურებდა ხოლმე მის ხსოვნას. სასკოლო სახელმძღვანელოში ეს ამბავი ერთი წინადადებით იყო მოხსენიებული, ხელისუფლების მტრებმა სიცოცხლე მოუსწრაფესო... ამ მთავარ წინადადებას ზედ დამოკიდებული ეკიდა, ახალი ხელისუფლებისადმი მისი ერთგულების გამოო.

— სწორია ეს! — ტუტუნებდა ცაცანა. — თავის ძმებს, ძღვიბის და ნესტორს ხომ არ შეებრძოლებოდა? თვითონაც სოციალისტი იყო, მენშევიკებმა არ აპატიეს განდგომა...

— მგონი ოცდასამში მოხდა ეს ამბავი! — ჩაფიქრდა ბერი.

— შენ არ გახსოვს? — ეფროს მიუბრუნდა ცაცანა. — ოცდაორი იყო თუ ოცდასამი?

— ნეტავი ამ გამოჩერჩეტებულ დედაბრებს არ უსმენდეთ! — გაბრაზდა უცებ ეფრო, პირი მკაცრად მოკუმა და მეტი სიტყვა ვერ დააცდენინეს.

რისი გაგება სურდა ბერი ზაქარაიას? რა უფლება ჰქონდა დაერღვია მწყობრი მითი სამი ძმადნაფიცის შესახებ. შენობალეგენდა ხელშეუვალი იყო, აგურს თუ გამოაცლიდი, დაინგრეოდა.

იმ დღეს ძღვიბი თოლორაიამ და ნესტორ თოდუამ ახლადგამოჩეკილი კომკავშირლები მიუსისინეს მაცხოვრისგორის ტაძარს. ნესტორი ჩუმად იჯდა კრებაზე, კუშტად იყურებოდა. ძღვიბი კი ტრიბუნაზე იდგა, წითელი ლოზუნგის ქვეშ — „რელიგია ხალხის ოპიუმია!“ იდგა და გულზე ხელს იბრაგუნებდა:

— ღმერთი?.. აბა, სად არის ღმერთი?.. თურმე ნუ იტყვით, შვიდ დღეში შეუქმნია მთელი სამყარო. ზის ოქროს ტახტზე, იტყვის, იყავნ ნათელი და გაჩნდება სინათლე. ჩვენ, ბოლშევიკებს, ამისთვის ღმერთი არ გვჭირდება, ელექტრონათურით გავანათებთ არემარეს... ისე აჩახჩახდება, თქვენი მოწონებელი, ღამეს სულაც გავაქრობთ!.. ღმერთი კეთილიაო!

კეთილი თუ არის, ის თავისი ოქროს ტახტი გადაადნოს და გაჭირვებულ პროლეტარიატს წაახმაროს... ამას ის არ გააკეთებს! ან რანაირად გააკეთებს, როცა არ არსებობს!.. ეს მღვდლები გვატყუებენ, ღმერთი არისო. რისთვის დასჭირდათ მღვდლებს ეს სიცრუე? ჯერ ერთი, იმისთვის, რომ თვითონ უშრომლად იცხოვრონ, ტკიპასავით მიეკრან ღარიბ გლეხობას და პროლეტარიატს... მეორედა, ეს სიცრუე იმისთვის სჭირდებათ, რომ დაგვაბრმავონ და ჭეშმარიტებას აგვაცდინონ... ნუ იქურდებო, ნუ წაგლეჯო, მტერს აპატიეო!.. ცარიელი, რახარუხა სიტყვით ძნელია ჩვენი მოტყუება. ჩვენივე ხარჯით ლამაზლამაზ ეკლესიებს იშენებდნენ, ოქროვერცხლით მორთავდნენ და ამით გონებას გვიბნელებდნენ!.. აგერ, მაცხოვრისგორისაკენ გაიხედეთ! საითკენაც არ მიბრუნდები, თვალში გვეჩხირება და ღმერთით გვაშინებს!.. ჩვენ უნდა მოვსპოთ ეს ტაძარი, ავაფეთქოთ, გავაცამტვეროთ და იმის ნანგრევებზე პროლეტარიატის ძლევამოსილი დროშა აღვმართოთ!.. ის დროშა იქნება ჩვენი ღმერთი!

— ასე რომ, ამხანაგებო, — ალაპარაკდა ნესტორი, — მაცხოვრისგორის ტაძარი ქარქაშიდან ამოღებული ხმალია, ოღონდ მტრის ხელში! ამიტომ მტერს იგი ხელიდან უნდა გავაგდებინოთ!.. დღესვე წითელი დროშებით და დინამიტით მოვაწყოთ ლაშქრობა... მობრძანდი, ამხანაგო ბერი, აქ დაჯექი! შენ კაი ხელი გაქვს. აი, ამ ქაღალდზე დაწერე მერეთის კომკავშირელთა მტკიცე გადაწყვეტილება... კენჭი ვუყაროთ, ამხანაგებო, ვინ არის მომხრე, დღესვე დაინგრეს მაცხოვრისგორის ტაძარი? ხელი მიჩვენეთ, ამხანაგებო, ხელი! ნუ ჭოჭმანობთ!

ბერი იჯდა წითელი ნაჭრით გადაფარებულ მაგიდასთან, თავისი ლამაზი კალიგრაფიით გამოჰყავდა კომკავშირული დადგენილების ტექსტი, მარცხენა ხელი კი ზევით აეწია თანხმობის ნიშნად.

— ერთხმად! — კმაყოფილებით თქვა ნესტორმა.

— ერთხმად! — ბეჭედი დაადო ძღვიბიმაც.

კრება აიშალა, ახალგაზრდები ქუჩაში გამოცვივდნენ, ოთხრიგად დაეწყვნენ. წინ უზარმაზარი ალამი წაიმძღვარეს, ლოზუნგები ზე ასწიეს — „რელიგია ხალხის ოპიუმია!“ „ძირს

ბნელეთის მოციქულები!“ „ტახტიდან ნიკოლოზი ჩამოვაგდეთ, კერენსკი ჩამოვაგდეთ, ჟორდანია ჩამოვაგდეთ, ღმერთსაც ჩამოვაგდებთ!“

ნესტორი და ძღვიბი დადგნენ გვერდიგვერდ, წამოუძღვნენ.

ბერის გული კრთოდა შიშიანად. დიახაც, ღმერთი არ იყო, მაგრამ იქნებ იყო კიდეც! იქნებ ახლაც ზის ოქროს ტახტზე ცათა შინა, დაჰყურებს თავის ბეც, დაბრმავებულ შვილებს და სინანულით თავს აქნევს... ნუთუ გაჯავრდება და ციდან მახვილს სტყორცნის, აღგვის პირისაგან მიწისა... ოღონდაც, ღმერთი ლმობიერია, რა თქმა უნდა, თუ არსებობს... ღვთის უარმყოფელი ყველა რომ მოესრა, ქვეყანაზე სისხლის ტბები ვეღარ დაშრებოდა... შვილები ხშირად ზურგს აქცევენ მშობლებს, მაგრამ რომელი მშობელი სჯის ამის გამო მახვილით შვილს.

ბერიმ მოკრძალებით ახედა ზეცას. ლურჯ სარკეში თითქოს დალანდა რაღაც თეთრი და სპეტაკი... სხვებთან ერთად პირი დაეღო, სხვებსავით ყვიროდა — „ძირს!“ გუნებაში კი ფიქრობდა: „ღმერთო მაღალო, რომელი ხარ ცათა შინა, შემინდე!..“ დიახ, მამამისმა სოლომონმა შეუნდო ბერის, კედლისაკენ შებრუნდა და ჩუმად მოკვდა... ღმერთიც მამასავითაა, შემწყნარებელი, შემნდობი, მპატიებელი...

სწორედ ამ დროს გერა კვარაცხელია ჩხერიისპირა ჭალაში ასმეერთე საფეხურს ეჭიდებოდა... ბოლოთი მიწას მოწყვიტა, ააყენა და ბეჭზე დაკეცილ პერანგს იფარებდა, რათა კანი არ გადახეხოდა.

წამით გაირინდა.

თხმელის ფოთლები შრიალებდა სუსტად. ჩხერია მილუკლუკებდა თავისთვის. ფოთოლთა შრიალი წყლის ლუკლუკში გადადიოდა და ამ მონოტონურ, დამამშვიდებელ ხმებში ჩაიწნა რაღაც შემაშფოთებელი, ულოგიკო... ჩხერიას გაღმა, ოდებსა და ეზოებს იქით რაღაცა ხდებოდა.

გერა წაიხარა, ლოდს შუაზე უსწორა, აქაჩა. ტვირთი მეტად მძიმე იყო. კუნთები დაებერა, ძარღვები დასკდომაზე ჰქონდა. წელში ჩუმმა ტკივილმა გაჰკრა... ბოლო დროს უჭირდა. ადრე ჩიტივით მიჰქონდა ასეთი ლოდი. მერე სხეულში ტკივილი გაჩნდა და ხანდახან შეახსენებდა თავს, თუ უხერხულად

გაიმართებოდა წელში, ან დაღლილობა დაუგროვდებოდა, ან სულის სიმტკიცე წამით დააღალატებდა.

ნაბიჯი წარსდგა. კვლავ ჩხვლეტა იგრძნო. ლოდი უჩვეულოდ მძიმედ აწვა, თითქოს ამჯერად უფალი არ აშველებდა ხელს. წუწუნი და ოხვრა მაინც არ შეიძლებოდა, დათქმულს ვეღარ გადათქვამდა.

ფიქრი ტკივილს აყუჩებს და ამიტომ გონებით მერეთს გადასწვდა. ახლა უფრო აშკარად მოესმა ხმები, ბრბოს მოძრაობით რომაა გამოწვეული... ნესტორი და ძღვიბი ერთობიან ალბათ, აღმადაღმა დაარბენინებენ ახალი თაობის ბიჭბუჭებს... რა სწრაფად იცვლება ჟამი ოხერი! განა გუშინ არ იყო, გერა, ძღვიბი და ნესტორი პირველ პროკლამაციას რომ დაჰკანკალებდნენ, მომავალს ვარდისფერებში ხედავდნენ, მათ გულებს ავი ზრახვა არ ეკარებოდა, თავს სიკეთისათვის მოწოდებულად რაცხდნენ... ნესტორის გულში დრომ სისასტიკე ჩააბუდა, ძღვიბი კი, ქოსა ძღვიბია, რევოლუციას ისე მოერგო, როგორც ლურჯა ცხენს პირუტყვის ტკიპა...

ლოდი უფრო დამძიმდა თითქოს, წელში მოზნიქა გერა, ტკივილი მოეძალა, გაძლება გაუჭირდა... თავიდან ამოიგდო ნესტორზე და ძღვიბიზე ფიქრი, ცაცანას მისწვდა...

ცაცანა ჩუმად წუწუნებდა ხოლმე. ქმრის არჩევანი არ მოსწონდა. წითელ სამკითხველოში დადიოდა. იქ თხელყდიან, ჩაყვითლებულ ბროშურებს უკითხავდნენ. შინ დაბრუნდებოდა და ცდილობდა იმ დღეს შეძენილი მწირი ცოდნა გერას ტვინშიც ჩაეჭედა. გერა ჩუმად უსმენდა, არც ეპაექრებოდა, არც თანხმდებოდა. პატარა მართა დაბაჯბაჯებდა უკვე, საცვალი მუხლამდე მოსთრევდა. „ოსური*, მიხედე ბავშვს!“ — იტყოდა გერა მტკიცედ და ცაცანა გაჩუმდებოდა, გაიბუსებოდა. სწყინდა, ნესტორი და ძღვიბი წითელ ალმებს რომ დააფრიალებდნენ, გერა კი, თავისი ახირებულობით, ლოდებს დაათრევდა...

ვიწრო, ხვინჭკიანი ბილიკი მირბოდა ჩხერიის გასწვრივ. გერას ხან კენჭები უსხლტებოდა ფეხებქვეშ, ხან მაგუიას თხელ ლანჩაში ატანდა და ტერფს მტკივნეულად უსერავდა.

მერე ბილიკმა ნაპირიდან ნავენახარზე გადაირბინა და ქალაქიდან მომავალ შარაზე გავიდა. ამ ადგილიდან კაკლებიც ჩანდა და ხიდიც, მაგრამ მძიმე ტვირთქვეშ მოხრილ გერას თავის აწევა არ შეეძლო. ოფლის წვეთები ცხვირის წვერზე უგროვდებოდა და, რაკი ხელები დაკავებული ჰქონდა, მოწმენდასაც ვერ ახერხებდა.

ხმები წამოეწია, თითქოს უთვალავი ადამიანი მოაბიჯებდა ფეხაჩქარებით, მტვრიან შარაზე ლანჩებს ბათქუნი გაჰქონდა. ხმები თანდათან ძლიერდებოდა, უცბად ბრაგაბრუგში გადაიზარდა და გერა მიხვდა, ხიდზე გადმოდიოდნენ.

შებრუნდა და მძიმედ დაუყვა მაცხოვრისგორის შარას, პირველ საფეხურს შორი არ უკლდა.

„ვინ მოდის? — ფიქრობდა თავისთვის. — უცხო ჯარებით გაივსო ქვეყანა!.. მოდიან და მოდიან!.. თავიანთ ქვეყანაში ვერ დაეტიენ?“

სიყმაწვილიდან მეამბოხის ჭია გაუჩნდა, ბოროტების ძლევაზე და სიკეთის აღზევებაზე ფიქრობდა, მაგრამ შავი ბრბოს ყოვლისდამთრგუნველ ძალმომრეობას შეესწრო და უკვე არ იცოდა, რისთვის იღვაწა აქამომდე — ბოროტისთვის თუ სიკეთისთვის.

ერთადერთი, რაც არ ეეჭვებოდა, იყო თეზა: „კიბე სიკეთეა!“ ის მაღლა მიემართებოდა, თეთრი ტაძრისაკენ!

აგერ პირველი საფეხურიც!

მავანს მინდორი მოეტკეპნა მთისძირას, მოესწორებინა. აქედან არბოდა თეთრი კიბე ფერდობზე, მოხრილი ისარივით იწვა მწვანე ვარაყში.

გერამ ფეხი შედგა საფეხურზე, აიწია, რათა მეორე ფეხიც აეზიდა... ბეჭზე ჩამოდებული ლოდი უფრო დააწვა. სძლია სიმძიმეს და საფეხურზე მყარად დადგა. კვლავ მძაფრად გაჰკრა ტკივილმა. უკვე არ იცოდა რა სტკიოდა, ხერხემლის მალა დაუზიანდა ალბათ, ან თირკმელი, ან გული... ყოველივე ღვთის ნაბოძები იყო და მისთვისვე ემეტებოდა.

ფეხის ჩქარი ხმა ახლოვდებოდა. თითქოს ადამიანთა ნიაღვარი მოედინებოდა, რაღაც ნებას აყოლილი სწრაფად მოიწევდა, საცაა ფერდობს შეეხლებოდა და გერასაც გადაუვლიდა.

გერა უკვე რამდენიმე საფეხურზე ავიდა და ქვეშიდან რომ გამოიხედა, ოფლის ნისლში ძლივს გაარჩია რუხი ნიაღვარი, რომელსაც ორნი მოუძღოდნენ — ნესტორი და ძღვიბი.

სასიკეთოდ არ მოდიოდნენ, ცხადია! იქნებ მთლად გერას ეძებდნენ, მისი სულის წასართმევად მოიჩქაროდნენ. ძალა მოიკრიბა გერამ, ხორციელი ტკივილი დათრგუნა, სულს მიენდო და კიბეს ღონივრად, თავისუფლად შეუყვა... დიახაც, კაცთა თვალს არ უნდა ეხილა გერას სისუსტე, კაცთა ყურს არ უნდა სმენოდა მისი ოხვრა და კვნესა... წინ, აღმართის თავზე გიმნაზიელის გამჭვირვალე ლანდი მიფარფატებდა და იხმობდა, ძალას ჰმატებდა...

უცბად მოეწია ტალღა!

ერთი მხრიდან ნესტორმა შემოუარა, მეორე მხრიდან ძღვიბიმ. საფეხურებზე თითქმის წაწვნენ, რათა ქვემოდან ამოეხედათ, მზერა გაესწორებინათ.

— შრომობ, გერა? — ჰკითხა ნესტორმა. მის ხმაში ამჯერად არც ღვარძლი იგრძნობოდა, არც სიფიცხე, უფრო სიბრალული, როგორც იბრალებენ უგუნურ ბავშვებს, ვისაც ჭეშმარიტებას ვერ შეასმენენ.

— აუჰ, რა ტვირთის თრაქვა შეძლებია! — დაიჯღანა ქოსა, უკბილო პირიდან ბოროტი ხითხითი გამოსცა.

გერა არ შეჩერებულა, გადააბიჯა ნესტორის თანაგრძნობას, ქოსა ძღვიბიას დაცინვას და მომდევნო საფეხურზე აინაცვლა.

ნესტორმა და ძღვიბიმ გადაასწრეს. მსუბუქად, ღონივრად მიიჩქაროდნენ. ზურგიდან კი ახალგაზრდები მოადგნენ, ზოგი მხიარული ყაყანით, ზოგი ჩუმად, ზოგი თანაგრძნობით, ზოგი ქილიკით, — გვერდს უქცევდნენ გერას, უსწრებდნენ და მეწინავეებს მისდევდნენ.

რას ნიშნავდა ყოველივე ეს? რისთვის აჰყავდათ ნესტორსა და ძღვიბის მაცხოვრისგორაზე ქალაქის კომკავშირლები. ამ კითხვებზე გერას პასუხი არ გააჩნდა.

ის დაიღალა, საშინლად დაიღალა! მუხლები ბამბასავით უგრძნობელი გაუხდა, ზურგი ერთ მთლიან ტკივილად გადაექცა.

„ღმერთო, ღმერთო!“ — გუნებაში შესთხოვა გერამ. ბოლო კომკავშირელის ფეხის ხმაც მიწყდა და პასუხად სიწყნარე ჩამოიღვარა, რომელშიც მსუბუქად ფოფინებდა რაღაც უხმო და გამჭვირვალე, ალბათ გიმნაზიელის წმინდა სული.

კიბე კი არ ილეოდა, საფეხურთა რიცხვი აერია... ნუთუ ამდენი მოასწრო გერამ, რომ დათვლა უჭირს?.. თუმცა ბევრიც ცოტაა, რადგან უფლის თეთრი ტაძარი ძალიან მაღლა დგას და იქამდე კიბის აყვანას ერთი სიცოცხლე არც ეყოფა!

მეასე საფეხურს მოულოდნელად წაადგა. ჯერაც შორი ეგონა, კიბე კი უცებ გათავდა. ასმეერთეს ფუძე უკვე მზად იყო. გერა შეტორტმანდა, გაუჭირდა ტვირთის ჩამოღება. ბოლოთი ფერდს მიაყრდნო, შეამაგრა, ზედ მიეკრა, გაუსაძლისი ტკივილის გაყუჩებას დაელოდა... დუღაბისათვის ძალა არ ეყო, ისღა მოახერხა, ლოდი ფუძეში ჩააწვინა, წელში უნდა გამართულიყო და სწორედ მაშინ იფეთქა.

მაცხოვრისგორის თავზე, იქ, სადაც თეთრი ტაძარი იდგა, ცად აღიმართა მირიადი ნამსხვრევი, უზარმაზარ ნაცრისფერ ყვავილად გაიშალა, გარემოს გადაეფოფრა, ფერდობზე აბრაგუნდა უთვალავი ქვა და ღორღი, ზევით ატივტივდა თეთრი ღრუბელი, მაღლა, მაღლა ავიდა და იქ დაეკიდა, რათა თანდათან გამქრალიყო, მსუბუქ ზღვაურს მთებისკენ წაეღო...

— უფალო, ნუთუ ვერ ხედავ?! — ჩაიხროტინა გერამ და ასმეერთე საფეხურზე დაემხო...

15

კარზე მოკლედ, მორიდებით დააკაკუნეს. ბერიმ ყური მიუგდო. ალბათ მოეჩვენა. იქნებ ნიავმა ტოტი შეარხია და კედელს მოხვდა, ან იქნებ მეზობლებთან დააკაკუნეს...

საკუთარი სახლი ბერის არ ჰქონდა. იმ საშინელ ოცდაოთხში, სახლი რომ გადაუწვეს, ძღვიბი თოლორაიამ აქ, ამ „ბარაკში“ გამოუყო ოთახი. ოდესღაც სალდათების ყაზარმა, წითლების შემოსვლის დროს იავარქმნილი, ახალმა ხელისუფლებამ შეაკეთა და გრძელი დერეფნის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ოთახები თავის უსახლკარო და უქონელ მომხრეებს ჩამოურიგა, თან იმის იმედიც დაუტოვა, დროებითი თავშესაფარია, თორემ ხელისუფლება ხვალზეგ სრასასახლეებს აგიშენებთო. თავდაპირველად ბერიც ამ იმედით ცხოვრობდა. უმთავრესი, რა თქმა უნდა, მსოფლიო რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურა იყო, შემდგომ ამას ახალი ცხოვრების აშენება მოჰყვებოდა. სიტყვა „აშენება“ წარმოსახვაში სწორედ რომ ლამაზი სახლების აგებად აღიქმებოდა. ამიტომაც არ უზრუნია, რომ თავის დროზე მოეწყო საკუთარი ყოფა, დაცოლშვილებულიყო. სპარტანულად ცხოვრობდა და საბოლოოდ ამას მიეჩვია კიდეც. ამასობაში სოლომონ მღვდლის ნასახლარს სხვები დაეპატრონენ და შერჩა ბერი ზაქარაია ამ „საერთო საცხოვრებელს“. ამით იგი უკმაყოფილო არ ყოფილა. მარტოკაცს მეტი არც სჭირდებოდა — ტახტი, საწერი მაგიდა, ტანისამოსისა და ჭურჭლის კარადები, ოთხი ტაბურეტი, კუთხის ბუხარში ნავთქურა... ეს იყო და ეს! მოულოდნელი და იშვიათი სტუმარი თუ ეწვეოდა, იმისთვის ტახტის ქვეშ გასაშლელ საწოლს ინახავდა. კედლებზე საკუთარი ხელით წიგნის თაროები მიაჭედა, თუმცა დასტადასტა წიგნები მაინც არსად ეტეოდა...

მაშინ, ოცდაოთხში შავმა კატამ გაირბინა ნესტორსა და ქოსას შორის. თითქმის სამი წელი ერთად მართავდნენ ქალაქს. ძღვიბი თოლორაიას პარტიის საჭე ეპყრა, ნესტორს — საბჭოსი. გუშინდელი ძმაკაცები თავდადებით აშენებდნენ ბოლშევიკურ ციხესიმაგრეს, ოღონდ ორი ვეშაპი ვერ დაეტია ერთ პატარა მერეთში. ერთი უნდა ყოფილიყო სრული გამგებელი, მეორეს კი თავი უნდა წაეხარა. ამაყი იყო ნესტორ თოდუა და ამან დაღუპა, გულღრძო და შურიანი იყო ძღვიბი თოლორაია და ამან გაამარჯვებინა. სისხლს თუ არ გამოუშვებ, წნევას ისე ვერ დასწევო, იტყოდა ძღვიბი... ოსტატი იყო სისხლის გამოშვებისა, ასეთი იყო მაღალი ნებაც და ქოსა ძღვიბია სიხარულით გადაეშვა მორევში.

— ამბოხების სუნი ტრიალებს, დროზე უნდა შევიპყრათ მოთავენი! — მჯიღი მაგიდას დაჰკრა ნესტორმა.

— ბეცი ხარ შენ! — დაუსისინა ძღვიბიმ. — ამბოხება უნდა მოხდეს! საბაბი გვინდა ჩვენ! დავესევით ერთბაშად, არ დავტოვებთ თავადსა და ჟინოსქუას, მღვდელსა და ბერს, მენშევიკსა და ფედერალისტს... ერთი ხელის მოსმით გადავხნავთ და გადავფარცხავთ! სარეველას რომ მოვსპობთ, მაშინ დავიწყებთ ახლის შენებას!

მიხვდა ნესტორ თოდუა, რა ჟინიც სჭირდა ქოსას, წინ აღუდგა. არც თვითონ შინებია აქამდე სისხლისა, მაგრამ წინასწარ განჭვრიტა მოსალოდნელი კალო და თავზარი დაეცა. ამიტომაც შეეცადა, ლოგიკის ბარიერი აღემართა ძღვიბის წინ, მაგრამ სიტყვა არ იყო ის იარაღი, სისხლის მდინარეებს რომ შეაჩერებდა.

— მოღალატე ყოფილხარ, შენც! — ასე ბრძანა ძღვიბიმ. — სიტყვის ბადეში გინდა გამხვიო, ამით მტრის გადარჩენას ცდილობ!.. მოღალატისათვის ტყვია მაქვს, აი, ამ მაუზერში, იცოდე!

ეს მხოლოდ სიტყვა იყო, მუქარით წაცდენილი, მაგრამ ნესტორი მიხვდა საშიშროებას, განერიდა, სიფრთხილედ იქცა. ირგვლივ მიმოიხედა, საყრდენს ეძებდა და ბერის მიენდო, ზაქარაიას.

— ცუდი დღეები გველის ბერი, — უთხრა, — წერილი უნდა მივწერო მთავრობას, შენ უნდა გაგატანო, აქაური ამბები უნდა გავაგებინოთ დროზე, თორემ ზღვა სისხლი დაიქცევა

და საბჭოთა ხელისუფლება შერცხვება!.. გვიღალატა, მგონია, ძღვიბი თოლორაიამ, მტრის წისქვილზე ასხამს წყალს!

ოღონდაც, ძღვიბი თოლორაია უკვე არ იყო ის ქოსა, სტოლიპინის ვაგონში ჩორნას რომ ფეხისგულებს უფხანდა. რაც ჩანდა, ათი იმდენი იყო. სანამ ნესტორი თავის უსტარს შეთხზავდა და ბერის თბილისქალაქს გაატანდა, ძღვიბის წერილებმა უკვე მოსკოვს უწია.

ბერი ზაქარაიამაც ვერ შეძლო დროულად თბილისს გამგზავრება. ახალგაზრდა კაცის სულში ქარიშხალი ტრიალებდა, ვერა და ვერ გაერჩია მტყუანმართალი. იქნებ ძღვიბი თოლორაია იყო რევოლუციის საქმის მოღალატე, მაგრამ იქნებ მოღალატე თვით ნესტორ თოდუა იყო. რა იმალებოდა ამ ორი კაცის ქიშპობაში? განა ორივე გვერდიგვერდ არ შემოუძღვა წითელ არმიას სამი წლის წინ? ორივენი ერთი და იმავე სიტყვებით მეტყველებდნენ, ორივენი ერთი პარტიის წევრობით ამაყობდნენ, ერთიც და მეორეც დიდ ლენინზე ლოცულობდა, ცხარე ცრემლით მისტიროდნენ მის უდროო გარდაცვალებას, ერთიც და მეორეც ადიდებდა დიდ ბელად ტროცკის... მისმა მანქანამ მერეთი რომ გაიარა, ძღვიბი თოლორაია თეთრ ცხენზე იჯდა, ნესტორ თოდუა — შავზე. აქედან და იქიდან აედევნენ სამხედრო კომისრის მანქანას და ლევ ტროცკი განაცვიფრეს ერთმა ვაჟკაცობით, მეორემ — სიტყვაპასუხით. მოედანზე, ხალხის წინაშე გამოსულმა ტროცკიმ მაშინ ბრძანა: „ბოდიშს ვიხდი, რომ ვერ გესაუბრებით იმ კეთილშობილ ენაზე, რომლის ბგერათა ჟღერადობა ჩემს სმენას ატკბობს!“ მერე ილაპარაკა რუმინელ მემამულეებზე, იმპერიალისტ ლოიდჯორჯზე და დასძინა: „ჩვენ უძლეველნი ვართ, რაკი ბოლშევიკთა დროშის ქვეშ იბრძვიან ისეთი ვაჟკაცები, როგორებიცაა მერეთელი დზგვიბი ტოლორაია და ნესტორ ტოდუა!“ ახლა კი ყველაფერი ყირაზეა, ნესტორი ძღვიბის მოღალატედ ნათლავს, ძღვიბი — ნესტორს... თავგზააბნეულ ბერის კი უსტარი ჯიბეში უდევს და ვერ გადაუწყვეტია, ვის ემსახუროს, ვისი დროშის ქვეს დადგეს.

შინსახკომის ეზოში წითელი დროშა ფრიალებს, ზედ ოქროს ნამგალი და ურო ახატია, ოქროს ასოებით აწერია „რკპ(ბ)“.

გალავნის გასწვრივ ჩამწკრივებულან პარტიული ამხანაგები, კომკავშირლები და, რა თქმა უნდა, შინსახკომელები. ძღვიბი თოლორაია აივანზე გადმომდგარა და ქადაგებს:

— კონტრრევოლუციის ჰიდრამ წამოყო თავი საქართველოში! ამხანაგებო, იმპერიალისტების ლაქიებს რკინის ჩექმებით უნდა გავუჭეჭყოთ თავები, მენშევიკ ღორებს ყელები გამოვღადროთ, მემამულეებსა და ბურჟუებს, თავადებსა და აზნაურებს ცხელი უთოთი გადავუაროთ... დიდი ბელადი ლენინი მოკვდა, მაგრამ მტერს ეს ნუ გაახარებს. ის მუდამ ჩვენთანაა! მისი ერთგული მოწაფეები ტროცკი და სტალინი გვითვლიან პროლეტარულ სალამს და მოგვიწოდებენ, რომ მედგრად ვიდგეთ, სისხლში ჩავახშოთ საბჭოთა ხელისუფლების მტრები, რომლებიც ცდილობენ მშრომელ ხალხს წაგლიჯონ რევოლუციის ძვირფასი მონაპოვრები...

ენა უჭრიდა ძღვიბის, კი არ ლაპარაკობდა, ბეჭედს არტყამდა.

— ვაშა, ვაშა!.. — აღრიალდნენ ეზოში თავმოყრილები.

— გავუჭეჭყოთ თავები! — აკნავლდა ბერიც, სიტყვათა ქსელში გახვეულს მოეჩვენა, რომ მიაგნო სიმართლეს, პასუხი გასცა ძნელად გადასაწყვეტ კითხვაზე, ვინაა მტერი და ვინ მოყვარე.

„ბრიყვი ვიყავი და რეგვენი!“ — სევდით ფიქრობდა შემდგომ სიჭარმაგეში შესული ბერი. „მოტყუებული და დაბნეული!“ — თავის გასამართლებლად ამატებდა, მაგრამ თავის მართლება შვებას ვერ გვრიდა.

— ყოჩაღ! — ძღვიბიმ ლოყაზე მოუთათუნა. — შენი იმედი ყოველთვის მქონდა! ახლავე მივუხტეთ მაგ გველის წიწილას, ბურჟუების ლაქიასა და კონტრას!..

ცხენს შეაფრინდა ძღვიბი, ჩიტის წონისა თუ იქნებოდა. მოხალისენი, ბარე ათიოდე, ფეხდაფეხ მიჰყვნენ სირბილით.

თოდუებს მიუვარდნენ შინ.

ეფრო გამოეგება, კუშტად, უშიშრად შეხედა. ბერი თითქოს გამოფხიზლდა, თვალი აარიდა. შემდგომ ხშირად ფიქრობდა, დამიმახსოვრა თუ არა ეფრომ, გაიგო თუ არა, რა როლი ვითამაშე მისი ქმრის ბედშიო.

ძღვიბი ცხენიდან ჩამოხტა. კრთომა ვერ დაეფარა და განგებ ფაფხურობდა. ქალის წინ აიტუზა, ქვემოდან ასცქერო-და, თან ხელში რევოლვერს ათამაშებდა.

პირველმა ეფრომ ამოიღო ხმა, უტეხად უთხრა:

— ბავშვი არ დამიშინო, ძღვიბი თოლორაიავ!

აკვანში ეძინა ტატაჩის, გაზრდილიყო, მთელ აკვანს ავსებდა, მაგრამ შეჩვეულს ალბათ ვერ ელეოდა.

— გველის წინილი აკვანშივე უნდა ჩაჭეჭყო! — წაისისინა ქოსამ და რევოლვერი შემართა.

იქვე, გვერდით მდგომმა ჩეკისტმა, — ბერიმ ვერ დაინახა ვინც იყო, — ხელი აუკრა.

მეხივით გავარდა, ტყვიამ ნაფოტი აატეხა აკვნის თავს.

დააჭყიტა ბავშვმა თვალები, ელდისაგან გაისუსა. ეფრო გადაეფოფრა აკვანს.

ჩეკისტს მძულვარედ შეხედა ძღვიბიმ (იქნებ თამაშობდა კიდეც, უნდოდა აეცდინა და ააცდინა!), რევოლვერი მკერდზე მიაბჯინა, იმან კი ენის ბორძიკით უთხრა:

— ბაავშვმა რა დააშავა? იქნება იმისაგან მეორე ლენინი გაიზარდოს...

შეტრიალდა ძღვიბი, კვლავ ცხენს მოახტა, შინსახკომში შებრუნდა.

წუთებს ითვლიდა, იმდენი საქმე ჰქონდა, ვერა და ვერ ჩა-ეტეოდა ამ ბნელსა და უსაშველოდ გაჭიანურებულ ღამეში.

როგორ თავსდება ყველა ეს მოგონება გვერდიგვერდ? იქნებ ბერის მეხსიერებაში აირდაირია ყველაფერი, მიზეზშე-დეგობრივი კავშირები გადაადგილდა, ან მთლად გაწყდა... თოდუების კარზე მივარდნა და აკვნისათვის ნასროლი ტყვია, სისხლიანი ორგია, ყველაზე ფანტასტიკური წარმოსახვითაც რომ ვერ წარმოიდგენდა, ნესტორ თოდუაზე გამართული ნადი-რობა და დეპეშა ცენტრიდან, გვეყოფა, ნუ გადავაჭარბებთო.

ასე დაამახსოვრდა ბერის: სულაც არ თენდებოდა იმ ჟამს. ღამეს ღამე გადაება, ბნელს — ბნელი, რაკი ამოდენა ბო-როტების ცქერა მზესაც არ ძალუძდა.

მერეთის დახლართული ორღობეებიდან, ახლო და შორეუ-ლი სოფლებიდან მოჰყავდათ და მოჰყავდათ ხელებგაკრული

ქალი და კაცი, ბერი და ახალგაზრდა, გლეხი და მუშა, მცოდნე და უვიცი... არავინ იცოდა, რა ხდებოდა, რისთვის ერეკებოდ-ნენ შინსახკომის ფართო ეზოსაკენ. ვინაც იცოდა და საშუ-ალებაც ჰქონდა, ნაცნობს და სახსარს დაეძებდა ახლობლის გადასარჩენად, თუ გადაარჩენდა, სხვას, უსახსროს და უპა-ტრონოს ჩაამატებდნენ.

— ამხანაგებო, ჩემი დაჭერა არ შეიძლება, ჩემი ძმა კრემ-ლის დაცვაში მუშაობს! — ირწმუნებოდა ერთი ახალგაზრდა.

— ნუ გეშინიათ, ძმებო და დებო, ეს ხომ ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობაა! დაგვკითხავენ და ვინც უდანაშაულონი ვართ, გამოგვიშვებენ! — იმედს არ კარგავდა მეორე.

— რაღაცა ხდება, მგონია! — თავგზა აბნეოდა მესამეს.

ძღვიბი თოლორაია საქმიანად აფრიალებდა ქაღალდებს, სიებს აკოწიწებდა, საანგარიშოზე აჩხაკუნებდა, შემოსავალ-გასავალს ითვლიდა. შემოსავლად სიკვდილს თუ მოითვლიდა, გასავლად — პატიებას, მაგრამ ძუნწის გულმოდგინებით ცდი-ლობდა ხელიდან არ გაეშვა, ვისაც კი მოიხელთებდა.

— ეს რა ხალხია? — იკითხა.

ოცდაათიოდე კაცი იდგა განზე, სვანური ქუდები ჩაფხ-უტებად ეხურათ, ბარწერაქვი ძირს დაეწყოთ.

— სვანები არიან, მიწისმთხრელები!

— კიდევ კაი! — დაიღმიჭა ძღვიბი. — ბოტანიკურთან, ხომ იცი, დიიდი არხი უნდა გავთხაროთ!

— ანაზღაურებას ითხოვენ, უფროსო!

— ავუნაზღაურებთ, აბა რას ვუზამთ, ჩვენ ხომ ღარიბთა და მიწისმთხრელთა ხელისუფლება ვართ!

მიწისმთხრელებმა წამოკრიფეს წერაქვი და ბარნიჩაბი, მომცრო ტოპრაკები, და კმაყოფილი თავის ქნევით სამუშაოდ გაემართნენ.

ეზოში ბლომად მოგროვდა ხალხი. შეშინებულნი, გასუ-სულნი ელოდნენ განაჩენს.

ერთი დედაკაცი იჯდა მიწაზე, წინ და უკან ქანაობდა და ხმამაღლა მოთქვამდა:

— ვავა, ბაბა, ამდღა დოპილუნა, ბაბა*!.. ვავა, ბაბა!..

მოვარდა გუშაგი, წიხლი ჩააზილა, გააჩუმა.

დედაკაცს არავინ გამოესარჩლა, იმან კი ცოტა ხანში კვლავ ქანაობა და მოთქმა განაგრძო:

— ვავა, ბაბა, ამდღა დოპილუნა, ბაბა!..

კვლავ და კვლავ მოჰყავდათ ხელფეხშეკრულნი, ნაწიხლარნი, ნაცემნი, იმედიანნი და იმედდაკარგულნი.

სდუმდნენ, ნაცნობნი თუ გადაუჩურჩულებდნენ ერთმანეთს შიშიანად:

— რატომ?.. რისთვის?..

არავინ არაფერი იცოდა.

საათი საათს მისდევდა, დრო კი მოულოდნელად დადგა.

— დავიწყოთ! — ბრძანა ძღვიბიმ.

ორრიგად ჩამწკრივდნენ შინსახკომელები, დერეფანი გაჭიმეს შინსახკომიდან ბოტანიკურამდე.

იქ, ბაღისკიდეზე ყოჩაღ მიწისმთხრელებს ღრმა ხარო გაეთხარათ უკვე, მიწისა და ნესტის სუნი ტრიალებდა ჰაერში.

ამ ცოცხალ დერეფანში ყვირილით, მუქარით, კონდახებით შერეკეს ტყვედქმნილნი.

— ჩემი ძმა ბოლშევიკია, კრემლში მუშაობს! — ტირილით ირწმუნებოდა ის ახალგაზრდა და ბერის ეს აკანკალებული, წკვიტინა ხმა მკვეთრად ჩაებეჭდა მეხსიერებაში.

ირიჟრაჟა თითქოს, თუმცა ბნელი მაინც ვერ განიდევნა.

— ჩაამწკრივეთ!.. გადაითვალეთ!.. — აღმადაღმა დარბოდა ძღვიბი, განკარგულებებს იძლეოდა.

სიჩუმე ჩამოვარდა, ისეთი საზარელი, აუტანელი, თითქოს დედამიწის ზურგზე ბგერა საერთოდ გაქრაო და ამ მდუმარებაში მჭახედ გაისმა:

— ყოველი მესამე!

ქოსას ხმაში დაუოკებელი სიძულვილი ისმოდა და ბერის უცებ საშინელი სიცხადით წარმოუდგა, რაც წუთის შემდეგ გათამაშდებოდა. არ უნდოდა დაეჯერებინა, ეგონა, სიზმარში ვარ და მალე გამეღვიძებაო.

— ერთი, ორი... გამოდი!.. ერთი, ორი... გამოდი!..

ხელებშეკრულნი გამოჰყავდათ მწკრივიდან, ხაროსპირს წამოაჩოქებდნენ, დაახლიდნენ პისტოლეტს კეფაზე და ხელსა ჰკრავდნენ.

შემზარავი იყო ზვარაკთა უხმო, უპროტესტო სიკვდილი.

სისხლი მათრობელია, ძღვიბი თოლორაია თვრებოდა სისხლით.

— ყოველი მესამე! — კალიასავით დახტოდა, რევოლვერს იქნევდა, თვალები გადმოვარდნასა ჰქონდა.

— ერთი, ორი... გამოდი!.. ერთი, ორი... გამოდი!..

ისევ ჭახაჭუხი, ისევ სიკვდილი, უთქმელი, უსიტყვო, მორჩილი...

და უცებ:

— ხალხნო, კაცნი არა ვართ, საქონელივით უნდა დავეკვლევინოთ?!

ტანმაღალი ვაჟკაცი იყო, ვეფხვივით გადმოეშვა, ხელები შეკრული ჰქონდა, მაგრამ თავური აძგერა ძღვიბის და გადაყირავა.

— ჩახოცეთ, ჩახოცეთ ყველანი! — იკივლა ძღვიბიმ და ძირს გაგორებულმა იმ ვაჟკაცს ტყვია შეაგება.

შინსახკომელებმა, ზოგმა რევოლვერით, ზოგმა შაშხანით ატეხეს ბათქაბუთქი, სხვებმა ხიშტები მომართეს, დაერივნენ ტყვედქმნილთ... ისმოდა მხოლოდ სროლა, წივილკივილი, ზრიალი, გოდება...

სულ რაღაც წუთი გავიდა, ბერის კი ეგონა, საუკუნეო... იდგა ერთ ადგილას, უაზროდ იყურებოდა აქეთიქით, მერე მუხლები მოეკეცა, ძირს ჩაჯდა და შარვალში სისველე იგრძნო.

სიკვდილის კალო მოსავლით აივსო, ღამით გათხრილი ხარო მოპირთავდა, სიმთვრალე კი ჯერაც არ განელებულიყო.

— ამათ რა ვუყოთ, — იკითხა ვიღაცამ ნერვულად, — გავუშვათ?

მიწისმთხრელი სვანები იყვნენ. აქამდე არც იცოდნენ, რას თხრიდნენ. აუწერელი სანახაობით დათრგუნულებს გაცლაც ვერ მოეაზრებინათ.

ქოსამ კუშტად მოიხედა, თითქოს გამოფხიზლდა. ალბათ ნამოქმედარის მასშტაბები გაისიგრძეგანა. მიხვდა, გადაამლაშა.

— გავუშვათ, ესენი ხომ უბრალო მიწისმთხრელები არიან! — თქვა ხმის კანკალით იმან, ვინც კითხულობდა, ამათ რა ვუყოთო.

— ესენიც კონტრებია, — წაისისინა ქოსამ, — წავლენ, ენას გადმოაგდებენ, ხალხს აგვიმხედრებენ! მოსცხეთ ერთი!

— დაეწყვეთ!.. სწორდით!.. დაუმიზნეთ!.. ცეცხლი!..

ორი წუთის შედლუხი დასჭირდა სიგიჟის ამ ზეიმის დაგვირგვინებას.

— კვალი უნდა წაიშალოს! — ხმა ჩურჩულამდე დაუვარდა ქოსას. — ხვალ ხალხი რომ გამოივლის, ნაკვალევიც არ უნდა ჩანდეს... შესანიშნავი ადგილია სტადიონის ასაშენებლად...

იმ დღეს გადაწვა ნესტორ თოდუამ ბერი ზაქარაიას სახლი. ხის ფშუტურა კედლებზე იყარა ჯავრი. ასანთივით წაეკიდა, აბრიალდა, ხელის შეთბობაც ვერავინ მოასწრო. კიდეც გაუხარდა ბერის, ამით მაინც დამსაჯა განგებამ, მისხალით მაინც გამოვისყიდე დანაშაულიო, გაიფიქრა. კიდევ ერთხელ ვერ მოზომა, ვერ გაარჩია მტყუანმართალი.

ძღვიბიმ კი ვერ მოისვენა, ნესტორის კვალი აიღო ცხელ გულზე. იქ, მაცხოვრისგორის კიბესთან მიუსწრო. სირბილით შეუყვა ნესტორი კიბეს, შორს ვერ აასწრო, ტყვია მიეწია...

დეპეშას ველარ დაელოდა თბილისიდან. ფილიპე მახარაძე იწერებოდა, ნუ გადავამლაშებთ, კმარა, რაც სისხლი დაიღვარა, შეწყვიტეთო...

ვითომც გათენდა კიდეც! ჩამოღამებული, გაცრეცილი, უფერული დღე დადგა, ისეთი, როგორიც მხოლოდ შავთეთრ ფირზე შეიძლება აღიბეჭდოს. მერეთელები, ვინც გადარჩა, თითოთითოდ გამოდიოდნენ სახლებიდან, შემკრთალნი, გაფაციცებულნი მიემართებოდნენ ბულვარისაკენ, სადაც სასულე ორკესტრი აგუგუნებდა „ინტერნაციონალს“, წითელი ნაჭრით შემოსილ ტრიბუნაზე იდგა დაუღლელი ძღვიბი თოლორაია და ხმაჩახრინწული ამბობდა:

— ამხანაგებო! კონტრრევოლუციური ამბოხი ძირშივე ჩახშობილია! აქ, წმინდა ადგილას განისვენებს რევოლუციის არწივი გერა კვარაცხელია, ვინაც ჩვენი პარტიის სამსახურში

დალია სული!.. დღეს აქ მიწას უნდა მივაბაროთ რევოლუციის მეორე არწივი — ნესტორ თოდუა, რომელიც მენშევიკთა პირსისხლიანმა აგენტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს... ორი წლის წინ აქ ჩვენ ვემშვიდობებოდით ჩვენს თანამებრძოლს გერას, ახლა კი მინდა ვთქვა: მშვიდობით, ჩემო განუყრელო თანამებრძოლო ნესტორ!

ბერი ზაქარაია ზმანებებიდან ძლივს გამოვიდა. ქაღალდის დასტა განზე გასწია და მიაყურადა. არავინ აკაკუნებდა. მოუსვენრობამ შეიპყრო, მოგონებებმა მარტოობის სევდა გაუმძაფრა. შიში წამოეპარა. თითქოს ქოსა ძღვიბიას შეეძლო საფლავიდან წამოდგომა. გამოეცხადებოდა ბერის, დაიმანჭებოდა, თვალს ჩაუპაჭუნებდა და ქირქილით ეტყოდა: „შიშისაგან ჩაიფსი, ბიჭო, ბერი?“

16

გერა კვარაცხელიამ შიშს სძლია, როცა გიმნაზიელს თვალები დაუხუჭა, და კიდევ, როცა მაცხოვრისგორის ფერდობს შეუყვა; ნესტორ თოდუამაც სძლია შიშს, როცა ქოსას გადაუდგა და ამან სიკვდილი მოუსწრაფა... ბერი ზაქარაიას ჟამიც ხომ უნდა დამდგარიყო, ხომ უნდა მოსულიყო დრო, როცა ის თავის პალიმფსესტს გაშორდებოდა, სამალავიდან გამოვიდოდა და ჭეშმარიტებას ღიად, თამამად გააცხადებდა... ამისათვის ერთი რამ იყო საჭირო: თავისი მე აემაღლებინა, არაფრად ჩაეგდო საზოგადო აზრი, ქვეყნის მოჩვენებითი ინტერესები, უარეყო ფარული ხელშეკრულება, რომელზეც ყველას ხელი ჰქონდა მოწერილი და ვერავინ ბედავდა დაკანონებულ დოგმებთან დაპირისპირებას. ალბათ ასეც მოხდებოდა ყოველივე, თუ ის გახდებოდა თავისუფალი, დადგებოდა სიკვდილზე მაღლა, სიცოცხლეს იმდენად შეიყვარებდა, მოკლე ჟამს არსებობისა სიცრუეზე ვერ დახარჯავდა...

როდის, როდის დადგებოდა ჟამი იგი?

* * *

ის დღე გაახსენდა ბერის, მართას რომ კომკავშირში იღებდნენ. თითქოს რა უნდა ყოფილიყო სათუო, მართა ხომ გერა კვარაცხელიას შვილი იყო, ძველი რევოლუციონერისა, დედამისს კი — ცაცანას მარქსის „კაპიტალი“ ჰქონდა თურმე წაკითხული (ქალაქში ხომ სხვა ორიც ვერ დაიძებნებოდა ასეთი!). ტატაჩი მაინც ღელავდა, თუმცა ცდილობდა გარეგნულად ეს არ გაემჟღავნებინა, უფრო მეტიც, მართას ამშვიდებდა:

— ნუ გეშინია, ძღაბი! შეგეკითხებიან, რატომ შედიხარ კომკავშირშიო, შენც აიღე და უპასუხე, იმიტომ, რომ ახალი, დიდებული მუშურგლეხური სახელმწიფო უნდა ავაშენოთქო... დიდი სტალინის დროშის ქვეშ უნდა დავდგეთქო...

მართა თავს უქნევდა, ლამაზი შუბლი ეჭმუხნებოდა, ბაგე ბავშვივით უთრთოდა და მოჯადოებულ ტატაჩის ღამღამობით ეს ბაგე ესიზმრებოდა.

ბიკენტი ჩუმად უსმენდა ტატაჩის. ლამაზ თვალებს უხსენებელივით მიაცივებდა ხან ერთს, ხან მეორეს. ერთ კლასში ისხდნენ სამივენი — ტატაჩი, ბიკენტი და მართა. ერთმანეთს ისე შეეზარდნენ, თავდაპირველად ბიჭებს მართა მათი ნათესავი ეგონათ, მისი გულისათვის არაერთხელ სხვა ბიჭები უტყეპიათ. მერე და მერე გაირკვა, ვინ ვინ იყო. სამი საამაყო რევოლუციონერის შვილობა გამორჩეულსა ხდიდა მათს ყოფას. თანდათან ბიჭების გულში მეტოქეობამ დაივანა. ფარული ბრძოლა იქ, იმ ბნელეთში მიმდინარეობდა, სულის წიაღში, ზედაპირზე კი მცირე გაელვებაღა ამოაღწევდა. ხმა უნებლიეთ გაუტყდებოდა ტატაჩის, ენა აუბორძიკდებოდა. სიფითრე გადაეკრობოდა ბიკენტის, უცბად გაიცრიცებოდა, დაუშნოვდებოდა. მართას კი სიწითლე აუღვივებდა ლოყებს, ნაძალადევ სიცილში მალავდა გაუმხელელს.

თავისთავად გამოვიდა ასე, ძალდაუტანებლად, მართა ტატაჩის უფრო მიენდო. ქალივით ნაზი იყო ტატაჩი, უფრო ღია და გულუბრყვილო. ეამაყებოდა, ნესტორის შვილი ვარო.

ოცდაოთხში მეამბოხე მენშევიკებმა მოკლესო რომ უთხრეს, ოდნავი ეჭვიც არ შეპარვია. მამა ყოველთვის ცხენზე ამხედრებული წარმოედგინა, წითელი დროშის ფონზე. დროშას ნიავი აფრიალებდა, ტკაცუნი გაჰქონდა. ნესტორის შვილიც ჭეშმარიტი კომკავშირელი და ბოლშევიკი უნდა გამხდარიყო, თუ საჭიროება მოიტანდა, თავიც უნდა დაედო დიადი საქმისათვის... ბიკენტი უფრო გულჩახვეული გაიზარდა. არასოდეს დასცდებოდა, მამაჩემი ძღვიბი თოლორაია დიდი კაციაო. რა კაციც იყო, საღად ხედავდა. ტატაჩის გულუბრყვილო ტიტინი აღიზიანებდა, მისი სინაზე ზიზღსა გვრიდა. ოღონდაც, წინასწარვე, აკვანშივე დაანათლეს კვარაცხელიასა და თოდუას ნაშიერებთან მეგობრობა. ძღვიბი აძალებდა, რადგან მამების ლეგენდა შვილების ლეგენდად უნდა გაგრძელებულიყო.

კინაღამ ჩაშალა ბიკენტიმ კომკავშირული კრება. გულში ალბათ ბოღმა ჩაივანა, ეჭვიანობამ ღვიძლი აუწვა და მართას დასჯა გადაწყვიტა.

— დიდი რევოლუციონერი კი არა, მორწმუნე იყო მართას მამა, პირჯვარს იწერდა!

მართა გაწითლდა, ენა ჩაუვარდა. მამა პატარას დაეღუპა და არაფერი იცოდა მისი რწმენისა.

— სიცრუეა! — წამოვარდა ტატაჩი. — ქალაქში ყველამ იცის, ვინც იყო გერა კვარაცხელია!

— არაფერსაც არ ვცრუობ! — ცივად, აუღელვებლად შეეპასუხა ბიკენტი. — ან რატომ უნდა ვიცრუო? ის კიბე, მაცხოვრისგორაზე რომ ადის, გერას გაკეთებულია, ეკლესიამდე უნდოდა აეყვანა, მაგრამ არ დასცალდა!

აირია კრება. ახალგაზრდები ადგილებიდან წამოცვივდნენ. ბევრს არ სჯეროდა ბიკენტის ნათქვამი, სხვები კი, ჯერაც გამოუცდელნი, იოლად ამსხვრევდნენ გუშინდელ კერპებს. გასაოცარი ამაში არაფერი იყო, აგერ, ა, გუშინ ტროცკის მოსცხეს... ბელადი, ბელადიო და თურმე მოღალატე და ტროცკისტი აღმოჩნდა!

მართას თვალზე ცრემლი მოადგა. ან რა უნდა ეთქვა, აქამდე საამაყო მამას მიწაში უმარხავდნენ. ღვთის რწმენა ხომ თითქმის ქვეყნის ღალატს უდრიდა.

ბერი უფროსობდა იმ კრებას. ასაკით დიდად უსწრებდა მართას თანაკლასელებს, სკოლის კომკავშირლებს კურირებდა იმხანობით. თვითონაც თვალს ვერა სწყვეტდა გოგონას და მისი ცრემლი აფორიაქებდა. თუმცა რა ექნა, პოლიტიკური სიფხიზლე ხომ უნდა გამოეჩინა. ბიკენტი რიგითი მოსწავლე და კომკავშირელი კი არა, ძღვიბი თოლორაიას შვილი იყო.

— ამხანაგებო, ნუ აღელდებით! მოდით, შევეკითხოთ თვითონ ამხანაგ თოლორაიას, ე. ი. ბიკენტის მამას!

შეეკითხნენ კიდეც! დეპუტაცია აახლეს მრისხანე შინსახკომელს, თვით ბიკენტი და ბერი, მართა და ტატაჩი. გოგონას საშინელი განაჩენის მოლოდინში გული უკანკალებდა.

ძღვიბი თოლორაია ლოგინად იწვა იმ დღეებში. ბოლო დროს ავადმყოფობდა ხოლმე. ექიმებს მისთვის წამალი ვერ აღმოეჩინათ. პატარა კაცუნა მთლად დალეულიყო. ეშმაკი პირისახე დამჩაჩული ჩირივით აჩნდა ბალიშს. ქავილი აწუხებდა ძღვიბის, ტანკისერზე მუწუკს აყრიდა. იმდენს იფხანდა, სისხლს დაიდენდა ხოლმე და სიმწრის ზმუილს იწყებდა... მცირე ხნით გადაუვლიდა, გამოვკეთდიო, იფიქრებდა, დაიბანდა, ხალხში გამოჩნდებოდა, მტერსა და მოყვარეს გაიკითხავდა, კვლავ ის ქოსა ძღვიბია იყო, შიშის ზარს რომ სცემდა ქალაქს, მაგრამ სენი, სასჯელად მოვლენილი, ისევ მოუბრუნდებოდა და ლოგინად დააგდებდა.

ახედა ქოსამ ახალგაზრდებს, სათითაოდ შეათვალიერა, იყუჩა მცირედ, თითქოს რაღაცას გონებაში წონისო და ბოლოს ბრძანა:

— გერა კვარაცხელია უმწიკვლო რევოლუციონერი და ჩემი დიდი მეგობარი იყო. ნესტორ თოდუაც უმწიკვლო რევოლუციონერი და ჩემი დიდი მეგობარი იყო. ისინი დაეცნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის დიად ბრძოლაში! მათ სწამდათ მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურა და ინტერნაციონალიზმი... რაც შეეხება კიბეს, გერა იმ კიბეს იმიტომ აშენებდა, რომ ტაძრის ადგილას ჩვენი დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ძეგლები აგვეგო. მაშინ ვერ შევძელით, აწი, ჩვენი ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ ავაგებთ კიდეც!.. ჩვენ სამნი შემოვუძეხოთ საბჭოთა ხელისუფლებას — მე, გერა და ნესტორი!

ძღვიბი თოლორაიასთან მერეთში არავინ დაობდა.

— ხომ გეუბნებოდი, ძღაბი! — ტატაჩიმ ხელი ჩამოართვა მართას, თან გაწითლდა...

ბერი ზაქარაიაც გაწითლდა, ამოიხვნეშა...

* * *

ადრე დაქვრივებულებს გაუჭირდათ. ცაცანამ ბიბლიოთეკაში იშოვა ადგილი. ხელფასი მცირე ჰქონდა, მაგრამ ღამღამობით კერავდა ხოლმე და ორი სულისათვის საკმარისი გამოუდიოდა. ეფრომ სხვა რამ ხელობა არ იცოდა, გარდა თოხისა და ბარისა. მის პატარა ეზოში გოჭი და ქათამინდაური არ ილეოდა, თითო ძროხა ყოველთვის ჰყავდა, კარგად მოვლილი ბოსტანი და ბაღი თვალს ახარებდა. ფულიც იყო, ცხადია, საჭირო, შოვნა კი გაძნელდა... მაშინ მოისაზრა ტატაჩიმ, კაცი ვარ უკვე და თავს უნდა მივხედოო.

თექვსმეტისა ხდებოდა...

ბევრი არ უფიქრია, ადგა და ძღვიბი თოლორაიას ეახლა.

მომცრო კაცი იყო ძღვიბი, დალეული, მაგრამ ხელქვეითებად მუდამ დევები ჰყავდა, ღონივრები და შიშისმომგვრელნი. იქნებ ამიტომაც იყო, — მის მძიმე გამოხედვაში, ხელის ნელ მოძრაობაში, დამარცვლით საუბარში თავდაჯერება და ძალა იგრძნობოდა. თუმცა ძღვიბიმ ისეთი ცხოვრებით იცხოვრა, სხვისი დევობა არც სჭირდებოდა, ძალაც დიდი მოიპოვა, მისი ძლიერი სული ალბათ ვერც ეტეოდა ამ პატარა, დაჯღვარკნილ სხეულში.

ტატაჩი შიშნარევი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა, პირი ოდნავ ღიად დარჩენოდა და ძღვიბის გაეღიმა.

— კაი ქენი, ჩემთან რომ მოხვედი, — გამოზომილად, სვენებსვენებით ამბობდა, — მამაშენი ჩემი უპირველესი ძმაკაცი იყო. მენშევიკებმა რომ მოკლეს, ბაღანასავით ვტიროდი. დიახ, დიდი კაცი იყო ნესტორ თოდუა, პარტიის ერთგული

შვილი... მამას უნდა მიბაძო ყველაფერში! ჯერ პატარა ბიჭი ხარ, უნდა ისწავლო, კაცი გამოხვიდე... სამსახურში შიკრიკად მიგიღებ, კაი ორმოცი მანეთი ხელფასი გექნება, დრო თავზე-საყრელი. დაიდევი წიგნი მუხლებზე და იმეცადინე. არ უნდა ჩამორჩე ტოლსწორებს. ცუღლუტობა არ გამაგონო, სირცხვილია მამაშენის შვილისათვის...

ამგვარად ილაპარაკა კიდევ ცოტა ხანს და გამოუშვა.

ჩააცვეს ტატაჩის გიმნასტურა, ფეხებზე ქირზის ჩექმები, თავზე კოზიროკიანი ქუდი და გაამწესეს შიკრიკად. იჯდა უფროსის მისაღებში. წამდაუწუმ აგზავნიდნენ აქედან იქით, მაღლა, დაბლა, მარჯვნივ და მარცხნივ... დაჰქონდა ბარათები, პატარა, ნაცრისფერ კონვერტებში ჩადებული, თან ჟურნალიც, ხელის მოსაწერად. გააფრთხილეს, სახელმწიფო საიდუმლო დაიცავიო, არსად არაფერი გათქვაო, თუმცა რომც სდომებოდა, რას გათქვამდა, რაკი მიდიმოდის გარდა არც არაფერი ესმოდა.

საღამოობით შინ ვერ ჩერდებოდა, გავარდებოდა კვარაცხელიებთან.

— ცაცანა დეიდა, მართას იბარებენ კომუჯრედში!

მართა უკვე მზად იყო, გამოცქრიალდებოდა სახლიდან და ტატაჩის გული მუშტივით შეეკუმშებოდა. მართას პირისახეზე სინათლე ეფინა, თვალები უცინოდა, ტუჩები... „უჰ, — გუნებაში ამოიოხრებდა ტატაჩი, — ტუჩებს ნუღარ იტყვი...“

ცაცანა ვერ ამჩნევდა ახალგაზრდების მღელვარებას, გაზეთს აუფრიალებდა თვალწინ, დღევანდელ „კომუნისტში“ „პრავდის“ მოწინავე რომაა გადმობეჭდილი, ის თუ წაიკითხეო. ეს ჩალასავით უგემური მოწინავეები თავის ასატკიებლად თუ იყო მოგონილი, ცაცანას კი მისი წაკითხვა აუცილებლად მიაჩნდა და ტატაჩისაც აიძულებდა.

— ჰო, დედა, წაიკითხავდა, აბა რას იზამდა! გვეჩქარება, ხომ ხედავ! — მართა ჩაერთვებოდა მოუთმენლად, წრიალებდა, ფეხებს აბაკუნებდა, ტანზე კაბა უთრთოდა.

გვერდიგვერდ დაუყვებოდნენ ორღობეს, რა თქმა უნდა, საქმიანი საუბრით... გვერდიგვერდ, მაგრამ შორიშორ, რაკი

ვერც ერთი ვერ ბედავდა გულისნადების გამხელას. რა დროს სიყვარულიაო, გულსგარეთ ფიქრობდნენ, ჯერ მტერს უნდა გავუმკლავდეთო, სიყვარულის დროც დადგებაო... ახალ, ბედნიერ საზოგადოებაში, აი, იმ გორაკს მიღმა, ხელის გაწვდენაზე რომ შენდებოდა. ამიტომაც უფრთხოდნენ იდაყვების უნებლიე შეხებასაც, დენის უეცარ დარტყმასავით რომ დაუვლიდათ ძარღვებში და ტატაჩის ენაწყლიან საუბარს შეაწყვეტინებდა.

ტატაჩი კი ენას არ აჩერებდა. მართა ჯერაც სკოლაში დადიოდა, ტატაჩი უკვე „მსახურობდა“, „მტერს ებრძოდა“. გოგონას წარმოსახვაში იგი წერილების უბრალო დამტარებელი კი არა, მზვერავი იყო, რომელსაც წამდაუწუმ მტრის ზურგში აგზავნიდნენ და ამით მის სიცოცხლეს გამუდმებით საფრთხე ემუქრებოდა.

იმ დროს ბევრს იჭერდნენ, ეგონათ რომ ბევრსო, რადგან არავინ იცოდა, ხვალე რას მოიტანდა.

— არა, ამ ბუხარინს მაინც რა უნდა? — იცინოდა ტატაჩი. — კუმ ფეხი გამოყოო...

ბუხარინის გვარს გაზეთში თუ შეხვდებოდნენ. წესიერად არ იცოდნენ, ვინ იყო და მართლაც რა უნდოდა. მისი გვარი „ბუხარის“ ასოციაციას იწვევდა და, ალბათ, სასაცილო იყო „ბუხარის“ პრეტენზია.

— ზინოვიევს ხომ არ ეყო და არ ეყო პატივი... არა, რის გამო ხდებიან ადამიანები მოღალატეები?

მართა თავს უქნევდა, ჩუმად უსმენდა. აზრი ვერ გამოეტანა, მაგრამ უკვირდა კია, საიდან იცოდა ტატაჩიმ ამდენი, მერეთიდან გაუსვლელად სად შეხვდა იმ ბუხარინსა და ზინოვიევს, რანაირად გაიცნო ასე კარგად.

ასე საუბარსაუბრით გავიდოდნენ ჩხერიის პირას. ისხდნენ მოფარებულ ადგილს, ეგონათ, მოფარებულსო და ჩურჩუტულპოლიტიკური მჭევრმეტყველებით ერთმანეთს თავბრუს ახვევდნენ.

ერთხელაც იყო და, აქ წააწყდნენ გოგობიჭს ბიკენტი და ბერი. მართლაც კომუჯრედის სხდომიდან მოსეირნობდნენ.

ესენიც პოლიტიკაზე საუბრობდნენ, იმ ბნელ ხლართებზე, რომელშიც გარკვევა ძნელია, მაგრამ იოლია დანის ერთი დარტყმით კვანძის გახსნა.

მართა ქვაზე იჯდა, ხელები მუხლებზე დაეწყო და სახეზე ჩამავალი მზის ჟანგისფერი სხივი ეფინა. ტატაჩი მოშორებით იდგა, გულზეხელდაკრეფილი რაღაც ამაღლებულს ყვებოდა. ამ სურათმა უცბად გამოავლინა ახალგაზრდების უბიწოებაც და ფარული ვნებაც, რასაც ერთმანეთსა და მთელ ქვეყანასაც უმალავდნენ.

ბერის საშინლად დასწყდა გული, გაფითრდა, მაგრამ ბედს შერიგებულმა, სცადა თავი არ გაეცა.

ბიკენტის კი ლოყები აუფორაჯდა, თვალი გველივით დაუწვრილდა და ტატაჩის ამრეზით ახედა.

— გოგოს ტვინს ნუ უმღვრევ, ამხანაგია ჩვენი!

— მე ვუმღვრევ? — დაიბნა ტატაჩი, უთქმელის გათქმისა შეეშინდა.

— ჰო, შენ! გვინახავს შენნაირი ჩიტები!

ჩხუბს ალბათ მეტი არაფერი სჭირდებოდა, მაგრამ მართა წამოხტა, ბრაზით, მღელვარედ, თხოვნით ხან ერთს მივარდებოდა, ხან მეორეს, ხან მესამეს:

— ბიკენტი!.. ტატაჩი!.. ბერი!.. ბიჭებო!

სამივე დაშოშმინდა, არც ერთს არ სურდა ხვაშიადის გამჟღავნება. ამიტომაც დათმეს, არ ჩაეძიენ ერთიმეორეს. ტატაჩი მიხვდა, ფხიზლად უნდა ყოფილიყო, თორემ ხელსა და ხელს შუა გაუფრინდებოდა მისი წილი ბედნიერება. თუმცა არ იცოდა, რა უნდა ეღონა, დროც არა ჰქონდა მოსაფიქრებლად. სწორედ იმ დღეებში ჩაუტარა ძღვიბი თოლორაიამ კაცობის გაკვეთილი.

კაბინეტში გამოიძახა, წინ დაისვა და ჰკითხა:

— რამდენისა ხარ, თუ იცი?

— თექვსმეტის! — მორცხვად შეეპასუხა ტატაჩი, ცოტათი წაიმატა ასაკი.

— თექვსმეტი ცოტა არაა, თექვსმეტისანი თავს ვდებდით სამოქალაქო ომში! ხომ იცი, რა მოხდა ჩვენთან?

დიახ, როგორ არ იცოდა! დაჭერებს მოუხშირეს. სოფლებიდანაც მოჰყავდათ „ხალხის მტრები“ ბლომად, თვით მერეთში კი შინსახკომის მწვანე „ვილისი“ სადაც გაივლიდა, მოქალაქენი სახლებში იკეტებოდნენ, შემთხვევით ხელს არ გაგვაყოლონო. უკვირდა ტატაჩის, ასე უცებ ამდენი მტერი საიდან გაჩნდაო. ადამიანი ბოროტია! პირში გიცინის, გესიყვარულება, უკან კი გალესილ დანას მალავს, მზადაა ყელი გამოგჭრას... აქამდე გარეშე მტერი უფრო იყო, ახლა ციხე შიგნიდან გატყდა თურმე. მტრის აგენტურას შინსახკომის ფრთებქვეშ კვერცხი დაუდვია, წიწილები გამოუჩეკია და კარგა მოზრდილი ვარიები დაუზრდია. ძღვიბი თოლორაიას ვინ რას გამოაპარებდა? ჩაუსაფრდა, მახე დაუგო და გაიმარჯვა. ერთ დღეს მოხვეტეს გუშინდელი შინსახკომელები და იმ გზას გაუყენეს, საითკენაც მანამდე სხვებს აგზავნიდნენ.

— ხალხი შემოგვაკლდა, — ცალყბად გაიღიმა ძღვიბიმ, — საქმეს კი ვერ გავაჩერებთ. რა თქმა უნდა, მტრის დანდობა არ იქნება, მაგრამ უკანონობასაც ვერ დავუშვებთ, ყოველი დაპატიმრებულის საქმე უნდა გამოვიძიოთ, ჭეშმარიტება დავადგინოთ... მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დავსაჯოთ მტერი, მოყვარეს კი რას ვერჩით... აიღე ახლა ეს საქაღალდე, დაჯექი მესამე კაბინეტში და ეცადე სიმართლე გაარკვიო. დღეის იქით გამომძიებელი ხარ!.. ეს შენი პირველი საქმეა, იგი ეხება მეტად საშიშ გარეწარს, ჯაშუშსა და მოღალატეს. ასეთები უნდა გასრისო მატლივით!

ტატაჩის კინაღამ ხელიდან გაუვარდა საქაღალდე, თუმცა წონა სულაც არ ჰქონდა, შიგ ალბათ რამდენიმე ფურცელიღა იდო. თავი მაინც არ გასცა, სხარტად, ყოჩაღად წამოდგა, ქუსლებზე შეტრიალდა და გუშინდელი შიკრიკი გაემართა მესამე კაბინეტისაკენ, რათა ასაკოვანი ბიძიებისა და დეიდების ბედიღბალი გადაეწყვიტა...

„რა გულუბრყვილონი ვიყავით, — ფიქრობდა შემდგომ ბერი ზაქარაია, — სიკეთე გვინდოდა გვეთესა და ამ სიკეთის დროშით დაუნდობლად ვიბრძოდით. ახლაც მიკვირს, ჩვენ თუ სიკეთე და ბედნიერება მოგვაქვს, ამდენი კაცი რატომ აღუდ-

გება მას წინ, საიდან ჩნდება ამდენი მტერი?.. მე ხომ ვიცნობდი ტატაჩის!.. კარგი კაცი იყო ტატაჩი თოდუა და ვერ გამოვესარ-ჩლე!.. რატომ?.. შურის გამო?.. უცოდინარობის?.. უფრო შიშის!“

ბერი ზაქარაიას თავში ლაგდებოდა შიშის ისტორია, არათუ საკუთარი შიშისა, არამედ ქვეყნიერების შიშისა. იქნებ ადამიანის არსებობა შიშის გარეშე საერთოდ შეუძლებელია. ოღონდ არის ხანი, როცა შიში უხილავი და ყოვლისმომცველია. სიყმაწვილის ჟამს, სადღაც, მთებს გადაღმა, ომი მძვინვარებდა, სიკვდილი სამკელს იმკიდა, მაგრამ ყოველივე ეს გასაგები იყო — იმპერია იმპერიას ებრძოდა და გიგანტთა ეს ჭიდილი უსისხლოდ ვერ დამთავრდებოდა... რევოლუციამ სისხლიანი ქარიშხალი მოიტანა. ესეც გასაგები იყო, ახალი ხელისუფლება ანადგურებდა ძველს... საქართველო წითლებმა რომ დაიპყრეს, არც ეს იყო გაუგებარი, რადგან არც ერთი დაპყრობა უსისხლოდ არ მომხდარა. დაპყრობილს, ალბათ ეშინოდა, მაგრამ დამპყრობელიც ვერ გრძნობდა თავს უსაფრთხოდ... ოცდაოთხის სისხლიან სასაკლაოზე პირველად გახდა გაუგებარი ვის კლავდნენ და რისთვის... შემდგომ ყოველივე ორ ფერში შეიღება — თეთრად და შავად, თუმცა არავინ უწყოდა, რა იყო თეთრი და რა იყო შავი... ამ გაურკვევლობამ შიში გააძლიერა, ცხოვრების ყველა კუნჭული მოიცვა, ამოსუნთქვის საშუალება მოსპო... შიში აღმოჩნდა ერთადერთი მამოძრავებელი ძალა. შიშის რელსებზე შემდგარი მატარებელი უფრო და უფრო უჩქარებდა სვლას, ბორბლებს გრიალი გაჰქონდა და ყურთასმენა წაელო. ფიქრის არც დრო იყო, არც საშუალება. მაშინ ყველამ იწამა, რომ გზა, რომლისაკენ შიში მიერეკებოდა, ჭეშმარიტია... მსხვერპლი აუცილებელია. და თუმცა ყველა ცდილობდა თვითონ არ მოხვედრილიყო მოლოხის ქვეშ, მაინც და მაინც თუ გამოსავალი აღარა რჩებოდა, ზვარაკის მოთმინებით ეწირებოდა დიად საქმეს, რისი ნამდვილი ფასი არავინ უწყოდა...

შიში თან სდევდა ბერი ზაქარაიას, უსაგნო და გაუთვითცნობიერებელი. ამიტომაც იწამა, რაკი ეს იყო გადარჩენის ერთადერთი საშუალება. თუმცა გულის გულში უპასუხო კითხვები უგროვდებოდა... ერთიც მაშინ დაებადა, როცა თექვსმეტი წლის ტატაჩიმ ბუდიდან რევოლვერი ამოიღო და ხელში შეათამაშა... ჩაიცინა ტატაჩიმ, მის ამ ჩაცინებაში უფლებამოსილება იგრძნობოდა, მაგრამ ბერის იგი არ აწყენინებდა და ამიტომ მხოლოდ ჩაიცინა...

17

იროდიონ თადეოზის ძე რიგვავა, დაბადებული 1875 წელს, ქ. მერეთში, თეატრალური რეჟისორი, მერეთის დრამატული თეატრის თანამშრომელი, შეეკრა რა გერმანიისა და იაპონიის დაზვერვებს, უღალატა სოციალისტურ სამშობლოს და მტერს გადასცა ცნობები, რამაც ძირი გამოუთხარა ქვეყნის უშიშროებას. კაიზერის გერმანიის დაზვერვას იროდინ რიგვავა მიეყიდა ჯერ კიდევ რევოლუციამდე, როცა ახალგაზრდობისას ჩავიდა ბერლინში იურისპრუდენციის შესასწავლად. რაც შეეხება იაპონიის დაზვერვას, იროდიონ რიგვავამ მასთან კონტაქტი დაამყარა თავისი გერმანელი რეზიდენტის ბრძანებით. კონტაქტი შედგა მერეთში ე.წ. ჩინელი კომუნისტის ლიუ ცზიშის მეოხებით... იროდიონ რიგვავას დანაშაულს შეეფარდება საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი...

* * *

ტატაჩი თოდუამ ყოველივე ეს ამოიკითხა თხელ საქაღალდეში. ვინც ტექსტი შეადგინა, კალიგრაფიით ვერ დაიკვეხნიდა. ტატაჩი ასოასო კითხულობდა და ვერაფრით დაუკავშირა ჩინელი კომუნისტი იაპონურ და გერმანულ დაზვერვას... შეეცადა წარმოედგინა სად იყო იაპონია, ჩინეთი, გერმანია — ერთმანეთთან ვერანაირად ვერ მოათავსა და საკუთარი თავის წინაშე შერცხვენილი, საქმიანი იერით მიუჯდა მაგიდას. წინ ოქმის დასაწერი ქაღალდი და საწერკალამი დაიდო. გული უფართქალებდა, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა. უბრალო საქმე ხომ არ იყო, იაპონიისა და გერმა-

ნიის დაზვერვის აგენტი უნდა დაეკითხა. გააფრთხილა კიდეც ძღვიბიმ, ფხიზლად იყავი, არ გაგაცუროსო.

ეროდიონ რიგვავა წარმოსადეგი, ლამაზი მამაკაცი აღმოჩნდა. წვერი სუფთად გაეპარსა, მოკლედ შეკრეჭილი, ჭაღარა თმა უკან გადაევარცხნა. კიტელი ეცვა, საყელოში თეთრი, ქათქათა ნაჭერი ჩაეყოლებინა. სუფთა ხელებზე ფრჩხილები დაჭრილი ჰქონდა და, რამაც ტატაჩი გააკვირვა, გაპრიალებულიც. თავი ღირსეულად ეჭირა. ეტყობა, ასეთ ახალგაზრდა გამომძიებელს არ ელოდა. ალბათ იფიქრა, თვალი მატყუებს, თორემ, რაც ჩანს, იმაზე მეტისა იქნებაო.

ტატაჩიმ ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა. ღელავდა და სკამზე ვერ ისვენებდა. საკუთარ თავზე გაბრაზდა და ფიცხად თქვა:

— დაბრძანდი, მოქალაქევ, და ყველაფერი პირნათლად მომიყევი!

— დიახ, ბატონო მოქალაქევ, მაგრამ რომ არ ვიცი, რა გაინტერესებთ? — აუღელვებლად უპასუხა ეროდიონმა.

— ბატონობა დიდი ხანია გადავარდა, მე ბატონი არა ვარ! — ტატაჩი ისე გაიფხორა, თითქოს შეურაცხყოფა მიაყენესო.

— დიახ, ბატონო... — დაიბნა ეროდიონი, — ეს მე ისე...

— ჰო! — მოლბა ტატაჩი. — რაკი არ იცი რა მაინტერესებს, კითხვებს დაგისვამ... როგორ და სად გაიცანი მოქალაქე ლიუ ცზიში?

— აჰ, იმ ჩინელს ერქვა ლიუ ცზიში? — გაიკვირვა ეროდიონმა. — არც კი ვიცოდი!

— როგორ არ იცოდი, როცა აქ, მერეთში შეხვდი?

— კი, ბატონო... აჰ, უკაცრავად! მე, ბატონო მოქალაქევ, კაი რუსული ვიცი. ამიტომ ბატონმა თოლორაიამ დამიბარა, უცხოელი სტუმარი ჩამოდის, ჩინელი კომუნისტიო. ჩვენი რაიონი უნდა ვაჩვენოთ, თავი მოვაწონოთო. მე ხომ ჩინურისა არაფერი გამეგებამეთქი. ჩინური აქ არავინ იცის, მაგრამ იმ ჩინელს ალბათ ორი ღერი რუსული ეცოდინება და იქნებ შენ მაინც გაუგო რამეო...

ტატაჩიმ ქაღალდი მოიჩოჩა და ბავშვური კალიგრაფიით დაიწყო ეროდიონ რიგვავას მონაყოლის ჩაწერა. ჩქარა ვერ

წერდა, მონდომებისაგან ენა გამოეყო და ტუჩებს ისველებდა. ეროდიონს ჩაეღიმა. ტატაჩიმ ღიმილის მიზეზი ვერ ამოიკითხა, უმწეობა იგრძნო და უხეშად უთხრა:

— შენ განაგრძე! მე გისმენ!

— ისეთი არაფერი მომხდარა! დავხვდით იმ ჩინელს. ვაგონიდან რომ ჩამოვიდა, ორივე ხელი ასწია და მოგვესალმა: „ნიხო!“ თურმე „გამარჯობათო“, — უთქვამს. ჩავსვით მანქანაში და შემოვატარეთ მერეთი. მე, რაც შემეძლო, ვუხსნიდი. ის აქეთიქით იყურებოდა, ყველაფერზე ერთნაირად პასუხობდა — „ხო, ხო!“ კარგია, კარგიო... ბოლოს დაიღალა, მუცელზე ხელი დაიტყაპუნა და „ჩიფან, ჩიფანო...“ — აიჩემა. მივხვდი, ჭამა უნდოდა. გავუშალეთ ჩვენებური სუფრა. თამადად ბატონი ძღვიბი დაჯდა. იმ ჩინელს არაფერი ესმოდა, მაგრამ ყველაფერს ერთნაირად მიირთმევდა და კმაყოფილი სულ „ხო, ხო“ს იძახდა... ცოტა რომ დალია, მუშტი ასწია და შეჰყვირა: „ჩან კაიში ბოხო! სტალინ ხო! სტალინ ვანსაი!..“— ესე იგი ჩან კაიში ცუდია, სტალინი კარგია და ათასი წელი იცოცხლოსო...

— აკი ჩინური არ ვიციო? — ეჭვით დაეკითხა ტატაჩი.

— „ხო“ და „ბოხოს“ რომ მიხვდე, ბატონო მოქალაქევ, დიდი ტვინი არ არის საჭირო! — კვლავ გაეღიმა ეროდიონს. — სხვანაირ ჩინურს კი, რომც მომენდომებინა, ვინ მასწავლიდა?

— იმან ხომ იცოდა რუსული?

— კი, ორი სიტყვა იცოდა — „ტავალისც!“ და „დავაი, დავაი!“

„მატყუებს! — გაიფიქრა ტატაჩიმ. — აკი უფროსმაც გამაფრთხილა!“

ფიქრით კი გაიფიქრა, მაგრამ თავისდაუნებურად მიენდო ეროდიონის მშვიდ, აუღელვებელ ხმას.

— გერმანიისა და იაპონიის დაზვერვებზე რაღას იტყვი?

— იცით, ბატონო მოქალაქევ, — ეროდიონმა მხრები აიჩეჩა, — ჩემს სიცოცხლეში გერმანიაში და საერთოდ საზღვარგარეთ არ ვყოფილვარ. იაპონიაზე ლაპარაკი კი უბრალოდ სასაცილოა!

— როგორ, აკი ბერლინში იურისპრუდენცია შეისწავლაო?

— ნეტავი ეგრე ყოფილიყო! ხომ გეუბნებით, ბერლინში არ ვყოფილვარმეთქი. თუ დამიჯერებთ, არც იურისპრუდენცია შემისწავლია ოდესმე. უმაღლესი განათლება, სამწუხაროდ, საერთოდ არ გამაჩნია. სანკტპეტერბურგში კი ვყოფილვარ, მინდოდა უნივერსიტეტში მესწავლა, მაგრამ პურის ფული აღარა მქონდა. მოხეტიალე არტისტებს შევეკედლე. სახუმარო სკეტჩებს ვდგამდით და ეზოეზო დავდიოდით. ჩვენმა თეატრმა სახელი მოიხვეჭა და საგასტროლოდ წავედით კიევსა და ოდესაში... მერე ომმა მოგვისწრო... რევოლუციის შემდეგ შინ ჩამოვედი, თბილისში ვიმუშავე. ერთი წელია მერეთში მომავლინეს. ალბათ გინახავთ ჩემი სპექტაკლები...

ტატაჩი გაწითლდა. არც მერეთისა და არც რომელიმე სხვა თეატრში არასოდეს ყოფილა, ვერ მოიცალა. რცხვენოდა ამის გამხელისა. სიმორცხვემ გააფიცხა, შუბლი ჯიუტად წინ წასწია და თქვა:

— ვერ ვიცლი თეატრისათვის, სულ ვომობთ და ვომობთ!

იროდიონ რიგვავამ გაკვირვება არ შეიმჩნია, ხელი მოხდენილად ასწია, მზერა ჭერისაკენ აღაპყრო და წაუმღერა:

— აჰ, ახალგაზრდავ, იცით, თეატრი ეს არის...

აზრი არ დაუბოლოებია, მაგრამ ისედაც ნათელი იყო, რომ თეატრი რაღაც ღვთაებრივი და დიადია.

— უკაცრავად, ბატონო მოქალაქევ, რამდენი წლისა ბრძანდებით?

— რაში გჭირდება? — უხეშად შეეპასუხა ტატაჩი.

— იცით, თქვენ აუცილებლად უნდა ნახოთ „რომეო და ჯულიეტა“. რომეო თითქმის თქვენი ტოლია. არ შეიძლება ამ სპექტაკლმა არ შეგძრათ! თქვენ, ალბათ, შექსპირი წაკითხული გაქვთ?

ტატაჩის არც შექსპირისათვის ეცალა.

— სამწუხაროა, სამწუხარო! — ამოიოხრა იროდიონმა. — ჩვენ ვერ ვიცლით ჭეშმარიტი ღირებულებებისათვის, ცხოვრება კი, იცით, მიდის. ამაღლებული ხელოვნება ადამიანს აკეთილშობილებს. როცა რომეო და ჯულიეტას ტრაგიკული სიყვარულის ამბავს გაიგებს, მკვლელიც კი დანას გადააგდებს და გული შერიგებისაკენ გაეხსნება!

— ჰმ, შერიგებისაკენ... — ბაგე მოებრიცა ტატაჩის. — გააჩნია, ვის უნდა შეურიგდე! სამშობლოს მტერსა და მოღალატეს მე ვერ შევურიგდები! შენ თუ დაზვერვის აგენტი ხარ...

იროდიონ რიგვავა უცბად ჩაქრა, სახეზე მოწყენა დაეფინა.

— ახალგაზრდავ, არავისი აგენტი მე არა ვარ და საერთოდ არ მესმის აქ რატომ მომიყვანეს!

გულის სიღრმეში ტატაჩის სჯეროდა ამ კაცისა. „მართლაც რაღაც შეცდომაა, — გაიფიქრა, — ალბათ შეაცდინეს ამხანაგი ძღვიბი, თორემ ქალაქში ასე გამორჩეულ კაცს ვინ დაიჭერდა!“

— აბა, დაიფიცე! — ბავშვურად, გულუბრყვილოდ სთხოვა ტატაჩიმ.

— სინდისს ვფიცავარ! — სერიოზულად თქვა იროდიონმა.

— ასევე დავწერე ყველაფერი! — ქაღალდი გაუწოდა ტატაჩიმ. — წაიკითხე და ხელი აქ მომიწერე!

იროდიონ რიგვავამ ხელი მოუწერა და იმედით შეხედა:

— გამათავისუფლებენ?

— უფროსს მოვახსენებ და ვნახოთ!

— ბატონო მოქალაქევ, ნუ მიწყენთ და გირჩევთ სპექტაკლს დაესწროთ!

ნახევარი საათის შემდეგ ტატაჩი უფროსის კაბინეტში იყო.

— მაშ, შენ დაასკვენი, რომ რიგვავა უდანაშაულოა?

— დიახ! — ენა აუბორძიკდა ტატაჩის.

— რაღა დაგვრჩენია, ბოდიში უნდა მოვუხადოთ შეწუხებისათვის და გავუშვათ!

— დიიახ!

— ასეც ვიზამ, ამხანაგო ტატაჩი, მაგას, მაგრამ ნებას თუ მომცემ, ამაღამ მეც დავკითხავ და თუ ყველაფერი შენებურად დადასტურდა, ცხადია, გავუშვებთ! — ძღვიბის უცებ სახე გაეყინა, თვალები დაუწვრილდა და წაისისინა: — ჩვენ ხომ მსოფლიოში ყველაზე სამართლიან ქვეყანაში ვცხოვრობთ, არა, ამხანაგო ტატაჩი?! უდანაშაულოს თავიდან თმის ღერსაც ვერავინ ჩამოაგდებს, ხომ ასეა, ამხანაგო ტატაჩი?!

— დიახ! — შემკრთალმა ბიჭმა უკანუკან დაიხია და, კარი რომ მიხურა, შვებით ამოისუნთქა. თვითონაც ვერ გარკვე-

ულიყო, ასე რატომ თრგუნავდა ამხანაგ თოლორაიასთან საუბარი.

მზე უკვე გადახრილიყო და სიცხიანი დღე, ალბათ, საამური სიგრილით შეიცვლებოდა. ტატაჩი საოფიშე ტუმბოსთან გაჩერდა. სხვადასხვა უინტერესო აფიშებს შორის თეატრალურიც მონახა. „უილიამ შექსპირი. რომეო და ჯულიეტა. დამდგმელი რეჟისორი ირროდიონ რიგვავა...“ ქურდულად მიმოიხედა, თითქოს საძრახის საქმეს სჩადიოდა. აქამდე არასოდეს გაჩერებულა აფიშასთან, არ დაინტერესებულა, რადგან თეატრი სულ სხვა განზომილებაში არსებობდა.

გზა განაგრძო, ყოყმანობდა. არ იცოდა, როგორ ხდება „თეატრში წასვლა“. „მივალ სალაროსთან, ბილეთს ვიკითხავ, მოლარე კი მეტყვის — შენ რა, ახალგაზრდავ, აქაური არა ხარ? ბილეთი რამდენი ხანია, დაიტაცეს, მააშ, შენ დაგელოდებოდნენ, როდის ინებებდი მობრძანებას!..“ ხვალ კი ირროდიონ რიგვავას ეტყვის, ვიყავი, მოქალაქევ, თეატრში, მაგრამ ბილეთები დაუტაცნიათ და არავინ შემიშვა. ჩემი სახელი რატომ არ ახსენეთ? — შეწუხდება ირროდიონი, თუმცა ნაძალადევად, რადგან უხარია, რომ მის სპექტაკლზე ტევა არ არის... ამ ფიქრებით მიადგა ტატაჩი სალაროს. კაციშვილი ახლომახლო არ ჩანდა. სარკმლიდან მოლარემ გამოიხედა ამრეზით, თითქოს ეუბნებოდა, მოგცლია ერთი, რას მოეთრეოდიო.

— სამი ბილეთი!

ბილეთები ჯიბეს წვავდა. ეგონა, რომ ყველა ხვდებოდა, თეატრში მიდისო. უყურეთ, ბავშვივით აცეტებულა, რა კაცის საქმეა თეატრში სიარულიო. ან სამი ბილეთი რაღად გინდა? — ეშმაკუნა ჩასჩურჩულებდა დაცინვით... „რა ვიცი, — ყოყმანით პასუხობდა ტატაჩი, — აგერ ბიკენტის დავპატიჟებ, იქნებ მართაც წამოვიდეს...“ მართა რომ ნახა, ბიკენტი გადაავიწყდა, სითამამე მოაკლდა... პატარა საქმე ხომ არ არის? სულ სხვაა კომუჯრედის კრებაზე წასვლა, სულ სხვაა — თეატრში.

— ცაცანა დეიდა, მართას გამოუშვებ?

— სად მიდიხართ, შვილო?

— კომკავშირის კრებაზე!

— ამდენი კრება გაგონილა? ყოველდღე კრება გაქვთ?

— აბა რა ვიცი! — დაიბნა ტატაჩი, მაგრამ ამასობაში მართაც გამოცქრიალდა.

— დედა, თუ საქმეს არგებს, დილიდან საღამომდე კრებას ჩავატარებთ!

— ჰო, შვილო, მაგრამ ჩემს დროს კრების გარდა, სხვა საქმეებსაც ვაკეთებდით!

— ის დრო სხვა იყო, დედიკო! — მართამ ცაცანას აკოცა. — ახლა სხვა დროა! — ჭიშკართან კი კოპები სასაცილოდ შეკრა და ვითომც გაბრაზებულმა ტატაჩის უთხრა: — ახალი რამე მოიგონე, ყოველ მოსვლაზე კრებას იძახი!

— თეატრი რომ მეთქვა, გამოგიშვებდა?

— უი, თეატრში მივდივართ? — ტაში შემოჰკრა მართამ. — სამი ბილეთი რად გინდოდა?

— ერთი ბიკენტისთვისაა, მაგრამ აწი ვერ მოვასწრებთ!

ფეხი აუჩქარეს, ოღონდ დაშორიშორებით მიდიოდნენ. ბევრი კი არ სჭირდებოდა მერეთელთა წინაშე გამოჭენებას. დარბაზშიც ისე დასხდნენ, შუაში ცარიელი სკამი ჩაიტოვეს. ტატაჩიმ ზედ ქუდი და ბილეთი დადო, აქაოდა დაკავებულიაო...

გასუსულნი სხედან...

გულები აჩქარებით უცემთ...

მუსიკა...

ხავერდის ფარდა მაღლა იწევს და გამოჩნდება ვერონას ხედი...

არ არის ამბავი უფრო სევდიანი, ვიდრე ამბავი რომეოსი და ჯულიეტასი...

— შენა გგავს, მართა!

— ის კი შენ!

რომეო ეპარება ჯულიეტას... თითების პირველი შეხება, უნებლიე კრთომა, ნეტარი ჟრჟოლა, ურთიერთლტოლვა გაუსაძლისი...

მართას ხელი ქუდს ეხება... ტატაჩიმაც ქუდს შეახო თითი. უნებლიეთ გოგოს ხელს შეხვდა... წამიერი ლაციცი... თავზარ-

დამცემი და ამავე დროს უნეტარესი ჟრჟოლვა უვლით თავით ტერფამდე...

რომეომ ჯულიეტას ხელი დაიჭირა... ეს ბედნიერების მწვერვალია...

ტატაჩიმ მართას ხელი დაიჭირა... რა მოხდა?.. აქამდეც ხომ ჩამოურთმევია ხელი კომკავშირულად. სიამოვნებდა, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი სალამი იყო, მეტი არაფერი... ახლა კი თითქოს პირველად შეეხო და ხელიდან ხელში გადაედინება თბილი ტალღები...

მაგრამ ბედნიერება ხომ მარადიული არ არის!.. ტიბალდი, მოუთმენელი და გაბოროტებული... ორთაბრძოლა და სისხლი... ასე ვის გაწირავს ტატაჩი?.. ასე ვის უერთგულებს მართა?

განშორება... ცრემლი... სიკვდილი...

გამტკნარებული ზის ტატაჩი. კბილი კბილს მიეყინა. სცენას ისე მისჩერებია, თითქოს თვითონ კვდება.

ატირდა მართა, ჩუმად, სირცხვილიანად ასლუკუნდა...

ფარდა ეშვება, ტაშის ღონე აღარაა...

გარეთ, ქუჩაში, ბინდი ჩამოშვებულა. მართამ ხელი გასწია, მაგრამ ტატაჩის მისი ხელი უჭირავს, აღარ უშვებს.

ასე მიდიან, მხრებით ერთმანეთს ეხებიან.

— ირონიონ რიგვავა დაიჭირეს! — თქვა უცებ ტატაჩიმ. — შეცდომით... წარმოგიდგენია, საშინელ სისულელეებს აბრალებდნენ. მე კი სიმართლე გავარკვიე და ხვალ დილით გამოუშვებენ.

მართამ პატივისცემით შეხედა. ცხადია, ტატაჩი უკვე ვაჟკაცია, შეუძლია სიმართლისათვის იბრძოლოს.

აგერ ბიკენტიც! დგას შუა ტროტუარზე, გულზე ხელები დაუკრეფია, პირქუშად იყურება, თუმცა ქუჩის ნათურა თავზევით ბჟუტავს და იქნებ იმიტომაც ჩანს პირქუში.

— სად იყავით? — ხმაში წყენა ეტყობა.

— თეატრში! — წამღერებით, კეკლუცად ამბობს მართა.

— თეატრში! — აჯავრებს ბიკენტი.

— ჰო, შენთვისაც გვქონდა ბილეთი! — ტატაჩის არ მოსწონს მართას კეკლუცობა.

— ჩემთვისაც ჰქონდათ ბილეთი!.. დიდი მადლობა! — გაგულისებით ამბობს ბიკენტი.

სამნი მიდიან, აქეთიქიდან ამოსდგომიან ქალიშვილს და მართა სიცილსიცილ ხან მარჯვნივ იხრება, ხან მარცხნივ.

— ბრაზიანი ბიჭები! — დააგდებს და ჭიშკარში შევარდება.

ყმაწვილები ცოტა ხანს დგანან, არ იციან როგორ მოიქცნენ.

— ერთხელაც იქნება და შემომელახები! — მოულოდნელი მძულვარებით ამბობს ბიკენტი.

ტატაჩი იფხორება, გული საგულეში ვერ ეტევა.

— მოდი და სცადე, თუ ბიჭი ხარ! — დაქადნებით პასუხობს.

ბიკენტი სწრაფად შეტრიალდა და გაშორდა. ორისამი თვით უფროსი იყო ტატაჩიზე, საულვაშეზე ღინღლი ამოსვლოდა და თავი კაცი ეგონა...

შინ წამოვიდა ტატაჩი, თავში დომხალი ჰქონდა.

— დედა! — ეფროს უთხრა ძილის წინ. — მე და მართა თეატრში ვიყავით! იქ ყველაზე კეთილი კაცი მღვდელი იყო!

— ეგ გიკვირს, შვილო? — ეფრომ პირჯვარი გადაიწერა. — მღვდელი ღვთის მსახურია, ღმერთი კი მაღალია!

— ღმერთი კი არა ის არ გინდა! — უხეშად შეეპასუხა ტატაჩი და საბანი თავზე გადაიფარა.

მართამაც უთხრა ცაცანას:

— კრება არ ჩატარდა, დედა! თეატრში წავედით! რომეო და ჯულიეტა... ძალიან ლამაზები იყვნენ!.. ვიტირე... იცი, იქ ყველაზე კეთილი მღვდელი იყო!

— შექსპირი, დაგენაცვლე, კლასობრივად ჩამორჩენილია! — აუხსნა ცაცანამ. — მღვდელი ადამიანს გონებას უბნევს და ატყუებს!

— არ ვიცი, დედა! — ყოყმანით თქვა მართამ და ჩუმად პირჯვარი გადაიწერა...

18

დილით ტატაჩი ეფრომ გააღვიძა:

— რა იყო, შვილო, რას ყვიროდი? მეგონა, ვიღაცა გკლავდა!

ტატაჩი უაზროდ ახამხამებდა თვალებს, გონს კარგა ხანს ვერ მოეგო... მართლაცდა რა იყო, ისეთი რა დაესიზმრა... შიშისაგან ცივმა ოფლმა დაასხა. გახსენებით კი ისღა გაიხსენა, რომ ირროდიონი და ძღვიბი გამოეცხადა. ვითომ ძღვიბის ირროდიონი დაეკლა, ხორცის ნაჭრებს შამფურზე აგებდა და ნაკვერცხლებზე აფიცხებდა... რამ დაასიზმრა ასეთი ამაზრზენი სიზმარი. ძილისწინ ხომ მართაზე ფიქრობდა, რომეოსა და ჯულიეტას სევდიანი ამბავი ახსენდებოდა. თვალს რომ ხუჭავდა, ინატრა, მართა დამესიზმრებოდეს, ძილში მაინც ველაციცოო... მას კი ირროდიონის გვამი და პატარა მხეცუნად გადაქცეული ძღვიბი დაესიზმრა...

— ჯგირიში სქან სიზმარი, კარგად აგხდენოდეს! — მშვიდად მოუსმინა ეფრომ. — ახალგაზრდის სიზმარი სისხლის დუღილია, ნურაფრის შეგეშინდება!

მაინც ვერ დამშვიდდა ტატაჩი. წყალი პირზე შეისხა, უგემურად მოციცქნა ღომი და ყველი. მძიმე, დაღლილი ნაბიჯებით გაემართა შინსახკომისაკენ. დღეც ისეთი იყო, ფერთაგან დაცლილი. გუშინდელი სიცხის შემდეგ ცა მკრთალი, უსახური ღრუბლებით დაიფარა და ჰაერი შეაგუბა. ნიავიც არ იძროდა, სუნთქვა გაჭირდა.

კიბის თავზე ძღვიბი თოლორაია დახვდა. დოინჯი შემოეყარა და ასე გადმოჰყურებდა ზევიდან. ტატაჩი მხრებში გასწორდა, ნაბიჯს სიმტკიცე შესძინა. უფროსს არ უნდა შეენიშნა მისი მღელვარება.

— შედი, ახლა, ამხანაგო ტატაჩი, კაბინეტში და ხელახლა დაკითხე ირროდიონ რიგვავა! — მოფერებით, კრუტუნით ალაპარაკდა ძღვიბი. — ეს შენთვის გაკვეთილი იქნება! სიტყვაზე ნურასოდეს ენდობი მტერს. ისინი თავის გადასარჩენად რასაც გინდა იმას მოიგონებენ. ხომ გეუბნებოდი, ირროდიონ რიგვავა გამოცდილი და გაქნილი მტერიამეთქი, იგი სამშობლოს მკერდზე მიხუტებული გველია. ამიტომ მკერდს უნდა მოვწყვიტოთ და თავი ქვაზე ვახალებინოთ!.. მტერი აი, ასე უნდა მოვჭმუჭნოთ! — ძღვიბიმ პატარა მუშტი ხელისგულზე დაისრისა, ვითომც შიგ გამომწყვდეულ მტერს ჭმუჭნიდა.

ტატაჩიმ შიშით შეავლო თვალი, თითქოს ამოწმებდა, აცხია თუ არა ძღვიბის ირროდიონის სისხლიო, თქმით კი ვერაფერი თქვა, თავი უხმოდ დაუქნია.

— ისწავლე, შვილო, თქვენ ახალგაზრდებმა უნდა განაგრძოთ ჩვენი საქმე! — დასძინა ძღვიბიმ და გამხდარი, ჩხინკა თითები მხარზე მოუთათუნა.

ტატაჩიმ მხარი შეარხია, თითქოს ძღვიბის თითები მიეწება და იმის ჩამოშორება უნდაო.

— მიდი, მიდი! — გაუმეორა ძღვიბიმ.

„მოვწონვარ! — გაიფიქრა ტატაჩიმ, თუმცა ამ აღმოჩენას დიდად არ გაუხარებია. — ალბათ ნესტორის შვილი რომ ვარ, იმიტომ მეფერება!“

კაბინეტის კარი რომ შეაღო, უსიამოვნო სუნი ეცა. მის მაგიდას ბადრაგის ჯარისკაცი უჯდა, გაზეთში გახვეულ „მახორკას“ ექაჩებოდა. ტატაჩის შემოსვლისთანავე წამოდგა, თუმცა არც ისე სწრაფად, როგორც სხვა გამომძიებლებთან გააკეთებდა. „პატარა ბიჭი ვგონივარ!“ — გაიფიქრა ტატაჩიმ, მაგრამ გაჯავრების დრო არც ჰქონდა, რადგან ამ დროს დაინახა ირროდიონ რიგვავა.

მონუსხულივით გაჩერდა. ეს კაცი ჰგავდა კიდეც ირროდიონს და არც ჰგავდა. მომჩვარული ეგდო სკამზე, კედელს მიყრდნობოდა. ეს კედელი რომ არა, ალბათ ძირს ჩამოსრიალდებოდა. თავპირი ისე დალილავებოდა, ცოცხალი ადგილი არ აჩნდა. სისხლით დალაქავებული და დაგლეჯილი პერანგიდან ჭაღარა ბანჯგვლები მოუჩანდა. ხელები უღონოდ ჩამოეყარა, ფეხები ფართოდ გაეფარჩხა. შარვლის ტოტს სისველე ჩამოჰყვებოდა. სკამის ქვეშ გუბე იდგა.

ტატაჩიმ იგრძნო, რომ გული ერეოდა. ანგარიშმიუცემლად იტაცა ყელზე ხელი, სისუსტის გამჟღავნება არ ივარგებ-

და. თავს მოერია, ჯარისკაცს ანიშნა, გადიო. სკამზე დაჯდა, ხელები თავზე შემოიჭდო და კვლავ იროდიონს გახედა.

ეგონა, ცოცხლებში უკვე არ ჩაითვლება, ალბათ არც სუნთქავსო, მაგრამ კაცის მზერას შეეფეთა და აირია.

ზიზღისმომგვრელი ხორცის გროვაში, რადაც იროდიონ რიგვავა გადაქცეულიყო, ერთადერთი სუფთა და მართალი ეს თვალები შერჩენოდა და ტატაჩის თავგზა აებნა. რცხვენოდა ამ მართალი მზერისა და თან ბრაზდებოდა საკუთარ თავზე, რაკი ასეთი გამოუსწორებელი გულჩვილი აღმოჩნდა, მებრძოლის სიმტკიცე და მტრის სიძულვილი აკლდა.

თვალი აარიდა ტატაჩიმ იროდიონს, დაკითხვის ოქმს დახედა, ძღვიბის წვრილი და გაბნეული კალიგრაფიით დაწერილს.

მე, იროდიონ რიგვავა, — ეწერა ამ ოქმში, — დიახაც, მივეყიდე კაიზერის გერმანიის დაზვერვას. ეს მოხდა ბერლინში ჩემი ყოფნის დროს, როცა იქ იურისპრუდენციის შესასწავლად გავემგზავრე. ომის შემდეგ შევეკარი ფაშისტური გერმანიის დაზვერვასაც, სულ ბოლოს კი იაპონიისა და მანჯოუგოს დაზვერვას, ლიუ ცზიშის, იმავე პუ სუნლინის მეშვეობით... მტერს გადავცემდი ნაირნაირ ინფორმაციას მერეთის სამეურნეო და სამხედრო მდგომარეობაზე, გადავეცი ორი ფოტოსურათი რკინიგზის სადგურზე ჩამომდგარი ჯავშნოსანი მატარებლისა, აგრეთვე საგაზაფხულო თესვისა და ჩაის კრეფის მონაცემები...

— აკი ბერლინში არ ვყოფილვარო? — საყვედურით თქვა ტატაჩიმ.

იროდიონის მზერაში სასოწარკვეთა და შიში გამოკრთა. დახეთქილ ტუჩებს ძლივს აცმაცუნებდა, ეწადა რაღაცის თქმა, მაგრამ პირიდან სიტყვა არ ამოსდიოდა.

— რა, რა? — ტატაჩი სწრაფად მიუახლოვდა, ალბათ საჭიროზე უფრო სწრაფად, რადგან იროდიონი შეირხა, კედელს მიეკრა, შეიჭმუხნა.

„შეშინდა! — შერცხვა ტატაჩის. — ჩემი შეეშინდა, ეგონა, მეც დავარტყამდი!“

შეკითხვა გაუმეორა:

— აკი ბერლინში არ ვყოფილვარო?

იროდიონმა უარის ნიშნად თავი ოდნავ გააქნია.

— მაშ, ხელი რატომ მოუწერე, ვიყავიო? — შეკითხვა გულუბრყვილო იყო, პასუხს არც მოითხოვდა და იროდიონმა თვალი გაუსწორა. ეს იყო დატანჯული კაცის მზერა, რომელშიც მხოლოდ ერთი რამ ამოიკითხებოდა: ოღონდ თავი დამანებეთ და სიცოცხლეც წაიღეთო!

ბაგე შეარხია იროდიონმა, ტატაჩი ძლივს მიუხვდა.

— რამდენი წლისა ხარ?

გაწითლდა ტატაჩი, უნდოდა ეპასუხნა, რა შენი საქმეაო, მაგრამ გაუჩუმდა, იროდიონმა კი ნიავივით წაიჩურჩულა:

— იცი, პუ სუნლინი ვინ არის?

ტატაჩიმ თავი გააქნია.

— მწერალია, მეჩვიდმეტე საუკუნეში ცხოვრობდა, ზღაპრებს წერდა... — ძლივს ამოთქვა და თვალი დახუჭა, გაისუსა, თითქოს მიიძინა.

ტატაჩი მაგიდისაკენ შებრუნდა, ნაწერი ერთხელაც გადაიკითხა და თითქოს უბიძგესო, ქაღალდის ფრიალით უფროსის კაბინეტს მიაშურა.

ძღვიბიმ უკმაყოფილოდ შეხედა, თვალებით თითქოს ხვრეტდა.

— რაო, დარწმუნდი?

— იროდიონ რიგვავა უდანაშაულოა! — ეს კი თქვა ტატაჩიმ, მაგრამ გული შიშით შეეკუმშა.

ძღვიბი სკამის ზურგს მიაწვა, უკან გადაიწია, აქანავდა... ქანაობდა, სკამს აჭრაჭუნებდა და ყმაწვილს მზერას არ აშორებდა. მერე შეპარვით, ალერსით ჰკითხა:

— რამდენი წლისა ხარ, ბიძია, შენ?

ტატაჩიმ ნერწყვი გადაყლაპა, კითხვაზე პასუხის გაცემა საჭირო არ იყო, რადგან უფროსმა მისი ასაკი კარგად იცოდა.

ქანაობა შეწყვიტა ძღვიბიმ. ერთხანს დუმდა, დაკვირვებით ათვალიერებდა ბიჭს.

— ესე იგი არ ენდობი ჩემს გამოცდილებას? რა გითხრა იმ თახსირმა იროდიონმა ისეთი, მისი გჯერა და ჩემი არა?!

— აი, მაგალითად, პუ სუნლინი მწერალია, თანაც მეჩვიდმეტე საუკუნისა! — ამოღერღა ტატაჩიმ.

ძღვიბის პირისახე მოექცა, დაეჯღანა, წვრილი თვალები კიდევ უფრო დაუწვრილდა და უხსენებელივით ასისინდა:

— მე მაპამპულავებდა, ხომ?! მასხრად მიგდებდა?.. მარტო ამიტომაა ღირსი, თავი რომ ჩექმით გავუჭეჭყო!.. შენ, ბიძია, ფრთხილად იყავი! იმიტომ გამოგარჩიე სხვებში, მამაშენის შვილად გიცანი!.. მამაშენიც ყოყმანობდა, ბოლომდე არ ეყო სიმტკიცე! შენც ვერა ხარ წელმაგარი, ან ზედმეტად მიმნდობი ხარ, ან ცალი ყური მტრისკენა გაქვს! იმ ძაღლიშვილმა ეს რომ გითხრა, შენც უნდა აგეღო და თავში სკამი ჩაგეფშვნია, მაშინ იქნებოდი მართალი... წადი ახლა, დღეს თავისუფალი ხარ! ეს გაკვეთილი იქნება შენთვის, ეროდიონ რიგვავას კი მე თვითონ მოვუვლი, ნეხვი ნეხვშივე უნდა ჩაზილო... ასეა ეს!

ძლივს შებრუნდა ტატაჩი, ნაბიჯი ძლივს გადადგა და კარიც ძლივს გააღო. კეფაზე კვლავ ქოსას გველურ მზერას გრძნობდა და ამ მზერისაგან აძაგძაგებდა.

— თეატრში მეც გახლდი, ამხანაგო ტატაჩი! — გასძახა ძღვიბიმ. — ნიჭიერი კაცია ეროდიონ რიგვავა, მაგრამ დამიჯერე, ნიჭიერი არამზადა და სოციალიზმის მტერია! ეს ამოვიკითხე მე იმ წარმოდგენაში!

შინისაკენ ნაცემივით მიდიოდა ტატაჩი. ტვინი უხურდა, მტყუანმართალი ვერ გაერჩია. შინ რომ მივიდა, ლუკმა არ გაუტეხია, ტახტზე მიეგდო და პირი კედლისაკენ იბრუნა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა ეფრომ.

— თავი მტკივა!

მართლაც სტკიოდა, თითქოს სალტე შემოუჭირესო, თითქოს ტვინში ლურსმანს აჭედებენო.

ეფრომ ხელი შუბლზე დაადო.

— მგონი, სიცხეცა გაქვს! — ყოყმანითა თქვა. — თავს ვერ უვლი და იმიტომაც გაცივდი.

ტატაჩიმ მოუყრუა, თავის არეულ ფიქრებთან ეწადა დარჩენა.

ეფრომ კეჟერას ფოთოლი მოარბენინა, შუბლზე დაადო, მანდილით შეუხვია.

ფოთლის სიგრილემ ტკივილი დაუამა, შვება მოჰგვარა. თვალები დახუჭა და გონების თვალსაწიერზე ეროდიონ რიგვავას მზერას შეეფეთა. სევდა, ტკივილი, მორჩილება იკითხებოდა ეროდიონის მზერაში, — შიშიც, მუდარაც... სწორედ მას, პატარა ბიჭს ემუდარებოდა ამოდენა კაცი, შველასა სთხოვდა.

უცებ გონება გაუნათდა ტატაჩის. ეს იყო მახე! ეს იყო გამოცდა, ძღვიბიმ რომ მოუწყო თავის ახალგაზრდა მოწაფეს. ახლა მოწმდებოდა მისი პარტიულკომკავშირული სიმტკიცე, ერთგულება, მტრისადმი დაუნდობლობა... ამ გზით ცდილობდა ძღვიბი თოლორაია ჩამოექნა თავისი ალიკვალი, საქმის გამგრძელებელი... თუ ბოლომდე გაჰყვება ტატაჩი მასწავლებელს, თუ უერთგულებს, ძღვიბის ძლიერი მფარველობა გაუკვლევს გზას... და თუ სისუსტეს გამოიჩენს, თავიდან მოიშორებენ, განზე მიაგდებენ და იქნებ საქმე ერთგულთა წრიდან გაძევებით არ დამთავრდეს...

იგრძნო საშიშროება ტატაჩიმ, დასცხა, აკვნესდა.

— ცუდადა ხარ? — კვლავ დაეკითხა ეფრო, შუბლი მოუსინჯა.

— ჰო, შეუძლოდა ვარ! — მართლაც შეუძლოდ იყო, გული შესჭირვებოდა.

მთელი ღამე ვერ დაიძინა, შამფურივით ტრიალებდა...

მეზობელ ოთახში ეფრო იწვა, ხანდახან ხმადაბლა დაუძახებდა:

— ტატაჩი, შვილო, არა გძინავს? ცუდად ხომ არა ხარ, დედა?

ტატაჩი გაიტრუნებოდა, თავს მოიმძინარებდა.

მეორე და მესამე დღეს სამსახურში არ წასულა. პატარა ბარათი გაატანა დედას, გავცივდი, სიცხე მაქვს და თუ ნებას დამრთავთ, შინ დავრჩებიო. ძღვიბიმ თურმე დიდი პატივით მიიღო ეფრო. ფეხზე წამოუდგა, მოიკითხა, ახალგაზრდობის წლები მოაგონა, ის დრო, როცა ტაშფანდურისათვის და ცეკვათამაშისათვის იცლიდნენ და ხმის ჩახლეჩამდე კამათობდნენ შორეულ მომავალზე.

— ა, ხომ მოვიდა ეს მომავალიც! — კმაყოფილებით თქვა ძღვიბიმ.

ეფრომ პირი მოკუმა, არაფერი უპასუხა. ეს მომავალი ძღვიბისათვის იქნებ კარგიც იყო, ეფროს კი ძველებურად სული კბილით ეჭირა.

— დაისვენოს ბიჭმა ერთიორი დღე! — ღიმილით თქვა ძღვიბიმ, ხელები მოიფშვნიტა. — ცოტა მოშუშდეს! შენ ნუ შიშობ, ეფრო, ისე გავხედნი, კაცად ვაქცევ!

ამ ამბავს უყვებოდა ეფრო შვილს, თან ძღვიბის ბაძავდა, მასავით ხელებს იფშვნეტდა და ქირქილებდა. ეფროს ამ ანგლობაში ხუმრობაზე მეტი წაიკითხა ტატაჩიმ. დედას არ უყვარდა ქოსა ძღვიბია, უფრო მეტიც, დედას სძულდა თავისი ქმრის რევოლუციური მეგობარი. ეს აღმოჩენა იყო, მაგრამ შეკითხვა ვერ გაუბედა, მიზეზის ძიება არ დაუწყია. სულის სიღრმეში თვითონაც არ უყვარდა თავისი კეთილისმყოფელი...

მომდევნო ნაშუადღევს ჭიშკართან „ვილისი“ გაჩერდა და ძღვიბი თოლორაია გადმოვიდა. აუჩქარებლად გამოემართა კიბისაკენ. ხანდახან ჩერდებოდა, ხელის ზურგს იფხანდა, ანდა მხრებს იმნაირად შეარხევდა, ზურგი ექავება და მშველელი არავინა ჰყავსო. ტატაჩი ჩაცმული იწვა ფანჯარასთან და მანქანის ხმაზე წამოიწია, კარგად ხედავდა აქეთ მომავალ ძღვიბის.

ეფრო ჩაეგება კიბეზე, მობრძანდი, მობრძანდიო, თან ხელებს ზურგსუკან მალავდა, არ უნდოდა გაეწოდებინა... კარგადაც მიუხვდა ტატაჩი დედას ნაფიქრალს.

— გამოვუარე, ეფრო, შენს ბარტყს! ვიფიქრე, მოვიკითხავ, დავხედავ... ვიცი მე, რა ავადმყოფობაც მაგას სჭირს. დამაცადე, წუთში მოვარჩინო!

ტატაჩი წამოვარდა, ტანსაცმელი შეისწორა და ძღვიბის ჯარისკაცურად გაჭიმული დახვდა.

— ასეც ვიცოდი! — თქვა ძღვიბიმ კმაყოფილებით. — დაჯექი, დაჯექი!

თვითონაც სკამი გამოაჩოჩა და ხელი დაუქნია, შენც დაჯექიო.

ტატაჩი ტახტის კიდეზე ჩამოჯდა, ხელები მორიდებულად დაიწყო შეტყუპებულ მუხლებზე.

ეფრო ოთახიდან გავიდა, სამზარეულოში თეფშებს აჩხაკუნებდა, ალბათ სტუმრისათვის ახაზირებდა რამეს.

— მამაშენი ვაჟკაცი იყო, სიმტკიცე და გამბედაობა არ აკლდა. — ძღვიბი მოფერებით ლაპარაკობდა. — ერთი ნაკლი ჰქონდა მხოლოდ, თავის ნამოქმედარს სინდისის სასწორზე შეაგდებდა... რა არის სინდისი? საერთოდ რა არის ზნეობა, მორალი?.. ყოველ ჩვენთაგანში დარჩა ძველის გადმონაშთი. ათასი წელი მღვდელი ჩაგვჩიჩინებდა, ქრისტეს მცნებით იცხოვრეთ, ქრისტეს მცნებანი არ დაივიწყოთო. იმდენი გვიჩიჩინეს, ჩვენი არსების ნაწილად გადაგვიქციეს და ყველანი, მორწმუნეებიც და ღვთისმგმობი ათეისტები მაგ განაწესით ვცხოვრობთ. მოდი, განვსაჯოთ: ჩვენ თუ ათეისტები ვართ, ღმერთი უარვყავით, მაშინ ქრისტეს მცნებანი ჩვენთვის ბორკილია და მეტი არაფერი... მტერს აპატიეო! მე რომ ვაპატიო, ის დამასწრებს და ხიშტზე ამაგებს!.. აქ ომია, ამხანაგო ტატაჩი, ვინ ვის მოერევა, — ასე დგას საკითხი... ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, მერე კი რამდენიც გინდა, იმდენ კეთილ კანონებს შევთხზავთ და გავატარებთ!.. იქნებ ის ცოდვით სავსე ოროდიონი არც იყოს მთლად დამნაშავე, მაგრამ ის სხვანაირია, სხვა ჭკუაზეა, რომც არ უნდოდეს, უნებლიეთ გარყვნის მომავალი თაობების სულს. ამიტომ უნდა გავწმინდოთ საზოგადოება ოროდიონებისაგან, ჩვენებურ თარგზე უნდა გამოვჭრათ იგი, ყველა, ვინც ხელს გვიშლის, გზიდან უნდა ჩამოვიშოროთ... შენ მამაშენის შვილი ხარ! მამაშენი მორალზე რომ დაფიქრდა, მაშინ დაიღუპა... ჯერ არ არის დრო, ასეთ საკითხებზე ფიქრისა. მტერი რომ განადგურდება და ნამდვილ, ჩვენებურ სოციალიზმს ავაშენებთ, მერე არავისი შიში არ გვექნება და აი, იმ მომავალ საზოგადოებაში ოროდიონსაც ექნება სიცოცხლის უფლება... ასეა ეს, ამხანაგო ტატაჩი! ეჭვები გულიდან გადაიგდე და მტკიცედ დადექი ჭეშმარიტი მებრძოლების მხარეზე! საზოგადოება ჯერ კიდევ ავადაა ძველი სნეულებებით. ქირურგის დანით ჩამოვიცილებთ ბურჟუაზი-

ულ გადმონაშთებს, ამ ოპერაციას კი, ცხადია, უსისხლოდ ვერ მოვახერხებთ... იცოდე, ბიძია, ჩვენი მომავალი მთელი კაცობრიობის მომავალია! დაიმახსოვრე, ვინც ჩვენთან არ არის, ის მტერია. ამ ჭოჭმანში მოხედვასაც ვერ მოასწრებ, მტრის ბანაკში აღმოჩნდები... ფრთხილად იყავი!.. დღეს შინ დარჩი, ხვალ კი, დილიდანვე გამოცხადდი სამსახურში!

ესა თქვა, ყმაწვილს პირის გაღებაც არ აცალა, წამოდგა და კარისაკენ გაემართა.

ეფრო სამზარეულოდან გამოვარდა, სტუმარს გამოედევნა.

— ძღვიბი ბატონო, ახლავე გავამზადებ რაღაცას. ჭიქა ღვინოზე ხელს ნუ აგვიკრავ, ოჯახი დაგვილოცე!

— სხვა დროს, სხვა დროს, ეფრო! — ხელი გააქნია ძღვიბიმ და მხრების უხერხული მოძრაობით, თითქოს ეფხანება და თავს ძლივს იკავებსო, გაცუნცულდა...

19

— დედა, მე ეს არ მაინტერესებს! — უთხრა მართამ ცაცანას.

ის დრო იყო, როცა კომკავშირლებში გამორჩეულს ჭკუა უნდა ეხმარა, განცხადება დაეწერა, ღირსად ჩამთვალეთ და მიმიღეთ ლენინურსტალინურ პარტიაშიო. დიდი ხანია, ცაცანა ოცნებობდა ამ დღეზე. წინასწარ ტკბებოდა იმის წარმოდგენით, თუ როგორ ჩაიდებდა გულის ჯიბეში წითელ წიგნაკს მისი ერთადერთი ასული... ეს იქნებოდა პირველი საფეხური მაღალი კიბისა, მაგრამ მართამ სულ სხვა კიბე ირჩია, სქელტანიან, წითელ წიგნს ზიზღით დახედა და მოწყენით წარმოთქვა:

— დედა, მე ეს არ მაინტერესებს!

— რატომ, შვილო?

— არ მაინტერესებს და იმიტომ!.. არ მაინტერესებს კომკავშირული კრებები, შაბათობები, პროლეტარული დღესასწაულები, არც პროლეტარები მაინტერესებს, არც ჩაის კრეფის მოწინავეები, ქაღალდის კომბინატის დამკვრელური მშენებლობა, რაიკომი — პარტიისაც და კომკავშირისაც, არ მაინტერესებს პროფკავშირები, მარქსის, ლენინის, სტალინის წიგ-

ნები... მაისობაზე ბავშვობიდან შაქარყინულის მამალოები მაინტერესებდა მხოლოდ!

ცაცანა გაშრა, შვილს ისე უყურებდა, როგორც იატაკიდან მოულოდნელად ამოსულ ურჩხულს. ხმა ძლივს ამოიღო:

— გაჩუმდი, შვილო, ალბათ მე მამასხარავებ... სხვამ არავინ გაგიგოს!

— სწორედ ამიტომაც არ მაინტერესებს, რომ ვერ ავდგები და ვერ ვიყვირებ! დაგიძახებენ კომკავშირის კრებაზე, ადგება მამაძაღლი ბიკენტი თოლორაია, დაგიწყებს ჭკუის სწავლებას, თან ისე გიყურებს თევზის თვალებით, თითქოს კაბას გხდიდეს... ფუჰ!.. მე კი არა, არც არავის აინტერესებს, დედა, ყველანი იტყუილებიან, თვალთმაქცობენ, თან ისე თავგამოდებით, თითქოს გადასწრებაზე არიანო...

ცაცანა გონს მოეგო, კიდევ კარგი, მეტი არავინ ისმენდა ამ ლაპარაკს.

— მეც ვტყუივარ, შვილო, მეც ვთვალთვმაქცობ? — ხელები გულზე მიიდო.

— არ ვიცი, არ ვიცი! — შეშფოთდა მართა. — შენნაირების გულწრფელობაზე აშენდა, ალბათ, სიცრუის ეს შენობა!

— რას ლაპარაკობ, გოგო, შენ?! — გაგულისდა უცებ ცაცანა. — ვინ ჩაგაგონა ასეთი რამ? იცი, მაგნაირ ლაპარაკს რა შეიძლება მოჰყვეს? ორივეს ციხეში გვიკრავენ თავს!.. ვინმემ რომ გაგიგოს, ყურით წაგიყვანენ ძღვიბი თოლორაიასთან, მუხლებზე დაგაჩოქებენ და სულ პატიებას გახვეწნინებენ!

— მაგრამ რატომ, დედა? ეჰ, უმჯობესია სადმე მთაში გადავიკარგო! ქვებს მაინც ვეტყვი, რასაც ვფიქრობ, ისინი არ დამსჯიან!

— ქვებიც ჩვენს მხარესაა! — თქვა ცაცანამ მტკიცედ. — იმიტომ, რომ ჩვენი არჩევანი სწორია! შენ რომ მეტს კითხულობდე, უფრო ღრმად რომ სწვდებოდე დიდი ბელადების ნააზრევს, ასეთი რამ თავში არ მოგივიდოდა! როგორ გგონია, მარქსმა და ლენინმა შენზე მეტი არ იცოდნენ? ანდა ქვეყნის ბედიღბალზე სტალინზე მეტს ფიქრობ?.. კი, გენაცვალე, მეც ვხედავ, ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე როდია,

მაგრამ რა ვუყოთ! ბრძოლისა და გაჭირვების გარეშე ველარ მივაღწევთ კაცობრიობის ბედნიერ მომავალს!.. შენ ბიკენტი აგითვალისწუნებია და ამიტომ მთელ ქვეყანას ნუ შეიძულებ!.. აგერ, ტატაჩისთან ხომ მეგობრობ? იგიც ხომ მეომარია, სოციალიზმის საქმეს იცავს!

— ამდენი მე არ ვიცი, დედა! იქნებ ვცდები, მაგრამ ღმერთი ყველაფერს ხედავს!

— ღმერთი არ გამაგონო! — იკივლა ცაცანამ. — ვიცი, ვიცი, ვინც აგიბნია გონება! შენ იმ უწიგნური დედაკაცის — ეფროს ენაზე ლაპარაკობ, მისი ენა კი მტრის ენაა! ჩვენიანია და ყურადღებას იმიტომ არ ვაქცევ სულელი დედაკაცის ბჟუტურს, თორემ სხვა ვინმემ რომ გაიგონოს, კაი დღე არ დაადგება, იცოდე!

— არ ვიცი, არ ვიცი, დედა! — რაღაცნაირად ჩაქრა მართა, გაუჩუმდა, ლაპარაკის გაგრძელება არ ისურვა.

— ღმერთი ყველაფერსა ხედავს და განსჯის! — მართლაც ასე უთხრა ეფრომ.

სწამდა კი იმ დროს მართას ღმერთი? მის წარმოსახულ სამყაროში ღმერთის ადგილი აღარ იყო. მართა უღმერთოთა სამყაროს გაურბოდა, მაგრამ რაკი არაფერი იცოდა ღვთიური სამყაროს არსებობისა, ჭეშმარიტი გზა ველარ ეპოვა. ეფროს ნათქვამი მისთვის სიტყვა იყო მხოლოდ და თვითონაც თუ გაიმეორა, მეამბოხედ დაიბადა და იმიტომ.

— ჩვენც გვირევია ამხანაგები, რომლებიც დღისით ჩვენს გვერდით არიან, ღამით კი ჩუმჩუმა პირჯვარს იწერენ! — ბიკენტი ამას რომ ამბობდა, თვალები მართლაც თევზივით ცივი ჰქონდა.

მართას მოეჩვენა, რომ ბიკენტი მას მისჩერებოდა და ჭირვეულად შეეპასუხა:

— კანონით ეს არ იკრძალება!

— კანონით კი! — ფრთხილად, მოზომილად დააგდო ბიკენტიმ და მეტი ამ თემაზე არაფერი უთქვამს.

ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც მართას შეეძლო გულის გადახსნა, ტატაჩი იყო. ადრე ტატაჩი ენამზეობდა, ვერ გააჩუმებდი, პირიდან სიტყვას სტაცებდა, თავდაჯერებით უხსნიდა

და ასწავლიდა. ახლა რატომღაც დადუმდა. თვალებში შიში გაუკრთებოდა ხოლმე, აუხსნელი დარდი ჩაუგუბდებოდა, თითქოს ეუბნებოდა, — მესმის, ყველაფერი მესმის, ჩემო მართა! ნეტავი შენ, ბედნიერი ხარ, რომ ცოტა იცი! ჩემოდენა რომ იცოდე, სიცოცხლე შეგძულდებოდა!.. მართას აეჭვებდა ეს მდუმარება. ცდილობდა სასაუბროდ გამოეწვია, გული გადაეშლევინებინა, მის სადარდებელს ჩასწვდენოდა... მაგრამ ტატაჩი, ადრე ასეთი მხიარული, გულღია, გახსნილი, ახლა ცხრაკლიტულში ჩაკეტილიყო.

გაზაფხულზე, აპრილის თვეში ისინი დაქორწინდნენ — მართა და ტატაჩი.

სუფრას ცოტანი უსხდნენ, ათითორმეტი კაცი. ძღვიბი თოლორაია ვერ მობრძანდა, ავადმყოფობამ შემოუტია. ბიკენტიმ ცალყბად, გესლნარევად მიულოცა ნეფედედოფალს, მერე კარგა ხნით დადუმდა. პირზე მიტკალისფერი ედო, ქათმის ფრთას წიწკნიდა და ღვინოს ჩუმად მიეძალა.

ტატაჩი მიუხვდა გულისნადებს, თვითონაც გაფითრდა, მაგრამ თქმით რა ეთქმოდა და ნაძალადევად უღიმოდა.

მხიარულება აკლდათ, ვერა და ვერ აეწყო. მართასაც გული დაუმძიმდა, ავმა წინათგრძნობამ შეაწუხა. ბაბუების გადმონალოცი მეგობრობა შვილიშვილებს ხუნდებად გადაქცეოდა.

— წუთიერია ცხოვრება! — თქვა უცებ ბიკენტიმ, თავი არ აუწევია, ღვინიან ჭიქაში იყურებოდა. — აგერ ქორწილის სუფრას ვუზივართ, კიბეზე კი უკვე ამოდის შავი კაცი, კარზე უნდა დააკაკუნოს!

ვერავინ გაიგო ქარაგმა, არ დასცალდათ ამოხსნა. კარზე მართლაც დააკაკუნეს და შავკურტაკიანმა კაცმა ნეფეს გადასცა, თუ დგახარ, აღარ დაჯდე, თუ ზიხარ, ადექი და სამსახურს მოაშურეო...

რა ექნა ტატაჩის? სტუმრებს მოუბოდიშა, პატარძალს ლოყაზე აკოცა, მალე მოვბრუნდებიო და შავკურტაკიანს გაჰყვა. ეს „მალე“ ერთი კვირა გაგრძელდა. მართა ოთახში გამოიკეტა, გაბუსული იჯდა და საპატარძლო კაბას არ იხდიდა. ხანდახან ცაცანა შემოიხედავდა შეშინებული თვალებით,

შვილისათვის ვერ მოენახა დასამშვიდებელი მალამო. ეფრო შინსახკომში წავიდა, იქნებ ამბავი რამე მოვატანოო. ნაცნობს გადაეყარა და იმან ჩაუჩურჩულა, უმჯობესია შინ იჯდე და ცხვირი გარეთ არ გამოყოო, ყველანი ძალიან დაკავებულნი ვართ და პასუხს მაინც ვერავინ გაგცემსო.

ბოლოს ტატაჩი გამოჩნდა. პირზე მიწისფერი ედო. თავი არ აუწევია, ისე თქვა:

— წყალი გამიცხელით, დაბანა მინდა!

გახარებული მართა გამოეგება, მაგრამ ტატაჩიმ უცხოდ შეხედა.

— ნუ მომეკარები, მართა, ჭუჭყიანი ვარ!

ქალი ელდანაცემი შეჩერდა, ფეხები შეებორკა.

დიდ გეჯაში ჩაჯდა ტატაჩი. დიდხანს იხეხავდა და ცხელ წყალს ისხამდა, თითქოს კანის გადაძრობას ცდილობდა. ისევ და ისევ ისაპნებოდა სარეცხი საპნით, ჭუჭყი კი ვერ მოეშორებინა.

პირსახოცში გაეხვია, ჩამოჯდა, თუთუნი გააბოლა, ერთ წერტილს მიაჩერდა.

ეფრომ ახალი საცვლები მოუტანა. ტატაჩი გამოერკვია, ჩაიცვა და, თუმცა ჯერაც დღენათელი იდგა, ლოგინს მიაშურა.

დარაბები დახურეს და ოთახში მქრქალი ბინდი დადგა.

ეფრო და ცაცანა სამზადში უჩუმრად დაბორიალობდნენ, ვახშამს უმზადებდნენ ტატაჩის.

მართა კი იქვე იყო, ამ ოთახში, კუთხის სკამზე იჯდა და ელოდა, როდის მოიხმობდა ჯერაც ვერშემდგარი მეუღლე.

ლოდინი გაჭიანურდა და ქალს მოთმინება დაეკარგა.

— ტატაჩი!

— ჰო! — შიშნეულად გამოეპასუხა ტატაჩი, თითქოს არც მოელოდა ადამიანის ხმას, თითქოს აქედან შორს იყო გადახვეწილი. — ჰო, მართა... — გაიმეორა და კედლისაკენ ჩაიწია, ადგილი გაათავისუფლა.

მართა კიდეზე ჩამოჯდა.

— რა მოხდა, ტატაჩი?

— რა უნდა მომხდარიყო? — ხმას ვერ იმორჩილებდა ვაჟი. — მაპატიე, მართა, შუა ქორწილში დაგტოვე, სამსახური ხომ იცი...

მართამ კაბა გადაიძრო. პერანგისამარა შეუძვრა საბანში, შიშველ მკერდზე მორიდებით აკოცა და ეჭვიანად თქვა:

— ძალიან შეცვლილი მეჩვენები, ტატაჩი!

ვაჟმა რაღაცის თქმა მოინდომა, მართა კი დაიხარა, ტუჩებით ბაგეზე შეეხო. ტატაჩის ბაგეები გაჰყინვოდა და ქალის ნელ კოცნას არ უპასუხა.

— მართა, — ხმა უკანკალებდა ტატაჩის, — მართა... მაპატიე, მართა...

და უცებ ისე მოიხარა, თითქოს მუცელზე მუშტი ატაკესო, მოიხარა და აძაგძაგდა. მქრქალ სინათლეში მართამ ძლივს გაარჩია ვაჟის დამანჭული სახე.

— არ შემიძლია, არ შემიძლია!.. — გაიმეორა რამდენიმეჯერ და გულამოსკვნით, ბავშვივით ატირდა.

მართას ენა ჩაუვარდა. მკერდზე ხელს უსვამდა, ეფერებოდა. თქმით კი, არ იცოდა, რა ეთქვა.

— ბნელი ღამე... სახელდახელოდ გათხრილი სამარე... სამარის პირას დაჩოქილი ადამიანები... კეფაში ტყვია... ერთი, ორი... ათი... ვერ დაითვლი, რამდენჯერ უნდა გამეორდეს... არ იცი, ვის ესვრი!.. არ იცი, რისთვის!.. არ შემიძლია, არ შემიძლია...

თავზარი დაეცა მართას, ვერ დაიჯერა ნათქვამი.

— ჩუ, შენ რაღაც გეზმანა... შენ დაგესიზმრა... არაფერი არ იყო, არაფერი... დაივიწყე, დაივიწყე... მოდი ჩემთან, მოდი...

ვაჟი გაყუჩდა, სლუკუნი ჩაიხშო და ჩურჩულით შეეპასუხა:

— არ შემიძლია, მართა, მაპატიე, კაცად არ ვვარგივარ... თავი უნდა მოვიკლა, ტყვია უნდა დავიხალო...

ჭერს მიაშტერდა და თავზე ხელები შემოიჭდო...

20

მოსაწყენად ცრიდა. ცა ჩამობნელებულიყო. ნესტით გაჯერებული მერეთი კაეშანს შეეპყრო. მოქალაქენი ქუჩებში ლანდებივით მიმოდიოდნენ. ყველა ცდილობდა საკუთარ სახლში, კერას მიყუჟულიყო. გულს სასოწარკვეთა ეუფლებოდა, რაკი გაუხარელი და ცივი ზამთარი მოდიოდა.

ტატაჩიმ სამსახურში შეშა და ნავთი იშოვა. ჩამოღამებული დადიოდა. მართა შეშინებული შეხედავდა ხოლმე, ვერ გაეგო, რა ხდებოდა ტატაჩის სულში, რამ ჩაუქრო ახალგაზრდული სიხარული და სიგიჟმაჟე, რაც ასე მოსწონდა ადრე. იმ მძიმე, აუტანელი ღამის შემდეგ ტატაჩის არც უხსენებია სამსახური. მართას ვერ გაეგო, სინამდვილე წამოსცდა მაშინ ტატაჩის, თუ ავადმყოფი გონების ზმანებაღა იყო ყოველივე. ალბათ უცნობი სენით დაავადდა ტატაჩი, გადაიღალა და მოჩვენებები ჩაუსახლდა ტვინში. კვირაობით იკარგებოდა სამსახურში. დაბრუნდებოდა და ძილად მიეგდებოდა. მოსაფერებლად გაწვდილი ხელი მართას ჰაერში უჩერდებოდა. უყურებდა ლოგინში ზურგშექცეულ ქმარს და რწმუნდებოდა, აღარ ვუყვარვარო. რცხვენოდა ამის გამჟღავნებისა, ჩუმჩუმა ტიროდა.

სხვაზე უწინ ეფრომ იგრძნო გასაჭირი, ოღონდ მიზეზი ვერ ამოიკითხა.

— ტატაჩი, შვილო, რა ამბავია შენს თავს, რა გაგიჭირდა? — ჩაეკითხა.

ტატაჩიმ სივრცეს მიაშტერა თვალი და ხმადაბლა, თითქოს საკუთარი ყურის გასაგონადო, ისე ჩაილაპარაკა:

— სიცოცხლე აღარ მინდა, დედა, სიკვდილი მომნატრებია!

— დიდუ, შვილო! — ამოიკვნესა ეფრომ, ვერ გაბედა ბოლომდე ჩაძიებოდა დარდის მიზეზს.

ტატაჩის თითქოს დაავიწყდა წეღანდელი ნათქვამი, დედის წამოძახილზე გაკვირვებით შეეხმიანა:

— რა იყო, დედა, რას ვიშვიშებ?

„უშვილობა თუ აწუხებს!“ — ქალურად გაიაზრა ეფრომ. ცაცანას დაუწყო კუთხეკუთხე ჩურჩული. ცაცანაც აფორიაქდა, შეწუხდა, მაგრამ ისეთი დრო იყო, სტალინურ კონსტიტუციას იზუთხავდა და სიძექალიშვილის საწუხარს ვეღარ ჩაუღრმავდა. „კარგი ცხოვრება თუ აწუხებთ? — ფიქრობდა ცაცანა. — როდის ვცხოვრობდით უკეთ? შეშა გვაქვს, ნავთი გვაქვს, საპონი გვაქვს... თითქმის შევაბიჯეთ სოციალიზმში!“ ეფროს სხვა გზა არ დარჩენოდა, რძალთან უნდა გამოენახა საერთო ენა. მართას ყურისათვის აწუწუნდა, ეს რანაირი თაობა გვერგო, ისე გაზარმაცდნენ, ბავშვის ყოლაც ეზარებათო...

მართა მიუხვდა გადაკრულს, გაწითლდა. დედამთილს ვერაფერი აკადრა, თუმცა სათქმელი და საჩივლელი თვითონ ჰქონდა. ესღა მოახერხა, გაუცინა, ხუმრობაში ჩაუგდო ნათქვამი. ამით სიტყვასაც გზა გაუხსნა და გათამამებულმა ეფრომ მოხსნა გუდას თავი, ხომ იციო, კაცები საქმეებით ისე არიან დაკავებული, ახალგაზრდა და ღამაზი ცოლები ავიწყდებათო. ცოლების ღირსნი ასეთი კაცები არც არიან, მაგრამ, რა ვუყოთ, ეგ ყოფილა ქალის ხვედრიო. გაჭირდა ცხოვრება და ქალი რომ ვერ დაორსულდება, გასაკვირი არააო. ეგერ მეზობლის ძროხა ბერწი აღმოჩნდა, ვერაფერი უშველეს, კინაღამ სახორცედ დაკლეს. მერე პატრონმა მაცხოვრისგორაზე აიყვანა, ეკლესიის ნანგრევებს ირგვლივ სამჯერ ლოცვით შემოატარა, და იმ წელს ხბო მოიგოო...

მართას გაეცინა, ეგ როგორ გამოგივიდა, დედამთილო, ძროხას მადარებო... ეფრომ ხელები გაასავსავა, ამისი თქმა არ მინდოდა, კაცს უნდა სწამდეს და აუხდებაო, რწმენა დიდი საქმეაო. ქმართან წოლა ერთია, მაგრამ მარტო ეს არ კმარაო... მთლად აებნა თავგზა ეფროს და ამ აბნეულობამ მართა გაამხიარულა, დიდხანს აკისკისა.

სიცილისათვის ალბათ არ იყო დაბადებული, მხიარულების საბაბს ცხოვრება იშვიათად იძლეოდა. ჭმუნვა შეუბრუნდა და ის, რაც აქამდე სასაცილოდ მიაჩნდა, სხვანაირად დაინახა. ნუთუ ღმერთი ვერ ხედავს ტატაჩის ტანჯვას და მართას გულშეჭირვებას. თუ ის ყოვლისშემძლე და ყოვლისმომ-

ცველია, მაშინ არც ეს უნდა გამოეპაროს. ღმერთი არ არის, — ფიქრობდა მართა, — მაგრამ თუ არის, ის ყოველივეს ხედავს... ამ უცნაური, აბდაუბდა ფიქრებისაგან მართას გააჟრჟოლა, ჭერს მიაჩერდა... იქ, ჭერსა და ცის მიღმა ყოვლისმხილველი თვალი ამჩნევს ყოველი მტილის ჭმუნვას, ამ მზერას ვერსად დაემალები... ამ ფიქრმა შეაშინა, ღმერთო შემინდე, ღმერთო შემინდეო, რამდენჯერმე ჩაიჩურჩულა და ამ მიმართვამ ცოტათი დაამშვიდა.

ერთხელ აკვიატებული ფიქრი მაინც ვერ მოიცილა. ვინ იცის, იქნებ მართლაც რაღაც ძალა აქვს მაცხოვრისგორას, იქნებ მართლაც გაუჩნდეს შვილი, მაშინ ტატაჩისაც სხვანაირი გული ექნებოდა, ოჯახგარე ნაკლებ იწანწალებდა. იცოდა ქალმა, სამსახურის საქმეებზე დაწანწალებდა ტატაჩი, გასართობად და დროის სატარებლად ვერ მოიცლიდა, დაღლილობა უგრილებდა გულს, ოღონდაც, ეჭვის სენი გონებას არ ემორჩილება, ეს საწამლავი თავისთავად აწყალებს სისხლს...

ოცდაჩვიდმეტის ადრიან გაზაფხულზე, როცა წვიმებმა გადაიარეს, მწვანე ბალახი აბიბინდა და გარემო თვალის სასეირო შეიქმნა, ტატაჩი შინ გვიან დაბრუნდა. ტალახით მოსვრილი ჩექმები ძლივს გაიძრო. ჯერ ფეხები დაიბანა, მერე ხელპირი. ვახშამზე უარი თქვა და ლოგინს მიაშურა.

მართა საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა. შუქი არ აუნთია და ერთმანეთს ლანდად ხედავდნენ.

— რა იყო მართა? — ჰკითხა ტატაჩიმ.

— არაფერი.

ტატაჩი ამ პასუხმა დააკმაყოფილა. ალბათ გაუხარდა კიდეც, გრძელ ლაპარაკსა და ახსნაგანმარტებებს გაურბოდა, ქალის წუწუნს ვერ იტანდა.

მართა დაელოდა, იქნებ კიდევ რამე შემეკითხოსო, მაგრამ მსუბუქი ფშვინვა მოესმა. ტატაჩის დაეძინა.

სარკმელს ბნელი ღამე მოაწვა, ჩახჩახა ვარსკვლავები ცნობისმოყვარედ იჭყიტებოდნენ.

ფრთხილად გაიხადა, ლოგინში შეუცურდა ქმარს.

ტატაჩიმ ფშვინვა შეწყვიტა, გაყუჩდა, შემდეგ სავსებით ფხიზლად ჰკითხა:

— რა იყო, მართა?

ქალი სიბნელემ გაათამამა, მხარზე ცხვირი მიუხახუნა, ჩასჩურჩულა.

— შვილი მინდა.

ტატაჩიმ ამოიოხრა, თითქოს მძიმე რამ ვალი დააკისრესო.

შემობრუნდა, ხელი პერანგქვეშ შეუყო, მოეფერა.

— სულ არ გიყვარვარ, ისეთი გულცივი გახდი! — ჩაიწუწუნა მართამ.

ტატაჩიმ პასუხი არ გასცა, არც ქალს აცალა ლაპარაკი, ტუჩებში ნაზად აკოცა.

მართამ სულსწრაფად უპასუხა, ცახცახით ჩაეკრა, მაგრამ იყო კაცის ალერსში რაღაც ნაძალადევი, უსურველი. ქალს უკმაყოფილება დაეუფლა, უნდოდა შეეწყვიტა ეს უნიათო ალერსი, ოღონდ თავში კვლავ ის აზრი უტრიალებდა — „შვილი...“ ამიტომაც დაუთმო სხეული, თუმცა სული უკვე აქედან შორს მიფრინავდა.

ტატაჩიმ იგრძნო ეს გაუცხოება, ცოტა ხანს იყუჩა და თავის მართლებას მოჰყვა:

— მართა, უნდა გამიგო!.. მე ორი ადამიანი მიყვარს ამ ქვეყნად — დედაჩემი და ჩემი ცოლი! დედაშენსაც პატივსა ვცემ!.. დანარჩენი ყველა შემძულებია — ძღვიბი თოლორაია, ბიკენტი, ჩემი თანამშრომლები... ყველაზე მეტად ჩემი თავი!

— ჩუმად, ტატაჩი, მაგას ნუ ამბობ, დავიღუპებით! — შეძრწუნდა მართა, პირზე ხელი დააფარა. კაცმა ხელისგულზე აკოცა და თვალებზე ჩამოიფარა.

მიხვდა ქალი, რაღაც საშინელი საიდუმლო ტანჯავდა კაცს, რაღაც უსაშველოდ მძიმე ტვირთს მიათრევდა იგი. იქნებ პირველი ღამის ბოდვა სულაც არ იყო ნაყოფი ზმანებისა. წარმოიდგინა მართამ იმ სიტყვების შინაარსი, მაგრამ იმდენად დაუჯერებელი სურათი წარმოესახა, უმალ უკუაგდო... ალბათ ძღვიბი თოლორაიას მძიმე ხასიათია მიზეზთ მიზეზიო, ესღა დაასკვნა... ეს თოდუები ხომ მუდამ სიმართლის ძიებას გადაჰყვებიან ხოლმეო.

— ტატაჩი, — თქვა უცებ მართამ, — თავი დაანებე მაგ სამსახურს, ჰა! აგერ ფიზკულტურის მასწავლებლად მოეწყვე სკოლაში!

კაცმა ამოიოხრა, არაფერი უპასუხა. ქალის ჭკუა მოკლეა. ტატაჩის ისეთი სამსახური ჰქონდა, იქ ვინც მოეწყობოდა, თავს ვერასოდეს დაანებებდა, თუ არ უნდოდა ეს თავი წაეგო. მართა მიხვდა, რომ პასუხს ვერ მიიღებდა.

— დაიძინე! — უჩურჩულა და მხარზე აკოცა.

მხოლოდ დილაუთენია ჩაეძინა. როცა თვალი გაახილა, მზე ფანჯარაში იყურებოდა. ტატაჩი უკვე წასულიყო.

„იქნებ წუხელ ბავშვი ამყვა, ჰა!“ — გაიფიქრა.

ლოგინიდან ფრთხილად წამოდგა, ვაითუ სუსტი წელი მაქვს და მომწყდესო.

თავში ჩურჩუტული ზრახვა გაუჩნდა. ალბათ ბავშვური სიანცე უფრო იყო ეს გადაწყვეტილება, რაკი მის რწმენას რწმენა არც ეთქმოდა.

ლამაზად ჩაიცვა. თმები დაივარცხნა. სარკესთან ტრიალებდა და საკუთარი თავი დიახაც მოსწონდა. ჯერაც ცქრიალა გოგოს ჰგავდა, გათხოვება არც დასტყობოდა.

ქალებს არ გაუმხილა სად მიდიოდა. სკოლისდროინდელი ამხანაგი ახსენა, მკერავია და იმას მოვინახულებო.

საქმიანი იერით გადაჭრა ბულვარი. სასახლის ეკლესიასთან ნაბიჯი შეანელა. მოეჩვენა, თითქოს მის ყოველ ნაბიჯს ცის მაღალი გუმბათიდან დასცქეროდა ყოვლისმხილველი მზერა. უნდოდა პირჯვარი გადაეწერა, მაგრამ დღისითმზისით მთელი ქალაქის თვალწინ ვეღარ გაბედა.

ჩხერიის ხიდზე თავდახრილი გადავიდა. არ უნდოდა კაკლებთან შეყრილ უსაქმურ მამაკაცებს თვალში მოხვედროდა, თუმცა იეჭვიანა, თითქოს იმ მამაკაცთა კრებულს ვიღაც გამოეყო და კვალზე აედევნა.

მოიხედა. მთელი ორღობე ხიდიდან ვიდრე მთისძირამდე უკაცრიელი იყო.

კიბეს გულისფანცქალით შეუდგა. სულიერი ვინმე არც აქ ჭაჭანებდა. საეჭვო იყო აქ ამოსვლის თვით სურვილიც. აკრძალვით არავის აუკრძალავს. თავისთავად გამოვიდა ასე, ტაბუ დაედო მაცხოვრისგორას და მავანს არ გააკვირვებდა შეკითხვა, აქეთ რამ წამოგიყვანა, რა გინდოდაო...

ნახევარგზაზე მოეჩვენა, კვალდაკვალ თითქოს ვიღაც მოჰყვებოდა. შეჩერდა, სუნთქვა დაიოკა. ჩქამი არ ისმოდა. ალბათ ნიავმა გაიფაჩუნაო და გზა განაგრძო.

შიშმა თანდათან გაუარა, დაღლამაც. რაც მაღლა მიიწევდა, გზა თითქოს ეიოლებოდა, უფრო მსუბუქდებოდა.

მერე და მერე ვეღარც იხსენებდა, როგორ აირბინა ასერთი საფეხური, როგორ მოლია ვიწრო, დაკლაკნილი ბილიკი, როგორ შედგა ფეხი მაცხოვრისგორის შუბლზე.

ნახევრად მორღვეულ ზღუდეს მიღმა ეკლესიის ნანგრევები ველურ ბალახს წაეღო. ქვის თლილი, ჩუქურთმიანი ლოდები ჭინჭარსა და კატაბალახში ეყარა. ნანგრევებსა და ზღუდეს შორის მწვნე მდელო ხასხასებდა და მართა მუხლებზე დაეშვა. ლოცვის სიტყვები მან არ იცოდა და თვითონვე შეთხზა: „ღმერთო, მომივლინე ძე ნანატრი, ჭეშმარიტების დამდგენი, სიმართლის მაძიებელი და ვარქვა მას სახელად მართალი!“ თვითონაც არ ეგონა, მისი ნატვრა ასეთ ფორმას თუ მიიღებდა, მაგრამ იმასაც მიხვდა, უფალი თუ არის ცათა შინა, ის ყოვლისშემძლეა და რანაირი სიტყვებითაც არ უნდა მივმართოთ, მან წინასწარ იცის ჩვენი ყოველი ზრახვა და ჩანაფიქრი.

მზერა აღაპყრო მართამ, ცის გუმბათს შეხედა. ციდან სილურჯე იღვრებოდა და იმ სილურჯეში მირიადი ლანდი კრთოდა, ამა ქვეყნის ანარეკლი ანდა იქნებ იმქვეყნის არსებობის დასტური... თაყვანი სცა მართამ იმას, რისი არსებობისა არა უწყოდა, დაიხარა, ხელებით მიწას დაეყრდნო და შუბლით გრილ ბალახს შეეხო... მუხლზე ჩოქვით დაიძრა იგი ეკლესიის ნანგრევებს ირგვლივ... ხანდახან შეჩერდებოდა, ცას ახედავდა, ხმადაბლა გაიმეორებდა აჩემებულ სიტყვებს:

— ღმერთო, მომივლინე ძე ნანატრი, ჭეშმარიტების დამდგენი, სიმართლის მაძიებელი და ვარქვა მას სახელად მართალი!

მერე ისევ გაივლიდა ჩოქვით იმდენივეს და კვლავ იმეორებდა... ასე შემოიარა ერთი წრე, მეორე... თავდაპირველად

მუხლები ეტკინა, დაებეგვა... თანდათან შეიპყრო გაუცნობიერებელმა აღფრთოვანებამ, თითქოს ციდან ჩამოიღვარა ღვთიური რამ მადლი... ტკივილები გაუქრა და სულში ზეიმი ჩაუგუბდა... ჩოქვით მიდიოდა მართა, იმეორებდა ლოცვის სიტყვებს, თაყვანსა სცემდა ლურჯი ცის თავანს და გრძნობდა, რომ მისი ეს სიტყვები უსაგნოდ არ იკარგებოდა, ეთერის შორეულ სივრცეებს სწვდებოდა და უსაზღვროდ დიდ სიკეთეს მისთვის მოეპყრა სასმენელი თვისი...

— ღმერთო მომივლინე ძე ნანატრი, ჭეშმარიტების დამდგენი, სიმართლის მაძიებელი და ვარქვა მას სახელად მართალი!

მესამედ შემოუარა მართამ ეკლესიის ნანგრევებს. ერთხელაც ახედა ზეცას, თაყვანით დაემხო პირმიწაზე და მიუგდო ყური... მისი სულის ზეიმში შეიჭრა უცხო რამ ბგერა, მსუბუქი ნაბიჯის ხმა, ბალახის გაფაჩუნება. უცბად მოიქუფრა, მუხლები ასტკივდა, იგრძნო საკუთარი სხეულის სიმძიმე და თავის აწევა გაუჭირდა. როცა მზერა აადევნა, შავი ჩექმები და ყავისფერი გალიფე დაინახა.

ელდანაცემმა წამოიწია, მაგრამ კაცის ღონიერი ხელები მხრებზე დაეყრდნო. ბიკენტი თოლორაია თვითონაც მუხლებზე დაეშვა, სახეში ჩახედა, თვალი გაუსწორა.

ქერა თმა შუბლზე გადმოცვენოდა ბიკენტის, ნიავი უწეწავდა. ლურჯი თვალები იმ ცას მიუგავდა, თავზევით რომ გადმომხობოდათ. ლამაზი ტუჩპირი და ჯანსაღი, თეთრი კბილები ჰქონდა.

— ვიცოდი, მართა, რომ შენში ორი სულია!

— თავი დამანებე, ბიკენტი, იცი შენ, ვინცა ვარ და ვისი ცოლიცა ვარ! — მკვახედ შეეპასუხა ქალი, მაგრამ მის ხმაში ჩვეული სიმტკიცე აღარ ისმოდა და ბიკენტიმ ეს იგრძნო.

— დრო ისეთია, მართა, ორგულობა არავის ეპატიება, მაგრამ შენ ერთადერთი ქალი ხარ, ვინც მიყვარდა და მიყვარს!

— ადრე სად იყავი, ბიკენტი, — ვითომ ხუმრობაში გადაუგდო მართამ, — ადრე უნდა გეთქვა ეს!

— ისედაც ხომ ხვდებოდი, მართა, სიტყვები რა საჭირო იყო! შენ სხვა ირჩიე და ჩემი ბედნიერებაც მაშინ გათავდა!

— გამიშვი, ბიკენტი! — კვლავ შეეხვეწა მართა. — გამიშვი! დაძმებივით შევეზარდეთ ერთმანეთს, კარგად იცი, ვისი შთამომავალნიცა ვართ!

— ტატაჩის და არ ყოფილხარ, ჩემი და საიდან იქნები? ტატაჩი რომ მარჩიე, იმ დღეს შეცდი, მართა!

— გამიშვი, ბიკენტი! — კვლავ შეეხვეწა მართა, მაგრამ უმალ მიხვდა, კაცი იოლად არ გაუშვებდა. უღონოდ გაიბრძოლა და ამ გაბრძოლებამ ბიკენტი უფრო წაახალისა.

— მართა, მართა... — თვალები დაეინისლა, პირზე წადილი აესახა, ქალი მოიზიდა.

მართამ მკერდზე მუშტები მიაბჯინა, ცდილობდა მკლავებიდან თავი დაეღწია, მაგრამ ძალა აღარ ეყო და ტირილი მორთო.

მისმა ცრემლებმა უფრო გაახელა ბიკენტი, უკანასკნელი რიდი მოეხსნა, კისერზე აკოცა და იქვე, მწვანე მდელოზე წააწვინა.

— გამიშვი, გამიშვი ბიკენტი! — სუსტად იბრძოდა მართა. ოღონდაც, ეს ბრძოლა მოწოდებას უფრო ჰგავდა. მიხვდა ქალი, საკუთარმა ხორცმა დაღუპა, საკუთარმა წადილმა, უნებლიე ლტოლვამ გამოაცალა ძალა... ან რანაირად უნდა ებრძოლა მართას?.. აქამდე თურმე კაცი არც უნახავს, აქამდე რაც იყო, მხოლოდ მიბაძვა ყოფილა, უცეცხლო და უძალო... უსაზღვრო ტკბობისაგან თითქმის გონდაკარგული, ეკლესიის მწვანე ეზოში, ლორთქო ბალახზე იწვა და რამე ღონე წინააღმდეგობისა აღარ შერჩენოდა.

მერე, როცა ქარიშხალმა გადაიარა, ცეცხლი გაუნელდა და გონს მოეგო, პირველი, რაც მოაგონდა, სიკვდილის სურვილი იყო.

— თავს მოვიკლავ, ბიკენტი! — ჩაიჩურჩულა.

კაცი მიხვდა, ეს არ იყო თამაში, შეშფოთდა, შეშინდა და ერთადერთი გამოსავალი მონახა:

— ორივემ მოვიკლათ თავი, თუ გინდა!

მართამ ხელები გაასავსავა, მძიმედ წამოდგა, ბარბაცით მიაშურა ბილიკს, ადევნებულ ბიკენტის კი ხელით ანიშნა, დამტოვეო.

დაღმართზე რამდენჯერმე დაუცდა ფეხი. ასმეერთე საფეხურამდე ძლივს ჩააღწია, ჩამოჯდა და კარგა ხანს იტირა. უფრო სირცხვილისაგან, რადგან რცხვენოდა საკუთარი სისუსტისა, იმ უსაზღვრო ტკბობისა, რაც განიცადა... რანაირად უნდა მისულიყო შინ, რანაირად შეეხედა თვალებში ტატაჩისათვის, დედამთილისათვის, დედისათვის... „თავს მოვიკლავ!“ — ამ ფიქრს ჩასჭიდებოდა, ამითღა იმშვიდებდა სინდისს.

თავი ვერ მოიკლა მართამ, ახალგაზრდა იყო, სიცოცხლე უყვარდა და იმიტომ ვერ მოიკლა... მუცლით ნანატრ შვილს დაატარებდა და იმიტომაც ვერ მოიკლა... საკუთარი თავის კი არა, შვილს გადასარჩენად განუდგა სიმართლეს და სიცრუე ირჩია. დრო იყო ისეთი, სიმართლით შორს ვერ წახვიდოდი, სიმართლე კლავდა ადამიანს, სიცრუე გამხდარიყო არსებობის ფორმა...

21

ძღვიბი თოლორაია კვდებაო, ამ ცნობამ თავზარი დასცა მერეთს. მავანი ახლობლებში თუ გაბედავდა თქმას, ხანდახან ავადმყოფობსო. ამაზე ლაპარაკი გულწრფელი დანანებითაც საშიში იყო, ვინმეს ხომ შეიძლებოდა ამ გულწრფელობაში ფარული სიხარული ამოეკითხა.

თვითონაც არ ახსოვდა ძღვიბის, სად შეეყარა უკურნებელი სენი. მოულოდნელად, თითქოს უმიზეზოდ, მთელ ტანს დაფოთლავდა წითელი ლაქებით, მოაყრიდა წვრილ მუწუკს და აუტყდებოდა გაუსაძლისი ქავილი. ითმენდა ძღვიბი, ითმენდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მოთმინების ძაფი გაუწყდებოდა და იწყებდა გიჟივით ფხანას. რაც უფრო იფხანდა, მით უფრო მწარედ ექავებოდა, სისხლამდე ჩადიოდა და მოჰყვებოდა იატაკზე კოტრიალსა და ბღავილს... მერე ოდნავ დაუამდებოდა, იმედის ნაპერწკალი მოეცემოდა, იფიქრებდა, გადავრჩიო და ყველაფერი თავიდან ეწყებოდა.

ვერ გაეგო ძღვიბის, ვინ დასაჯა ასე. ღმერთი მაგას არა სწამდა და ეშმაკი, საკუთარ ბედიღბალს აგინებდა საშინელი

სიტყვებით. თვითონ ხომ მწარდებოდა, უფრო ავი და დაუნდობელი ხდებოდა. სიტყვა რომ სიტყვაა, შემთხვევით, გულუბრყვილოდ დაგდებულს არავის აპატიებდა, რაკიღა მტერი მრავალთავიან ჰიდრად წარმოედგინა, ერთ თავს რომ წარჰკვეთდი, ათი ამოვიდა.

ვერას გახდნენ მერეთელი ექიმები. უცნაური სენის შინაარსი ვერავინ ამოიკითხა. თან იმასაც ფრთხილობდნენ, შემთხვევით არ შემოგვაკვდეს ეს უბედურ დღეზე გაჩენილი, ამას ვერაფერს ვუშველით, ჩვენ კი თავებს დაგვაყრევინებენო. მაღალმა ხელისუფლებამ გულთან მიიტანა „ძველი ბოლშევიკისა“ და „ერთგული რევოლუციონერის“ გაჭირვება და ცნობილი სპეციალისტი გამოუგზავნა. იმან თავი საეჭვოდ აქნია და იგივე მიქსტურები და მალამოები გამოუწერა, რასაც აქაური ექიმები ახმარდნენ.

გვიან მიხვდა ძღვიბი თოლორაია. ადრევე უნდა ეზრუნა საკუთარ თავზე, ძირშივე უნდა ემკურნალა წყეული სენისათვის, მაგრამ მთელი ცხოვრება თოკზე მოსიარულესავით განვლო, არ თავდებოდა ხმლის ქნევა და ჩახაჩუხი, ბოლო წლებში კი სამეულის სხდომები, ტყუპისცალივით მსგავსი საქმეების გარჩევა. მტერს ყნოსვით შეიცნობდა. უბრალოს არ დასჯიდა, ოღონდ მის თვალში ბრალეულობის ნუსხა უსასრულოდ დიდი იყო, სტერილურად უდანაშაულოს კი იშვიათად შეხვედრია. განაჩენი მუდამ მკაცრი და უკიდურესი გამოჰქონდა (სამეულიდან მხოლოდ მის ხმას ჰქონდა ფასი!), აღსრულებასაც არ აყოვნებდა. დღისით მსჯავრდადებული, ღამით უკვე გაჰყავდათ, თავის მართლების საშუალება არავის რჩებოდა...

მიეჩვია სიკვდილს! ქათმის დაკვლა უჭირდა, თორემ ადამიანს კეფაზე ტყვიას ისე იოლად დაახლიდა, ხელი არ აუკანკალდებოდა... რა არის ადამიანი საერთოდ? — ფილოსოფოსობდა ხანდახან, — ადამიანი გვამია, რომელსაც დროებით აჩუქეს სიცოცხლე. იმის წართმევაზე იოლი არაფერია, ამ დროს იგი საწყის ვითარებას უბრუნდება, ესე იგი კვლავ გვამად გადაიქცევა. ამიტომ სიცოცხლე იმას უნდა გაუხანგრძლივო, ვინც ღირსია. ღირსი კი ის არის, ვინც კაცობრიობას

დიად მომავალს უშენებს. ვინც საკაცობრიო წინსვლას ფეხებში ებორკება, ის უნდა მოისპოს, ამით გზა ჭეშმარიტებისა განიწმინდება...

კაცობრიობა ყველაფერია, ადამიანი — არაფერი, ასეთი იყო მარტივი არითმეტიკა.

ერთხელ, ღამის სიბნელეში, სამარის პირას წაჩოქებულ, შიშველ გვამებს რომ ჩაუარა, ერთმა თეთრწვეროსანმა, ალბათ წუთის წინ ანაფორა რომ გახადეს, მსხვერპლისათვის დაუჯერებელი სითამამით ამოხედა და უთხრა:

— ღვთის რისხვა რომ მოგევლინება, მაშინღა მიხვდები, გზაი შენი ცრუ არს!

— გიშველოს, აბა, შენმა ღმერთმა! — უპასუხა ძღვიბიმ და კეფაზე დაახალა.

წეღანდელი „მამაო“ გადავარდა შავ ხაროში, სადაც სხვა გვამები უკვე ეყარა გარდიგარდმო.

ძღვიბის მაინც შერჩა წყენა, რადგან ძალაუნებურად პატივი უნდა ეცა მტრის სივაჟკაცისათვის. მსხვერპლთა დიდი უმრავლესობა ხომ შიშისაგან კარგავდა ადამიანურ თვისებებს, იწყებდა ტირილსა და ვაებას, ან ცახცახს ვერ იოკებდა, ან ბოლომდე სჯეროდა გადარჩენისა, ცდილობდა ჯალათის გული პირფერობით მოელბო... ამათ სიცოცხლეშივე ასდიოდათ გულისამრევი სუნი სიკვდილისა. ეს სუნი აგიჟებდა ძღვიბის, თითქოს ჭუჭყი და ბიწი ლპობისა მასაც ეცხებოდა. შინ დაბრუნებული დიდხანს იბანდა, ოღონდაც თავს დაბანილად მაინც ვერ გრძნობდა.

„სიკვდილის სენი შემეყარა!“ — გაიფიქრა ერთხელ.

სწორედ რომ სიკვდილის სენი შეყროდა, სულს არც ართმევდა და არც აცოცხლებდა, ყოველი წამი არსებობისა მისთვის ჯოჯოხეთად გადაიქცა. ამაზრზენი იყო ის ტკივილნარევი ფხანა, სიგიჟემდე რომ მიჰყავდა. საშველი როცა აღარ ჰქონდა, ჩაიკეტებოდა ოთახში, იწყებდა ჩუმ მოთქმატირილს, თანდათან თავდავიწყება ეუფლებოდა, ხმას უმატებდა და ბოლოს ღრიალს მორთავდა. ამ დროს კარს მიღმა ბიკენტი გაყუჩდებოდა, უსმენდა მამის გოდებას და მეათასეჯერ ეკითხებოდა

თავის თავს: „მამაჩემი წმინდა კაცია, ნაღდი კომუნისტია, სიცოცხლე რევოლუციასა და სოციალიზმს შესწირა, მაშ, რატომ იტანჯება ასე, სადაა სამართალი?..“

დიახაც, სამართალი არსად იყო!

იდგა 1937 წლის სიცხიანი აგვისტო. ძღვიბი თოლორაიამ ჩასთვლიმა. ძილმა წუთით წაიღო საშინელი ქავილი, დაუამა. ფანჯარაში ნელი ნიავი ფაჩუნობდა და ვარსკვლავიანი ცა იყურებოდა. უცბად ორად გაირღვა ზეცა, გაიხსნა შავი კარები და იქიდან მირიადი ვარსკვლავი დაიძრა, წვიმად წამოვიდა, ძირს ჩამოეფინა... მოქროდნენ ვარსკვლავები და ზანზალაკებრ წკრიალს გამოსცემდნენ. მიხვდა ძღვიბი, ვარსკვლავები კი არა, ადამიანთა სულები მოქრიან... ისინი ძღვიბიმ გაათავისუფლა გვამების ტყვეობიდან და ახლა მსუბუქად დაფარფატებენ ეთერში... შეშურდა თავისუფლად მოფარფატე სულებისა, რომლებიც უკან, ცის გახსნილ კარში შეფრინდნენ, ძღვიბი კი შეატოვეს თავის ხრწნად გვამს, რომლისაგან თავს ვერასოდეს დაიხსნიდა. გააჟრჟოლა ძღვიბის, გამოეღვიძა, სხეულს მიუგდო გულისყური... დაიძრა ათასი ჭიანჭველა, მიესია და დაუწყო წიწკნა. კბილს კბილი დააჭირა ქოსა ძღვიბიამ. ცდილობდა არ ეყვირა. სურდა ათასი ფრჩხილი ჰქონოდა, რათა ნაკუწნაკუწ დაეგლიჯა ეს უგვანი ჭურჭელი შავი სულისა...

„ნუთუ არასოდეს მოვკვდები?” — ამაზე უარესი ხვედრი არ არსებობდა.

იხმო ძღვიბიმ ბიკენტი, თავისი ვაჟიშვილი, უბრძანა, ტატაჩი მომგვარეო.

უმალ მოვარდა ტატაჩი თოდუა. წელგამართული შემოვიდა, თუმცა ძღვიბიმ შეამჩნია, პირისახე მიწისფერი გახდომოდა, უპეები ჩაჟამებოდა და თვალებში სიცოცხლე ჩაქრობოდა.

— დაჯექი! — უბრძანა.

ტატაჩიმ სკამი გამოაჩოჩა, ასევე წელგამართული დაჯდა. კარგახანია, შიშიანი თრთოლვა აღარ უვლიდა ძარღვებში. ეზიზღებოდა ეს საზარელი კაცი, სძულდა და ამას აღარც მალავდა. ძღვიბი მიუხვდა ადრევე, ოღონდ წყენის არც დრო დარჩა, არც ღონე. ახლა ეს სიძულვილი გახდა მისი გადამრჩენი.

— იარაღი თუ გაქვს?

ტატაჩიმ რევოლვერის ბუდეზე დაიხედა გაკვირვებით. რა თქმა უნდა, იარაღი თან ჰქონდა.

— ძალიანაც კარგი! — კვნესა ჩაიხშო ძღვიბიმ, წამით თვალი დახუჭა. — ჩემი დღეები დათვლილია, ტატაჩი! — ხმა აუკანკალდა, სიმტკიცემ უღალატა.

ტატაჩიმ ხელები გაასავსავა, ალბათ უნდოდა ყალბი თანაგრძნობა გამოეხატა, მაგრამ ძღვიბიმ ანიშნა, საჭირო არ არის, ისედაც ყველაფერი ვიციო.

— ამას არაფერი ეშველება, ჩემი დღეები დათვლილია! — გაიმეორა, თან ხმას კაჟი შესძინა, თვალები დაუწვრილდა, თითქოს აპირებდა აყვირებას, ლანძღვის კორიანტელს, როგორც ადრე ჩვეოდა, მაგრამ ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით განაგრძო, თან ტუჩის კუთხეში ავი ღიმილი გამოესახა: — საფლავში არ მინდა საიდუმლო წავიღო! აქამდე არავისთვის გამიმხელია, გულს ვერავის გადავუშლიდი... მარტო შენ გამიგიტყდები, დასკვნები კი, რანაირიც გინდოდეს, იმნაირი გამოიტანე!

ტატაჩის მოუთმენლობა დაეტყო. ეს ჩია კაცი თავისი სიმძიმით ჩაგრავდა, მიწასთან ასწორებდა. ვერასოდეს ხვდებოდა, რა ბადეს ქსოვდა ხოლმე ძღვიბი თოლორაია, ვირთხის თვალებით ისეთ რამეებს ამჩნევდა, რასაც ახალგაზრდა გამომძიებელი ვერასოდეს ჩასწვდებოდა. ბნელი იყო მისი წარსული, მისი ცხოვრება, მისი სული... ვერა და ვერ შეეღწია ტატაჩის ამ სიბნელეში, ვერა და ვერ გაეგო რა იმალებოდა მის კუთხეკუნჭულში. ახლა კი, სიკვდილის პირზე, ქოსა ძღვიბია თვითონ აპირებდა კარის გახსნას.

— შენი სიმამრი, გერა კვარაცხელია, კაი კაცი იყო, — თქვა ძღვიბიმ, — ოღონდა, ცხონებული ცოტათი შერეკილი ბრძანდებოდა. მისი ხასიათი მავნებელი გახდა რევოლუციის საქმისათვის და მე და მამაშენმა, ნესტორმა დავღუპეთ ის საცოდავი...

ტატაჩი გაშრა. სკამიდან ისე წამოდგა, მერე ვერც იხსენებდა, საერთოდ იჯდა თუ არა. თავზარდაცემული უყურებდა ამ დაჯღანულ მაიმუნს, უნდოდა რაღაც ეთქვა და ვერას ამბობდა.

— არ გჯერა ხომ? — იქედნურად ჩაიხითხითა. — მაშინ იმასაც არ დაგიმალავ, რომ ნესტორიც მე მოვკალი, აი, იმ კიბეზე გავაგორე, გერამ რომ ააშენა!.. ნესტორიც არ ვარგოდა რევოლუციის დიადი საქმისათვის და იმიტომ მივაჭედე ტყვია!

ტატაჩიმ უცბად რევოლვერის ბუდეზე იკრა ხელი, თითით ღილაკს აწვალებდა, ეს ოხერი არ იხსნებოდა.

ძღვიბი არ განძრეულა, ჩუმად ხითხითებდა და მისი ხელის მოძრაობას უყურებდა.

— ტყუი, ტყუი! — გათეთრებული ტუჩებით წარმოთქვა ტატაჩიმ, რევოლვერი დააძრო, მაგრამ ხელი უკანკალებდა და თითი სასხლეტს ვერაფრით მოახვედრა.

ძღვიბი ინტერესით უთვალთვალებდა რევოლვერს, თითქოს ამხნევებდა კიდეც ტატაჩის, ოღონდ ამას რევოლვერი ხელიდან გაუვარდა და ისტერიულად შეჰკივლა:

— ვირთხა, ვირთხა!

შეტრიალდა და კარი გაიჯახუნა.

ძღვიბის პირზე ღიმილი შეადნა, სიცილი ჩაუქრა, სახე გაეყინა. კვლავ აფუთფუთდა ათასი ჭიანჭველა და მის უმაქნის სხეულს დაუწყო წიწკნა.

ატირდა ძღვიბი, მუშტები თავში წაიშინა და საშინელი სიტყვებით დაუწყო გინება ტატაჩის, გერას, ნესტორს, თავის თავს, მთელ ქვეყანას, მაღლა ღმერთს და ჯოჯოხეთში ეშმაკს...

შემოვარდა ბიკენტი.

— რა იყო, ბაბაია, ხომ არ გაწყენინა?

— მომკალი, შვილო, გაფიცებ დედის სულს, აიღე რევოლვერი და მესროლე!.. მომკალი, გაფიცებ დედის სულს!..

— რას ამბობ, ბაბაია, ასე როგორ გაგამწარა ტატაჩიმ?

— ტატაჩი მთხლეა, ტყვია ვერ დამახალა!.. შენ ხომ ვაჟკაცი ხარ, უტეხი და უშიშარი! ჩემი შველა მხოლოდ სიკვდილს შეუძლია, მომკალი, გაფიცებ დედის სულს!

— გაგიჟდი, ბაბაია?!

— ამაზე იოლი რა არის? ჩახმახს თითს ვერ გამოკრავ?.. გაბრაზდი და გაგიიოლდება!.. იცი, ვინ მოკლა დედაშენი?.. იცი?

ბიკენტიმ ენა გადაყლაპა, თვალები დაუმრგვალდა.

— ვინა და მე! დიახ, მე მოვკალი, აი, ამ ხელებით მოვგუდე, მივასიკვდილე!.. — კიოდა ძღვიბი, ხმას იგლეჯდა, სული ეხუთებოდა, კრუნჩხვები უვლიდა, რაც უფრო ცოფდებოდა, მით უფრო უმძაფრდებოდა ტკივილნარევი, გულისწამღები ქავილი.

გაძლება შეუძლებელი გახდა!

ბიკენტის სულში საშინელი რამ ხდებოდა — გაოცება, თავზარდაცემა, შიში, ზიზღი — ყველაფერი ერთმანეთში აერია. არ უნდოდა დაეჯერებინა ბაბაიას სიტყვები, მაგრამ უმალ ირწმუნა, იგი სიმართლეს ეუბნებოდა.

უსაზღვროდ შეურაცხყოფილმა ანგარიშმიუცემლად აიტაცა რევოლვერი, სწრაფად დაუმიზნა და ჩახმახს თითი გამოკრა. თითქოს მისმა მფარველმა ანგელოზმა აუკრა ხელი, ვიღაცამ არ ინება მამისმკვლელად ექცია, ორი ნაბიჯიდან დამიზნებული ტყვია ძღვიბის აცდა და ფანჯრის რაფას ეძგერა.

— ოო! — მწუხარებით აღმოხდა ძღვიბის, უკან გადავარდა და მოულოდნელად საოცარი სიმსუბუქე იგრძნო, მოსწყდა საკუთარ სხეულს და სივრცეში გაიჭრა. დიდხანს ვარდებოდა უსასრულოდ თეთრ გვირაბში, წამი საუკუნედ გადაექცა, მაგრამ საუკუნეც მიილია და მაღალ კარებთან აღმოჩნდა.

შეყოყმანდა ძღვიბი, უჩვეულო რიდი დაეუფლა.

დააკაკუნა.

უზარმაზარი კარები მსუბუქად გაიღო. ზღურბლზე მჭიდროდ იდგნენ ქალები და კაცები.

დააკვირდა ძღვიბი, იცნო.

ნესტორ თოდუას დოინჯი შემოეყარა, გერა კვარაცხელია ამოსდგომოდა გვერდით... ამათ უკან უამრავ სახეებში ძღვიბიმ გაარჩია ჩორნა, მთასავით აყუდებულს ფერმკრთალი ჩათა ეკვროდა მხარზე... ზოგი სხვაც ემცნაურა, ბევრი ველარ იცნო... ყველანი შეუბრალებელი თვალებით შემოსცქეროდნენ.

გერა კვარაცხელიამ თითი მიუშვირა, ჰკითხა:

„აქ რამ მოგიყვანა?“

„შვილმა ტყვია დამახალა, ბიკენტიმ, ცოცხალი აღარა ვარ!“ — სიხარულით ამცნო ძღვიბიმ.

„ის ტყვია აგცდა, ბიკენტი გადაურჩა საუკუნო ცოდვას! დაბრუნდი უკან, ცოცხლებში!“

მუხლებზე დაეცა ძღვიბი, ხელები ვედრებით აღაპყრო.

„შემიშვით, გერა, აღარ შემიძლია უკან დაბრუნება, გავთავდი კაცი!“

„ეს კარი შენთვის დახშულია, ძღვიბი თოლორაიავ, გაბრუნდი უკან!“ — მკაცრად თქვა გერამ.

შეხედა ძღვიბიმ ნესტორს, ჩორნას, ჩათას, ნაცნობთ და უცნობთ, მათს გამოხედვაში თანაგრძნობა ვერ ამოიკითხა.

უკან გაბრუნდა, სწრაფად მოლია თეთრი გვირაბი და შინ აღმოჩნდა.

ძღვიბის პატარა გვამი ყვავილების ზვინში ჩაფლულიყო. წითელ კუბოს ალისფერი დროშა ეფინა, ოქროს ვარსკვლავით, ნამგალით და უროთი დამშვენებული. კუბოს ირგვლივ და მთელ ეზოგარემოში გვირგვინების ტევა არ იყო. სასულე ორკესტრი უკრავდა „ინტერნაციონალს“. მთელი ქალაქი დაძრულიყო ძღვიბი თოლორაიასთან გამოსამშვიდობებლად. ქალაქის თავნი ყინჩად იდგნენ საპატიო ყარაულში. პარტიულებსა და კომკავშირლებს შავარშიანი წითელი სამკლაურები ეკეთათ, პიონერებს წითელი ყელსახვევები. სკოლებიდან ოქტომბრელებიც მოიყვანეს და პატარები შეშინებულნი აცეცებდნენ თვალებს.

მოვიდნენ ცაცანა და ეფროც. ცაცანა მჯიღს მკერდზე იცემდა და მოთქვამდა. ეფროს ბაგე მკაცრად მოეკუმა, გვამს გაუცხოებული მზერა ესროლა, თითქოს არ სჯეროდა, ძღვიბი რომ მოკვდა. ნამტირალევ ბიკენტის მოუბოდიშა, ტატაჩი ცუდადაა და იმიტომ ვერ მოვიდაო. მართა არ უხსენებია. ბიკენტიმ თავი დაუქნია, გულში კი ეჭვიანი შხამი ჩაეღვარა, კარგად ხვდებოდა, რა ტკივილიც ტატაჩის შეეყარა.

მოულოდნელად ეზოში ჩოჩქოლი ატყდა. ხალხი ორად გაიყო და ცოცხალ დერეფანში მელოტი, პირმრგვალი კაცი გამოჩნდა. ოქროს პენსნე ეკეთა. ფეხდაფეხ დაცვის ბრგე

ვაჟკაცები მოჰყვებოდნენ. კაცმა აჩქარებული, ენერგიული ნაბიჯებით გადმოკვეთა ეზო და კუბოსთან გაჩერდა.

მიცვალებულმა მკვდარი თვალებით ამოხედა, პირზე ამაზრზენი ღიმილი გამოესახა და უთხრა:

„ლავრენტი, მე ჯერ აქა ვარ, ვერა და ვერ მოვკვდი!“

ლავრენტი პავლეს ძემ სამძიმრის დეპეშა ამოიღო, მთლად პირველი კაცის გამოგზავნილი უპირველესი ქალაქიდან. დეპეშაში მოკლედ ეწერა, ვწუხვარ ცნობილი რევოლუციონერისა და ძველი ბოლშევიკის უდროოდ დაღუპვის გამოო... ბიკენტის თვალთაგან ცრემლი დასდინდა. არ მოელოდა ასეთ დაფასებას. ლავრენტი პავლეს ძემ მხარზე ხელი მოუთათუნა.

— დიდი კაცი იყო ამხანაგი ძღვიბი თოლორაია! — ნელა, დამარცვლით ბრძანა. — მისი საქმე არ დაიღუპება! მან დატოვა შვილი, რომლის ერთგულებაში პარტიას ეჭვი არ ეპარება! ამხანაგი ბიკენტი გააგრძელებს მამის სახელოვან საქმეებს!

ესა თქვა და შეტრიალდა, კვლავ ფეხაჩქარებით გადაკვეთა ეზო. ბიკენტი ცოტაზე აედევნა, მადლიერების ლუღლუღი თუ შეეძლო. მხრებაწურული შეჩერდა, მიმოიხედა, აწი რა ვქნაო. არც სხვებმა იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ. ამასობაში ლავრენტი პავლეს ძე და მისი თანმხლები პირები მანქანებში ჩასხდნენ და გაქრნენ. დამსწრე საზოგადოებამ შვებით ამოისუნთქა.

„დროა!“ — გაიფიქრა ძღვიბიმ, რომელიც კუბოს სასთუმალთან, ყვავილებში იჯდა და საკუთარ გვამში დაბრუნება ვერაფრით გადაეწყვიტა.

— დროა! — გაისმა აქაიქ ჩურჩული.

ახლობლებმა დაავლეს კუბოს ხელი და ციმციმ წაასვენეს.

ძღვიბიც მიჰყვა და ზევიდან დაჰყურებდა მილეთის ხალხს, მის საპატივცემლოდ კუბოს რომ მიჰყვებოდა.

მზემ დასავლეთისაკენ გადაიწია, ჩრდილები დაგრძელდა.

ამოთხრილ სამარესთან შექუჩდნენ. მოკლე, ნაჩქარევი მიტინგი ჩააბულბულეს... პარტიის რაიკომის სახელითო... კომკავშირელთა სახელითო... პიონერთა სახელითო... პროფკავშირების სახელითო... დიდი ლენინის მოწაფეო... დიდი სტალინის მოწაფეო... ლავრენტი პავლეს ძეს მოწაფეო... სიკვდილამდე სულ მოწაფედ დარჩენილიყო ძღვიბი თოლორაია.

— არიქა, ვირთხა! — შეჰყვირა უცებ ვიღაცამ.

ხალხი შეჩოჩქოლდა, ქალებმა შიშიანად შეჰკივლეს, კაცებს ფერი ეცვალათ.

შორიახლო საფლავის ვირთხა მიათრევდა გრძელ კუდს, ცდილობდა გასწრებას.

— გამეცალეთ, დამაცადეთ! — რევოლვერი იშიშვლა ბიკენტიმ, ტყვია წერტილში მოარტყა და ვირთხა გააგორა.

მიტინგი სწრაფად ჩაიფარცხა. კუბოს სახურავი დააჭედეს და სამარეში ჩაუშვეს, მერე მიწაც მიაყარეს და გვირგვინები ზედ დააზვინეს.

შეჭირვებული ძღვიბი ზევიდან დაჰყურებდა საკუთარ საფლავს. აღარ იცოდა სად წაეღო თავისი უკვდავი სული. ძირს დაგდებული საფლავის ვირთხა რომ იხილა, ბევრი არ უყოყმანია. შიგ სწრაფად მოთავსდა. ქავილით დატანჯულმა ნატყვიარის ტკივილი არაფრად ჩააგდო.

ვირთხამ ფეხები გაასავსავა, წვრილი, ბოროტი თვალები დაკუსა და ახლო ბარდებში გახვანხვალდა...

22

— ისე, მამაჩემს კი ეკუთვნოდა შენგან ერთი წვეთი ცრემლი! — უბოროტოდ, წყნარად უთხრა ბიკენტიმ ტატაჩის.

ბიკენტი ძღვიბი თოლორაიას სკამზე იჯდა, ძღვიბის კაბინეტში, ტატაჩი ფეხზე იდგა. ჯიბეს უწვავდა ოთხად დაკეცილი განცხადების ფურცელი, ვინაიდან ახალ ხელმძღვანელთან უბრადა ვარ, გთხოვთ სამსახურიდან დამითხოვოთო... ეს განცხადება, ცხადია, სიგიჟე იყო. თავისი ნებით აქედან არავინ მიდიოდა. აქედან გზა ზღაპარივით სამად იყოფოდა: ერთი პენსიისაკენ მიემართებოდა, მეორე — ციმბირისაკენ, მესამე — სიკვდილისაკენ, და ამ დროს სიტყვა „ციმბირი“ მოიცავდა

მთელ საბჭოეთს, რაკი ზუსტად არავინ იცოდა, უგზოუკვლოდ დაკარგულნი რომელ უფსკრულში ცვიოდნენ.

ბიკენტიმ არ იცოდა, თუ რა ედო ტატაჩის ჯიბეში, იგი კარგ გუნებაზე იყო და ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი ჰქონდა გასაყოფი, არაფერი ჰქონდა სადავო, პირიქით, ორი დიდი რევოლუციონერის შთამომავალთა ძმობას ბზარი არსად აჩნდა.

— დაჯექი, რა უცხოსავით დგახარ! — გაკვირვებითა თქვა და ტატაჩიმ გადაიფიქრა ჯიბიდან განცხადების ამოღება. იქნებ მართლაც გულწრფელი კაცია ბიკენტი, ახლა ხომ დიდ თანამდებობაზეა, დაივიწყა ძველი მტრობა და მეგობრობის ხელს უწვდის...

ხავსს ეჭიდებოდა ტატაჩი, თავს იტყუებდა. ულმობელი ხელი უკვე აღიმართა მის თავზე. კარგა ხანია დარწმუნდა, საფრთხეს ვერ აიცდენდა.

იჭერდნენ იმ წელს... ადრეც იჭერდნენ! რაც ტატაჩის თავი ახსოვს, ყოველთვის იჭერდნენ... თავდაპირველად მხოლოდ მტრებსო, დარწმუნებული იყო. მერე და მერე თავგზა აებნა, რაკი მტერი უსასრულოდ მრავლდებოდა. დაჭერების ტალღას ტალღა მოჰყვებოდა. ყოველი ახალი მოქნევა ცელისა, მეტ თავებს აგორებდა და თანდათან გაუგებარი გახდა, ვინაა მტერი და ვინ მოყვარე... დიახ, მისი რიგიც დამდგარიყო! ამაში დარწმუნდა ტატაჩი თოდუა, ცელის პირი სადღაც მის კისერთან ელავდა უკვე. საკმარისია მთიბავმა ნაბიჯი გადმოდგას, ტატაჩისაც მისწვდება იგი, მისი თავიც გაგორდება ძირს...

წინათგრძნობა გულს უღრღნიდა, სიცოცხლეს უმწარებდა... იქნებ მართლაც დააშავა რამე? იქნებ სადღაც არ მოიქცა სწორად?.. ბევრჯერ აწონდაწონა, ფიქრში მრავალგზის გაიარა საკუთარი ცხოვრების გზა... ღვთისა და ადამიანთა წინაშე იმაზე მეტი დანაშაული რა იქნებოდა, რომ ძღვიბის მიჰყვა, თოლორაიას, მის განკარგულებებს ასრულებდა... პირველსავე შემთხვევაში ვერ დაიცვა იგივე ირროდიონ რიგვავა, ვერც ვერავინ სხვა, რომელთა სახელია „მრავალნი“. არათუ ვერ დაიცვა, თვითონაც იძულებული გახდა ჯალათობა ეკისრა... იძულებული გახდა?.. გამოსავალი არ ჰქონდა?.. სიკვდილის გამოსავალი ხომ ჰქონდა!

— შეუძლოდ ვიყავი იმ დღეს. — თავი იმართლა. — შენ ხომ იცი, როგორ მიყვარდა ძღვიბი ბიძია!

ამ გულსგარეშე ნათქვამმა სიცრუემ თავი უფრო შეაზიზღა. არასოდეს ყვარებია ძღვიბი თოლორაია, მით უფრო ბიკენტი... ტყვიას არ დაიშურებდა მისთვის, ოღონდ თავზევით ძალა არ იყო... ან ბიკენტის რატომ უნდა ყვარებოდა ტატაჩი, რატომ უნდა დაენდო?.. ძმაკაცის როლს თამაშობს. კატასავით კრუტუნებს, ტატაჩი თაგვი ჰგონია. ფერებაფერებაში სურს მოწინააღმდეგეს სული ამოჰხადოს... ფრთხილად უნდა იყოს ტატაჩი, შეცდომის უფლება მას არა აქვს, თორემ თავს წააგებს... იქნებ სჯობია, თავი მოიკატუნოს, არ გაამჟღავნოს, რომ ყველაფერს ხვდება... არაფრის საბაბი არ უნდა მისცეს. თუმცა რად უნდა საბაბი? წუთში შეუძლიათ დაუმტკიცონ, რომ ძღვიბი თოლორაიას სატირალში იმიტომ არ მივიდა, ჩვენი სახელოვანი „ენკევედე“ აღარ მოსწონსო... მეტი არაფერი სჭირდება „სტოლიპინის ვაგონის“ ბილეთს... იქნებ დაასწროს მოწინააღმდეგეს, სასწრაფოდ გაიჩინოს მფარველი, იმას შესჩივლოს... მაგრამ ვინღაა ისეთი დიდი კაცი, „ძღვიბიევიჩს“ ზევიდან თითს რომ დაუქნევს?.. ლავრენტი პავლეს ძე?.. ამხანაგი ლავრენტი?.. ამის გაგონებაზე თრთოლვამ დაუარა ტატაჩის. ლავრენტისთან მისვლა ლომის ხახაში თავის შეყოფასა ჰგავს. სანამ ლავრენტი საქართველოში იყო, კიდევ ჰო... მოსკოვი შორსაა და იქაური კარები დახშულია...

შინ რომ ბრუნდებოდა, ამაზე ფიქრობდა ტატაჩი. იხსენებდა ერთ უჩვეულო ამბავს, თავად რომ გადახდა და ამაზე კრინტის დაძვრასაც ერიდებოდა.

წყალტუბოში ისვენებდა მთლად დიდი ბელადი. მეორე სართულის აივანზე ლავრენტი პავლეს ძე იმყოფებოდა, ქვევით, ეზოში ახალგაზრდა ჩეკისტი, ამ მომენტისათვის საამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი. სხვა ჩეკისტებიც იყვნენ შორიშორ მიმალულნი, ცხვირის გამოყოფასაც ვერ ბედავდნენ, რადგან დიდმა ბელადმა დაცვა არ ინება.

დილის ათ საათზე ეზოში შავი მანქანა შემოვიდა ნელი თუხთუხით. ახალგაზრდა ჩეკისტი სმენაზე დადგა.

მანქანის კარი გაიღო და რესპუბლიკის პირველმა კაცმა გამოიხედა, ახალგაზრდა მოიხმო და უთხრა:

— გეთაყვა, აირბინე და იოსებ ბესარიონის ძეს მოახსენე, რომ თბილისიდან ჩამოვიდა ამხანაგი ***.

ჩეკისტი შეტრიალდა, კიბეზე თავქუდმოგლეჯით ავარდა და აივნიდან მოყურადე ლავრენტის მიეახლა.

— ლავრენტი პავლეს ძევ! თბილისიდან ჩამოვიდა ამხანაგი ***, ითხოვს სტალინთან მიღებას!

— მოიცადოს! — მოჭრით დააგდო ლავრენტიმ.

ჩეკისტი შეტრიალდა, კიბეზე დაეშვა და დანაბარები სტუმარს გადასცა. ამხანაგი *** უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა, მაგრამ არაფერი უთქვამს, საზურგეს მიეყრდნო და თვალი მილულა. ეტყობა, მგზავრობას დაეღალა.

დრო ზოზინით მიდიოდა. თბილოდა. ბაღში ჩიტი ჭახჭახებდა.

ძლივძლივობით ერთი საათი გადაგორდა.

ამხანაგმა ***მა თვალი გაახილა. ჩეკისტი კვლავ მოიხმო და უთხრა:

— გეთაყვა, ერთხელაც ნუ დაიზარებ, ადი და შეახსენე ამხანაგ სტალინს, რომ თბილისიდან ჩამოვედი და მიღებას ვითხოვ!

კვლავ ადგილს მოსწყდა ახალგაზრდა ჩეკისტი, კიბეზე სულმოუთქმელად აირბინა.

— ლავრენტი პავლეს ძევ! ამხანაგი *** მიღებას თხოულობს!

— მოიცადოს! — მეორედაც მოჭრა ლავრენტიმ.

ახალგაზრდა ჩეკისტი ეზოში ჩავიდა და დანაბარები გადასცა.

ამხანაგმა ***მა ამოიხვნეშა, არაფერი უთქვამს, საქაღალდე ამოიღო, გახსნა და ქაღალდებს ჩაუღრმავდა.

მძღოლს საჭეზე ხელები ჩამოეყრდნო, წინ იყურებოდა და თოჯინასავით გაყუჩულიყო.

კიდევ ერთი საათი გადაგორდა. მზემ აიწია, დააცხუნა.

ამხანაგმა ***მა შეხედა ახალგაზრდა ჩეკისტს. ის უთქმელად მიუხვდა და კიბეზე მესამედ ავარდა.

ლავრენტიმ უკმაყოფილოდ მოიხედა და მესამედაც იგივე უპასუხა:

— მოიცადოს!

ისევ გაგრძელდა მოსაწყენი წუთები. ამხანაგმა ***მა ქაღალდებს გული ვერ დაუდო, დაკეცა. ისე ამოიოხრა, თან გული ამოატანაო და დასიცხულ ეზოგარემოს გახედა.

სამ საათზე ახალგაზრდა ჩეკისტი კვლავ ავიდა კიბეზე. ლავრენტიმ უკმეხად შეაგება:

— მოიცადოს!

ოთხ საათზე ჩეკისტს ასვლა ეზარებოდა, წელს ძლივს მიათრევდა.

— მოიცადოს!

ამხანაგმა ***მა თავი გამოყო, აივანს ახედა. აქედან იგი ლავრენტის ვერ ხედავდა. დაღლა და ჭოჭმანი დაეტყო. კვლავ თითით მოიხმო ახალგაზრდა ჩეკისტი და შეწუხებულმა უთხრა:

— ეტყობა ამხანაგ სტალინს არ სურს დღეს მიმიღოს! გეთაყვა, მოახსენე, რომ ვიყავი და წავედი!

მძღოლს თავი დაუქნია და ისიც გამოცოცხლდა, მანქანა აამუშავა.

ახალგაზრდა ჩეკისტი კისრისტეხით ავარდა აივანზე.

— ლავრენტი პავლეს ძევ, ამხანაგი *** მიემგზავრება!

— წაეთრიოს! — მოჭრა ლავრენტიმ, აივნიდან გადაიხარა, მიმავალ მანქანას თვალი მიადევნა. პენსნეზე მზის მეწამული სხივები აირეკლა.

ლავრენტი შებრუნდა და კარი დაუკაკუნებლად შეაღო.

ჩეკისტმა ფეხი მოინაცვლა, წასვლა დააპირა, მაგრამ შეყოვნდა და მაშინ მოესმა ლავრენტის ხმა:

— ამხანაგო სტალინ, ამხანაგი *** გეახლათ თბილისიდან!

— შემოვიდეს!

— წავიდა კიდეც!

— რატომ? — გაკვირვებით იკითხა იოსებ ბესარიონის ძემ.

— ერთიორი წუთით მოითმინემეთქი და იწყინა, ადგა და გაემგზავრა!

— მერე და წავიდეს! — უკმაყოფილოდ შეეპასუხა დიდი ბელადი.

ახალგაზრდა ჩეკისტი კიბეზე დაეშვა და ეზოს ჩრდილს შეეფარა.

ამხანაგი *** ახლა არც პირველი კაცია და არც სხვა რამ რანგისა. მის ადგილას სულ მალე ლავრენტი გამწესდა... ამ პატარა ამბავში დიდი შინაარსი ამოიკითხა ტატაჩიმ. დიახ, უნდა იყო ეშმაკი, ცბიერი, ცრუ, ღალატიანი, გახსოვდეს მხოლოდ საკუთარი თავი, ეცადე, ფეხი არ დაგიცდეს, თორემ ხელს არავინ გამოგიწოდებს.

— რა იყო, მართა, შეცვლილი მეჩვენები!

მართა იცრიცება, თეთრი ფერი გადაჰკრავს, პირისახე სისხლისაგან ეწრიტება. აკვანზე იხრება, ქმარს თვალს არიდებს.

— ვიღლები!

ჩვილმა მართალიმ დრო შეიბრუნა, დღისით სძინავს, ღამღამობით ჩხავის, უფროსებს ძილს უფრთხობს. მართა დასტუტუნებს, ხანდახან წაუმღერებს: „ნანაა!.. ნანაიაა!..“ ოღონდ რაღაცნაირად უხალისოდ. კარგა ხანია გულიდან სიმღერა არ ამოსდის.

— რამ დაგღალა, ქალო?

— შიშმა!

— შენ მაინც რისი გეშინია! — ნაძალადევი უდარდელობით ეუბნება ტატაჩი. — შენ ვინ დაგიჭერს? ქმარი ენკევედეშნიკი გყავს, ვისაც მოინდომებს, თვითონ დაიჭერს!

მართა არაფერს ამბობს. ტატაჩიც ყუჩდება. უსაგნო, ღრმად ჩამალული შიში გულს ჩაჰფრენია, თავს არ ანებებს. იცოდეს მაინც, საიდან ელის დარტყმა! ანდა იმდენი ღონე ჰქონდეს, შიშის მახინჯ ხატს თვალი გაუსწოროს... თუმცაღა ამ ურჩხულს ხატი არა აქვს, ვერ შეხედავ, ხელს ვერ შეახებ, იგი არსებობის ნაწილია, ცხოვრების სტილია...

„ეჰ, სხვა დროს მაინც დავბადებულიყავი!“ — ფიქრობს ტატაჩი.

— ეჰ, სხვა დროს მაინც გავჩენილიყავით! — ოხრავს მართა.

ეს უკვე საშიშია, ამისი გაფიქრებაც არ შეიძლება. ქვეყანაზე სოციალიზმი იმარჯვებს, სხვა დრო რანაირად იქნება ამაზე უკეთესი, ამაზე ბედნიერი. ასეთი რამ მხოლოდ „მტრულ ელემენტს“ მოუა თავში...

— არ თქვა მაგი, მართა! — მტკიცედ ჩურჩულებს ტატაჩი. — არ გაიკარო მაგეთი აზრი, ნურავის ეტყვი მსგავს რამეს! საწუწუნო რა გვაქვს, მალე ალბათ ხელფასსაც მომიმატებენ!

— მოგიმატებს მაგი შენ ხელფასს! — ბოღმით, მძულვარედ თქვა მართამ.

გაუკვირდა ტატაჩის, ბიკენტი ამას მაინც რამ შეაძულაო. აღარ წყენია ეს აღმოჩენა, მაინც ცალყბად გამოექომაგა თავის მტერმეგობარს:

— რა დაგიშავა იმ კაცმა? მაინცდამაინც მე ხომ არ გამიშვებდნენ უფროსად. მაგის მამას ლავრენტი იცნობდა პირადად, სატირალში ჩამოვიდა!.. კაი თვალით მიყურებს მეც და რა მენაღვლება მეტი!

მართა გაისუსა, აღარ ინება სახიფათო საუბრის გაგრძელება. ბიჭის აკვანი დაარწია, ნაძალადევად, უხალისოდ წაუმღერა — „ნანაა!..“

„რა ხდება? — უძილობა ტანჯავდა ტატაჩის. — რა ხდება მერეთში?.. საქართველოში?.. მთელ ქვეყანაში?..“

იქნებ მხოლოდ მერეთშია ეს უსასრულო რბევა? იქნებ მხოლოდ აქ პარპაშებენ ჯერ ძღვიბი თოლორაია და მერე მისი ძე... უკვე აღარავინ დარჩა ისეთი, ცოტათი ჭკუა რომ მოეკითხება... ნუთუ ტატაჩიც ვერ აიცდენს მძიმე ხვედრს? ნუთუ მის ნაკვალევსაც დაადგა მაძებარი და, აჰა, საცაა მიეწევა...

სამსახურში მიდის ტატაჩი. ბიკენტი ღიმილით ხვდება. თვალებს მოწკურავს და ჩუმად კრუტუნებს... თითქოს ეფერება, ელაციცება... მის ბრჭყალებს ქედზე გრძნობს ტატაჩი. ვერ ბედავს ხმის ამოღებას, ვერ ბედავს წინააღმდეგობას... არცა აქვს ამისი საფუძველი, რადგან ვერ იგებს, საიდან არტყამენ ალყას, ვერ ხვდება, რა დანაშაულს უძებნიან... იქნებ ყოველივე ეს ტყუილი ეჭვებია, არავინ ინუხებს თავს ტატაჩიზე ფიქრით! არავის აზრად არ მოსვლია მისი დევნა!.. შეუძლია მშვიდად იმუშაოს... იმდენი დამსახურება კი აქვს, რომ აპატიონ!.. რაო?.. აპატიონო?.. რა აქვს საპატიებელი, რა დაუშავებია სახელმწიფოსათვის?..

ევროპაში უკვე ომია. გაზეთებიდან გამდნარი ტყვია მოედინება...

მართალი ორი წლისაა, დაბაჯბაჯებს... აკვანს მაინც არ ტოვებს, ძილის დროს ითხოვს, თავიდან ბოლომდე ავსებს, „ბაბა, ბაბა...“ — ღუღუნებს, კიჭები უჩანს.

ტატაჩი ნერვულად შეხედავს მართას, დარწმუნებით ეტყვის:

— ამაღამ მოვლენ, მართა!

23

მსუბუქად დააკაკუნეს. ბერიმ თავი ასწია, კარს მიაჩერდა. შიშისაგან გული აუჩქარდა, სისხლი კეფაზე მოაწვა, საფეთქლებზე ფეთქავს და სმენას უხშობს... ალბათ მოეჩვენა!

ფანჯარაში წკვარამი ღამე იყურება, ვარსკვლავები გამქრალა... ღამეს თვალები აქვს, კარსა და კედლებს — ყურები და თავის ბინაში განმარტოებული ბერი ზაქარაია ვერსად დაიმალება...

ამ უკიდეგანო ქვეყანაში ვერსად ვერავინ დაიმალება. სულიერსა და უსულოს თვალი და ყური ასხია. გაფაჩუნებაც არ გამოეპარება იმას, ვინაც ვალდებულია ყველაფერი იცოდეს. მაშ როგორღა გაქრა ტატაჩი თოდუა, როგორ აორთქლდა იმ ბნელ ღამეში... ათი წელი მკვდრებში ეგულებოდათ. მერე ჩიტმა ამბავი მოიტანა, ბერის ყურში ჩაუწვეთა, ოღონდ სხვებს ნუ გაუმხელ და ცოცხალია ის კაციო... სიბნელეს შეერწყო, უკუნში იარა და აქამდე ისე მოაღწია, მზის სინათლე აღარ უხილავსო... სხვა დასამალი ადგილი არსად ეგულებოდა და ჯოჯოხეთში თავისი ფეხით ჩასულაო...

იჯდა ბერი, მისჩერებოდა ბნელ ფანჯარას და წარმოსახვაში აცოცხლებდა ჯოჯოხეთში გადამალული კაცის ხატს.

უკუნში დიდხანს გარბოდა ტატაჩი თოდუა, ცდილობდა ჩქარა გაშორებოდა მშობლიურ კერას და ქალაქს, გუშინ მშობლიურს, დღეს ბოროტ დედინაცვლად გადაქცეულს. გაქცევით თუ გადაირჩენდა სიცოცხლეს, ერთადერთ ფასეულობას, რაც ადამიანს კიდევ შერჩენია, როცა მას თავისუფლებას ართმევენ, თუნდაც ამ მოჩვენებით თავისუფლებას...

ფეხი ლიანდაგს რომ წამოჰკრა, მაშინ იაზრა, რომ რკინიგზაზე გაეღწია. მიჰყვა უსწორმასწოროდ დაწყობილ შპალებს. უსახელო ბაქანზე სუსტი ნათურები ბჟუტავდა. სატვირთო მატარებელი იდგა, შემხვედრის მოლოდინში ორთქლმავალი ფშვინავდა. მიეპარა, ვაგონების გასწვრივ ლანდად იარა, კიბეს წააწყდა და ღია ბაქნის იატაკზე გაწვა, გაყუჩდა. ჩამოიგრიალა შემხვედრმა. დაუსტვინეს და დაიძრა, არახუნდა ვაგონების რიგი, რელსებზე აკაკუნდა რკინის ბორბლები და მატარებელი რიტმული დაგადუგითა და ტაატით წავიდა.

უსასოობას შეეპყრო ტატაჩი. არ იცოდა, საით მიჰყავდა ბედისწერას, არ იცოდა, რა მოემოქმედა. მეობას ვერსად გაამჟღავნებდა. უსაბუთო კაცი ხომ ადამიანთა სიიდან ამოგდებულია, პურის ნატეხს არავინ გამოგიწვდის, წყალს არ მოგაწოდებს. პირველივე შემხვედრი, სიკეთის ქმნას მოწადინებული, უმალ მთავრობას ჩაგაბარებს, რაკი „მთავრობა სამართლიანია“, „ავსა და კარგს გაარჩევს“, „უდანაშაულოს არ დასჯის“...

დაღლილობამ უწია. ვაგონის რწევაში ჩაეძინა. ეშმაკი დაესიზმრა, მთელი ტანი ბანჯგვლით ჰქონდა დაფარული. თხის ფეხებზე იდგა, ხუჭუჭა თმებში ორი პატარა რქა მოუჩანდა. გრძელი კუდი მკლავზე გადაეგდო. იმ კუდის წვერით ტატაჩის ცხვირში უღიტინებდა და აღტაცებით ქირქილებდა.

ელდანაცემს გამოეღვიძა. ლაპარაკი შემოესმა. მატარებელი გაჩერებულიყო. მოისმოდა უცნაური ხმაური, დაგადუგი, გადაძახილი, სტვენა, რახუნი, ფშვინვა... ორთქლსა და კვამლში ძლივს აღწევდა მეწამული პროჟექტორის ნათება. შორიახლო კაცები ყაყანებდნენ არაქართულად. მზაკვარი ერთი გამოეყო იმ კაცებს, კიბესთან მოვიდა და თითით მოიხმო:

„ძირს ჩამოდი!“

გაქცევას აზრი არ ჰქონდა. ტატაჩიმ წელი ძლივს აზიდა, ძირს ჩამოვიდა.

მზაკვარს ბინდში ორი თვალი ფოსფორებრ უკიაფებდა.

„საბუთი!“

ტატაჩიმ ხელი ჯიბეში ჩაიყო, ცხადია, საბუთები არა ჰქონდა.

„ვინა ხარ?“

„კუზმა მქვია! — სახელდახელოდ იცრუა. — ცოლმა შინიდან გამომაგდო, ლოთი და მაწანწალა ხარო!“

„ამას დავადგენთ!“ — მკაცრად თქვა მზაკვარმა და დანარჩენებს მიუბრუნდა. — წაიყვანეთ!“

შუაში ჩაიყენეს და ტალახიან გზას დაადგნენ. კაცებს გრძელკალთებიანი ლაბადები ეცვათ, ტყავის კოზიროკიანი ქუდები ეხურათ. ქუდებზე წითელი ვარსკვლავები ბრჭყვიალებდა.

„ალბათ ამ ქუდქვეშ პაწია რქები იმალება, — ფიქრობდა ტატაჩი, — ლაბადის ქვეშ კი გრძელი კუდები...“

ბინდიან ნისლში შავად გაჭიმულიყო ეკლიანი მავთულხლართები, აქაიქ სათვალთვალო კოშკები გამოცურდებოდა, რომლებზეც სისხლისფერი ელვარებით გამოანათებდა პროჟექტორები.

გაიღო ეკლიანი ჭიშკარი და მზაკვრებმა ტატაჩი ეზოში შეაგდეს.

„ესეც ახალი!“ — გაისმა ჩახლეჩილი ხმა.

მზაკვარმა მწარედ უბიძგა ტატაჩის და უხეშად უბრძანა:

„წინ იარე! არსად გადაუხვიო! დაუმორჩილებლობა სიკვდილს ნიშნავს!“

ტატაჩი წინ წავიდა. ორსავე მხრივ ჩამწკრივებულიყვნენ მზაკვრები, ხელში გრძელი ჯოხები ეჭირათ. პირველმა ზურგზე რომ დაჰკრა, ტატაჩიმ სიმწრით შეჰყვირა და ძირს დაეცა. უმალ მიცვივდნენ სხვებიც და ჯოხები დააყარეს. მიხვდა ტატაჩი, ყვირილის დრო არ იყო, უნდა გაესწრო. ძალა მოიკრიბა, წამოიწია და მთვრალივით ბარბაცით გასწია, თან ხელებს თავზე იფარებდა, ცდილობდა დარტყმა აეცილებინა. დაოსტატებული მზაკვრები ზუსტად არჩევდნენ ყველაზე მტკივან ადგილებს და დაუნდობლად ურტყამდნენ.

ასე განვლო გრძელი მანძილი. რამდენჯერმე ფეხი წამოჰკრა იმათ, ვინც ვერ გაუძლო და დროზე ადრე დაეცა, ვისაც ღონე არ ეყო და ლეშად იქცა.

ბუნდოვანებაში დაინახა ძელური ბილიკი, ვრცელ ჭაობს რომ კვეთდა. სხვა გზა არსაიდან ჩანდა და იმას მიაშურა. ფეხქვეშ იზნიქებოდა დამპალი ძელური, ტყდებოდა. ირგვლივ ბნელში ლაპლაპებდა უძირო ოთონთო, რომელშიც გველღრიანკალნი და ნიანგნი ფუთფუთებდნენ, ელოდნენ მსხვერპლთ, ვისაც ძალა არ ეყოფოდა განევლო ჯოჯოხეთის ეს ხიდიც.

ძრწოდა ტატაჩი. ჯოხით გვემა გადავიწყებოდა შიშით ატაცებულს. ხაშმისაგან გული მისდიოდა, თავბრუ ეხვეოდა, მაგრამ მცირე სისუსტეც კმაროდა, რათა ბილიკიდან გადავარდნილიყო და საშინელი სიკვდილი მიეღო. ხედავდა კიდეც სისუსტის მსხვერპლთ, თეთრი ჩონჩხები ქათქათებდა ბნელში, მავანთა ლანდები წინ მიიკვლევდნენ გზას. კვალზე სხვა მისებრ ტანჯულნიც მოიწევდნენ და უამრავი ფეხისაგან ირწეოდა ჭაობზე გადებული ფუტურო ძელური.

„გადავრჩი!“ — გაიფიქრა ტატაჩიმ და მტკიცე ყინულოვან ნაპირზე შედგა ფეხი. წინ თეთრად ქათქათებდა თოვლიანი ტრამალი. ქარაშოტმა დაუბერა, ცივი ხვევნით შემოესალტა, აძაგძაგდა. წინ, წინ, როგორმე უნდა განევლო ტანჯვის ეს ბილიკიც, როგორმე უნდა მიეღწია იმ ჰორიზონტამდე, სადაც ციმციმებდა გადარჩენის ელვარე ცეცხლი.

რამდენი ღონე აქვს თურმე ადამიანს! რამდენი გაძლება შეუძლია! მირბოდა ტატაჩი ვრცელ ტრამალზე, ქარაშოტის ცივ შხუილს თან მოჰქონდა მზაკვართა და მგელთა შემაძრწუნებელი ყმუილი... ალბათ მალე წამოეწევიან ნადირნი კვალზე, ტანჯვისაგან გასაცოდავებულ მის გვამს კბილებით დაგლეჯენ და ეს იქნება ყოველივეს დასასრული... მირბოდა და გზად აწყდებოდა დაცემულთ, იმათ, ვინც ვერ შეძლო, ვერ გადალახა... აქაიქ ეყარნენ ჩონჩხადქცეულნი, ყორანთა და მგელთა ნასუფრალნი, ან ისინი, ვინც ხელი აიღო სიცოცხლისათვის ბრძოლაზე და ყინულეთში დატოვა თავისი უმაქნისი გვამი...

დროის ანგარიში დაეკარგა. თვითონაც ვერ გაეგო, რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს მტანჯველი სრბოლა მომავლის ნათელ ჰორიზონტამდე?.. შორიდან მოჩანდა მეწამული ცეცხლის ელვარება და ტატაჩი მიისწრაფოდა მისკენ, რაკი იქ მისვლა ნიშნავდა გადარჩენას, ახალი არსებობის დასაწყისს; ვალდებულიც იყო გაეძლო მტანჯველი გზისათვის, მიეღწია და მაშინ ეზიარებოდა ბედნიერებას, რაიც აქამდე უსხლტებოდა...

აგერ გამოჩნდა ყინულოვანი ტრამალის კიდე. ბილიკი დაბლა ეშვებოდა და იმ მხრიდან მოისმა წყლის უწყვეტი ხმაური. ფართო მდინარე მოგუგუნებდა, მღვრიე ტალღები მოჰქონდა, ყინულის ნატეხებსა და თოშს მოატივტივებდა. ალბათ ვერც გაუძლებდა ამდენ განსაცდელს, აქვე ჩაჯდებოდა და სიკვდილს დაელოდებოდა, მაგრამ სულ ახლოს მოისმა მგლის ხროვის შემზარავი ყმუილი და ტატაჩიმ გადაწყვიტა ბედი წყალში ეძია. ფერდობი ჩაირბინა და თოშიან წყალში გადაეშვა, მხარული გაუსვა.

უკანასკნელ ღონემდე ებრძოდა ტატაჩი მღვრიე მდინარეს. დინებამ წაატივტივა, ფსკერისაკენ ჩაითრია, მაგრამ წყალში სიკვდილი არ ეწერა და ტალღამ რომ მეორე ნაპირზე მიაგდო, იქ მზაკვარმა ვინმემ ხელი გამოუწოდა.

„მოაღწიე, კუზმავ?!“ — დაცინვით შეეხმიანა.

პასუხი ვერ მოასწრო ტატაჩიმ. საიდანღაც გამოცვივდნენ გრძელლაბადიანი მზაკვრები, სტაცეს ხელი და ციმციმ წაარბენინეს...

ყოველ ნაბიჯზე ენთო ცეცხლი, გურგურებდა კოცონი. უზარმაზარი შავი ქვაბები იდგა სამფეხებზე. შიგ ბუყბუყებდა ადუღებული კუპრი. მზაკვრები მიმორბოდნენ მხიარულად, შეშა დაჰქონდათ, ბეჯითად უკეთებდნენ ცეცხლს, რათა არ განელებულიყო, დახტოდნენ და ყირაზე გადადიოდნენ.

ერთგან მზაკვართა სასულე ორკესტრი იდგა და მონდომებით „ინტერნაციონალს“ აგრიალებდა.

„აი, ეს ქვაბი თავისუფალია!“ — ბრძანა ერთმა მზაკვარმა და ტატაჩის შიგ გადაუძახეს.

ერთიანად დაითუთქა ტატაჩი. თავი ამოყო მდუღარე კუპრიდან და არაადამიანურად იკივლა — „ააა!..“ ოღონდ მისი კივილი ყურად არავინ იღო, იგი ჩაიხშო ცეცხლის გუგუნსა და სასულე ორკესტრის გრიალში...

იქ, იმ კუპრის ქვაბში დარჩა ტატაჩი თოდუა, დროებით კუზმად წოდებული. მრავალი დღე და ღამე, კვირა და თვე იხარშებოდა, სიკვდილით კი მაინც არ კვდებოდა. მისი არსებობა გადაქცეულიყო ერთ უწყვეტ ტანჯვად, რისი ღირსიც ნამდვილადაა უსაბუთო ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია ალიბი იმისა, რომ ის არ არის ტროცკისტი, ბუხარინელი, რიკოველი და ა.შ. მოკლედ, რომ ის არ არის „ხალხის მტერი“...

ბედნიერება ნამიერია, ტანჯვა საუკუნო... დროის საზომი დაკარგული იყო ტატაჩისათვის, მისი ტანჯვის წამები წლებს უდრიდა, მაგრამ ერთ დღეს რაღაც შეიცვალა... ამ ჯოჯოხეთს სხვა ჯოჯოხეთის არმია შემოესია და სამყარო გადაიქცა არმაგედონად... საყოველთაო სისხლისღვრა და სიკვდილი გამეფდა...

მოვიდა ტატაჩისთან წითელვარსკვლავიანი მზაკვარი, კუპრიდან ამოიყვანა და წყალობად თოფი უბოძა.

„შენს თავისუფლებას, ამხანაგო კუზმა, სვასტიკიანი მზაკვარი ემუქრება. თუ მონობა არ გვინდა, მტერი უნდა დავამარცხოთ!“

ტატაჩის მონობა არ უნდოდა. აიღო თოფი და ბრძოლაში გადაეშვა, რათა ჩვეული მზაკვარი დაეცვა უცხო მზაკვრისაგან. ოთხი წელი იბრძოლა თავგანწირვით, სხვისი სისხლი ბევრი ღვარა, საკუთარიც არაერთგზის. ყველა კუზმად იცნობდა და უმაღლესი მზაკვრის მადლობა და მედლებიც კუზმამ მიიღო... ტატაჩის მეობა აუჯანყდა ამ უსამართლობას, ამდენი თავგანწირვის წილ ხომ ჰქონდა უფლება შეწყალებისა... მაგრამ მზაკვართა სახელმწიფოში შეწყალება დანაშაულს უდრიდა და ტატაჩი თოდუას გზა ჩხერიის მზიანი სანახებისაკენ კიდევ დიდხანს გაგრძელდა...

ბერი ზაქარაიას გააჟრჟოლა. ამ უცნაურმა ზმანებებმა ძილი საბოლოოდ დაუფრთხო, შიში გაუმძაფრა. კედლების იმედიც არ დარჩა. მოეჩვენა, რომ ბნელი ფანჯრიდან უთვალთვალებდნენ, მოეჩვენა, რომ კარს მიღმა მოყურადე დგას, ყური კარისათვის მიუდვია და ბერის მფრთხალ, მაგრამ მეამბოხურ ფიქრებს უსმენს...

ქუჩაში თითქოს ვიღაცამ გაიარა... ვის უნდა გაევლო ნეტავ ასე გვიან?

ფეხზე წამოდგა, ფანჯარას გაშორდა. ნერვები აეწეწა ალბათ, ჯობდა, დროზე დაწოლილიყო, ჩასძინებოდა... მეზობლებს გადავუკაკუნებო, ისიც იფიქრა, მაგრამ საკუთარი სიმხდალისა შერცხვა...

დერეფნის ბოლოს რაღაცამ გაიჩხაკუნა... სახლი გასუსულა, არსაიდან ჩქამი არ მოდის... კვლავ მომეჩვენაო, გაიფიქრა და ამ დროს ფეხის ხმა მოესმა... ფეხსაცმლის ლანჩები ფრთხიად ეხება იატაკს... მოდიან... რამდენი კაცია, ორი, სამი, ხუთი?.. რომელ კართან გაჩერდებიან? დერეფანი გრძელია და კარები ორ რიგადაა ჩამწკრივებული... ვის წასაყვანად მოვიდნენ? ამაღამ ხელს ვის დაადებენ?.. ფეხის ხმა უფრო და უფრო ახლოვდება... აი, გამოსცდნენ ბოლო კარსაც... ყველაფერი ნათელია, ბერის მოაკითხეს!

ბერი ზაქარაია წელში გაიმართა, შიშიანი თრთოლვა ჩაიხშო და სივაჟკაცეს მოუხმო... ასე სჯობია!.. რაც მოსახდენია, დაე, დროულად მოხდეს, ბევრად უფრო მძიმე ასატანია უსასრულო ლოდინი...

კარზე დააკაკუნეს.

ბერიმ ურდული გადასწია, კარს ხელი ჰკრა და მტკიცედ თქვა:

— აქა ვარ!

ზღურბლს მიღმა გრძელლაბადიანი სამი მზაკვარი იდგა...

24

— ხვალ სტალინის სურათი უნდა ვატაროთ! — თქვა მართალიმ და ლუკმა მიაყოლა.

ჩქარობს. დედაბრები სასაფლაოზე წასასვლელად გაემზადნენ და მას ელოდებიან.

— ნუ ხტუნაობ, ლუკმა არ გადაგცდეს! — ცაცანას პირისახე თეთრად უქათქათებს.

— ყველი გამოიზოგე, — ეფროს პატარა, კუშტი სახე უთბება, — ხომ იცი, დიდ ღომს ცოტა ყველი უნდა მიატანო!

ყველი ძვირად ფასობს. ისედაც ცოტას ჭამენ. განსაკუთრებით ეფრო ციცქნის ფინჩხებს და დაილია კიდეც. არც სიმინდია იაფი. დუქანში პური ბევრი არ მოაქვთ და ისეთი ზედახორა დგება, ახლოს ვერ გაეკარები.

— გავათავე, წავიდეთ!

შაბათობით მიდიან ხოლმე მართასთან, სასაფლაოზე.

ფეხით მიჰყვებიან შარას, ნელა, აუჩქარებლად. მართალის ჩაიყენებენ შუაში და მხრებზე ეყრდნობიან. ეფრო იოლად, მსუბუქად მიფარფატებს, ცაცანა კი ისე ადგამს ნაბიჯს, თითქოს ადგილს სინჯავსო. მთელი გზა ამინდზე და მართაზე პუტუნებენ. თუ კარგი ამინდია, რა კარგი ამინდია, მართას სული გათბებაო, თუ ავი — მართასთვის სულ ერთია, ის მაინც ვერაფერს იგრძნობსო... რა კარგი იყო მართა და რა კარგი იყო ტატაჩიო...

ოლონდაც, ტატაჩიც გაქრა და მართაც...

ზღაპარივით დაამახსოვრდა მართალის...

ბიკენტის ხმა ჩაესმა, თოლორაიასი:

— ჩივილს აპირებ, მართა?

როდის უთხრა მართას ბიკენტიმ ეს სიტყვები? ან ვითომც ბიკენტის ხმა იყო?.. კაცის ხატი წარიშალა მეხსიერებაში, დარჩა მხოლოდ მუქარის ხმა:

— ჩივილს აპირებ, მართა?

იქნებ ეს ხმაც სიზმარი იყო, რადგან ამ სიტყვებს გამოღვიძება მოჰყვა.

დიახ, ეძინა პატარა მართალის. სიზმრების ფერადი ელვარება უკვალოდ დაიფანტა... ღამეა, ბნელა... სახლში სიწყნარეა. ოთახში დედიკო დადის. სიბნელეში ბიჭი შავ ლანდს ხედავს. ხვდება, რომ დედაა, რადგან ლანდს თან სითბო და დედობრივი სურნელი დააქვს.

— ნუ გეშინია, მე ვარ, — ჩურჩულებს მართა, — გაიღვიძე, უნდა წაგიყვანო!

მართალი საწოლზე დგება. ძილიდან გამოსვლა უჭირს, მუხლები ეკეცება. მკლავებს კისერზე შემოხვევს მართას, ცხვირით ყურისძირში მიებჯინება და კვლავ ძილისაკენ გაუტევს.

— გაიღვიძე, უნდა ჩაგაცვა! — ხმადაბლა ეუბნება მართა.

— სად მივდივართ? — ენას ძლივს აბრუნებს ბიჭი.

— ნუ გეშინია, წავალთ და მალე დავბრუნდებით.

— ჰო, წავალთ! — უაზროდ იმეორებს მართალი, დედის ხელებს ემორჩილება.

ჩასაცმელი ბევრი არაფერია, შარვალი, ბლუზა და ტილოს ფეხსაცმელები.

ღამე იცრიცება. ნაცრისფერ ცაზე ვარსკვლავები ქრება. მერეთს სძინავს, აქაიქ თუ გაიელვებს ობოლი ნათურა.

ყივის მამალი.

ეზოს კუთხეში ბნელი რამ იგვერგვება.

მართამ შვილი აიყვანა, ჩახუტებული მიჰყავს.

მამალი ყივის... ტრიფოლიატს ძაღლი მოაწყდა... ბიჭმა თვალი ჭყიტა, გათენებულა...

— გეშინია?

— არა!

— მაშინ ფეხით იარე!

ბიჭს უკვე არ ეშინია, თუმცა ცოტათი კი... გათენებულა, მაგრამ ორღობე ჯერაც დუმს, ოდასახლებიც და ეზოკარებიც... ჭაჭანება არსადაა... მერეთი თითქოს დაცარიელებულა, მერეთელები სადღაც გადახვეწილან... მართა და მართალი მიიჩქარიან, ოღონდ გაუგებარია საითკენ...

მანქანის მსუბუქი თუხთუხი ისმის... მორიდებით, ხმადაბლა თუხთუხებს, თითქოს ეშინია, მიმკვდარუნებული ქალაქი არ გავაღვიძოო...

მართამ მოიხედა. ტალახაძის ქუჩა ცარიელია. დედის ამ შიშნეულმა მოძრაობამ მართალის გულშიც შიში ჩატოვა.

ქალაქის მდუმარებას მანქანის თუხთუხი არღვევს და ის მანქანა სადღაც მეზობელ ქუჩებში მოიპარება, იქნებ მთლად დედაშვილის კვალზე დგას.

ქუჩიდან გადაუხვიეს. მართამ ფეხს აუჩქარა, ანგარიშმიუცემლად, უნებლიეთ. ბიჭი ვეღარ ასწრებს, დაიღალა, წუწუნს კი ვერ ბედავს.

ჯანღი თანდათან გაქრა, ნათელი გათანაბრდა. შორეულ ქედებზე მზის სხივები აბრჭყვიალდა, მაგრამ მზეს ბარისაკენ ჯერ ვერ გადმოეხედა.

მანქანის ხმა უკვე არ ისმოდა. იქნებ არავითარი მანქანა არ არსებობდა, ან იქნებ ქუჩის კუთხეში მიჩუმდა, დაელოდა.

ბიჭის წარმოსახვაში დაიხატა უჩვეულო მანქანა, შუშის ორი თვალი რომ მოუშტერებია და მზერით ბურღავს...

მართა მოწყვეტით გაჩერდა, შვილი კვლავ აიტაცა და ჩაიხუტა. ბიჭმა იგრძნო დედის გულის ძალუმი ფეთქვა.

ქუჩის კუთხიდან მართლაც ცხვირი გამოყო მწვანე „ვილისმა“, შუშის ჩაბნელებული თვალები მოაპყრო დედაშვილს.

გადმოიხედა ბიკენტი თოლორაიამ, შეათვალიერა, შემპარავი, მუქარანარევი ხმით ჰკითხა:

— საჩივლელად მიდიხარ, მართა?

ქალმა არაფერი უპასუხა, ბავშვი უფრო მაგრად ჩაიხუტა.

— იქამდე არავინ მიგიშვებს, ტყუილად! — კაცის ხმაში თანაგრძნობა გაკრთა.

მართამ კვლავ არაფერი უპასუხა.

მანქანა დაიძრა და თავის გზას დაადგა.

მოგვიანებით მართალი ცდილობდა გაეხსენებინა, მართლა შედგა ეს მოკლე შეხვედრა, თუ იმ წუთს დედის კისერზე ცხვირჩარგულს ეძინა და ყოველივე სიზმარში ჩაესმა.

მართა იდგა და იმისი ღონე არ ჰქონდა, ბიჭი ძირს დაესვა. მართალი თვითონ დაუსხლტა, ჩამოსრიალდა და კალთაზე მოჰქაჩა:

— დედიკო!

— ჰო, ნუ გეშინია! — ჩასჩურჩულა მართამ, ხელი ჩაავლო და გზა განაგრძეს.

სასაფლაოზე გაიარეს. ღარიბ საფლავებს ორთქლი ასდიოდა. მდუმარება სუფევდა და ბიჭის გულს ისევ წიწკნიდა შიში.

რკინიგზის ლიანდაგი აბრჭყვიალდა.

ჩაის მინდორი გადაკვეთეს. ჩამუქებული რიგების ბოლოს ეკალბარდები კედლად იდგა და ბილიკის თავზე, თითქოს მიწიდანო, კაცი ამოიზარდა. ჩეკისტის ტანისამოსი ეცვა, ხელი რევოლვერის ბუდეზე ედო.

— არ შეიძლება, მოქალაქევ, უკან გაბრუნდით! — ისეთი კილოთი თქვა, შეკამათება გამოირიცხა.

შებრუნდნენ, ჩაის მინდორი კვლავ გადაჭრეს და სხვა ბილიკს დაადგნენ, ლიანდაგს რომ გვერდიგვერდ მიჰყვებოდა.

წინას ტყუპისცალი, ან იქნებ მთლად იგივე ჩეკისტი დახვდათ გზაზე, აათვალიერა, მკაცრად, შეუვალად თქვა:

— არ შეიძლება! უკან გაბრუნდით!

ისევ გაბრუნდნენ მართა და მართალი, ლიანდაგი გადაკვეთეს და ფლატეზე ამავალ ბილიკს აჰყვნენ.

აქედან კარგად ჩანდა რკინიგზის სადგურის ყვითელი შენობა, პატარპატარა ბუდრუგანები... უცნაური მატარებელი გაწოლილიყო, მწვანე ფერის ძეხვსა ჰგავდა, მუხლუხა ჭიას... ისმოდა ორთქლმავლის ქშენა და ჰაერში ორთქლის ბოლქვები ეკიდა.

სადგურზეც და მის ირგვლივ, თითქოს დაწყდნენო, სულიერი არავინ ჭაჭანებდა.

შორიდან მოუარეს. ბიჭი დაიღალა. სლუკუნსაც ვერ ბედავდა. არ იცოდა, სად მიდიოდა, რისთვის, საერთოდ რა ხდებოდა მის თავს.

სადგურის მისადგომთან კვლავ ჩეკისტი აისვეტა. ბიჭს ეგონა, ესეც იგივეაო, მაგრამ ალბათ სხვა იქნებოდა.

— არ შეიძლება, გაბრუნდით უკან!

შეკამათებას აზრი არ ჰქონდა. მერამდენეჯერ გაბრუნდნენ, წრეს შემოუარეს. ამ მხარეს მწირი ბუჩქნარისა და გვიმრის მეტი არაფერი ხარობდა. ამჯერად არავინ შეხვედრიათ. წამით მოუდუნდა ვიღაცას სიფხიზლე, ჩასთვლიმა, კარი ღია დარჩა და იმ კარში მართა და მართალი შევიდნენ. ასე ბიჭი ფიქრობდა, თორემ არავითარი კარი აქ არ იყო... იყო რკინიგზის უსახელო სადგური, მხოლოდ კილომეტრის ფირნიშით აღნიშნული. იყო ქვაფენილიანი ბაქანი, პირველ ლიანდაგზე იდგა მეტად უცნაური სამგზავრო მატარებელი... თავში და ბოლოში ორორი ღია სატვირთო ვაგონი მიებათ, შავად გაპრიალებული, სუფთა ორთქლმავლები, შუაში კი მუქიმწვანე ვაგონები...

ცარიელ ბაქანზე მარტოკაცი ბოლთასა სცემდა. დინჯად, აუჩქარებლად მიმოდიოდა. ცალი ხელი ფრენჩის ღილკილოში შეეყო, მეორეში ჩიბუხი ეჭირა.

ამ დროს ამოიწვერა მზე, მთის თავზე შემოჯდა და სივრცე მოულოდნელად მეწამული გახდა. მეწამულ სხივებში გაეხვია ბაქანზე მოსეირნე კაციც. ჩრდილი დაუგრძელდა, ძირს გაწვა, ბაქანს გადასცდა, დედაშვილს გადმოეფინა და სადღაც მათს ზურგს უკან განივრცო.

თითქოს ცივი სუნთქვა იგრძნო ბიჭმა.

მართას კი ბაგე აუკანკალდა, შვილს ხელი უშვა, წინ გაიშვირა და მღელვარებისაგან ჩახლეჩილი, არაბუნებრივი ხმით,

რომელშიც სიხარულზე მეტად შიში და სასოწარკვეთა მოისმოდა, შესძახა:

— დიდება დიდ ბელადს!

კაცმა ბოლთა შეწყვიტა, მოიხედა. აქედან ძნელი იყო მისი სახის გარჩევა. ჩიბუხიანი ხელი აიქნია, იქნებ მისალმების ნიშნად, ან იქნებ სიბრაზისა, რაკი მყუდროება დაურღვიეს.

შებრუნდა და ვაგონისაკენ გაემართა.

მართა ადგილს მოწყდა, ასევე ხელებგაწვდილი გაიქცა. მატარებელმა შეჰკივლა მრისხანედ, შიშისმომგვრელად. აქამდე ჩუმად მიმალული ჩეკისტები გამოცვივდნენ, გზას უჭრიდნენ მართას. ქალი კი ამათ ვერ ხედავდა, ხელებგაწვდილი მირბოდა კაცისაკენ, რომელიც მეწამული სხივების შარავანდედში უკვე კიბეზე ადიოდა და თავისი უსაზღვროდ განფენილი ჩრდილი თითქოს ვაგონში შეჰყავდა, თუმცა ნაჩრდილევის უცნაური სუსხი მაინც რჩებოდა.

ორთქლმავლებმა თავში და ბოლოში ბორბლები ადგილზე დაატრიალეს, გამაფრთხილებლად შეჰკივლეს და ნელი დაგადუგით ადგილიდან დაიძრნენ.

ბიჭს ყველაფერი აერია. ვაგონების მსუბუქი ტაატი, ხელებგაწვდილი მართა, კაცები, რომლებიც აგერაგერ მოიმწყვდნენ... მართამ მოიხედა, მდევარი დაინახა... რა იფიქრა მაშინ? რა გადაწყვიტა? რა მოხდა იმ წუთას მის გონებაში?.. იქნებ რეალურის ზღვარს გადასცდა, დაავიწყდა ერთადერთი შვილი, ადგილიდან მოსხლეტა და გაფრენა მოინდომა... ან იქნებ მიხვდა საშიშროებას, გონს მოეგო და გაქცევას შეეცადა...

შეტრიალდა, განზე გახტა და უკვე აჩქარებით მიმავალ ვაგონს შეენარცხა.

თითქოს გაიყინა მართალის გონება. ვერაფრით მოიაზრა, რაც მოხდა... მეწამული სხივები ოქროსფრით შეიცვალა, მზე აბარჩხალდა ცაზე.

მატარებელი წავიდა, გაქრა.

აქამდე ცარიელ ბაქანზე ახლა უამრავი კაცი მიმორბოდა.

ვიღაცა თავზე წამოადგა, აღელვებით იკითხა:

— ვისია ეს ბავშვი?

— იმ ქალისაა!

— გაარკვიეთ!

საიდანღაც მოირბინა ბიკენტი თოლორაიამ. სახეზე ფერი არ ედო. დასტაცა ხელი მართალის, წამით ჩაიხუტა. გაიქცა, თავის მწვანე „ვილისში“ ჩასვა და მძღოლს უბრძანა:

— ბებიებს ჩააბარე!

„ვილისში“ ჩამწყვდეულმა მართალიმ უცებ ზმუილი მორთო — „დედიკო მინდა!“ მძღოლმა კი არაფერი აუხსნა, მანქანა მერეთისაკენ გააქანა.

„რა უჭკუო ვიყავი, — სევდით გაიფიქრა მართალიმ, — ვერაფერს მივხვდი!“

ვერც ახლა ხვდებოდა ყოველივეს. მხრებზე ორი ბებიის ხელებსა გრძნობდა — ერთს რბილს, ფაფუკს, მეორეს — ჩხინკას, და დღესასწაულის წინა დღეს, შაბათს, ექვს ნოემბერს მიდიოდა სასაფლაოსაკენ, რათა მართას არ მოეწყინა.

ცაცანა და ეფრო ერთმანეთში პუტუნებდნენ, ისევ ტატაჩის და მართას იხსენებდნენ.

კუბოში ჩაჭედილი მოასვენეს მართა. მოვიდა ბიკენტი, ხმამაღლა ტირილი აუკრძალა დედაბრებს, მოთქმა აუკრძალა, სასახლის გახსნაც... ბატონების წაყვანილივით დაკრძალეს მართა.

ლამაზად მოვლილ ბორცვაკთან ჩამოსხდებიან დედაბრები, თაფლის სანთლებს აანთებენ.

— იქნებ შიგ მართა არც იყო, ჰა?

— იქნებ ტატაჩიც დაგვიბრუნდეს, ვინ იცის!

25

ძილში დედა დაესიზმრა. ვითომ კვლავ პატარა იყო, გზაზე ერთად მიდიოდნენ და მართალი წამდაუწუმ ეკითხებოდა: „რა გინდა, დედა, იმ კაცთან? რა უნდა შესჩივლო?“ მართა დუმდა, წინ იყურებოდა, პირისახე ქაღალდივით თეთრი და უსისხლო ჰქონდა. გზაჯვარედინთან შეჩერდა, შეხედა მართალის და უთხრა: „ის კაცი მკურნალია! იმიტომ დაიბადა, ყველა ჩვენს ტკივილს უმკურნალოს! მე ახლა უკვე არაფერი მტკივა!“ უცებ გაქრა. ბიჭი იდგა, არ იცოდა, რომელ გზას დასდგომოდა, რომელი იყო მართას გზა...

მუსიკამ გამოაღვიძა. სასულე ორკესტრი უკრავდა. ცენტრში, ბულვარზე რეპროდუქტორებიდან საზეიმო მარშები ქუხდა. მართალი ჩუმად იწვა, გონს მოდიოდა. ბულვარი შორსაა, ხმა კი ისე აღწევს, თითქოს ყურისძირშიაო. მერეთში მდუმარებაა და ეთერი მხოლოდ რადიოს შეუვსია. მუსიკა მოულოდნელი ხრიალით მთავრდება და უცებ პატარა ბავშვი ენის მოჩლექით ლექსს კითხულობს:

„როცა მტკვრის პირად შუქი დგას დილის, —
დილის მზესავით გული წრფელია, —
ჩვენ კვლავ სიმღერით ვაღვიძებთ თბილისს,
და ჩვენს სიმღერას ჰქვია ბერია!..“

ლექსს ისევ მუსიკა მოსდევს... „და ჩვენს სიმღერას ჰქვია ბერია!“ — ეჭვით გაიმეორა გუნებაში მართალიმ... მთელი თვე წერდა ცაცანა უსტარს. ლავრენტის პირადად ვიცნობ და გავუგზავნი, გამიგოს, ჩვენი ტატაჩი სად დაიკარგაო. ეფრომ ურჩია, გაჩერდი, შარს ნუ გადაეკიდებიო... არ გაჩერდა ცაცანა, უსტარი სამკუთხად დაკეცა და მისამართიც დააწერა... იქ, სატახტო ქალაქში, ალბათ, უზარმაზარი საფოსტო ყუთი დგას, მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოსული საჩივრის წერილები შიგ იყრება და ქრება... გაქრა ცაცანას წერილიც.

მუსიკას კვლავ სიტყვები ცვლის. აზრის გამოტანა ჭირს, სიტყვებს ხრიალი ახრჩობს, მერე მამაკაცი გარკვევით, მჭახედ გაარღვევს სივრცეს — „დიდ ბელადსა და მასწავლებელს ძვირფას იოსებ ბესარიონის ძე სტალინს!“ „უდიდესი სიხარულით მოგახსენებთ, რომ...“ „მოგახსენებთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ...“ „სიხარულით მოგახსენებთ, რომ...“ ბიჭი ხვდება, რომ ეს გაზეთების მიმოხილვაა.

კარს მიღმა ჩქარი ჩურჩული ისმის, დედაბრები კინკლაობენ. მართალი დგება, ფეხშიშველა მიტყაპუნებს კარისაკენ. ეფროს ხელში მოკლე, ლურჯი შარვალი და თეთრი პერანგი უჭირავს, ჩუმჩუმა, ღამღამობით რომ შეუკერავს; ცაცანას — ახლადდ-

აუთოებული წითელი ყელსახვევი, თავისი კაპიკიანი პენსიიდან გამოზოგილი ფულით რომ უყიდა თურმე შვილიშვილს.

მართალიმ პუტკუნა ლოყაზე აკოცა ცაცანა ბებიას, დამჭკნარ ლოყაზე — ეფრო ბებიას.

საუზმეზე, ჩაის რომ ტკბილ ბისკვიტს აყოლებდა, მოხუცები წინ უსხდნენ, დანამული თვალებით შემოსცინებდნენ.

— დღეს სტალინის დიიდი სურათი უნდა წავიღოთ, — თქვა მართალიმ, — მე, დურუმ და არიქამ!

— თქვენზე ღონივრები ვერ ნახეს? — უკმაყოფილოდ აბუზღუნდა ეფრო, — წელი მოგწყდებათ!

— კუკური მასწავლებელმა გამოგვარჩია!

— რადიოს გამოუცხადებია, სტალინის მეორე ტომი გამოვიდაო! — ცაცანას ხმაში მოკრძალებული აღტაცება გამოსჭვივის.

რა თქმა უნდა, პირველი ტომი ჩაბულბულებული ჰქონდა.

ბულვარიდან კვლავაც მუსიკა მოისმის. სასულე ორკესტრი აგრიალებს თავის ტრადიციულ „ძუმპაპაძუმპაპას“. მერე ახალგაზრდული ხმა ლექსს ისვრის მჭახედ, ყელის სიმების დაწყვეტამდე:

„ძვირფასო სტალინ, ფიცსა ვდებთ
საბჭოთა ქვეყნის შვილები,
ყველგან, მინდვრად თუ დაზგაზე
ვიშრომებთ მხრებგაშლილები...“

მართალი გამოკოპწიავებულია. ტილოს ფეხსაცმელი კი შეელახა, მაგრამ არა უშავს...

— წავედი! — მოუთმენლად ცმუკავს.

— მოიცა! — ეფროს სავარცხელი მოუმარჯვნია, ვარცხნის, თმას აწიწკნის, ჯაგარა თმები სავარცხელს არ ემორჩილება.

— ჰა, წავედი, მაგვიანდება!

— მოიცა! — ცაცანა ჯიბიდან სასოებით აძრობს წითელ სამთუმნიანს, ხელისგულზე იდებს და მეორე ხელისგულით ვითომ აუთოებს. — ჰა, კინოში შედი, ან კამფეტი იყიდე!

ბიჭი გახარებული შეკუნტრუშდება და კიბეზე ბრაგაბრუგით ჩარბის.

დღე ნათელია. შემოდგომის მზეს მცხუნვარება აკლია. ცა ლურჯია. აქაიქ ღრუბლის თეთრი ქულა ჰკიდია. ხეთა ფოთლები ყვითლად და ვარდისფრად შეფერილა, ძირს ეფინება.

მირბის მართალი, სადღესასწაულოდ მიეჩქარება.

— დურუუ!

— აქა ვაარ!

ახლა ორნი მირბიან.

— არიქაა!

— მოვდივარ!

ახლა სამნი მირბიან.

ტალახაძის ქუჩის გარდიგარდმო დიდი, წითელი ნაჭერი გადაჭიმულა, ზედ მეტრიანი ციფრები აწერია: „1917 — 1947“.

აივნებზე და ელექტრობოძებზე კი უსასრულოდ მეორდება: 30, 30, 30...

სკოლის ეზოში ერთი ჟივილხივილია.

კუკური მასწავლებელს პირთან თუნუქის მეგაფონი მიუდვია და ჩაჰყვირის;

— დააეწყვეთ!.. გაასწორდით!..

აივანზე გადმომდგარი მასწავლებლები გამოკოხტავებულან, საზეიმო ელფერი დაჰკრავთ. თამარა დირექტორი მოაჯირს გადმოჰყრდნობია, მოთმინებით ელოდება ბავშვების დაწყნარებას. გრიშა ყოლბაია ვერ ითმენს, ბოლთასა სცემს და თავის ხის ფეხს იატაკზე აბრახუნებს. აქლემაპარმენი დირექტორს ამოსდგომია, ცხვირზე სათვალე წამოუცვია და ტუჩების ცმაცუნით კითხულობს ტექსტს, დემონსტრაციის დროს რომ უნდა უკარნახოს ბავშვებს.

კუკური მასწავლებელი აღელვებული დარბის წინ და უკან. უფროსკლასელები მკაცრ წესრიგს იცავენ. ბიჭები გრძელ შუბზე წამოცმულ ალმებს აფრიალებენ. ოცდაათი ალამია და მედროშეების თავზე თითქოს სისხლის ჩანჩქერი იღვრება... კომკავშირელთა კოლონას პიონერები მისდევენ, სულ ბოლოს პატარა ბიჭბუჭებია, — ოქტომბრელები მოუსვენრად წრია-

ლებენ, რიგს არღვევენ და ისედაც გამოსავათებულ კუკური მასწავლებელს აგიჟებენ. ისიც ანჩხლად ყვირის:

— მოოისვენე, შე შოობელძაღლო!

სამი მეგობარი, სამი ძმაკაცი მედროშეთა წინა დგას. სტალინის პორტრეტი მართლაც უზარმაზარია, ორი კაცის სიმაღლისა იქნება. ხის ჩარჩოზე გადაკრულ ტილოზეა დახატული. კიტელი, გალიფე და ჩექმები აცვია. ხელში თავისი განუყრელი ჩიბუხი უჭირავს. გამჭრიახი თვალებით იყურება სივრცისკენ, მაგრამ ვინც სურათის უკან დადგება, მიხვდება, რომ დიდი ბელადის მზერა შებრუნებულია, იგი უკანაც გამჭრიახად იყურება.

დურუ და არიქა აქეთიქით ამოსდგომიან, ჩარჩოზე მოხერხებული სახელურებია მიჭედილი და იმით უჭირავთ. მართალი კი უკან დგას და სურათს გრძელი ჭოკით აწონასწორებს.

— პიირდაპირ ააარ! — ყვირის კუკური მასწავლებელი. — მაარჯვენა, მაარჯვენა!..

კოლონები ეზოს გასწვრივ მოძრაობენ. წინ ბელადის სურათი მიქანაობს. მერე სისხლისფერი ალმები მოფრიალებენ ტკაცატკუცით. ბიჭები ფეხის აწყობას ცდილობენ, სულ ბოლოს პატარები მოჩანჩალებენ არეულად.

ყველანი აივნის წინ ჩაივლიან, რათა ერთხელ კიდევ, უკვე მერამდენედ ყელი გაივარჯიშონ.

— ვაშა, ახალგაზრდებო!

— ვაშა, ვაშა, ვაშა!.. — სამგზის ყვირიან ბავშვები, სამგზის შესძახეს დურუმ და არიქამ, სამგზის შესძახა მართალიმაც და უცებ შერცხვა, არც კი იცოდა რისი...

მოულოდნელად გაახსენდა მართალის, მართა რომ გარბოდა მატარებლისაკენ, გარბოდა და მიიძახოდა: „დიდება!..“

— მაარჯვნისაკენ ია‌ა‌ა‌ر!

სკოლის ჭიშკარი ფართოდ გაიხსნა და კოლონა რუსთაველის ქუჩაში გავიდა...

26

—იქ მართლაც იყო ვიღაცა! — თქვა ხმადაბლა მართალიმ.

დურუმ და არიქამ ყური ცქვიტეს.

სასკოლო კოლონა შეჩერებულა. წინ, სანამ თვალი გაწვდება, და უკანაც, ქუჩა გადაიჭედა დემონსტრანტებით... ოქტომბრის მოედანზე ჯერ სხვები მოძრაობენ. ათ საათზე სამხედრო პარადი ჩატარდებოდა, ჯავშნოსანი მატარებლის ჯარისკაცები ჩაივლიდნენ მწყობრი ნაბიჯით... ლამაზი სანახაობა კი იქნებოდა, მაგრამ ვინ მიგიშვა, ყველა გზა და გასავლელი მილიციამ გადაკეტა... სამხედრო პარადის შემდეგ ადგილიდან დაიძროდნენ ცენტრის დაწესებულებებისა და სკოლების კოლონები. ასე რომ, ტალახაძის ქუჩის მცხოვრებლებსა და სკოლას კარგა ხანს მოუწევდა ყურყუტი.

მზემ უსიამოვნოდ დააცხუნა. ბიჭებმა სტალინის პორტრეტი ძირს დადგეს. მართალიმ ჭოკის ბოლო მიწაში ჩაარჭო და ახლა ბელადის ჩრდილს შეჰფარებოდა.

— კი, იყო ვიღაცა! — გაიმეორა მართალიმ.

— ჩვენ რატომ ვერ ვნახეთ? — ცხარედ აჩურჩულდა დურუ.

— გუმანით ვიგრძენი მეც! — არიქამ ფრთხილად მიმოიხედა. ყურს არავინ უგდებდა. ყველა თავისთვის ერთობოდა. მხოლოდ სტალინი შემოსცქეროდა გამჭრიახი თვალებით, აქაოდა ვერაფერს დამიმალავთო.

არიქამ შიშიანად აარიდა მზერა. საითკენ არ გაიწევდა, ბელადიც თითქოს იქითკენ მიბრუნდებოდა... დურუც და მართალიც პირს განზე აბრუნებდნენ, ბელადს ვერ უსწორებდნენ თვალს.

ბულვარიდან სასულე ორკესტრმა დასცხო. რადიოში ვიღაცა გრძელ ლოზუნგს ჩასძახოდა — სიტყვები გაუგებარი იყო, პასუხად კი უწყვეტი „ვაშა“ აიჭრებოდა, აშხუვლდებოდა, სახურავებს გადაუვლიდა და ექო მრავალგზის ბრუნდებოდა.

წინ, სადაც ქუჩა რკალივით უხვევდა, ხალხი აჩოჩქოლდა. დემონსტრანტებმა ღობეებსა და ხეებზე მიყუდებული დროშები და ტრანსპარანტები აკრიფეს და ხელახლა ეწყობოდნენ.

კუკური მასწავლებელი მოქაქანდა თავისი განუყრელი მეგაფონით.

— დააეწყვეთ, დააეწყვეთ!

არიქამ და დურუმ სახელურებს ჩასჭიდეს ხელი, მართალიმ ჭოკი ასწია და ბელადის უზარმაზარი პორტრეტი შექანდა, ტილოს თითქოს ტალღამ გადაურბინაო, შეთრთოლდა... მოეჩვენა მართალის, ძია სტალინმა უკმაყოფილოდ გადმოხედა და ულვაშებში ჩაიდუდღუნა: „ნელა, ყმაწვილო, ნუ გადმომაგდე!“

— ნელა, ყმაწვილო, ნუ გადმომაგდე! — ჭაღარა ვეტერანმა გაიარა და ყმაწვილებმა უნებლიეთ გზა გადაუღობეს, ღობისძირა თხრილისაკენ უბიძგეს.

— ნააბიჯით იაარ! — იყვირა კუკური მასწავლებელმა.

დაიძრნენ... ისე ჩანდა, თითქოს დევგმირი სტალინი თავისი ფეხით გამოსულა დემონსტრაციაზე და აუჩქარებლად მიაბიჯებსო.

ალმები აფარფატდა, ატყლაშუნდა, ჰაერში წითელი გადმოიღვარა.

„იქ, ჩხერიის სათავესთან ვიღაცა იყო, — ფიქრი აეკიდა მართალის, — იქნებ მტერი, შპიონი, ტროცკისტი... მე კი არ გავაცხადე!“

გაისად ალბათ კომკავშირში მიიღებენ. გამოიძახებენ კომკავშირულ სამსჯავროზე და მკაცრად მოკითხავენ — „პიონერო მართალი თოდუა! შენ თუ კაი კაცი ხარ და საკუთარ სახელს არ არცხვენ, ხელი რად დააფარე მტერს, ბუჩქებში რომ მოიპარებოდა და ჩვენს დიად სამშობლოს საშინელ დივერსიას უმზადებდა?!“

აგერ, ბელადის გამჭრიახ თვალებშიც ასეთივე კითხვა ამოიცნობა...

კვლავ შეფერხდნენ. ბიჭებმა ტვირთი ძირს დადგეს და შეისვენეს.

ბერიას ქუჩიდან ქალთა სკოლის კოლონა მოიწევდა და იმას უთმობდნენ გზას. კოლონას სატვირთო „პალტარატონკა“ მოუძღოდა. ცხვირზე ლენინის პორტრეტი ედგა. გვერდებზე წითელი ტილო შემოევლოთ, რომელზეც თეთრი ასოებით ეწერა: *„ყვავილებივით გადაშლილები, ჩვენ ვართ ილიჩის შვილიშვილები!“* ძარაზე ჩაის ბუჩქები ჩაერგოთ, შუაში კი წლის მონაგარის პირამიდა იდგა — სიმინდის ტაროები, გოგრები, ყურძნის მტევნები, ნაირნაირი ხილი. ეს ყველაფერი ერთიერთმანეთზე ეწყო, ხოლო სულ მაღლა, პირამიდის თავზე წითელფოჩება კაბიანი პატარა ფერია იდგა. ერთი ხელით თეჯირს ჩასჭიდებოდა, მეორე წინ გაეწვდინა, თითქოს კოლონის თავზე გაფრენას ლამობსო...

— კეკეა, — იცნო არიქამ, — ჩვენი ლესტამბეს და!

— აუ, რა ხილია! — პირი გააწკლაპუნა დურუმ.

მანქანას წითელ მაისურებიანი, შავ ქვედატანებში ჩაცმული გოგონები მიჰყვებიან. უფროსკლასელ, ყანჩა გოგოებს ჭოკებზე წამოცმულ ხელისგულისდადება პორტრეტები მიაქვთ, ალბათ პარტიის ბელადებისა, დიდი სტალინის თანამოაზრეებისა... თუმცა შორიდან გარჩევა ჭირს და წკირზე წამოცმულ თავებსა გვანან...

მაღალი, ალაყული ლესტამბე მედროშეებში დგას და გოგონებს პირდაღებული მისჩერებია.

მზემ უფრო მოუჭირა, ჰაერში მტვრისა და ოფლის სუნი დადგა.

— და-აეწყვეთ! — ისევ მოვარდა კუკური მასწავლებელი. — ნა-აბიჯით იაარ!

— მერე კინოში წავიდეთ, — არიქამ ეტყობა კინოს ფული იშოვა, — „ფიცი“ გადის!

„იქ ვიღაცა იყო, — ფიქრი კვლავ შეუბრუნდა მართალის, — ვიღაცა იმალება! იქნებ მტერია?.. აიღებს და ჩხერიას დაწამლავს!“

იყო ასეთი ცნობა გაზეთში, მტრის აგენტებმა წყალი დაწამლესო.

წარმოიდგინა ბიჭმა ანკარა, კამკამა წყალი, რომელშიც სიკვდილი იმალება და უმალ წყურვილი მოეძალა, პირი გაუშრა...

ჭოკზე ჩამოყრდნობილი პორტრეტი დამძიმდა, ხელისგულები ეტკინა... უნდა ეთმინა. ის ხომ უბრალო ბიჭი არ იყო, ის დიდი წინაპრების წიაღში დაიბადა და მან სხვაზე მეტი ტვირთი უნდა ზიდოს.

დიახ, პატარა მართალიმ გამხდარი მხრებით უნდა ზიდოს ტვირთი, რაც მას ორმა დიდმა ბაბუამ დაუტოვა. ამ ქალაქში კიდევ ერთი კაცია, ვინაც ასეთ ტვირთს ეზიდება — ბიკენტი თოლორაია, ლესტამბეს მამა... რაღაცა იზიდავდა ამ კაცში, იქნებ შიში ან კიდევ სხვა რამ. რაღაც ძაფები აკავშირებდა მასთან, ალბათ ეს ის ძაფებია, გერასა და ნესტორს რომ აკავშირებდათ ძღვიბი თოლორაიასთან... ამისი გარკვევა ბიჭს არ შეეძლო... შემკრთალი შეხედავდა სტალინის მომლოდინე მზერას — დიდმა ბელადმა ძირისძირამდე იცოდა ყველაფერი, ის ხომ ბრძენთა ბრძენია... რა დროს ფიქრია? ირგვლივ გაუთავებელი ჩოჩქოლია, ბიჭების ჭყანაობა, სიცილი, ქირქილი, ჭიჭყინი... კოლონა დაიღალა!

წინიდან უკვე გამოკვეთილად მოისმის სასულე ორკესტრის ენერგიული მარში და დოლების ბრაგუნი... რადიო ახრიალდა, სიტყვების გარჩევა შეუძლებელი გახდა... ისევ და ისევ უწყვეტი „ვაშა“ აიჭრა ცისკენ, ხან ომახიანი, ხან გაუბედავი, მიკნავლებული...

ბაზართან ქუჩა გაფართოვდა. კოლონა კოლონას მიეწია და ვაჟები და გოგონები გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ, კარგა ხნით გაიჭედნენ. თეთრბაფთიანი, მწყაზარი გოგონები ინაზებიან, მეტიჩრულად ნაბავენ თვალებს. ბიჭები ცმუკავენ, ენას უყოფენ, ჯღანაობენ.

იქვე, გვერდით ბაზარი ბაზრობს, ხალხი გაცხოველებით ვაჭრობს, მიდიმოდის... დემონსტრანტებს ყურადღებას არ აქცევენ. ურიას ბიჭები დარბიან და გაჰკივიან: „ცივი წყალი! ჭის წყალი!“ რუსის ფაშფაშა დედაკაცებს „ვარენიკები“ დააქვთ, ბოშებს — მამალოები... ბიჭებს პირი აუწყლიანდათ...

— მინდა და... — დურუმ, — მერე კინოსთვის არ მეყოფა!

— იყიდე, კინოსთვის მე მაქვს! — თქვა მართალიმ.

არიქამ კი —

— მამალოს აი, ის გოგო არ გირჩევნია?

— იჰ! — დურუმ თავში ჩაუტყაპუნა და გაიქცა.

— მოოემზადეთ! — ყვირის კუკური მასწავლებელი, თუმცა წინ, ოქტომბრის პროსპექტამდე გზა გადაჭედილია და ადგილიდან ვერავინ იძვრის.

ნაცნობი „პალტარატონკა“ შორიახლო დგას. მანქანის ცხვირთან მეფანდურე გოგონები ფანდურებს აჩხაკუნებენ. პირამიდის თავზე კეკემ მოიწყინა, შეწუხებული აცეცებს თვალებს, მუხლისთავებს ერთმანეთზე ახახუნებს.

„რა უნდა, რას წვალობს?“ — გაიფიქრა ბიჭმა და დურუც მოვარდა. გამყიდველთან ზედახორა იყო და მხოლოდ ერთი მამალო შემხვდაო.

— მომაწუწნინე, რა! — არიქა დაეჯღანა.

— მეც მომაწუწნინე!.. მეც!.. მეც!.. — აქეთიქიდან შეუძახეს.

დურუმ კუდი მართალის მოუტეხა, თავი არიქას, დანარჩენი პირში იტაცა და კოლონა დაიძრა.

კოლონის თავი ოქტომბრის პროსპექტზე მიმავალ ხალხს შეერთო. იქ, ბულვარში სივრცე მეტია და ამოდენა ბრბოს თითქოს იწოვსო.

მეფანდურე გოგონები დალაგდნენ, თითები მწყობრად ჩამოჰკრეს და ტალღას მიჰყვნენ.

„პალტარატონკაც“ დაიძრა, კეკეს სახე მოეფშხალა.

„რამ შეაწუხა?“ — გაიფიქრა მართალიმ. ამასობაში დურუმ და არიქამ პორტრეტი აიტაცეს და მართალიმ ჭოკს სტაცა ხელი.

გოგონათა კოლონამ კვლავ გაასწრო ვაჟებს. ისინი უკვე ბულვარზე გავიდნენ, ვაჟები კი მხოლოდ ბაზრისწინა მოედანს გაშორდნენ. აქედან კეკე პატარა ჩიტუნასავით მოჩანს. მალე პორტრეტმა მთელი წინახედი დაუფარა, მართალის თვალები კვლავ ბელადის მზერას შეეფეთა, თითქოს საყვედურობდა დიდი ბელადი, თავში ეშმაკური ფიქრები ნუ გიღუტუნებსო...

ამ ადგილას ქუჩას მოწინავეთა სტენდი გასდევდა. კრემლის კედელსა ჰგავდა, მთელი კვარტალი ეკავა. სამი კოშკი ჰქონდა ჩაყოლებული, თითოზე თითო უშველებელი პორტრეტი გაეკრათ — ლენინის, სტალინის და ბერიასი... კოშკებს შორის ამოყვანილ კედლებზე ერთგან ბელადის ერთგულ თანამებრძოლთა უფრო ზომიერი პორტრეტები ეკიდა, მეო-

რეგან — მოწინავე მუშების, მეჩაიეთა და ძველ რევოლუციონერთა სურათები... აგერ, ზედ ბერიას ფერხთან, სამი მამაცი რევოლუციონერი — გერა კვარაცხელია, ნესტორ თოდუა და ძღვიბი თოლორაია მოაფრიალებენ წითელ ალმებს...

ბულვარსაც მიაღწიეს. მამალოს ნატეხი პირში დადნა, წყურვილი გაუმძაფრა. „იქ ვიღაცა იყო!“ — ჩხერიის ლუკლუკა სათავე გაახსენდა... დიახ, იქ ვიღაცა იმალებოდა... რა უნდა იმ „ვიღაცას“ ჩხერიის სათავეში?.. ვაითუ მტერია და საწამლავს ყრიდა წყალში!.. ახლა ჩხერია მოწამლულია... მოჩუხჩუხებს ანკარა, გამჭვირვალე წყალი, ფიქრობ, სუფთააო, სინამდვილეში კი სიკვდილი მოაქვს... სიცხეა, წყურვილისაგან პირი შრება, წყლის დალევა კი აკრძალულია...

— გაიშალენით, გაიშალენით!.. — ყვირის კუკური მასწავლებელი.

წინ ოქტომბრის სახელობის მოედანია. მეტი სივრცეა, მეტი სიხალვათე და ბავშვები ცდილობენ მწყობრი დაიცვან. გოგონათა და ვაჟთა კოლონები კვლავ გვერდიგვერდ მოძრაობენ. ვაჟებს სტალინის პორტრეტი და ალისფერი დროშები მიუძღვით, გოგონებს მეფანდურენი და ჭირნახულით დახუნძლული „პალტარატონკა“. პირამიდის თავზე კეკე გასაფრენ ჩიტს აღარა ჰგავს, შესაბრალისად, საწყლად იყურება და ანგარიშმიუცემლად მუხლს მუხლზე უსვამს.

„რა ემართება, რას ცმუკავს?“ — უკვირს მართალის და უცებ მიხვდება.

საზეიმო წუთები დგება, კოლონები მოედანზე გადიან.

მეფანდურეებმა სიმების უაზრო ჩხაკუნი შეწყვიტეს, ჰეიო, — ერთმანეთს ანიშნეს და სიმებს სწრაფად, ენერგიულად ჩამოჰკრეს. სოლისტმა სიტყვები ჩქარჩქარა მიაყარა:

„ჩქიმი სქვამი საქორთუოს მაფშალიეფქ დიკათეს,
სტალინიშ ოძირაფუშა მოსკოვიშა მიდართეს, ნა...“

სოლისტს მთელი გუნდი აჰყვა ერთი ამოსუნთქვით:

„ურაიდარაიდა, ურაიდარაიდა, ვორაიდა, რანინანა!..“

მთელი ძალით აგრიალდა სასულე ორკესტრი. ძუმპაძუმპაძუმპას დოლების ბრაგუნი დაერთო და მომღერალთა მცდელობამ უქმად ჩაიარა.

ორი სასკოლო კოლონა — გოგონათა და ვაჟთა, გვერდიგვერდ შევიდა ფართო მოედანზე. გოგონებს წინ აუჩქარებლად მიუძღოდა ის „პალტარატონკა“ და მართალიმ გუნებაში ერთხელაც ჩაიკითხა:

— *„ყვავილებივით გადაშლილები, ჩვენ ვართ ილიჩის შვილიშვილები!“*

კეკემ, ეტყობა, ღონე მოიკრიფა. გასაფრენად გამზადებულივით ხელი წინ გაწვართა, თუმცა ამ დროს თვალები ცრემლიანი ჰქონდა... მართალიმ ჭოკი მაგრად ჩაბღუჯა, პორტრეტს არ უნდა ეყანყალა, დიდებულად უნდა ჩაეტარებინათ. დურუ და არიქა ხვნეშოდნენ, მაგრამ სიამაყე ბიჭებს ძალას მატებდა.

აგერ ორკესტრის ბიძები, ჩასუქებული, გოდორა კაცები, ლოყებს სასაცილოდ ბერავენ. ამათ უკან თეთრად შეფეთქილი ტრიბუნაა. ზედ შავლაბადიანი და შლაპიანი კაცები დგანან, პირისახეზე ოპტიმისტური ღიმილი აზით, ყველას ერთად კი ქუფრი გადაჰკრავს, ე მანდ ჩვენმა ღიმილმა ზედმეტად არავინ გაათამამოსო. ამათ მიღმა, მომცრო კვარცხლბეკზე შესაფერისად მომცრო ლენინია, ვერცხლისფრად შეღებილი, ნაბიჯი გადმოუდგამს, მარჯვენას შორს, თოვლიანი მთების მიმართულებით იშვერს...

საიდანღაც აქლემაპარმენმა ამოყაყვა თავი, ჩახლეჩილი ხმით კარნახობს:

— *„საბჭოთა ქვეყნის სიმტკიცის ვინ არის გამომსახველი...“*

ყმაწვილები მჭექარედ, — უფროსები ხმაშეწყობილად, უმცროსები წაღმაუკუღმა, — იმეორებენ:

— *„საბჭოთა ქვეყნის სიმტკიცის ვინ არის გამომსახველი...“*

აქლემაპარმენი სათვალიდან ბეცად იყურება და ცდილობს ხმას მეტი მგზნებარება შესძინოს:

— *„მზესავით გ ზას ვინ გვინათებს, ვისი ძვირფასი სახელი!“*

ბავშვები ამჯერად ხმას უკეთ უწყობენ:

— *„მზესავით გ ზას ვინ გვინათებს, ვისი ძვირფასი სახელი!“*

აქლემაპარმენი ღელავს:

— ერთხმად, ბავშვებო, აბა, ერთხმად!

ვიღაცა წვიკინებს:

— ერთხმად! — მიხვდება, რომ კარგად არ გამოუვიდა და ენას გადაყლაპავს.

— *„სტალინი, დიდი სტალინი, დიდ ბელადს ჩვენი მადლობა!“* — ყვირის აქლემა-პარმენი და ბავშვები მწყობრად იმეორებენ:

— *„სტალინი, დიდი სტალინი, დიდ ბელადს ჩვენი მადლობა!“*

აქლემაპარმენი ქაღალდს ჭმუჭნის, ჯიბეში იტენის, აკანკალებული ხელით სათვალეს იხსნის, იმასაც ჯიბეში იჩრის და თითქმის ხრიალებს:

— *„მის სადიდებლად გუგუნებს საბჭოთა ახალგაზრდობა!“*

ყველანი — ერთად*:*

— *„მის სადიდებლად გუგუნებს საბჭოთა ახალგაზრდობა!“*

— დიდება დიდ სტალინს, ვაშა ამხანაგებო! — მჭექარედ ჩასძახა ვიღაცამ მიკროფონში და ხმა განივრცო მოედანზე, გადაუფრინა ყველას და ყველაფერს, მიეხეთქა ეთერს და მრავალგზისი ექო უკან დაბრუნდა.

— ვაშაა! — თვალები გადმოკარკლა კუკური მასწავლებელმა.

— ვაშა, ვაშა, ვაშა! — სამგზის მოაღეს პირი ბავშვებმა. ყელის სიმები ეტკინა მართალის, გიჟებივით ზმუოდნენ დურუ და არიქა... წვრილი ხმით გაჰკიოდნენ გოგონები... „ააა!..“ — გადაუარა მთელ ქალაქს და მართალიმ გაიფიქრა: „ბეღურებს შევაშინებთ!“ თუმცაღა სად იყვნენ ბეღურები...

გოგონათა და ვაჟთა კოლონები მომიჯნავე ქუჩამ შეიწოვა. „პალტარატონკის“ თავზე კეკე ჩაცუცქულიყო და საცოდავად სლუკუნებდა.

— შეხე, გაეპარა! — ჩაიხითხითა დურუმ.

27

„ამხანაგი სტალინი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ჩვენს ქვეყანას ეზრდება პარტიის ერთგული ახალგაზრდობა!“ — დინჯად, აუჩქარებლად ბრძანა იოსებ ბესარიონის ძემ და პორტრეტიდან გადმოვიდა. ხელში ყალიონი ეჭირა, თამბაქოს ტენიდა. მიიხედმოიხედა, ასანთს ვინ მომაწოდებსო. გამვლელი შეჩერდა, ასანთს მოუკიდა, თან გაკვირვებისაგან თვალები დაუმრგვალდა, ხან იოსებ ბესარიონის ძეს მიაშტერდა, ხან ჩარჩოს, რომლის ტილოზე კაცის მოხაზულობა იყო ამოგლეჯილი. რაკი ვერაფერს მიხვდა, სასოწარკვეთით ამოიოხრა და თავის გზას უტია.

იოსებ ბესარიონის ძემ ულვაშებში ჩაიღიმა, თვალის უპეები ჩაეჭუჭკა, წვრილი ნაოჭებით დაექსელა. ბიჭებს — დურუს, არიქას და მართალის, სათითაოდ თავზე ხელი გადაუსვა. მართალიმ იგრძნო, რომ დიდ ბელადს მძიმე და ცივი ხელი ჰქონდა, გული შიშისაგან მოეწურა. დურუ და არიქაც ლენჩებივით იდგნენ...

„ადრეც ვყოფილვარ მერეთში! — იოსებ ბესარიონის ძემ ყალიონით ჰაერი შემოხაზა, მაცხოვრისგორისაკენ გაიშვირა: — ის გორაკი მომეწონა, შესანიშნავი ადგილია კვარცხლბეკისათვის!“

ბიჭები თითქოს დაავიწყდაო, ფიქრიანი თვალებით გახედა ხალხმრავალ მოედანს. იქ კვლავაც ომახიანი „ვაშა“ გრიალებდა და ორკესტრის ხმას ისე ახშობდა, რომ სმენას მხოლოდ დოლის ბრაგუნი სწვდებოდა — „ბუმბუმბუმბუმბუმ!..“

იოსებ ბესარიონის ძე ნელი ნაბიჯით დაიძრა. ადამიანთა ტალღა ტალღას მიჰყვებოდა, მოედანი მთლიანად წაელეკა, მაგრამ დიდი ბელადის გზაზე ბრბო ორად იხლიჩებოდა, დერეფანი კეთდებოდა. ეს აუარებელი ხალხი უწყვეტად ბღაოდა — „სტალინი, სტალინი, სტალინი!..“ იოსებ ბესარიონის ძეს კი თითქოს ეს ხმები არც ესმოდა. ისე მიაბიჯებდა, ცარიელ სივრცეს მიაპობსო. მხრებით ამაღლებულიყო ბრბოზე. მის გვერ-

დით ყველაზე მოსული ვაჟკაციც ჩია და ბეჩავი ჩანდა. ის კი გმირთაგმირი, ბუმბერაზთაბუმბერაზი დინჯად კვეთდა მოედანს, მის წინ გახსნილ დერეფანს მიჰყვებოდა, აღფთოვანებულ ბრბოს კი — ბავშვებს, დიდებს, ტრიბუნაზე წამოჭიმულ შავლაბადიანშლაპიან კაცებს სიზმრადაც არ დაესიზმრებოდათ, რომ იოსებ ბესარიონის ძე აქაა მერეთში, მოედანს ირიბად ჭრის და ეს საიდუმლოება მხოლოდ სამად სამმა ბიჭმა — დურუმ, არიქამ და მართალიმ იცის...

— კუკური მასწავლებელი მოგვკლავს! — ჩაიწუწუნა არიქამ.

— ჰო, სურათი გაგვიფუჭდა! — კეფა მოიფხანა დურუმ.

— დავედევნოთ! — თქვა მართალიმ.

დასტაცეს ჩარჩოს ხელი, ფეხს აუჩქარეს.

იოსებ ბესარიონის ძე მოედნის ბოლომდე ჩავიდა, ბულვარის ჩრდილს მიჰყვა, იქიდან მაცხოვრისგორის გზას დაადგა.

კაკლების ჩრდილში, სალუდესთან კაცები იდგნენ. არიქას მამაც იქ იყო, ხელში კათხა ლუდი ეჭირა და უბერავდა.

დიდმა ბელადმა ნაბიჯი შეანელა, იქნებ სიცხეში ლუდი მოუნდა, მაგრამ გადაიფიქრა.

— ამ ლოთებთან ხომ არ დადგება! — ჩაიხითხითა დურუმ.

იოსებ ბესარიონის ძე ხიდზე შეყოვნდა, ჩხერიის წყალს ჩააცქერდა, ალბათ გრილი ნიავი ესიამოვნა.

ბიჭებიც შეყოვნდნენ. ვერ ბედავდნენ ხმის ამოღებას, ან როგორ უნდა ეთქვათ, ძია სტალინ, ჩარჩოში დაბრუნდი, თორემ კუკური მასწავლებელს ვერ გადავურჩებითო.

გზა ქვით მოკირწლულ, ვიწრო ორღობით გრძელდებოდა. ალაგალაგ ამონგრეულ ოღროჩოღროებში გუბეები ჩამდგარიყო.

— ფეხს არ ადგამს! — ჩაიჩურჩულა მართალიმ.

იოსებ ბესარიონის ძე მართლაც ისე მიდიოდა, მიწის პირს ფეხს არ აკარებდა. არც ნაბიჯის ხმა ისმოდა. გუბურას თუ გადაუვლიდა, წყალი არ ირხეოდა, ფეხსაცმელზე ტალახი არ ეცხებოდა.

კაცმა გამოიარა. ტანმაღალი ვინმე იყო, შორიდან თავაღერებული მოდიოდა. ბელადს რომ შეხედა, ნირი ეცვალა, ღობეს ზურგით აეკრა.

იოსებ ბესარიონის ძემ ჩაუარა, თურმე ის კაცი იდაყვამდე ძლივსღა სწვდებოდა.

— მართლაც დიდია! — შიშნარევი აღფთოვანებით ჩურჩულებს არიქა. დურუ და მართალი თავს უქნევენ.

ესენი კვლავ ცარიელ ჩარჩოს მიათრევენ. უფრო და უფრო უმძიმთ, ხშირ ხშირად ისვენებენ, არ ჩამოვრჩეთო და წინ წასულს სირბილით მიეწევიან.

მაცხოვრისგორის ფერდობი გამოჩნდა, შემოდგომას მისთვის ოდინდელი სიხასხასე წაურთმევია.

კიბის საფეხურები ჯაჭვივით გაბმულა, ბოლო არ უჩანს.

იოსებ ბესარიონის ძემ მოიხედა, ბიჭებს ყალიონი შეთქმულივით დაუქნია და კიბეებს აუყვა. აუჩქარებლად და მსუბუქად მიიწევდა, ბიჭები კი ქოშინით მიჰყვებოდნენ.

ძნელი იყო აღმასვლა. წინ მიმავალი დიდზე დიდი ბელადი საფეხურს ფეხს თითქოს არც აკარებდა. ბიჭებს კი ღონე დაეკლდათ... ჩხერიისპირას გაწოლილი მერეთი დაბლა ეშვებოდა, შემოდგომის ყვითელ, ვარდისფერ და მწვანე ფერებად განფენილიყო... ბულვარიდან, მოედნიდან, ქუჩებიდან მხიარული მუსიკა ისმოდა. ალბათ დემონსტრაცია დამთავრდა და სასულე ორკესტრი სასეირნოდ გამოსულ მოქალაქეებს ართობს.

— უჰ, მეტი არ შემიძლია! — საფეხურზე დაეშვა არიქა.

დურუსა და მართალისაც გაუჭირდათ, მაგრამ არიქა მთლად უღონო იყო, ისედაც ლიფსიტას ჰგავდა.

შეისვენეს.

იოსებ ბესარიონის ძეც შეჩერდა. საკმაოდ შორს იყო წასული, გორაკის თავამდე ცოტაღა აკლდა და არ ჩქარობდა. ქალაქს გადაჰყურებდა. აქედან მერეთი უფრო ფართო ჩანდა. მისი შორეული გარეუბნები ჩაის პლანტაციებსა და სიმინდის ჩაყვითლებულ ყანებში გადადიოდა.

შორით შორ ჰორიზონტს ბურუსი ეხვია, ზღვის სილურჯეს ფარავდა.

— წავიდეთ! — თავს ძალა დაატანა არიქამ, მეგობრებისა შერცხვა.

— ნელა იარე, ჩარჩოს ჩვენ წამოვიღებთ! — დიდსულოვნად შესთავაზა დურუმ.

გზა განაგრძეს. ყოჩაღად მიმავალ ძმაკაცებს არიქაც ნელინელ მიჰყვა.

აგერ ასმეერთე საფეხურიც.

აქედან ვიწრო ბილიკი იკლაკნებოდა და ბიჭები ბუჩქებს ებღაუჭებოდნენ.

დიდი ბელადი აღმა მიიწევდა, მიწას ფეხს არც ადგამდა.

და აი, მაცხოვრისგორის თავიც გამოჩნდა. ოდესღაც აქ თეთრი ტაძარი იდგა. ახლა მხოლოდ ნანგრევები დარჩენილიყო, რუხი ლოდები, სუროთი ჩახლართული, კატაბალახითა და ჭინჭრით მოსილი... ზედ გადმოსახედზე ზღუდის ნარჩენი გადარჩენილიყო და იოსებ ბესარიონის ძე მასზე შეჩერდა. იდგა და გადაჰყურებდა შორეულ ჰორიზონტს. იქნებ იგი უფრო შორს იხედებოდა, ვიდრე ერთად აღებული ყველა ბიჭი, იმ ბურუსიან ცისკიდის მიღმა გაშლილ ზღვასაც ხედავდა და ზღვათა მიღმა გაწოლილ ქვეყნებსაც...

ბიჭებმაც ბილიკი ამოათავეს. ზღუდესთან მოკრძალებით გაჩერდნენ. დიდი ბელადი ისეთი ახოვანი ჩანდა, ისე მტკიცედ იდგა, სალდათურ შინელსა და ქირზის ჩექმაში, ყალიონით ხელში, საკუთარ ძლიერებასა და ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებული, რომ შემკრთალმა ბიჭებმა ჩარჩო ძირს დადეს და პირდაღებულნი მიაჩერდნენ.

მზე დაბლა გადაქანდა, მეწამული დაედო. იოსებ ბესარიონის ძის ფეხებთან მეწამული ჩრდილი გაწვა, დაგრძელდა, ბიჭებს გადმოეფინა. წამში აცივდა. ჩრდილი კი თანდათან განივრცო, ქალაქის თავზე გაიშალა და სამყაროს ფერადოვნება ერთიანმა რუხმა ფერმა შეცვალა.

იოსებ ბესარიონის ძემ გაყუჩულ ბიჭებს გადმოხედა და ერთხელაც თქვა:

„შესანიშნავი კვარცხლბეკია!“

ყალიონი გადმობერტყა, შეტრიალდა და ჩარჩოში აღმოჩნდა.

— რა თქვა? — ჩურჩულით იკითხა არიქამ.

— რაღაც შესანიშნავიაო! — დურუმ მხრები აიჩეჩა.

— აქ ბელადის ძეგლი უნდა აღიმართოს! — განაცხადა მართალიმ.

— ერთი ამათ დამიხედე, სად ამოხეტებულან! — თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ბიკენტი თოლორაია ზღუდის ნანგრევზე შედგა, ჩექმაზე მათრახი გაიტკაცუნა.

ბიჭებს მოულოდნელობისაგან გული გადაუქანდათ.

— ვინ ამოიტანა ეს პორტრეტი? — მკაცრად იკითხა ბიკენტიმ. — რას აპირებდით?

— ჩვენ ხომ პიონერები ვართ, — თავი მოისაწყლა მართალიმ, — აქ კი კარგი ადგილია... აი, ეს კვარცხლბეკია სტალინის ძეგლისათვის...

ბიკენტიმ მიმოიხედა, ლოდს ფეხი დაჰკრა, სიმტკიცე შეუმოწმა.

— უყურე შენ, — გაიკვირვა, — მართლაც გამოდგება კვარცხლბეკისათვის!

ზღუდიდან ჩამოხტა, მართალის მეგობრულად მოხვია მხარზე ხელი, იქვე ქვაზე ჩამოჯდა და მთლად შინაურულად ალაპარაკდა:

— კარგი ბიჭები ყოფილხართ! ეს პორტრეტი დიდი კია, მაგრამ ქალაქიდან არ გამოჩნდება, აქ უზარმაზარი ბრინჯაოს ძეგლი უნდა დაიდგას. ამიტომ პორტრეტი უკან, სკოლაში წაიღეთ, თანაც, — ხმაში უკმაყოფილებს გაურია, — ეს ხომ დიდი სტალინის პორტრეტია, აქეთიქით მისი ტარება არ შეიძლება! სად არის თქვენი მასწავლებელი, ან დირექტორი, მაგათ ჩვენ ყურებს ავუწევთ! — ნაძალადევად ჩაიცინა, ვითომც ვხუმრობო. — ახლა ეს მითხარით, იმ დღეს რომ შემხვდით, იქითა მხარეს, საეჭვო ვერაფერი ნახეთ?

და მაშინ მართალიმ, სულსწრაფად, ალბათ იმიტომ, მასწავლებელსა და დირექტორზე საშიში საუბარი ჩაეფარცხა, ბავშვური გულუბრყვილობით დააგდო:

— კი, ნეანდარტალელი ვნახეთ!

— ნეანდარტალელი? — გაოცდა ბიკენტი, სიწითლემ გადაურბინა, ბიჭი დამცინისო, თუ იფიქრა.

— ჰო, ნეანდარტალელი... ჩხერიის სათავესთან...

— თქვენც ნახეთ? — დურუსა და არიქას დაეკითხა ბიკენტი.

— ჰო! — თქვა ორივემ, თავი კი უარის ნიშნად გააქნიეს.

— ჰო თუ არა? — ჩააჯინდა ბიკენტი.

— შეგვეშინდა, მაგრამ არ გვინახავს! — ხმა ჩაუვარდა არიქას.

— თითქოს გვიყურებდა, ჩვენ კი არ გვინახავს! — დაემოწმა დურუ.

მართალიმ ენა მოიკვნიტა. იგრძნო, რომ რაღაც ცუდი მოხდა, ოღონდ ვერ მიხვდა რა... „მე ხომ გავიხუმრე? — წყენით ფიქრობდა. — ნეანდარტალელი მუზეუმის კედელზეა!..“

დიდხანს ჩამოდიოდნენ ფერდობზე, დაღლილნი, უხალისოდ, თან მოათრევდნენ ვეებერთელა პორტრეტს. სურათზე გაწოლილი დიდი ბელადი ახლა ცისკენ იყურებოდა. „მეორე მხარეს რომ ჩანს, ის ალბათ — მიწისკენ!“ — გაიფიქრა მართალიმ.

28

— მამაშენია, შვილო! — ეფრომ მხარზე ხელი მოუჭირა. ხელისგული ყინულივით ცივი ჰქონდა და ფრჩხილები კანში მტკივნეულად ჩაეჭდო.

ტატაჩი წუმპეში ეგდო, სისხლისაგან იცლებოდა... თითებით ტალახი მოფხოჭნა, კრუნჩხვამ დაუარა და გაყუჩდა, გაშეშდა... თავდაღმა იწვა, კისერი უხერხულად მოეღრიცა. გაუპარსავი, შიშით გათანგული, ტანჯული პირისახე თითქოს დაუწყნარდა. თვალები ღია დარჩა და შიგ ცის ლურჯი ანარეკლი თანდათან ქრებოდა.

— ესეც ასე! — თქვა ვავა ზარქუამ და მაუზერი ბუდეში შეინახა.

ოთხი სხვა ჩეკისტი ღობის მიღმა იდგა...

გადაიგრიალა საშვიდნოემბრო ზეიმმა, ახლა მერეთს თვლემისმომგვრელი სიწყნარე ეფინა... სადმე დედალი თუ აკრიახდებოდა, ანდა სიმინდით დატვირთული ურემი ჩაივლიდა ჭრიალით.

ეზოში, მზეზე თბებოდნენ. ბიჭი ცდილობდა მოწყენილობა ძველი, დანჯღრეული პატეფონით გაექარვებინა. სახელურს აწვალებდა. ფირფიტა მრავალგზის იყო ნახმარი და გაფხაჭნილი, ხმა ეხრინწებოდა. მეფანდურე ქალები სიხარულით მღეროდნენ: „ჩქიმი სქვამი საქორთუოს, მაფშალიეფქ დიკათეს...“ ხალისს თანდათან უმატებდნენ — „ურაიდა რაიდა, ურაიდა რაიდა, ვორაიდა, ვარაიდა, ნა...“

ეზოს მწვანე მოლი ეფინა, თუმცა ფერი შემოდგომას შეერბილებინა... ერთგან კი ღორის ნაჩიჩქნზე წუმპე ჩამდგარიყო.

ცაცანას მუხლზე ბელადის პირველი ტომი ედო და უკვე მერამდენედ უღმავდებოდა.

ეფრო ჯორკოზე წელგამართული იჯდა. ახლადდავარცხნილ ჭაღარას თავშალით იკავებდა და ხელები ასევე გაუშეშდა კეფასთან.

— მოიცა!

ეზოს ბოლოში ნეზვი იჩიჩქნებოდა, ხანდახან დინგს ასწევდა და ფირფიტის გახრიალებას გაოცებული ღრუტუნით შეეხმიანებოდა.

— მოიცა! — გაიმეორა ეფრომ.

ქუჩაში ჩოჩქოლი და მამაკაცების შეძახილი გაისმა.

ჰაერში ტყვიამ გაიზუზუნა.

ცაცანას წიგნი დაუვარდა, მუხლებზე ხელები დაიყრდნო და წამოიწია, მაგრამ ვეღარ წამოდგა.

ეფრო ადგილიდან არ დაძრულა.

ჭიშკარი შემოხეთქა კაცმა, ისე ჩქარობდა, ჩექმებიდან ამოხტომას ლამობსო.

გამიტკალებულს, თვალები ფოსოებში ჩასცვენოდა, გაუპარსავი ნიკაპი უკანკალებდა.

ხელები გამოიწოდა, ძლივსღა თქვა:

— დედა, მიშველე!

ეფრო წამოიმართა, რაც იყო, იმაზე მაღალი გამოჩნდა. თმას შეეშვა და ხელები გაშალა, თითქოს ლტოლვილის გულში ჩაკვრას და გადარჩენას ლამობსო.

მდევართა შეძახილი და ფეხების ბრაგაბრუგი სულ ახლოს გაისმა.

კაცი გაიქცა, ეკლიან ღობეს მიაწყდა. ადრე, ალბათ იოლად გადაევლებოდა, ოღონდ ტრიფოლიატს არავინ კაფავდა, ზომაზე მეტად გაიზარდა, ეკლის კედლად გადაიქცა. ლტოლვილი გვიან მიხვდა შეცდომას, ის მშველელი წამიც შემოადნა, უკანა ეზოსკენ შებრუნდა, უცაბედად ფეხი დაუსხლტა და ამოტრიალდა.

ვავა ზარქუას ნასროლი ტყვია მაშინ მისწვდა, როცა უკვე ეცემოდა.

წუმპეში ჩაემხო ტატაჩი და სიმწრით მიწა და ტალახი მოფხოჭნა.

— ესეც ასე! — თქვა ვავა ზარქუამ.

ბიკენტი თოლორაიამ მოირბინა ამ დროს. მრგვალი პირისახე გასთეთრებოდა, ხელი ოდნავ შესამჩნევად უცახცახებდა. ავად გადახედა ვავას, თქმით კი არაფერი უთქვამს.

პატეფონი ხმას იხლეჩდა. ნაფხაჭნზე ნემსი ვეღარ გადადიოდა და მეფანდურე ქალებს სიხარულით ამოეჩემებინათ: „ჩქიმი სქვამი... ჩქიმი სქვამი... ჩქიმი სქვამი...“

ცაცანამ ამოისლუკუნა, ეტყობა გული მისდიოდა, მერე ჭაღარა თავი მუხლებზე ჩამოუვარდა და ყრუ ზმუილი გამოსცა.

ეფრო გახევებული იდგა. გამხდარი თითები შვილიშვილის მხრებისთვის ჩაეჭდო. თვალმოუცილებლად, კუშტად უყურებდა ბიკენტის.

— დეზერტირი იყო და მოღალატე! — ზიზღით თქვა ვავა ზარქუამ.

— დეზერტირი იყო და მოღალატე! — გაიმეორა ბიკენტიმ, პირი განზე მიაბრუნა. — ძლივს მოვიმწყვდიეთ!

— უხ, უხ, უხ!.. — შეეხმიანა ნეზვი ეზოს კუთხიდან, დინგი აიშვირა, ჰაერში სისხლის სუნს იჭერდა.

მართალის შესცივდა, ცახცახმა დაუარა. ხელისგული პატეფონის სახელურს მიეწება და ვეღარ უშვებდა... „ნეანდარტალელი... ნეანდარტალელი...“ — ტვინში რეკდა და ვერ მიმხვდარიყო, რისთვის ამოეჩემებინა.

— საცოდავი ჩემი შვილი! – ხმადაბლა გამოსცრა ეფრომ.

— დეზერტირი იყო და მოღალატე, შენც კარგად იცი მაგი! — ბრაზით გაიმეორა ბიკენტიმ.

მართალის აზრი ზოზინით მოძრაობდა. ალბათ ყოველივე სიზმარში ხდებოდა, მაგრამ ტკივილიანი იყო ეს სიზმარი. აგერ კაცი გდია. მთელი ეზო მოლითაა დაფარული. ის კი მაინცდამაინც წუმპეში ჩავარდა... მამა იყო, მაგრამ მოღალატე და დეზერტირი, და მართალის გული ორად გაიხლიჩა, სიბრალული და სირცხვილი ერთმანეთს ვერ შეარიგა.

— საცოდავი ჩემი შვილი! — ჯიუტად გაიმეორა ეფრომ.

ცაცანამ ზმუილს უკლო, გაყუჩდა.

ბიკენტი არ შეპასუხებია ეფროს, ბიჭისაკენ გადმოალაჯა.

მართალი მოიკუნტა, თავი კისერში ჩაუძვრა, თითქოს დარტყმას ელისო. კაცმა ფირფიტა ააგლიჯა პატეფონს და მოისროლა.

გახედა ეფრომ თავის საცოდავ შვილს, მერე ბიკენტის და შურისგებით უთხრა:

— სტალინზეა ეგ სიმღერა, ბიკენტი!

ბიკენტიმ ზურგი შეაქცია, ჩეკისტებს გასძახა:

— რა ჭირისუფლებივით დამდგარხართ, მანქანა მოიყვანეთ!

— უხ, უხ, უხ! — ნეზვი დაიძრა ეზოს კუთხიდან, თავი მაღლა აეშვირა და ხროტინებდა, სისხლის სუნს გადაერია.

მიცუხცუხდა წუმპეში ჩაგდებულ კაცთან, დინგი სისხლის გუბეს ატაკა.

შეაძაგძაგა მართალის, უცბად რაღაც ძალამ აიტაცა, ბებიის ხელს დაუძვრა და წინ გავარდა.

ნეზვმა სისხლიანი დინგი შემოაგება, კბილები საზარლად გააწკაპუნა. საიდანღაც ჯოხი დააძრო მართალიმ, დაუზოგავად ჩასცხო და ჩასცხო პირუტყვს, გაქცეულსა და აჭყვირებულს სდია.

მერე ყველაფერი დაავიწყდა... თვალთ დაუბნელდა, ყურებში ჯერ შხუილი ჩაესმა, მერე სმენა დაეხშო.

სიწყნარე ჩამოეფინა მართალი თოდუას სულში...

ვითომ ეძინა და თვალი გაახილა ბიჭმა. ვითომ თავის ოთახში წევს. ფართოდ გახსნილი კარიდან და ფანჯრებიდან სინათლე უხვად იღვრება, ოთახს პირთამდე ავსებს, იმდენია, საგნების გარჩევა ჭირს... ეგერ წითელყდიან, ოქროსვარაყიან ტომებზე ათინათობს... კარს იქით გრძელი აივანია, ფართოდ გა-

დაშლილ მერეთს გადაჰყურებს, რაღაცნაირად გაკამკამებული, ნათელი სივრცე იშლება, ლურჯი ცით, თეთრი მთებითა და ჩხერიის მწვანე სანახებით შემოსაზღვრული.

მოულოდნელად ჩრდილი ეცემა, თითქოს უხილავი ღრუბელი გადაეკრაო ცას... აგერ ისიც! წარმოუდგენლად დიადი რაღაც... თავით ცის გუმბათს სწვდება... კიტელი და გალიფე, გაპრიალებული სალდათური ჩექმები... ხელში ჩიბუხი უჭირავს და ფიქრიანად დასცქერის ფერხთით აფუსფუსებულ ქალაქს... შიში და აღტაცება ავსებს მართალის სულს... „ვაშას“ უტყვ ძახილში იხრჩობა, სურვილი თაყვანისცემისა პირთამდე ავსებს...

— მართალი, შვილო! — ეფრო ბებიას სუსტი ხმა სწვდება სმენას.

— მართალი, შვილო! — კვნესის ცაცანა ბებია.

თითქოს უკუღმა დატრიალდა დროის სათვალავი. მართალი აწვალებს პატეფონის სახელურს. ფირფიტა ტრიალებს და ჩახლეჩილ ხმებს გამოსცემს. მეფანდურე ქალები მონდომებით აბულბულებენ: „ჩქიმი სქვამი საქორთუოს, მაფშალიეფქ დიკათესი... ურაიდარაიდა, ურაიდარაიდა, ვორაიდა, ვარაიდანა...“

ეზო გადაირბინა დეზერტირმა და მოღალატემ. დიდი ხნის გაუპარსავ წვერში ჭაღარა მომრავლებია. შიშისაგან სახე გამიტკალებია. ტყეღრეში გდებისაგან ტანისამოსი შელახვია. ღამის ყაჩაღსა ჰგავს და ბიჭმა ამ კაცში ნაცნობი და მშობლიური ვერაფერი ამოიცნო.

ფეხი დაუცდა ტატაჩის და, როცა ვარდებოდა, ვავა ზარქუას ტყვია მაშინ მიეწია.

წუმპეში ჩავარდა და სისხლისაგან დაიწრიტა... ეფრომ თმას ხელი უშვა, ჭაღარა, ბუწკა თმები აეწეწა. ბიჭის მხარს ფრჩხილებით ჩაჰფრენოდა, მზერა ბიკენტის მიაყინა... „სტალინზეა ეგ სიმღერა, ბიკენტი!“ — შურისგებით გამოსცრა ეფრომ. ეზოს ბოლოდან კი გაავებული ნეზვი წამოვიდა ხროტინით, სისხლის სუნს მიეტანა...

როდის მოხდა ეს? ნუთუ მართლა მოხდა?

— მამაშენია, შვილო! — ყრუდ, დაღლილად წარმოთქვა ეფრომ.

ბიკენტის შეხედა მართალიმ. კაცს ჩექმებზე ტალახი მოსცხებოდა. რუხი გალიფე და კიტელი ეცვა. ყველა ღილი ვიწროდ შეეკრა. საულვაშეზე პაწია, ვიწრო ულვაში დაეტოვებინა. ცხვირზე პენსნე მოერგო და მრგვალი სახე სწავლულს მიუგავდა... როდის დაიყენა ულვაში ასე ბიკენტიმ, — გაუკვირდა მართალის, — ან სათვალე როდის მოირგო?

— ჰო, ნეანდარტალელი! — თქვა უნებლიეთ.

— რა? — წამოწითლდა ბიკენტი, ჯიქურ შეხედა დედაბრებს. — ერთი საათის დრო მომიცია, ეფრო! — ასე ბრძანა...

წიგნი მეორე

კვარცხლბეკი, 1953

ბელადი დადგა რუხი მაზარით
ჩუქურთმის სხივით მოხატულ ქვებზე.
ციდან მზის შუქი უზარმაზარი
გადმოშლილა და ეხვევა მხრებზე...

რ. ბ-ძე

1

და ამოანათა მეხსიერების სიღრმიდან დიადმა მამამ. იგი მოაბიჯებდა მერეთის ქუჩაში, მზე დაჰნათოდა და თვითონაც მზესავით მაღალს თავზე ოქროს შარავანდი მოსავდა... მარადის უნდა ევლო ხალხთა შორის მოუღლელად, რაკიღა ზღაპრული სასმისი შეესვა და უკვდავებას ზიარებოდა... დაიხარა იოსებ ბესარიონის ძე, თავზე მძიმე, ცივი ხელი დაადო და უთხრა:

„მამათა დანაშაულზე შვილები პასუხს არ აგებენ!“

— მამა! — ხმადაბლა, შიშიანად მოუხმო მართალიმ და თვალი გაახილა.

იოსებ სტალინმა გადმოხედა მკაცრად და ყმაწვილს გული ჩაუვარდა. გონს ძლივს მოეგო, ძლივს გაიხსენა, რომ დიდი ბელადი ნაცრისფერი კედლიდან გადმოჰყურებდა და წუხელ თვითონ, საკუთარი ხელით გააკრა ეს სურათი იმ ადგილას, სადაც ადრე, ბავშვობის დროს, ოთხი ბელადის წაჭრილი თავები ახსოვდა. ღამე, ბინდში თვალებიღა მოუჩანდა ბელადს და მართალიმ კარგა ხანს ვერ დაიძინა. თრგუნავდა ეს მზერა, აფორიაქებდა, თითქოს ყმაწვილის ყოველ ნაფიქრალს ზვერავსო, აზრის მდინარებას უმოწმებსო... „მხოლოდ ერთგულებსა აქვთ სიცოცხლის უფლება!“ — თქვა ერთხელ ვავა ზარქუამ... ეს იყო მაშინ, როცა ათი წლის მართალი სიკვდილის კარიბჭესთან იდგა და ნაბიჯიღა რჩებოდა, როცა ბიკენტი თოლორაიამ სტაცა ხელი, უკან მოაბრუნა... „პატარაა, გზაში დაიღუპება!“ — შემრიგებლურად უთხრა მოადგილეს, ვავამ კი უხსებელივით წაისისინა — ეგ გველის წიწილიო. ბიკენტიმ არ აცალა, სიტყვა წაართვა, „პავლიკ მოროზოვის ამბავი ხომ იცი?“ ვავამ ენა გადაყლაპა, პირი მიაბრუნა... მართალის საფიქრალი შერჩა, უნდა მოეაზრებინა, რატომ ახსენა ბიკენტიმ პავლიკ მოროზოვი, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ფიქრის ღონე აღარა ჰქონდა, მისი გონება უცხო რამ სენს შეეპყრო. იმ წუთიდან, როცა ვავა ზარქუამ ტყვია გაისროლა, მართალი

ავად გახდა, თვალში ბინდი ჩაუდგა, სმენა დაეხშო. სიზმრეთის ქვეყანაში იმოგზაურა კარგა ხანს, მერე თანდათან მობრუნდა, იმ სიზმრებში სინამდვილემაც შემოაღწია, თუმცა ყოველივეს აღქმა და გააზრება უჭირდა. ბუნდოვნად ახსოვდა ცაცანას უსასოო ყმუილი, ეფროს უტეხი ხმა — „ბიჭი დამირჩინე, ბიკენტი, და ღვთის წინაშე ყოველივეს გაპატიებ!“ აკივლდა ორთქლმავალი, ვაგონები ერთმანეთს მიეჯახა, ბორბლების აუჩქარებელი დაგადუგი მოისმა... წავიდა მატარებელი, წაიყვანა ეფრო და ცაცანა, საკაცეზე გულაღმა წამოწოლილი მართალი კი თითქოს თავისთავად მიცურავდა სივრცეში და ზევიდან ვარსკვლავიანი ცა გადმომხობოდა. იმ მირიადი ვარსკვლავიდან ერთი იყო ეფრო, ერთიც ცაცანა. შორითშორს ციმციმებდნენ ის ვარსკვლავები და მართალი მიხვდა, ვერასოდეს გადალახავდა უსაზღვრო სამანებს, ვერასოდეს მიეწეოდა გაუჩინარებულთ და მარტოობით გულშეჭირვებულს თვალზე ცრემლი მოადგა...

ხუთი წელი უცაბედი გაელვებაა ასაკოვანთათვის, მოზარდის ხუთი წელი კი მდორედ მიედინება.

ორმოცდარვის ახალი წელი საავადმყოფოს კედლებში გაატარა. შემდგომ ვერც იხსენებდა, რამდენი ხანი დაჰყო იქ. მეხსიერებას მხოლოდ თეთრი, უწყვეტი ლაქა შერჩა, ალბათ კედლების ფერი, ან თეთრი ხალათების, ანდა თეთრი შიშისა... იქნებ ცხადი იყო ის სიზმარი, ის ზარდამცემი სურათი, რაც ტვინში მკვეთრად ჩაებეჭდა და მერე ვერაფრით თავი ვერ დაირწმუნა, რომ მხოლოდ ურჩხული ეზმანა, ტვინის ხვეულებს ლორწო თათი შეახო და გონება მოუწამლა.

თეთრ პალატაში მარტო იწვა. ციოდა, უსიხარულო, თალხი შუქი იდგა. წამოჯდა. იატაკზე ჯღანი კალოშები ეყარა და ფეხი ზიზღით ჩაყო. სისუსტეს გრძნობდა, შიშიანად აკანკალებდა.

დერეფანში ფრთხილად გაიხედა. არავინ ჩანდა. ორმხრივ ჩამწკრივებული კარები მჭიდროდ მიეგმანათ. ალბათ ავადმყოფებს ეძინათ, ან იქნებ სულაც არავინ ჭაჭანებდა.

დერეფნის ბოლოსაკენ გასწია, საპირფარეშოს ეძებდა, სიზმრიდან გამოყოლილი შიში თან სდევდა.

თეთრი რკინის კარი ოდნავ მოღიავებული დარჩენოდათ, იქიდან ჩხაკუნი და ჩუმი ლაპარაკი მოესმა.

ოდმავ მიაწვა, კარი იოლად გაიღო და მართალი ზღურბლზე გაეჩხირა. საოპერაციო მაგიდაზე სანთლის გაჩხინკული ბიჭუნა იწვა, თვალები ჭერისათვის მიეყინა. ოდნავ გახსნილი პირიდან მწყობრი კბილები მოუჩანდა. ორი თეთრხალათიანი კაცი თავზე ადგა, თეთრი ნიღბები ეკეთათ. ერთს ხელში სისხლიანი სკალპელი ეჭირა.

აიხედა, უცხო შენიშნა და რაღაც ჩაიხრიალა. მეორემაც მოიხედა, თვალები დაუმრგვალდა, შეჭმუხნულ შუბლზე ოფლის წინწკლები დააჩნდათ.

უცბად ვიღაცამ ყურში ხელი ჩაავლო მართალის, შემოატრიალა, დერეფანი სირბილით ჩაატარა, პალატის კარი გააღო და უბიძგა. ბიჭი საწოლს გადააწყდა, ზედ დაეცა. ყური უბჟუოდა, მაგრამ ტირილი ვერ გაებედა.

ვავა ზარქუამ დაუბრიალა თვალები, დაუსისინა:

— აქ ეგდე, ნაბიჭვარო!

გვიან მოეგო გონს. მიხვდა, ის კაცი არ იყო ვავა ზარქუა, ის იყო ნაირსახეობა კაცთა, რომელთა თვალებშიც სიკვდილის სიხარული ანათებს. ყოველი ვავას მზერაში განაჩენი იკითხება და პატარა მართალიმ გადაწყვიტა გაქცეოდა საშიშროებას, ეპოვა ძლიერი მფარველი, ვავასნაირთაგან რომ დაიცავდა.

წევს მართალი რკინის ვიწრო საწოლზე, თხელი საბანი შემოუხვევია, სიცივისა და შიშისაგან აკანკალებული კარს მისჩერებია, თითქოს ელის, რომ საცაა სკალპელით ხელში შემოვარდება თეთრხალათიანი ვავა ზარქუა, შემზარავი ღიმილით დახედავს, საბანს გადახდის და სკალპელს მუცელზე მოუზომავს. ამ საშინელი ფიქრებისაგან ბიჭს მუცელი უთახთახებს, ძრწოლა იპყრობს.

„ცოტასაც გავიზრდები და სტალინთან გავიქცევი!“ — თავს იმხნევებს მართალი. — *„ბელადიც დინჯად, სამშობლოს შვილებს — მოხუცებს, ყრმებს და ახალწლოვანებს, ახვედრებს ღიმილს, ძალსა და იმედს და ახალ ცეცხლით აღაფრთოვანებს...“*

ასე რბოდა ჟამი იგი. ერთხელაც მოვიდა კაცი მავანი, წვერგაუპარსავი, დაბამბული ჯუბა და გალიფე ეცვა, ფეხზე რეზინის ჩექმები. თავზე სვანური ქუდი ჩამოეფხატა და დირექტორად იწოდებოდა. ჩასჭიდა ხელი მართალის, თოვლიანი ქალაქი გადაატარა და განაპირას, მაღალი, ყვითელი გალავნით შემორაგულ ეზოში შეიყვანა, სადაც ასეთივე ყვითელი, დაბალი და გრძელი შენობები იდგა და გაცრეცილი, უსახური ბავშვები ცხოვრობდნენ...

ამიერიდან აქ, უდედმამო ბავშვთა "პრიუტში" უნდა ეარსება სამადლოდ. უნდა დაეძინა ფართო, დაბალჭერიან ოთახში, სადაც რკინისზამბარებიანი საწოლები ოთხრიგად იყო ჩამწკრივებული და ნაცრისფერი, თხელი საბნების ქვეშ სამოცამდე თავგადახოტრილი ბავშვი მოკუნტულიყო... უნდა ესადილა სასადილოში, სადაც მუდამ ქონის გულისამრევი სუნი ტრიალებდა, თეფშებს ცივი წყლით რეცხავდნენ და წყალწყალა წვნიანში ორიოდე, შაურისტოლა კარტოფილი დაცურავდა... ერთად, ხელიხელჩაკიდებულებს უნდა ევლოთ სკოლაში, ცივ კლასებში მობუზულებს, შიმშილით კუჭდამწვრებს უნდა ეზუთხათ ლექსები საყვარელ სამშობლოსა და ბედნიერ ბავშვობაზე... რაც მთავარია, უნდა ყოფილიყვნენ ბეჯითი პიონერები, მერე — ბეჯითი კომკავშირლები და დღემუდამ უნდა ეფიქრათ დიად საქმეებზე, რაც მათს გარეშეც კეთდებოდა...

ქვეყანა თავისი გზით მიდიოდა, აქ კი ისღა ჩამოაღწევდა, რასაც შავი რეპროდუქტორი ჩაიხრიალებდა, ანდა ყვითელი გაზეთი მოაფრიალებდა...

აგერ, ახლახან მომკვდარა ანდრო ჟდანოვი, კომუნიზმის დიდი მშენებელი, საბჭოთა მწერლების დიდი მეგობარი, მუსიკალური კულტურის დიდი მოამაგე...

აგერ, ჩვენს ქალაქში კენჭს იყრის დიდი სტალინი... *„ვისაც სურს, რომ ჩვენი დიადი სამშობლო განუხრელი აღმავლობის გზით მიდიოდეს, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს!"*

გორგილაძის ბრიგადამ თურმე ჩაის უხვი მოსავალი მოიყვანა...

პირველი მსუბუქი მანქანა გამოვიდა — „მოსკვიჩი", 110 კმ სიჩქარით გარბის...

ვისაც გული ერჩის, ნიჩბებითა და ბარებით სამგორის ველს შეესია... *„წყალი სწყუროდა დასიცხულ ყამირს, ამიტომ იყო დღედაღამ მწყრალი, სტალინმა სთქვა — და სამგორის მიწამ უნდა დღეიდან დალიოს წყალი..."*

მტერს ამ დროს, ცხადია, არ სძინავს... „დოცენტი გ. ფხაკაძე თავის შრომებში „გურული ნიორის კარიოლოგია", „ნაფტალინისა და ქაფურის მოქმედება სიმინდზე", „ალუჩისა და ტყემლის ქრომოსომების კომპლექსი" ავითარებს მეტაფიზიკურ თვალსაზრისს, გარკვევით დგება მენდელისტურმორგანისტულ პოზიციაზე..."

ჩაიარა ორმოცდამერვემ, უსიხარულოდ, სევდით, ტკივილით... მართალის გულში თანდათან მიწყნარდა შორეული ხმები. მოხდა კი ყოველივე, რაც მეხსიერებას შერჩა? იქნებ იმ დილით არც მობრუნებულა ტატაჩი სიკვდილთან შესაგებებლად? იქნებ ეფრო და ცაცანა თავისი ნებით სადღაც გაემგზავრნენ, ჩასხდნენ მატარებელში და წავიდნენ!.. მოხუცებს რას გაუგებ!.. თანდათან შეეგუა მართალი ამ უფერულ ყოფას, შიმშილის დაუოკებელ გრძნობას, სიცივეს, არსებობისათვის ბრძოლის მარტივ ილეთებს, როცა ყველა გეფიცება, ძმა და მეგობარი ვარო, სინამდვილეში ყველა მტერია... შენც მტერი ხარ, იმთავითვე მტრად დაიბადე!.. ტატაჩის შვილი ხარ და ესეც საკმარისია!.. დედაც საეჭვო სიკვდილით მოგიკვდა და შვილიშვილი ხარ საეჭვო დედაბრებისა!.. სხვა შენს ადგილას თავისი ფეხით ჩავიდოდა დილეგში!.. გველის წიწილი ხარ და შენგან მხოლოდ უხსენებელი გაიზრდება!.. პიონერის ყელსახვევი რომ გიკეთია, ეს ფარისევლობაა... ვინ იცის, შენი გული საითკენ იხრება!.. ფარული მტერი მტერზე უფრო მტერია!

აჰ, ეს რა დაგიხატავს?.. ფანქრით თეთრ ქაღალდზე!.. *„ვერაგი მტერი მოიგერია, იყოს დღეგრძელი ჩვენი ბერია!"* ახლავე დახიე, არავინ დაინახოს! ლავრენტი პავლეს ძეს პენსნე უკეთია, შენ კი სათვალე მიგიხატია!.. იცი შენ, ვინ არის ლავრენტი ბერია?.. *„აქ, რასაც ჩვენი სიკეთე ახლავს, არის*

*ნაყოფი ბერიას აზრის, ყველაფერს მაღალს, საღსა და ახ**ალს** მისი გონების ბეჭედი აზის!..“* ხომ გაიგე, რაც გითხარი!

დიახ, ორმოცდამეცხრე წელი მიედინება... შენდება „ვოლგადონი“... შენდება სტალინის მონუმენტები... „პრიუტში“ მოიტანეს კინო „სტალინგრადის ბრძოლა“...

კინოდარბაზში ბავშვები შეჰყარეს. ეკრანის წინ დირექტორი დგას. სუფთად გაპარსულა. თეთრი კიტელი მოდაშია. ლურჯი შარვალიც. ფეხსაცმელზე კალოშები ამოუცვამს.

— ბავშვებო! — ხმადაბლა ამბობს, ოღონდ მკაცრად. — წლევანდელი წელი დიდი მოვლენებითაა აღსავსე. 16 დეკემბერს სამოცდაათი წელი უსრულდება მთელი ქვეყნიერების ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს. თქვენ კარგად გესმით ამ თარიღის მნიშვნელობა, ზოგიერთი თქვენთაგანი ხომ წელს კომკავშირელი გახდება!.. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან დიდ ბელადს უგზავნიან მოლოცვებსა და საჩუქრებს... ჩვენც უნდა მოვიფიქროთ რამე!

მართალიმ მოიფიქრა. ვატმანის ფართო ქაღალდზე დახატა პორტრეტი — *„ბელადი ქალაქს ეწვია ჩვენსას, დინჯად გახედა მოედანს, ქუჩას...“*

„ეს რომ არა, კომკავშირში არც მიმიღებდნენ! — ფიქრობდა შემდგომ მართალი. — დიახაც, ხალხის მტრის შვილს კომკავშირში ვინ მიიღებდა... სტალინმა მიშველა!“

მხოლოდ სტალინს შეეძლო მისი შველა, სტალინს უნდა ეთქვა ის ერთი ფრაზა — მამათა დანაშაულზე შვილები პასუხს არ აგებენო!

ნახატი მოსკოვს გააგზავნეს, სხვა უამრავ საჩუქარში პატარა ადგილი, ალბათ, იმანაც დაიკავა. პასუხად კი მოკლე უსტარი მოვიდა. მომცრო, თეთრ ქაღალდზე მადლობის სიტყვა ეწერა. ბიჭმა თავდაპირველად არ დაიჯერა, მერე თვალები აუწყლიანდა, შვების ცრემლებით ატირდა. მას აპატიეს! ამიერიდან მას შეეძლო ჩამოეხსნა მოღალატის შვილის მძიმე ტვირთი... თითქოს კედლებს მეტი სითეთრე შეეძინა, ცას მეტი სილურჯე, თითქოს მასწავლებლები და ბავშვები უფრო კეთილნი გახდნენ, მორიდებულნი... „პრიუტის“ დირექტორი

სიხარულით აღარ იყო, ხელებს ისე იფშვნეტდა, თითქოს მისთვის ეთქვათ მადლობა. მართალი თოდუამ შეხედა სტალინის პორტრეტს, სკოლის დერეფნის ბოლოს რომ ეკიდა და პიონერული სალამით მიესალმა: „მადლობა მადლობისათვის დიდო სტალინ!“

უცნაური კარუსელი დატრიალდა მის ირგვლივ. ზურგსუკან ესმოდა ჩურჩული — „ეს ის ბავშვია? ბედნიერი!“ დირექტორი გაისარჯა, ერთი ხელი ტანისამოსი გაუხერხა. შემოსეს მართალი, დავარცხნეს, გააპეწენიკეს, ლექსები აზუთხებინეს და სხვადასხვა კრებასა და თავყრილობაზე გამოჰყავდათ. ისიც ღონეს არ იშურებდა და მონდომებით გაჰყვიროდა: *„შენ ჩვენო დიდო იმედო, სწორუპოვარო სარდალო, ჩვენო მამავ და ბელადო, სიტყვით და საქმით მართალო...“* ანდა *„როგორ გადიდო, როგორ ვთქვა შენი სადარი ლექსები... რომ შოთა იყოს ცოცხალი, უთუოდ დავესესხები...“* ან *„ამ ლექსს თვით ხალხი მკარნახობს, არა სჭირდება მგოსანი, მე მხოლოდ შევკარ, შევკონე რითმების კრიალოსანი...“* ან კიდევ: *„თვითონ სტალინსაც ხმას ვაძლევთ, როცა ხმას ვაძლევთ ბერიას...“*

ერთხელ თბილისშიც წაიყვანეს, ეს უკვე ორმოცდამეთერთმეტე წელს იყო. კლუბიდან კლუბში დაჰყავდათ. სცენაზე უდედმამო ბავშვთა ანსამბლი წვრილი ხმით, გულის შემაღონებლად მღეროდა: „მთელ ქვეყანას უყვარხარ, ჩვენ სად უნდა გეძიოოთ! რა იქნება, ძვირფასო, ერთხელ გორსაც ეწვიოო!..“ მართალი კი ამათ შემდეგ გამოდიოდა რიხით: *„დგას ბერიას მტკიცე ხელით ყვავილებში ჩახატული, დგას თბილისი როგორც ტახტი სიცოცხლის და გაზაფხულის!“* ანდა კიდევ უფრო მამაცურად: *„სტალინის დროშა გავშალოთ, ორბის ფრთა ნაპერწკლოვანი...“*

„ეს ბაღანა შორს წავა!“ — ვითომც ასე ჩაიდუდუნა ამხანაგმა მგელაძემ, ან კიდევ ამხანაგმა ჩარკვიანმა, ან სულაც სხვა დიდმა კაცმა (ცხოვრების სცენაზე დიდი კაცები წამდაუწუმ შემოდიოდნენ და გადიოდნენ!), როცა მართალიმ ვაუკაცურად დასჭექა: *„სტალინ — ჩვენო სიჭაბუკევ, სტალინ — მამავ საყვარელო, შენ შეგხარის, შენ გიმღერის მადლიერი*

საქართველო!“ ან იქნებ ეს ლექსი — „სტალინ! სტალინ! ხალხთა მამავ, საყვარელზე საყვარელო — სულ სხვა ეშხით იმზირება დღევანდელი საქართველო!..“ თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, შეაქო ვინმემ მართალი თუ არა, მისი სახელი „პრიუტს“ გარეთაც გაჟღერდა და მომდევნო ორმოცდათორმეტში დარცხვენილი და ლოყებაწითლებული ყმაწვილი კომკავშირის მდივნად გაამწესეს...

დრო იყო ჯაშუშებისა და დივერსანტების ძებნისა...

სოხუმში შენდებოდა ვაგზლის შენობა...

მონგოლეთს მოკვდა მარშალი ჩოიბალსანი...

ექვს დაზგაზე მუშაობდა ძაფის ამოხვევის ოსტატი ციალა ღლონტი...

მანკიერი რომანი დაწერა შალვა დადიანმა...

გამსახურდიას „მებრძოლ ნაციონალიზმს აშკარად ფაშისტური ელფერი დაეტყო...“

კორეაში გენერალი რიჯუეი ტარაკნებსა და რწყილებს აომებდა...

„ძირს ომის გამჩაღებლები!“ (ყველანი ფეხზე დგებიან. მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. გაისმის შეძახილები: გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს! ამხანაგ სტალინს ვაშა!).

1953 წლის ზამთარში მართალი თოდუას გამოეღვიძა საკუთარი სახლის ჭერქვეშ, სტალინის მკაცრ თვალებს შეეფეთა და, თითქოს თავის დასაცავადო, უნებლიეთ ლექსის ორი სტრიქონი ჩაიჩურჩულა: *„სტალინ — ხალხთა გაზაფხულო, მშობლიურო დიდო სტალინ!“*

2

— ბიკენტის უნდა უმადლოდე, თოლორაიას, სახლი რომ დაგინარჩუნდა! — უთხრა მარომ მართალის.

მამიდა დარიკოს მარტოასული იყო მარო. ადრე გაათხოვეს თურმე და ადრევე დაქვრივდა, უშვილძიროდ დარჩა. მართალიმ არც იცოდა, ცოცხალი თუ იყო მამიდა დარიკო, ან

რატომ უნდა ეფიქრა ცოცხალიაო, როცა თვითონ მარო ათასი წლის დედაბერსა ჰგავდა, თუმცა ჩიტივით მსუბუქად კი ტრიალებდა. „პრიუტში“ ნახულობდა ნესტორის შვილიშვილს. კვირაში ერთხელ ტალახაძის ქუჩასაც ააკითხავდა, სახლს გამოხვეტავდა, თვალს შეავლებდა, ხომ არაფერი დაიკარგაო, მეზობლებს დაუბარებდა, თქვენი ჭირიმე, ყური ათხოვეთ, ობოლს რამე არ დააკლდეს, ცოდოაო...

მართლაც ყოველივე ხელუხლებელი დახვდა მართალის, თუმცა სახლს მაინც დაეტყო დიდი ხნის უპატრონობა. ოთახებში სიცივემ დაისადგურა და სახელდახელოდ დანთებულმა ცეცხლმა იგი ვერ გაანელა. ჭერს ლაქები დააჩნდა. ყავარი დალპა და წვიმის დროს წყალი ჩამოდიოდა.

სხვა გზა არ ჰქონდა ობოლს, თვითონვე უნდა მიეხედა ყოველივესთვის, მარტოდმარტოს უნდა აეწყო ცხოვრება. უნდა შეშვებოდა ეფროსა და ცაცანაზე ფიქრს. ესენი რომ არა, სამყაროს რიგი მწყობრად ჰქონდა ჩამოწერილი. ყველაფრისთვის თავისი ადგილი მიეჩინა. ეს ქვეყანა პირამიდას ჰგავდა, რომლის წვერზე მზესავით ანათებდა დიდი ბელადი. პირამიდის რომელიღაც წახნაგში, მის ქვედა საფეხურებზე ჩაიკარგა ცაცანა და ეფრო. ეს იყო ტრაგიკული შეცდომა, რაიც ყოველ დიად საქმეს ახლავს თან. ტატაჩის მკვლელობაც ტრაგიკულ შეცდომათა რიგს განეკუთვნება, თუმცა ტატაჩი ბრალიანია, ღალატის წილ სიკვდილი სამართლიანიცაა. ოღონდაც, ტვინში ვერა და ვერ დალაგდა აზრი, რომ სამართლიანი მსჯავრის აღმსრულებელი მაინცდამაინც ვავა ზარქუა უნდა ყოფილიყო, რომლის თვით გარეგნობაშიც ტყის ურჩხული იკითხებოდა.

ამოიოხრა მართალიმ, თავს ძალა დაატანა, თბილი ლოგინი დათმო. ცივ ტანისამოსს იცვამდა და აჟრჟოლებდა. კუთხესთან მივიდა, შპალერის ნახევი გადასწია. იქ „ყაზაყიში გაზეთი“ იმალებოდა. ტატაჩის სურათი უკვე აღარ ეკიდა კედელზე. იქნებ მარომ გადამალა, ანდა ბიკენტის ხალხმა წაიღო. ეს კი ვერ იპოვეს. მართალი მამას დააკვირდა. რა უნდოდა ტატაჩის? ვის უღალატა ან რას? რის გამო დაიმსახურა ვავა ზარქუას ტყვია?

ვავამ წუხელ მოაკითხა. ეზოში არ შემოსულა, ღობეს მკლავებით გადმოეყრდნო და მოაცივდა.

მართალი აირია, არ იცოდა, რა ეთქვა. იდგა მდუმარედ და შეჰყურებდა თავის მტერსა და მოძულეს.

— ბიკენტი გიბარებს! — ისე გამოსცრა ვავამ, თხელი ტუჩები არც შეურხევია.

უთოვლო, სველი ზამთარი იდგა. მართალიმ ბამბურა გადაიცვა, თავზე ყურებიანი ქუდი ჩამოიფხატა.

საათი არ ჰქონდა და არც ის იცოდა, რა დროს იბარებდნენ. მერეთს გაცრეცილი, თალხი ცა გადმომხობოდა, ქალაქს უსიხარულო იერს აძლევდა.

ტალახაძის ქუჩა სახელწოდებას ამართლებდა. მართალის არყოფნაში მას არაფერი დაჰკლებია და არც არაფერი შეჰმატებია. დრო თითქოს გაჩერდა. ზოგიერთმა მეზობელმა ვერ იცნო. პატარა, მოცუცქნულ ბიჭად ახსოვდათ, ახლა კი ვაჟკაცი ეთქმოდა, საულვაშეზე ღინღლი მოსდებოდა.

რა უნდოდა ბიკენტის, რისთვის იბარებდა? ან ასე უცებ საიდან შეიტყო ყმაწვილის დაბრუნება? მაროს ნათქვამიდან ახსოვდა და თვითონაც გრძნობდა, ბიკენტი რომ არ ივიწყებდა, თითქოს მფარველობდა კიდეც, მაგრამ, ალბათ, საშიში იყო ეს მფარველობა.

მანამდე არასოდეს ყოფილა ამ შენობაში. ჭუჭყიანი ქუჩის შემდეგ მოპრიალებული კიბე და პარკეტი ეუცხოვა. გრძლად დაფენილმა ფარდაგებმა და დერმატინიანმა კარებმა რიდი გაუძლიერეს. კარების წარწერებიც კრძალვას ბადებდა. თეთრ ფონზე მკვეთრად მოხაზული ასოებით მხოლოდ ინიციალები და გვარები იკითხებოდა. თანამდებობები არ აღენიშნათ, ამით ალბათ ამბობდნენ, ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ, ერთ საქმეს ვემსახურებითო. აგერ კარიც — „ბ. ძ. თოლორაია“, თამამი, მსხვილი რუსულით და მორიდებული, წვრილი ქართულით.

მდივან ქალს არ გაჰკვირვებია, სკამზე მიუთითა, თვითონ კი ტელეფონი აიღო, რიჩაგი დაატრიალა და ჩასძახა:

— ამხანაგო ბიკენტი, ბიჭი მოვიდა!

პასუხი მოისმინა, მართალისათვის არაფერი უთქვამს, ყურმილი დადო და საქმე განაგრძო. საქაღალდეში ფურცლებს აკერებდა.

სიწყნარე იდგა. ალბათ მთელ ქალაქში ეს იყო ყველაზე წყნარი და მშვიდი დაწესებულება, მოსაწყენიც კი. საოცარია, თავისი მოკლე ცხოვრების მანძილზე არაერთხელ მიმხვდარა, რომ ქალაქში ეშინიათ ბიკენტი თოლორაიასი, ეშინიათ ამ წყნარი სახლისა. რა უნდა იყოს აქ საშიში? ვისი უნდა გეშინოდეს? თავი ასწია და კედელზე ლავრენტი ბერიას თვალებს შეეფეთა... ვისი უნდა მეშინოდეს და ვავა ზარქუასი, — დაასკვნა თავისთვის... რატომ ითმენს ბიკენტი მოადგილედ ვავას? ის, ალბათ, შემოპარული მტერია და ცდილობს ციხე შიგნიდან გატეხოს...

ცდამ დიდხანს არ მოუწია. კარი გაიღო და ბიკენტიმ და ვავამ კაბინეტიდან უცხო სტუმარი გამოაცილეს. უცხო წავიდა, ორნი კი ყმაწვილის წინ გაჩერდნენ.

ვავას სახეზე კუნთი არ გატოკებულა. მართალი მიხვდა, ამ მელოტის შიგნით, ქოთანში, შხამი და ბალღამი იხარშებოდა.

ბიკენტის პირისახეზეც არ გატოკებულა კუნთი, ოღონდ მკაცრი ნაკვთების მიღმა ლმობიერება ამოიკითხებოდა და მართალიმ სული მოითქვა, გაუმხელელი შიში შორს გადამალა.

— ა, თოდუას ბიჭი გვეწვია! — ხელი ჩამოართვა ბიკენტიმ, მართალის ბავშვური თითები დაიჭირა და არ გაუშვა. — გაზრდილხარ, დაკაცებულხარ! — გაუშინაურდასავით. — გცალია ახლა შენ?

მართალიმ თავი დაუქნია.

— თუ გცალია, მე და შენ ერთად ვისადილოთ!

გასაოცარი და მოულოდნელი იყო ასეთი ბიკენტი. თითქოს თავს უყადრებდა ყმაწვილს, გადაებიჯებინა თავისი ცივი სიამაყისათვის... და ეს ხდებოდა ამ უხსენებლის, ვავა ზარქუას თვალწინ. ეჭვი ფორიაქობდა მართალის სულში, ვერ გაეგო, რა თამაში თამაშდებოდა და ბიკენტის ხელიდან თითები დაიძვრინა.

ვავამ, აქაოდა სადილი მე არ მეხებაო, ზურგი შეაქცია ბიჭს, მდივნის მაგიდასთან დაიხარა და ჩურჩული გაუბა. მისი გამხდარი და მოღუნული ხერხემალი კობრისას ჰგავდა.

კიბეზე რომ ჩადიოდნენ, ბიკენტიმ მხარზე ხელი დაადო, თითქოს ეყრდნობოდა კიდეც, თუმცა ნაბიჯს ახალგაზრდულად ადგამდა და ხელის სიმძიმეშიც ღონე იგრძნობოდა.

მანქანაში ჩასხდნენ, უკან მართალი, ბიკენტი კი მძღოლის გვერდით მოთავსდა. უცებ შემობრუნდა და ჰკითხა:

— ძალიან გიჭირდა, იქ, საბავშვო სახლში?

ყმაწვილმა მხრები აიჩეჩა, თქმით არაფერი უთქვამს. ცხადია, უჭირდა! არა შიმშილის გამო, არა სიცივის გამო... აღარ ესმოდა ცაცანას პუტუნი, ეფროს ჩახლეჩილი, მკაცრი ხმა და იმიტომაც უჭირდა. გული რომც გადაეხსნა ამ კაცისათვის, ყველაფერი რომც ეამბნა, ვითომ გაუგებდა ბიკენტი თოლორაია მართალის გასაჭირს?

— მე არ დამვიწყებიხარ, თვალს ვადევნებდი შენს წარმატებებს!

მართალიმ თავი დახარა, ფრჩხილების შემოწმებას შეუდგა. სხვათა ლექსების ზუთხვას თუ ეძახიან წარმატებებს! ნეტავი რისთვის ელაქუცება? ბიკენტისი მის შვილს ლესტამბესაც ეშინოდა, სხვა ბიჭებს — მით უფრო. ახლა კი მართალის ტოლივით ესაუბრება, თავს უყადრებს... რა ხეირს ელის მისგან?

— არაფერი წარმატებები მე არ მქონია, ლექსებს ვიზუთხავდი და ეგ იყო! — უკმეხად შეეპასუხა, მოუზომავად.

ბიკენტი გაუჩუმდა, ვითომც ვერ შეამჩნია მგლის ლეკვის ეს ღრენა.

— შენ, მგონი, ხატავ კიდეც!

მართალიმ თავი დაუქნია, ლაპარაკი არ ეწადა.

თოლორაიების სახლი დიდი კი იყო, მაგრამ გარეგნობით არ ბრწყინავდა. ძღვიბი მოერიდა თანამოქალაქეთა შესაძლო ჭორებს, აქაოდა მეც ხელმოკლედ ვცხოვრობო და ნაცრისფერი, უშნო ყუთი წამოაყუდა, თუმცა ვინც შიგნით შევიდოდა, შთაბეჭდილება უმალ შეეცვლებოდა, რადგან იმ დროს ქალაქში იატაკზე პარკეტი მეტს არავის ეგო, ჭერზე არავის ეკიდა ჭაღები, კედლებზე იშვიათად თუ ვინმეს გაეკრა ჭრელი ნოხები...

ზინაიდა პეტროვნა თვითონაც შინსახკომის ვეტერანი გახლდათ. საიდან გამოჩნდა მერეთში ეს ცხვირპაჭუა, ცისფერთვალა რუსის გოგო, არავინ უწყოდა. ბიკენტი ეჭვობდა, მეთვალყურედ ხომ არ მომიჩინესო. ტრადიციულად თითო რუსი უნდა ჰყოლოდათ ორგანოს იერარქიულ საფეხურებზე, მარადის მეთვალყურეს ერთი ზედმეტი თვალი არას აწყენდა. ეჭვით შეხედა ბიკენტიმ, მაგრამ დიდხანს ვერ გაუძლო ცისფერი თვალების ჟუჟუნს, აჰყვა ცდუნებას და დაუკრეფავში გაისეირნა. მერე შეუძლებელი აღმოჩნდა ხაფანგიდან თავის დაღწევა და არჩია შინ ჰყოლოდა მოყურადე და ამით აეცილებინა საფრთხე, რაიც ყოველ შინსახკომელს თანა სდევდა.

ამასობაში ზინაიდა პეტროვნამ ლესტამბე გააჩინა, მერე კეკე, ისწავლა ჩიქორთული მეგრულქართული, თუმცა „დონესენიებისათვის“ რუსულიც კმაროდა. ამაებისა მართალიმ არაფერი იცოდა. კედელზე ლამაზი, ცქრიალა გოგოს სურათი რომ დაინახა, იფიქრა, კეკე როგორ გაზრდილაო, მაგრამ სურათი ზინაიდა პეტროვნას ახალგაზრდობისა აღმოჩნდა. თვითონ ზინაიდა პეტროვნა ფაშფაშა, ბარაქიან დედაკაცად გადაქცეულიყო, როხროხებდა, ხმაურობდა, ისე შინაურულად და საფუძვლიანად მოკალათებულიყო ამ სახლში და არა მარტო ამ სახლში, არამედ მთელ მერეთში, თითქოს აქ დათესილი და ამოსული ხე ყოფილიყოს, სულაც არ გრძნობდა თავს უცხო მიწაზე ჩამოხეტებულად, პირიქით, აქაურნი ეჩვენებოდა უცხოტომელებად და მისი ვალი იყო, ისინი თავის ყაიდაზე მოექცია.

— ვინ არის ეს ბიჩი? — იკითხა ზინაიდა პეტროვნამ.

სასტუმროში იყვნენ და მართალის უხერხულობა ბოჭავდა. კედლიდან სტალინი და ბერია გადმოჰყურებდნენ. ამათ პირდაპირ ქოსა ძღვიბიას ჯღანი სიფათი ჩანდა. მხატვარფოტოგრაფს უცდია შეეფერადებინა, ადამიანისათვის დაემსგავსებინა, მაგრამ ამაოდ გარჯილა.

— ძმაკაცის შვილია! — ცივად შეეპასუხა ცოლს ბიკენტი.

„ძმაკაცის შვილი!“ — ყურში დაგვიანებულ ექოდ ჩაესმა მართალის. მეტად ეუცნაურა ეს სიტყვები. „ძმაკაცი“ მტერი ვერ იქნება, „ძმაკაცს“ ტყვიით არ დასდევენ, სასიკვდილოდ არ იმეტებენ.

ბიკენტიმ მხარზე ხელი გადაჰხვია, სიღრმის კარისაკენ უბიძგა, წამო, ვისადილოთო, თან ცოლს ჰკითხა:

— ბავშვები სად არიან?

ლესტამბემ შემოიხედა ამ დროს, თვალები გაუფართოვდა.

— ვეღარ იცანი? — ჩაიხვიხვინა ბიკენტიმ და მართალის ეს სიცილიც ეუცხოვა, არ ეგონა, თუ ბიკენტი საერთოდ იცინოდა.

თავის დროზე ლესტამბე კლასში ყველაზე მაღალი იყო, მაგრამ ზრდა თითქოს შეეწყვიტა. ამასობაში, აგე, მართალი წამოეწია. ძველებურად კვლავ სინათლე გასდიოდა. „ერთი ლაყუნა ვინმეა!“ — შეაფასა მართალიმ. უკვე აღარ სურდა მისი გალახვა, თუმცა ბავშვობის წყენა შერჩენოდა. „მაინც რატომ ვეზიზღები? — არაერთხელ უფიქრია ამაზე. — რა იცის მან ჩემი მშობლების შესახებ? იქნებ აქ, ამ ოჯახში ითქვა რაიმე ისეთი, ლესტამბეს უმწიფარ სულში რომ ჩაეწვეთა?“

ლესტამბე ზღურბლს მოშორდა, ზლაზვნით წამოვიდა და ხელი უხალისოდ გამოუწოდა, თითქოს ეშინოდა, სტუმარმა რამე არ მიხიმანდროსო.

— აკოცეთ ერთმანეთს, ძველი მეგობრები არა ხართ?! — ბიკენტი ერთობოდა ყმაწვილების დაბნეულობით.

ლესტამბეს სიგამხდრისაგან ლოყები ჩასცვენოდა და მართალის კოცნა ჰაერში გამოუვიდა.

— კეკე სადღაა? კეკე! — გასძახა ბიკენტიმ.

გოგონა ზღურბლზე შეყოვნდა. მართალიმ ამ ყანჩაში ძლივს ამოიკითხა პატარა ფერია, „პალტარატონკის“ თავზე გაფრენას რომ ლამობდა. თეთრი, გამჭვირვალე პირისკანი ჰქონდა, დიდრონი თვალები... თითქმის მარტოღა თვალები იყო! ეს ის ასაკია, როცა გოგონები ტანს უცებ აიყრიან, ჯერაც დაუხვეწავნი, უშნოვდებიან, რათა ცოტა ხანში ყმაწვილ ლამაზმანებად იქცნენ. ოღონდ ამისი ცოდნა მართალის არა ჰქონდა და მისი ფარული შეფასება ორჭოფული იყო...

გაშლილი წიგნი გულში ჩაეხუტებინა გოგონას, ეტყობა, წუთის წინ კითხულობდა.

— ესაა ჩვენი კეკე! — საზეიმო კილოთი აღნიშნა ბიკენტიმ. — შენ ალბათ ძალზე პატარა გახსოვს! მოდი, შვილო, ხელი ჩამოართვი!.. ეს რას კითხულობ? — ენა მოუჩლიქა კაცმა. — უ. შექსპირი, „რომეო და ჯულიეტა“... ჰო, ჰო, „ან სამწუხარო სხვა ამბავი იქნება განა, რომეოსა და ჯულიეტას ამბავისთანა...“

კეკემ მამის შეთამაშებას ყური არ ათხოვა, სტუმარს ხელი უხმოდ გამოუწოდა.

„რატომ კეკე?“ — გაიფიქრა მართალიმ, მის ნაცნობებში არავის ერქვა ასე.

ყველანი სასადილოში გავიდნენ. ზინაიდა პეტროვნას სუფრა რუსულ ყაიდაზე გაეწყო — ბორშჩი, მოხარშული კარტოფილი, კიტრის მწნილი, თხლად დაჭრილი ძეხვი და შავი პური... ცხელ წვნიანს მადისმომგვრელი სუნი ასდიოდა და მართალის კუჭი აეწვა.

სიმორცხვე ბოლომდე ვერ დაეძლია. ბამბურა ძლივს გაიძრო, სკამის ზურგზე გადაკიდა. ტანზე ჯერაც „პრიუტიდან“ გამოყოლილი უსახური შარვალპერანგი ეცვა და არ იცოდა, რანაირად დამალულიყო. არადა, კეკემ წიგნი ბუხრის თავზე შემოდო და ცხირწინ დაუსკუპდა, ისე მოსჩერებოდა, უცხო რამ ფრინველს ათვალიერებსო. ამიტომაც გაუჭირდა ყმაწვილს კოვზის აღება, პირს ვერ ახვედრებდა.

— მაშ ხატავ, ხომ? — გაახსენდა მოულოდნელად ბიკენტის.

მართალიმ თავი დაუქნია.

— რა დახატე?

— სტალინი დავხატე, ბერიაც, მოლოტოვიც, ვიშინსკი ტრიბუნაზე...

— მალადჩინა! — ჩამჩა ჰაერში გაუჩერდა ზინაიდა პეტროვნას.

— იქნებ ჩვენც დაგვხატო? — ბიკენტიმ ეშმაკურად მოჭუტა თვალები.

„კეკეს მამის თვალები გამოჰყვა! — გაიფიქრა მართალიმ. — ცხვირიც...“

— აგერ კეკეს დავხატავ! — დასცდა.

კეკეს სიცილმა გაიწკრიალა. ძალიან უხდებოდა. თვალები აუჟუჟუნდა, უსწორო კბილები გამოაჩინა.

„ამნაირ ცივ სახლებში რანაირად იზრდებიან ნაზი გოგონები, საკითხავი აი ეს არის!“

— მაგას რა უნდა? მაიმუნს დახატავ და კეკე იქნება! — ჩაურთო ლესტამბემ.

— მაიმუნის თავი გაბია! — არ შეარჩინა კეკემ.

— აბა, დაშოშმინდით! — წარბი შეჰყარა ბიკენტიმ.

ამ კინკლაობამ ჩვეულებრივი გახადა ეს ოჯახური გარემო, მართალის რიდი მოეხსნა...

არიქა ძაძუა გაახსენდა... დღესასწაულის წინა დღეს სკოლის აივანს რთავდნენ გირლიანდებითა და ყვავილებით. შუაში, სვეტზე სტალინის სურათი დაჰკიდეს. კუკური მასწავლებელმა უკან-უკან დაიხია, თავი განზე გადახარა:

— ა-აქეთ ლენინის სუურათი რომ გვქონდეს, — მარჯვენა სვეტზე მიუთითა, — იიქით ბეერიასი, — მარცხენაზე მიუთითა, — კა�ი იქნება ძაალიან!

— მაგაზე იოლი რაა, — წამოაყრანტალა არიქამ, — ჩვენი ლესტამბე დავკიდოთ და სამივე ერთად იქნება!

ბავშვები ახითხითდნენ. ლესტამბე გალახულივით იდგა. წესით კუკური მასწავლებელსაც უნდა გასცინებოდა, მაგრამ იგი წამოჭარხლდა, ენის ბორძიკი დაავიწყდა და სავსებით გამართულად მოიხმო:

— მოდი, ბიძი, აქ!

არიქა ზლაზვნით მიუახლოვდა, თან ტოლებისაკენ აპარებდა მზერას, აქაოდა, რა ვთქვი ახლა ისეთი, ნუთუ გახუმრებაც არ შეიძლებაო?

კუკური მასწავლებელი შეკუნტრუშდა, ყურში ჩააფრინდა და აქაჩა.

არიქას სიმწრის ცრემლები წამოსცვივდა.

— ეეგ ვინ გასწავლა?

— არავინ, მასწ!

— იიცოდე, ასე თუ გააგრძელე, კოომკავშირში მიიგიღებენ კი არა, პიიონერებიდანაც გაგაბინძურებენ!

ეს შემთხვევა გაახსენდა მართალის, უნდოდა მოეყოლა, კეკე ერთხელაც გაეცინებინა, მაგრამ ენას დროზე დააჭირა კბილები.

— ჩვენთან დარჩი! — ბიკენტიმ მხარზე ხელი მოუთათუნა. — სალაპარაკო მაქვს შენთან! ახლა კი სამსახურში მიმეჩქარება!

— მეც უნდა ცამოვიდე! — აჩქარდა ზინაიდა პეტროვნა. — კეკე, აკაურობა მიალაგე!

„კეკე? სტალინის დედას ერქვა ასე!“ — გაახსენდა მართალის...

3

მერეთში (და საერთოდ დასავლეთ საქართველოში), ვისაც ორსართულიანი სახლი უდგას, მეორე სართულის კიბე პირდაპირ ეზოდან აუდის. ზოგჯერ მეორე კიბეცა აქვთ, უკანა ეზოდან ასასვლელი. ფართო აივნები იციან და რამდენი ოთახიცაა, იმდენი კარი. ალბათ იმიტომაა ასე, სტუმარი და მოყვარე, საიდანაც მოიწადინებს, იქიდან შემოვიდეს, თავი შინაურულად იგრძნოს. არაფერი დაფარული ამ სახლებში არ არის. მეზობლები ისე შემოდიან და გადიან, კარებზე არც აკაკუნებენ... თოლორაიების ციხესიმაგრე სულ სხვა ყაიდაზე იყო აგებული. ამ ნაცრისფერ ყუთს რამდენიმე ვიწრო ფანჯარა ჰქონდა და წინიდან ერთადერთი, მჭიდროდ მიგმანული კარი. მეორე სართულის კიბე შიგნითვე ჩაეყოლებინათ. ასე ინება ძღვიბიმ, მტერმრავალმა და წინდახედულმა კაცმა.

— ჩემი ოთახი ზევითაა! — ლესტამბემ მართალი შიდა კიბით მეორე სართულზე აიყვანა. — მოდი, რაღაცა გაჩვენო!

ლესტამბეს ოთახი პატარა სენაკსა ჰგავდა. საწოლი, საწერი მაგიდა და სკამიღა ეტეოდა. ლოგინი ჯარისკაცურად, კოხტად გაესწორებინა. მაგიდაზე წიგნები, რვეულები და საწერკალამი წესიერად ეწყო.

— სადმე ხომ არ წამოგცდება? — ლესტამბე შეთქმულივით აჩურჩულდა. — მამამ მითხრა, სანდოაო, თუმცა მე მეეჭვება!

მართალი გაწითლდა, მხრები შეაქანა.

— თუ არ მენდობი, ნურც ნურაფერს მიჩვენებ!

— სანდო ადამიანი იშვიათია, — ღრმააზროვნად განაცხადა ლესტამბემ, — ადამიანთა უმრავლესობა გულის სიღრმეში მოღალატეა. მიეცემათ საბაბი და უცებ გიღალატებენ!

— შენ საიდან იცი?

— შევისწავლე! — წაიტრაბახა ლესტამბემ, ცდილობდა შთაბეჭდილება მოეხდინა. — შენ მე არიქა ძაძუა არ გეგონო, ანდა დურუ გეგია!

— არიქა ძაძუა? — გაკვირვებით ჩაეკითხა მართალი.

— ერთიც ნაგავია და მეორეც! — ქედმაღლურად მოჭრა ლესტამბემ. — თექვსმეტისანი არიან და თავი ბავშვები ჰგონიათ... სხვა ბიჭებიც! სულ იმაზე გაფაციცებულან, ბურთი როდის გაიტანონ და ჭკუასუსტ გოგოებზე იხითხითონ!

— შენ რაზე ხარ გაფაციცებული?

— მე? — გაწელა ლესტამბემ, ვიწრო თვალები მიაცივა. როგორ განსხვავდებოდა კეკესგან, ვინ დაიჯერებდა ამათ დაძმობას. „სულ სხვა სისხლისა და ჯილაგისაა!“ — გაიფიქრა მართალიმ. ლესტამბემ კი დაგემოვნებით გაიმეორა: — მე?.. ვემზადები!

— ემზადები?

— ჰო, ვემზადები... აი!

ხელი შეყო ლეიბის ქვეშ და იქიდან ჭუჭყიან ჩვარში გახვეული ნივთი გამოაძვრინა. ჩვარი შემოხსნა, ვერცხლისფრად მოლაპლაპე რევოლვერი იყო.

— „ვალტერია“? — მართალის აღტაცებისაგან სუნთქვა შეეკრა.

— ხომ მაგარია?

— მაგარია! მომაკიდებინებ?

— ჰა, ოღონდ ფრთხილად!

მართალიმ სათუთად მოჰკიდა ტარში ხელი, სიმძიმე ესიამოვნა. ფანჯრისაკენ გაიშვირა და ვითომც გაისროლა.

— ბუჰ!

— ფრთხილად, ტყვია პირში აქვს!

— მაინც სად იშოვე?

— არ გამცემ? — ერთხელაც დაეჭვდა ლესტამბე, — დაიფიცე!

— ღმერთირჯული...

— ვავა ზარქუას მოვპარე!

— მოჰპარე? — პირი დააღო მართალიმ.

— ჰო! იშვიათად სვამს ხოლმე და ცოტაზე ითვრება. ჩვენთან დათვრა, ტვინი ეღრძო და აყალმაყალი ატეხა, აიჩემა, უნდა გავისროლოო... მერე წაიქცა, ძლივს ავაყენეთ, ეს კი დივანქვეშ შეუცურდა. მეორე დღეს მოვიდა, გამომიხმო და ყურში მკითხა, ხომ არ გინახავსო... თავი მოვიკალი, სად ვნახავდიმეთქი...

იყო ამ ამბავში რაღაც უსიამოვნო, მაგრამ მართალიმ შურისძიებით ტკბობა იგრძნო.

— რომ გაიგონ, რას უზამენ?

— კედელთან მიაყენებენ! — დაბეჯითებით თქვა ლესტამბემ და უცებ მძულვარედ დაამატა: — ახია მაგაზე, მამაჩემს უთხრის სამარეს...

— შენ რა იცი?

— მე არაფერი გამომეპარება! დააკვირდი, თუ შხამიან კობრას არა ჰგავს! ემზადება, ემზადება და უცებ ნახტომი, პირდაპირ ცხვირპირში... არ გამოუვიდა! ახლა დაჩუტული დადის, თავს იმკვდარუნებს!

— მაშ შენ ამისთვის ემზადები?

— რისთვის?

— ვავა ზარქუა უნდა დაამარცხო?

— საქმე ისე უნდა შევუტრიალო, თავისი თავი თვითონ დაამარცხოს! — ჩაიხითხითა ლესტამბემ.

„ესეც ვავა ზარქუაა, — ზიზღით გაიფიქრა მართალიმ, — კობრა შეხვდა კობრას!“

ეს „ვალტერი“ ბავშვისთვის სათამაშოა, დიდისთვის სასიკვდილო იარაღი. თექვსმეტი წლის ადამიანი ბავშვიც არის და დიდიც... ზურგი შეაქცია ლესტამბეს, ვიწრო სარკმელში გაიხედა... ხეხილის შიშველი ტოტები ნესტით გაჯერებულა. მეზობელი სახლის აფიცრული კედელი და ყავარი გაშავებუ-

ლა... მოეჩვენა წამიერ, რომ ციხეშია გამომწყვდეული, აქედან არასოდეს გამოუშვებენ... ჩხაკუნი მოესმა და შემოტრიალდა.

ლესტამბეს „ვალტერი“ ჩვარში გაეხვია და კვლავ ლეიბის ქვეშ ჩურთავდა. მოიხედა, დიდრონი კბილები პირში ვერ ეტეოდა, ტუჩებს უსველებდა.

— ვიცი, იარაღზე ფიქრობ, — ლიზღურად გაიღიმა, — ყველა ბიჭი იარაღზე ოცნებობს. ჩემთვის კი ეს მხოლოდ რკინაა...

— რკინა?

— ჰო! გასროლა რომ მოვინდომო, ვიღაცა დამასწრებს და სიცოცხლეს გამომასალმებს. ამიტომ მე სხვა იარაღით შევიარაღდი, იმის გასროლას კაცი ვერ გაიგებს, მე კი სარგებლის მეტი არაფერი შემხვდება!

„როგორ დაჭკვიანებულა, — უკვირს მართალის, — ბრძენკაცივით მსჯელობს, ოღონდ ენის წვერიდან გველის სიბრძნე გადმოსდის. რატომ ცდილობს ჩემი გულის მოგებას? ადრე ვეზიზღებოდი...“

— მაინც რა იარაღია ისეთი?

— ცოდნა! — თავდაჯერებით თქვა ლესტამბემ. — ადამიანთა უმეტესობა ნაგავია, ოღონდ კაცი იმისია, თავი ანგელოზად მოგაჩვენოს. საკუთარი მახინჯი სიფათის დანახვა სარკეშიც არავის გაუხარდება. ვთქვათ, შენ იცი, რომ ის კაცი ნაგავია, და ნაგავმა, რომელსაც თავი ანგელოზად მოაქვს, გაიგო, რომ შენ ის შეიცანი. რას იზამს ამ შემთხვევაში? ოღონდ არ გამამხილოო და შენი მონამორჩილი შეიქმნება...

— იმ ნაგავმა რომ აიღოს და მუცელში დანა გაგიყაროს?

— რა თქმა უნდა, ესეც შესაძლებელია. ავიღოთ, მაგალითად, იგივე ვავა ზარქუა. მე ვიცი, რომ იმან სიმთვრალეში „ვალტერი“ დაკარგა. იმან იცის, რომ მე ეს ვიცი. ესე იგი, მისთვის საშიშროებას წარმოვადგენ. მე წინასწარ უნდა ვიცოდე, იგი რას მოიმოქმედებს. ვფიქრობ, ჩემს მოკვლას არ ისურვებს, ახალგაზრდა ვარ და სულელი ვგონივარ. ამიტომ ხვალზეგ კამფეტებს მომიტანს, ან იქნებ ფოტოაპარატი მაჩუქოს, ან ჯიბეში სახარჯი ფული ჩამიჩხრიალოს...

— დიდი მეზღაპრე ყოფილხარ, — ნაძალადევად გაიცინა მართალიმ, — ერთი კილო კამფეტით გინდა მომავალი აიშენო?

— ყოველი დიდი მცირესაგან შედგება! — ლესტამბე აშკარად ტკბებოდა თავისი ჭკუით. — გახსოვს, მე და შენ რომ ვიჩხუბეთ? ძველი ამბავია და ნუ მიწყენ! მაშინ უკვე მქონდა მიზანი...

მართალის გული შეეკუმშა, ბაგე გაუთეთრდა.

— მაშინ მე უკვე ვიცოდი, რომ ხალხის მტრის შვილი იყავი, დედაც ანტისაბჭოთა ელემენტი გყავდა, მამაც...

მართალიმ ხმის ამოღება ვერ შეძლო, თითქოს კბილი კბილს მიეწება.

— მერე გავიგე, მოღალატე მამა თვითონ ჩაგიბარებია!

— მეე? — ძლივს ამოღერღა მართალიმ.

— ჰო, ამისი გახსენება იოლი არაა, მაგრამ რა ვუყოთ! მამათა დანაშაულზე შვილები პასუხს არ აგებენ! მამაჩემმა ამიხსნა, შენ მიგინიშნებია, სადაც უნდა ეძებნათ ტატაჩი თოდუა... კვალს დაადგნენ და მიიმწყვდიეს კიდეც...

მართალიმ სისუსტე იგრძნო, მუხლები მოუდუნდა, თვალში ბინდი ჩაუდგა, ყურებში ბამბა ჩაუფინესო, ლესტამბეს ხმა ძლივსღა ესმოდა.

— ასეთი გმირობა პავლიკ მოროზოვმა ჩაიდინა... რა მოგივიდა?

— არაფერი.

— ცუდად ხომ არა ხარ? აგერ წამოწექი!

ხელი შეაშველა, საწოლზე წამოაწვინა.

— რა მოგივიდა?

— არაფერი! მცივა!

ლესტამბემ საიდანღაც პალტო გამოათრია, დაახურა, სკამი გამოსწია და დაჯდა. მეტს არ ლაპარაკობდა, ან იქნებ ლაპარაკობდა კიდეც, მაგრამ მართალის არაფერი ესმოდა. ბურანში ჩაეშვა, თითქოს ოთახში ნისლი დადგა. იმ ნისლში კეკეს თვალები გამოიკვეთა. ჯერ თვალები დაინახა ყმაწვილმა, მერე მთლიანად პირისახე. დაიხარა კეკე, ბაგეებს ამოძ-

რავებდა და უსწორო კბილები მოუჩანდა. ალბათ რაღაცას უხსნიდა, თან უფრო და უფრო უახლოვდებოდა... კეკემ მისი თავი ჩაიხუტა, ასწია, პირთან ჭიქა მიუტანა. ყლუპი მოსვა მართალიმ, გული გაუგრილდა... გონს მოეგო.

ოთახში კეკე არ იყო, ლესტამბე დაჰყურებდა გაკვირვებით.

— შემცივდა რაღაც! — თავი იმართლა მართალიმ, პალტო გადაიძრო და წამოჯდა.

— ჰო, აქ ცივა, პალტო მოიხურე!

— არაა საჭირო! — მართალის შერცხვა თავისი სისუსტისა. — ჰო, მართლა, შენ ამბობ, ვიცოდიო. მაშინ ხომ პატარა იყავი, თერთმეტისა ან თორმეტისა, საიდან გეცოდინებოდა?

ლესტამბემ ჩაიქირქილა, ვიწრო თვალებში სიამაყის შუქმა გაკვესა, მაგიდის უჯრა გამოსწია.

— აი!

უჯრა გადატიხრული იყო მუყაოს ნაჭრებით. მოჩანდა ალფაბეტის ასოები ანიდან ჰაემდე. მჭიდროდ ელაგა კონვერტები, ზოგი თხელი, ზოგიც საკმაოდ სქელი.

— რა არის ეს?

ლესტამბემ ხელი ჩაყო. „ზ“ს რიგიდან ერთი კონვერტი ამოაძრო, ზედ ეწერა: „ზარქუა ვავა“.

— ჩემი გვარიცაა?

— ლესტამბემ თითების სწრაფი მოძრაობით ამოაძრო სხვა კონვერტი, ზედ ეწერა: „თოდუა მართალი“.

— ეს რა, თამაშია?

— ჰო, თამაშია! სხვები ბურთს დასდევენ, მე კი ამით ვერთობი! ათი წლისამ დავიწყე. დედამ მასწავლა, ოღონდ ის არ იცის, აქ რომ მისი სახელიცაა, მამიკოსიც...

— ვერაფერი გავიგე! — წამოიძახა მართალიმ. — რას ნიშნავს ეს კონვერტები, რა დევს შიგნით?

— შენ მაგას ვერც გაიგებ! რაც ამ კონვერტებშია, ამას ჰქვია „აგენტურული მონაცემები“. დიახ! ვიღაცამ ქრთამი აიღო, ვიღაცამ კაცი გაძარცვა, ვიღაცა ანტისაბჭოთა ანეკდოტებს ყვება... ყველაფერი ამ კონვერტებში იყრის თავს. მთელი ქალაქი აქაა, აი, ასე მყავს გამოჭერილი. თუ მოვინდომე, ვინაც მომეპრიანება, იმას ჩავაყუდებ ციხეში!

ამბობდა ამას და ქირქილებდა. მართალი პირდაღებული შეჰყურებდა და თავი ზღაპარში ეგონა. როდისროდის ხმა ამოიღო და ენის ბორძიკით შეეკითხა:

— მაშ შპიონი ხარ?

ლესტამბეს წყენა დაეტყო.

— შპიონი, იმპერიალისტებს ვინც მიეყიდა, ისაა, ჩემს საქმეს კი დაზვერვა ჰქვია!

— არ გეშინია?

— რისი?

— ასე რომ მენდე! ვთქვათ, გავედი აქედან და მთელ ქალაქს მოვდე ეს ამბავი!

ლესტამბეს თვალებში ცეცხლი ჩაუქრა, ნირი მაინც არ შეცვლია. უჯრა მიხურა და საზიზღარი ღიმილით თქვა:

— ვინ დაგიჯერებს! — ენის წვერით ტუჩები მოილოკა და ხმადაბლა განაგრძო: — ერთ იგავს მოგიყვები: წარმოიდგინე, რომ ოჯახში სტუმრად ბრძანდებოდა შინსახკომის თანამშრომელი. კაცი დათვრა და ამ დროს „ვალტერი“ დაეკარგა, სადღაც დივანის ქვეშ შეუცურდა. ის რევოლვერი ორმა ყმაწვილმა იპოვა. ეცნენ და ერთმანეთს ეჯაჯგურებიან, არა, ჩემია, არა, ჩემიაო... რევოლვერი „ბუჰ“ და გავარდა! ერთი ყმაწვილი დაიღუპა, მეორე ზის და ცხარე ცრემლებით ტირის... ერთი სამარეში წევს, მეორე, რაკი უწლოვანია, მცირე სასჯელს იხდის ციხეში, სადაც დედიკო წამდაუწუმ უგზავნის ამანათებს... გაიგე?

გაიგო მართალიმ, რა თქმა უნდა, გაიგო! „ნეხვის ჭია!“ — გაიფიქრა ამრეზით...

4

წასვლა რომ დააპირა, სწორედ მაშინ მობრუნდნენ ბიკენტი და ზინაიდა პეტროვნა.

ყმაწვილები ბუხართან თბებოდნენ. კეკეს წიგნი მუხლებზე ედო და თვისთვის ხმადაბლა ბუტბუტებდა: „ოი, რომეო, ო, რომეო, სად ხარ რომეო?..“ მამის დანახვისთანავე წიგნი დაკეცა და ბუხრის თავზე შემოდო.

— ხომ შეეწყვეთ ერთმანეთს? — იკითხა ბიკენტიმ.

ზინაიდა პეტროვნამ კუშტად შეხედა მართალის. სამსახურიდან უგუნებოდ დაბრუნდა და ჯუჯღუნით შევიდა სამზარეულოში. იქ ქვაბებს აუტეხა რახარუხი.

— ნუ გეშინია, როგორც ქუხს, ისე არა წვიმს! — თვალი ჩაუკრა კაცმა მართალის.

ყმაწვილი ფეხზე წამოდგა, ბუხრის ამყოლს მიეყრდნო.

ბიკენტიმ გახდა დაიწყო. კეკემ ლაბადა ჩამოართვა და დასაკიდებლად წაიღო.

ლესტამბემ ჩექმებზე უტაცა ხელი, ეჯაჯგურა, ეჯაჯგურა, ძლივს წააძრო. ბიკენტიმ შვებით ამოისუნთქა, ფეხები ფლოსტებს წაატანა.

— უჰ, მოვკვდი კაცი!

ბუხართან მივიდა, ცეცხლს მიეფიცხა.

— ისეთი უჟმური ამინდია, გარეთ გასვლა აღარ მოგინდება! ზინაიდა პეტროვნას გადაედო, მგონია! ე, ჩართო მძიმე არტილერია!

ზინაიდა პეტროვნას, ეტყობა, ქვაბი ძირს გაუგორდა და რუსული სიუხვით იწყევლებოდა.

— თუ ადამიანს ჯუჯღუნით უნდა გულის მოოხება, მისი ნებაა! — ბიკენტიმ სკამი მოსწია და დაჯდა. — დაჯექი, რას დამდგარხარ! — მართალის მიმართა, მერე ლესტამბეს მიუბრუნდა: — გადი, ბიჭო, შემოსასვლელში შეხვეული დევს და მომირბენინე!

ლესტამბე დაუზარებლად გავარდა და წუთში მობრუნდა, თან შეხვეული მოიტანა.

— ეს მართალის საჩუქრად! — საზეიმოდ წარმოთქვა ბიკენტიმ და გაზეთი შემოაცალა. სახატავი ალბომი აღმოჩნდა. თან პატარა კოლოფიც ახლდა, შიგ გრაფიტის ნატეხები იდო.

მართალი გაწითლდა, მადლობის სიტყვები ძლივს ამოღერღა. ბუხრის კუთხესთან ჯორკოზე ჩამოჯდა. ზურგით კედელს მიეყრდნო. ალბომი გადაკეცა, ქაღალდის თეთრ პირს ხელისგული გადაუსვა. სასიამოვნო სიგრილე იგრძნო. გრაფიტის ნატეხი აიღო და მიიხედმოიხედა, დაფიქრდა, მერე კეკეს ხელი დაუქნია.

— მანდ დაჯექი, სინათლეზე! აქეთკენ მოიხედე!

კეკეს ლოყები აუღვივდა. სკამზე ჩამოჯდა, ფართოდ გახელილი თვალები მოაპყრო.

მართალის მცირე ხნით დაავიწყდა ბიკენტისა და ლესტამბეს არსებობა. ცოტა ხანს უყურა გოგონას. „შე უშნო და გონჯო!“ — მოფერებით გაიფიქრა და პირველი ოვალი ჩამოუშვა... დიახ, ეს კეკეს ლოყაა... ორი, ზეაწეული ფრთა გოგონას წარბებია... დიდხანს, დიდხანს ხატავდა მართალი კეკეს დიდრონ თვალებს, ცდილობდა სიცოცხლე მიეცა, შავი გრაფიტით მოხაზულს ცისფერიც არ დაჰკარგვოდა...

ბიკენტი უხმოდ იჯდა. მართალი ვერ ხედავდა, რომ კაცის პირისახეზე ხან სინათლე გადაივლიდა, ხან ჭმუნვის ჩრდილი... ლესტამბე ვერ ისვენებდა, ცმუკავდა, ტუჩებს ენის წვერით ისველებდა.

ბოლოს გაცოცხლდა ორი თვალი... უფრო იოლი აღმოჩნდა წვრილი თმების ჩამოყრა შუბლზე, თმის ჩანჩქერის ჩამოშვება ყურის ეჟვანზე და იქამდე, სადაც კეკეს გამხდარი მხრები იგულისხმებოდა... გრაფიტის ერთი მოსმით ჩაახატა სწორი ცხვირი, მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული... ადვილი იყო ნიკაპის მომრგვალებაც, მაგრამ კარგა ხანს ეწვალა, რათა სუსტი, მორცხვი ღიმილი დამჩნეოდა ბაგეთა კუთხეს და ცოტათი გახსნილი ტუჩების მიღმა უსწორო კბილები ოდნავღა დალანდულიყო...

შემობაჯბაჯდა ზინაიდა პეტროვნა, თვალი გაკვირვებით შეავლო ბუხრისპირას დადუმებულებს.

— რა მოგივიდათ, კელეხია?

მართალის ხელი გაუჩერდა, ამოიოხრა, თითქოს გამოეღვიძაო, ფურცელი ფრთხილად ააძრო და კეკეს გაუწოდა.

— ჰა!

ბიკენტიმ ჰაერშივე შემოაბრუნა, დახედა.

— აუჰ, ვერც წარმოვიდგენდი, ჩვენი კეკე თუ ასეთი ლამაზია!

დახედა ზინაიდა პეტროვნამაც.

— მარტლაც გავს! მალადეც, ბიჩო!

ბედნიერებისაგან სახეაცისკროვნებული კეკე დაბზრიალდა და აკისკისდა.

ლესტამბემ ნახატს ენა გამოუყო.

— რაც გინდა შეალამაზე, მაიმუნი მაიმუნად დარჩება!

— მაიმუნის თავი გაბია! — არ შეარჩინა კეკემ, ფურცელი ჰაერში ააფრიალა და თიკანივით შეკუნტრუშდა.

— კაი, ნუ გასულელდიტ, ახლა ვახშამი ვჩამოტ! — ზინაიდა პეტროვნას გუნება გამოუკეთდა. — ცამოდიტ, მომეხმარეტ!

ბიკენტი ცეცხლს მიაჩერდა, თავის საფიქრალს ჩაუღრმავდა.

ახალგაზრდები დასახმარებლად დაიძვრნენ. მართალიმაც წამოიღო თეფშები, სუფრაზე გაჩნდა წიწიბურას ფაფა და ახლადგაცხელებული კატლეტები, წვრილად დაჭრილი კომბოსტოს მწნილი, ხილის ჩირის კომპოტი... „მთლად რუსულ ყაიდაზე ცხოვრობენ!“ — დაასკვნა მართალიმ. „პრიუტშიც“ რუსულ ყაიდაზე კვებავდნენ, მაგრამ ხანდახან მაროს ჩამოჰქონდა სოფლური ძღვენი.

ჩუმად ვახშმობდნენ და ამ სიჩუმემ თანდათან სიცივე ჩამოაფინა. იგრძნო მართალიმ, უცხონი ისხდნენ მაგიდის ირგვლივ... ცოლი ეომებოდა ქმარს... შვილი ეომებოდა დედას და მამას... მამამ იცოდა, სად გადიოდა ფრონტის ხაზი, მაგრამ მოწინააღმდეგეთა ძალას არაფრად აგდებდა... მარტო კეკე იყო ამ სახლში ზღაპრეთიდან ჩამოფრენილი ჭრელი ჩიტი, რომელსაც ამ დიდი ომისა არაფერი ეჩერჩეტებოდა... მისი

გონება დღეს მონტეკებისა და კაპულეტების ომით იყო დაკავებული...

მართალიმ უხერხულად ჩაახველა.

— ძია ბიკენტი, შეიძლება შეგეკითხოთ?

ბიკენტის სახეზე მკაცრი სიმშვიდე ეფინა. ამ სიმშვიდეში იგულისხმებოდა, სათქმელი გამოზომე, ზღვარს არ გადასცდეო. ზინაიდა პეტროვნამ ყური ცქვიტა. ლესტამბემ ჩანგალი დადო, თითი პირში ჩაიდო, რათა ხორცის ნარჩენი კბილიდან ამოეჩიჩქნა. მხოლოდ კეკე მიირთმევდა უდარდელად თავის თალიას.

— ვინ არის ვავა ზარქუა?

ზინაიდა პეტროვნას ლუკმა გადასცდა, ხველებით ჩაიცინა:

— ბიჩო, არ იცი, ვინ არის ვავა ზარკუა?

ბიკენტიმ ფიქრიანად შეხედა ყმაწვილს. მის თვალებში იკითხებოდა, მიგიხვდი, ჩემო მართალი, შენ არც არაფერი დაგვიწყებია და დავიწყებასაც არ აპირებო, თქმით კი გაზეთის მოწინავესავით მოზომა:

— ვავა ზარქუა ერთგული სტალინელია!

მართალიმ მადა უცბად დაკარგა. კომპოტიანი ჭიქა გასწია და თხოვნის კილოთი თქვა:

— მე აწი წავალ, ჰა!

— ჩვენთან დარჩი! — ბიკენტიმ გაუღიმარი თვალები გაუსწორა. — ტალახაძის ქუჩამდე შორია, გზაში ტალახით ამოიგანგლები... დარჩი, ადგილი ბევრი გვაქვს!

— დარჩი, ბიჩო, ადგილი სავსე გვაკვს! — ჩაურთო ზინაიდა პეტროვნამაც...

5

ბიკენტიმ გაზეთი „კომუნისტი“ გადაშალა. პირველ გვერდზე გენერალისიმუსის დიდი პორტრეტი ეხატა. იქვე ეწერა სხვადასხვა მხარეებიდან მოსული ცნობები ნაირნაირ წარმატებებზე. ყველაზე დიდი მიღწევა, რა თქმა უნდა, ვოლ-

გადონის არხი იყო... *„ლენინის არხით გავიდა გემი, დროშები ფრთებს შლის კიდიდან კიდით, ჩქეფს ვოლგადონი ტალღების ჩქეფით, გემი „სტალინი“ ამაყად მიდის...“*

ზინაიდა პეტროვნამაც ბუშტუკა ცხვირზე სათვალე წამოიკვეხა და „პრავდა“ გახსნა. იმაშიც იგივე ამბები იყო დაბეჭდილი, ოღონდ უფრო ჩაგემოვნებით და საფუძვლიანად. განსაკუთრებით სიამოვნებდა წერილები ჯაშუშებსა და მკვლელებზე პროფესორექიმების ნიღბით.

ლესტამბე თავის სენაკში განმარტოვდა. იქნებ საიდუმლო ბარათებში შეჰქონდა, თუ რა დასცდა მამას, რა დაარეხვა დედამ და რა წამოაყრანტალა დამ...

კეკემ მკლავზე ხელი სტაცა მართალის.

— წამო, ნახატი ჩემს ოთახში დავკიდოთ!

იგი დედასთან იძინებდა, მეორე სართულზე, ორადგილიან, ფართო სარეცელზე, რომელზეც, ალბათ, კეკეს დაბადებამდე თვით ბიკენტი იწვა, მაგრამ მერე ან აქედან გააგდეს, ან თვითონ გადაბარგდა პირველ სართულზე და იმ დღიდან ზევით არც ამოსულა... ეს ყველაფერი კეკემ კიბეზევე ჩაუკაკლა მართალის, გულუბრყვილო სიხარულით, რომ დედის გვერდით ასპარეზი თვითონ დარჩა.

საკმაოდ ფართო ოთახი ქალისას კი არა უფრო ჯარისკაცის სადგომსა ჰგავდა. მის მკაცრ სიცარიელეს სარეცლის ზურგზე გადაკიდებული კეკეს ჭრელი კაბები თუ ავსებდა.

თვალი ოთახის კუთხეზე გაუშტერდა. იქ, მომცრო საჟურნალო მაგიდის თავზე მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული სტალინის პორტრეტი ეკიდა. დიდ ბელადს ხელები უფლის ძესავით მიეტყუპებინა და მაღლა სივრცეში იყურებოდა. თავზევით შარავანდად მზის ოქროსფერი სხივები იშლებოდა. პორტრეტზე ორივე მხრიდან ხავერდის წითელი ფარდა გადმოეფინებოდა. მაგიდაზე მომცრო ლამპადა იდგა, სანთელი ბჟუტავდა.

— რა არის ეს? — გაოცდა მართალი.

— სტალინია, ვერა ხედავ?

— სტალინს ვხედავ, მაგრამ ეს ფარდები, შარავანდი, სანთელი...

— დედაჩემს ასე მოსწონს... დაუდგება და ცოცხალსავით ესაუბრება... მეც... — კეკე პორტრეტის წინ დადგა, შეტყუპებული ხელები ასწია და ბავშვური, აკანკალებული ხმით შესთხოვა: — დიდო სტალინ! იყავ დღეგრძელი და უკვდავი! გეხვეწები, გადამირჩინე დედა და მამა! მიანიჭე მათ ჯანმრთელობა და დიდი ხნის სიცოცხლე! ჭკუა მოუმატე ჩემს ძმას ლესტამბეს! ხელი მომიმართე სწავლაში, შრომასა და ცხოვრებაში!

„ეს ყოველივე თამაშია!“ — გაიფიქრა მართალიმ.

კეკე წამოდგა, სერიოზული თვალებით შემოჰხედა და წყნარად თქვა:

— იმას ყველაფერი ესმის, ყოველი ადამიანის საწუხარი გულთან მიაქვს!

— ესეც დედამ გასწავლა?

— ჰო, ძილის წინ ასეთი სიტყვებით ეხვეწება!

„ნუ იმეორებ დედის სიტყვებს! — უნდოდა ეთქვა მართალის. — უმჯობესია ჯულიეტას სიტყვებით ილაპარაკო!“ — ხმამაღლა კი არა უთქვამს რა.

კეკემ ოთხი ჭიკარტი იპოვა. ნახატი საწოლის თავზე გააკრეს. იმ ადგილზე კედელს სუსტი ბინდი ეფინებოდა და ნახატის კეკე უფრო მომხიბლავი და იდუმალი გამოჩნდა.

— წავიდეთ?

კეკემ კვლავ ბელადის პორტრეტს შეხედა... მართალიმ გამოაჯავრა, ხელები შეატყუპა და ვითომ ლოცვა აღავლინა:

— დიდო სტალინ! იყავ დღეგრძელი და უკვდავი! მაპოვნინე ცაცანა და ეფრო ბებიები! მომეცი დიდხანს სიცოცხლე და ცოდნა, თუ როგორ ვიცხოვრო!

იოსებ ბესარიონის ძემ თავი ოდნავ მოაბრუნა და თვალი ჩაუპაჭუნა... ამ დროს უკან გადავარცხნილი თმები შეერხა და მართალის მოეჩვენა, რომ დიდ ბელადს პაწია რქები გამოუჩნდა.

დამფრთხალმა ყმაწვილმა კარისაკენ დაიხია. კეკეც გამოჰყვა, ოღონდ ამას უჩვეულო არაფერი უნახავს.

ბუხართან ზინაიდა პეტროვნა იცდიდა.

— სად დაგკავს ეს ბიჩი? — უკმაყოფილოდ უთხრა კეკეს. — დაცოლის დროა, ცადი ახლავე, მეც მოვალ!.. ბიჩო, შენ აკ დაცვები, ნუ გეშინება, მეზობლად ბიკენტის დზინავს!

ბიკენტის მართლაც ეძინა, მისი ოთახიდან მსუბუქი ხვრინვა მოისმოდა.

მართალი საწოლზე ჩამოჯდა, ფანჯარაში მთვარემ შემოაჭყიტა.

გაუხდელად წამოწვა. ციოდა. სჯობდა ლოგინში ჩათბუნება, მაგრამ ვერ ბედავდა, რადგან ამ დიდ სახლში რაღაც საფრთხე იმალებოდა.

ზემო სართულიდან ზინაიდა პეტროვნას მძიმე ფეხის ხმა მოისმა. მერე მისი ჩახლეჩილი რეჩიტატივი, ალბათ ლამპადის წინ იდგა და სტალინის პორტრეტს ესაუბრებოდა. მერე კვლავ გაისმა ფლოსტების ფრატუნი, საწოლის ზამბარები აჭრიალდა და სახლში სიწყნარე ჩამოწვა.

რა უნდოდა, რატომ დარჩა მართალი ამ სახლში?.. ზინაიდა პეტროვნას იგი აშკარად არ მოსწონდა... არც მართალის დახატვია ეს დედაკაცი გულის ფიცარზე... აქეთ ლესტამბემ მოუსინჯა კბილები... ადამიანი ვერ გაიგებს, რა ზრახვა უდევს ბიკენტის გულში. თითქოს ეფერება კიდეც, მაგრამ რატომ უნდა მოეფეროს კაცი, რომელიც ტატაჩის კვალს დაადგა და ვავა ზარქუას ხელში რევოლვერი ჩაუდო...

ფიქრისაგან თავი ასტკივდა. ბურანში ჩაეშვა. ვერ ხვდებოდა, სიზმარი იყო თუ ცხადი. თითქოს რაღაც ცივი და მძიმე დააწვა მკერდზე, სუნთქვა შეუკრა... გამოეღვიძა... სიცივისაგან გათოშილიყო და აკანკალებდა... სარკმელში ისევ ისე იყურებოდა მთვარე... ზემო სართულზე ვიღაცა დინჯად დააბიჯებდა...

„ვინ უნდა იყოს?“ — სმენა დაძაბა მართალიმ.

მეზობელი ოთახიდან მსუბუქი ხვრინვა ისმოდა. თავის ოთახში ზინაიდა პეტროვნა ფშვინავდა. ლესტამბესა და კეკეს მჩატე ნაბიჯებს არა ჰგავდა ეს უცნაური ხმები.

ვიღაცა პარკეტზე დააბიჯებდა მძიმე, დინჯი ნაბიჯებით.

„ნუთუ?“ — დაუჯერებელი ფიქრი აეკვიატა.

ძილი საბოლოოდ დაუფრთხა. ალბათ ჰალუცინაცია აწუხებდა, ის ხმა მის ტვინში ხმიანობდა. უნდა ამდგარიყო და ბიკენტი გაეღვიძებინა.

სითამამე არ ეყო. ჩუმად წამოდგა, ბნელში ფანჯრის საკეტი მოძებნა.

ფანჯარა გააღო. გარედან ნესტით გაჯერებული სიგრილე შემოვიდა, დაჰბურძგლა.

ვიღაცა უკვე კიბეზე ჩამოდიოდა... ლოდინის დრო აღარ დარჩა... მართალიმ იშვირა ფეხი და ფანჯრიდან ისკუპა.

ფრთხილად გაიქცა მესერისაკენ, შარაზე გაძვრა და შვებით მაშინღა ამოისუნთქა.

მოსახვევთან კაცმა გააჩერა, პირისახეზე ფარანი მოანათა.

— ა, მართალი თოდუა, შენა ხარ?

ვავა ზარქუა იყო ის კაცი...

6

ლესტამბეს ჭოტივით თვალგახელილს ეძინა ხოლმე. მცირე ძილიც ყოფნიდა. არადა, გვიანობამდე უჯდა მაგიდას და კონვერტების თვალიერებით ერთობოდა. უკვე იმდენი დაუგროვდა, ასეთ სამუშაოს ალბათ სერიოზული დაწესებულება ვერ მოაბამდა თავს. აქ იყო აღნუსხული მერეთელთა დიდი და მცირე შეცოდებანი. კარგად იცოდა ლესტამბემ, თუ რა სიმდიდრეს ფლობდა. ჭკუით უნდა მოეხმარა, თორემ ეს უჯრა უდამცველო ხელყუმბარასა ჰგავდა, რომელსაც ხელს გაუშვებ და აგიფეთქდება...

დაბადებითვე გონიერება დაჰყვა. აკვანში დიდხანს არ მოუცდია. ჩიტის წონა ჰქონდა, მაგრამ ათი თვისა თაგვივით დასუნსულებდა. წლისა ენას ატლიკინებდა. ორისა ბგერა „რ“ს ვერ ამბობდა, თორემ ბიკენტის მრავალრიცხოვან სტუმრებს ისეთი რუსულქართული გინებით შეამკობდა ხოლმე, მსმენელნი სიცილით იხოცებოდნენ. სამი წლისამ „დონოსებს“ აუღო გემო. დედის ნათქვამი სიტყვასიტყვით მიჰქონდა მამასთან, მამისა — დედასთან. ბავშვის ენით მოჩლექილი სიტყვები სასაცილოდ ჟღერდა, მაგრამ ხანდახან ისეთი რამეც გამოერეოდა, ბიკენტისა და ზინაიდა პეტროვნას სიცილი ჩხუბში გადაეზრ-

დებოდათ. ამას კი მოჰყვებოდა კარგა ხნით ცხვირის ჩამოშვება, მდურვა და ბოლოს ცივი შერიგება, რადგან მიზეზთმიზეზი ჩხუბისა უკვე აღარ ახსოვდათ. მერე გაჩნდა კეკე და ზინაიდა პეტროვნა ვერ იცლიდა მხოლოდ ბიჭისთვის, ყურს ვერ უგდებდა პატარა მაბეზღარას ტიტინს. ოღონდაც, ლესტამბე არ აპირებდა დედმამის თვალში პირველობის დათმობას, აკვანში ჩაკრულ კეკეს ხან ბწკენდა, ხან ცხვირში ლობიოს შეტენიდა, ხან საწოვარადან რძეს თვალებში ჩაასხამდა. კეკეს ჩხავილი ცასა სწვდებოდა და გაცოფებული ზინაიდა პეტროვნა ციცქნა მტარვალს სარტყელს მწარედ მოუნაცვლებდა.

ჯალათის სიტკბოება პირველად ათი წლისამ იგემა, როცა მეზობლის კატას ბარტყი აართვა. ალბათ ბუდიდან იყო გადმოვარდნილი, გასაფრენად ემზადებოდა და ბალახში ჩაიხლართა, შიშისაგან მთელი ტანით თრთოდა და ჭყიპინებდა. კატას კამარა უნდა შეეკრა, როცა ლესტამბემ დაასწრო. ბარტყი მის ხელში გაინაბა, თითქოს უფრო დაპატარავდა. ბიჭმა კი მოუჭირა, მოუჭირა, პაწაწა, ბუმბულიანი, რბილი ბურთი მოჭმუჭმა. ბარტყმა ერთიც დაიჭყლოპინა და ნისკარტი ღიად დარჩა. ლესტამბეს ხელისგულში თანდათან გაქრა სითბო, სირბილე და სიმჩატე. გაეცინა, მსხვერპლი კატას მიუგდო. იმან ჰაერშივე დაიჭირა და ბუჩქებში შეძვრა, რათა ნადავლით დამტკბარიყო.

არაერთხელ გახსენებია ეს წამი ლესტამბეს, რაღაცნაირად ტკბილად შეაჟრჟოლებდა ხოლმე. მიზეზი ამ სიამოვნებისა თვითონაც ვერ ამოეხსნა. მოგვიანებით, თორმეტცამეტისამ საკენჭავი გააკეთა და ბელურებზე გაინადირა. დახოცილი ჩიტების დანახვა აღარ აღელვებდა, რაკი ეს არ იყო ნამდვილი მკვლელობა, ხელისგულით ვერ აღიქვამდა სხეულიდან სულის განშორების წამს. ხორცი ხორცად არ უყვარდა, მონადირული ჟინისაგან თავისუფალი იყო და ნანადირევს გულგრილად გადაუყრიდა შემოჩვეულ კატას. ის კი ამდენი პატივით განებივრებული, ზედმეტად დაუმეგობრდა. კრუტუნით ეგებებოდა, ფეხებში თავისი ფაფუკი ბეწვით მოეხახუნებოდა... ამ სითამამემ და ქრთამის სიყვარულმა დაღუპა სწორედ!

გვერდით მეზობელს კიკული ძიგუას ჯიხური მოეწყო ქოფაკისათვის. დღისით კარს მიუკეტავდნენ ხოლმე. ბედით უკმაყოფილო ძაღლი ბნელში ყმუოდა და გულს აწყალებდა. ღამით გამოუშვებდნენ. უკანა ეზოდან ჭიშკრამდე გრძელ ჯაჭვს დააჩხრიალებდა და მისი ერთი დანახვაც საკმარისი იყო, ქურდს გული გახეთქოდა. ლესტამბემ კატას ხელი დასტაცა, გულში ჩაიხუტა. თან ეფერებოდა, თან ყელში მოწოლილ სიცილს ვერ იკავებდა. გული უცნაური სიტკბოებით ევსებოდა, რადგან მის ხელში მომწყვდეული კატის ფაფუკი, ცოცხალი გორგალი წარმოსახვაში უკვე მკვდარი იყო. კატამ ჯერაც არაფერი იცოდა ამის თაობაზე და ალერსიანად კრუტუნებდა. ჯიხურს რომ მიუახლოვდნენ, ქოფაკს, ალბათ, სუნი ეცა და აწკმუტუნდა. ფისომ იგრძნო საშიშროება, ტანი ზამბარასავით გაუხდა, ბრჭყალებით პერანგში ჩააფრინდა. ლესტამბემ ძლივს მოიგლიჯა განწირული ცხოველი, ჯიხურის კარი გამოაღო, შიგ კატა მოისროლა და ისევ მიხურა... თავზარდამცემი ჩხავილი მოისმა, ამას ქოფაკის ღრენაღმუილი დაერთო. ჯიხურში სასტიკი ტრაგედია დატრიალდა და ლესტამბეს წარმოსახვაში ყოველივე ისე გათამაშდა, თითქოს თვალნათლივ ხედავდა... სიკვდილის ეს ხმები ალერსად ჩაესმოდა, იდგა და ხითხითებდა. ამ დროს მოუსწრო ძაღლის პატრონმა კიკული ძიგუამ, ყურში ხელი ჩაავლო და ეზოდან გაათრია.

ამდენს ვერავინ გაუბედავდა ბიკენტის შვილს. ბიჭის სისასტიკემ გააცეცხლა კაცი, თავი ვერ მოითოკა. უმალ მიხვდა, შორს შევტოპეო. მოინდომა მიფუჩეჩება, ბიჭის მოთაფლვა, მაგრამ ლესტამბემ არ იცოდა სიტყვა „პატიება“.

ერთხელ, როცა ყველანი სამსახურში გაიკრიფნენ, სკოლიდან სხვაზე ადრე დაბრუნებულმა ლესტამბემ ჯიხურს ნავთი გადაასხა და ასანთს გაკრა.

ცეცხლი უმალ აბრიალდა. ქოფაკი შიგნით აფხაკურდა. შიშისაგან ჯერ აღავღავდა, მერე ყმუილი მორთო, წუთის შემდეგ კი ეს ყმუილი საშინელ კივილში გადაიზარდა, თითქოს ადამიანის ხმა შესძენოდა და ვაებით ზეცას შველას შესთხოვდა... ლესტამბე თავის ეზოში გადახტა, იქ ბუჩქებში ჩაიმალა,

იქიდან უყურებდა აგიზგიზებულ ცეცხლს და ხითხითებდა... ჯიხური შიგნიდან გასკდა, იქიდან ალმოდებული ბურთი გამოგორდა. შესაბრალისი წკმუტუნით იგორიალა და დაეცა... დანახშირდა... ირგვლივ მყრალი სუნი დადგა და შავი ფერფლი დაეფინა.

კიკული ძიგუამ თავზე ხელი შემოირტყა, ეს ამოდენა კაცი ბავშვივით ატირდა, სამსახურიდან დაბრუნებულ ბიკენტის დაუდარაჯდა და შესჩივლა. ბიკენტიმ ცივად მოუსმინა, ეჭვით გახედა ჯიხურის ნამუსრევს და შეეკითხა: „რითი დაამტკიცებ, რომ ჩემი ბიჭის ნამოქმედარია?“ კიკულიმ კატის ამბავი შეახსენა. ბიკენტიმ მხრები აიჩეჩა: „ეს საბუთი არ არის!“ მეზობელს ზურგი შეაქცია. შინ შესვლისთანავე ქამარი შეიხსნა, ლესტამბე გრძელ სკამზე წამოაწვინა და ათჯერ ისე უშხუვლა, ბიჭის გამხდარი დუნდულებიდან სისხლმა გამოჟონა. ტკივილისაგან ლესტამბე ღრიალებდა. ზინაიდა პეტროვნა ქოთქოთებდა, მაგრამ ბიკენტიმ ეგზეკუცია წესისამებრ ჩაატარა. „როცა სიგლახეს სჩადიხარ, კვალი არ უნდა დატოვო!“ — ეს სიტყვა დაუგდო და გაშორდა.

კარგად დაიმახსოვრა ლესტამბემ მამის შეგონება. იმ დღეს სიცხემ აუწია და ერთი კვირა ლოგინი ხეხა. ზინაიდა პეტროვნა წუთით არ მოშორებია, ცალი თვალით ფარდაგზე მოღოღიალე კეკეს გაჰყურებდა, თან ბიჭს ჭკუას არიგებდა.

მაშინ პირველად აამოქმედა ლესტამბემ თავისი მთავარი იარაღი. უჯრიდან ამოიღო კონვერტი, რომელზეც გამართული კალიგრაფიით ეწერა: „კიკული ძიგუა“... ეგზეკუციის შემდეგ სკოლაში პირველად რომ წავიდა, მეზობელი შეხვდა და დაცინვით ჰკითხა: „მოგხვდა, წიე?“ ლესტამბემ წყნარად უპასუხა: „ჰო, მომხვდა!“ კოჭლობით მიდიოდა და კიკულის შეეცოდა, თავის გულში აპატია დანაშაული. მან არ იცოდა, ბიჭის გამწლეულ სხეულში რანაირი გული ფეთქავდა და მუშტისტოლა, უფერულ თავში რანაირი აზრები ლაგდებოდა.

ზუსტად წლის თავზე, როცა კატისა და ძაღლის ამბავი ყველას მიავიწყდა და კიკული ძიგუა ცხოვრების ოპტიმისტურ გეგმებს იწყობდა, „მზიურ მომავალს თვალს უსწორებდა“, ჭიშკართან „ვილისი“ გაჩერდა. იქიდან ტყავისკურტაკიანი ბიძიები გადმოვიდნენ. ლესტამბე ამ ამბავს თავისი ფანჯრიდან უყურებდა და გული ბაგაბუგით უცემდა. მან დაინახა, თუ როგორ გამოიყვანეს კაცებმა კიკული ძიგუა, როგორ გასდია ტირილით ჭიშკრამდე ცოლმა, როგორ ღნაოდნენ მისი ბავშვები, ერთი ლესტამბეს თანატოლი ტუჩია, სამნი კი ამაზე უმრწემესნი, მუდამ მშივრები და ტიტლიკანანი... უყურებდა ამათ ლესტამბე და პირი ტკბილი ნერწყვით ევსებოდა, ხელებს იფშვნეტდა და ხითხითებდა.

იმ საღამოს კიკულის ცოლი ფეხებში ჩაუვარდა ბიკენტის, შესთხოვა, მიშველე რამეო. ბიკენტიმ წამოაყენა, მხარზე ხელი მოუთათუნა — „დამშვიდდი, ოსურპატონი! იქნებ შევძლო რამე!.. ეჰ, რამ გაასულელა მაინც ეს დროული კაცი, რა უნდოდა ანტისაბჭოთა ჯგუფში, ხომ იცოდა, თავზე ხელს არ გადაუსვამდნენ!“ გულისჯიბიდან ფული ამოიღო, ქალს ძალით ჩაუკუჭა ხელებში... ასეთ დანაშაულში მხილებულს ბიკენტი, აბა, რას უშველიდა. წერილი მივიდა, თურმე, ორგანოებში, „დონოსი“, სადაც შავით თეთრზე ეწერა კიკული ძიგუას გათახსირების ამბავი. მოწაფური ბატიფეხურით შედგენილ ანონიმურ ბარათში პარტიისა და სამშობლოს უჩინარი კეთილისმყოფელი ძიგუასთან ერთად ქალაქის რამდენიმე თვალსაჩინო მოღვაწესაც ამხელდა და, ბუნებრივია, ისინიც ვერ გადაურჩნენ ორგანოების რისხვას.

ლესტამბემ მომდევნო დღეს შინ მოიყვანა დაღვრემილი ტუჩია. ზინაიდა პეტროვნა ბორშჩითა და კატლეტით გაუმასპინძლდა. თავს აქეთიქით აქნევდა და ოხრავდა: „ოხ, ოხ, რა კნას ახლა საცოდავმა კალმა და ბავშვებმა! ოხ, ოხ!“ ლესტამბეც თვალთმაქცურად ხვნეშოდა და ხანდახან ტუჩის კუთხეში ლიზღური ღიმილი გაუკრთებოდა... სხვა ვინ გაბედავდა გაუბედურებული ძიგუების თანაგრძნობას, სხვა ვინ გაუღებდა ოჯახის კარებს, მაგრამ თოლორაიები უშიშარნი იყვნენ და ამას ქალაქი ხედავდა.

ალბათ ვერ იმართლა თავი კიკული ძიგუამ, რაკი უკვალოდ გაქრა. გასაცოდავებულ მეუღლეს კი უთხრეს, გასახლე-

ბულია მიწერმოწერის უფლების გარეშეო. კეთილისმყოფელმა ბიკენტიმ მეზობლურად ურჩია, ისე იცხოვრე, თვალში არავის ეჩხირებოდეო. როგორღა ეცხოვრათ? სად უნდა ეშოვათ პური არსობისა? იმ დროიდან ტუჩია ძიგუა სკოლაში არ წასულა. ჩხერიის პირას, ხიდთან იდგა ხოლმე, სატვირთო მანქანების მძღოლებს ელოდებოდა, ხუთ მანეთად ურეცხავდა „პალტარატონკებს“... ამით თავის პატარა დაძმებს ვერ გამოკვებავდა და ერთხელ გაბედა, ბაზარში მუშტარს ჯიბეში ორი თითი ჩაუცურა, ერთბაშად ხუთი თუმანი იშოვა... მერე არაერთხელ უნახავთ, ბოტანიკური ბაღის ბნელ კუნჭულში ყომარს რომ აგორებდა ბიჭებთან. ტუჩია ძიგუამ მოძებნა თავისი საარსებო წყარო, ლესტამბეს უჯრაში კი გაჩნდა მორიგი უმარკო კონვერტი, რომელსაც გარედან ეწერა — „ტუჩია ძიგუა“.

7

მართალის გააჟრჟოლა. ვავა ზარქუა იყო მისი ერთადერთი მოსისხლე მტერი დედამიწის ზურგზე. ამავე დროს იგი იყო „ერთგული სტალინელი“. ეს ორი რამ ერთმანეთისათვის ვერ შეეთავსებინა. ასეთი გაორება აბნევდა, ლარივით აწყობილ წარმოდგენათა სისტემას უნგრევდა.

— ა, მართალი თოდუა, შენა ხარ? — ჰკითხა ვავამ და მისი ხმა იყო ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი. მის კილოში არც მტრობა ისმოდა, არც მძულვარება, თითქოს ამ გვიანი ღამით ქალაქის ცარიელ, ჭონჭყო ქუჩაში ახლობელს ეძებდა და შეხვდა კიდეც.

— დიახ! — მოჭრით შეეხმიანა მართალი, ნაბიჯი უკან გადგა, მაგრამ ვავამ მკლავში ხელი ჩაავლო და ჩაიწუწუნა:

— როგორ ცივა, ეს ოხერი! შენ ალბათ თოლორაიებთან იყავი!

— დიახ! — ექოსავით შეეპასუხა მართალი.

— რა სიცარიელეა! — მოწყენით თქვა ვავამ. — მთელ ქალაქს სძინავს, ჩვენ კი ქუჩაში დავდივართ... მარტოდმარტონი!

მართალის გაუკვირდა. ვერ წარმოედგინა ვავას სევდა, რაიც კეთილშობილთა თვისებაა, ბოროტების ამ ჭურჭელს კი ხელის აუკანკალებლად შეეძლო კაცისათვის ყელი გამოეჭრა.

წარმოიდგინა კიდეც, თითქოს დანა ყელზე დაუსვესო... წარმოსახვა იმდენად ცოცხალი იყო, კინაღამ შეჰყვირა.

— რა მოგივიდა, გცივა? — თანაგრძნობით ჰკითხა ვავამ. — რა წაგიყვანს ახლა ტალახაძის ქუჩამდე. მოდი, ცოტა ხანს ჩემთან გათბი!

ამას ყველაზე ნაკლებ მოელოდა მართალი, დაიბნა, უარი ვერ მოახერხა, არც იცოდა, თუ სად ცხოვრობდა ბნელეთის ეს ურჩხული.

— მე აქვე ვცხოვრობ! — თითქოს ნაფიქრალს მიუხვდაო, ისე თქვა ვავამ, თან მორცხვად დაუმატა: — იცი, ობლად გავიზარდე, ახლობელი არავინა მყავს და მარტო ვარ!

მის სიტყვებში ტკივილი გაჟღერდა და მართალის გული გაორდა. მის წინ ტატაჩის მკვლელი იდგა, მაგრამ იგი ობოლი და მარტოსული იყო და ღამით, ქუჩაში, მარტოობა ერეკებოდა. თვითონაც კენტად დარჩენილს ესმოდა მარტოობის გაუსაძლისი ტკივილისა და თანაგრძნობამ გული მოულბო.

სახლი კომუნალური აღმოჩნდა, ორსართულიანი და რვაბინიანი. მეორე სართულის ბინებს კიბეები ცალცალკე ჰქონდა და ვავამ ბნელში გასაღები ააჩხაკუნა, ნათურა გადამეწვაო, მოიბოდიშა.

რუსული ყაიდის წინკარში ტაშტი გახრიგინდა. ხელსაბანში წყალი მოწანწკარებდა. ვავა წინ გავარდა, სინათლე აანთო. წინკარს ოთახი მოსდევდა და მარტოკაცის მოუწყობელი ყოფის სურათმა მართალის აფიქრებინა, ვიღაცა ჩემზე უარესად ცხოვრობსო.

კუსტარულ ელექტროღუმელს შემოუსხდნენ და მართალიმ პირდაპირ ახლაღა შეხედა თავის საბრალო მტერს. გული ერთი მუჭა გაუხდა. შინაურული ვავა აუტანლად მახინჯი ეჩვენა. მტრობა, შიში, ზიზღი და სიძულვილი ერთმანეთში აერია და თავგზა აებნა.

— ჩაი დავლიოთ! — მასპინძელმა ჩაიდანი ღუმელზე შემოდგა და გახურებულ სპირალს სიცივით დაწითლებული, კვანჯღარა თითები მიუშვირა.

მართალიმ მზერა აარიდა.

— ვიცი, რასაც ფიქრობ ჩემზე! — თქვა ვავამ უხალისოდ. — გძულვარ! ნეტავ, ვის ვეხატები გულზე! ისეთი ბედი მაქვს, ყველას თავის მტერი ვგონივარ!.. კი, მე ვესროლე მამაშენს. მაგრამ, როგორ ფიქრობ, რა სარგებლის გულისათვის? შენ გგონია, პირადი მტრობა მქონდა?.. მე სულაც არ ვიცნობდი ტატაჩის. არც ის ვიცი, რატომ ემალებოდა მთავრობას. მიბრძანეს და ვესროლე!

— როოგორ! — ხმის კანკალით იკითხა მართალიმ.

— მე ხომ ადამიანი არა ვარ! — გესლი გამოიკვეთა ვავას ხმაში. — თქვენ ყველანი ყბედობთ მომავლის დიად საზოგადოებაზე, ოღონდ ეს საზოგადოება სხვამ უნდა მოგართვან ხონჩით. ასე არ გამოვა! ვიღაცამ უნდა იტვირთოს შავი სამუშაო, ვიღაცამ უნდა გაწმინდოს ყანა სარეველებისაგან!.. მე მაკისრია ეს საქმე! მე ადამიანი არა ვარ და ჩემი სული ამით არ დამძიმდება! მე ძაღლი ვარ, ქოფაკი, პატრონი შემიძახებს და ვისზეც მიმითითებს, იმას ვეცემი ყანყრატოში!

გამტკნარებული უსმენდა მართალი. ნანობდა, შიშსა და ცნობისწადილს რომ დამორჩილდა, ბნელი ღამით სიკვდილის ამ აჩრდილს შინ წაჰყვა.

ვავა ზარქუამ ცივად, შემაზრზენად გაიცინა.

— მეგობარი მე არა მყავს, ძაღლისა და სისხლის სუნი მდის და ვინ მემეგობრება! ქალიც ამიტომ არ მომყვება! მე მარტოსულად სანადიროდ გამოსული ველური ძაღლი ვარ... ერთადერთი პატრონი მყავს, დიდი სტალინი! — ვავას თვალები უცებ გაბრწყინდა, თითქოს თეთრი სანთლები დაინთოო, შიგ ფანატიკური, გიჟური ცეცხლი აციაგდა. — დიახ, ის წმინდა და მაღალი კაცია, ერთადერთი ადამიანი, ვინც კაცობრიობაზე ზრუნვით აღამებს და ათენებს. ის ჭვრეტს ყოველივეს — წარსულს, აწმყოსა და მომავალს!.. კაცობრიობის ხომალდი მიჰყავს დიადი ხვალესაკენ, სადაც ყველაზე უკანასკნელი, ჩემნაირი ძაღლიც კი, პირველი აღმოჩნდება! ოღონდაც, ბელადს აურაცხელი მტერი ჰყავს და ჩვენ უნდა მხარში ამოვუდგეთ!.. მე ნამდვილ სტალინელს ყნოსვითა ვგრძნობ, ისე ვარ დაგეშილი!

— ტატაჩი მტერი იყო? — მღელვარედ ჰკითხა მართალიმ.

— მტერი იყო! — თეთრი, თითქოსდა ლიბრგადაკრული თვალები მიაცივა ვავამ. — ტატაჩი არ შეიძლებოდა, მტერი არ ყოფილიყო! ის სხვანაირი იყო, სხვა გზას ეძებდა, გზა კი ერთია! შენ არა ხარ მტერი, მე ეს ვიცი! შენი გული ჯერჯეროობით ჩემს რიტმზე ფეთქავს... მერე არ ვიცი, რა მოხდება!.. აი, დღეს შენ თოლორაიებთან იყავი, ფხიზელი თვალით თუ შეხედე ყოველივეს?.. ბიკენტი?.. ვგრძნობ, ხანდახან მოურბილებს, გენერალურ ხაზს ასცდება, ეს კი საშიშია...

— ზინაიდა პეტროვნა სტალინზე ლოცულობს!

— ვიცი, ზინაიდა პეტროვნა ნამდვილი სტალინელია, მაგრამ ცოტათი გიჟია! სტალინი ადამიანია, დიადი, უკვდავი, მაგრამ მაინც ადამიანი.

— კეკე?

— კეკე გულუბრყვილო ბავშვია, ჯერ არაფერი ეჩერჩეტება. ის ახლადამოსული ჩითილია და კაცმა არ იცის, მისგან რა მცენარე გაიზრდება, იქნება მავნე სარეველა აღმოჩნდეს!

— ლესტამბეღა დაგვრჩა! — მართალის ხმაში გაღიზიანება იგრძნობოდა.

— მოდი, რა გიჩვენო! — ვავა დაუზარებლად წამოხტა. კუთხეში ხის უბრალო ტახტი იდგა და სახურავი ახადა. ძველ, დაფხრეწილ საბანზე გვერდიგვერდ რამდენიმე რევოლვერი და შაშხანა ეწყო. — ლესტამბეს ჰგონია, არ ვიცი რომ ჩემი „ვალტერი“ აქვს. ყმაწვილია და ერთობა!.. გაერთოს! ვიცი, ისიც ძაღლად იზრდება, ოღონდ ძუკნად... ძუკნა უფრო ავია, მშიშარაა და იმიტომაა ავი! ლესტამბე ავიც იქნება და დედალიც! თავისი მოკლე ჭკუით ჰგონია, რომ ხაფანგში გამაბა. ეგონოს! ის „ვალტერი“ მე არც მაწერია, შემიძლია დავამტკიცო, რომ საერთოდ არ მქონია... ანდა იქნებ მე განგებ მივუგდე! შემთხვევით

გაუვარდება და იქით მეყოლება გამოჭერილი, ისიც და თოლორაიების მთელი ოჯახიც... ჰი, ჰი... — ვითომც გაიხუმრა.

„საიდუმლოს თავისთვის არ იტოვებენ... ჯერ ლესტამბე, მერე ეს... — გაიფიქრა მართალიმ, — რატომ? ან ჭკუამოკლე ვგონივართ, ანდა მართლაც პავლიკ მოროზოვი... ძაღლების ხროვა! — გულზე ბრაზი მოაწვა. — ამათ მე თავისი ჯილაგისად მივაჩნივართ, თავიანთ სიაში ჩამწერეს!“

მაგრამ რა იყო ეს სია?

ჭეშმარიტი სტალინელები ვართო, ამტკიცებენ. მერედა, მართალი თოდუაც ხომ ჭეშმარიტი სტალინელია, ოღონდ როგორ უნდა მოთავსდნენ ის და ვავა, ის და ლესტამბე ერთ სიაში?

კარგა ხანია ჩაი ადუღდა, წყალი ორთქლად იქცა.

— ჩაი დავლიოთ? — ახლაღა გაახსენდა ვავას.

მართალიმ თავი გააქნია.

— გვიანაა, უნდა წავიდე!

— მოიცა, რაღაც უნდა გაჩვენო!

მართალი დაიღალა, ყმაწვილს უკვე არაფრის ნახვა არ ეწადა, მაგრამ უარი ვერ შეჰბედა.

— აქეთ მოდი! — ვავამ ოთახის სიღრმეში მწვანე კარი შეაღო.

იქიდან სამარისებურმა სიცივემ შემოაბიჯა.

მართალი ჭოჭმანით მიჰყვა. საკმაოდ დიდ ოთახში აღმოჩნდა... ყოველი მხრიდან ერთბაშად ასმა სტალინმა შემოჰხედა.

— ხომ მაგარია? — იკითხა ვავამ.

მართლაც რომ! კედლებზე მიჯრით ეკიდა უამრავი სურათი და პლაკატი, ხელისდადება ადგილიც არ დარჩენილიყო. აქედან და იქიდან იცქირებოდნენ დიდი და პატარა სტალინები... ბავშვი სოსო, სემინარისტი სოსელო, კობა ციხესა და ციმბირში, გაუპარსავი და გაპარსული, იოსები ჯარისკაცურ შინელში და გენერალისიმუსის კიტელში... ფერმწერებსაც ბევრი უმუშავნიათ და გრაფიკოსებსაც, ხეზე ამომჭრელებსაც და მქსოველმქარგველებსაც... კედლების გასწვრივ, პირდაპირ იატაკზე ჩამომწკრივებული იყო სხვადასხვა ზომის ქანდაკებები და ბიუსტები, მტკაველის ოდენებიც და ნატურალური სიდიდისაც.

ფანჯარასთან, ხის კასრში კაქტუსიც კი იზრდებოდა, ფორმით რომ ულვაშიან სტალინს მოჰგავდა.

ვავას ფერი მოეცა, თითქოს საღებავთა სიჭრელე გადაედოო. ბიუსტს მხარზე ხელი მოუსვა და ნაზად ჩაიკრუტუნა:

— ესაა ჩემი სიმდიდრე! ამაში მეხარჯება მთელი ხელფასი! ზოგი ძვირი მიჯდება, ზოგსაც უფასოდ ვშოულობ! აი, ეს, მაგალითად, ბრინჯაოა, მაჩუქეს! ესენი კი, — საკმაოდ ბევრზე გადაატარა ხელის მტევანი, — ხალხის მტრების ოჯახებიდან წამოვიღე. ბელადისათვის შეურაცხყოფაა, რომ მისი სურათი ინახებოდეს იმათთან, ვისაც ყველა კანონით შუბლში ტყვია ეკუთვნის!

„ვის ეკუთვნის შუბლში ტყვია? — რიკოშეტით გასხლტა მართალის თავში. — იცი, შენ, ვავა ზარქუა, ვის ეკუთვნის შუბლში ტყვია?“

მართალისაგან ეკუთვნოდა ვავა ზარქუას შუბლში ტყვია, მაგრამ მართალის არც ამისი სურვილი ჰქონდა, არც ღონე...

— ჯერ სადაა, — შეთქმულივით აჩურჩულდა ვავა, — ქალაქში, ღია ცისქვეშ გამოფენას მოვაწყობ, მერე მუზეუმსაც დავაარსებ...

ამდენი დუმილი არ შეიძლებოდა და მართალიმ გულსგარეთ თქვა:

— სტალინი ხომ მერეთში არასოდეს ყოფილა?

ვავამ ეჭვიანად შეხედა, ნათქვამი არ მოეწონა.

— სტალინის სამშობლოა მთელი დედამიწა, იგი ყველგან დაიბადა. ამიტომ სტალინის მუზეუმი უნდა იყოს ყოველ ქალაქსა და სოფელშიც. ალბათ ასეც მოხდება, ოღონდ მთავარია, სხვებმა არ დაგვასწრონ. მერეთში ისეთ მუზეუმს წამოვჭიმავთ, გორელები შურით გასკდებიან!

— წავედი აბა! — მტკიცედ თქვა მართალიმ და კარისაკენ გაემართა.

ვავას მკლავები უღონოდ ჩამოუცვივდა, წამში პატარა, უსუსური და გონჯი გახდა. სტალინების უთვალავი მკაცრი მზერის ქვეშ თითქოს მთლად მიილია, გაუფერულდა, გაქრა...

„იგი ძაღლია, — ფიქრობდა ტალახაძის ქუჩის ჭონჭყში მიმავალი მართალი, — იგი ძაღლია და პატრონის შეძახილზე ყანყრატოში ეცემა თუნდაც უდანაშაულოს!“

სინათლე ყველგან ჩამქრალიყო და კუნაპეტში გაჩერებულ მართალის გონებაში უცნაური აზრი ამოუტივტივდა:

„მე რომ მიბრძანოს... დიდმა სტალინმა რომ მიბრძანოს, აიღე ეს „ვალტერი“ და ტყვია შუბლში მიაჭედე შენს მტერს ვავა ზარქუასო...“

გული უცნაურად აუჩქროლდა, საკუთარი ფიქრებისა შეეშინდა...

უკვე შინ მიეღწია. გაკვირვებულმა აიხედა, აივანზე ჭრაქი კრთოდა...

8

— რომელი ხარ? — მაროს ხმა იცნო, გაუხარდა.

— მე ვარ, მარო მამიდა, არ შეგეშინდეს!

— სად დაიკარგე, შვილო, გული გამიწყალდა, რა არ ვიფიქრე!

— საქმეზე ვიყავი! — ბანზე აუგდო მართალიმ.

მარო კიბის თავზე იდგა, ხელში ჭრაქი ეჭირა და მეორე ხელს შუბლზე იჩრდილებდა.

— დენიც გათიშულა!

— ეჰ, შვილო, მაგას უკვე მივეჩვიეთ, დღე და მოსწრება ჭრაქის შუქზე არა ვართ?.. ფეხს აუჩქარე, სტუმარი გელოდება!

— ვინ სტუმარია? — დიდად არ გახარებია ყმაწვილს, დაღლილი იყო, ძილი ეწადა.

— ამიჩემა, ისე როგორ მოვკვდე, ჩემი ნესტორის შვილიშვილი და ტატაჩის შვილი ვერ ვნახოო!

— მამიდა დარიკო? — სახტად დარჩა მართალი.

— ჰო, მამიდა დარიკო! — გამოაჯავრა მარომ. — რა იყო, რა შეიცხადე?

— რამდენი წლისა იქნება მაინც? — ჩურჩულით ჰკითხა.

— ას ოცდაათისა შესრულდა, მგონია, — ჩურჩულითვე უპასუხა მარომ, ვერ გაიგებდი, იხუმრა თუ სიმართლე თქვა.

— აუჰ! — მართალიმ ქალი წინ გაატარა.

ბუხარში ცეცხლი ენთო, ოთახს სითბოთი და მეწამული შუქით ავსებდა.

დედაბერი ჯორკოზე იჯდა. ჩიტივით დალეულს ზურგზე მოზრდილი კუზი აჯდა და თავის მაღლა აწევა უჭირდა. ჩუმად ფშუტუნებდა.

— მარო მამიდა, როგორღა ჩამოაღწიეთ? — ხმადაბლა შეეკითხა მართალი.

— კოლექტივის მანქანას გამოვყევით, შოფერმა კაბინაში ჩაისვა. დილით ისევ გამოგვივლის და წაგვიყვანს!

დედაბერი შეირხა, ძილბურანიდან გამოერკვა.

— მოხვედი, მარო? ბიჭი მოიყვანე? აბა, დამანახე, ენაცვალოს დარიკო მამიდა!

ძლივსღა ჩიფჩიფებდა, მაგრამ სიტყვას ბგერას არ აკლებდა.

მართალი ბუხართან მივიდა, დედაბრის წინ ჩაიმუხლა.

ხორცისგან მთლად დაცლილიყო, წვრილი ნაოჭებით დაქსელილი კანი გადაჰკვროდა პირზე. წარბები ჩამოზრდოდა, ღრმად ჩაცვენილ თვალებზე ჩამოფარცხოდა. დაჭმუჭნილ ტუჩებს მიღმა ორისამი კბილი კიდევ შერჩენოდა.

ხელი წამოიღო, თავზე შეეხო მართალის, ლოყაზე ჩამოუცურა. თითები გამხმარ ტოტს მიუგავდა.

— ჯვარი გწერია, ნენა! ნესტორს გვანებიხარ, ცხონებულს! ჩემ წინ დაჯექი, ჯორკოზე, შემოგხედო! მარო, ჭრაქი მოიტანე, ბუხართან დადგი!.. თვალს დამაკლდა, ნენა, ყურსაც დამაკლდა, ჩემი ასაკისა ქვა არ გდია ჩხერიის პირას... დავავიწყდი, ალბათ, მიქელგაბრიელს, არა და არ გაითხარა ჩემთვის სამარე... ისე მოვიბღუნწე, კუბოში ვერ ჩამაწვენენ...

— ნესტორ ბაბუა თუ გახსოვს, დარიკო მამიდა? — უფრო იმიტომ შეეკითხა, სიკვდილზე ლაპარაკი შეეწყვეტინებინა.

— აკვანს ვურწევდი, ნენა! ანგელოზი ბავშვი იყო, ციდან ვარსკვლავებს წყვეტდა. ასეთები სიცოცხლისათვის იბადებიან, ნენა, სიხარულისათვის იბადებიან, მაგრამ ცოდვიანი გვარი გვაქვს, ეშმაკი იბუდებს ჩვენს სულში, გვაცდუნებს... ღმერთო, შენ ააცილე ჩემი მართალი ცოდვის გზას!

დედაბერმა პირჯვარი უღონოდ გადასწერა მართალის, იყუჩა, მარომ კი დრო იხელთა, ყურში ჩასჩურჩულა ყმაწვილს:

— მაგ ხნის ქალს ჭკუა არც მოეკითხება, შვილო, ჩვენს გვარს ცუდი არავისთვის შეუმთხვევია, ცოდვიანები რად ვიქნებით?

დარიკო მამიდა თვალდახუჭული ფშუტუნებდა. მართალიმ იფიქრა, ჩაეძინაო, მაგრამ დედაბერმა თვალები მძიმედ გაახილა და შვილს ჩხირივით წვრილი თითით დაემუქრა:

— დარიკო ისე არ მოკვდება, ჭკუას მაროს დაესესხოს. სოფლიდან იმიტომ ჩამოვედი, ბიჭს ველაპარაკო. ვიცი, აქედან წავალ და მოვკვდები კიდეც! სატირალში ნუ ჩამოხვალ, ნენა, აწი მე დასატირებელი არა ვარ!

— კი მაგრამ, ისეთი რა ცოდვა გვაწევს, დარიკო მამიდა?

— ეს ქვეყანა, ნენა, ღვთის ბაღია. იმიტომ მოვდივართ, იგი კიდევ უფრო დავამშვენოთ. ჩვენ მებაღეები ვართ, ნენა, ღვთით დადგენილი წესით ვუვლით მის მიერ გაჩენილ ყვავილებსა და ხილს. ამით ვშოულობთ საზრდოს და ვახალისებთ წუთისოფელს. მაგრამ ეშმაკს არა სძინავს, ნენა, ეძებს გულზვიადებს, აცდუნებს და ისინიც უჯანყდებიან ღვთის დადგენილ წესსა და რიგს... ასეა, ნენა, ეს!

მართალი ჩუმად უსმენდა. მის სულში იბადებოდა პროტესტის გრძნობა. ცხადია, შეეძლო შეჰკამათებოდა, ეთქვა, ეს ყველაფერი ლეგენდაა, ზღაპარია. მსგავსი არაფერი უწერია მარქსსა და ენგელსს, ლენინსა და სტალინს, მაგრამ ღირდა კი კამათი ასოცდაათი წლის დარიკო მამიდასთან, რომელმაც ამდენი წელი ისე გალია, არ იცის, რომ არსებობს ტელეგრაფი, ამერიკაში კი, თურმე ტელევიზორიც, სადაც ათასობით კილომეტრზე ადამიანის ცოცხალი გამოსახულება გადაიცემა... ამდენი რამე არ იცის დარიკო მამიდამ, აკვნის ბავშვივითაა, მაგრამ მის დამჭკნარ ბაგეებს სცდება უბრალო, გულუბრყვილო სიტყვები, რომელთანაც შეკამათება შეუძლებელია... ეს სიტყვები წიგნებიდან კი არ მოდის, საიდანღაც, შორეული სიღრმეებიდან ამოიზრდებიან... ეს არ არის კონკრეტული ადამიანის აზრი, ეს არის აზრი თავისთავადი, ჟამიდან

ჟამში გადმოედინება, მარადის არსებობს და ყოველ ადამიანს ძალუძს გაითავისოს, მისი პირველაღმომჩენი გახდეს...

— ჯერ კიდევ მართალია გადასცდა ჭეშმარიტ გზას, — კვლავ აჩიფჩიფდა დედაბერი, — დაავიწყდა, ღმერთმა რაც დაანათლა. ღვთის კაცად გაჩენილი წინ ვერ აღუდგა ცდუნებას, იარაღს მოკიდა ხელი...

— კი მაგრამ, დარიკო მამიდა, ის ხომ ბატონყმობას აუჯანყდა! — ვერ მოითმინა მართალიმ. — უტუ მიქავამ, კოჩი თოდუამ და მართალიამ გმირობა ჩაიდინეს!

— გმირობა? — დარიკო თითით დაემუქრა უხილავ ლანდებს. — კარგად მახსოვს ის დრო. ერთი კარდალი ღომისათვის კაცი შვილს ყიდდა თურქზე... გმირობა!.. კაცის კვლა არაა გმირობა!.. გაპარტახდა, დაიქცა ქვეყანა, დაიხოცნენ უდანაშაულონი, ქრისტეს კრავები. სიცოცხლე ისე გაჭირდა, მკვდრისა შეგშურდებოდა... მახსოვს, მახსოვს!.. — თავი ჩაქინდრა დედაბერმა, მისი ნათქვამის გაგება გაძნელდა. — ცხოვრებაა გმირობა... ოჯახს მოუარო, შვილები დააპურო, საქონელი არ დაწყვიტო, ხე გაახარო, გაზაფხულზე დათესო და შემოდგომაზე მოიმკო, ესაა გმირობა!

— ყველამ ასე თუ იმსჯელა, რევოლუცია არ მოხდებოდა და ძველებურად მეფე გვეყოლებოდა!

— რითი იყო ცუდი? — იკითხა დედაბერმა. — ზღვა სისხლი დაიღვარა და რისთვის? მაგ შენს ლავრენტიას ერთ თხას არ მივაბარებდი, კარგად მახსოვს რა გაფუჭებული კაციც იყო!

— რას ამბობ, მამიდა? — შეშინდა მართალი.

— კი, კი! მაგ სოსოია წამხდარი შარაგზის ყაჩაღი იყო სწორედ!

მართალი უცბად ვერ მიხვდა, ვინ იყო სოსოია წამხდარი, მაგრამ როცა ნათქვამის აზრს ჩასწვდა, გაუგონარი მკრეხელობის გამო სუნთქვა შეუგუბდა.

— კარგი რა, დედა, ნუ იცი აგეთები, ვინმემ რომ გაიგონოს, დაგვიჭერენ კიდეც! — შეუტია მარომ.

— დამიჭერენ? — დედაბერმა მოკლედ ჩაიხითხითა, ალბათ წარმოიდგინა უჩვეულო სურათი — ასოცდაათი წლის

დედაბერი ციხეში... მერე გაყუჩდა და მკაფიოდ წარმოთქვა: — ცაცანა დაიჭირეს და ეფრო, უცოდველი სულები... — თავი ჩამოუვარდა და მსუბუქად აფშუტუნდა.

— ასე იცის ხოლმე, დაიღლება და იძინებს, — თქვა მარომ, — გვიანია უკვე, უნდა დავაწვინო!

— უჰ, შემეშინდა კიდეც! — გამოტყდა მართალი.

— შემოგევლოს მამიდა, ამ ლაპარაკში ვახშამი დამავიწყდა! — მარომ ბალიშიდან ხელსახოცში გახვეული სულუგუნჩაწყობილი ღომი გამოაძვრინა.

— არ მშია, დილით შევაცხელოთ და ვისაუზმოთ! — მართალი კვლავ დედაბრის ნათქვამს უტრიალებდა და მთელი არსებით ცდილობდა უარეყო.

არც ერთ წიგნში, გაზეთში, ჟურნალში არ წაუკითხავს აუგი რევოლუციისა, სტალინისა და ბერიას ასე შინაურულად გათათხვა ხომ წარმოუდგენელი რამ იყო. „მართლაც გამოჩერჩეტდა, იმდენი ხნისაა!“ — სიბრალულით შეხედა ჟამისაგან დალეულ ქალს.

დაღლილი კი იყო, მაგრამ დიდხანს ვერ დაიძინა. ეს ერთი დღე შესაძლებელზე მეტს იტევდა. რამდენი რამ გახდა ნათელი, უფრო მეტმა კი გონება აუბნია. კითხვა უამრავი დაებადა, პასუხები კი ვერ დაძებნა. რატომ ესწრაფვის ბიკენტი მის სიახლოვეს? ვითომ მშობლებთან ადრინდელ მეგობრობას უხდის ხარკს? რატომ მოისურვა ლესტამბემ მასთან დაზავება? რატომ ეძებდა ვავა ზარქუა მის თანაგრძნობას? რა აკავშირებთ ერთმანეთთან ამ განსხვავებულ ადამიანებს და მრავალ სხვასაც?.. მხოლოდ სტალინის თაყვანისცემა? რატომ ამოირიცხა საკუთარი თავი სტალინელთა სიიდან კეთილმა და უკვდავმა დარიკო მამიდამ?

დაღლამ თავისი გაიტანა, ლოგინის სითბომ უნანავა და მართალი ნათელ დარბაზში აღმოჩნდა. მარმარილოთი და ოქროვერცხლით იყო გაწყობილი. კედლებიდან უამრავი სტალინი იყურებოდა, გუმბათქვეშ ანგელოზისფრთიანი სტალინები დაფრინავდნენ. დარბაზშიც უთვალავი სტალინი მიმოდიოდა. ზოგს ჯარისკაცის უბრალო შინელი ეცვა, ზოგს

თეთრი კიტელი, ზოგსაც გენერალისიმუსისა... დასეირნობდნენ ეს სტალინები და ერთმანეთთან მასლაათობდნენ... უცებ კეკემ გაირბინა, სტალინის ჩექმის სიდიდისა არცაა. თავგზა აუბნია ამდენმა ჩექმამ და წითელკანტებიანმა შარვალმა. „არ დააბიჯონ!“ — შიშით გაიფიქრა მართალიმ და სწორედ მაშინ გადმოდგა ნაბიჯი ჩექმებიანმა სტალინმა... შეჰყვირა მართალიმ და გამოეღვიძა.

ჯერაც ბნელოდა. მარო ამდგარიყო და ბუხარში ცეცხლს აღვივებდა.

— გაგაღვიძე, შემოგევლე? — ჰკითხა.

მართალიმ პასუხად რაღაც ჩაიდუდუნა და კვლავ ჩაეძინა, ჩაეშვა ჩვილის უსიზმრო ძილში, რომელსაც შვება და განახლება მოაქვს...

9

ბიკენტი თოლორაიამ საუზმის დროს მოუსწრო. ბუხრის პირას პატარა ტაბლას უსხდნენ. წუხანდელი ღომი მიაფიცხეს ნაკვერჩხლებს და ყველთან შეექცეოდნენ. უფრო მართალი მიირთმევდა, რაკი მარომ უმადობა მოიმიზეზა, დარიკო მამიდა კი თურმე დღეგამოშვებით თუ მოსუსნიდა ციცქნა ყველსა და ღომს.

— ჩემი თალია, ნენა, მე უკვე მივირთვი, — ასე აუხსნა მართალის, თან მოფერებით მკლავზე ხელი ჩამოუსვა, — აწი ჩემი სიცოცხლე ისე ბჟუტავს, როგორც მილეული სანთელი... საჭმელი მე რად მინდა!

ბიკენტი მოურიდებლად შემოვიდა, მარტო ყმაწვილს ელოდა და იმიტომ. ქალების დანახვამ წამით შეაცბუნა, მაგრამ უმალ ნაძალადევი ხალისით ალაპარაკდა:

— თურმე სტუმრები გყოლია, მე კი ვიფიქრე, ეს ბიჭი რამ გადარია, რატომ გამეპარამეთქი! — მაროს ხელი ჩამოართვა, მერე დარიკოსაკენ შებრუნდა.

დედაბერმა სტუმრის ხელს ზედაც არ დახედა.

— მარო, ვინ არის ეს კაცი?

მაროს ენა ჩაუვარდა, არ იცოდა, რა ეთქვა.

— როგორა ხარ, დარიკო, ველარ მიცანი? ბიკენტი ვარ, თოლორაია!

— ფუი, ეშმაკს! — პირჯვარი გადაიწერა დედაბერმა. — სულწაწყმედილი ქოსას შვილი არა ხარ შენ?

— დედა! — შეუწყრა მარო.

მართალის ფერფურმა გადაუარა.

ბიკენტიმ წყენა არ დაიმჩნია, ნათქვამი ხუმრობაში ჩაუგდო.

— როგორი კუდიანიც იყავი ასი წლის წინ, ისეთივე დარჩენილხარ აქამდე!

დარიკო მამიდა ჯორკოზე შემობრუნდა, ჩაშრეტილი თვალებით ამოხედა.

— მეცოდები მე, ბიკენტი თოლორაია!

— რა მჭირს შენი შესაცოდებელი, ბებერო კუდიანო? — სიბრაზე ვერ მოთოკა ბიკენტიმ.

— მამაშენის ნაგრამი ხარ შენ! თქვენი შიშით ძირს ჭიანჭველა ვერ დაიარება, მაღლა ჩიტს ვერ გადაუფრენია! უბედური დღის გაჩენილია კაცი, მხოლოდ შიშს რომ თესავს!

— რატომ? განა არ გაგიგონია, შიში შეიქმს სიყვარულსო?

— ღვთის შიში შეიქმს სიყვარულს და არა სატანისა!

— მაშ შენ არ გეშინია ჩემი?

— აწი მე რისი უნდა მეშინოდეს? იმდენი მიცხოვრია ამ ცოდვით სავსე მიწაზე, სიკვდილი ჩემთვის სიხარულია! — დედაბერმა თითი დაუქნია. — შენ კი, ბიკენტი, მორბენალივით ცხოვრობ, გაჩერებისა და დაფიქრების დრო აღარა გაქვს, თორემ თავს უნდა იკლავდე! მარტო ნესტორისა და ტატაჩის ცოდვა არ გაგახარებთ აწ და მარადის!

უსმენდა ამას მართალი და ყურები უბჟუოდა. ვერც წარმოედგინა, დედამიწის ზურგზე თუ ვინმე შეუბედავდა ბიკენტის ასეთ სიტყვებს. კაცმა კი გაფაციცებით შეხედა ყმაწვილს, ის თუ აწუხებდა, ნეტა მართალი რას ფიქრობსო.

— ა, შეხედეთ ამას, ძველი კონტრა ჯერ კიდევ სულდგმულობს! ქვეყნიერება ტრაქტორით გადავხანით, ეს სარეველა კი ვერ ამოვძირკვეთ! — სიცილითა თქვა, ამით, გვეყოფა ხუმრობაო, ბეჭედი დასვა.

მაროც მიხვდა ამას, მართალიც. დედაბერმა კი გაგულისებით მომუწა პირი და ცეცხლისკენ მიბრუნდა, ზურგი შეაქცია კაცს და ცხადი გახდა, ძღვიბის მთელი გვარეულობა თაფლადაც რომ დაღვრილიყო, მის გულს ვერ მოიგებდა.

ამ დროს ქუჩიდან დაიჭყვიტინა კოლექტივის მანქანამ. მარო აფორიაქდა, ხელებიდან ყველაფერი უცვიოდა. ახლაღა გაახსენდა წუხანდელი სათქმელი. ეგერ დერგში სულუგუნი დევს, შვილო, ტოპრაკით ლობიო მოგიტანე, ნანა, კეჟერას მწნილი ქვაბში ჩაგიდევი, სქუა... მოაყოლა და მოაყოლა... მართალი თავს უქნევდა, თან დარიკო მამიდას ეხმარებოდა.

დედაბერი ფეხს ძლივს ადგამდა. ტუჩები მაგრად მოეკუმა, კუშტად იყურებოდა. ბიკენტი არ გამოჰყოლია, ბუხართან დარჩა. ნელინელ ჩაიყვანეს კიბეზე, ეზო გადაატარეს. მძღოლი გადმოვიდა, კაბინის კარი გამოუღო და შესვეს შიგ ჩიტივით...

თავის ქანქარით გახედა ეზოკარს დედაბერმა.

— მართალი, ნენა! სახელოვანი ვაჟკაცი იყო ნესტორი, ჭეშმარიტებას ეძებდა და ვერ იპოვა! ტატაჩიმაც ვერ იპოვა, რადგან ღონე არ ეყო! კაცი მაშინ გახდები, კაცების ამოცნობას რომ ისწავლი... მზაკვარია ის შენი ბიკენტი, ფრთხილად იყავი... სხვისი იმედი ნუ გაქვს, სხვისი გზებით ნუ ივლი, შენს შარას დაადექი, ნენა!

მართალი დარიკო მამიდის დაბებკილ ხელს ტუჩებით შეეხო, მშრალი ქაღალდივით ხეშეში კანი ჰქონდა.

უკან მხრებაწურული შებრუნდა. რატომღაც ეტირებოდა, მაგრამ ბუხრისპირას ბიკენტი ელოდებოდა და თავი მოითოკა.

— გიკვირს ალბათ, რას გადამეკიდა ეს კაციო! — თავი არ მოუბრუნებია, ისე თქვა ბიკენტიმ. — მართალი იყო ის კუდიანი, შესაცოდებელი კაცი ვარ მე!

გაუკვირდა მართალის, დაჯდომა ვერ გაბედა, ბუხრისყურს აესვეტა.

— ჩემი ხელობის კაცი ვერ იქნება ბოლომდე გულახდილი! — ხმადაბლა, მოზომილად განაგრძო ბიკენტიმ. — ნუ

გაოცებს, ასე რომ გაგიშინაურდი. მართას შვილი ხარ და იმიტომ შემტკივა გული. ადრეც ვცდილობდი დაგხმარებოდი, მაგრამ ამას იქნებ მრავალი წლის შემდეგ უფრო მიხვდე...

— ბიკენტი ძია, — ნიკაპი აუთრთოლდა მართალის, — მე მახსოვს, მამა რომ შემოვარდა ეზოში, ტალახში ჩაემხო...

ეს იყო საყვედური, ბრალდება და ბიკენტიმ თავი ასწია, ყურადღებით შეხედა.

— მეც მახსოვს! — შეყოვნდა, იყუჩა, იქნებ ყმაწვილმა კიდევ რამე თქვასო და აუჩქარებლად განაგრძო: — შენ ვერ წარმოიდგენ, რა გზა გამოვიარე! ვცხოვრობ ფარულ სამყაროში და ყველაფერი, რასაც ვიქმ, ფარულია. შეიძლება, ასაკმა მომიკაკუნა, დავბერდი, დავიღალე. ყველაფრის გულში ჩატევა მომბეზრდა. ყველაფრის არც თქმა იქნება, მაგრამ ერთი რამ უნდა გაგიმხილო. ნურავის ეტყვი, ჩემს შვილებსაც კი... ვგრძნობ, წრე იკვრება ჩემს ირგვლივ, თითქოს ხაფანგი დამიგეს, ფეხი შევდგი და საცაა, გამომიჭერენ! ჯერაც არ ვიცი, თავს დავიხსნი თუ არა. ჩემი პროფესიის კაცი მხოლოდ ერთხელ ცდება. ამიტომაც მინდოდა ხელი დროულად წამეკრა, ცოტათი დაგხმარებოდი...

— არაფერი მჭირდება მე, ბიძია ბიკენტი! — უცოდველად ტყუოდა და ამიტომ დაამატა: — ხაფანგის ოსტატს ვავა ზარქუას ვიცნობ მხოლოდ...

— და ლესტამბეს? — გაეცინა ბიკენტის, ამჯერად გულღიად. — ეჰ, ჩემო მართალი, ეგეთი წვრილფეხობისა არ მეშინია, ბიკენტის ჭილყვავები ვერ მოერევიან.

„თურმე ყველაფერი ცოდნია!“ — გაიფიქრა მართალიმ.

— ის დღე დამამახსოვრდა, მაცხოვრისგორის თავზე, ძმაკაცებთან ერთად სტალინის პორტრეტი რომ ამოიტანეთ. — თქვა უცებ ბიკენტიმ. — მაშინ, მგონი, შენა თქვი, ეს ადგილი ყველას სჯობია სტალინის მონუმენტისთვისო. კაი აზრი იყო, ჭკუაში დამიჯდა!

მართალის რა დაავიწყებდა იმ საბედიწერო დღესასწაულს, მოუფიქრებელ სიტყვებს, რომლებსაც ბიკენტიმ გრძელზე გრძელი კუდი გამოაბა.

— მონუმენტი თითქმის მზადაა. — ბიკენტის თვალებში სინათლე ჩაუდგა. — ეგ ერთი სამარცხვინო ხარვეზი გვქონდა მერეთელებს და ამასაც გამოვასწორებთ. დიდი ბელადის მონუმენტი ყველგან ააგეს ჩვენს გარდა. ახლა ჩვენი ჯერიც დადგა. შეიქნა ამაზე სჯაბაასი. ზოგმა თქვა, მოედანზე დავდგათო, ზოგმა სასტუმროს წინ რომ გზაჯვარედინია, იქო.. მე კი შენი ნათქვამი გამახსენდა და მდივანს მივმართე: ამხანაგო გრიშა, მე ვიცი ისეთი ადგილი, იოსებ ბესარიონის ძეს რომ შეეფერებამეთქი, ცადატყორცნილ მონუმენტს ქალაქის ყველა კუთხეკუნჭულიდან რომ დაინახავენ, აი, ისეთია ის ადგილიმეთქი... მოეწონა, წარმოიდგინე შენ!

— ბიკენტი ბიძია, ვერ გავიგე, იმ ხაფანგს მონუმენტი რას უშველის?

— უშველის და მერე როგორ! ახლა, გეთაყვა, ქალაქში დაჭერებია. ამას ჩემ გარდა არავინ გეტყვის და შენც არავისთან წამოგცდეს. იცოდე, რასაც ახლა გეუბნები, ვითომც არ მითქვამს. ეს ცოდნა გზაში დაგდებული იპოვე და გულში ჩაიმარხე. „მეგრელთა საქმე“ დატრიალდა! ეს წისქვილის ბორბალივითაა, ფქვავს და ფქვავს... წინასწარ არავინ იცის, ვინ მოჰყვება შიგ!.. შენ ტატაჩის შვილი ხარ, ფრთხილად იყავი, ზედმეტი არაფერი წამოგცდეს, ცუდ საქმეში არავინ ჩაგითრიოს. ამიტომაც გაგიმხილე ეგ ამბავი. საშიში დრო დგება. ამ დროს ეს მონუმენტი წამალივითაა, მისწრებაა! ჩვენ დიდი ბელადის ძეგლს ვაშენებთ, ჩვენ ერთგული სტალინელები ვართ...

— მე რა უნდა ვაკეთო?

— სწორედ საშენო საქმეა! ბოლო კლასი ხომ ისედაც საღამო სკოლაში უნდა დაამთავრო, თან უნდა იმუშაო კიდეც, თავი ხომ უნდა ირჩინო. მოძებნე შენნაირი ერთიორი ბიჭი, კომკავშირული სამეული... იქ კიბეა მოსამთავრებელი, კვარცხლბეკია ასაგები, მონუმენტი უნდა დაიდგას... საქმე ულევია, თანაც სასწრაფო! კომკავშირლები აშენებენ ბელადის მონუმენტს, ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს! თანაც ეს სასიამოვნოცაა... ვფიქრობ, ახალგაზრდებს გიყვართ დიდი ბელადი! ხომ გიყვართ? — დაჟინებით ჩაეკითხა.

მართალიმ თავი დაუქნია.

— აბა ვის არ უყვარს! — კმაყოფილებით დასძინა ბიკენტიმ. — დამთავრდება მშენებლობა, ატესტატებსაც აიღებთ და ინსტიტუტის კარსაც მიუკაკუნებთ.

ბიკენტი წამოდგა, ხელები თითქოს დაიბერტყაო, ისე შემოჰკრა ერთმანეთს.

— გამაცილე!

მართალი კიბეზე ჩაედევნა.

ჭიშკართან შეყოვნდა ბიკენტი.

— ის დღე მეც მახსოვს, ტატაჩის დაღუპვის დღე... მეტად ცუდად აეწყო! — ხელი სინანულით ჩაიქნია. — ისე მთლად მართასა ჰგავხარ! — ცალყბად გაუღიმა. — ნამდვილი კუდიანია ის შენი დარიკო, ქელეხი არ გამომაპარო!

10

აგიტვაგონის მომცრო სცენაზე ერთიერთმანეთზე ეყარნენ გაბაწრული მავნებლები, დივერსანტები, ჯაშუშები და ტერორისტები. ერთ მათგანს თავზე ძია სემის მაღალი შლაპა ეხურა, მეორეს ინგლისელი კოლონიზატორის ჩაფხუტი, მესამე ჩან კაიშის ჰგავდა... თბილისელმა მსახიობმა ტორჩინავამ ნაბიჯი წინ გადმოდგა. ზედგამოჭრილი სტალინი იყო, ოღონდ ცოტა ახალგაზრდული. წარბები ასწია, ჩიბუხიანი ხელი ჰაერში დინჯად მიმოატარა და ბრძანა:

— „გვახსოვდეს და არასოდეს არ ვივიწყებდეთ, რომ სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლები, დივერსანტები, ჯაშუშები, ტერორისტები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ზურგში გზავნიან უცხოეთის სახელმწიფოთა სადაზვერვო ორგანოები, გვახსოვდეს ეს და ვაწარმოოთ ბრძოლა იმ ამხანაგებთან, რომლებიც ვერ აფასებენ მავნებლობის ძალასა და მნიშვნელობას...“

— ცირკია ეს ცხოვრება, — წასჩურჩულა არიქა ძაძუამ დურუ გეგიას. აგიტვაგონი ბავშვებით იყო გაჭედილი, სუნთქვა ჭირდა და ტორჩინავას შუბლზე ოფლის წინწკლები უბრწყინავდა.

წარმოდგენები განუწყვეტლივ მიდიოდა, სკოლებიდან საგანგებოდ მოყვანილი ბავშვები რიგში დგებოდნენ და ტორჩინავა, ალბათ, მეასეჯერ იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვებს.

იოსებ ბესარიონის ძემ იმპერიალისტებს კისერი მოუგრიხა, ზედ ფეხებით შედგა და ბავშვები მხიარული აურზაურით დახუთული ვაგონიდან გარეთ გამოცვივდნენ.

— ესეც თუ თეატრია! — ტუჩი აიბზუა არიქამ.

ბოლო დროს უსაშველო მოწყენილობა ეუფლებოდა, ვერაფერი ართობდა. პროვინციული ქალაქის გამოზომილ ყოფაში ან რა უნდა ყოფილიყო გულის გადასაყოლებელი. წარმოსახვა სულ სხვა სივრცეებისაკენ იხმობდა, ყოფიერება კი მერეთის მტვრიან შარებზე დაატარებდა... დუხჭირი ცხოვრება აჭრიდა ფრთებს. ბოლო კლასამდე ისე მოაღწია, ტილოს ფეხსაცმლის გარდა სხვანაირი არ ღირსებია, მუდამ მუხლებგადაყვლეფილი და იდაყვგაცვეთილი ტანისამოსი ეცვა. სანამ პატარა იყო, ამას არაფრად აგდებდა, მერე და მერე გაუჩნდა გულთა ტკენანი. დაიხედა ტანზე და თითქოს თვალი აეხილა, შერცხვა და მოიბღუნძა. საშველი არსაიდან ჩანდა. მამის მწირი შემოსავალი ღვინოსა და არაყს ვერ აუდიოდა... გაუსივდა მაშინ გული არიქას, მამას დააბრალა ეს სიდუხჭირე და გუნებაში დაწყევლა, კიდევ თუ დათვრები, ფეხებით წინ შენოგიტანონო... იმავე დღეს აუხდა წყევლა, სასიკეთო არაფერი ახდენია ასე უცბად. დამთვრალა ის ცოდვით სავსე, ტალახში წაქცეულა, ცხვირპირი გზისპირა რუში ჩაურგავს და პეშვისოდენა წყალში ჩამხრჩვალა. ნუ იტყვით, აქამდე რანაირადაც ცხოვრობდნენ, იმას თურმე გაჭირვება არ ერქვა. დედამისი ფუცუ ერთი სოფლელი ქალი იყო, მანამდე შინიდან ორჯერ არ გასულა. ახლა რაიმე სახსარი ხომ უნდა ეშოვა, დაიწყო ღვეზელების ცხობა და იმით ვაჭრობა. ოღონდ ეს კანონის დარღვევად ითვლებოდა და ბევრსაც ვერაფერს იხეირებდა... „ამიტომაც დავრჩი ასეთი პატარა!“ — სარკესთან

ტრიალებდა არიქა. კი წამოიზარდა, მაგრამ შეუმჩნეველი იყო ეს ზრდა და ასაკზე ნაკლები ჩანდა. თვალს დახუჭავდა მაშინ არიქა და ხან ტარიელის ტყავში გაეხვეოდა, ხან ავთანდილისა, ხან ამირანისა, ხან რომეოსი, ტრისტანისა... სახელგანთქმულ გმირთა ნიღბებს მოირგებდა და სარკის წინ გაათამაშებდა... თან იჯგიმებოდა, თან საკუთარ თავს დასცინოდა, თუმცა ამ თავის გატაცებას არავის უმხელდა...

— რა არ მოგეწონა, ხომ ჰგავდა სტალინს? — შეეპასუხა დურუ გეგია და მხარი გაჰკრა.

— ნელა, ვირო! — არცთუ გულმოსულად შეუყვირა არიქამ ღონიერ მეგობარს.

ნეტავი რას აჭმევდა ერთი ციცქნა კატო დეიდა დურუს? ბეჭები ბუღასავით მომრგვალებოდა. ძალღონე პირდაპირ გადმოსჩქეფდა მისგან. არ იცოდა, რაზე დაეხარჯა მოზღვავებული ენერგია. ეტყობა, ზოგი ბუნებითაა ასეთი, ფინჩხსაც შეირგებს, თორემ არც დურუს ულხინდა მაინცდამაინც. რა ისეთი გასამრჯელო ჰქონდა მის წყნარ და უჩინარ დედას, ხელფასიდან ხელფასამდე ან მიჰყვებოდა, ან არა. ამიტომ გაბედა და სიცოცხლეში ერთხელ ამოიღო ხმა. ეს მაშინ მოხდა, როცა დაყვავებით უთხრეს, სამშობლოს ერთგული პატრიოტები თუ ხართ, ქვეყანას უჭირს და სესხის ამდენი და ამდენი ობლიგაცია უნდა შეიძინოთო... ის ობლიგაცია ფუჭ, ფარატინა ქაღალდად მიაჩნდათ ისედაც, მათი განაღდებისა, ურიების გარდა, არავისა სჯეროდა. ამიტომ ზოგმა გადაყარა, ზოგმა ჩალის ფასად მიჰყიდა იმავე ურიებს. აქამდე უთქმელმა კატო დეიდამ უფროსს შეჰბედა, მოზვერივით ბიჭი მეზრდება, ველარ დავამშვევ... ოჰო, ეს იყო ნამდვილი ამბოხება, აჯანყება, გაფიცვა!.. მერე და სად? სოციალისტურ მუშურგლეხურ სახელმწიფოში! იქუხა, მაგრამ რა იქუხა! ესე იგიო, უთხრეს, შენ ამტკიცებ, რომ ჩვენ ბავშვებს ვაშიმშილებთო, პირიდან ლუკმას ვართმევთო, ხალხის ინტერესებს არაფრად ვაგდებთო, მოქალაქეთა საკეთილდღეოდ არა ვზრუნავთო... ესე იგი... ესე იგიო... საბრალო მოანგარიშე ატირდა, თუ უჩემკაპიკებოდ სოციალიზმის დიადი შენობა დაინგრევა და პირსისხლიანი იმპერიალისტების მსხვერპლნი შევიქნებით, ჯანდაბას ჩემი თავიო. იოლად გადარჩა, ყურად იღეს მისი მონანიება, თორემ დარჩებოდა დურუ გეგია ამ ცისქვეშეთში კენტად...

— ადექი და შენ თვითონ გადი სცენაზე! — ნიშნის მოგებით უთხრა დურუმ.

სკოლის კომკავშირის მდივანი ბრძანდებოდა. არ იცოდა, რა დამსახურებებით შეევსო მატყუარა ოქმები და ერთი პატარა დრამწრე საქმეს დიდად წაადგებოდა.

— რატომაც არა! — არიქა მოწყვეტით გაჩერდა. — ჩამოვაყალიბოთ დრამწრე და ერთიორი სკეტჩი გავათამაშოთ. ბავშვებს მაინც გავაცინებთ!

— მერე გოგოები?

— ქალთა სკოლა აგერ არაა? მოვიწვევთ ვინმეს...

— მოიტა ხელი!

იმ დღეს ამით დაშორდნენ ერთმანეთს. დურუ დატრიალდა, მოხალისეები შემოიკრიბა. არიქა ბიბლიოთეკაში ჩაჯდა და ძლივს ამოარჩია მომცრო სკეტჩი. დურუმ რომ წაიკითხა, სიხარულით აჭიხვინდა. უფრო ის ახარებდა, რომ თვითონ შეყვარებული ყმაწვილის როლი ერგებოდა, ქალთა სკოლის პიონერხელმძღვანელი ცისანა სიორდია კი საპატარძლოს გაითამაშებდა. კულმინაციის დროს ვაჟს გოგოს ლოყაზე უცოდველი კოცნა უნდა აღებეჭდა. რეპეტიციაზე ცისანა ზედმეტად იწმაწნებოდა, გრეხვაგრეხვით მიმოდიოდა. დურუს სითამამე არა ყოფნიდა, სიმწრის ოფლი ასხამდა და სანამ კოცნამდე მიაღწევდა, ათას სიკვდილს ათავებდა. ბაგეები ისე უშეშდებოდა, კოცნისათვის გემო ვერ ჩაეტანებინა, გოგოს გატკიცინებული ლოყის მაგიერ თითქოს ბეტონის ცივ ზედაპირს ემთხვეოდა. სკეტჩი მართლაც სასაცილო იყო, მაგრამ მაყურებელს დურუს ბაჯბაჯი უფრო აცინებდა და ბოლოს არიქამ მხარზე ხელი მოჰხვია, ყურში ჩასძახა: „მოეშვი, ჯიმაგე, ამ საქმეს, ნუ დააბოტებ სპილოსავით! დაუნიშნე ამ გოგოს პაემანი და კოცნე რამდენიც გინდა!“ დურუ გაწითლდა, წყენისაგან ბუშტივით გაიბერა, მაგრამ „არტისტობაზე“ ხელი აიღო. სამაგიეროდ „ორგანიზატორობის“ მთელი სიმძიმე

შემოიდო კისერზე. არიქას რეჟისორის კვერთხი ეპყრა ხელთ, დურუ კი, თუ სარბენი გამოჩნდებოდა, დაუღლელად დათოხარიკობდა. მისი საქმიანი ფაციფუცი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ყოჩაღი მდივანიაო, ამბობდნენ. მდივნობას, მით უფრო სკოლისას, ბევრი არავინ ეპოტინებოდა, გარდა იმ ყაიდის ახალგაზრდებისა, ჰორიზონტზე რომ რაიკომის მდივნის თბილი სავარძელი ეზმანებოდათ. სხვათათვის კომკავშირული მუშაობა მხოლოდ თამაში იყო, რაღაც ფორმალური რიტუალი, რომელსაც ხელშესახები რაიმე შედეგი არ მოაქვს, უნაყოფო საქმე, თვალებში მტვრის შესაყრელად მოგონილი, ოღონდაც, დურუ გეგია ასე არ ფიქრობდა, რასაც ხელს ჩასჭიდებდა, ისეთი ენთუზიაზმით ჩაერთვებოდა, ბუქს დააყენებდა.

გაუტკბათ ბიჭებს ლაზღანდარობა და ამ სკეტჩს სხვები მოაყოლეს. მავანმა მათში ზედმეტი მხიარულება და ჭკუამახვილობა აღმოაჩინა და მძიმედ დააგდო — რა დროს სიცილკისკისია, ომი ხვალზეგ დაიწყებაო. დურუ კომკავშირის რაიკომის მდივანმა დაიბარა, მეგობრულად ესაუბრა და ყმაწვილების უზომო მხიარულებას ლაგამი ამოსდეს...

— იცი რა, — თქვა მაშინ დურუმ, — „ნაპერწკლიდან“ გავათამაშოთ!

სკოლაში ისწავლებოდა შალვა დადიანის ეს პიესა.

— მერედა კობა? — ჩაეკითხა არიქა.

— შენ იქნები კობა!

არიქა ჩაფიქრდა, თავი გააქნია.

— ვერა, მე ვერ ვიქნები! — თითებზე ჩამოთვალა. — ჯერ ერთი, პატარა ტანისა ვარ და გამწლეული. გვეტყვიან, თქვენ, ჰეი, რას დასცინით იოსებ სტალინსო! მეორეც, გვარსახელი მაქვს ისეთი, ამასაც ეჭვით შეხედავენ, სად იოსებ ჯუღაშვილი და სად არიქა ძაძუა... მესამეც, ჩვენ გვყავს მეგობარი, რომელიც კობას უკეთ განასახიერებს!

მართალი თოდუა დაბრუნებულიყო „პრიუტიდან“, საღამო სკოლაში აპირებდა თურმე ბოლო კლასის მომთავრებას, დღისით უნდა ემუშავა, რათა სარჩო ეშოვა...

პირველმა არიქამ მიაკითხა მართალის. ფრთხილად, თავშეკავებულად შეხვდნენ ერთმანეთს. უმნიშვნელო რაღაცეებზე ილაპარაკეს. მართალიმ საბავშვო სახლზე, იქაურ უგემურ საჭმელებზე, თავგადახოტრილ გოგობიჭებზე, პატარპატარა ჩურჩუტულ სასიყვარულო თავგადასავლებზე... არიქაც თითქოს იმავეს ლაპარაკობდა, სკოლის ამხანაგებს გადასწვდა... მართალის ზოგი ახსოვდა, ზოგიც დავიწყებოდა. სადაც ჩვენ არა ვართ, იქ თითქოს ცხოვრება წყდება, ანდა ზღაპრულლეგენდურ ელფერს იძენს...

— ჩვენც საღამო სკოლაში გადავდივართ, — თქვა არიქამ, — მე და დურუ!

ხსენებაც და დურუ გეგია გამოჩნდა. სიმორცხვის დასაძლევად ზედმეტად ხმაურობდა, ვერ ჩერდებოდა, მართალი ღონივრად ჩაბღუჯა, დაეჭიდა...

ასე შეიყარნენ ხუთი წლის შემდეგ სამი თანაკლასელი, სამი ძმაკაცი... მათი ასაკი — ცხოვრების ზღურბლი! რაც აქამდე მოხდა, სხვათა და სხვათა ნებით ხდებოდა. ამიერიდან თავიანთ ბედს თვითონვე განაგებდნენ. ერთი ხალხის მტრის შვილი იყო, მეორე — საეჭვო პოლიტიკური მრწამსის ქალისა, მესამე — აპოლიტიკური ლოთისა და ღვეზელის სპეკულიანტისა... ძნელი გახლდათ ფეხის აწყობა კომუნისტური მარშისათვის, მაგრამ ღონე ერჩოდათ, გული დიად საქმეებს მოითხოვდა და ისინიც ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ საყოველთაო კოლონას, წინ რომ სტალინი მიუძღოდა...

11

„გვახსოვდეს და არასოდეს არ ვივიწყებდეთ, რომ სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებს მავნებლები, დივერსანტები, ჯაშუშები, ტერორისტები...“ — ბრინჯაოს თავი დინჯად, შესამჩნევი ქართული აქცენტით ლაპარაკობდა. იგი ყუთში, ბურბუშელაში იდო. ორი სხვა უზარმაზარი ყუთის ფორმით შეიძლებოდა იმის გარკვევა, რომელში იყო ბრინჯაოს ტანფეხი და ტორსი... თავი შედარებით მომცრო ყუთში მოეთავსებინათ, როცა შეაქანეს, მაშინვე რუსულად ალაპარაკდა. მართალიმ ბიჭებს შეხედა. ყუთი ფრთხილად გადააბრუნეს, პირი ბნელი კედლისაკენ უქნეს... „ნელა, ნუ მატრიალებთ!“ — გაბრაზდა თავი, მაგრამ სივრცე არ ეყო და ხმა მოეგუდა.

ეს იყო პირველი სამუშაო დღე. შინსახკომის რამდენიმე ჯანმაგარ თანამშრომელს დაეხმარნენ. მძიმე ყუთები გორგოლაჭებით ვაგონიდან საწყობში შეაგორეს.

მერე შინისაკენ გამოეშურნენ.

— მავნებლები, დივერსანტები, ჯაშუშები, ტერორისტები... — ჩაიმღერა არიქამ.

— ქილიკს მოეშვი! — გააჩუმა დურუმ. — შენ რა, არ გჯერა? ტყუილუბრალოდ არავის იჭერენ!

ქალაქში ბევრს იჭერდნენ. გაზეთში, მართალია, ტაშფანდურის მეტი არაფერი ეწერა, მაგრამ ჭორი დასარსალებდა ნესტიან და ცივ ქუჩებში... თითქოს გაიხსნა მავნებელთა საქმე. ახლადდაკრეფილი ჩაი დროზე არ მიჰქონდათ თურმე ფაბრიკაში, რათა ხარისხი დაკლებოდა; ფერმებში ძროხებს არ უვლიდნენ, რის გამოც სენი შეეყარათ, მერე დროულად არ დაკლეს და ზარალს ზარალი წაამატეს; ფაბრიკაქარხნებში თურმე დაზგებს განგებ აფუჭებდნენ; მავნებლის ერთმა ბავშვმა ლიანდაგზე თითის სიმსხო რკინის ნაჭერი დადო, გაიჭყლიტება და ხანჯალს გავაკეთებო, ამით მატარებლის უშიშროება ხელყო... დივერსანტებსაც წაუჭირეს თურმე ყელში

ხელი. თვით აღმასკომის თავმჯდომარე გაება მახეში, თავისსავე აშენებული სტადიონის ხარაჩოდან მუშა ჩამოუვარდა. იმ უბედურმა სული განუტევა და სტადიონის გახსნით გამოწვეული სიხარული ჩაუშხამა დედაქალაქიდან ჩამოსულ ამხანაგებს... ჯაშუშების საქმეებს კი ნურც ჩამოვთვლით! უცხოელთა ქსელში გაებნენ ექიმები, ზოოტექნიკოსები, სამოქალაქო ომის ვეტერანები, მძღოლები, ნოქრები... შინ რადიოგადამცემები ჰქონდათ, ხანდახან კი სათათბიროდ ამერიკელებისა და თურქების წყალქვეშა ნავებში იკრიბებოდნენ...

ასე იყო თუ ისე, ბიჭებს თავიანთი საქმეები გამოუჩნდა. იმ საღამოს ძმაკაცები კვლავ შეიყარნენ მართალისთან. სკოლის ამხანაგი გუდუ შელია შეიამხანაგეს. შალვა დადიანის წიგნი წინ დაიდეს და გაათამაშეს სცენა სპექტაკლიდან...

— „უკაცრავად, ამხანაგო, როგორ ფიქრობთ, ლენინი კიდევ დიდხანს დაიგვიანებს?“ — მორიდებით იკითხა მართალიმ.

— „თქვენ რა, ლენინს არ იცნობთ?“ — კითხვას კითხვა შეაგება გუდუმ.

— „ლენინს 1903 წლიდან ვიცნობ, მიწერმოწერით!“

— „პირადად კი ვერა?“

— „ვერა“.

— „აქ არის“.

— „მოვიდა კიდეც?“

— „დიახ, ეგერ კუთხეში! ყველაზე ადრე მოვიდა“. — იქ კი დურუ იჯდა და ვითომც „ისკრას“ კითხულობდა.

— „მე კი სულ სხვა წარმოდგენა მქონდა“.

— „როგორი?“ — ჩაჯინებით კითხულობს გუდუ შელია.

— „მეგონა, რომ ლენინი არა თუ პოლიტიკურად არის გოლიათი, არამედ გარეგნობითაცმეთქი... მაღალი, წარმოსადეგი...“

— ჰაჰაჰა... — იცინის გუდუ. — „ბევრ ჩვენგანს ესეთი წარმოდგენა გვქონდა, მაგრამ რა არის კიდევ საკვირველი, ეს მისი თავმდაბლობა და უბრალოებაა...“

— „დიაღ... დიაღ... სწორედ ეგრე უნდა იყოს — ახალი ბელადი ახალი მასსისა, უბრალო და ჩვეულებრივი მასსის, კაცობრიობის ქვედა ფენის სიღრმიდან რომ არის წამოსული...“

არიქამ მაგიდაზე დააკაკუნა და უკმაყოფილოდ თქვა:

— ზედმეტად კოხტაპრუწობთ, რაღაც არ მჯერა... თავიდან დავიწყოთ!

— ძნელია ბელადის ტყავში გაეხვიო! — ამოიხვნეშა მართალიმ.

— რა თქმა უნდა, ძნელია! ვიცი, გირჩევნია, რომეო იყო, მაგრამ დღეს შეეცადე კობა გახდე!

გვიან, როცა ბიჭები გაიკრიფნენ, მართალი ლოგინში ჩათბუნდა, ფიქრიზმანება ეწვია. წარმოიდგინა, რომ ის მართლაც კობაა... წვერულვაში მოუშვია, ქოჩორი უკან გადაუყრია. მიტინგზე სიტყვით გამოდის, მუშტს ენერგიულად იქნევს: „ამხანაგებო! ამ დამპალმა მთავრობამ დაღუპა ცაცანა და ეფრო ბებიები! დროა, შევიარაღდეთ და მაღალი ტახტი გადავაყირავოთ!.. ეს ამბავი დროულად ვაცნობოთ ვლადიმერ ილიას ძეს, რათა ჯავშანო მოგვაშველოს!..“ რაღაც ამგვარ აბდაუბდას ბუტბუტებდა ბალიშს ჩახუტებული მართალი, რომელიც მოკლე ხნით ახალგაზრდა კობად გადაქცეულიყო...

კვირის რეპეტიცია სკოლის პიონერთა ოთახში ჩაატარეს. გუდუ შელიას გარდა გოგი შანავაც მოვიდა, დილარ ძერია, რობერტ კუჭუა, გოგონებიდან კი ივლიტა და ვერიჩკა ცანავები.

კეკემ შემოიჭყიტა, თოლორაიამ, მართალი თვალით მოიხმო და ჩასჩურჩულა:

— მეც მინდა!

მართალიმ შუბლზე გადმოგდებული ზილფი ხუმრობით მოუწიწკნა:

— ამ პიესაში ჯულიეტას როლი აღარა გვაქვს!

— მერე რა, უხმო როლს ვითამაშებ, მიტინგის დროს ხომ დგანან და ხელებს იქნევენ... ვითომ ხალხი ვარ!

— როგორც ამხანაგი რეჟისორი იტყვის! არიქა, მივიღოთ კეკე ხალხის როლში?

არიქას სახე მოეღრუბლა, თოლორაიები გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ არც უარი უთქვამს...

12

მაცხოვრისგორის ძირას, კიბის პირველ საფეხურთან, დაფაზე მკაცრი წარწერა გაჩნდა: „სდექ! აკრძალული ზონაა!“ ვისთვის იყო აკრძალული, ან რა იყო ასაკრძალი? თანაც იქვე, თითქოს ამ აკრძალვას უარყოფსო, ლამაზი კარიბჭე აღიმართა და წითელ ნაჭერზე ოქროსფრად დაიწერა: „აქ მუშაობს კომკავშირული სამეული!“

— ამდენი ქვაღორღი ჩვენ უნდა ვზიდოთ? — ჩურჩულით იკითხა შემკრთალმა არიქამ.

— ცხრა საფეხურის გარდა, ეს კიბე ბაბუაჩემმა გერამ მარტოდმარტომ გამოთალა, ამოზიდა და ააშენა კიდეც! — თქვა მართალიმ.

— რა უნდა ამის ატანას! — დურუმ კუნთები აათამაშა, მუდამ ბუღრაობაჭიდაობის გუნებაზე იდგა.

ამ ლაპარაკში იყვნენ, როცა ქალაქიდან „ვილისი“ მოვარდა და ბიკენტიმ მანქანიდან გადმოიხედა.

— ყოჩაღად ხომ ხართ პავკა კორჩაგინებო? — თვალი ჩაუკრა მართალის. — აგერ, ა, ბესა მოგიყვანეთ, კაცი კირითხურო და ყოვლისმცოდნე!

მანქანიდან ბიჭივით ცოცხლად გადმოხტა ორმოცდაათს გადაცილებული, გამხდარი კაცი. ჭაღარა ქოჩორი მოკლეზე, ზღარბივით შეეკვეცა. შუაში შავი ზოლი გასდევდა. ულვაშებშიც თეთრი შერეოდა. ეს ჭაღარა და პირისახის წვრილი ნაოჭები თუ ავლენდა მის ასაკს.

— ბესა, შენ იცი, ბიჭები დააკვალიანე! ოღონდ, იცოდე, შენებურად არ გაუტიო! — მერე მძღოლს მიუბრუნდა: — მიდი, მეჩქარება!

„ვილისი“ გაქრა, ბიჭებმა კი კაცს შეხედეს, საინტერესო იყო, საითკენ „გაუტევდა“.

ბესამ სათითაოდ ხელი ჩამოართვა, თან ღირსეულად უკრავდა თავს:

— ბესა, ბატონო, ქირია!

— მართალი თოდუა!

— დურუ გეგია!

არიქამ ხმა მიუმსგავსა, თავი დაუკრა:

— არიქა, ბატონო, ძაძუა!

გაიცინეს.

ბესა საფეხურზე ჩამოჯდა. ჯიბიდან თუთუნი და ქაღალდი ამოიღო. თავისთვის მოხია და ბიჭებსაც გამოუწოდა. არც ერთი არ ეწეოდა, მაგრამ ამის გამხელისა შერცხვათ. ბესა დინჯად, აუჩქარებლად ახვევდა. ამათაც მიბაძეს.

მოუკიდეს.

კაცმა სიამოვნებით მოქაჩა, ნაფაზი დაარტყა. ამათაც დიდის ამბით მოქაჩეს და სამივეს ხველება აუტყდა.

— სუფთა ფილტვები პროტესტს აცხადებენ! — შენიშნა ბესამ. — აბა, ბიჭებო, სანამ საქმეს შევუდგებოდეთ, მივიხედმოვიხედოთ! მთავარია სტრატეგია და ტაქტიკა, ასე გვასწავლის დიდი ბელადი!

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. თითქოს სწორი თქვა ბესამ, მაგრამ თითქოს დაცინვის კილოც გაკრთა, საჭირო სასოობა და თაყვანისცემა არ იგრძნობოდა მის ხმაში.

— სამუშაო მგელი არ არის, ტყეში რომ გაგექცეს! — რუსული ანდაზა მოაყოლა ბესამ. — ნაკლები ღონე უნდა დახარჯო და მეტის გაკეთება მოასწრო, აი, ეს არის ჩვენი უპირველესი ამოცანა!

წამოდგა და შეუყვა კიბეს.

მიჰყვნენ.

— ბესა ბიძია, თქვენ სად ცხოვრობთ? — ჰკითხა დურუმ.

— ციხეში! — უბრალოდ, ვითომც არაფერიო, ისე შეეპასუხა ბესა.

ციხეშიო? — სამივე გაშტერებული გაჩერდა.

ბესამ მოიხედა, ულვაშებში ჩაეღიმა.

— ადამიანი ციხისათვის იბადება, ბიჭებო! — თქვა და ხელი მერეთის თავზე, სივრცისაკენ გაიშვირა. — მე მინდა გავფრინდე, იმ ცისკიდეში გავუჩინარდე, მაგრამ ჩემი ხორციელი გვამი არ მიშვებს. ის ჩემი ციხეა!

— მაშინ ჩვენ სულ პატიმრები ვყოფილვართ! — გაეცინა მართალის.

— ასეა ეს! — ბესამ ამოიოხრა. — ციხეა ჩვენი მერეთიც! იმთავითვე კოლწევრად დავიბადე. იქნებ მე სულაც არ მინდა კოლწევრობა, მაგრამ ზედ მიმაბეს. პასპორტიც არა მაქვს, რომ სხვა ქალაქში გადავსახლდე, ჩემს ბედს ვეწიო... ვინ დამბადა კოლწევრად? ან ეს პასპორტი ვინ მოიგონა?

— ასე თუ ვიმსჯელეთ, მესამე ციხე მთელი ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდება! — მტრულად დაასკვნა დურუმ. — ანდა მთელი დედამიწა, რაკი სხვა პლანეტაზე ვერ გადავსახლდებით!

ბესამ სწრაფი მზერა ჰკიდა, ალბათ მიხვდა, რომ შორს შეტოპა, მაგრამ უკანდახევა არ ინება.

— მეც მანდ არა ვარ? იცით, ყმაწვილებო, რა საოცრებაა სამყარო, და, რა ცუდია, ყოველ ნაბიჯზე მესაზღვრე რომ გაგაჩერებს, სდექ, აქეთ წასვლა არ შეიძლებაო!

ბიჭები ჩუმად შესცქეროდნენ. მართალის სურდა შეკამათებოდა, მაგრამ ბესას სიტყვები შიშნარევ ცნობისმოყვარეობას უღვივებდა.

— ამას რომ მივხვდი, თავი მართლაც ამოვყავი ნამდვილ ციხეში, ოთხ კედელს შუა!

ესეც ქარაგმა ეგონათ, მაგრამ უცებ ნათელი გახდა, რომ ეს კაცი პატიმარი იყო.

— ათი წლით! — ბეჭედი დასვა ბესამ.

— ეს რანაირი პატიმრობაა, შენს გემოზე გიშვებენ! — ურწმუნოდ თქვა დურუმ.

— ჩემს გემოზე? — გაუკვირდა ბესას. — თქვენ ბიკენტი თოლორაია მოკლე ჭკუისა ხომ არა გგონიათ? თუ აქ მტოვებს, იცის, გამქცევი არა ვარ. რომ გავიქცე, სასჯელს გამიორმაგებენ და სადმე კოლიმაში მიკრავენ თავს. აქამდეც გამამგზავრებდნენ, მაგრამ უფალმა ოქრო ხელები მიბოძა და ამიტომაც ურჩევნია ბიკენტის, აქვე ვყავდე, გვერდით.

მართალის უნებლიე სევდა დაეუფლა. ერთხელ კიდევ ჩაიჭყიტა არსებობის ისეთ კუნჭულში, რაზეც ისედაც უნდა სცოდნოდა, მაგრამ ამაღლებულ იდეალებზე ფიქრი რეალობას ისეთ ბურუსში ახვევდა, მისი კონტურების გარჩევა ჭირდა.

— ციხეებში მხოლოდ დამნაშავენი სხედან! — საკმაოდ უხეშად ჩაურთო დურუმ.

ბესა მოიღრუბლა, ყმაწვილებს ზურგი შეაქცია და გზა განაგრძო.

აქედან უკვე მთლიანად ჩანდა ჩხერიისპირას გაშლილი მერეთი. ბუხრებიდან თეთრი კვამლი ამოდიოდა და ჰაერში ქრებოდა.

ბესამ მოიხედა. წეღანდელმა წყენამ გაუარა, თვალებში სხივი ჩაუდგა და წაუმღერა:

— ეჰ, ბიჭებო, მე მაინც ყველაზე თავისუფალი კაცი ვაარ!

არიქამ ტაში შემოჰკრა:

— ოთხგზის პატიმარი ყველაზე თავისუფალია!

წყნარად ჩაიცინა ბესამ, თითქოს იმის თქმა უნდოდა, თქვენ ვერც მიმიხვდებით, რანაირ საიდუმლოებას ვფლობო.

— სული უნდა ჰქონდეს კაცს თავისუფალი, ჩემო კარგებო! საპატიმროს კედლებიც ვერ მოიმწყვდევენ სულს. კაცის სული ოცნების კიბით ჯურღმულიდან უფლამდე ადის!

ასმეერთე საფეხურზე შეჩერდნენ. აქედან, ამ საფეხურიდან აფრინდა გერა კვარაცხელიას სული, ოქროს კიბეს აჰყვა და უფლის ტახტს მიეახლა.

— საქმეს მივხედოთ! — მოჭრა უცებ ბესამ, უბიდან დაკეცილი ქაღალდი ამოიღო და საფეხურზე გაშალა.

მოყავისფრო ხაზებითა და ციფრებით დაფარულ ქაღალდზე მაცხოვრისგორა ამოიკითხებოდა. ფერდობზე ამავალი ას ერთი საფეხურიც აჩნდა და პუნქტირით აწ ასაშენებელიც, სააღლუმე მოედანიც გორის თავზე, მაღალ კვარცხლბეკზე კი ბელადის სილუეტი.

— სამუშაო ბლომადაა! — ბესამ პუნქტირს თითი გააყოლა. — ამ პროექტით სამას სამოცდახუთი საფეხურია. ას ერთი უკვე გვაქვს!

ჯიბიდან „მეტრი“ ამოიღო, კოჭზე დახვეული რკინის ლენტის ბოლო არიქას მისცა, გაიქეცი, აი, იმ მიმართულებით გავზომოთო.

შეუყვნენ აღმართს. მონიშნულ ადგილზე პალოებს არჭობდნენ. მომავალი კიბე ხან გაკვალულ ბილიკს მისდევდა, ხან უმოკლესი გზით იმავე ბილიკს ასცდებოდა.

ასე ააღწიეს მაცხოვრისგორის თავზე. აქაც მონიშნეს სააღლუმე მოედნისა და კვარცხლბეკის ადგილები.

— ეკლესიის ნანგრევების მთლიანად გადახვეტა მოისურვეს. დანგრევა ადვილია, აშენებაა ძნელი! — ბესამ ქაღალდზე დატანებული ნანგრევები შემოხაზა. — ვეუბნები ბიკენტის, ძღვიბიევიჩს, — ჩაგემოვნებით წარმოთქვა ქოსას სახელი, — სიმბოლური იქნებამეთქი, ძველი სულიერი ძეგლის ნანგრევზე რომ ამოიზარდოს ახლის კვარცხლბეკიმეთქი... დამიჯერეს!

ამ გააზრებაში იდო რაღაც ფარული ეშმაკობა, მართალიმ ეს იგუმანა, მაგრამ ვერ ამოხსნა.

— ზღუდეს გამაგრება უნდა, გალამაზება, ცოტათი აწევაც... — ენას არ აჩერებდა ბესა, გონებაში თავისთვის რაღაცას ანგარიშობდა. — ბლომად დაგვჭირდება ვირის მუშები...

— აბა ჩვენ რისთვისა ვართ? — დურუმ მკერდი ბორბალივით გამობერა.

— აჰ, თქვენ ვინ გაკადრებთ მძიმე ტვირთის აწევას! — თვალთმაქცურად შეიცხადა ბესამ. — თქვენ ჩვენი სახელოვანი კომკავშირული სამეული ბრძანდებით, რამე არ უნდა იტკინოთ!.. ისე, ხანდახან დაგვხედეთ ხოლმე და მერე ჩინმედლების მისაღებად გაემზადეთ... აბა, ყველა გმირი მეჩაიე ჩაის რომ კრეფდეს, რაღა გვიჭირდა!

— იცი, ბესა ბიძია, რა ეკუთვნის მაგეთ მეოხუნჯეს? — გაიფხორა დურუ.

— გაჩუმდი თუ ძმა ხარ, კაცი ოთხგზია პატიმარია და მაინც ოხუნჯობის ხალისზეა, — გამოექომაგა არიქა.

— არც მე მომწონს მაგეთი ხუმრობა, ბესა ბიძია! — შეიჭმუხნა მართალი.

— კაცი რომ ხუმრობის უნარს დაკარგავს, დროა მიწაში ჩაწვეს! — ბესამ არაფრად ჩააგდო ბიჭების გაცხარება, მერე, მცირე დუმილის შემდეგ დასძინა: — შეიძლება მოგეწონოს, ან არა, სხვისი ნათქვამი, მაგრამ ადამიანთა ყველაზე არაკაცური თვისება ბეზღობა და ენის მიტანაა!

— ბესა ბიძია! — თვალი გაუსწორა მართალიმ. — ჩვენს შორის, ამ პატარა საძმოში, მაბეზღარა და ენის მიმტანი არ

გვირევია. რაც ითქვა, ჰაერში გაქრა! ოღონდაც, ჩვენ კომკავშირლები ვართ და ჩვენს იდეალებს ვერავის შევალახვინებთ!

დაღმართს დაუყვნენ და ბესამ სევდიანად ამოიოხრა:

— ვინ მეძალება და ენაზე ვინ მექაჩება! რაცა მჭირს, ჩემი ენის წყალობითაა. მაინც უნდა გითხრათ, ჩემო მართალი, ადამიანის წინაშე ყველაზე დიდი დანაშაული ცოცხალი აზრის ჩახშობა და ტვინში დოგმის ჩაჭედვაა. ამ დროს ადამიანში კვდება პიროვნება, იგი სათამაში ტიკინად იქცევა...

— მერე ვინ აკეთებს მაგას? — წამოიყვირა დურუმ. — დოგმების ჩარჩოში დოგმატიკოსები და რევიზიონისტებია, ჩვენი იდეალი კი შემოქმედებითი მარქსიზმია!

ბესამ ყურადღებით შეათვალიერა ბიჭები. არიქა და მართალი დუმდნენ. ცხადი იყო, ისინიც დურუს უჭერდნენ მხარს. კაცმა თავი სინანულით გააქნია, თითქოს ავადმყოფები შეიცოდაო.

გულზე მოხვდა მართალის, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

განა საკამათოა, რომ ბესა ქირია ცდება! მისი აზრები სულ სხვა, მტრული სამყაროდან მოსულსა ჰგავს და საშიშია. ასეთი კაცი აგენტივითაა, ციხის შიგნიდან გამტეხია.

„მართლაც დასაჭერი ყოფილა!“ — დანანებით გაიფიქრა.

„დასაჭერი იყო და იმიტომაც დაიჭირეს!“ — გულღრძოდ დაასკვნა დურუმ.

„კარგი კაცია და აფსუსია!“ — შეეცოდა არიქას. ასეთი გონების პატრონი იმდენად არ უნდა ცდებოდეს, თექვსმეტი წლის ყმაწვილების დასამოძღვრი გახდეს.

ჩამოივაკეს და ბესამ ხმაში ხვეწნა გაურია:

— ბიჭებო, სათხოვარი მაქვს! ოღონდ, კარგებო, თავს საფრთხეში ნუ ჩაიგდებთ, თუ არ შეგიძლიათ, უარი მითხარით, არ მეწყინება!

ბიჭებმა ყური ცქვიტეს, ერთმანეთს გადახედეს.

— ჯუღაშვილის ქუჩაზეა ჩემი სახლი, ცოლიცა მყავს და თქვენზე პატარა გოგოც! შინ რომ წავიდე, გაქცევაში ჩამეთვლება და სასჯელს წამიმატებენ. იქნებ ჩემებს გააგებინოთ, რომ აქა ვარ, შორიდან მაინც შევავლებ თვალს!

13

ბიჭებმა ბულვარში ჩაისეირნეს. ნელ სიარულში დარბაისლობა და სიდინჯე იგულისხმებოდა. ბავშვობა დამთავრდა. ისინი დიდები იყვნენ. თავიანთი შრომით ირჩენდნენ თავს, თანაც უბრალოს კი არა, გამორჩეულსა და საპატიო საქმეს შესჭიდებოდნენ.

— კომკავშირის სამკერდე ნიშანი ნუ გავიწყდება! — შეახსენა დურუმ არიქას. ვერა და ვერ ასწავლა წესი და რიგი ამ ხვლიკუნას.

კინოთეატრ „ოქტომბერთან“ მაყურებლების რიგი იდგა. ეკრანზე „მესამე დარტყმა“ გადიოდა. ბოლო დროს ერთმანეთს ცვლიდნენ „სტალინიანას“ ციკლის ფილმები... იყო „სტალინგრადის დაცვა“, „ბერლინის დაცემა“... სტალინის ძვირფას სახეს გელოვანი ასახიერებდა. ყველანი ამბობდნენ, ზედმიწევნითა ჰგავსო, თუმცა სტალინის მნახველი მერეთში არავინ იყო... ბელადისაგან განსხვავებით ჰიტლერი გიჟის კარიკატურად გამოიყურებოდა, ვინ ვერ მიხვდებოდა, რომ ფაშისტიცაა და სულელიც!

ლესტამბემ გამოიარა, კეკეს ხელს ჩაჰფრენოდა. გოგონა ცმუკავდა, ვერ ისვენებდა. ლესტამბეს კი, როგორც ყოველთვის, ცხვირზე ზეთი ჩამოსდიოდა.

— კინოში მივდივართ! — განაცხადა. მუშტი ჯიბეში ედო, ალბათ ბილეთის ფულს ჭმუჭნიდა, ეშინოდა, ვინმემ არ წამართვასო.

— იმ კვირასაც რეპეტიცია გვაქვს! — უთხრა არიქამ კეკეს. გოგონა ბრბოში უნდა მდგარიყო და „ვაშა“ ეძახა.

თოლორაიებმა გზა განაგრძეს.

— თქვენ ჩიტის გულები გაქვთ! — ადრინდელ კამათს განაგრძობდა დურუ. — პატიმარია და იმიტომ გეცოდებათ. იმას იმ სიგრძე ენა აქვს, ციხიდან არავინ გამოუშვებს. პირადად მე მისი დავალებების შესასრულებლად ვერ ვირბენ!

— უკეთესია თუ ბიკენტისთან დავასმენთ და ოთხგზის პატიმარს მეხუთეჯერ დავაპატიმრებთ! — დაცინვით ურჩია არიქამ.

— რა გაწუხებს, ვერ გამიგია, — მხრები აიჩეჩა მართალიმ, — ილაპარაკოს კაცმა, თოფს ხომ არ ისვრის. ამ ენის გამო ისედაც ციხეშია, მეტი რა გინდა!

გეგიების სახლამდე რომ მიაღწიეს, დურუმ შუბლზე თითი მიიკაკუნა, აფრაკადა ხართო, და შინისაკენ გადაუხვია.

არიქამ და მართალიმ ერთმანეთს შეხედეს, გზა რკინიგზის სადგურისაკენ განაგრძეს.

შავზე შავი ორთქლმავალი კვამლს აბოლებდა და წინდაუკან დააჯახირებდა საბარგო ვაგონებს. ბოლო ლიანდაგზე მწვანე ურჩხულივით გაწოლილიყო გრძელზე გრძელი ჯავშნოსანი მატარებელი. მრისხანე ქვემეხებს ლულებზე ჩაჩები ჰქონდა და ეს თუ ანელებდა შიშს, რასაც მოქალაქენი გრძნობდნენ. ყოველ გაზაფხულს ქალაქს გრიპივით ჩამოუვლიდა ჭორი, არიქა, ამერიკელები მოდიან, თავს უნდა დაგვესხანო. ერთი ატომური ბომბიც საკმარისია მერეთის ასაორთქლებლადო. ისეთ რამეებს ყვებოდნენ, სიცოცხლეს ალბათ სიკვდილი ჯობდა.

ჯავშნოსანის გასწვრივ შაშხანიანი გუშაგები მიმოდიოდნენ და ყმაწვილებმა შორიდან შემოუარეს.

ჯუღაშვილის ქუჩაც აგერ იყო, სხვებისაგან არაფრით გამოირჩეოდა. ქალაქში ისედაც არსებობდა სტალინის პროსპექტი, მოედანი, სანაპიროც და ამ ქუჩის სახელი ან ზედმეტი სიყვარულის, ან ზედმეტი პირმოთნეობის შედეგი იყო.

ქირიების ორთვალიანი ოდა დაბალ ხიმინჯებზე იდგა, ბუხრიდან თეთრი ბოლი ამოდიოდა.

შეყოყმანდნენ, ჭიშკრის შეღებისა ერიდებოდათ.

მეზობელი სახლიდან გაისმა ქალის ხმა:

— ცხუტა, ქალო, თქვენთან არიან, გამოიხედე გარეთ!

ფარდის შინნაქარგი ფარდა გადაიწია, უმალ კარიც გაიღო და აივანზე ტანმსხვილი ქალი გამოვიდა. პირმრგვალი სახე ჰქონდა, მაჯისსიმსხო ნაწნავები. მეტად ახალგაზრდა ჩანდა ბესას დიასახლისი.

— შემობრძანდით, შვილებო, ჭიშკართან რატომ დგახართ! — ტკბილი, ღუღუნა ხმით მოიხმო ცხუტამ.

ჭიშკარი მორიდებულად შეაღეს და შემოგებებულ ქალს მართალიმ ხმადაბლა ამცნო:

— ჩვენ ბესა ბიძიამ გამოგვაგზავნა!

ქალმა ხელები გაასავსავა, თვალებზე უცაბედი ცრემლი გაუკრთა.

— შემობრძანდით და შინ ვილაპარაკოთ!

მწირი ხაბაკხუბაკით გაწყობილ ცივ ზალაში შეუძღვა. კედელზე ბესას და ცხუტას ქორწილისდროინდელი, გადიდებული სურათი ეკიდა. იმის ქვემოთ კი ნაცრისფერ ქაღალდზე დახატული მელნისფერი ზღვა და ტალღებზე მოცურავე მწვანე ქალთევზა. ასეთები ბაზარში იყიდებოდა იაფად.

— აქეთ, სითბოში შემობრძანდით! — დიასახლისმა ბიჭები მეზობელ ოთახში შეიყვანა. აქ, ბუხარში ცეცხლი ენთო, იქვე კალათაში სიმინდის ტაროები ეყარა, იატაკზე — ნაქუჩი, გობში კი — დაფშვნილი სიმინდი.

ჯორკოდან გოგონა წამოიმართა. სიგამხდრისაგან სინათლე გასდიოდა, დიდრონი, შავი თვალები უბრწყინავდა, კანი კი ისეთი გამჭვირვალე ჰქონდა, ძარღვების ფეთქვა ილანდებოდა.

— გვაპატიეთ, ყმაწვილებო, მე და ჩემმა გოგომ სულ დავანაგვიანეთ აქაურობა! — ქალის ყოველ სიტყვაში მოფერების კილო ისმოდა და ბიჭებს თითქოს უნანავებდა. — ცირა, გავწიოთ ეს კალათა და სტუმრები ცეცხლთან მივუშვათ!

ცირას ხმა არ ამოუღია, მაგრამ კალათა და გობი გასწია, ნაქუჩი სწრაფად ახვეტა, ბიჭებს დაბალი ჯორკოები დაუდგა და შუაში ტაბლაც დადგა.

— ჩვენ არა გვშია! — გაუბედავად თქვა მართალიმ.

— დედას გეფიცებით, არა გვშია! — დაუდასტურა არიქამაც, თუმცა ორივეს კუჭი ეწვოდა.

— თქვენს ასაკში ადამიანს მუდამ ჰშია! — დაუყვავა ცხუტამ. ნაძალადევი მხიარულებით მიმოდიოდა, უპიდან კურცხალი ნეკათითით შეუმჩნევლად მოიშორა.

ბუხარში შეშა მისწიმოსწია, ნაკვერჩხლები გამოხვეტა, ზედ „ფიცხინია“ დადო, მასზე კი ცივი ღომის ნაჭრები დააწყო... ცირამ სულუგუნი და მწნილი მოარბენინა, ამას სურით

ჭაჭის არაყი მოაყოლა, მომცრო ჭიქები, მოხარშული კვახი, ცოტა ჯანჯუხა და ტკბილისკვერი.

— ჩვენ არა ვსვამთ! — იუარა მართალიმ.

— დედას გეფიცებით, არა ვსვამთ! — არიქამ გულზე ხელი მიიდო.

უხერხულობისაგან წამდაუწუმ წითლდებოდნენ, არიქა მთლად ყაყაჩოსფერი გახდა.

ცირამ ტაშტი და წყლიანი სურა შემოიტანა, მკლავზე პირსახოცი გადაეფინა. ყმაწვილებმა სიმბოლურად თითები დაისველეს.

დასხდნენ, ლუკმა გატეხეს და მხოლოდ მაშინ იკითხა ცხუტამ.

— რაო, რა შემომითვალა მაგ ჩემი ცოდვით სავსემ?

— ჯერჯერობით აქა ვარო, ქალაქში... — მთელი დღის უჭმელებმა სიმორცხვეს სძლიეს და მონდომებით ილუკმებოდნენ.

— მადლობა ღმერთს! — პირჯვარი გადაიწერა ცხუტამ. ცირამაც უთქმელად გადაიწერა პირჯვარი, რითაც სტუმრები გააკვირვა. პირჯვარს რომ იწერდა, ისეთი ბავშვი აქამდე არც ენახათ.

— გამოძღა ალბათ ურჩხული, კუჭში ვერ ჩაეტია ბოლო ლუკმა! — დააგდო უცებ ცხუტამ.

არიქამ პირი დააღო, ლუკმა ყელში გაეჩხირა. მართალის ყურში გაუჟღრიალა. ვინ ურჩხულიო? ალბათ ბიკენტი! ან ვავა ზარქუა!.. იქნებ ლავრენტი პავლეს ძე?.. ამაზე მაღლა ფიქრითაც ვერ წავიდოდა და წასვლა არც სურდა...

მოუყრუა. ჭამა განაგრძო, თუმცა არც ისეთი ხალისით.

არიქამ პირი სასაცილოდ მომუწა, თითქოს სტვენას აპირებსო და ჩაიხითხითა.

— ჩვენთან მანამ იქნება, ვიდრე სტალინის ძეგლს ავაშენებდეთ მაცხოვრისგორის თავზე!

— სტალინის? — ისე გაიოცა ცხუტამ, თითქოს სასწაული რამ უთხრესო.

— რა გაგიკვირდათ? — მართალის ხმაში მტრული სიმი გაჟღერდა.

— გაკვირვებით არ გამკვირვებია, — ენას კბილი დააჭირა ქალმა, — სტალინის ძეგლებს სად არ აშენებენ. მე სხვა გამკვირვებია! იცით, რატომ დაიჭირეს ჩემი მეუღლე?

ბიჭებმა უარის ნიშნად თავი გააქნიეს.

— აიჩემა, ომმა ქვეყანა გააჩანაგა, წელი ვერ აგვითრევია და ამდენი ძეგლისათვის ფულს წყალში რატომ ვყრითო. თავი დაანებე, შენ ვინ გკითხავსმეთქი, ვურჩიე. არ დამიჯერა, თუ არ მკითხავს, ნახავო! ადგა და თვითონ იმას, პირადად გენერალისიმუსს მისწერა, ამუნათებდა, პირმოთნეები თავს გავიდნენ და ზღვარი შენ დაუდეო!

— მერე? — ორივემ ერთად იკითხა.

— გვეგონა, წერილი მოსკოვში არც იქნებოდა მისული, ქუჩაში აიყვანეს. ახლა კი, ჩანს, დასცინიან, არ გინდოდა ხომ ძეგლების აშენება, მიდი და შენი ხელით ააშენეო! — ცხუტას თვალები დაენამა, ხელები პირისახეზე აიფარა.

ცირას ხმა არ გაუღია. „მუნჯია ალბათ!“ — გაიფიქრა მართალიმ.

— მუნჯია, ალბათ! — არიქას უთხრა, როცა იქიდან ბრუნდებოდნენ.

— მუნჯებს არ ესმით, იმას კი ყურები ჩვენკენ ჰქონდა! — დამაჯერებლად აუხსნა არიქამ და უცებ სიცილი წასკდა: — ნახე, რანაირი განაჩენი გამოუტანეს ბესას? არ გინდოდა ხო ძეგლის აშენება, მიდი და შენი ხელით ააშენეო!

მართალისაც გაეცინა. ეს უფრო ანგლობას ჰგავდა, ვიდრე სასჯელს. ბოლოს და ბოლოს იმ კაცს ტყვიას არავინ დაახლის. ცხვირი იქ ჩაყო, სადაც არ ეკითხებოდნენ და ამიტომაც აღზრდიან, როგორც საჭიროა... აი, ეს არის გენიალური მიხვედრა!

მართალიმ არიქა მიაცილა და შინისაკენ წამოვიდა.

ცივი, ჩაბნელებული სახლი დახვდა.

ბუხარში ძველი გაზეთის ნაფხრენი შეაგდო. უცბად აბრიალდა და კედლიდან სტალინის სახემ მწყრალად გადმოხედა... მართალის გააცივა... გაზეთი წამში ჩაიფერფლა და ყმაწვილმა გათოშილ ლოგინს მიაშურა...

14

— ასეთი ტემპით რომ გვემუშავა, უკვე შუა კომუნიზმში ვიქნებოდით! — ბესა ქირიამ ღიმილი დამალა. მართალიმ გაიფიქრა: „არ იშლის ქილიკს, ნეტავ ბიკენტის არ ჩაუკაკლავდეს ვინმე!“

არადა, საქმე მართლაც სწრაფად მიიწევდა წინ!

დილაუთენია მოთუხთუხდა რამდენიმე სატვირთო მანქანა. ხრეში და ცემენტი მოზიდეს, სადღაც კარიერში დათლილი თეთრი საფეხურები... ზედ პატიმრები ისხდნენ, ზურგით კაბინისაკენ. შაშხანებით შეიარაღებული არმიელები დარაჯობდნენ, ქერა და ჩოფურა რუსის ბიჭები... პირველნი თვითონ ჩამოხტნენ ძარიდან, წრე შეკრეს, შაშხანები მომართეს.

— დავაი, ვილეზაი! — აყვირდა ამათი მეთაური.

პატიმრები არცთუ მკვირცხლად ხტებოდნენ ძირს. რუხი, დაძველებული შარვალკიტელი ემოსათ, ჯღანი ფეხსაცმელები, ზოგს გაზინთული კეპი ეხურა, ზოგიც უქუდო იყო. შეცივნულები ადგილზე ბუქნაობდნენ, ხელებს იფშვნეტდნენ.

„ვინ არიან ესენი? — ფიქრობდა მართალი. — დამნაშავენი? რა დაუშავეს ადამიანებს, ქვეყანას?“

გაუპარსავნი, დაუბანელნი, ლოყებჩაცვენილნი, — თანაბრად ყველას ყვითელი ფერი გადაჰკრავდა. ნისლიან დილას, ღამიდან გამოცვენილ, საიქიოში ნასტუმრებ კაცებსა ჰგავდნენ.

— სტროისია! — ყვიროდა რუსის მეთაური.

ბიჭებს ამ ნაცრისფერ ბრბოში უჭირდათ ადამიანთა ამოცნობა. იდგნენ გაუცხოებულნი, სულ სხვა ქვეყნის შვილები, უფსკრულის გაღმიდან მოსულნი და მართალის შერცხვა, რაკი საკმარისი თანაგრძნობით ვერ განიმსჭვალა.

— საცოდავები! — ამოიოხრა არიქამ. — პური მაინც წამოგვეღო, ან თუთუნი...

— ტორტი წამოუღე, ტორტი! — დაცინვით ჩაურთო დურუმ.

მართალის ხმა არ ამოუღია. ფრთხილი ფიქრი შემოეპარა: სამი მეგობარი, სამი კომკავშირელი, ერთი ძლიერი და უჩინარი ხელით გმოძერწილნი თითქოს თანდათან შორდებოდნენ ერთმანეთს, თუმცა ბზარი ჯერაც მცირე იყო.

ამასობაში პატიმრებმა მანქანიდან ტვირთის გადმოყრა დაიწყეს. დურუ უმალ წამოენთო, ღონე ერჩოდა და უსაქმოდ ვერ ჩერდებოდა.

წინ ჯარისკაცი გადაუდგა, შაშხანა მოუღერა და უხეშად შეუღრინა:

— ნაზად!

შეცბუნებული გამობრუნდა დურუ, დარცხვენილი ქოშინებდა:

— სულელია ვიღაცა!

— ამათ თავიანთი წესები აქვთ! — მშვიდად აუხსნა ბესამ. — ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედოთ!

ყმაწვილებს გაუძღვა და კიბეს შეუყვნენ.

— ვინ არიან ესენი? — ჰკითხა მართალიმ.

— ვინ იცის! — ბესამ მოიხედა. ზევიდან პატიმრები რუხი თაგვებივით ჩანდნენ.

— ქურდები იქნებიან, წესიერი კაცი იქ არ მოხვდება! — დურუს წყენა ვერ განელებოდა.

— ალბათ ასეცაა, — დაეთანხმა ბესა, — ოღონდ ესაა, ნამდვილ ქურდს მუშაობას ვერ აიძულებ! იგი სხვა „ზეკებს“ ამუშავებს, თვითონ კი ყეენივითა ზის!

— ეს როგორ?

— ინდოეთში, გაგიგონიათ ალბათ, საზოგადოება კასტებად იყოფა. ყველაზე დაბალია „მიუკარებელთა“ კასტა. ისინი უწმინდურებად მიაჩნიათ, მათთან არავისა სურს ურთიერთობა. სხვა კასტები უფრო მაღალ საფეხურებზე დგანან. ციხეშიც ასეა! ყველაზე უკეთ ქურდები არიან. არ მუშაობენ, ბანქოს თამაშობენ, პატიმრებს ძარცვავენ, იმონებენ, უფროსებთან კარგი ურთიერთობა აქვთ... მოკლედ, ციხე მათი სახლია, თვით სახელმწიფოა მათი პატრონი!

— რად უნდა სახელმწიფოს ქურდის პატრონობა? — უხეშად შეუტია დურუმ.

— სხვა „ზეკების“ დასამორჩილებლად! ყველაზე უარესად ესენი არიან! კიდევ კარგი, თუ ქრთამისათვის ზიხარ, ანდა მკვლელობისათვის, მაგრამ თუ აზრის პატიმარი ხაარ...

ბოლო სიტყვა ბესამ გაჭიმა, მაგრამ მიხვდა, რომ კვლავ აჭარბებდა და ენას კბილი დააჭირა.

— კი ხარ, ბესა ბიძია, აზრის პატიმარი, მაგრამ შაშხანიანი კაცი არ გადგია თავზე! — არ მოეშვა არიქა.

— ესეც მართალია! — დაეთანხმა ბესა. — ეს მაშინ ხდება, როცა „ზეკი“ საჭირო კაცია. ახლა მე საჭირო ვარ... ცოტა ხნით! სანამ კერპთაყვანისმცემლებს ბომონს დავუდგამდე!

ყმაწვილებმა ერთმანეთს გადახედეს. ეს უკვე საშიში ხდებოდა, არათუ ბესასათვის, ამათთვისაც.

— ისე, ჩვენც დასაჭერები ვართ! — განაცხადა დურუმ. — ვისმენთ კიდეც და ვითმენთ კიდეც! ნამდვილად დასაჭერები ვართ!

მართალიმ კუშტად შეხედა დურუს. არ მოეწონა მისი თავგამოდება. საკუთარი მრწამსი უნდა დაიცვა, მაგრამ კი არ უნდა გადაამლაშო.

— თუ დაგვიჭირეს, აზრის პატიმრები გავხდებით! — ჩაიცინა არიქამ, ეიოლებოდა ასეთი ხვედრი.

ბესას სახე სერიოზული გაუხდა. არიქას მკლავზე ხელი წაატანა და ხმადაბლა თქვა:

— რაცა მჭირს, ჩემი ძირს მოსაკვნეტი ენის გამო მჭირს. მე არ მინდა, ბიძიებო, გზა გაგიმრუდოთ. ხელი მაქვს ყველაფერზე ჩაქნეული და იმიტომ არ მეშინია არაფრის. თქვენ კი მომავალი გელოდებათ. ფიქრით იფიქრეთ, კაცი იმიტომაა, იფიქროს! მაგრამ ფრთხილად იყავით, ბიძიებო, ენა მოითოკეთ და, რასაც მე ვლაპარაკობ, — გულს ვიფხან და იმიტომ ვლაპარაკობ ასე, — თქვენ მაგნაირებს ნურც გაიმეორებთ!

ამაზე გაჩუმდნენ. ლაპარაკი არც შეიძლებოდა, რადგან ასმეერთე საფეხურთან ვავა ზარქუა იდგა.

პატიმართა დიდი ჯგუფი ამოეყვანა აქაც. ისეთივე უსახურნი იყვნენ, როგორებიც ქვევით დატოვეს. იეჭვიანა კიდეც მართალიმ, იქნებ იმათ ამოგვასწრეს და წინ დაგხვდნენო. მჭიდროდ იდგნენ და ისე ათბობდნენ ერთმანეთს.

ძირს წერაქვები, ბარნიჩბები და თოხები ეყარა. მოშორებით, ოთხივ კუთხით ოთხი არმიელი იდგა შაშხანებით ხელში. ერთს უზარმაზარი სამგლე ქოფაკი გამოება საბელზე. ეტყობა პატიმრებზე იყო დაგეშილი, ენა გადმოეგდო, ღოჯებიდან ნერწყვი გადმოსდიოდა და თვალებს ბოროტად აბრიალებდა, თითქოს ნატრობდა, ერთი მიმისისინეთო.

„ესეც ვავა ზარქუაა!“ — გაიფიქრა მართალიმ.

იქნებ ასეც იყო, ხან ეს ძაღლი გადაიქცეოდა ვავად, ხან ვავა — ძაღლად!

საფეხურზე ჩამომჯდარიყო ვავა. თავზე თბილი, ყურებიანი ქუდი ჩამოეფხატა და რაც იმის ქვეშ უფერულ, თეთრ ლაქად ჩანდა, პირისახე არც ეთქმოდა.

— აგვიანებ, ბესა! — უკმეხად გამოსცრა.

— ციხის კარი როცა იღება, მაშინ მოვდივარ, უფროსო! — უპასუხა ბესამ, მის ხმაში თავშეკავება და ღირსების გრძნობა ჟღერდა.

— ციხეს ისე ეთამაშები, ალბათ თავი უცვლელი გგონია, — ვავა წელში გაიმართა და ამ დროს სხეულში ძვლებმა თითქოს გაიჩხარუნა, — უცვლელი კი დედამიწის ზურგზე არავინაა!

— მეც მაგისი იმედი მაქვს! — წყნარად, დინჯად შეეპასუხა ბესა და ყმაწვილებს მიუბრუნდა: — მაშასადამე, არწივებო, ამოცანა ასეთია: ავიყვანოთ კიბე, სულ ორას სამოცდაოთხი საფეხური. გორაზე თლილი ქვებით მოვკირწყლოთ სააღლუმე მოედანი. კიბეს ავაყოლოთ ბორდიური, მოედანს კი გადასახედის მხრიდან პარაპეტი შემოვარტყათ. ზედ კიდეზე ავაგოთ კვარცხლბეკი... დრო მცირე გვაქვს! ერთბაშად ყველა ფრონტზე უნდა ვიმუშაოთ. მოქალაქე პატიმრები ოთხად დავანაწილოთ — აქ, იქ, იქ და იქ!.. ჩვენ კი — სამი მამაცი კომკავშირელი და ერთი წყალწაღებული ბოროტმოქმედი ყოველივე ამას ხელოვანის ჯადოსნურ კვერთხს შევახებთ და საჭირო ფორმას მივცემთ! ხომ გასაგებია, მოქალაქე უფროსო?! — მიახალა უცებ ვავას.

ვავა წამოწითლდა, ღოჯები იმ ძაღლივით გამოაჩინა, მაგრამ არაფერი უთქვამს, შებრუნდა და პატიმრების განაწილებას შეუდგა...

15

მაცხოვრისგორის ფერდობს რუხი ჭიანჭველები შეესია. მართალიმ თვალი გაადევნა. დათვლით ვერ დაითვლიდა და უკმაყოფილოდ გაიფიქრა, ეს რამდენი პატიმარი გვყოლია მერეთშიო. ამათ თუ გადაამრავლებ ამნაირ და უფრო დიდ ქალაქებზე, თავზარდამცემი რიცხვი გამოვა... შეეცადა ეს მკრეხელური ფიქრი გაეფანტა...

ქვევით, მთისძირას პატიმართა ერთი ჯგუფი მანქანებს ცლიდა, სხვებს ტვირთი ჯალამბარებით ფერდობზე ამოჰქონდათ. მესამენი კიბის გაყოლებით მუშაობდნენ, საფეხურებისათვის ფუძეს თხრიდნენ, ბეტონის ხსნარს ზელდნენ და ბესასთან მოჰქონდათ... სხვანი და სხვანი გორის თავზე ასწორებდნენ სააღლუმე მოედანს, საძირკველს ამზადებდნენ კვარცხლბეკისათვის...

ყმაწვილები ბესას ეხმარებოდნენ. დურუ და მართალი მძიმე საფეხურს მიუჩოჩებდნენ, არიქა ქამჩით ხსნარს ასწორებდა... ახალგაზრდული სიხალისით მუშაობდნენ, მაგრამ გულის სიღრმეში სამივეს უხერხულობა დაუფლებოდა, რადგან თვალს ვერ უსწორებდნენ ირგვლივ მომუშავე ჩამოფართხუნებულ, ძველმანებში გახვეულ, ერთნაირად დალეულ და დაჩიავებულ რუხ მასას, რომელსაც უჭირდა ეს მძიმე საქმე და ძლივსღა ზოზინებდა, გაავებული რუსის მეთაური კი აღმადაღმა დარბოდა, ფაციფუცობდა, არ ეკითხებოდნენ და მაინც ეჩრებოდა:

— ჩქარა, ჩქარა! გაინძერი, ნეხვო! უჰ, შენი დედა!.. ორას მეთორმეტე, მშიერი კარცერი მოგელის, იცოდე!.. ას მეათე, გამოგიჭერ და უნიტაზში ჩაგაყოფინებ სიფათს!

იჭაჭებოდა, იჭაჭებოდა, ალბათ ვავას აწონებდა თავს.

მოულოდნელად მქრქალი ნისლი გაირღვა და მზემ გამოიხედა. უღონო სხივები ვერ ათბობდნენ, მაგრამ მაინც სასიამოვნო იყო. „ზეკებსაც“ ცოტა ფერი მიეცათ, ერთმანეთში აჩურჩულდნენ, ალაპარაკდნენ. რუსის მეთაური, თითქოს ჩასთვლიმაო, მზეს მინებდა... ჯარისკაცებსაც მოუდუნდათ ყურადღება. მხოლოდ ვავა იდგა წინანდებურად მომართული, გამჭრიახი, ყოველივეს კიდეც ხედავდა და ყნოსვითაც გრძნობდა... მართლაც ძაღლის სისხლი თუ უდიოდა ძარღვებში...

ნაშუადღევს ჯაგლაგა ცხენმა საველე სამზარეულო მოაჩინდრიკა. ალუმინის თეფშებით „ზეკებს“ წვნიანი ჩამოურიგეს, ბალანდა თევზით ყარდა... ყმაწვილებიც ჩამოჯდნენ საფეხურებზე, მცირე საგზალი გაშალეს. რცხვენოდათ ჭამისა, ლუკმა ყელში არ გადადიოდა, ბესა დაიწვიეს მხოლოდ...

— რას იზამ, — მიუხვდა ბესა, — კაცი იესო ქრისტე არ არის, ერთი პურით ათასი დააპუროს!

ვავამ ჰკიდა ყური. თვითონ არაფერსა ჭამდა. პირზე ზიზღი ეხატა, თითქოს ამბობდა, ჭამა რა კაცის საქმეაო.

— მაგის საჭმელი ბალანდაა! — უკმეხად ამოიღრინა. — თავს ნუ უყადრებთ, მტერმოყვარე გაარჩიეთ, ზედმეტი გულჩვილობა იგივე მავნებლობაა!

— მართალი ბრძანდები! — ცალყბად გაუღიმა ბესამ. — ტყვიას რომ არ მესვრი, ამაზე მეტ მოწყალებას ან რატომ უნდა ველოდე?

ვავას სველი ბაგე მოებრიცა.

— ჩემი ნება რომ იყოს, დაზგის ტყვიამფრქვევს ამოვიტანდი, იმ ბექობზე შევდგამდი და ტატატა, გადაგივლიდით! აი, ასეთი გულმოწყალე ვარ მე!

— ეჭვიც არ მეპარება! — მშვიდად უპასუხა ბესამ. — არც ის გამიკვირდება, საქმეს რომ მოვამთავრებთ, მართლაც ამოიტანო დაზგის ტყვიამფრქვევი და ზეიმი იმით აღნიშნო!

ვავამ თვალი მიაცივა, სისინით გამოსცრა:

— დაგიმახსოვრებ მაგ სითამამეს, ბესა ქირია! — შებრუნდა და გაშორდა.

ბიჭები გამტკნარებულნი უსმენდნენ, ჩარევა ვეღარ გაბედეს. ბოლოს დურუმ ამოღერღა:

— მიკვირს, ბესა ბიძია, თითქოს განგებ ეძებ მიზეზს, საქმე რომ გაიფუჭო!

— ეჰ, ბიძიებო, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. გარდუვალის თუ შეგეშინდა, იმ წუთიდან მხდალი მონა ხარ... საქმეს მივხედოთ, ბიძიებო, საქმეს!

მოკლე შესვენება დამთავრდა. გაისმა ძაღლის ღრენა, ჯარისკაცების მოწყვეტილი, უხეში ბრძანებები. აზოზინდა, აფუსფუსდა ჭიანჭველების ჯარი, გასისწვრივდა მაცხოვრისგორის ფერდობზე მთისძირიდან ეკლესიის ნანგრევებამდე.

— ასე იშენებდნენ ფარაონები პირამიდებს! — თქვა ბესამ და ქამჩას დაავლო ხელი.

„ესეც ქარაგმა!.. — ფიქრობს მართალი. — პირამიდას მონები აშენებდნენ! მონები „ზეკებია“... იქნებ ჩვენც მონები ვართ!.. ფარაონი ბელადია, იგი მონების ხელით საკუთარ საფლავს იშენებს!.. რა უნდა ბესას, ნუთუ ენა ექავება და მხოლოდ იმიტომ ყბედობს? „ზეკები“ უნდა შეგეცოდოს, მაგრამ ესენი ხომ დამნაშავენი არიან!.. ქვეყანა წინ მიდის, უმაღლესი საზოგადოება შენდება დიდი ბელადის წინამძღოლობით!.. ესაა მთავარი!.. სხვა რომ არ იყოს, დიდი ბელადი ქართველია და ეს ხომ უნდა გეამაყებოდეს...“

ფიქრები ნაწყვეტნაწყვეტად ჩნდება თავში, შიგ ვერ ჩერდება, უმალ ეკარგება, რადგან აზრი აქეთიქით უხტის, დასტრიალებს კიბეს, საფეხურებს, ბეტონის ხსნარს, რუხ მასადქცეულ „ზეკებს“, რომლებსაც პირისახეზე მიწისფერი დაჰკრავთ და თვალებში სევდა ჩაჰგუბებიათ...

უხილავი ზღვარი ჰყოფთ ამათ იმათთან, თითქოს სხვა ჯურისანი იყვნენ, სხვა კასტას ეკუთვნოდნენ, „მიუკარებლებისა“, ფარაონთა მონებისა, შეჰგუებოდნენ ამ თავის ხვედრს, მუშაობდნენ თავჩაღუნულნი, ჩუმად, ვერც ამჩნევდნენ კომკავშირულ სამეულს, ციურ სამყაროდან ჩამოფრენილებს... სხვა არარა აინტერესებდათ, გარდა თავის გადარჩენისა. ამიტომაც იყვნენ მორჩილნი, უტყვნი, ვითარცა ჯოგი, ნახირი, ფარა...

საღამოსთვის ენთუზიაზმი ნელდება, ბარაქიანად ვერ მუშაობენ. „ზეკებსაც“ თითქოს უქრებათ შიშის გრძნობა, ყურს არ უგდებენ ჯარისკაცთა უხეშ შეხმიანებას. თავჩაქინდრულნი ეზიდებიან მძიმე ტვირთს და ითვლიან წამებს, ელოდებიან სასტვენის ხმას, როცა განთავისუფლდებიან საძულველი საქმისაგან, დაეწყობიან გრძელ კოლონად და წავლენ იქ, სადაც არ ელოდებათ სითბო, სიმყუდროვე, სიხარული... წამება იქაც გრძელდება, მაგრამ იქ შეიძლება მცირე დროით გამოითიშო, თვალი დახუჭო და სიზმრების სამყაროში მაინც იგრძნო თავი ადამიანად.

აჰა, მოვიდა წამი იგი! ისმის გაბმული სტვენა. „ზეკები“ საქმეს ცივად უშვებენ ხელს, გამოცოცხლდებიან, ახმაურდებიან, მაგრამ თან ცდილობენ, ჯარისკაცები არ გააღიზიანონ.

დაბლა ეშვებიან, ჯერ პატიმრები, მერე სამეული და ბესა, ბოლოს ვავა ზარქუა. იგი ფრთხილად იყურება აქეთიქით, ვინძლო ვინმე სადმე არ ჩაიმარხოს, თუმცა სულელის მეტი ვინ მოინდომებს ამას, მაცხოვრისგორის მთელი ფერდობი ხომ ხელისგულივით გადაშლილა.

მთისძირას „ზეკები“ ეწყობიან, რუსის მეთაური დარბის, ყვირის, რაღაცას ითხოვს.

ძაღლი იღრინება, დუჟს ანთხევს.

გვარების მონოტონური ამოკითხვა და უკვე მოყირჭებული — „ვარ, ვარ, ვარ!“

— შენ რაღას უდგახარ, საგანგებო მოწვევას ელოდები? — დაცინვით სისინებს ვავა.

ბესა მხრებჩამოყრილი მიჩანჩალებს რიგისაკენ.

უცბად თითქოს ბურუსი გაიხლიჩაო, წვრილი წივილი ისმის:

— მამა!

საიდანღაც, ჯარისკაცებსა და პატიმრების მიღმიდან, აქამდე უხილავი სივრციდან გამოენთო პატარა ხვლიკუნა, გაძვრაგამოძვრა და ზედ შეაფრინდა, კისერზე ჩამოეკიდა ბესას.

მოულოდნელობისაგან წამით გაირინდა ყველა — „ზეკები“, ჯარისკაცები, ოფიცერი, ბიჭები და ვავა ზარქუაც კი...

პირველი რუსის მეთაური მოეგო გონს, ავად შეუძახა:

— ნაზად, სტრელიატ ბუდუ!

ვავა მივარდა, თვალები გადმოეკარკლა. ხელი სტაცა გოგონას, ეცადა მოეგლიჯა, მაგრამ ცირა მთელი ძალღონით შემოჭდობოდა მამის კისერს და არ უშვებდა.

უხმო ჭიდილი გაიმართა.

არიქა ჩაეკვეხა, ვავას მკლავს შეეხო.

— ვავა ბიძია, მოეშვი!

დურუ და მართალიც მიცვივდნენ.

— ვავა ბიძია, რა გინდა, ხომ არსად გარბის!

შორიდან ქალის ხმამ მოაღწია:

— ცირა, შვილო, დაბრუნდი, ნუ გააბრაზებ ბიძიებს!

ბესამ, თვალაცრემლებულმა, ჩასჩურჩულა:

— კარგი, შვილო, დამშვიდდი, წადი დედასთან!

— არა, არა! — უფრო ჩაეხუტა ბავშვი, მაგრამ ვავამ ხელები ძალით გააშვებინა.

რუსმა ბესას ქეჩოში ხელი წაჰკრა, შეუღრინა „რუკი ზა გოლოვუ!“ და წინ გაიგდო.

ვავამ გოგონას ბიჭებისაკენ უბიძგა.

მართალიმ მიიხუტა, ძლივს აკავებდა.

— გამიშვი, გამიშვი! — ტიროდა ცირა, მაგრამ მისი გაშვება არ შეიძლებოდა.

— ნაბიჯით იარ! — შეუძახა „ზეკებს“ ოფიცერმა და რუხი კოლონა ფეხების ფართხუნით გაემართა ქალაქისაკენ.

ყმაწვილები ცირასთან დარჩნენ, ამშვიდებდნენ... ცხუტა მოვიდა, მძიმედ, დაღლილად მოაბიჯებდა. იღლიაში ფუთა ჰქონდა, ალბათ საგზალი გამოაყოლა ხელს.

ბავშვს მოეფერა, სუ, სუო, ჩასჩურჩულა და წაიყვანა...

16

შინ დათრგუნულები ბრუნდებოდნენ. მიუჩვეველთ სახსრები ასტკივდათ, მაგრამ ეს არ იყო მთავარი.

— ვავა ზარქუა მხეცია! — გულმოსულად დუდღუნებდა დურუ. — არავინ შეებრალება, კბილებს ისე აღრჭიალებს, თითქოს შეჭმას გიპირებსო!

— ნაგაზია, — ზიზღით შეეპასუხა არიქა, — პირველად რომ ვნახე, ძაღლის სუნი მეცა!

მართალი ჩუმად მოდიოდა. მან ხომ ადრეც იცოდა, რომ ვავა ადამიანებზე დაგეშილი ძაღლი იყო, დაუნდობელი, მძულვარე...

— ასეთები აფუჭებენ საქმეს! — ვეღარ მშვიდდებოდა დურუ. — სახელს უტეხენ იდეას. ჰგონიათ, სოციალიზმს ვემსახურებითო, სინამდვილეში კი დანაშაულს სჩადიან... ეს რომ სტალინმა იცოდეს!

— ეს რომ სტალინმა იცოდეს, პირველს ვავასნაირთ ჩააყუდებდა სადაც საჭიროა! — კვერი დაუკრა არიქამ.

„ეს რომ სტალინმა იცოდეს!“ — წონიდა მართალი.

სტალინმა რამდენი რამე უნდა იცოდეს? თვით მართალის ცხოვრებაში იმდენი უკუღმართობა მოხდა, მარტო მისი ამბების გარკვევას მოუნდებოდა დიდი ბელადი... რამდენია მართალისნაირი?.. რა დასკვნა უნდა გაკეთდეს აქედან?

ბესამ თქვა, ქირიამ:

— მე ნურაფერს დამიჯერებთ, ბიძიებო! იქნებ მე ენას ვიფხან, გულს ვიოხებ! მაგრამ გონიერი კაცი ეჭვიანი უნდა იყოს, ეჭვის სასწორზე უნდა შეაგდო ისიც, რაც უცილოდ მართალი ჩანს!

„ეჭვის სასწორი!“ — ამ ორმა სიტყვამ შეაშფოთა მართალი.

როგორღა იცხოვრებ, თუ ყველაფერი ეჭვის სასწორზე შეაგდე? მართალი ბრმა როდია, ხედავს, რა თქმა უნდა, შეცდომებსაც, მაგრამ ძირითადი, გენერალური ხაზის რეალობაში დაეჭვება შეუძლებელია. მართალიც იმ გზას მიჰყვება, რასაც მსოფლიოს მოწინავე ადამიანები დაადგნენ... ოდესმე

ეს გზა კაცობრიობას ბედნიერებას მოუტანს... ჯერჯერობით კი უნდა მოვითმინოთ! ვავასნაირთა არსებობა შავ ლაქად ედება დიად იდეას, მაგრამ მზის მცხუნვარებას მისი ლაქები ვერას აკლებენ.

— კინოში ხომ არ შევიდეთ? — იკითხა, უფრო იმიტომ, ჭმუნვა განეფანტა და ეჭვიან ფიქრებსაც გარიდებოდა, თანაც ჯიბეში ავანსის ფულიც ედოთ.

ამჯერად „ფიცი“ გადიოდა!

გვერდიგვერდ ისხდნენ მეგობრები. დარბაზი სავსე იყო. ჩქამი არ ისმოდა. ეკრანზე სტალინის გამოჩენისას ვიღაცამ ტაში კენტად შემოჰკრა. უმალ სხვებიც აჰყვნენ და ხანგრძლივი ტაში ოვაციაში გადაიზარდა. ფილმი მუნჯ კინოს დაემსგავსა, ფიგურები მოძრაობენ, ხმა კი არ ისმის... „გეფიცები, შენ, ამხანაგო ლენინ!..“ — ფრაზა იქნებ არც ამნაირად თქმულა, მართალის ახსოვდა და საკუთარ გულისყურში აუჟღერდა...

ბოლოს ტაში მინელდა, შეწყდა.

აგერ დიდ ბელადს ეს უკიდეგანო ქვეყანა ფერფლიდან ამოჰყავს. აგერ პირველი ტრაქტორი მოღოღავს წითელი მოედნის ქვაფენილზე, სტალინი საჭეს მიუჯდება... წლები ინდუსტრიალიზაციისა... კოლექტივიზაციისა... სტალინს არ სძინავს, თავის მამობრივ მზრუნველობას ხალხებს არ აკლებს... ხალხი კი აღფრთოვანებასა და სიყვარულს გამოხატავს ენერგიული ტაშისცემით და „ვაშას“ ძახილით, დროშების ფრიალითა და გაცისკროვნებული ღიმილით, ჰიმნებითა და ორატორიებით... ისმის ერთიანი გუგუნი — „დიდება!“

სტალინის გვერდით მუდამ დგანან მისი თანამებრძოლები (ეკრანზე და გაზეთის ფურცლებზე ჩამომწკრივებულ კაცებს თითქოს სხვა რამ საქმე არცა აქვთ, გარდა ასე დგომისა!).

ბოროტი ძალა არ ისვენებს. „ნიანგის“ ფურცლიდან გადმოსული სასაცილო ტიკინა — ჰიტლერი თავს გვესხმის... ტანკებმა გადათელეს ყანები და ხოდაბუნები... ცა დაიფარა შავსვასტიკიანი „მესერშმიტებით“... სტალინი რუკაზე დახრილა, თანამებრძოლები, — ბრჭყვიალა სამხრეებიანი სამხედროები, — ელიან მის ბრძნულ მითითებებს. ისიც არ აყოვნებს, ჩიბუხით

რუკაზე მიუთითებს, საზიზღარ მტერს აქედან იქით დავარტყათო... ბელადის გენიალობითა და გამჭრიახობით აღფრთოვანებული საბჭოთა არმიელები და მოქალაქე პირებიც, ძახილით — „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“ ტანკებს მუხლუხებში უვარდებიან... გაიქნევს ჰიტლერი გიჟივით ხელს, წამოვა რუხი ხროვა... ასწევს სტალინი ჩიბუხს, დადებს რუკაზე და სატანკო კოლონები გაარღვევენ კურსკის რკალს... ცოტაც და ბერლინის დაცემასაც შევესწარით... მერე პარადი წითელ მოედანზე, ფაშისტური შტანდარტები ცვივა კრემლის კედელთან, გამარჯვებულთა ფერხთით... რუსის მატრონა, სტალინსა და სამშობლოს ყველა შვილი რომ შესწირა, მაღალი ჯილდოს ღირსია. იოსებ ბესარიონის ძე ჯენტლმენურად ქედს იხრის დედარუსეთის წინაშე... ისმის საყოველთაო „ვაშა!“

შინ ჩუმად ბრუნდებიან, თითქოს სალაპარაკო შემოელიათო. აბნეულ აზრებს აბნეული სიტყვები მოსდევს და ამას თუ უფრთხიან.

ჩამობნელდა. ოდასახლების ფანჯრებიდან გამოკრთის სუსტი შუქი. მაღალი ზეცა ვარსკვლავეთით მოიჭიქა.

— ჩვენ აქ ვიჭაჭებით, ვკამათობთ, ვჩხუბობთ, სამყაროს თვალში კი ჭიანჭველებივით უმნიშვნელონი ვართ! — მართალიმ ხელი ზეცისაკენ აღმართა. — შეხედეთ, უთვალავი სამყაროებია და ყოველ მათგანზე შეიძლება მილიარდი მჭმუნვარე მართალი, დურუ და არიქა დგას თავის ჭიშკართან, ხელს ზევითკენ იშვერენ და ამბობენ, ტყუილუბრალოდ ვიჭაჭებით, ჩვენ ყველანი ჭიანჭველებივით უმნიშვნელონი ვართო...

ნათქვამი ხუმრობასა ჰგავდა, მაგრამ ხმაში მწუხარების კილო კრთოდა და არიქამ მხარზე ხელი დაჰკრა:

— გამოფხიზლდი, ზღაპარია ეს ყოველი! იქ თუ ჩვენნაირი ბიჭები დგანან, ალბათ სალამს გვითვლიან და ჩვენც ღიმილიანი სალამი შევაგებოთ!

— აფრენთ? — დურუს სახე სიბნელეში არ ჩანდა. — ასე თუ ვიფიქრეთ, თვით დიდი სტალინი უმნიშვნელო ჭიანჭველად მოგვეჩვენება. მაშინ მთელი ისტორია არაფერია და სიცოცხლე ჩირად არა ღირს!

— არ ვიცი, ღირს კი სიცოცხლე?! — მართალიმ სიტყვას გულისტკივილი ამოაყოლა. — თექვსმეტი წელი მთელი საუკუნე ყოფილა! ხანდახან ვფიქრობ, ნუთუ სულ ასე უნდა ვიარო, მარტოდმარტო...

— მართალი, ჯიმაია! — არიქას ხმა გაუთბა. — შენ ვარსკვლავები და სხვა სამყაროები კი არა, მარტოობა გაწუხებს. ნუ იფიქრებ მაგრე! თავი თუ მარტო იგრძენი, აგერ მე გამიხსენე, შენი არა ვარ? აგერ დურუ გაიხსენე!.. ხვალზეგ ერთი ლამაზი გოგოც დაგეხატება გულზე და ყველაფერს სხვა თვალით დაინახავ, ეკალბარდები ვარდბაღნარად მოგეჩვენება!

— ვინ გოგო? — შეცბა მართალი, აზრით სხვაგან დაფრინავდა და იმიტომ ჩაეძია.

— რა ვიცი, გოგოების მეტი რაა? — გაეცინა არიქას. — აგერ დურუს კი ეყოლება თორმეტი შეყვარებული!

— თორმეტი არა, — დურუს ხმა გაებზარა, — აფრენთ რა! წავედი, ხვალ ადრე ვდგებით!

თურმე გამოუჩნდა გაუმხელელი საიდუმლო დურუს. ცისანა სიორდიაზე ყვება არიქა და ხითხითებს, იმის მიმოხრას ბაძავს, მანჭვაგრეხით მოდის. დურუ ისე გადაირევა ხოლმე, გამოლენჩებულივით უყურებს და ამ დროს ავიწყდება მაღალი იდეალები, რითაც თავი აქვს გამოტენილიო, ამტკიცებს არიქა.

— შენ რითი გაქვს გამოტენილი? — ეღიმება მართალის.

— თავში სრული სიცარიელე მაქვს, — მაიმუნობს არიქა, — არაფერი წმინდა და ამაღლებული იქ არ მიჩერდება! წუხელ დიდის ამბით მივდე ბალიშზე თავი, დურუ უნდა დამსიზმრებოდა, რათა პოლიტიკურად დავემოძღვრე. ცხადში ხომ შეჭმული ვყავარ თავისი სიბრძნით... ოღონდ დურუს მაგიერ დამესიზმრა, რომ მივფრინავ და მივფრინავ, ისე მსუბუქად, ისე ლაღად, ჩიტივით მივსრიალებ... მოვიხედე და ჩემს გვერდით ანგელოზი დავინახე, ქირხეს რომ აქვს, ცირას, ისეთი გამჭვირვალე სახე ჰქონდა...

— შემთხვევით ის პატარა ჩხინკა ხომ არ მოგივიდა თვალში? — გაეცინა მართალის.

არიქამ ხმა გაკმინდა, ამოიხვნეშა, დაგვიანებული პასუხი გასცა:

— იტყვი რა, ის ხომ ბავშვია!

სიბნელეში ჭიშკარმა გაიჭრიალა და არიქა გაქრა. მართალიმ გზა განაგრძო და ზურგში მიეწია მსუბუქი ჩურჩული:

— ნახვამდის!

„ნახვამდის, მეგობარო, მართლაც ჩიტივით ბიჭო!“ — ფიქრში პასუხობდა მართალი. რა ეშველებოდა, მართლაცდა, ქვეყნიერებაზე რომ არ გაჩენილიყვნენ არიქა და დურუ... ნუთუ შემთხვევითია, ბიოლოგიური შერჩევის შედეგია, რომ მერეთის ცისქვეშ ერთად შეიყარნენ სამნი ძმაკაცნი... და საერთოდ რას ნიშნავს „სამეული“? თითქმის ყველა ზღაპარსა და წიგნში სამეული იყრის თავს. მართალის წინაპართა გენეალოგიაც ამას მოწმობს. რატომ ხდება ასე! ალბათ იმიტომ, რომ არსებობის ყველა მთავარი სპექტრი აისახოს — მარჯვენა, მარცხენა და ცენტრი... ანდა ბოროტი, კეთილი და რაღაც მესამე — შუათანა, ადამიანი, რომლის არსში თანაარსებობს ბოროტიც და კეთილიც...

სახლის სიბნელეს შეერწყა. შიშიანად ეძებდა ხოლმე ჩამრთველს, ჩართავდა და სწრაფად მიმოიხედავდა.

ცეცხლის დანთება დაეზარა, სახელდახელოდ შესანსლა პური და ყველი. ცივ ლოგინში დურთა თავი.

ჩათბუნდა, მაგრამ დიდხანს მაინც ვერ დაიძინა. ფიქრით ხან ვარსკვლავებს მისწვდა, ხან მიწიერ ამბებს... გაახსენდა, რომ დურუ ალბათ შეყვარებულია. მართალის კი არც ჰყოლია და არც ახლა ჰყავს, ვისაც შეიყვარებდა... ვინ იცის, ოდესმე თუ გამოჩნდება ისეთი ვინმე, ობოლ ბიჭს რომ კეთილ მზერას მიაპყრობს. ვის რაში სჭირდება სიღარიბეში სულამოხდილი, უჭმელი და ჩაუცმელი მარტოსული.

აი, ცაცანა და ეფრო მაინც რომ შერჩენოდა!

ამ ფიქრში ჩაეძინა და ბებრები იხილა...

17

ზევიდან უფერული, გაცრეცილი ცა გადმომხობოდა ბრტყლად გადაშლილ უკიდეგანო ტრამალს. ჰორიზონტის სწორი წრე მქრქალ ნისლოვანებაში იკარგებოდა. არსად მცირედი შემაღლება, არც ხევხუვები, არსად ხე ან ბუჩქი... თხელ, მშრალ თოვლს ხეშეშა, ბურძგლა ბალახი აჩნდა. ნიავს დაჰქონდა მიწისპირიდან ახვეტილი ყინულის წვრილი ნამსხვრევები...

ტრამალს ლარივით ჰკვეთდა რკინიგზის ლიანდაგი, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ცისკიდიდან ცისკიდეში. ღია ბაქანზე ჩამომდგარიყო საბარგო მატარებელი. ვაგონიდან გათოშილი ადამიანების გვამები გამოჰქონდათ, შეშასავით ერთი ერთმანეთზე აწყობდნენ ქალებს, კაცებს, ბავშვებს. ერთი ვაგონიდან გამოჩნდა ორი არსება, ადამიანებს რომ არცა ჰგავდნენ. მოყინულ ფიცარნაგზე ფეხის მოკიდება ჭირდა და ნელნელა ჩამოცოცდნენ. კუშტი, ჩაშავებული დედაბერი უფრო მტკიცედ მოდიოდა, მეორე ძლივს ადგამდა ნაბიჯებს, პირველს ეყრდნობოდა. კოჭლობით გაიარეს გვამებსა და სალდათებს შორის, დაადგნენ თოვლიან ველს, რომელზეც ქარს ბილიკი გადაეხვეტა... მიდიოდნენ ველის კიდისაკენ, სადაც თოვლში ჩანამქრული დაბალი მიწურები ჩანდა და სახურავებიდან შავი ბოლი ხრჩოლავდა.

ნელა, ტანჯვით მიიწევდა ორი დედაბერი, ერთი ეხმარებოდა მეორეს. ამას ძალა არა ჰყოფნიდა უკვე. არც პირველს შერჩენოდა ძალა, მაგრამ სულის სიმტკიცეს მიჰყავდა, რადგან უნდა გადაერჩინა თავი და მის ღონეს დანდობილი მეორეც.

„ბებიაა!..“ — შეჰკივლა მართალიმ, მაგრამ მისი ხმა ვეღარ მისწვდებოდა სულ სხვა პლანეტის ცივ ტრამალს.

გაქრა სიზმარიმოჩვენება, ყმაწვილს გამოეღვიძა... აკანკალებდა.

ბალიშს ჩაეხუტა და ატირდა. არავინ იყო მოყურადე, ვერავინ შეამჩნევდა მის სისუსტეს, ამიტომაც ქვითინებდა გულამომჯდარი.

ნუთუ სიზმარს დაეჯერება?.. იქნებ მართლაც ცოცხლები არიან? იქნებ მართლაც მოხდა საოცრება და დედაბრებმა გადალახეს მტანჯველი სივრცე, რომელიც უფრო ძლიერთ სპობს და მოინელებს! სველი ბალიში გადააბრუნა. უკვე აღარ ტიროდა. მოკუნტული იწვა და სიბნელეს მისჩერებოდა.

ვერ ამოეხსნა გამოცანა. ვის რა დაუშავეს თითქმის მიხრწნილმა დედაბრებმა. მათი ცხოვრება ხომ მანამდე სამაგალითოდ ითვლებოდა, მასწავლებლები ბავშვებს უყვებოდნენ თოდუების, კვარაცხელიებისა და თოლორაიების საგმირო საქმეებზე... ჯილდოს წილ კი ამათ ერგოთ რბევა, გადასახლება და სიკვდილი... ალბათ არსებობს რაღაც ძალა, განგებ რომ სჩადის უსამართლობას... სტალინმა თუ იცის ეს ყოველივე?.. ამ ფიქრს გაურბოდა, მაგრამ ძალაუნებურად კვლავ უბრუნდებოდა... სტალინმა თუ იცის ეს ყოველივე?.. რანაირად უნდა ეპასუხნა ამ კითხვაზე?.. თუ იცოდა, მაშინ რატომ ხდებოდა ამდენი ბოროტება? თუ არ იცოდა, მაშინ როგორღა იქნებოდა ყოვლისმცოდნე გენიოსი?.. საშიში იყო ასეთი აზრი, მაგრამ ფიქრიდან ვერა და ვერ ამოიგდო...

თავი ასტკივდა, საბნიდან ხელი გამოაძვრინა და თვალზე აიფარა...

ოთახში დღის ნათელმა შემოაღწია, ბნელი გაიცრიცა და კედლებიდან პორტრეტებმა გადმოიხედეს.

„უნდა ავდგე!“ — გაიფიქრა და მოულოდნელად ძილში ჩაეშვა.

კვლავ ის ტრამალი დაინახა... ორრიგად ჩამწკრივებული მიწურები... მიწურებთან კიზილი – ნამჯიანი ნეხვის გორა... სახურავებზე ამოჩრილი მილებიდან შავი ბოლი ხრჩოლავს... ნიავი თოვლსა და ყინულის ნამსხვრევებს აყრის ორ დედაბერს. სიცივისაგან გათოშილნი დგანან, ხელები სამადლოდ გაუწვდიათ. ჩათბუნებული გამვლელები მიიჩქარიან, ამათ ვერც ამჩნევენ...

„ბებიაა!“ — კვლავ იკივლა მართალიმ

დედაბრებმა მოიხედეს.

„ჰო, ბებო გენაცვალოს!“ — გაყინული ტუჩებით პასუხობს სანთელივით ჩამომდნარი ცაცანა.

„მართალი დამირჩინე, ბიკენტი, და ყველაფერს გაპატიებ!“ — ამბობს ჟანგისფერი, გაძვალტყავებული ეფრო.

მართალის გამოეღვიძა, სამუშაოზე წასვლის დრო დამდგარიყო.

ეზარებოდა, სისუსტესა და დაღლას გრძნობდა, თითქოს ღამეც ემუშავა. „გუშინდელი დაღლა გამომყვა, — გაიფიქრა, — მიუჩვეველი ვარ!“ „პრიუტშიც“ ამუშავებდნენ ხოლმე. იქ ბოსტანი ჰქონდათ, ხილის ბაღი, საღორე და საქათმე, რამდენიმე ძროხაც ჰყავდათ და სეზონის დროს ჩაის საკრეფადაც დადიოდნენ. დირექტორი ირწმუნებოდა, ამით ვავსებთ ბავშვების სუფრასო, თუმცა მისი ოჯახის სუფრა უფრო ივსებოდა...

თავს ძალა დაატანა, ადგა, პირზე წყალი შეისხა. ცეცხლის დანთება კვლავ შეეზარა და ხმელა პური მოძიძგნა.

კიბეზე რომ ეშვებოდა, ჭიშკართან „ვილისი“ დაინახა. მანქანიდან ბიკენტი იყურებოდა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — მის მზერას არაფერი გამოეპარებოდა.

მართალიმ თავი გააქნია.

— რაღაც თვალები გაქვს ამღვრეული! ჩაჯექი მანქანაში!

ყმაწვილი უკანა სავარძელზე მოკალათდა.

— ისაუზმე?

მართალიმ კვლავ დაუქნია თავი.

— ჩვენთან რატომ არ მოდიხარ? ხანდახან გვინახულე! მარტო ცხოვრობ, ცხელ კერძს მაინც შეჭამ!

გასაოცარი იყო ბიკენტის ასეთი თანალმობა, მართალიმ არ იცოდა, რა ეფიქრა.

— გუშინ სკოლაში არ ყოფილხართ! — გამომცდელად შეხედა ბიკენტიმ.

— კინოში ვიყავით, „ფიცი“ ვნახეთ!

— ჰო, „ფიცი“ კარგია! — ფრთხილად, მოზომილად თქვა ბიკენტიმ. — ოღონდ არც გუშინწინ ყოფილხართ სკოლაში! — გაჩუმდა, იქნებ ყმაწვილმა რამე თქვასო, მაგრამ დუმილი გაგრძელდა და ბიკენტიმ დაყვავებით დასძინა: — წელს ატესტატი აუცილებლად უნდა აიღო. იცი შენ, ამის გაჭიანურება არ ივარგებს!

მადლობის მეტი რა ეთქმოდა და მართალიმ თავი დაუქნია, მაგრამ უცბად გულზე მოაწვა და ხმის კანკალით წამოიძახა:

— წუხელ ბებიები დამესიზმრა, ცაცანა და ეფრო!

ბიკენტი მთელი ტანით შემოტრიალდა, ჯიქურ შეხედა:

— ყმაწვილის სიზმარი არაფერს ნიშნავს, შენს ასაკში ადამიანს სისხლი უდუღს! — კვლავ წინ გაიხედა, მძღოლს ანიშნა, აქეთ გადაუხვიეო და განაგრძო: — შენ პატარა იყავი, იმ დღეს მეც დამიმახსოვრე და ალბათ მაბრალებ რამეს! უნდა გითხრა, მე ვერაფერს შევცვლიდი... დრო გავა, ამას ყველაფერს მიხვდები. მე თქვენი გადარჩენა მინდოდა, ყველასი, მაგრამ ვერ შევძელი...

მანქანა ძაძუების ჭიშკართან გაჩერდა. არიქა უკვე გამოდიოდა, გაკვირვება და შიში დაეტყო.

— მობრძანდი, ყმაწვილო, ჩაჯექი! — უბრძანა ბიკენტიმ.

არიქა გასუსული შემოძვრა, სალამიც კი დაავიწყდა.

ერთხანს მდუმარედ მიდიოდნენ. ბიკენტიმ კვლავ ანიშნა მძღოლს და გეგიების ჭიშკართან შეჩერდნენ.

— დაუძახეთ იმ თქვენს ძმაკაცს!

არიქამ თავი გაყო და მღელვარებისგან ჩახრინწული ხმით გასძახა:

— დურუ, დურუ!

დურუმ გამოიხედა. პირი საჭმლით ჰქონდა გამოტენილი და ძლივს გადაყლაპა.

ესეც ჩაისვეს და გზა განაგრძეს.

— ალბათ გაგიკვირდათ, — ჩაიცინა ბიკენტიმ, — იმ მხრიდან მოვდიოდი, სოფელში მქონდა საქმე. ვიფიქრე, გავუვლი ყმაწვილებს და სამუშაოზე წავასხამმეთქი!

„ვილისმა“ ბულვარი გადაჭრა. ადრე იყო და ხალხი ახლაღა გამოდიოდა ქუჩაში.

ჩხერიის ხიდზე გააჩერებინა მანქანა ბიკენტიმ. მთელი ტანით შემობრუნდა, უკანა სავარძელზე მიჭუჭკული „კომკავშირული სამეული“ შეათვალიერა.

— ვიცი, კარგი ბიჭები ხართ, ნამდვილი, შეგნებული კომკავშირლები! ოღონდ ნუ მიწყენთ და ცხოვრების სირთულეებში ჯერაც ჩახედულნი ვერ იქნებით. გამოცდილება გაკლიათ! ახლა შორიდან არ მოვყვები იმის მტკიცებას, რომ მსოფლიო გახლეჩილია და რომ ჩვენ, ჭეშმარიტი სტალინელები ბარიკადის ამ მხარეს ვდგავართ. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა და თქვენც კარგად იცით. სირთულე სხვა რამეშია! აი, თქვენ ამდენი, ერთად თავმოყრილი პატიმარი რომ ნახეთ, ცხადია, გული აგიჩვილდათ, შეგეცოდათ, ტირილი მოგინდათ... ეს ასეც უნდა იყოს! თქვენნაირ ახალგაზრდებს არ შეიძლება ქვის გული ჰქონდეთ და გაჭირვებულნი არ შეიბრალონ... მაგრამ, მინდა იცოდეთ, რომ უდანაშაულოდ ციხეში არავინა ზის. ციხეში იმიტომ სხედან, რომ ან სახელმწიფოს ავნეს რამე, ან სხვა ადამიანს, ან ტვინი ისე აქვთ შემობრუნებული, ჩვენს იდეებს ძირს უთხრიან... წარმოიდგინეთ, იმათ რომ გაიმარჯვონ, თავზე ხელს გადაგვისვამენ? აიღებენ და ციხეებში გვიკრავენ თავს!.. უარესსაც გვიზამენ, გაგვწყვეტენ! ომი ომია, მტერს თუ არ აჯობე, გაჯობებს! კლასობრივი ბრძოლა სასტიკია და ყურადღება თუ მოვადუნეთ, დავიღუპებით!

ყმაწვილები გატრუნულნი ისხდნენ, შეკამათებას ვერ ბედავდნენ, ან რატომ უნდა შეჰკამათებოდნენ, როცა ბიკენტის პირიდან, „პრავდის“ მოწინავესავით, თვით ჭეშმარიტება ღაღადებდა.

— ისიც ვიცი, თქვენ რომ ბესას ოჯახში იყავით! — ყმაწვილებს გაოცება შეამჩნია და გაეღიმა. — მე ათასი თვალი და ყური მაქვს, ქალაქში ყვავმა რომ გადაიყრანტალოს, იმასაც გავიგებ!.. თქვენ ეს გულკეთილობით მოგივიდათ, მაგრამ იცოდეთ, რომ ეს დანაშაულია! აგერ მოვარდა იმისი ცოლშვილი და პატიმრების თვალწინ უსიამოვნო სცენა გათამაშდა. თქვენ ვითომ კეთილი საქმე ჩაიდინეთ, სინამდვილეში უარესი გამოგივიდათ. ვთქვათ, თქვენს მოქმედებაზე თვალი დავხუჭეთ, მაგრამ პატიმრებში დისციპლინა რომ არ მოხანხალდეს, წესით, ბესა უნდა დაისაჯოს, ან მისი ცოლი. შვილი ჯერ პატარაა, ჭკუას მაგას ვერ მოკითხავ... ამჯერად კანონს

დავარღვევ და ისე მოვიქცევი, ვითომც არაფერი მომხდარა, სხვა დროს კი გონებას ძალა დაატანეთ! — მძღოლს მიუბრუნდა: — მიდი, ბარემ მთისძირამდე მივიყვანოთ!

მანქანა დაიძრა.

— რაც შეეხება ბესას, ვიცი, გრძელი ენა აქვს! ყურს ნუ უგდებთ, მაგას ტვინი სისულელეებითა აქვს გამოტენილი, თავსაც იღუპავს და ცოლშვილსაც ღუპავს. ვერა და ვერ გაიგო, ჩვენთან მორკინალ ყოჩს რქები რომ არ შერჩება... ასეა ეს!.. აბა თქვენ იცით, გაფრთხილება შეისმინეთ და საქმე კეთილსინდისიერად აკეთეთ!

ბიჭები მანქანიდან გადმოვიდნენ. სანამ „ვილისი“ შებრუნდებოდა, ნაცემებივით ადგილზე იდგნენ.

ხიდზე მოისმა ფეხების ბრაგაბრუგი. „ზეკები“ მოჰყავდათ სამუშაოდ, ბესა ქირიაც, ალბათ, მათ რიგში იდგა...

18

— უსიამოვნებას გადაგკიდეთ, ხომ, ბიძიებო? — ხმადაბლა იკითხა ბესამ. ხელში ქამჩა ეჭირა და მომდევნო საფეხურისათვის საძირკველს ამზადებდა.

არიქამ ხსნარი ჩაუსხა და ამ დროს ჯიბეში თამბაქოს შეკვრა ჩაუცურა.

ბესამ ქვევიდან ამოხედა, გაუღიმა. არიქამ თვალი ჩაუკრა და ჩასჩურჩულა:

— შენც მოწიე, ბესა ბიძია, და სხვებსაც უწილადე!

მართალი და დურუ საფეხურს ეჯაჯგურებოდნენ. ორივემ დაინახა. მართალიმ მზერა გააპარა, სხვებმაც ხომ არ შეამჩნიესო. დურუს ლოყები გაებუშტა, ჭარხალივით გაწითლდა, იქნებ მძიმე ტვირთისაგან, ანდა აღშფოთებისაგან, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

სამუშაო სწრაფად მიიწევდა წინ, საფეხურს საფეხური ემატებოდა.

არც მთის თავზე იდგნენ უსაქმურად. ზღუდესა და ტაძრის ნანგრევებს შორის საკმაოდ ფართო მოედანი მოსწორდა. ზედ ხრეში დააყარეს, მოაშანდაკეს... სწორზე წვრილი ქვიშა დააფინეს და ქვის ფილების დაგებას შეუდგნენ.

ორმა დურგალმა კვარცხლბეკის ხარაჩო ააგო. „ზეკებმა“ მთისძირიდან ჯალამბრებით ამოზიდეს შეზელილი ხსნარი და ჩააბეტონეს. ამან დიდი დრო და შრომა წაიღო. ტვირთი მძიმე იყო, პატიმრები დასუსტებულნი და უღონონი.

„ფარაონის პირამიდა!“ — აეკვიატებინა მართალის. ასეთი გააზრება შეურაცხყოფდა სოციალიზმს, საბჭოეთს, დიდი ბელადის სახელს... მტკივნეული იყო ეს განცდა, მაგრამ ამოჩემებული სიტყვები ფიქრიდან ვერ ამოეგდო... გუნებაში უბრაზდებოდა ბესას... მართალია ბიკენტი, იარაღიანი მტერი კი არ არის იმდენად საშიში, სიტყვაა საშიში. დათესავ და ვერაფრით ამოძირკვავ...

ამაზე ბესამ თქვა იგავი:

— ერთმა დედაბერმა რკინისაგან ოქროს გამოდნობა იცოდა. გაიგეს ყაჩაღებმა, თავს დაესხნენ, შანთით აწამეს და რეცეპტი ათქმევინეს. აუხსნა საბრალო დედაბერმა, თუ როგორ გადაექციათ რკინა ოქროდ, ოღონდაო, დასძინა ბოლოს, საქმეს რომ შეუდგებით, თეთრ ხარზე არ უნდა იფიქროთო...

თვითონვე ჩაბჟირდა ბესა სიცილით. მართალი მიუხვდა იგავს, არიქაც, დურუმ კი ბრაზიანი ბურტყუნი მორთო, რა შუაშია თეთრი ხარიო.

„ფარაონის პირამიდაა თეთრი ხარი, ვერა და ვერ ამომიგდია თავიდან...“ — ფიქრობდა მართალი.

— მთავრობა მობრძანდება! — ბესამ ქამჩით მოიჩრდილა.

ქალაქიდან შავი მანქანები გამოჩნდა, უკან მწვანე „ვილისი“ მოსდევდა.

„ფარაონი მოდის, რათა მონებს დახედოს!“ — გუნებაში იხუმრა მართალიმ, თუმცა ამ ხუმრობას გაურკვეველი წყენა ახლდა.

მანქანები გაჩერდნენ. შავლაბადიანი და შლაპიანი მამაკაცები გადმოლაგდნენ. მიიხედმოიხედეს, ხელების ქნევას მოჰყვნენ, ალბათ ერთმანეთს აზრს უზიარებდნენ.

მორჩნენ ლაპარაკს და აღმართს ამოუყვნენ. წინ რაიკომის მდივანი ამხანაგი გრიშა მოუძღოდა, ამას რაიაღმასკომის ახალი თავმჯდომარე მოჰყვებოდა, დანარჩენებიც თანამდებობისდა მიხედვით დალაგდნენ. შემჩნეული ჰქონდა მართალის, რომ ხელმძღვანელი მუშაკები მოცულობითაც დიდები იყვნენ, ღონივრები... უმრავლესობას ბერიას სტილის ვიწრო ულვაში დაეყენებინა, თვალს თუ ვინმეს აკლდა, სათვალეს კი არა, პენსნეს იჩრიდა... ბიკენტი სხვებს მოსდევდა კუდში, განსხვავებულადაც ეცვა, გალიფე და ჩექმები, ქამრით შემოჭერილი ტყავის კურტაკი, თავზე კოზიროკიანი ქუდი ეხურა.

ყველაზე მეტად ერთი მამაკაცი ფაციფუცობდა. გაშლილ ქაღალდს მოაფრიალებდა, ცანცარებდა, კიბეზე სხვებს ასწრებდა და პატარა ბიჭივით უკანვე ჩაცუნცულდებოდა, ვერ ითმენდნენ, სანამ სხვები მოზოზინებდნენ... დაბალი, კარგად ჩასუქებული ტიპი იყო, მაგრამ ისე მოძრაობდა, თითქოს წონა არცა აქვსო...

პატიმრები თავიანთ ტვირთიანად კიბიდან გადადგნენ, გზა გაათავისუფლეს. დიდრონი კაცები ამათ ვერ ამჩნევდნენ, ისე მოდიოდნენ და მასლაათობდნენ, თითქოს ფერდობი უკაცური ყოფილიყოს.

ამოაღწიეს.

აქ ბიკენტიმ გადაასწრო სხვებს, მსუქან კაცუნას ხელი გამოსდო და ყმაწვილებისაკენ მოახედა.

— აი, ესაა ჩვენი სახელოვანი კომკავშირული სამეული!

სამეული უხერხულობისაგან გაწითლდა.

უცხო უფრო აცანცარდა, აცმუკდა, ყმაწვილებს ხელებში ეცა, სათითაოდ ჩამოართვა, ანჯღრია. სხვა კაცებმაც გაუღიმეს. ამხანაგმა გრიშამ მართალის მხარზე ხელი მოუთათუნა, ყოჩაღ, ყოჩაღ, კარგად გიმუშავნიათო, თითქოს რაც გაკეთებულა, მხოლოდ ამათი ნამოღვაწარი ყოფილიყოს.

— ამხანაგი თეოფანე პროექტის არქიტექტორია! — ბიკენტის ართობდა კაცუნას აცანცარება. — სხვათა შორის, ეს ახალგაზრდა მშვენივრად ხატავს! — მართალიზე მიუთითა.

— აჰ, კოლეგავ, — თეოფანე ხელახლა ეცა მართალის ხელს, — ძალიან გამახარეთ, ძალიან გამახარეთ! მოხიბლული

ვარ თქვენი ნიჭიერებით, კიბე ზუსტად პროექტის მიხედვით გაგიკეთებიათ! უნდა ვიჩქაროთ, მეგობრებო, ხვალ ავტორი ამხანაგი ბენედიქტე ჩამობრძანდება! შინაურულად უნდა გაგიმხილოთ, პროექტი წარდგენილია სტალინურ პრემიაზე! ეს პატარა ამბავი როდია, მეგობრებო! თებერვალში უნდა ჩავეტიოთ, სხვა გზა არ არის!

კიბის მომთავრებას ბევრი არაფერი აკლდა. თეოფანე ზევით ავიდა. ზოგი უკან მიჰყვა, ზოგს დაეზარა სუფთა საფეხურებიდან ტალახიან ბილიკზე გადასვლა და აქვე დარჩა. თეოფანემ მოიხედა და გადმოსძახა:

— საქმის მწარმოებელი რომელია, გამომყვეს!

— ჰე, ბესა, მიდი აბა! — შეუფუცხუნა ბიკენტიმ.

ბესამ ქამჩა ძირს დადო, ხელები დაიფერთხა და სტუმრებს დაგვიანებული სალამით მიმართა:

— გამარჯობათ, თქვენი ჭირიმე, სალამი...

ვინც აქამდე ვერ ამჩნევდა, იძულებული გახდა ხელი გამოეწოდებინა. ბესამ სათითაოდ ჩამოართვა, მერე ხელები ზურგსუკან შემოიწყო და აუჩქარებლად შეუყვა ბილიკს.

მუშაობა შეწყდა. ყმაწვილებიც ბესას დაედევნენ. სანამ მიეწეოდნენ, ბესა და თეოფანე უკვე ცხარედ კამათობდნენ. ბესას რაღაცა არ მოსწონდა, თეოფანე თავს იმართლებდა.

— რა მასალაა ეს, რა მასალა! — ყვიროდა ბესა. — დახეთ, თქვენი თვალით დაინახეთ! ჩვენ ხომ საფლავის ქურდები არა ვართ! დახედეთ, კვარცხლბეკის პერანგისათვის...

გათლილი ფილაქნებით მოედნის მოკირწყლვა თითქმის მოემთავრებინათ. კვარცხლბეკის პერანგისათვის განკუთვნილი წითელი მარმარილოს ფილები კი ცალკე ეწყო.

— მე მაგი არ მეკითხება! — თავს იცავდა თეოფანე. — იცოდე, ეს მთავრობის განკარგულებაა... პირადად მე სხვა მასალას მოვითხოვდი!

ამასობაში ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგიც ამოვიდა და ბესამ პირში წყალი ჩაიგუბა.

ცოტა ხანში სტუმრები დაბლა დაეშვნენ. თეოფანე მორიდებით გამოეთხოვა ბესას, ხელებს იფშვნეტდა და თვალებში შესცი‌ცინებდა, თითქოს ეშინოდა კიდეც მისი.

— ხვალ ავტორი ჩამოვა, ამხანაგო! ცნობილი მოქანდაკეა, ნიჭიერი კაცია, საცაა აკადემიის წევრი გახდება... აქამდეც ჩამოვიდოდა, მაგრამ შეუძლოდ იყო... შენი იმედი გვექნება, აბა!

ბესა შუბლშეჭმუხვნილი უსმენდა, პასუხად კი უცნაური რამ უთხრა:

— ხელოვნება სულიერების მსახურია, მისი კვარცხლბეკი სიყვარულზე უნდა აშენდეს!

თეოფანეს თითქოს შეაძაგძაგაო, ნირწამხდარი შებრუნდა და ადრე წასულებს მიეწია.

— მოიტა ხსნარი! — უკმეხად ბრძანა ბესამ.

არიქამ მოურბენინა, დურუმ და მართალიმ კი მომდევნო საფეხურს დაავლეს ხელი, აქაჩეს.

მუშაობა განახლდა, ყველას თავთავისი საფიქრალი გაუჩნდა და საქმეს უხმოდ აკეთებდნენ.

სადილობამაც მოაღწია. ფერდობზე წვნიანის ქვაბი ამოათრიეს, პატიმრებს თითო თალია ბალანდა ჩამოურიგეს. ისხდნენ თავისთვის და ხვრეპდნენ. თებერვლის გრილ ჰაერს წამხდარი ცხიმის სუნი შეერია.

შორიახლო ახალგაზრდა „ზეკი“ იჯდა. თავი უხეიროდ ჰქონდა გადახოტრილი, საპარსი მანქანის კვალი ზოლებად აჩნდა. ალუმინის თეფში ორივე ხელით ეჭირა და თითქოს დავიწყებოდა. გაჰყურებდა მერეთის სივრცეს, იმის მიღმა გაშლილ ცის კიდეს და უცებ თავისთავად, ძალდაუტანებლად, სევდიანად აღიღინდა:

— სი ქოული, ბატა, მა დომიტალენქოო?*

მოულოდნელი იყო გულიდან ამოსული ეს სინაზე, ცრემლისმომგვრელი და მწუხარე... ფერდობზე უცბად მდუმარება ჩამოწვა, შეწყდა თეფშების ჩხაკუნი, ხვნეშა, ჩურჩული... გახევდნენ ბიჭები — მართალი, დურუ, არიქა... მოიხედა თვალებგაბრწყინებულმა ბესამ, ყური ცქვიტეს ჯარისკაცებმა და ყრუ ღრენა ჩაიხშო ქოფაკმა.

— გურს გენია მონტებულსუ ვა-შემი-ბრალენ-ქოო?*

სევდა ჩამოეფინა მქრქალი ციდან, შეიპყრო ადამიანთა გაკერპებული გულები. სადაც სევდაა, იქაა სიყვარული, სიბრალული, მიტევება...

— ჭოფილ ვორექ, თოკილ ვორექ, ვაგო-მი-ტა-ლენ-ქო-ო?*

თითქოს მიწიდანო, ამოიზიდა ვავა ზარქუა, ძაღლზე უძაღლესი, კბილები დააღრჭიალა, თავზე წამოადგა ჭაბუკს.

შიშმა შეაძრწუნა მართალი. იგუმანა, მკვლელობა რომ მოხდებოდა, უნდოდა ეყვირა და ხმა ვერ ამოიღო.

ვავამ ფეხი ამოჰკრა, ალუმინის თეფში ზედ გადმოამხო და დამარცვლით ჩასჩხავლა:

— სიკვდილი გაგათავისუფლებს, მძორო!

და უცებ გაახსენდა მართალის, ყურში აშკარად ჩაესმა ეფრო ბებიას მკაცრი, შეუვალი ხმა, შურისგებით ნათქვამი:

„სტალინზეა ეს სიმღერა, ბიკენტი!“

თავი ვერ მოითოკა, წამოდგა და აკანკალებული ხმით უთხრა თექვსმეტი წლის მართალიმ ვავას:

— მტრობა მტრობას ამრავლებს, ვავა ბიძია! სიმღერა ისეთი რამაა, კაცს თუ ხმა ჩააწყვეტინე, გულში აღიღინდება, მაშინ კი მართლაც ვერ გაიგებ, რა ტრიალებს მის გულში!

ვავა მძიმედ შემობრუნდა. თვალები წითლად ენთო, სველი პირიდან ღოჯები მოუჩანდა.

„ავადაა, — გაიფიქრა მართალიმ, — კაცი ძაღლადქცეული, ან ძაღლი კაცის სახებაში!“

ვავა ზარქუა აღმა წავიდა, მთის კიდეზე, კვარცხლბეკის ხარაჩოსთან გადმოდგა... ფხიზელ მოყურადედ გააჩინა იგი არსთა გამრიგემ, თან შესძინა უსაზღვრო ერთგულება და მწირი გონიერება.

ახალგაზრდა „ზეკმა“ ჯალამბრის სახელურს ჩაავლო ხელი და ტვირთის ამოსატანად წავიდა. უკან, მეწყვილესთან ერთად რომ ამობრუნდა, სულს ძლივს ითქვამდა, შუბლზე ოფლი ასკდებოდა.

— ეწევი? — ხმადაბლა ჰკითხა ბესამ.

პატიმარმა თავი დაუქნია.

ბესამ ჯიბიდან მუჭით თუთუნი ამოიღო და შეაჩეჩა.

შებინდებისას, სკოლისაკენ რომ მიემართებოდნენ, დურუმ უცებ იკითხა:

— რა იყო, დღეს ბესა რომ გაუჯავრდა იმ არქიტექტორს?

მართალიმ მხრები აიჩეჩა, მიზეზს თვითონაც ვერ მიხვდა.

— კვარცხლბეკის საპერანგე მასალა არ მოეწონა! — აუხსნა არიქამ.

— რას უწუნებს? მე მგონი კარგი მარმარილოა, წითელი გადაჰკრავს! — ჩაეძია დურუ.

— იცი მერე რა მარმარილოა? — ხმას დაუწია არიქამ. — საფლავის ლოდებია. ზოგ ფილას ცალ მხარეს წარწერები აქვს, მიცვალებულთა გვარსახელები და თარიღები აწერია.

— გაფიცებ დედას! — არ დაიჯერა დურუმ. — მერე არ დააჩნდება?

— ჭკუას მოუხმე! წარწერას შიგნით მოაყოლებენ და მორჩა!

მართალის გული უსიამოვნოდ შეეკუმშა.

— ეგ არაფერი, — ხელი ჩაიქნია დურუმ, — მიცვალებულს რად უნდა მარმარილო!

— მიცვალებულს იქნებ არა, მაგრამ მათ შთამომავლებს კი! — ამოიოხრა მართალიმ.

დიახაც, რას არ მისცემდა, რომ ეგულებოდეს თუნდაც რიყის ქვა ტატაჩის საფლავზე... ცაცანასა და ეფროს საფლავებზე... თუმცა იქნებ ბებიები ცოცხლები არიან... ვინ იცის, ვისთვის სიცოცხლის რა ჟამია გამოყოფილი...

19

მშობლიური სკოლის ეს კედლები ადრე ჭერმაღალი და ნათელი ახსოვდა. საბავშვო სახლის სკოლა მეტად უსახური და ბნელი ჩანდა. „პრიუტელებს“ რვა კლასს ამთავრებინებდნენ, მერე ცხოვრების ორომტრიალში მოისროდნენ და ყველა

ისე მიცურავდა, როგორც შეძლებდა მხარის მოსმას... მართალი მეტ ხანს შერჩა, თითქმის წელიწადნახევარი... ესეც ალბათ ბიკენტის დამსახურება იყო, ან თავისი უნარისა, ყოჩაღად ჩაებულბულებინა „სტალინიანას“ ლექსები... ახლა ძველი სკოლის კედლები მოჟამული ეჩვენებოდა, ჭერი დაბალი, მერხები დაჩხაპნილი, ბიჭებს დანით ამოეჭრათ ინიციალები და ამურული სისულელეები.

გაკვეთილზე აქლემაპარმენი შემოროხროხდა. ისევ ის აქლემა-პარმენი იყო, როგორიც მართალის ახსოვდა, ოღონდ უფრო გამელოტებული და, რაც ბუწკი შერჩენოდა, ისიც მთლად გასთეთრებოდა. კვლავინდებურად ჯანსაღი და ოპტიმისტური იერი ჰქონდა, ზეპირად ახსოვდა ყოველი მითითება და განკარგულება. ამაზე ამბობდნენ, სუფთა კაცია, ნამდვილი კომუნისტი, ასეთები თუ ააშენებენ კომუნიზმსო. დღესაც ის გაცრეცილი პერანგი ეცვა, იგივე კოსტიუმი, ტილოს იაფფასიანი ფეხსაცმელები, რაც ხუთი წლის წინ. სიდუხჭირის გამო როდი იყო ასეთი მომჭირნე, მასწავლებლთა ხელფასი იმ დროს რაღაცას ნიშნავდა. ზომიერება მიაჩნდა აქლემაპარმენს ადამიანის უპირველეს ღირსებად, თუმცა ეს ზომიერება სიძუნწეს უფრო ჰგავდა.

— ცხოვრებას არ უნდა ჩამოვრჩეთ, ბაღნებო! — ისეთი სასოებით ალაპარაკდა, თითქოს ლოცვას აღავლენსო. — თქვენ, ალბათ, უკვე წაიკითხეთ დიდი სტალინის უახლოესი მეგობრის ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენება ყრილობაზე!

კლასში მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენება კილომეტრის სიგრძისა იქნებოდა, გაზეთის რამდენიმე ნომერში იბეჭდებოდა და სოფლის მეურნეობას ეხებოდა, თავიდან ბოლომდე მოსაწყენი ციფრებით იყო გაჭედილი. მისი წამკითხველი მთელ ქალაქში აქლემაპარმენის მეტი ორიც არ დაიძებნებოდა.

— ეს არის სიმღერა ჩვენს დიად მომავალზე! — აღფრთოვანებით წარმოთქვა აქლემაპარმენმა და უცებ პროზაულად დაამატა: — ჭამა ხომ გვინდა, ბაღნებო!

— განსაკუთრებით ვახშამი, — წაიჩურჩულა არიქამ.

აქლემაპარმენმა ყური ცქვიტა, იშვიათად თუ რამე გამოეპარებოდა.

— რა იყო, ძაძუა, რა არ გასვენებს?

— არაფერი მასწ, შეკითხვა მქონდა! — წამოიზლაზნა არიქა.

— მერე?

— აქამდე რატომ არ იყო ყრილობა?

— ძაძუა, შენ თუ გაუნათლებელი ხარ და ისიც არ იცი, იყო თუ არა ყრილობა, რიგითობას მაინც ვერ მიაქციე ყურადღება? მეცხრამეტე საიდან იქნებოდა, მეთვრამეტე თუ არ იყო?

— ეს კი ვიცი, პატივცემულო, მაგრამ წესდებით ყრილობა ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა ყოფილიყო!

— დაჯექი, ძაძუა, გაუნათლებელი ხარ შენ! — გაჯავრდა აქლემაპარმენი. — ბიჭო, შენ უფრო იცი წესდება თუ დიდმა სტალინმა, ჰა?

ასეთ არგუმენტს წინ ვერაფერი დაუდგებოდა და არიქა გაჩუმდა.

აქლემაპარმენმა გამარჯვებულის იერით გადახედა კლასს და განაგრძო:

— გვიჭირდა, ბაღნებო, და იმიტომაც არ იყო ყრილობა. ჯერ ომი გადავიხადეთ, მერე ნანგრევებში ვიყავით და ის უნდა აღგვედგინა. სამუსაიფოდ ვის სცალოდა? თანაც ჩვენი ბელადი, დიდ სტალინი, თქვენ როგორ ფიქრობთ, ჭკუით ვერ აჯობებდა იმათ, ვინც საყრილობოდ შეიკრიბა? რა თქმა უნდა, იქ თქვენნაირ უწიგნურებს არავინ გაუშვებდა, სულ დარჩეული, ჭკვიანჭკვიანი ხალხი შეირჩა, ისეთები, ჭკუა რომ მოეკითხებათ, მაგრამ სტალინის გამჭრიახობას ისინი ხომ ვერ შეედრებიან? ამიტომაც არ იყო საჭირო ყრილობა! ბელადს ისე მტკიცედ უჭირავს ქვეყნის საჭე, არავისი რჩევადარიგება მას არ სჭირდება!

„მაშ, ახლა რაღა საჭირო იყო ეს ყრილობა?“ — გაიფიქრა მართალიმ.

— ზოგიერთი ამხანაგი კი აქ პროვოკაციულ კითხვებს გვისვამს. — არიქას შეხედა აქლემაპარმენმა. — ვიცით, ეს

ამხანაგები კომკავშირლები არიან, კარგ საქმეს აკეთებენ. გაზეთებს ჩვენც ვკითხულობთ, განსაკუთრებით „მებრძოლ სტალინელს“, სტრიქონი არ გამოგვრჩება, მაგრამ ამხანაგები ჯერაც ახალგაზრდები არიან, ფრთხილად უნდა იყვნენ და ისე ნუ იაზროვნებენ, მტერს რომ გაუხარდება!

აქლემაპარმენი ამის შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენების გადმოქართულებას შეეცადა, ოღონდ თავი და ბოლო ვერ მოაბა და უკრაინის შაქრის ჭარხლის ამბებში გაიხლართა.

ამასობაში ზარმაც დარეკა.

დურუმ უსაყვედურა არიქას:

— მაინც საიდან მოგაქვს ეს პროვოკაციული კითხვები?

— ტვინიდან! — სერიოზულად უპასუხა არიქამ. — კითხვა რომ დამებადება, მინდა, პასუხი გამცენ!

— ხომ გიპასუხეს მერე!

— ის პასუხი კი არა, მუქარა იყო!

— ჰო, დაშოშმინდით! — ჩაერია მართალი. — აქლემაპარმენი ბეცია და მაგის ნათქვამს ნურაფრად ჩააგდებთ, მოუსმინეთ და გაიარეთ!

აქ თვითონ ტყუოდა! ვერ გაივლიდა! ცოდნა მოზაიკურ პანოსა ჰგავს, რომელზეც სხვადასხვა ადამიანთა ნააზრევი ფერად კენჭებად ლაგდება, საბოლოოდ კი ეპოქის ჭრელი სურათი იხატება... ძნელია ამ სიჭრელეში ჭეშმარიტების ამოკითხვა.

— აქლემაპარმენი ბეცია, — დაეთანხმა არიქა, — მაგრამ ის ხომ თავისი სიტყვებით არ მსჯელობს! ის გაზეთის ენით ლაპარაკობს. დღეს მოწინავეს წაიკითხავს, ხვალ სკოლაში მოარბენინებს...

— წინააღმდეგობაში ვარდები! — არ დაუთმო დურუმ. — აბა, გაზეთსა და რადიოს თუ არ დავუჯერებთ, ვის უნდა დავუჯეროთ? მაგ გაზეთებში და რადიოში უამრავი ჩვენზე ჭკვიანი კაცი მუშაობს, ყველაფერს ამოწმებენ და ისე გვეუბნებიან. კარგად იცით, რომ ყველაფერი ბელადის მითითებით კეთდება, მის ნააზრევს გვერდს ვერავინ აუვლის, ყველაფერი იმასთან იყრის თავს. ამიტომ აქლემაპარმენი ბეციც რომ იყოს, იგი გაზეთის სიტყვებით ლაპარაკობს, ამ სიტყვების

უკან კი ბელადი დგას... მისი ნათქვამის ჭეშმარიტებაში ეჭვს ვერ შევიტანთ!

დიახ, ბელადის ნააზრევი ის კედელია, რომელსაც ყველა ტალღა აწყდება!

— ნახვამდის, ბიჭებო! — დააგდო დურუმ და შინისაკენ გადაუხვია.

— სწორია ეს კაცი! — ჭოჭმანითა თქვა მართალიმ.

არიქამ თავი ურწმუნოდ გააქნია.

— მე არ ვიცი, სწორია თუ არა! მე ვიცი, რომ პატიმარ ბესა ქირიას, თუ შეგიძლია, თამბაქო უნდა მიუტანო და მის ცოლშვილსაც უნდა უთანაგრძნო!.. ვიცი, რომ „სი ქოული ბატას“ წამღერებისათვის კაცს წიხლი არ უნდა ჩააზილო!.. არ არსებობს ასეთი კანონები, მით უფრო, როცა ერთმანეთს ვარწმუნებთ, ნათელი მომავლისათვის ვიღვწითო!

— კანონი შეიძლება სრულყოფილი იყოს, მაგრამ ადამიანები ჯერ ხომ არა ვართ სრულყოფილები! ათასწლეულის გადმონაშთები...

— გადმონაშთებზე ნურაფერს მეტყვი, — ხმა აუკანკალდა არიქას, — კი ბატონო, მესმის, კაცობრიობის მომავლის იმედით მოვითმენთ და შავ პურსა და ჭიქა ჩაის დავჯერდებით, მაგრამ იმას მაინც ნუ წამართმევ, რაც მატერიალურით არ აღირიცხება, რასაც ფული არ სჭირდება და ღარიბსა და მდიდარს თანაბრად შეიძლება ჰქონდეს...

— ვინ გართმევს რამეს? — გაუკვირდა მართალის.

— ღირსებას! — ფიცხად დააგდო არიქამ. — კაცობას!.. მე უფლება მაქვს თანაგრძნობით მოვეკიდო „ზეკსაც“, ამას ნუ წამართმევ!

შებრუნდა და სიბნელეში გაუჩინარდა. ცოტა ხანს ისმოდა ჩქარი ნაბიჯის ხმა, მერე კარი გაჯახუნდა და ქალმა იკითხა:

— არიქა, შენა, შვილო?

— მე ვარ, დედა!

მართალიმ ფეხს აუჩქარა. ტვინს უბურღავდა აზრი, რომ ეს პატარა, წყნარი არიქა, მისი ბავშვობის მეგობარი ისეთივე სენითაა შეპყრობილი, როგორითაც ბესა ქირიაა დაავადებული — ეჭვის საშიში სენით!

თებერვლის ნესტიანმა ქარმა დაუბერა. ცაზე ვარსკვლავები აქაიქ ჭიატებდა, შავი ღრუბლები აქრობდა ვარსკვლავებს...

20

სიზმარში კვლავ დედაბრები იხილა. ვიწრო მიწურში, მაყალთან მოკუნტული იჯდა ეფრო ბებია. იქვე, ხის ტახტზე ცაცანა წამოწოლილიყო, ჭრელი ხალათი ეხურა. თავქვეშ, ბალიშის მაგიერ წითელყდიანი სქელი წიგნი ამოედო. მართალი გუმანით მიხვდა, „მარქსიზმლენინიზმის საფუძვლები“ იქნებოდა. შინაც ჰქონდათ ეგეთი გამოცემა. ცაცანა მუდამ თან დაათრევდა, შიგ გვერდის მოსანიშნად ხან სათვალეს ჩასჩრიდა, ხან საჩვენებელ თითს... დედაბერმა პირი ყმაწვილისაკენ მოაბრუნა, ალბათ სურდა შემოეხედა, მაგრამ თვალები დახუჭული ჰქონდა. „არ მომეკარო, შვილო! — ბაგე არც შეურხევია, ისე თქვა ცვილისფერმა ცაცანამ. — მეშინია, არაფერი გევნოს! საშინელი გაუგებრობა ხდება... წიგნში ყველაფერი სხვანაირად წერია... სტალინს ატყუებენ ალბათ, უმალავენ, თორემ არ დაუშვებდა ამას... უნდა შევატყობინოთ, თორემ დაიღუპა ქვეყანა...“ მართალი ოთახის კუთხეში იდგა, უსმენდა ამ სიტყვებს, მიახლოებას კი ვერ ბედავდა... აგერ ეფრომაც ასწია თავი, მოიხედა, ჟანგისფერი პირისახე გამოუჩნდა. თვალები კუშტი ჰქონდა, ვერ ხედავდა მართალის, სადღაც მიღმეთში იყურებოდა... „მართალი, შვილო, შენ მაინც დამირჩი, ბებო გენაცვალოს!“

გამოეღვიძა მართალის. გული შიშისაგან უკანკალებდა... ოთახში გარიჟრაჟს შემოეღწია... სიზმარს იხსენებდა, მაგრამ დეტალები შემოფანტვოდა. თითქოს ცაცანა ეუბნებოდა რაღაცას, სტალინს უხსენებდა...

ჩათბუნდა, ადგომა დაეზარა...

უნდა ეჩივლა სტალინთან, ხმა მიეწვდინა... ან იქნებ ლავრენტი ბერიასთან გაეგზავნა წერილი. ვინ იცის, იქნებ ობოლი ბიჭის თხოვნამ გაარღვიოს ცივი კედელი, მოარბილოს

მკაცრი მოსამართლეების გულები და მოხუცებს ეპატიოს, რომ ერთი დედაა დამნაშავესი, მეორე სიდედრი. „ისეთი რა დააშავა მამამ?“ — მერამდენედ იკითხა გუნებაში. პასუხს ალბათ ვერასოდეს მიიღებდა. სიმართლე ერთადერთმა კაცმა იცოდა, ბიკენტიმ, იმას კი ბაგეზე კლიტე ედო, უფლება არა ჰქონდა გაეცა „სახელმწიფო საიდუმლოება“.

ფიქრში კვლავ ჩაეძინა და სიზმარი შეუბრუნდა. ისევ ის თოვლიანი ტრამალი იხილა. უფერული ცა გადმომხობოდა. ჰორიზონტის წრე მქრქალ ნისლში იკარგებოდა. ტრამალს კიდიდან კიდე სწორ ხაზად კვეთდა რკინიგზა... ღია ბაქანიდან მოშორებით თოვლში ჩაფლულიყო ორრიგი მიწურები... შავი კვამლი მოიზლაზნებოდა საკვამურებიდან... უკაცურ შარაზე დედაბერი მიათრევდა მომცრო მარხილს. ყინულზე ფეხი უსხლტებოდა, მძიმედ მიიწევდა წინ... მარხილზე ჭილობში გახვეული ცაცანა იწვა, ქაღალდივით თეთრი პირისახე ყინულს გამოექანდაკებინა...

ლოგინიდან წამოვარდა მართალი. უაზროდ მიმოიხედა. რა მოხდა? სად ხდებოდა ყოველივე ეს? ზმანებიდან ძლივს გამოაღწია. მიხვდა, რომ სიზმარი იხილა და გული მოეცა. „ვიღლები, — გაიფიქრა, — მიუჩვეველი ვარ ქვის სამუშაოს... მერე სკოლა, სპექტაკლი... თანაც ამინდი!“

მოჟამული ამინდი იდგა. ნელა, უხმოდ ცრიდა, ეზოში გასვლა არ მოგინდებოდა.

ცივი ტანსაცმლისაგან ააძაგძაგა და ბუხარს მიუცუცქდა. ცეცხლის გაღვივებას შეუდგა. ტაფამწვარი მოუნდა და ცხელ ტაფაზე სამი კვერცხი დაახალა.

ცოტასაც მოიცდის, სამუშაო დამთავრდება და მაშინ ამხანაგ გრიშას შეეხვეწება, იქნებ წერილი მისწერონ, მოხუცები შეიბრალეთო... ვის? სტალინს... ბერიას...

21

სპექტაკლი შაბათ საღამოს გაიმართა. სკოლის დარბაზი დიდი არ იყო, სცენაც მომცრო ჰქონდა. მართალიმ წინა ღამე თეთრად გაათენა, სცენა გააფორმა, იქაურობა სულ წითელი დროშებითა და ტრანსპარანტებით ააჭრელა და წითელი საღებავიც ბლომად გახარჯა, ოღონდ საღებავი ხელიდან ვერაფრით მოიშორა და იძულებული გახდა, პრემიერის დროს მაყურებლის თვალწინ კობას როლში სისხლიანი ხელებით წარმდგარიყო. ამიტომაც თამაშობდა თავიდან გაუბედავად. ცდილობდა ხელები ან ჯიბეში ჰქონოდა, ან ზურგსუკან ამოედო, მაგრამ თანდათან შეხურდა და სიფრთხილე დაავიწყდა.

— „თქვენ ერთი ცუდი ჩვეულება გაქვთ...“ — დინჯად, აუჩქარებლად მიმართავდა სცენის კიდეზე გადმომდგარი მართალი თოდუა მაყურებლებს. სცენაზე შეყრილი „ხალხი“, მუშურად ჩაცმული უფროსკლასელი ბიჭები და გრძელკაბიანი, თავმანდილიანი გოგონები ქალთა სკოლიდან — კეკე, ივლიტა და ვერიჩკა აღფრთოვანებული შესცი‌ცინებდნენ „ორატორს“. გადაჭედილი დარბაზიც პირდაღებული მისჩერებოდა წვერმიწებებულ კობა ჯუღაშვილს. პირველ რიგში დაბრძანდნენ დირექტორი თამარა, მთელი პედკოლექტივი და რამდენიმე სტუმარიც კომკავშირის რაიკომიდან. დანარჩენი სივრცე მთლიანად გაევსო სკოლის მოწაფეებს, ერთიერთმანეთზე ისხდნენ, ფანჯრის რაფა და სცენის კიბეც შეევსოთ, გასასვლელებში იდგნენ, მთლად პატარები კი სცენის წინ, იატაკზე მორთხმულიყვნენ.

კედელზე სტალინის ღიმილიანი პორტრეტი ეკიდა და იოსებ ბესარიონის ძემ მართალის თითი დაუქნია.

„ფრთხილად, ყმაწვილო, არაფერი შეგეშალოს!“

— „თქვენ ერთი ცუდი ჩვეულება გაქვთ, რომელიც პირში უნდა გითხრათ, — მართალიმ ხმას მტკიცე ჟღერადობა შესძინა, — ვინც უნდა გამოვიდეს და რაც უნდა გითხრან, ყველას სიხარულით და ტაშისცემით ხვდებით. თქვენ გეუბნებიან, „გაუმარჯოს თავისუფლებასო“, — ტაშს უკრავთ, „გაუმარჯოს რევოლუციასო“, — ტაშს უკრავთ; ეს კარგია, მაგრამ როცა გეუბნებიან, „ძირს იარაღიო“, ამასაც ტაშს უკრავთ. აბა, რა რევოლუცია იქნება, რომ უიარაღოთ გაიმარჯვოს? ის რა რევოლუციონერია, ვინც იტყვის „ძირს იარაღიო“? ამის მთქმელი ორატორი, ალბათ, ტოლსტოის მიმდევარია და არა რევოლუციონერი და ვინც უნდა იყოს იმის მთქმელი, ის რევოლუციის, თავისუფლების მტერია!“

აი, აქ დაავიწყდა მართალის თავისი სისხლისფრად შეღებილი ხელები და დარბაზიდან ისე გამოჩნდა, თითქოს პატარა ჩირაღდანი უჭირავსო.

— „ნამდვილი გამარჯვებისათვის კი რა არის საჭირო? ამისათვის საჭიროა სამი რამ! კარგად გაიგეთ და დაიმახსოვრეთ: პირველი, რაც საჭიროა, ეს არის შეიარაღება, მეორე — შეიარაღება და მესამე კიდევ — შეიარაღება!“

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ხმას ისეთი ცეცხლი შესძინა, ყოველი ბგერა ისე ამაღლებულად და თავშეკავებული სიდინჯით წარმოთქვა, იქუხა ტაშმა და აქლემაპარმენმა წამოიყვირა:

— გაუმარჯოს, ბაღნებო, დიდ სტალინს!

კედლის პორტრეტის სტალინმა ხელი ასწია და ღიმილით ჩაიდუდუნა:

„ყოჩაღ! ყოჩაღ!“

დარბაზი ტაშს უკრავდა და სცენაზე მდგომი „ხალხიც“. ვერიჩკასა და ივლიტას წივილი ბიჭების ხმაში გაირჩა. კეკეს კი, ამ თავის „მუშურ“ სამოსში პატარა დედაკაცს რომ დამსგავსებოდა, ხელები მკერდთან მიეტყუპებინა და გარინდებულიყო...

თითქოს უნდა გახარებოდა მართალის... ის კი იდგა და უსმენდა... უსმენდა და თვალწინ ამასწინანდელი სიზმარი ედგა: სადღაც შორს, სხვა პლანეტაზე გადაკარგული ფართო ტრამალი და ორი დედაბერი — ცაცანა და ეფრო...

სპექტაკლის შემდეგ გასასვლელში ლესტამბე შეეჩეხა, კეკესათვის ჩაევლო ხელი, შინ მიათრევდა. გოგონას მზერა

თითქოს ამქვეყნიურს გასცლოდა და სადღაც ზმანებებში გადადიოდა.

ლიზღურად გაიღიმა ლესტამბემ, წაისისინა:

— რაო, ბელადს სისხლიანი ხელები ჰქონდა?

მართალის ემცხეთა, მაგრამ პასუხი არ გაუცია.

ქუჩაში, როცა არიქამ მკლავი გამოსდო, ეჭვით იკითხა:

— ცუდად ვითამაშე?

არიქამ ამოიოხრა.

— შენ არაფერ შუაში ხარ! ამ როლს კარგად ვერავინ ითამაშებს! — უცბად მაიმუნივით დაიმანჭა და მართალის წაბაძა: — *„დგას ბუმბერაზი... კვლავ მის ხმას ვისმენთ, წითელ შუქს გვაფრქვევს ხალხების მხსნელი, კომუნიზმის და მშვიდობის გზისკენ, გაუშვერია მზრუნველი ხელი...“*

— ეს სტალინზე კი არა, ლენინზეა!

— სულ ერთი არაა?

მართალიმ გაუცინა, შემრიგებლურად უთხრა:

— ვხედავ, რომ არ მოგეწონა!

არიქა უცებ დანაღვლიანდა, თვალებში სასოწარკვეთა ჩაუდგა და ჩურჩულით უთხრა:

— იცი, სულ მეჩვენება, რომ გვატყუებენ! ჩვენ კი სხვებს ვატყუებთ, ის სხვები კიდევ სხვებს... მე არ ვიცი, სინამდვილეში როგორი იყო კობა ჯუღაშვილი, მაგრამ იმას კი ვხვდები, რომ მართალი კაცი ასეთი ენით არ მეტყველებს!

— შევეშვათ სტალინს, — მოწყვეტით თქვა მართალიმ, — და საერთოდ, პოლიტიკაზე ჯვარი ხომ არ დაგვიწერია! სხვა რამე დავდგათ, თუნდაც სიყვარულზე!

— სიყვარულზეე? — გაწელა არიქამ და უცებ სიცილით მოწყვიტა. — სიყვარულზე ჯერ პიესა არ დაწერილა! — თქვა და გაიქცა.

— ჰეი! — მიადევნა მართალიმ. — შენ რა, „რომეო და ჯულიეტა“ არ წაგიკითხავს?

არიქა გაჩერდა, სახე სერიოზული გაუხდა.

— წამიკითხავს და მეტი არა!.. მზამზარეული რომეო ხარ, მაგრამ ჯულიეტა სად გიშოვნო? ნახვამდის!

22

— არიქაა!

— მოვდივაარ!

არიქა გამორბის. თავზე ყურებიანი ქუდი ჩამოუფხატია, ტანზე დაბამბული ჯუბა აცვია. წვრილ კისერზე ნაქსოვი კაშნე შემოუხვევია.

— რა უჟმური ამინდია! — უკმაყოფილოდ წვიკინებს.

— დურუუ!

— მოვდივაარ!

ამასაც დაბამბული ჯუბა აცვია, უქუდოდაა. როხო თავი „პოლუბოქსით“ შეუკრეჭია.

— რა უჟმური ამინდია! — ესეც უკმაყოფილოა.

ქალაქი მოქუფრულია, რუხი ფერი დაჰკრავს. მიწა ატალახებულა, ხეები, სახლები, ღობე, ყველაფერი სველია, ჰაერი ნესტითაა გაჯერებული.

— მალე გაზაფხული დადგება! — იმედიანად ამბობს მართალი.

— სანამ გაზაფხული დადგება, მე ფეხებს გავფშიკავ! — არ ცხრება არიქა.

— სამუშაოზე დაგვცხება! — ამშვიდებს დურუ. — დღეს კიბეს მოვამთავრებთ! ხვალზეგ კვარცხლბეკი იქნება მოსაპირკეთებელი!

— საფლავის ქვებით... — არიქა გამოუსწორებელია.

დურუ მოწყვეტით ჩერდება, საყელოში ხელს ჩაავლებს, შემოატრიალებს.

— ენა დაიმოკლე, ეს ჯღანაობა სიკეთეს არ მოგიტანს!

— ნუ ჩხუბობთ! — შემრიგებლურად ჩაერთვება მართალი. — იქილიკოს, შენ რა გენაღვლება, ვავა ზარქუა ხომ არ გვისმენს!

ბულვარზე კენტად თუ გაივლის ვინმე, ყველას ღუმელთან და ბუხრისპირას ურჩევნია.

ჩხერია მოდიდებულა, ამღვრეულა... მთებში ალბათ გაწვიმდა, თოვლი ლღვება.

გზისპირას დედაშვილი დგას. ცხუტას ხელში მომცრო ფუთა უჭირავს, წვიმას არად აგდებს. ცირუ ბეღურასავით მობუზულა, სცივა.

ბიჭები ნაბიჯს ანელებენ. დურუ თვალებს აბრიალებს, ქშინავს, თქმით არაფერს ამბობს. მართალი მორიდებით ესალმება. არიქა კი, თითქოს წინასწარვე ასეა დათქმულიო, ფუთას ხელს წაატანს, იღლიაში ამოიჩრის.

— მოვიდა უკვე?

— კი, შორიდან შევხედეთ! ძალიან გახდა! — წუწუნებს ქალი.

ცირუს დიდრონ თვალებში სევდა ჩამდგარა.

— იქ ვავა ზარქუაა, ახლოს ვერ გაეკარები! — ჩივის ცხუტა.

— ჰო! — თავს უქნევენ არიქა და მართალი, სწრაფად შორდებიან, წინ წასულ დურუს ეწევიან.

მთისძირას „ზეკებს“ ითვლიან. ლაბადიანი ოფიცერი სიას კითხულობს, პატიმრები კი პასუხობენ: „ვარ! ვარ! ვარ!“

— რა ამოგიჩრია იღლიაში? — ვავა ეჭვიანი თვალებით ბურღავს არიქას.

— სადილია! სამი მუტრუკი ვმუშაობთ, ხომ გვინდა ჭამა!

მაცხოვრისგორაზე ადიან. სამას მესამოცე საფეხურზე ჩამომჯდარა ბესა, ფუთას გახსნის და გაეღიმება. შიგ მომცრო ხაჭაპურია, მოხარშული კვერცხები, თბილი წინდები და ცხვირსახოცი.

მუშაობას ბევჯითად იწყებენ. სულ ხუთი საფეხურია დასადები და კიბე მოედანს შეუერთდება... გვერდებზე თლილი ბორდიური ასდევს თეთრ კიბეს...

ზედა მოედანიც ფილებითაა მოკირწყლული. გადასახედის მხრიდან დაბალი პარაპეტი გასდევს, ისიც რუხი ფილებითაა მოპირკეთებული. მაღალი კვარცხლბეკი ჯერაც ხარაჩოებშია და ბესას ხელს ელოდება. სწრაფად იმუშავეს „ზეკებმა“, მადლობას კი არავის ეტყვიან.

აი, ბოლო საფეხურიც დადეს ბიჭებმა. ბესამ თვალები მოჭუტა და ისე გახედა. თარაზო არც სჭირდება, ისეთი თვალი აქვს, ბეწვისოდენას არ შეცდება.

ამ დროს კი, ქვევით, შავი მანქანების მწკრივი გამოჩნდა.

— ავტორი მოდის! — მიხვდა არიქა.

ამხანაგი თეოფანე პატარა ტიკჭორასავით მოგორავს, მოკლე ფეხებზე მოუსვენრად ცმუკავს. ამხანაგი ბენედიქტე ერთი მსხვილტანიანი, ზორბა კაცი ყოფილა, საგრძნობლად შეთხელებული ჭაღარა უკან გადაუვარცხნია.

— ტარაპუნკა და შტეპსელია! — ხითხითებს არიქა.

ბენედიქტე აუღელვებლად ამოდის კიბეზე, თეოფანეს ფაციფუცს არაფრად აგდებს. ხანდახან გაჩერდება, დარჩენილ საფეხურებს ახედავს დინჯად. მარცხნივ და მარჯვნივ ფერდობს შეათვალიერებს, მერე უკან, მერეთს გადაავლებს მზერას და გზას განაგრძობს.

უკან მოსდევენ ქალაქის ხელმძღვანელები. ყველას ერთნაირი ლაბადა აცვია, ჯავშნოსნებივით ჩამწკრივებულან. რა თქმა უნდა, თანამდებობისდა მიხედვით, თითქოს ერთხელ და სამუდამოდ შედგენილ სიაში ადგილის გადანაცვლება შეუძლებელი იყოს... სულ ბოლოს ბიკენტი მოდის, თოლორაია. ამიტომაცაა მოჩვენებითი ეს სია, რადგან ბიკენტის რიდი ამ ქალაქში რაიკომის მდივანსაც აქვს და ყველა დანარჩენსაც.

ბენედიქტეს არავისი რიდი არა აქვს. ყველას ერთნაირად უქნევს თავს. კომკავშირლებსაც ასევე გულგრილად გადაავლო მზერა, ბესასაც. თუმცა თეოფანემ რაღაც ჩაიწკმუტუნა, ალბათ აგებინებდა, ამათ ყურადღება მიაქციეო.

აუჩქარებლად გადაჭრა ქვაფენილი, ხარაჩოებს შეუყვა და კვარცხლბეკის თავზე შეჩერდა.

მონუმენტივით გაიჯგიმა, მერეთს გახედა.

— როგორა ჩანს, ჰა? — იკითხა.

თეოფანემ ტაში შემოჰკრა.

— შესანიშნავია, შესანიშნავი!

ბენედიქტე უკანვე ჩამოფოფხდა, პირისახეზე კმაყოფილება ეხატა, მზერა დაუთბა. სათითაოდ ხელი ჩამოართვა თანამდებობის პირებსაც, თეოფანესაც, იქვე მყოფ პატიმრებსაც.

— როგორც კი გამოიდარებს, ამოვიტანოთ! დღესასწაულებამდე, ვფიქრობ, მოესწრება...

— აგაშენა ღმერთმა! — ხელები მოიფშვნიტა ამხანაგმა გრიშამ. — მაშასადამე, თადარიგია საჭირო! — მერე კომკავშირული სამეული გამოარჩია, შეაქო: — ყოჩაღ, ბიჭებო, აბა, თქვენ იცით! დღე და ღამე რომ გაასწოროთ, ოცდახუთ თებერვალს მაინც უნდა გავხსნათ, ოცდამეთექვსმეტე წლისთავი აღვნიშნოთ... ეს ყმაწვილი, — მართალი წარუდგინა ბენედიქტეს, — ჩვენი განმათავისუფლებლის ნესტორ თოდუას შვილიშვილია!

— გაფიცებ დედას! — ბანჯგვლიანი წარბები ასწია ბენედიქტემ, კოტიტა თითები ლოყაზე მოუთათუნა მართალის.

მუშაკაცის უხეში, დაკოჟრილი ხელი ჰქონდა.

სტუმრების წასვლის შემდეგ შეისვენეს.

— უცნაური ბედი გაქვს სწორედ! — თუთუნს მოუკიდა ბესამ, ბოლი სიამოვნებით გამოუშვა. — შენს ერთ ბაბუას სამხიარულოდ ჰქონდა საქმე, მეორეს სატირლად. საბოლოოდ, ორივეს სატირლად მოუმთავრდა.

— ეგ როგორ? — დაბნეულად ჰკითხა მართალიმ, მდივნის ყურადღებით მოგვრილი უხერხულობა ჯერაც ვერ განელებოდა.

— ერთი ამ რესპუბლიკას ამყარებდა, მეორე იმას იცავდა, ორივე უდროოდ შეეწირა არჩევანს!

ნუთუ მართალიმ არაფერი იცოდა? გერა ბაბუა იმ რესპუბლიკას იცავდა? მოღალატე მენშევიკების სისხლიან დიქტატურას? რაღაცისთვის კი მოუკრავს ყური, მაგრამ სიმართლეს ტაბუ ედო და ვერაფერი გაარკვია. გერა და ნესტორი მძახლები იყვნენ, თანაც ძღვიბის ძმაკაცები... იქნებ ამიტომ შეუნდეს გერას ცდომილებანი, მათზე თვალი დახუჭეს...

მთელი დღე ამ აზრს უკირკიტებდა, ტვინიდან ვერ ამოეგდო. გვიან, როცა შინ ბრუნდებოდნენ და დურუს გამოეთხოვნენ, არიქას უთხრა:

— გამიგონია, გერა ბაბუა წმინდა კაცი იყოვო, თავისი მხრებით ამოზიდა თურმე ეს საფეხურები და მარტომ ააშენა ეს კიბე. მაშ რატომ იცავდა იმ მოღალატე მენშევიკებს?

— მე რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა არიქამ, — მე და შენ არაფერი ვიცით, ჩვენ ხომ სხვათა მონაჭორს ვიმეორებთ, საჭირო კია თვით გერა ბაბუას მოვუსმინოთ...

— მკვდარს რანაირად მოვუსმენთ, — მოიწყინა მართალიმ, — გათავებულია ეს საქმე!

— ცოცხლები ტყუიან, თორემ მკვდრები ვეღარ იცრუებენ. რაც დრო გავა, მეტს გავიგებთ იმათზე. ყოველი ადამიანი ტოვებს ნაკვალევს, ოღონდ ამოკითხვა უნდა ვისწავლოთ და მართლაც უნდა გვინდოდეს ჭეშმარიტების დადგენა!

— რა ჭკვიანი ხარ, არიქა! — გულწრფელად უთხრა მართალიმ.

— ჰო, ტვინი არ მეტევა ამ პატარა თავში! — შუბლზე ხელი მიიკაკუნა არიქამ და სიცილით გაუჩინარდა.

23

ზამთარმა კუდი მოიქნია, ჩამობარდნა. მართალიმ დილით რომ გამოიღვიძა, ქალაქი ვერ იცნო, თეთრად გადაქათქათებულიყო. ცაზე ღრუბლის ფთილაც არ ჩანდა და მზის შუქი ფაფუკ თოვლში ისე ბრჭყვიალებდა, თვალის გახელა ჭირდა... დათბა, თოვლმა ლხობა იწყო... სახურავიდან წკაპაწკუპით წამოვიდა წვეთები, ჩამოეკიდა გრძელზე გრძელი გამჭვირვალე ლოლუები... თანდათან შეთხელდა თოვლის საბანი და ბოლოს მთლად დაიწრიტა, ნაკადულები გააცოცხლა... ჩხერია აიმღვრა, აბობოქრდა, მასში ურჩმა, დაუოკებელმა ძალამ გაიღვიძა...

სამუშაო ბოლოს უახლოვდებოდა. „ზეკები“ მეტი არ გამოჩენილან. მხოლოდ ბესა ამოჰყავდა ბიკენტის „ვილისით“, ვავა ზარქუას მიუჩენდა დარაჯად, საღამოს უკანვე წააბრძანებდა ცხრაკლიტულში.

ღამით გადმოიტანეს მონუმენტის ნაწილები. ბიკენტიმ მოისურვა ასე. დაშლილი ბელადის ხილვა არაჯანსაღ შთაბეჭდილებას მოახდენს მერეთელებზეო... ამიტომაც ბნელი ღამით მიადგნენ რაიკომისა და შინსახკომის ტალიკტალიკი, ჯანიანი თანამშრომლები სადგურის საწყობს, გახსნეს დალუქული კარი, დატვირთეს მანქანა და წამოვიდნენ...

მაცხოვრისგორის თავზე გრძელი ჯალამბრებით აზიდეს. დურუ პირველი შეუდგებოდა ხოლმე მძიმე ტვირთს. მართალი და არიქა ტყუილუბრალოდ ირჯებოდნენ, რადგან ჯალამბრების სახელურებს ვეღარ სწვდებოდნენ...

დღისით თეოფანე და ბენედიქტე მობრძანდნენ. თეოფანე მოუსვენრად წრიალებდა, უამრავ განკარგულებას იძლეოდა, თუმცა არც არავინ უგდებდა ყურს.

ბენედიქტე სულ სხვა კაცად წარმოჩნდა. ჯიბეებიანი ლურჯი ხალათი ეცვა. თავზე ლურჯი მიტკალის ჩაჩი ჩამოეფხატა. პატარა ბიჭივით სწრაფად და დაუზარებლად ადიჩადიოდა ხარაჩოზე, სხვებზე ღონივრად მუშაობდა.

თავდაპირველად ფეხები შეაყენეს, დაფაზე იდგა და მასთან ერთად მაზარის კალთებიც იყო ჩამოსხმული. ყველაზე მძიმე მკლავებიანი ტორსი ჩანდა. ერთი მკლავი ოდნავ მოეღუნა ბელადს, მეორეში ჩიბუხი ეჭირა და არიქამ შენიშნა:

— ამ ჩიბუხსაც ვეღარ ავწევ მარტოდმარტო!

სიტყვა მომთავრებული არც ჰქონდა, უბედურება მოხდა.

აქამდე ტორსზე მიყუდებული თავი გადმოგორდა.

„მავნებლები, დივერსანტები, ჯაშუშები, ტერორისტები!..“ — მუქარით ჩამოთვალა და არიქას მარცხენა ფეხზე დაუგორდა.

ტკივილისაგან შეჰკივლა ბიჭმა, ძირს დაეცა.

— ვაი, დედა, ვაიმე, დედიკო! — იძახდა და ცდილობდა მძიმე თავი მოეშორებინა.

მიცვივდნენ დურუ და მართალი, დაეჯაჯგურნენ.

— ნამუშევარი არ გამიფუჭოთ! — იყვირა ბენედიქტემ და თვითონაც მოვარდა: — ფრთხილად, ფრთხილად!

თავი გადააჩოჩეს, არიქას ფეხი გამოაშვებინეს, მაგრამ გამწარებული ბიჭი არ ჩერდებოდა, კვნესით მოთქვამდა:

— ვაი, დედა!..

პირისახე მიტკალისფერი გაუხდა, გული მისდიოდა.

ფეხსაცმლიდან სისხლმა გამოჟონა, შარვლის ტოტი შეუღება.

დურუ და მართალი შეეცადნენ წამოეწიათ, ვეღარ მიუდგნენ.

ბესამ მოარბენინა ჯალამბარი, რომლითაც ადრე ტორსი ამოიტანეს, ყმაწვილი ზედ დააწვინეს.

დურუმ სახელურებს ჩასჭიდა ხელი. თავდაღმართზე წინ მარტოკა ვეღარ ზიდავდა და მართალიმ მოურიდებლად, თითქოს შეჰღრინაო, ვავას მიუგდო:

— მოჰკიდეთ ხელი!

ვავა წამით შეყოყმანდა.

— არსად გამქცევი არა ვარ, მე, ვავა ზარქუა! — მიუხვდა ბესა გასაჭირს. — გაქცევა რომ მინდოდეს, შენ ვერ დამიჭერ მე!

ვავამ პასუხი არ გასცა, სახელური ასწია.

კიბეზე ფრთხილად ჩაჰყავდათ, საფეხურები სველი იყო.

არიქა ხან ფხიზლდებოდა, ხან გონს კარგავდა და ბოდავდა.

გორის ძირას არავინ დახვედრიათ და იმ ჯალამბრით გადაარბენინეს ქალაქი, საავადმყოფოში მიიყვანეს.

მართალიმ საშინელი დაღლილობა იგრძნო, მუხლები ეკეცებოდა და მოსაცდელში ხის სკამზე დაეშვა.

— არაფერი მოუვა იმ თქვენს არიქას! — თქვა ვავამ. — დოსტაქრებმა იციან თავიანთი საქმე! ჰო, მართლა, — ჭოჭმანით დაამატა, — უმჯობესია ვთქვათ, კიბეზე ფეხი დაუცდათქო, ან ლოდი გაუვარდათქო... სტალინის თავი, ჰმ, რაღაც უხერხულია...

დურუმ თავი დაუქნია, ვავა გაუჩინარდა და უცებ მართალი მოიკუნტა, ბავშვივით ატირდა.

— ხომ არ გაგიჟდი! — შეუძახა დურუმ. — რას ბავშვობ, ვავამ ხომ თქვა, არაფერი მოუვაო, ექიმები წუთში მოარჩენენ!

იცოდა მართალიმ, ექიმები წუთში რომ მოარჩენენ არიქას, რომ შეიძლება ადამიანს ხიფათი შეემთხვას, ფეხიც მოიტეხოს და ეს სულაც არაა მსოფლიო ტრაგედია, ყველაფერი ეს იცოდა, მაგრამ თავს ვერ იკავებდა, შიგნიდან რაღაც აუხსნელი ტკივილი აწვებოდა, ყელს ებჯინებოდა და ცრემლის გარდა სხვა გამოსავალი არა ჰქონდა.

— გაჩუმდი, სირცხვილია, ხალხი გვიყურებს! ჰო, კაი, ცრემლი შეიმშრალე და წავიდეთ, ახლა უკვე ქანდაკებას დგამენ!

— ჯანდაბას! — წაიჩურჩულა მართალიმ.

— რა?

— დადგან უჩვენოდ! არიქას ხომ ვერ დავტოვებთ? მე არ დავტოვებ! შენ თუ გინდა, წადი!

დურუ აწრიალდა, წასვლა ეუხერხულა.

— წადი! — დაუყვავა მართალიმ, გული გადაეწმინდა, დამშვიდდა. — ჯერ დეიდა ფუცუსთან ჩაირბინე, ისე უთხარი, არ შეაშინო! მე აქ დაველოდები!

დურუ გაიქცა. მართალი მოსაცდელში მარტო დარჩა. მდუმარება ჩამოწვა, სწორედ ისეთი, ხუთი წლის წინ, თეთრ პალატაში გონსმოსულმა რომ აღმოაჩინა... მაშინ შეაშინა იმ სიჩუმემ, ადამიანის ხმის გაგონება მოუნდა, დერეფანში გამოეხეტა, ბოლომდე ჩაიარა და იქ საოპერაციოს კართან გაიყინა... მაგიდაზე გვამი იდო ცვილისფერი, შიშველი ბიჭისა. დიდხანს ფიქრობდა მერე, იმ ბიჭს ოპერაციას უკეთებდნენო. გვიან მიხვდა, ქირურგები სავარჯიშოდ იჩიჩქნებოდნენ ბიჭის მუცელში, მისი სული კი კარგა ხნის წინ გაფრენილიყო ცაში... მოგონებამ გული შეუღონა, თავბრუ დაასხა.

— ცუდად ხომ არა ხარ?

თავზე თეთრხალათიანი კაცი წამოსდგომოდა.

— არა! მეგობარმა ფეხი იტკინა და იმას ვახლდი!

— ისეთი რა დაეცა?

— ლოდი! — მოკლედ მოჭრა მართალიმ.

— დაკოჭლდება! — ამოიხვნეშა კაცმა და გაშორდა.

შემოსასვლელმა კარმა გაიჯახუნა. ფუცუ დეიდა შემოიჭრა ქოშინით.

მართალი გაეგება.

— ცოცხალია?

— ნუ გეშინია, ფუცუ დეიდა, ფეხი იტკინა ცოტა!

ქალმა მკერდზე მჯიღი მიიკრა, გული ამოვარდნასა ჰქონდა, სკამზე მძიმედ დაეშვა...

24

ბინდისპირზე დურუ მოვიდა. შინ შეურბენია, ბამბურის ნაცვლად თავისი გაცრეცილი პალტო ჩაუცვამს.

— როგორაა საქმე?

ფუცუმ ამოიოხრა.

დურუ მართალის მიუჯდა, ჩასჩურჩულა:

— დავდგით უკვე, თეთრი ტილო გადავაფარეთ!

მართალი გაუჩუმდა. უკვე არ ახარებდა ეს საქმე. თავს ვერ უტყდებოდა, რომ მის ერთგულებას ბზარი დააჩნდა.

ისხდნენ მდუმარედ, თითქოს სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ. დურუ თუ ჩაახველებდა ხანდახან, სკამს მოუსვენრად აჭრაჭუნებდა. ფუცუ დეიდა აწრიალდებოდა უცებ, კედლებს ეხლებოდა, მაგრამ როგორღაც უხმოდ, სიტყვების გარეშე და მისი ეს უთქმელი ტანჯვა მძიმე საყურებელი იყო.

ნაშუაღამევს მორიგე ექიმმა გამოიხედა, პალატაში შესვლის ნება დართო.

ცალკე ეწვინათ, მომცრო ოთახში, ალბათ პატივსაცემ პირთათვის რომ აქვთ შემონახული.

— ოღონდ ნუ იხმაურებთ! — გააფრთხილა ექიმმა.

არიქას ეძინა, რაკი ნარკოზი ჯერაც მოქმედებდა. პირისახე თეთრი და მწყაზარი ჰქონდა. ჩხინკა მხრები მოეშიშვლებინა, უღონო ხელები საბნის ზევით დაეწყო. წვრილი კისერი, გამჭვირვალე, თხელი ნაკვთები უფრო პატარას აჩენდა და მართალის გული შეეკუმშა. თითქოს უმცროსი ძამიკო იწვა მის წინ, ანდა შვილობილი. ტოლები იყვნენ, მაგრამ ახლა თავს ასაკოვნად გრძნობდა.

ფეხი თაბაშირში ჩაესვათ და ამაღლებულ ბალიშზე ედო.

ნელა, თანაბრად სუნთქავდა, მკერდი აუდჩაუდიოდა.

ფუცუმ სკამი მიაჩოჩა, მყარად დაჯდა.

დურუ ყოჩაღობდა, პირისახე უნებლიეთ ემანჭებოდა, უპეები უსველდებოდა, სურდოშეყრილივით ცხვირს ახვლიპინებდა.

დრო გაიწელა... ორჯერ ექიმმა შემოიხედა, ხომ არა წუხსო, იკითხა.

მოულოდნელად გაყუჩდა ავადმყოფი, სუნთქვის რიტმი შეეცვალა. ქუთუთოები შეარხია... მიიხედმოიხედა, ვერავინ იცნო და კვლავ ძილს მინებდა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გამოეღვიძა და გაკვირვებულმა იკითხა:

— რა მოხდა?

— არაფერი, გენაცვალე, ცოტათი ფეხი იტკინე! — სულსწრაფად შეაგება ფუცუმ, ხელზე მოეფერა.

არიქა ჩაფიქრდა, იხსენებდა... ბიჭებს დააკვირდა და გაუღიმა:

— ერთადერთი კაცი ვარ დედამიწის ზურგზე, სტალინის თავისაგან რომ დაზარალდა!

ვერ მოეშვა ქილიკს. ნარკოზი ჯერ არ გასვლოდა, ტკივილებს ეძინა და იმიტომ იყო ქილიკის გუნებაზე.

მეტი არაფერი უთქვამს, ჩუმად ჩაიცინა და ისევ ძილბურანში შებრუნდა.

გარეთ ამინდი ჭინჭყლობდა, წვეთებს წკაპაწკუპი გაჰქონდა და ბიჭებმა ვერც გაიგეს, თვითონაც როდის ჩაეშვნენ ძილში.

თითქოს წუთიც არ გასულაო, სახეზე კაშკაშა შუქი დაეფინათ და ორთავემ თვალები დაჭყიტა.

არიქას ეღვიძა, ტკივილისაგან შუბლი ოფლს დაეწინწკლა.

— მოითმინე, დედა გენაცვალოს, მოითმინე! — ეჩურჩულებოდა ფუცუ, პირსახოცით ოფლს უმშრალებდა.

— რაო, დადგით უკვე? — არიქა ცდილობდა თავი ყოჩაღად დაეჭირა, მაგრამ ხანდახან კვნესა დასცდებოდა.

— კი, დავდგით! — დურუმ უპასუხა. — ხვალ ბესა დაიწყებს კვარცხლბეკის მოპირკეთებას...

— მაშ, გამოვჩნდებით სხვა ქალაქებში! — თქვა არიქამ და დარდიანად დაურთო: — ანი სცენაზე ვეღარ გამოვალ... მინდოდა, მერკუციო მეთამაშა!

— ნეტავი შენ მყავდე კარგად და... — ჩაიდუდუნა ფუცუმ.

ამ ლაპარაკში კიდეც გათენდა. დღე ჰგავდა ღამეს, ნისლი ნელა იფანტებოდა.

მორიგე ექიმმა შემოიხედა, თვალებს იფშვნეტდა.

— ითმენ, ყმაწვილო? — ჰკითხა არიქას. — თუ ძალიან შეგაწუხა, მითხარი და გამაყუჩებელს გაგიკეთებ!

არიქა ძალიან წუხდა, მაგრამ ითმენდა...

მოგვიანებით ბიკენტი გამოჩნდა. თან ამალა ახლდა, მთავარი ექიმი და რამდენიმე თეთრხალათიანი კაცი. საქმიანი იერით ბჭობდნენ, ხელებს იქნევდნენ, ლათინურ ციტატებს აფრქვევდნენ. მამის გვერდით ლესტამბეც აწურულიყო, ხელში გაქონილი ქაღალდის პარკი ეჭირა.

— როგორა ხართ, არწივებო! — ნაძალადევი მხიარულებით იკითხა ბიკენტიმ, დაბნეულ ფუცუს ხელი ენერგიულად ჩამოართვა, სკამზე ჩამოჯდა და არიქასაკენ დაიხარა. — მაგრა ხომ არ გტკივა, ვაჟკაცო?

არიქამ საწყლად გაუღიმა. მთლად გაცრეცილიყო.

— ნუ გეშინია, ქორწილში ისე იცეკვებ, იატაკს ბრაგაბრუგი გაუდიოდეს! — თითით ლესტამბე მოიხმო, პარკი გამოართვა. — ზინაიდა პეტროვნამ გამოგვატანა, აი, ცხელი ღვეზელები!

ფუცუმ მორიდებით ჩამოართვა, განზე მიდგა. ლესტამბე რწევარწევით დაიხარა, ავადმყოფის უღონო ხელი აიღო და უხალისოდ ჰკითხა:

— როგორა ხარ?

მართალიმ და დურუმ თავი ზედმეტად იგრძნეს და დერეფანში გავიდნენ.

მალე ლესტამბეც გამოჩნდა, წელგამართული მოიკვანწებოდა.

— უნდა გაგელახა მაშინ! — ძველი ამბავი გაიხსენა დურუმ.

— როგორა ხართ? — ისევე უხალისოდ იკითხა ლესტამბემ, ალბათ სულ არ აინტერესებდა, ვინ როგორ იყო. — მაგრად კი დაშავებულა, საწყალი! — გულსგარეთ თქვა. — თქვენ თვითონ ნახეთ? იქნებ ვინმემ უხიმანდრა?

— ვის უნდა ეხიმანდრა? — გაგულისებით შეეპასუხა მართალი. — რომელი მტერი მას ჰყავდა, ჰა? არ იცნობ არიქას?

— ვიცნობ, ცხადია, — ცალყბად გაიღიმა ლესტამბემ, სველ ტუჩზე ენის წვერი მოისვა, — ისიც მახსოვს, ბელადის პორტრეტის მაგიერ მე რომ მკიდებდა...

— ბავშვურად იანგლა, შენ კი დაგიმახსოვრებია! — თავშეკავებით თქვა მართალიმ.

— ცხადია, — ჩაიკრუტუნა ლესტამბემ, — მე არც მწყენია, მაგრამ ხომ შეიძლება თავისი კვიმატი ენით სხვასაც აწყენინა, იმან კი ფეხზე ლოდი დააგორა!.. რამეს კი არ ვამტკიცებ, ლოგიკურად ვმსჯელობ!

— იცი, რას გეტყვი? — დურუმ წარბები ავად შეათამაშა. — ეს შენი ლოგიკა შეიტენე... — უნდოდა არცთუ ზრდილობიანი სიტყვა ეხმარა, მაგრამ ბიკენტი გამოვიდა პალატიდან, ყმაწვილებს ხელი დაუქნია.

— მაცხოვრისგორისაკენ მივდივარ და თქვენც აგიყვანთ! — მერე ლესტამბეს მიუბრუნდა. — შენ სკოლაში წადი!

ლესტამბემ მეგობრებს მძიმედ, მოწყალებასავით დაუქნია თავი.

უკვე მანქანაში, ვითომც სასხვათაშორისოდ, იკითხა ბიკენტიმ:

— როგორ ფიქრობთ, შემთხვევით მოხდა ყველაფერი?

— ახლომახლო უცხო არავინ იდგა! — თავდაჭერილად შეეპასუხა მართალი.

დურუ მოქუფრული იჯდა, ფრჩხილებს ითვალიერებდა, უკვირდა, შვილის დაწყებულ ლაპარაკს მამა რომ აგრძელებდა.

— მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ბრინჯაოს თავი ვიღაცას განგებ არასწორად მიეყუდებინა, გამოსწევ და გადმოგორდება!

— ჩვენ, მე, მართალიმ და არიქამ დავდეთ ისე, როგორც იდო! — დურუს ხმა ჩაეხლიჩა, კოპები შეეჭმუხნა. — მეტი არავინ გაჰკარებია!

— ბესა სადღა იყო?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და მართალიმ მტკიცედ მოჭრა:

— ბიკენტი ბიძია, ზედმეტია ყოველნაირი ეჭვი, ბესა ახლოსაც არ გაჰკარებია და იმ დროს სულ სხვაგან იდგა!

— ჰო, კარგი, კარგი! — უკმეხად თქვა ბიკენტიმ და ზურგი შეაქცია, წინ გაიხედა.

მეგობრები მთის ძირას ჩამოსხა და გაბრუნდა.

აქედან კარგად ჩანდა კვარცხლბეკის ხარაჩოები და ზევით ამართული თეთრი დაშნა, რომელიც, ალბათ, რამდენიმე დღეში ბელადის ხატებად გადაიქცეოდა.

ქოშინით აიარეს მაღალი კიბე.

— ა, მოხვედით, მამაცო კომკავშირლებო? — ბესა სატეხით ხელში მარმარილოს ფილასთან ჩაცუცქულიყო. — როგორაა თქვენი ძმაკაცი?

— ფეხი მაგრა ტკივა! — პირქუშად ამცნო დურუმ.

— სამწუხაროა ამბავი ესე, გაუღიმარო ხელმწიფევ ჩემო! — მიულექსა ბესამ. — კაი ყმაწვილია არიქა ძაძუა და მისი ტკივილი მეც მეტკინება! — მერე ცოტა იყუჩა და მართალის ამოხედა: — გეძებდნენ, ავუხსენი, სადაც იქნებოდი, მაგრამ გზაში აგცდნენ ალბათ.

— ვინ მეძებდა?

— სოფლიდან ამოგაკითხეს! დარიკო მამიდამ შემოგითვალა, ჩემი სული ზეცასა შინა არს, გვამს კი გაპატიოსნება და საძვალეში წასვენება სჭირდებაო!

— მოკვდა? — შეიცხადა მართალიმ.

— ღმერთმა იმის ხნობამდე გაგაძლებინოს, ას ოცდაათისა იყო! — პირჯვარი გადაიწერა ბესამ, საქმეს მიუბრუნდა...

25

— მამა! — ლესტამბემ თვალი გაუსწორა ბიკენტის, მაგრამ კაცის მზერას ვერ გაუძლო და პირი განზე მიაბრუნა. — უკვე თექვსმეტისა ვხდები და სკოლასაც მალე დავამთავრებ!

ბიკენტი სავარძელში ისვენებდა. გაზეთი განზე გადადო, სათვალე გულისჯიბეში შეინახა. საერთოდ არ სჭირდებოდა, მაგრამ ექიმმა ურჩია, კითხვის დროს იხმარე, თვალი დაისვენებსო.

შინ მარტო კაცები იყვნენ, მამა და შვილი.

— გინდა ძმაკაცები დაპატიჟო?

— ძმაკაცები კი არა, — აგდებით შეეპასუხა ლესტამბე, ბაგე ზიზღით მოექცა, — სადა მყავს ძმაკაცები, ან რაში მჭირდებიან...

— ვერაფერი გამიგია! უცნაური ახალგაზრდები ხართ, ამ ასაკში უძმაკაცოდ...

— შენც ხომ არავინ გყავდა?

— როგორ არ მყავდა? — შეცბა ბიკენტი. — აგერ ტატაჩი... მართა... — კაცის ხმას სიმტკიცე აკლდა და ლესტამბემ შეთქმულივით გაუღიმა, მიგიხვდი, რა ძმაკაცებიც ეგენი არიანო. ბიკენტი გაღიზიანდა, მოიქუფრა და მოჭრა: — მაშ, რა გინდა, რასა მთხოვ? მაჯის საათს გიყიდი!

— მაჯის საათი, ჰოო... — კმაყოფილებით ამოიკრუტუნა ლესტამბემ. — შენ მე პატარა ბგონივარ, მამა! აგერ მართალის სტალინის ძეგლის აშენება დაავალე. ვინ არის მართალი თოდუა? კობას როლი სისხლიანი ხელებით ითამაშა... ან არიქა ძაძუა ვინ არის? ან დურუ გეგია?.. შენ ხომ იცი, როგორ კარგად ვიცნობ ამათ. წინასწარ ვხვდები, სად რა უნდა თქვან, რანაირად უნდა მოიქცნენ! შენ კი, ა, გენაცვალეთ, სტალინის ძეგლი ააშენეთო, ერთიორი დღე წაიმუშავეთ და ჯილდოც, სახელიც, დამსახურებაც მოგერთმევათო...

ბიკენტი აიმრიზა, მიხვდა, რა საშიში საწამლავი იხარშებოდა ამ „წუნკალი ბაღანას“ ვიწრო თავში, ამიტომ სიბრაზე ვერ მოითოკა.

— შენ რა, ვინმემ აგიკრძალა მუშაობა? დროზე გეთქვა და ყველაზე ლამაზ ნიჩაბს მოგართმევდი! ვირის მუშის ასპარეზი უსაზღვროა, თუ სურვილი გაქვს, მაგ ბედნიერებას არ მოგაკლებ!

— კარგად იცი, რა ნიჩაბზეც ვლაპარაკობ. — ლესტამბე დიდივით, გონივრულად უქცევდა, ეტყობა, ადრევე ემზადებოდა ამ საუბრისათვის და დრო ახლა შეერჩია. — ისინი წაიმუშავებენ და სტუდენტები გახდებიან!

— შენც გახდი, შვილო, სტუდენტი! იცი შენ, ჩემგან ხელის წაკვრაც არ დაგჭირდება!

— ფიჰ, თავს მოვიკლავ ამ ჩვენი ინსტიტუტის გულისათვის, ნუცას სკოლაზე უარესი, თორემ უკეთესი მაგი არაა... აქ ნასწავლი კაცი სოფლის მასწავლებელზე დიდი არასოდეს გამხდარა!

— გეტყობა, აკადემიკოსობას ეპოტინები, მაგრამ იმას ვერ ვხედავ, წიგნს აკლავდე თავს! — დაცინვით უპასუხა ბიკენტიმ.

— შენ ისეთი სამსახური გაქვს, მამა, არ გაგიჭირდება და მოსკოვში, ჩვენ რომ ვიცით, იმ სასწავლებლისკენ მომიძებნი გზას!

ბიკენტი ერთხანს გაუჩუმდა. ადრევე იცოდა შვილის გატაცების ამბავი. თავდაპირველად ღიმილს ჰგვრიდა მისი არჩევანი, მერე კმაყოფილი იყო, რადგან ქვეყანას ეზრდებოდა კიდევ ერთი ერთგული მოქალაქე. მერე და მერე, როცა თვითონვე საკუთარი საქმის მიმართ ჭოჭმანი შეუდგა, უკვე აღარ სიამოვნებდა, ლესტამბემაც რომ მისი გზა ირჩია... მამის გზაო, ფიქრობდა, მაგრამ ხვდებოდა, შვილის გზა ცოტა უფრო მრუდი იყო. ბიკენტი, ბოლოს და ბოლოს, ერთი პროვინციული ქალაქის ჩეკისტად იჯდა. მართალია, თავის წრეში პირველ კაცად ითვლებოდა, მაგრამ ქვეყნიერების რუკაზე ეს ქალაქი იმდენად მცირე წერტილად ჩანდა, თვით ბიკენტის საკუთარი როლი იმდენად უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა, აღარც ღირდა ლაპარაკი.

სავარძელში უკან გადაიწია, დაამთქნარა და თვალი მილულა:

— ამ თემაზე კიდევ გვექნება საუბარი. მეგონა, საჩუქარს მთხოვდი, მაჯის საათს გიყიდი!

— ჰოო, — გაწელა ლესტამბემ, — მაჯის საათი კაია...

ბიკენტიმ შვილის ხმაში უკმაყოფილო კილო დაიჭირა და გამოფხიზლდა:

— შენ, გატყობ, კიდევ რაღაც უნდა მთხოვო!

— ჰოო... — ყოყმანობდა ლესტამბე, თან კარისაკენ მიიწევდა, რათა საჭიროების შემთხვევაში, გაქცევაც შეძლებოდა. — მამი, წამიყვანე რა, ციხეში!

— ციხეში? — გაკვირვება ვერ დამალა ბიკენტიმ. — რა გინდა ციხეში?

— ექსკურსიაზე! აგერ, მუზეუმებში დადიან, მე კი ციხეში მინდა... შევხედავ პატიმრებს...

— სისულელეს ნუ ლაპარაკობ! — წამოჭარხლდა ბიკენტი. — ეს რა ახირებაა!

— ოჰ, მამი, ისე მინდა დახვრეტაში მონაწილეობა მივიღო! თექვსმეტისა ვხდები და ჯერ კაცი არ მომიკლავს!

— რა?! — წამოიწია ბიკენტი, ირგვლივ მიმოიხედა, ბუხრისპირას დაგდებულ რკინის საცეცხლურს დაავლო ხელი, მაგრამ ლესტამბე უკვე კართან იდგა და პირისახე ზაფრანისფერი გახდომოდა.

— რა მოხდა, რა! — ჩაიჭიჭყინა ბავშვურად, წამში ასაკი ჩამოაკლდა თითქოს. — შენც ხომ დაგიხვრეტია... მინდა და...

ბიკენტიმ საცეცხლური გაუქანა, მაგრამ ლესტამბე ოთახიდან გავარდა და საცეცხლური კარს მოხვდა.

კაცი მარტო დარჩა, ამოიოხრა. ადრეც ფიქრობდა ბიკენტი თოლორაია, მთლად ჭკუადალაგებული ბიჭი რომ არ ეზრდებოდა, მაგრამ „ასეთი“?

დიახ, ბიკენტის ხელი არასოდეს ათრთოლებია, მაგრამ თექვსმეტისა იგი მართაზე ფიქრობდა და არა კაცის კვლაზე...

26

სოფლის განაპირამდე „სევისტრანით“ იმგზავრა. ბრეზენტით გადახურული პატარა ავტობუსი აუჩქარებლად მითუხთუხებდა აღმართდაღმართებში. ბრეზენტის სველი ბოლოები ტყლაშუნობდა. შეცივნული მგზავრები ჩიტებივით მობუზულიყვნენ ტყავგადაკრულ, მაგარ სკამებზე...

გზა მოკლეზე გადაჭრა მართალიმ, თავს არიდებდა ატალახებულ ორღობეს, სველ ეკალბარდებს.

დარიკო მამიდის ოდას მაღალი ტყე ეფარებოდა და ის რომ გაიარა, ეზოც გამოჩნდა.

ფართო ეზო ჰქონდა დარიკო მამიდას, ტრიფოლიატის ცოცხალი ღობე შემოგვერგოდა ირგვლივ. მწვანე, ხავერდოვანი მოლი ეფინა. ჭიშკრის მაგიერ უბრალო ხარიხა იყო გადებული და ახლა ის განზე გაეწიათ.

შუაში ფოთლისაგან გაძარცული უზარმაზარი ზამთრის მსხალი იდგა.

მომცრო ოდის წინ მწვანე ტოტებითა და ქაღალდის ყვავილებით შემკული ჩარდახი აეგოთ. მის სიღრმეში, ბავშვისას რომ მოჰგავდა, ისეთ კუბოს სოფლის დედაკაცები შემოსხდომოდნენ. მეჩონგურე ქალები თითებს სიმებზე ჩამოჰკრავდნენ და გულმოსაკლავად დაამღერებდნენ ლექსს საწუთროს წარმავალობასა და ამაოებაზე. მამაკაცები გრძელ სკამზე ჩამომსხდარიყვნენ, გაზეთის ნახევში თუთუნს ახვევდნენ და აბოლებდნენ.

მართალიმ თავი მორცხვად ჩაღუნა, გვერდზე არ გაუხედავს, ეზო ისე გადაიარა. გრძნობდა, რომ უთვალთვალებდნენ, ალბათ ერთმანეთს ცნობისმოყვარედ ეკითხებოდნენ, ვინ არისო.

მარო ატირდა, ავიშვიშდა:

— უდროოდ წასულო დედაჩემო, მოგაკითხა შენი ნესტორის შვილიშვილმა, შენი ტატაჩის ვაჟკაცმა!.. მართალი, შვილო, გული გვატკინა დარიკო მამიდამ, დაგვტოვა სამუდამოოოდ!

„უდროოდო!“ — ღიმილის მომგვრელი იყო ეს სიტყვები, მაგრამ მართალის გაახსენდა დარიკო მამიდის ბოლო სტუმრობა, ას ოცდაათი წლის დედაბრის თამამი სიტყვები... გაახსენდა მართლაცდა უდროოდ გამქრალი ეფრო და ცაცანა, მართა და ტატაჩი... ასლუკუნდა, ასლუკუნდა და უცბად ცრემლად დაიღვარა, აქვითინდა...

გამოცოცხლდნენ აქამდე უჩუმრად მსხდარი დედაკაცები, თითქოს საბაბი მოეცათო, მორთეს მოთქმა და ვაივიში. ყველა თავისას ტიროდა, თორემ დარიკო მამიდას რა ჰქონდა სატირალი, ისედაც ცას გაჰკიდებოდა და წუთისოფელს იმდენ ხანს შერჩა, კიდეც მობეზრდა და გაღმა გამგზავრება სანატრელი გაუხდა.

— ნუ ტირი, შვილოო! — მოთქმით მოეფერა მარო. — მაგისი ხნისა მოიყარე, გენაცვალე, ვაჟკაცო, გვარის გამგრძელებელოო!..

კაცებმა ხელი ჩაავლეს მართალის, კუბოს მოაცილეს, წამობრძანდი, ჭიქა წავუქციოთო...

ყმაწვილი ნებას დაჰყვა... უკანა ეზოს ფანჩატურში გრძელი მაგიდა იყო გაშლილი. კეცის მჭადები ელაგა, ლობიო, მწნილი, ხელადებით ღვინო...

მავანი დაუჯდა მასპინძლად, ჭაღარა ულვაშებზე ხელი მოისვა, ლუკმა აცალა და ჭიქა შეუვსო.

— მიირთვი, მიირთვი, ყმაწვილო! გერონტი მქვია მე, ფულარია... აგერ, ა, ორ ნაბიჯზე ვცხოვრობ აქედან, მეცეცხლური მეზობელი გახლავარ. აცხონოს ღმერთმა ჩვენი დარიკო, მეგონა, არასოდეს მოკვდებოდა... გაანათლოს ღმერთმა მისი სული, ვის რამდენი აქვს გამოწერილი, არავინ იცის წინასწარ... ბაბუა მყავდა ას შვიდი წლის. სამჯერ გაჭრეს მანამდე ექიმებმა და გადარჩა. ბოლოს დააპირა მაინც სიკვდილი. შეიყარნენ მეზობლები და გამართეს მსჯელობა, ამდენი ღვინო დაგვჭირდება, ამდენი ლობიო, ფხალი და მჭადის ფქვილიო... ჰაიტ, თქვე ტუტუცებო-მეთქი, შევუძახე, კაცი ჯერ ცოცხალია და კუბოში რანაირად აწვენთმეთქი... შევედი შინ, დავხედე და შევეკითხე, რავა ხარ ბაბუმეთქი. რა ვიცი, შვილო, მგონი მიმაქვს წერილიო, მიპასუხა. ხომ არ ვცადოთ ბედი, იქნებ ერთხელაც გავესინჯოთ ექიმებსმეთქი... მაგეთ კაცობას თუ იზამ, ღმერთი გადაგიხდის სიკეთითაო, ჩაიჩიფჩიფა... აბა, გაამზადეთმეთქი, შევუფუცხუნე ქალებს. ვხედავ, ჩემი არავისა სჯერა, გიჟადა მთვლიან... მოვრეკე კამეჩები, შევუბი ურემს, დავაყარე ზედ ჩალაბულა, დავუფინე ლეიბები და წამოვაწვინე ჩემი ავადმყოფი... სულ ჯაყჯაყით ჩავედით მერეთში. თან მივდივარ, თან იმას ვდარდობ, ამან გზაში სული რომ დალიოს, ხომ შევრცხვებიმეთქი... არ იყო ჯერ მაგისი დრო მოსული და ცოცხლად ჩავიყვანე. ვეცი პატივი ექიმებს როგორც საჭიროა, დააგდეს საოპერაციოზე, მაინც მოკვდებაო და სულ დაჯიჯგნეს მაგ უღმერთოებმა... გადარჩა, ხომ იცი შენ! გადარჩა და კიდევ შვიდი წელი იცოცხლა!

მართალის გაეღიმა, გერონტის მონაყოლმა გუნება გამოუკეთა.

— დამილიე ახლა ეს ერთი ჭიქა, მიცვალებულის სულის მოსახსენებელი! — ჩაურთო გერონტიმ. — ისე, ნესტორი, ბაბუაშენი, მე არ მინახავს! ამბობენ, კაი ცხენოსანი იყოო. ერთხანს დარიკოსთან ემალებოდა ნიკოიას სტრაჟნიკებს. დაეცნენ კიდეც ამ ჩვენს დარიკოს, მაგრამ ნესტორმა გაასწრო, ძუკუსთან გადაბარგდა. ვაჭარი კაცი იყო ეს ძუკუ, ოქროში ცურავდა თურმე. გადაარჩინა ძუკუმ ნესტორი, ოღონდ ნამეტანი ძუნწი იყო, ხომ იცი შენ, და სტუმარს გზის სახარჯო არაფერი მისცა. დაადგა თურმე ნესტორი თოფით თავზე, რა ვქნაო, უთხრა, მე ბევრი ოქრო არ მჭირდება, მაგრამ რევოლუციას სჭირდებაო. შენ კი რაღად გინდა, მაინც ქოთნით მიწაში მარხავო... რაც ოქრო ჰქონდა იმ ცოდვით სავსე ძუკუიას, ყველა წაართვა. იმის შემდეგ გული აიყარა ძუკუმ ვაჭრობაზე, გალოთდა და გაკოტრდა... გაკეთდა საქმე, წურბელა ჩამოსცილდა სოფელს!

მართალის ნირი ეცვალა, ვეღარაფერი თქვა, გერონტიმ კი ჭიქა ისევ შეუვსო.

— სხვა მიცვალებულებიც მოვიხსენიოთ!

ღვინო მჟავე და ცივი იყო. აქამდე მართალის ჭიქაზე მეტი არც ჰქონდა დანალევი. ყელში არ ჩასდიოდა, მაგრამ უარის თქმას ვერ ბედავდა.

— ტატაჩი ცოცხალივით მახსოვს, კარგი ვაჟკაცი იყო, — განაგრძო გერონტიმ, — მაგისგან დიდად ვართ დავალებული. ჩამოგვაკითხავდა ხოლმე, ჭკუას გვარიგებდა. ჩვენი კულაკები გადაგვირჩინა ერთხელ. დარიკოს პირით შემოგვითვალა,

ხვალ ჩამოვდივართ, უნდა დაგარბიოთ და თავს უშველეთო. ვინც როგორც შევძელით, ისე ვუშველეთ თავს. საქონელი ჭურიაში გადავმალეთ, სიმინდი ტყეში გავზიდეთ, ქონება მიწაში ჩავფლეთ... მოვიდა მთავრობა, მიიხედმოიხედა, მაგრამ ბრანწი, გალოკილი თითივით შიშველტიტველნი დავხვდით. საბოტაჟიაო და ერთიორი კაცი მაინც გაიგდეს, აღარც მობრუნებულან. სამაგიეროდ სხვები გადავრჩით... ისე, სიმინდიც დაგვილპა და ქონებაც. ნახირი გადაგვირჩა, ოღონდ მერე კოლექტივმა წაგვართვა მაინც... ასეა ეს, — ხმას დაუწია გერონტიმ, — მთავრობის ვალია წაგგვგლიჯოს, ჩვენი ვალია — გადავმალოთ. ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება!

მართალის კამათის საღერღელი აეშალა, უნდოდა აეხსნა ამ უბირი კაცისათვის, რომ მთავრობა ხალხისთვისაა, ხალხს ემსახურება, უკეთესი მომავლისათვის იღვწის... თავი შეიკავა, გაუჩუმდა...

მალე ფანჩატურში სხვა მოტირალნი შემოიყვანეს. მართალი და გერონტი წამოდგნენ და სამზადს შემოუარეს. გერონტიმ ხელი სტაცა.

— იქით ნუ წახვალ!

იქ, მაჯისსიმსხო ჯაჭვით ხბოსტოლა ქოფაკი იყო დაბმული. წამით მართალის თვალები ძაღლის თვალებს შეეფეთა. ყრუ ღრენა აღმოხდა პირუტყვს და ყმაწვილს გული ჩაუვარდა.

მიცვალებულის გასვენების დრომაც მოაწია. მამაკაცებმა მსუბუქი კუბო მხარზე შეიგდეს და სასაფლაოსკენ გასწიეს. ქალებიც უხმოდ მიჰყვნენ. მხოლოდ მარო მოთქვამდა საწყლად.

მართალი სხვებს ჩამორჩა...

ორღობის კუთხიდან „სევისტრანი“ გამოხანხალდა.

მართალიმ ხელი აუწია, გააჩერა...

27

თებერვლის ზეცას ცხვირპირი ჩამოსტიროდა, უსიამოვნოდ ცრიდა.

მერეთელებს მაცხოვრისგორის ძირას მოეყარათ თავი. ზევიდან მხოლოდ შავი ქოლგები მოჩანდა, მთლიანად დაეფარა ქვედა მოედანი, თუ არ ჩავთვლით ვიწრო დერეფანს, პიონერთა ორმხრივი მწკრივი რომ იცავდა.

ბავშვთა ეს მწკრივები კიბესაც აჰყვებოდა გორის თავამდე.

ერთ მხარეს გოგონები იდგნენ, მეორე მხარეს — ბიჭუნები. თეთრი მაისურები ეცვათ, გოგოებს ლურჯი ქვედატანები, ბიჭუნებს მოკლე, ლურჯი შარვლები. მკერდზე წითელი ყელსახვევები უღვიოდათ. ცდილობდნენ პიონერული სალამი გამოესახათ, ოღონდაც, სისველემ უკვე ტანში გაატანა და სიცივისაგან გალურჯებულები კბილებს აკაწკაწებდნენ.

საზოგადოების წარმომადგენელთა კოლონები დილიდანვე ჩამწკრივდა, ფეხები დაწყდომაზე ჰქონდათ.

თავში რაიკომის თანამშრომლები მოდიოდნენ, რა თქმა უნდა, ამხანაგ გრიშას ხელმძღვანელობით. ერთნაირად ნაცრისფერი ლაბადები ეცვათ. თვალს ჭრელი გვირგვინიღა ახალისებდა, ამხანაგ გრიშას გოგობიჭს დიდის ამბით რომ მოჰქონდა.

ხელმძღვანელ ამხანაგებს მილიციისა და უშიშროების თანამშრომლები მოჰყვებოდნენ. ამათაც ლაბადები ეცვათ. მარტო ბიკენტი განსხვავდებოდა სხვათაგან. რუხი მაზარა ჩაეცვა, თავზე წითელვარსკვლავიანი, კოზიროკიანი ქუდი ეხურა. გალიფეს ტოტები აზიურ ჩექმებში ჩაეყოლებინა, ჩექმებზე კი კალოშები ამოეცვა... ზინაიდა პეტროვნა ბეწვიან ჯუბაში ჩათბუნებულიყო. თავზე ვარსკვლავიანი „პილოტკა“ ეხურა, ალბათ სურდა, ქვეყნისათვის შეეხსენებინა, რა ამხანაგობის წევრიც ბრძანდებოდა... ამათაც გვირგვინი მოუძღოდათ, ლესტამბესა და დურუს მოჰქონდა. იქვე კეკეც ცმუ-

კავდა, ხანდახან გვირგვინს ხელს შეახებდა, მაგრამ ძმა ავად უბღვერდა და კეკე ცივად შორდებოდა.

ამათ უკან ქალაქის ნაირნაირი დაწესებულებაორგანიზაციებისა და ახლო სოფლების წარმომადგენელთა რიგი ჩამწკრივდა დროშებითა და პორტრეტებით.

კიბის დასაწყისთან, ადრე რომ ამკრძალავი ფირნიში ეკიდა, ახლა სასულე ორკესტრი იდგა და მონდომებით აგრიალებდა, სველი ბეღურებივით შეჯგუფებული გოგონების მომცრო ანსამბლი კი წვიკინა ხმას აყოლებდა:

— პატარა გორი დიდიაა!..

აუყვნენ კიბეს. გრძლად გაიჭიმა ჭრელი ქარავანი... ამხანაგი გრიშა მოღრუბლული ჩანდა. ბოლო დროს უქეიფობა დასჩემდა, წინათგრძნობა აწუხებდა. რას ვიკლავდი თავსო, ფიქრობდა თავისთვის, ნეტა მოედანზე დავთანხმებულიყავი, ამ აღმართზე მაინც არ დამჭირდებოდა ასვლაო... იმისი შიშიც ჰქონდა, ვაითუ მთის წვერზე ბელადის ძეგლის ატანა ვინმემ პროვოკაციად ჩამითვალოსო...

ცხვირი დააცემინა საპატიო ყარაულის ერთმა პიონერმა, თან შეშინებული მიაცქერდა სახეაწითლებულ მდივანს. თითქოს გადაედოვო, დაამცხვიკა მეორემ, მესამემ... მიჰყვა რიგს...

— დავაცივეთ ბავშვები! — ჩასჩურჩულა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ.

ამხანაგმა გრიშამ მკაცრად შეხედა, ალბათ რეაგირების გარეშე არ უნდა დაეტოვებინა ეს აპოლიტიკური განცხადება, მაგრამ თვითონაც ცხვირში ღიტინი იგრძნო, შეეცადა თავშეკავება გამოეჩინა, მოუხმო ნებისყოფას, მაგრამ რაც უფრო უძალიანდებოდა, მით უფრო ეღიტინებოდა და უცბად ისე დააცემინა, ისე დააქუხა, წინ მიმავალი შვილები კინაღამ ძირს დასცა.

— იცოცხლე! — შეაწია რაიაღმასკომის თავმჯდომარემ.

რაკი მდივანმა გაბედა, ვინც თავს იკავებდა, ყველამ საბელი მიუშვა... ზოგს იქნებ არც ემცხიკვებოდა, მაგრამ პირველ კაცს ხომ ვერ ჩამორჩებოდნენ. ამიტომაც მაცხოვრისგორის ფერდობს ბარე რამდენჯერმე აუარა და ჩამოუარა ცხვირის დაცემინების ტალღამ... პატარა გოგობიჭები გამხიარულდნენ, დაავიწყდათ რიგი და წესი, პიონერული სალამი და თავშეკავება, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, მონდომებით აცხიკვებდნენ, კისკისებდნენ და მხრებით ერთურთს ეძიძგილავებოდნენ, ჯღანაობდნენ...

ამხანაგმა გრიშამ ფეხს აუჩქარა, თითქმის მირბოდა. სხვებიც ვერ ჩამორჩებოდნენ და დეპუტაციების ნელი სვლა აღმართზე სირბილს დაემსგავსა... გრძნობდა ამხანაგი გრიშა, რომ ბარე რამდენიმე თავი შეეწირებოდა საგაზაფხულო გრიპის ამ ეპიდემიას, მაგრამ რაიმეს შეცვლა უკვე არ შეეძლო და აქოშინებულმა ამოათავა კიბე, ზევით, ადრევე შეკრებილ ხალხში გაირბინა და ფიცარნაგს მიაშურა. მიკროფონთან უმალ გვერდში ამოუდგნენ რაიაღმასკომის თავმჯდომარე, ჩაის ფაბრიკის დირექტორი, „ზაგოტზერნოს“ უფროსი, მთავარი ექიმი და სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები. სულ ბოლოს არქიტექტორი თეოფანე და ავტორი ბენედიქტე, რომელთათვის ადგილი თითქმის აღარ დარჩა და კუთხეში, ქალაქის გამოჩენილ გვამებს შორის ძლივს ჩაეკვეხნენ...

ამხანაგმა გრიშამ მიკროფონზე თითი დააკაკუნა — „ტკაცტკაცტკაც!“ კიბის გასწვრივ და ქვემოთ, მთისძირას, აგრეთვე ქალაქში ჩამოკიდებულმა რეპროდუქტორებმა თითქოს თავში ჩაუკაკუნეს მოქალაქეებს.

— ამხანაგებო! — რიხით ჩასძახა ამხანაგმა გრიშამ. ხმამ იქუხა, მთელ მერეთს გადაეფინა და ჩხერიის ჭალებში გულგახეთქილი ჭილყვავები წამოყარა. — ამხანაგებო! — უფრო მოზომილად გაიმეორა, ხმა შეურბილდა, საზეიმო კილო დაეტყო. — დღეს ჩვენ...

ეს იყო „მებრძოლი სტალინელის“ გუშინდელი ნომრის მოწინავე, ტრაფარეტული ლოზუნგების ჩამონათვალი, ის ნუსხა, საიდან გადახვევას ვერავინ გაბედავდა. ყოველ ორიგინალურ აზრში, მას თუნდაც მაამებლობის ბეჭედი დასმოდა, იგულისხმებოდა განსხვავებული ნიუანსი, ირონია, ქვეტექსტი... ორი თავი ამ ცისქვეშეთში არავის აბია, ტყუილუბრალო მეტიჩრობისათვის არავისა სცხელა.

— გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!.. — სამგზის ისროლა მდივანმა, ჯერ ბელადის, მერე ლავრენტი ბერიას

მისამართით, მესამედ კი იმ ამხანაგებისა, ვაჟკაცურად და მედგრად ამ ორს მხარში რომ ამოსდგომიან.

სამგზისი „ვაშა“ გრიალით ჩამოგორდა მაცხოვრისგორიდან ქალაქში და უკანვე აგორდა, ექომ მრავალგზის ჩამოსძახა ცის გუმბათიდან.

— ამხანაგებო, ყველა დროისა და ხალხთა დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ძეგლს გახსნილად ვაცხადებ! — დასჭექა ამხანაგმა გრიშამ, მიმოიხედა და იკითხა: — მაკრატელი?

რეპროდუქტორებმაც, ცხადია, მთელ ქალაქს მოჰფინეს — „მაკრატელი?.. მაკრატელი?..“ თუმცა მოქალაქეთა უმრავლესობა ვერაფრით მიხვდა, რად სჭირდებოდა მდივანს მაკრატელი.

ვისაც ევალებოდა, იმან ხომ იცოდა და ხონჩით მოართვეს. ამხანაგმა გრიშამ ხელი დასტაცა და კვარცხლბეკისაკენ გაემართა. ბრბო კვლავ ორად გაიყო, დერეფანი განთავისუფლდა. ამხანაგი გრიშა წითელ ლენტთან მივიდა. ამ საზეიმო წამს მას ერთ მხარეს ამოუდგა ბედნიერი ავტორი ბენედიქტე, მეორე მხარეს არანაკლებ ბედნიერი არქიტექტორი თეოფანე.

მდივანმა მაკრატელი გაატკაცუნა. ლენტის გადაჭრილი ბოლო ზევით ავარდა და მონუმენტის თავიდან თეთრი ტილო შრიალით ჩამოეფინა.

წამიერი დუმილი ჩამოვარდა.

ვარდისფერ კვარცხლბეკზე რუხმაზარიანი ბელადი წამოიმართა. ფეხებზე მძიმე სალდათური ჩექმები ეცვა. თავზე კოზიროკიანი ქუდი ეხურა („ამ ქუდით მიუჭეჭყა ფეხი არიქას!“ — გაიფიქრა დურუმ). მარცხენა ხელი ძირს ჩამოეშვა, მარჯვენა კი ოდნავ მოეღუნა და თითებში ჩიბუხი ეჭირა.

ამ დროს წვიმა საბოლოოდ შეწყდა. ღრუბლები გაიხლიჩა და ცარგვალიდან მზემ გამოაჭყიტა. სხივები დაეშვა ბელადის მხრებზე. დიდ სტალინს შავი ჩრდილი მოსწყდა, გადაეფინა თავყრილობას, მაცხოვრისგორის ფერდობს, განივრცო მერეთის თავზე.

უფრო აცივდა თითქოს.

საბოლოოდ აირია ბავშვების რიგი კიბეზე. ცნობისმოყვარენი მაღლა ამოდიოდნენ, მცივანანი დაბლა ეშვებოდნენ, შინისაკენ გაპარვა ერჩიათ.

მიტინგი გრძელდებოდა.

დურუ გეგიაც ფიცარნაგზე იდგა. აქამდე არასოდეს უფიქრია, რომ დასჭირდებოდა საჯაროდ სიტყვის წარმოთქმა. ეს ხომ მართალის საქმე იყო, ან არიქასი. ოღონდაც, მართალი დედაბრის სატირალში გაემგზავრა, ასეთ მნიშვნელოვან „პოლიტიკურ საქმეს უგანა“... არიქა საავადმყოფოშია და ამით იმანაც უგანა... დურუ რომ ყოფილიყო, ყავარჯნებით ამოკოლიკდებოდა.

დგას ახლა დურუ გეგია ამხანაგი გრიშას ზურგს უკან. ქაღალდის ნაგლეჯი ხელს უწვავს. იმ ნაგლეჯზე მოკლე ტექსტი უწერია, მრავალგზის რაიკომის კაბინეტებში შეჯერებული და აწონილდაწონილი. არაფერი დარჩენია შესათხზველი, ტვინზე ძალის დატანება არ სჭირდება, მაგრამ იმისი ეშინია, ვაითუ ბოლო წუთს კითხვა დამავიწყდესო.

აი, გაისმა ამხანაგი გრიშას ხმა, ამ ღირსშესანიშნავ საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს ჩვენმა შესანიშნავმა კომკავშირლებმა, ჩვენმა მომავალმა და მათი სახელით ამხანაგი დურუ გეგია მოგესალმებათო. დურუს მუხლები მოეკვეთა და ძირს მხოლოდ იმიტომ არ ჩაჯდა, ჩასუქებული ბიძები ირგვლივ მჭიდროდ შემორტყმოდნენ და ჩაცუცქების საშუალება გამოირიცხა.

— ამხანაგებო! — ხმა აუკანკალდა დურუს. ქაღალდი გახსნა და ასოები მართლაც ვერ აღმოაჩინა, გაქათქათებული და სუფთა მოეჩვენა. თავზარდაცემული იდგა სარგადაყლაპულივით და თეთრ ქაღალდს დაშტერებოდა. ასწია დურუმ თავი, უამრავი თვალი შეეფეთა, ყველა მას უყურებდა. ამათ მიღმა ფერდობი ჩანდა, ჭრელი ჭიამაიებივით აღმადაღმა დარბოდნენ ბავშვები. უფრო შორს, მთის ძირას შავი ქოლგების ზღვა ტორტმანებდა, იქით კი მთელი მერეთი გაყურსულიყო და მის სიტყვებს ელოდა.

დურუმ ქაღალდი მოჭმუჭნა და სასოწარკვეთით იყვირა:

— დიდება დიიდ სტაალინს!

პასუხად, რა თქმა უნდა, „ვაშამ“ იგრიალა.

ამხანაგმა გრიშამ გაკვირვებით შეხედა, გადმოიხარა და ჩასჩურჩულა:

— წაიკითხე, ბიჭო, ნაწერი წაიკითხე!

დურუმ ვერაფერი გაიგო და ერთხელაც დასჭექა:

— დიდება დიიდ სტაალინს!

ახლაც პასუხად „ვაშა“ გაისმა, ოღონდ კანტიკუნტად.

— ჰო, კარგი, კარგი!

ამხანაგმა გრიშამ მკლავში ხელი ჩაავლო და მიკროფონს მოაშორა. ფიცარნაგზე მდგომმა მჭიდრო კრებამ ყმაწვილი უკანუკან გააჩოჩა და ძირს ჩამოაგდო, რა თქმა უნდა, უნებლიეთ.

დურუ განზე გადგა, თავისთვის ანგარიშმიუცემლად დუდღუნებდა: „დიდება დიდ სტალინს!“ თანდათან გონს მოეგო, ეს რა დამემართაო, ცეცხლი მოეკიდა. დაჭმუჭნილი ქაღალდი გახსნა. ზედ შავით თეთრზე ეწერა რაიკომში ერთობლივი ძალისხმევით შეთხზული ტექსტი იმის თაობაზე, თუ რა ვაჟკაცურად იბრძოდა და შრომობდა სამი მამაცი კომკავშირელი... ისე გამოდიოდა, რომ არც „ზეკები“ არსებობდნენ, არც ბესა ქირია და მხოლოდ სამმა დევგმირმა ჩაიდინა საქმენი ესე საგმირონი.

დარცხვენით გახედა დურუმ მონუმენტს. იოსებ ბესარიონის ძემ ულვაშებში ჩაიღიმა და მამაშვილურად თქვა: „ამხანაგებს არ ყოფნით იუმორის გრძნობა!.. დამშვიდდი, ამხანაგო დურუ, მთავარია ერთგულება!“

— დამშვიდდი დურუ გეგია! — თვალწინ ამოიმართა ვავა ზარქუა. — მთავარია ერთგულება, ენის ტლიკინი ბევრს შეუძლია!

არ ესიამოვნა დურუს ეს შექება, პასუხი არ გასცა.

მიკროფონთან სხვა ორატორი იდგა და იმისი სიტყვებიც „მებრძოლი სტალინელის“ სიტყვებსა ჰგავდა.

სულ ბოლოს ამხანაგმა გრიშამ პატარა გოგონა გამოიყვანა და გამოაცხადა:

— ახლა ბელადისადმი მიძღვნილ ლექსს წაიკითხავს პიონერი კეკე თოლორაია!

პატარა კეკემ მიკროფონში მონდომებით ჩასძახა:

— „ბელადი ქალაქს ეწვია ჩვენსას,
დინჯად დაუყვა მოედანს, ქუჩას,
ის (მერეთელთა) მიწას და ზეცას,
უცქერს და პირზე ღიმილი უჩანს!..“

28

მარტის დასაწყისში გამოიდარა. ცა გადაიწმინდა და ლურჯად აკამკამდა. მზის სხივებს ძალა მიეცა და მერეთელები ქუჩებსა და ეზობაღებში გამოეფინნენ. ხეხილის ტოტებზე კვირტები დაიბერა, ალუჩა და ტყემალი თეთრად შეიმოსა.

წინა დღეს მართალიმ ეზო გადაბარა, საბოსტნედ შეამზადა.

დღესაც საქმე ბევრი ჰქონდა, მაგრამ გული ვერ დაუდო. აივნიდან გადაიხედა და მოუსვენრობა დაეუფლა. ქალაქზე გადმოღვრილი ღია მწვანე საღებავი თეთრი ყვავილებით აჭრელებულიყო. მაცხოვრისგორის აღმამსწრაფი ფერდობი ნაზ ფერებს შეევსო. გორის თავზე, საითკენაც ეფრო ბებია პირჯვრისწერით გაიხედავდა ხოლმე, ახლა მაღალ კვარცხლბეკზე დიდი სტალინი გადმომდგარიყო. აქედან მხოლოდ სილუეტი ჩანდა, მაგრამ მართალის ეჩვენებოდა, რომ ბელადის გამჭრიახი მზერა მსჭვალავდა მთელ ქალაქს.

სიწყნარე სუფევდა ცისქვეშეთში და სწორედ ამ სიწყნარეში იმალებოდა რაღაც საფრთხე.

უსაგნო, უმიზეზო შიშმა შეიპყრო და შინ ვერ გაჩერდა.

ეზოდან გავიდა და ტალახაძის ქუჩას გახედა. უჩვეულო არაფერი ხდებოდა. ორისამი კაცი მიიჩქაროდა ცენტრისაკენ. იქნებ ბაზარში მიდიოდნენ, ანდა სამსახურში, თუმცა მათს მოძრაობაში ზედმეტი მოუთმენლობა იგრძნობოდა.

„რა ხდება?“ — წინათგრძნობა ეჭვში გადაეზარდა.

დურუს შეურბინა.

— რა ხდება?

დურუმ გაკვირვებით შემოხედა.

— რაზე მეკითხები? დედა სამსახურშია, მე ახლა ავდექი!

ერთად გაემართნენ საავადმყოფოსაკენ, არიქას მიაკითხეს.

— რა ხდება? — კითხვა შეაგება არიქამ.

— რა უნდა ხდებოდეს? — დურუს თვალები დაუმრგვალდა. — ტვინის ღერძი ხომ არ გადაგიბრუნდათ? ორივე ერთნაირად მეკითხებით!

— რა ვიცი, ექიმები კუთხეკუთხე დგანან და ჩურჩულებენ, შემოვლა დაავიწყდათ!

არიქა უკვე დგებოდა, ყავარჯნით შეეძლო სიარული. მარცხენა ფეხი, წვივსქვემოთ, თაბაშირში ჰქონდა ჩასმული. ტკივილს უკვე არ გრძნობდა, მაგრამ გაუსაძლისი ქავილი აწუხებდა. მცირე მანძილზე შეეძლო სიარული და ალბათ მალე გამოეწერებოდა კიდეც.

აქეთიქით ამოუდგნენ ყავარჯნიანს. დერეფანში ყურადღება არავის მიუქცევია. თეთრხალათიანები რაღაცნაირად დარეტიანებულებივით მიმოდიოდნენ. სანიტარმა ქალმა ჩაიარა, თვალზე ცხვირსახოცი მიედო და ტიროდა.

— აწყენინეს? — იკითხა არიქამ.

„მაინც რა ხდება?“ — ფიქრობდა მართალი. აქ მისი ტოლი არავინ იყო და კითხვას მოერიდა.

ბულვარამდე ჩაისეირნეს. არიქა თავს სუსტად გრძნობდა, მაგრამ სიამოვნებდა სუფთა, გრილი ჰაერი და მზის ალერსიანი სითბო.

რაიკომთან ხალხი მომრავლებულიყო. ჯგუფებად იდგნენ და უსმენდნენ შენობის თავანზე გადმოდგმულ რეპროდუქტორს, საიდანაც სიტყვები წყვეტილწყვეტილად, სვენებსვენებით ვარდებოდა და აზრის გამოტანა გაჭირდა.

„ვილისმა“ გაიარა, ბიკენტის პირზე მიწისფერი ედო.

საიდანღაც კეკე გამოვარდა, ტიროდა.

— კეკე! — მოუხმო მართალიმ, მაგრამ გოგონას არ გაუგონია, უფროსებს შორის გაძვრა და გაქრა.

მერე ლესტამბემაც მოირბინა.

— კეკე არ გინახავთ?

— იქითკენ გაიქცა! — მართალიმ ხელი სტაცა, შეაჩერა. — რა ხდება?

— ვა, არ იცით? — ლესტამბე დაიღმიჭა. — რა და სტალინი კვდება!

— რა? — სახტად დარჩა მართალი.

— რას მიქარავ? — ავად შეუბღვერა დურუმ.

— მერე შენ რა გიხარია, შე ბოთევ! — მშვიდად, აუღელვებლად შეეპასუხა არიქა, მაცხოვრისგორისაკენ გაიხედა და წყენით დაამატა: — ფეხი მომიჭეჭყა და ახლა კვდება?

— მე რა, მე სულაც არ მიხარია! — ჩაიჭიჭყინა ლესტამბემ, დურუს შიშით შეხედა. — მე რატომ უნდა მიხაროდეს!

შებრუნდა და კეკეს საძებრად გაიქცა.

ხალხი თანდათან მატულობდა. ამხანაგმა გრიშამ გაიარა. რაღაცნაირად დაპატარავებულიყო. თავჩაღუნულმა აირბინა კიბე. რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელები პირველ კაცს მიჰყვნენ, დაბნეულნი ჩანდნენ.

მოქალაქენი ჩურჩულით თუ ბედავდნენ აზრთა გაზიარებას. ისმოდა წუხილი, ოხვრა, ტირილი... ვიღაც ქალი იკლავდა თავს, ხმამაღლა, მოურიდებლად ქვითინებდა.

რეპროდუქტორში კი დამარცვლით, დინჯად და მწუხარედ კითხულობდნენ ბიულეტენს:

— 1 მარტს, ღამით ამხანაგ სტალინს, როცა იგი მოსკოვში თავის ბინაზე იმყოფებოდა, ტვინში სისხლი ჩაექცა, რაც გავრცელდა სიცოცხლისათვის დიდმნიშვნელოვან ტვინის არეებზე. ამხანაგმა სტალინმა ცნობა დაკარგა. განვითარდა მარჯვენა ხელისა და ფეხის დამბლა. ავადმყოფს დაეკარგა მეტყველება. თავი იჩინა გულის მუშაობისა და სუნთქვის მძიმე დარღვევამ...

— რა გვეშველება? — ჩაიწუწუნა ვიღაცამ.

— ომი დაიწყება! — შეეპასუხა მეორე. — ამერიკამ თურმე უკვე დაძრა გემები, თავს უნდა დაგვესხან!

— მაშ ხელიდან გაუშვებენ ასეთ შემთხვევას? ატომიც იმათა აქვთ და...

— სტალინი თუ არ გამოჯანმრთელდა, დავიღუპეთ და ეგაა! — ნამტირალევი ხმით ჩაურთო სხვამ.

რეპროდუქტორმა კი ამ დიალოგს ბეჭედი დაუსვა:

— ოცდაერთ საათსა და ორმოცდაათ წუთზე, გულის და სისხლძარღვების და სუნთქვის მზარდი ნაკლებობის მოვლენებისას იოსებ ბესარიონის ძე სტალინი გარდაიცვალა!

რომელიღაც ქალმა ისტერიულად შეჰკივლა. სხვები მდუმარედ, მოღუშულნი იდგნენ და არავინ იცოდა, რა უნდა მოემოქმედა.

— როგორ თუ მოკვდა? — დურუმ მოზღვავებული ენერგია იგრძნო, ადგილზე ვეღარ გაჩერდა, ხალხი გაარღვია, სადღაც გაიქცა, მერე ისევ მოვარდა და კვლავ წავიდა.

— გააფრინა, მგონია! — დაასკვნა არიქამ. — დავბრუნდე უნდა საავადმყოფოში, აწი მე ვერ გავაცოცხლებ მაგას!

მართალის გული ჩაუვარდა, მიმოიხედა, ვინმემ ყური ხომ არ მოჰკრაო. ბრბოს სწრაფად გაარიდა. უკვე საავადმყოფოსთან უსაყვედურა:

— ენა გაქვს მომსპარი, სტალინზე ასეთი სიტყვებით...

— ყველა ადამიანი კვდება! — არიქამ შეისვენა, ყავარჯნებმა იღლიები ატკინა. — სტალინი კი არც მამა იყო ჩემი და არც ბიძა. მეწყინა, მაგრამ თავს ხომ არ მოვიკლავ. მე ჩემი გამჭირვებია!

— ხმამაღლა მაინც ნუ იტყვი, ვინმემ რამე არ გიხიმანდროს! — დაუყვავა მართალიმ.

არიქა ამაზე გაუჩუმდა.

მართალიმ პალატაში შეიყვანა, წამოწოლისას შეეშველა.

არიქამ ამოხედა, უპეებში ცრემლი უბრწყინავდა.

— რად მინდა მე სტალინი, დამაკოჭლა და... — პირი კედლისაკენ მიაბრუნა.

მართალი ერთხანს დასცქეროდა, გულდამძიმებული გამობრუნდა.

რეპროდუქტორთან კვლავ ზღვა ხალხი იდგა, ლავრენტი ბერიას უსმენდნენ.

გრიშა ყოლბაიამ მოაბრახუნა თავისი ხის ფეხი, მართალის ხელი ჩამოაყრდნო, შეისვენა.

— ხედავ, ყმაწვილო, ეს რა დაგვემართა! — მაინცდამაინც დიდი დარდი არ ეტყობოდა.

უცებ ვავა ზარქუა გამოჩნდა. დაკარგულივით მოდიოდა. ხელებს ისე აცეცებდა, დაბრმავდა და გზას ვერ იგნებსო.

— ა, მართალი, შენა ხარ? — გაუცხოებული ხმით აღნიშნა, შებარბაცდა.

მართალიმ ხელი შეაშველა. მთვრალი ეგონა, მაგრამ ვავა ფხიზელი იყო.

— მეც სიკვდილი მომინდა, ბიჭო, სიცოცხლე მომბეზრდა, — ყურში ხმადაბლა ჩასჩურჩულა.

ლავრენტი ბერია მძიმედ ლაპარაკობდა. სიტყვებს თითოთითოდ ისროდა, ყოველი სიტყვის შემდეგ ისვენებდა.

— აქედან წამიყვანე, თოდუას ბიჭო, მუხლები ვერ მიჭერს! — სთხოვა ვავამ.

მართალი შეებჯინა და ისე წავიდნენ.

— შენ გგონია, ამათ სწყინთ? — ჰკითხა ვავამ. — ესენი საკუთარ ბედს მისტირიან, საკუთარ ტყავს უფრთხილდებიან...

კიბეზე ძლივს ავიდნენ. ვავა მთლად მოირღვა, ოთახში შესვლისთანავე სკამზე დაეცა, მაგიდაზე დაემხო და მხრები აუცახცახდა.

მართალი უხერხულად იდგა, არ იცოდა, რითი დაემშვიდებინა.

ვავამ თავი ასწია, პირისახე საზარლად დამანჭოდა, თვალები მშრალი ჰქონდა. ეტირებოდა და წვეთი ცრემლი არა სდიოდა.

— იქ არის! — კარადისაკენ მიუთითა. — გამოიტანე!

კარადაში შინნახადი არყის ბოთლები იდგა.

— მოიტა, ყველა მოიტა!

— ბევრია...

— მოიტანე! — ჯიუტად გაიმეორა ვავამ.

ბოთლს საცობი კბილით მოაძრო და ჩაის ჭიქაში გადმოაპირქვავა.

სანამ მართალი ხმელა პურს მოძებნიდა, იმან გადაჰკრა და მეორეჯერ შეივსო.

— განა არ ვიცი, რომ კაცი უნდა მოკვდეს, სტალინიც ხომ მოკვდებოდა ოდესმე, მაგრამ ახლა რაღა ვქნათ?! — ისე-

თი წუხილითა თქვა ვავამ. თითქოს სტალინი მხოლოდ მას მოკვდომოდეს და ამ მძიმე ტვირთს ვეღარ ეზიდებოდა.

მეორე ჭიქას მესამეც რომ მიაყოლა, თვალი დაებინდა, ენა დაება, გაუგებარი ლუღლუღი მორთო... ძლივს მიუხვდა მართალი, ვინა ხარო, ეკითხებოდა, ვეღარა ცნობდა... რევოლვერის დაძრობაც მოინდომა, მაგრამ ღონე არ ეყო და ძირს დაუვარდა.

მართალიმ სკამიდან გაჭირვებით აგლიჯა, ტახტზე გადაათრია და წამოაწვინა. არ გაუხდია, საბანი ისე წააფარა.

ვავამ პირი დააღო, სტვენით სუნთქავდა და ძილში ბორგავდა. მისი ყვითელი, ქოსა თავი ზიზღს ბადებდა.

მართალი დაიხარა, რევოლვერი აიღო.

თვალნათლივ წარმოუდგა ეზოში შემოვარდნილი ტატაჩი.

„დედა, მიშველე!“ — შესძახა სასოწარკვეთით ტატაჩიმ და ეკლის ღობეს მიაშურა. გაუკაფავი იყო ის ტიალი, მაღლა აძონძილიყო და გვიან მიხვდა, რომ ვერ გადაახტებოდა. შემობრუნდა და ვავა ზარქუას ტყვია ამ დროს მიეწია...

ასწია მართალი თოდუამ რევოლვერი, დაუმიზნა ვავა ზარქუას უწარბო შუბლს და სასხლეტი მოსინჯა.

დამცველზე ეყენა... გადასწია დამცველი, ხელახლა დაუმიზნა...

ვავამ პირი მოკუმა, ახლა მშვიდად ფშვინავდა. მის გონჯ სახეს რაღაც ბავშვური და მიამიტური დაეფინა... ამოიოხრა მართალიმ, რევოლვერი მაგიდაზე დადო და ბინიდან გავიდა, კარი გაიხურა.

რაიკომის წინ ისევ ისე იდგა ხალხი.

დურუ მოქაქანდა.

— სად დაიკარგე? — მღელვარედ ჰკითხა.

მართალიმ არაფერი უთხრა. ჩუმად მიეყრდნო ტელეგრაფის ბოძს და ყური სამგლოვიარო მარშს მიუგდო.

გული სევდითა და სინანულით ევსებოდა...

29

ზონას მუდამ ქუფრი გადაჰკრავდა. ცა გაცრეცილი და უფერული იყო. ტყეს ტყე არ ეთქმოდა. ჯუჯა ხეები სიცოცხლეს ებღაუჭებოდნენ და მშვენიერებისათვის ვერ იცლიდნენ. ბალახის მაგიერ მიწას ხავსი ეფინა. გრძელი და დაბალი ბარაკები ნესტსა და უამინდობას ერთიანად ჩაეშავებინა. ადამიანთა რუხ ჯოგს უსახური, ჭუჭყიანი და დაგლეჯილი ტანისამოსი ეცვა. პირისკანს სიყვითლე დასდებოდათ, ფერი სიკვდილისა, რადგან არსებობა აქ სიკვდილისა და სიცოცხლის ზღვარზე გრძელდებოდა...

ბერი ზაქარაიამ, სხვაზე გალეულმა და უღონომ, შიშისა და შიმშილისაგან უწონოდქცეული სხეული განძივით ატარა და სამგზის დაღუპვას გადაარჩინა.

პირველად მაშინ, როცა პირუტყვის ვაგონში გამომწყვდეულმა ნელი და მტანჯველი ტაატით გადალახა რუსეთის ვრცელი სივრცეები... ვიწრო ჭუჭრუტანიდან მხოლოდ ნაცრისფერ ველებს ხედავდა. ვაგონის სივიწროვეში სუნთქვა ჭირდა. დასაჯდომი ადგილი არ ყოფნიდათ და რიგრიგობით ისხდნენ ჭუჭყიან იატაკზე. ჩარაზული კარი მრავალი დღე არ იღებოდა და იძულებულნი ხდებოდნენ იქვე, იატაკის ნაპრალში მოესაქმათ. ორ დღეში ერთხელ სარკმლიდან შემოუყრიდნენ ტალახიანი პურის ორასგრამიან ნაჭრებს და იმართებოდა ხელჩართული ბრძოლა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. სუსტი ითელებოდა, ძლიერი ყოფიერებას იხანგრძლივებდა. ცოცხლებს მკვდრებისა შურდათ, მაგრამ სიკვდილი არავის ეწადა. ერთი კვდებოდა და მეორეს უხაროდა, რადგან მისი წილი პური რჩებოდა იმ დღემდე, როცა ცივი ტრამალის კიდეზე ვაგონებიდან ცოცხლები მკვდრებს გადმოყრიდნენ, სახელდახელოდ ამოჩიჩქნილ საძმო სამარეში უთავბოლოდ ჩამარხავდნენ... დარწმუნებული იყო ბერი, მეც ასეთი ბედი მიწერიაო, იქნებ მომდევნო დღეს, იქნებ ერთი კვირის შემდეგ... ძილბურანში ეზმანებოდა, რომ ჩანამქრულ საფლავში იწვა, გაყინულ გვამებში ჩაჭედილიყო და ვეღარ იძროდა. უნ-

დოდა ეყვირა, მაგრამ გაყინულ ბაგეებს ვერ ხსნიდა და საშინლად იტანჯებოდა.

დროის ანგარიში საბოლოოდ დაკარგული ეგონა, როცა მატარებელი ტაიგისა და ტუნდრის ზღვარზე გაჩერდა. ღონემიხდილი პატიმრები კოლონებად დააწყვეს და თოვლიანი ველის კიდისაკენ გზას გაუყენეს. უზარმაზარი, რუხი კოლონა ჭუჭყიან ნაკადად დააჩნდა ქათქათა თოვლს... ყველამ ვერ გაიარა ტანჯვის ეს გზა, ყინულეთში ჩაწვა და უმალ ტყვია მიიღო...

ჯუჯა არყითა და ფიჭვით დაწინწკლულ ტაფობზე მიწაში ჩამჯდარი შავი ბარაკები გამოჩნდა და ბერი მიხვდა, ბეწვის ხიდი განვლილი ჰქონდა.

სიცოცხლე არაფრად ფასობდა! ეს მაშინ გაიფიქრა, როცა დილაბინდზე წამოაგდეს, აყროლებული თევზის წყალწყალა ბალანდა აყლაპეს და ქვის კარიერზე თორმეტი საათით გარეკეს... სალ კლდეს წერაქვი რომ დაჰკრა, ჭახანი გაადინა და საკუთარ თავს უთხრა: „ვერ გავუძლებ!“ დიახ, ამას დევგმირიც ვერ გაუძლებდა... მძიმე, გაყინული ლოდებით მრავალგზის უნდა გაევსო ვიწრო ლიანდაგზე დაყენებული ურიკა, ფრთხილად უნდა დაეგორებინა, ქვის სამტვრევის ხახაში უნდა გადაეპირქვავებინა და უკანვე, აღმართზე ამოეგორებინა... „ვერ გავუძლებ!“ — ფიქრობდა მისავათებული ბერი, მაგრამ ისიც იცოდა, ვინც ვერ გაუძლო, მეზობელ ხევში ეყარა; ტყიდან მგლის ხროვა გამოეყოფოდა სიბნელეს, ქვის სამტვრევი დანადგარით დამფრთხალი, მაგრამ შიმშილის ძახილს მინდობილი. ვინც ნადირის კბილს გადაურჩებოდა, ზაფხულს ელოდა, როცა ცა ყვავყორნებით დაიფარებოდა და ხევში მშრალი ძვალიღა აქათქათდებოდა თეთრად...

სიკვდილისა არ ეშინოდა. იმ ხრამში გდებას წარმოიდგენდა თვალნათლივ. გვამებში ჩახერგილიყო თითქოს თვითონაც და მგლის კბილი აგლეჯდა ხორცს, ანდა ყორანი კორტნიდა და ამ ხილვისაგან ტანში ჰზარავდა...

გვიანღა აბრუნებდნენ უკან, ბნელ ბარაკში... ძლივს ლოღნიდა ქვადქცეულ პურის ნატეხს, აყოლებდა უშაქრო

ჩაის... ერთადერთი ფიქრი უტრიალებდა, დროზე მიეღწია ფიცარნაგამდე და თვალი მოეხუჭა...

უღონოდ მიგდებულს ვინმე უწვერული ახალგაზრდა წამოადგა თავზე. ზონის კახპად იყო ეს ყმაწვილი გადაქცეული, ვერავის ვერაფერს უბედავდა, ახლა კი გაყოჩაღებულიყო.

— შენ, ბიძა, მახორკა გექნება!

ბერიმ უკმაყოფილოდ ამოხედა, თავი გააქნია.

— მაშ, არა გაქვს? — ტუჩი გააწკლაპუნა კახპამ. — აქ ასე არ შეიძლება! მახორკას რომ გთხოვენ, უნდა მისცე! როცა მახორკა არა გაქვს, ფული უნდა დაყაჭო! თუ ფული არა გაქვს, ბათინკა უნდა გაიძრო! თუ ფეხზე ჯღანი გაცვია, პაიოკი უნდა დათმო!.. გესმის?

— თუ ესეც ვერ მოვახერხე?

— მაშინ დიდი დრო აღარ დაგრჩენია, იზრუნე შენს სიცოცხლეზე!

— მომწყდი თავიდან! — ბერიმ პირი მიაბრუნა.

კახპა ამდენს ვერ გაბედავდა, იგი სხვისი მოგზავნილი იყო და ეს სხვაც მალე გამოჩნდებოდა.

ცოტა ხანიც და ქურდი ჟორა გამოემართა დარბაისლურად. მხრებზე დარდიმანდულად მოეგდო ბამბურა. გამორჩეული ცხოვრებით ცხოვრობდა ჟორა. ზონა მისი სახლი იყო და უფროსები, ალბათ, კეთილი თვალით უყურებდნენ, რადგან არავის ახსოვდა, ვინმეს კარიერში წაეყვანოს, ანდა საერთოდ დაესაქმებინოს. თავის გადახოტვრასაც არავინ აკადრებდა, ხშირი თმა აღმა გადაევარცხნა და ულვაშებიც ბელადის სტილში დაეყენებინა.

— გლახადაა შენი საქმე, გეტყობა, ფეხებს მალე გაჭიმავ! — დიაგნოზი დაუსვა ჟორამ.

— ჰო! — გულგრილად შეეპასუხა ბერი.

— სიცოცხლე მოგძულებია?

— ვიცი, სამშობლოში არავინ გამიშვებს, აქ კი დიდი ხანი არ მიწერია! — მხრები აიჩეჩა ბერიმ.

— სადაური ხარ?

— ქართველი ვარ!

— ვაჰ, მართლა? არ გაგიგია, მეც რომ ქართველი ვარ?

ჟორას ქართველობას კაცი ვერ დაიჯერებდა. ვიწრო თვალები აღმოსავლური ცბიერებით განგან მიჰქონდა. ყვრიმალები მაღლა ამოსჩროდა. დიდრონი, მეჩხერი კბილები ცხენივით წინ წამოეწია... დიდი ბელადი უყვარდა ჟორას, მკერდზე მისი პორტრეტი ამოესვირინგებინა და ქართველებშიც იმიტომ ჩაეწერა. ერთხელ ყოფილა თურმე საქართველოში. „ტო“ და „კაცო“ აითვისა და არ ივიწყებდა.

— მერეთში თუ ყოფილხარ? — ფიცარნაგზე შინაურულად ჩამოუჯდა. ბერიმ წამოიწია, მაგრამ ჟორამ შეაჩერა: — იწექი, იწექი!

— იქაური ვარ!

— ვაჰ, მართლა? მაშ, ტუჩია დზიგუა გეცნობა ალბათ!

ბერიმ გონება დაძაბა. ყურმოკვრით გაეგონა ვიღაც ოხერ და წყალწაღებულ ბიჭზე, ბაზარი რომ აკლებული ჰქონდა და ბოტანიკურში ყომარით ტოლსწორებს ფცქვნიდა.

— ბავშვზე ლაპარაკობ?

— მაგარი მასტია! — თქვა ჟორამ პატივისცემით.

— ჰო, კერკეტი კაკალია! — დაუდასტურა ბერიმ გულსგარეთ.

— დიდი კაცი გაიზრდება! საქმეზე ჩავედი და ისეთი პატივი მცა, მაშინვე ვთქვი, ძმაო, ეს ტიპი ქურდების პრაფესორი გახდებამეთქი!

— გონიერი ბიჭია! — სიტყვა შეაშველა ბერიმ.

— ჰოო! რაკი შენ ტუჩია დზიგუას ახლობელი ყოფილხარ, ჩათვალე, გადარჩენილხარ! ამას იქით უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემს!

ჟორა რომ გაშორდა, ზონის კახპა მოუცოცდა, მოეთითლიბაზა:

— შენ, ჰეი, ბიძა, წელან გაგეხუმრე, ხომ მიხვდი... თუ გინდა, მოგაწევინებ!

— არ ვეწევი!

— იქნებ სხვა რამე გინდა? — ჩაიხითხითა ყმაწვილმა.

— მომწყდი თავიდან! — უბოროტოდ მიუგდო ბერიმ და კედლისკენ შებრუნდა.

(ტუჩია ძიგუას სახელმა და ქურდი ჟორას დიდსულოვნებამ იხსნა იგი. შემდგომში, თოდუებთან, მოულოდნელად იკითხა ბერიმ:

— ტუჩია ძიგუა რასა იქმს, თუ იცით? მადლობა უნდა შევუთვალი!)

რა ისეთ ძალას ფლობდა ქურდი ჟორა? მისთვის კანონი არ კანონობდა და განაწესი არ იწერებოდა. მხრებზე ბამბურამოგდებული დააბიჯებდა ზონაში, დიდი ბელადის სტილში დაყენებულ ულვაშებში ჩაიღიმებდა და ამ ღიმილში განაჩენი იკითხებოდა. ყველამ იცოდა, ეს განაჩენი საბოლოოა, გასაჩივრებას არ ექვემდებარება და ამიტომაც მორჩილებდნენ. „ესაა მისი სამფლობელო, — ფიქრობდა ბერი, — ვერსად სხვაგან ის ვერ დაიდგამდა შესაფერ ტახტს!“

კვირის თავზე ბერი ზაქარაია კარიერში არ წაიყვანეს. ხელში ჩვარი და ვედრო ჩასჩარეს და ლაზარეთში გაამწესეს.

ეს იყო კირით შეთეთრებული, ნახევრადმიწური შენობა. ერთადერთი პატრონი ჰყავდა, დოსტაქარი ილია ილიჩი, რომლის მორჩენილი ავადმყოფი ქვეყანაზე არავის ენახა. ვინც ლაზარეთში შემოვიდოდა, უკან საკაცით თუ გაიტანდნენ და პატიმრებს კარიერში წასვლა ერჩივნათ.

პალატები უმთავრესად ცარიელი იყო და ბერი შეუდგა იატაკის ხეხვას. ილია ილიჩი თავის კაბინეტში მარტოკა იჯდა, მარტოობის სევდას სამედიცინო სპირტით იქარვებდა.

— მიყურე მე შენ, — მთვრალის აჩემებულობით დაემუქრა ბერის, — კარგად იმუშავე, თორემ მარილწყლის ოყნას გაგიკეთებ!

ბერიმ მორჩილად დახარა თავი. ეს ჩვარი და ვედრო გადარჩენის შანსს აძლევდა და ამიტომაც საქმეს გულმოდგინებას არ აკლებდა.

ერთ დღეს სენაკივით ვიწრო და ბნელ პალატაში შეიხედა. ეგონა, აქ არავინ არისო, ნიავივით სუსტი ჩურჩული კი მოესმა.

— ძია!

ქართულმა სიტყვამ შეაკრთო ბერი, გული უცნაურად შეუხტა.

საწოლზე ფერმკრთალი, ლამაზი გოგონა იწვა. გამხდარი, წვრილი მკლავები მკერდზე დაეწყო. ცარიელი თვალებიღა შერჩენოდა, ვედრებით შემოჰყურებდა და აჩქარებით სუნთქავდა.

— ძია, მე ქალთა ბარაკიდან მომიყვანეს, მაია მქვია!

— ჰო, მაია, შვილო!.. — შუბლზე ხელი დაადო ბერიმ, გოგონა სიცხისაგან იწვოდა.

— მივხვდი, რომ ქართველი იყავი... ზონაში ორმოცამდე ქართველია... — ჩაიჩურჩულა ავადმყოფმა. — ალბათ ქურდი გგონივართ, არა?..

— არა, გენაცვალე, — დაიბნა ბერი, — დაწყნარდი, მე ექიმთან წავალ და წამალს გამოვართმევ!

— რა საჭიროა, — გულდაწყვეტით თქვა გოგონამ, — ვიცი, მოვკვდები... მინდა, იცოდეთ, რომ ქურდი არა ვარ... იცით, მე მეათეკლასელი ვარ. ალბათ ცუდი საქმე ჩავიდინე, თქვენ უნდა გაგიმხილოთ... თანაკლასელი შემიყვარდა... ოღონდ ნუ დამცინებთ, რა ვქნა, შემიყვარდა და... იმან კი ხელი მკრა... იმ დღეს თითქოს გონება დამიბნელდა, მინდოდა, თავი მომეკლა. საკონტროლოს ვწერდით და კალამი გამექცა, მზიან დღეს მიღამდებამეთქი, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიამეთქი... მასწავლებელმა დამასმინა, ჩემი ნაწერი ჩეკას მიურბენინა...

ბერის გული მოეწურა. არ იცოდა, რითი ენუგეშებინა საბრალო გოგონა.

— ნუ გეშინია, შენნაირ პატარა გოგოს ანგელოზები მფარველობენ! — ეს სიტყვები გულწრფელადა თქვა, გრძობდა, მაღალი ნება კარნახობდა სწორ სიტყვებს.

— ათი წელი მომისაჯეს! — ხმა ჩაუვარდა გოგონას, უპეზე კურცხალი დაუგროვდა. — ვიცი, მოვკვდები... ათი წელი იმოდენა დროა...

— შვილო... — ხმა აუთრთოლდა ბერის.

— ძია, გეხვეწები, როცა დამმარხავენ, პერანგს ნუ გამხდიან... მრცხვენია...

„ღმერთო, ღმერთო!..“ — მზერა მაღლა აღაპყრო ბერი ზაქარაიამ, უსაშველო სევდა და ტკივილი დაეუფლა...

(შემდგომში, თოდუების სახლში, სიცხიანს, სიზმარში ცის ანგელოზი გამოეცხადა და საყვედური უთხრა: „ძია, რატომ არ შეიწყნარე ჩემი ვედრება?!“ ბერი ზაქარაია ძილში ტიროდა და თავის გასამართლებელი სიტყვები ვეღარ ეპოვა).

30

ზონის უსახური ყოველდღიურობის მტანჯველი მდინარება მოჩვენებებს ბადებდა, თითქოს ნისლის სიმქრქალეში შემზარავი ურჩხულები მოცურავდნენ... ერთადერთი მანათობელი ვარსკვლავი, ერთადერთი ნიშანი სიცოცხლის არსებობისა, თექვსმეტი წლის ნატაშა იყო... ნატაშა რასტოვა — ასე შეარქვა თავის ფიქრში ბერი ზაქარაიამ... იგი კაშკაშებდა ამ ბნელ გარემოცვაში, რაიც შედგებოდა რუხი და ჭუჭყიანი ჯოგისაგან სიკვდილთან წილნაყარი მამაკაცებისა, უასაკონიც რომ ბერიკაცებს დამსგავსებოდნენ, ბოროტი და სასტიკი ზედამხედველებისაგან და ღიპგადმოგდებული, ღაბაბიანი კომენდანტისაგან, რაღაც თათრულრუსულის ნაჯვარს რომ ჰგავდა (ნუთუ ამ ღორის ამაზრზენ წიაღში უნდა ჩასახულიყო ეს ვარსკვლავეთის ასული?).

იგი ცხოვრობდა ზონის კუთხეში, ადმინისტრაციული შენობის გვერდით წამოჭიმულ კოხტა ფინურ კოტეჯში, რომელსაც ზონიდან ჰყოფდა მავთულხლართები, კოშკურები, შაშხანიანი ჯარისკაცები და ადამიანებზე დაგეშილი ქოფაკები... მისი ტოლ-სწორი აქ არავინ იყო და მოწყენილი გოგონა ზონაში ეძებდა გასართობს. ყასბად დაბადებული მამიკო, გულქვა და შეუბრალებელი, მხოლოდ შვილის წინაშე დნებოდა და დუდღუნით ეხვეწებოდა: „ნატაშა, გეთაყვა, საშიშია, ისინი მკვლელები არიან, იქ ნუ მიდიხარ!“ თავგადასავლების მაძიებელი ქალიშვილი კი ჯიუტად დახრიდა თავს და ქერა კულულებს ისე შეარხევდა, თითქოს მამას რქენით ემუქრებაო (ოქროს კულულებით! შიგ მინავლებული მზის სხივი ჭიატობდა და ვერცხლი ციგლიგებდა!).

მართლაც საშიში იყო ეს გასეირნება. თითქოს ოქროს ლარი ჩაეგორებინოს ვინმეს ქურდების წრეში. ხანგრძლივი ზამთრის ყინვიან ქარბუქში თუ მოკლე ზაფხულის ხუთვაში, როცა ჰაერი კოღოთი და ქინქლით ივსება, ადამიანი ერთი წუთიდან მეორე წუთამდე თანდათან კვდება, მან იცის, რომ დღეს თუ არა, ხვალ, ზეგ მაინც ჩაიზილება ტუნდრისპირეთის ჭაობში, ან ქვის კარიერის მოსლიპულ კედელს ჩაჰყვება, ანდა ყინულის ხაროში ჩაიჭედება, რათა გაზაფხულის ჭუჭყიანმა ნაკადულმა წაიღოს... აი, ამ დროს ერთადერთი სინათლე ამ ფერიას გაელვება იყო და რა გასაკვირია, ვინმეს ხელი წასცდენოდა, სიკვდილთან შეთამაშება გაებედა...

ნატაშას ხელში სახრე ეჭირა და მოწყენილობის წამალს ეძებდა. ადამიანი ადამიანით ერთობა, მაგრამ გოგონა ირგვლივ ადამიანებს ვერ ამჩნევდა. ზონაში ავი ქოფაკები იღრინებოდნენ და კაცობადაკარგული ლანდები დალასლასებდნენ. ნატაშას ერთნიც ეზიზღებოდა და მეორენიც. ვერ იტანდა სამხედრო ფორმას, შინელსა და ბამბურას, ლორითა და არყით გაფიჟვინებულ სიფათებს, კანტორშჩიკებს, ზედამხედველებს, ბადრაგს... „ბინძურები!“ — ზიზღით ებრიცებოდა ლამაზი ტუჩები. მაგრამ იგი ვერ იტანდა დაჩიავებულ რუხ ბრბოსაც, პირზე მიწისფერი რომ დასდებოდათ და ჩინოსანთა თვალის დაბრიალებაზე მრავალგზის კვდებოდნენ. „ბინძურები!“ — ამათაც ამგვარად აფასებდა... ისე წამოიჩიტა, სხვანაირი ადამიანები არც ენახა.

დასეირნობდა ნატაშა ზონის ჭუჭყიან ბილიკებზე, ხელთ სახრე ეპყრა. გზისპირა თოვლს ყვითელი ნაჩვრეტები აჩნდა, გულისამრევი კვალი შარდისა, მაგრამ გოგონა ამას ვერ ამჩნევდა, რადგან გულის სიღრმეში ზღაპრის გმირს ეძებდა და ვეღარ პოულობდა... ხანდახან ბადრაგის ჯარისკაცს შეეფეთებოდა, მხედრულ სალამს მისცემდნენ — „Привет, Наташа“ გოგონა პირს მიაბრუნებდა, სალამზე პასუხს არ აძლევდა... ხან კი ნაცრისფერ ლანდს გადააწყდებოდა, უკბილო პირით ღიმილს რომ შეაგებებდა, თვალითა ჭამდა, თან გაუბედაობისა და შიშისაგან მიწამდე იდრიკებოდა... ინსტინქტით გრძნობდა

ამ დაღუპულ არსებათა ქვენა ლტოლვას, რაიც მის სიწმინდეს ბღალავდა. ნატაშას ზიზღი მოაწვებოდა და შეურაცხყოფილი და გაბეზრებული ლანდს სახრეს მწარედ გადაუჭერდა.

იმ დღეს ბერის წამოეწია. კაცი ზურგით იდგა და გზა დროულად ვერ გაუთავისუფლა. მხოლოდ მაშინ შემოტრიალდა, როცა სახრემ გადაუშხუვლა — „Проч!“ თოვლში გადააბიჯა, ჩეხოვისებური, სათვალიანი, ბეცი თვალებით ლმობიერად შეხედა.

— ნატაშა რასტოვა ასე არ მოიქცეოდა!

— ჰმ! — გამოსცრა ნატაშამ. ჩეხოვის სურათი სახელმძღვანელოდან ახსოვდა. იმ მიგდებულ სახელმძღვანელოში ტოლსტოის სურათიც ეხატა, მაგრამ რაკი სქელტანიანი წიგნები არასოდეს წაეკითხა, თავის სეხნიაზე არაფერი სმენოდა. გზა განაგრძო, თან ეს სახელიც წაიყოლია — „ნატაშა რასტოვა!“

ეს მოხდა კვირას, ერთადერთ დღეს, როცა გვიანი ბალანდის შემდეგ პატიმარს ორიოდე საათი რჩებოდა სულის მოსათქმელად... არადა, თითქმის თვე გავიდა, რაც ლაზარეთიდან გამოაგდეს. ისედაც უხვი წყალობა გადმოსდინდა ბერის თავზე იმით, რომ მცირე ხნით ჩვარი და ვედრო ეჭირა, ლაზარეთის იატაკს ხეხავდა... მერე შიშს გადააბიჯა, დოსტაქარს აბი სთხოვა, პატარა გოგონა სიცხისაგან იწვებაო... ილია ილიჩს სპირტის საკმარისი დოზა ჰქონდა მიღებული. თითი მუქარით დაუქნია, ესე იგიო, უთხრა, შენ ავადმყოფებს ეჩურჩულებიო და ბერის კვლავ კარიერში უკრეს თავი... დილის ხუთი საათიდან საღამოს ათ საათამდე პროჟექტორებით განათებულ, კიბოს მეტასტაზებით შეჭმული კლდის ძირას, როცა მოკლე დღის მქრქალ გაელვებას ადამიანი ვერც კი შეამჩნევს, ნიჩბითა და წერაქვით ღრღნიდა ბერი მარადიულ ლოდს, ჟანგიან ურიკას ტვირთავდა... „იქნებ უკვე მოვკვდი და ყოველივე ეს ჯოჯოხეთში ხდება? — ფიქრობდა ხანდახან. — როგორ გამეპარა წამი, მერეთის მზიანი სანახებიდან რომ ამომგლიჯეს და დახუთულ ვაგონში ჩამჩურთეს!“

ასე გაგრძელდა მრავალი, გრძელზე გრძელი დღე, არც ერთი არ გამოირჩეოდა სხვა მსგავსი დღისაგან, როცა ქანცგაწყვეტილი ძლივს აგნებ შენთვის გამოყოფილ ცივსა და ნეს-

ტიან ფიცარნაგს, ძილბურანში მიეგდები. თოში ძვალში გატანს, ძილშიც ვეღარა თბები, ვერ გებულობ, საერთოდ ხარ თუ არა ხარ. სიზმარიც შავი, ბურუსიანი, მტანჯველი გეწვევა, ცხადის გაგრძელებაა, უწყვეტი კრთომით გაჯერებული, იმის შიშით, რომ დრო ილევა, უღიმღამო, ჭუჭყიანი დილა საცაა მოაღწევს და მრისხანე შეძახილი — „Подем!“ წამოგაგდებს... ქოფაკების ღრენაში, ბოღმიანი გინებით ყინვაში გაგდებენ და სულ სირბილით, სულ სირბილით — წუთი საპირფარეშოში, წუთი უფერული ჩაის დასალევად, ასგრამიანი ცომის გუნდის შესასანსლად და კვლავ ღორღიანი გზა კარიერისაკენ, სადაც ერთი ადგილიდან მეორეზე უსასრულოდ ეზიდებიან ქვას, რომელიც მერე არსად არავის მიაქვს, რადგან ჯოჯოხეთის წრემ ერთ ადგილას უნდა იტრიალოს.

ერთხელაც, როცა ბეწვი კინაღამ გაწყდა, მეტს ვერ გავუძლებო, გაიფიქრა, ქურდმა ჟორამ თვალი ჩაუკრა — „ხვალ კარიერში აღარ წახვალ, სამზარეულოში ქვაბების სახეხად დაგტოვეს!“ ყურებს ძლივს დაუჯერა. ნეტა რომელი ლურჯი ციდან ჩამოუშვეს ეს ახალი ჯილდო? „ასე ვიცით ჩვენ, ზემლიაკებმა!“ — ულვაშებში ჩაიღიმალა ჟორამ... მართლაც რომ! ქურდის წყალობით ედგა ბერის სული და მადლობის მეტი რა ეთქმოდა... უზარმაზარი, შავად გაზინთული ღუმელის კედელს ზურგით მიყრდნობილს ხერხემალში სითბომ დაუარა და მიხვდა, ჯოჯოხეთური ტანჯვის მიუხედავად სიცოცხლე მაინც გრძელდებოდა...

მთელი კვირა ახრიგინებდა თუჯისა და ალუმინის ვეება ქვაბებს, წლობით რომ ზინთი და ჭვარტლი ჩასჭედოდათ და ვერა ძალა მათ ვერ გაათეთრებდა... მცდელობა მაინც არ დაუკლია, სული კინაღამ გადააყოლა.

მოულოდნელად კომენდანტი წამოადგა თავზე. კვირას ნატაშას სახრე რომ იგემა, მაშინვე გაიფიქრა, ეს ასე იოლად არ ჩამივლის, მგონი ჩემი გრძელი ენა მღუპავსო. აგერ აუხდა კიდეც! კომენდანტს კიტელი ღიპზე ასკდებოდა, ღაბაბი საყელოზე გადმოჰფენოდა. ტახივით დაიხრუტუნა, ახედდახედა წვრილი თვალებით, რომლებიც თავისი შეორთქლილი სათვალიდან მის ქონიან, გაფიჟვინებულ სახეზე ძლივს აღმოაჩინა ბერიმ.

— ესაა? — მხლებლებს დაეკითხა კომენდანტი.

სტაცეს ხელი და წინ გაიგდეს. უნდოდა ეკითხა, რა დამიშავებიაო, მაგრამ იცოდა, წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა და დამორჩილდა.

ცხელ აბანოში ჩაკეტეს, ჯაგრისი და საპნის ნაჭერი შეუგდეს.

ეს იყო გაუგონარი ფუფუნება. პატიმრებს თვეში ერთხელ თუ დაბანდნენ. სახანძრო შლანგით მიუშვერდნენ ნელთბილ წყალს, ტიტლიკანა ბრბოს ტანზე მიმხმარ წვირს ჩამორეცხავდნენ, ძონძებს ორთქლში გაუტარებდნენ მკბენარეების მოსასპობად და არავის ედარდებოდა, ამგვარ აბანოს ზედ ფილტვების ანთება თუ დაერთვოდა.

იხეხა და იხეხა ცოდვილი გვამი ბერი ზაქარაიამ. ცოდვილი იმიტომ, რომ ღმერთმა სიყვარულისათვის უბოძა იგი, მან კი ვერ გამოიყენა. ოდესღაც ბედნიერების ოქროსთმიანმა მზეჭაბუკმა საყვირი ჩაჰბერა, ხოლო ბერიმ ვეღარ გაიგონა მოწოდების ხმა, რადგან სმენა შიშმა და სიმხდალემ დაუხშო. ახლა, ცხელი ჭავლის ქვეშ, ტანზე რომ დაიხედა, თვითონვე გაუკვირდა. ამდენი შიმშილისა და წამების შემდეგ ჯერაც შერჩენოდა ადამიანის ფორმა, თუმცა აქამდე ეგონა, ცარიელი ძვალიღა დავრჩი, სული მალე გამეპარებაო.

აბანოდან გამოსულს სუფთა შარვალხალათი და ფეხსაცმელები დაახვედრეს. ასე აქ არავის ანებივრებდნენ და შიშნარევი ეჭვებისაგან თავბრუ დაესხა.

გამოკოხტავდა ბერი ზაქარაია და სადალაქოში მიაბრძანეს. ბლაგვი სამართებლით პირზე ჯაგარი ჩამოფხიკეს და კაცმა საკუთარი თავი ვერ იცნო. გაბზარული სათვალიდან საკმაოდ სანდომიანი მამაკაცი იყურებოდა.

„უფალმა თუ არ გაგიმეტა, ჯოჯოხეთსაც გადაურჩები!“ — გაიფიქრა, პირჯვრის გადაწერა კი ვერ გაბედა.

კაბინეტში შეიყვანეს. კომენდანტი სავარძელში ტომარასავით იდო. წვრილი თვალებით ახედა.

— ისტორიკოსი ხარ, ხომ?

— დიახ!

— მასწავლებლობა თუ შეგიძლია?

— პროფესიით პედაგოგი ვარ!

— ჩემი გოგო ხომ გინახავს?

— დიახ!

— იცი შენ, რომ სკოლა აქ არა გვაქვს და ბიბლიოთეკა. — კომენდანტის ხმაში მამობრივი სითბო გაკრთა. — ბავშვი გამიტუტუცდა. არადა, დედით ობოლია, გვერდიდან ვერ ვიშორებ. ამიტომაც ვერ ვაგზავნი დიდ მიწაზე... ცალკე ოთახი გექნება კოტეჯში. ნუ დაივიწყებ, რომ პატიმარი ხარ. ის ოთახი იგივე საკანია. გამოხვალ და ტყვიას მიიღებ, გაქცევის მცდელობად ჩაგეთვლება. ნატაშა თვითონ მოგაკითხავს, როცა მეცადინეობა მოესურვილება...

31

სარკმელს გარედან გისოსი ეკეთა. შუშები თეთრი საღებავით იყო დაფარული. ვინც აქ ადრე ცხოვრობდა, ერთგან საღებავი ამოუფხაჭნია და ჭუჭრუტანიდან მოჩანდა მავთულხლართები, კოშკურა, ბარაკის შავი კედლები და ნაწილობრივ ეზოც.

კუთხეში მომცრო ტახტი იდგა, სარკმელთან მაგიდა და ორი ტაბურეტი, ალბათ მასწავლებლისა და მოსწავლისათვის.

ბერიმ თავი სამოთხეში იგრძნო. შეეძლო გემრიელად გამოეძინა თბილ და მშრალ ოთახში. ჭუჭრუტანიდან არავინ უთვალთვალებდა. პატიმრის სალაფავის ნაცვლად საჭმელი ადმინისტრაციის სასადილოდან მოსდიოდა. ესაა, ხანდახან დაასაქმებდნენ, ოჯახის ფარეშობას აჰკიდებდნენ. დერეფანი უნდა დაეგავა, შეშა და ქვანახშირი შემოეტანა, ანდა სათლებით წყალი. დილაუთენია ცეცხლი უნდა დაენთო, გვიან ღამე კი ნაცარტუტა გამოეხვეტა... ასეთი შრომა სულაც არ იყო მძიმე, პირიქით, სახალისოდაც ეჩვენებოდა.

ნატაშა პირველსავე დღეს გამოცხადდა. შინაურულ „სარაფანში“ იგი უფრო უწლოვანი და უცოდველი ჩანდა. ტანკენარი გოგონა იყო, შხვართ ფეხებს მოუსვენრად აბაკუნებდა იატაკზე, ცმუკავდა... ახალგაზრდული მხურვალებით პირთამდე ივსებოდა, სისხლს ვერ იოკებდა. მკერდი გამომწვევად ეჭირა, არავისი ხელი ჯერაც არ შეხებოდა და მოლოდინის თრთოლვა შიგ ნაღმივით ჩაბუდებულიყო. მის თვალებში ქალურ მოწოდებას გაუთვითცნობიერებელი სისასტიკე ენაცვლებოდა. შუბლი ეჭმუხნებოდა, რაკი ფიქრი უჭირდა და საკუთარი უსუსურობა მრისხანებაში გადაეზრდებოდა. ცხვირის თხელი ნესტოები შეუთრთოლდებოდა ხოლმე, ლოყებიდან ყურისძირებამდე სისხლი მოასხამდა. ბაგე ეხლიჩებოდა, თითქოს იხვეწებაო — „ნუჟე, ნუ!“ თუმცა ამავდროულად ბავშვური გულუბრყვილობით ცდილობდა დაემალა სურვილი, რაიც ისედაც პირზე ეწერა.

ასეთი დაუდეგარი, მოუთმენელი მოწაფე არგუნა ბედმა სიჭარმაგეში შესულ ბერი ზაქარაიას. აქამდე ხომ მარტოკაცის გაუსაძლისი ყოფით იცხოვრა. სიყმაწვილის ჟამიდან მისი გული ქალის ტრფობას არ აუძგერებია. მეცნიერულ შტუდიებში ჩაფლულ ქაღალდის ჭიად ქცეულიყო, მარად თანამდევ შიშს დაეძაბუნებინა... ალბათ ამ შიშმა გაუხანგრძლივა ყოფიერება, მაგრამ ახლა ზონის ქურუშ ბნელეთში ქალწულებრივმა გამონათებამ მიახვედრა, რომ დროის ხანგრძლივობას ფასი არა აქვს, თუ მას ბედნიერებაც არ ახლავს... სევდა დაეუფლა ბერის, მისტიროდა დაკარგულ წლებს, მოისურვა თვალი აეხილა ამ პატარა, უჭკუო გოგონასათვის, ეთქვა, გეთაყვა, ჩემო ანგელოზო, შეისხი ფრთები და გასცილდი ჯოჯოხეთის ამ ბნელ და ჭუჭყიან კარიბჭეს, გაფრინდი მზიანი სამხრეთისაკენ, სადაც მარადმწვანე პალმების ფონზე ლურჯი ზღვა ლივლივებს, სადაც შავგვრემანი ჭაბუკები წაბლისფერ ცხენებზე შემოგისვამენ და ტყიანი მთებისაკენ გაგიტაცებენ...

ნატაშა ვეღარ მიუხვდა ბერის ფიქრთა მდინარებას, თავი გააქნია და ჭირვეულად იკითხა:

— აბა, მითხარით, ნატაშა რასტოვა როგორ მოიქცეოდა?

— დაჯექი! — მხარზე ხელი დაადო ბერიმ, ტაბურეტზე დასვა. ხელისგული თითქოს აეწვაო, ქალიშვილის მხურვალებამ ელვასავით გაჰკრა. ხელი ცივად უშვა, ვიწრო ოთახში

ბოლთას მოჰყვა და ხმაგაბზარულმა დაიწყო ამბავი ნატაშა რასტოვას პირველი მეჯლისისა.

მსგავსი რამ აქამდე არა სმენოდა ზონის ნატაშას, არც უფლისწულისა და კონკიას ზღაპარი იცოდა, არც რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულის ამბავი... თვალებგაფართოებული შეჰყურებდა ბერის, ბაგეები საყვარლად გახლეჩოდა. ხანდახან გაბუშტულ, წითელ ტუჩზე ენის წვერს მოისვამდა, იგრილებდა... კაცს სურვილი კლავდა, შეხებოდა ამ ბაგეებს, თუმცა თვითონვე აფრთხობდა ეს უნებლიე ფიქრი, სირცხვილის ალმური სდიოდა, საძრახისად მიაჩნდა, საამისოდ თავს ბერიკაცად თვლიდა...

— რამდენი წლისა იყო ანდრეი ბალკონსკი?.. პიერი?.. ნატაშა?..

პასუხი რომ მიიღო, გაურკვევლად დასძინა — „აჰა!“

კაცი ფიქრში დიდხანს უტრიალებდა ამ „აჰას“, ვერ მიმხვდარიყო, რისი თქმა სურდა გოგონას, რა ეწადა...

შიშისა და დანაშაულის გრძნობა ტანჯავდა ბერის. თითქოს მაღლიდან ვიღაცა გადმოჰყურებდა, თითს საყვედურით უქნევდა, ღალატს უკიჟინებდა... ვერ გაეგო ვის ღალატობდა... თუ ამას ღალატი ერქვა, ბერი ზაქარაიამ მხოლოდ საკუთარ თავს უღალატა, საკუთარ მრწამსს, არსებობის მიზანს, რაიც მამამისმა, ცხონებულმა სოლომონმა სახელშივე მიუნიშნა, ოღონდ ცხოვრება ისე გალია შვილმა, ვერა და ვერ ამოხსნა მამის ქარაგმა, თუმცაღა ბერის ბედიღბლით კი იცხოვრა.

ასე გრძელდებოდა მოწაფისა და მასწავლებლის ურთიერთობა. ნატაშას არც წერაკითხვა უყვარდა, არც ხატვა, არც მათემატიკა და მისთანები ხიბლავდა. იჯდა და გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა ბერის, უსმენდა ათას ერთი ღამის ზღაპარს, რომელიც იკინძებოდა ბერი ზაქარაიას მიერ წაკითხული წიგნებიდან, სადაც მუდამ ტრიალებდა ტრაგიკული სიყვარულის ვარიაცია და ერთხელაც ქალიშვილმა წარბები შეჭმუხნა, თვალი გაუსწორა და მიახალა:

— გაფუჭებული!

ბერი აირია, შიშისაგან გული ჩაუვარდა. ეგონა, გოგონა წამოხტება, ტახივით გასიებულ თავის მამიკოს მოუხმობს

და ენადგაკრეფილ მასწავლებელს კვლავ კარიერში უკრავენ თავს, საიდანაც ცოცხალი ვერც დაბრუნდება, ცხადია.

— ნატაშა, ძვირფასო! — ძლივს ამოისუნთქა კაცმა.

— ისეთ რამეებს მიყვებით... — გოგონამ მოწყვეტით, შეთქმულივით ჩაიცინა, ტუჩზე თითი მიიდო. — მამიკომ არ გაგიგოთ... მეკითხებოდა, რას გასწავლისო, პარტისტორიას და არითმეტიკასმეთქი...

— ნატაშა, ძვირფასო! — ალუღლუღდა ბერი.

— ძვირფასო, ძვირფასო... — გამოაჯავრა გოგონამ და ოთახიდან გაფრთხიალდა.

ბერი ადგილზევე დარჩა. გაოგნებული იჯდა ტახტზე. ერთხელაც გაიარა ბეწვის ხიდზე, გადარჩა... სიფრთხილეს მოუხმო.

მომდევნო დღე თითქოს არ განსხვავდებოდა სხვა დღეებისაგან. სარკმლის ჭუჭრუტანას გარედან ჭუჭყიანი ნისლი მოეფინა, იმის მიღმა ძლივს ილანდებოდა ახლო ბარაკის სველი სახურავი... კოშკურაზე გუშაგი იდგა. ეზო ცარიელი იყო, სიწყნარე დაგუბდა... აგერ დერეფანში ფეხსაცმლის ბაკუნი ისმის. ეს ნატაშას ფეხის ხმაა, აქეთკენ მოიჩქარის... ბერი ტახტზე ჯდება, უჭირს თრთოლვის დაოკება... მუხლებზე ხელებს აჭერს, თავს ითოკავს.

კი არ შემოვიდა, შემოფრინდა ნატაშა, კარი მიიჯახუნა, ზურგით მიაწვა.

— მამიკო წავიდა, საღამომდე არ დაბრუნდება!

ბერი უმწეობამ შეიპყრო. იგი სათამაშოა ამ გოგონას ხელში, მისით ერთობიან, თვითონ კი თავდაცვის არანაირი ღონე არ გააჩნია.

— დაჯექი, ნატაშა!

ტაბურეტზე ანიშნა. გოგონა დაჯდა, თითქოს ეკლებზეაო, ცმუკავდა. ბერიმ აღვირი ამოსდო გულისთქმას, ხმას სიმტკიცე შესძინა და ხმადაბლა დაიწყო თხრობა იმაზე, თუ რა ჭკვიანი ბავშვი იყო ვალოდია ულიანოვი და როგორი ფრიადოსანი — სოსო ჯუღაშვილი... არ დავიწყებია ბელადების ბავშვური ონავრობანი, თუმცა ამ ეშმაკობებშიც იმთავითვე გონიერება და სიდარბაისლე იგულისხმებოდა.

— თექვსმეტი წლის ვალოდიას თუ ჰყავდა შეყვარებული? — ფიცხად იკითხა ნატაშამ. — ან სოსო ჯუღაშვილს, როცა ის თექვსმეტი წლისა იყო?

ბერიმ მხრები აიჩეჩა.

— ნატაშა, ძვირფასო...

— ძვირფასო, ძვირფასო!.. — გაანჩხლდა მოულოდნელად გოგონა. — რომელი თქვენი „ძვირფასო“ ვარ! ნატაშა რასტოვას მადარებთ, ალბათ დამცინით! ის სასახლეში ცხოვრობდა, ლამაზ კაბებს იცვამდა, ირგვლივ თავადები ეხვივნენ, ხან ერთთან ცეკვავდა, ხან მეორესთან... მე კი ამ ჯურღმულში უნდა მოვკვდე... დედაც არა მყავს... თქვენ კი... თქვენ კი... ბებერო სულელო! — და უცებ ცრემლი გადმოყარა.

ბერის გული დაწყდა. მართლაც „ბებერი სულელია“, პატარა, უჭკუო გოგონაზე უგვანი ფიქრები რომ იკადრა! ეს ბავშვიც ხომ მსხვერპლია თავისი ბედისა, ესეც პატიმარია, ვერსად გაექცევა ამ ჭუჭყსა და სიბნელეს, მისი სიყმაწვილე ამ ჭაობში უნდა ჩაიფერფლოს, ქურდებსა და მკვლელებს შორის და იქნებ ვერც ვერასოდეს იხილოს ფერადოვანი სამყარო, ბერი ზაქარაიას წარმოსახვამ და მონაყოლმა წიგნებმა რომ დაუხატეს...

— ნატაშა! — ბერი მის რბილ, ოქროს კულულებს შეეხო, გაუბედავად გადაუსვა ხელი.

გოგონა უცებ წამოიწია, ტაბურეტიდან მოსხლეტით ბერის მუხლებზე გადმოინაცვლა და ტირილით ჩაეხვია. გაოგნდა ბერი ზაქარაია, თავზარი დაეცა, წამით გაშეშდა, მაგრამ სიცოცხლეში ერთადერთჯერ გადმოგდებულ ჯილდოს ხელი ვეღარა ჰკრა...

32

— ყველა რუსი ერთნაირი როდია! — მრავალი წლის შემდეგაც სევდა გაკრთებოდა ბერი ზაქარაიას ხმაში. — ზოგი

ტოლსტოის და ტურგენევის გმირია... რუსი ინტელიგენტები, დახვეწილი სულიერებითა და ფართო გონებით... მაგრამ რუსული ბრბო, ნაჯახით შეიარაღებული ბოროტი სტიქია...

ვერა ხვდებოდნენ მისი მსმენელები, რისი თქმა ეწადა ბერის, რა აწუხებდა, გულს რა ცეცხლი შემოენთებოდა.

სენი სჭირდა განუკურნელი — შიშისა და ვერა და ვერ დაეძლია ბოლომდე.

„ჩაიფსი, ბიჭო, ბერი!“ — ქირქილებდა მარადი ქოსა ძღვიბია და ეს ხმა ფეხდაფეხ მოსდევდა, კუბოს კარამდე უნდა მიეცილებინა.

გარეგნულად დახვეწილი ინტელიგენტი, შინაგანად უწყვეტ თრთოლვასა და სისველის გრძნობას შეეპყრო.

მხოლოდ მაშინ, ზონის ბნელ ყოფიერებაში აკაშკაშდა გრძნობა, რომლის გამხელისა საკუთარი თავის წინაშეც ვერ ბედავდა.

ქაღალდის ჭიამ ოდესღაც, სიჭაბუკეში მართას ვერ შეჰბედა, ვერ გაუმხილა გაუმხელელი, გულში ჩაიმარხა და დააგვიანა... მართა ისე ჩავიდა მიწაში, ვერაფერი გაიგო... კაცს კი გულისტკივილი მიუყუჩდა, მიუნელდა, ხანდახან თუ შეახსენდებოდა, მსუბუქად გაკენწლავდა. ბერის არსებაში ადგილი არ დარჩენილიყო გრძნობისათვის, რითაც სავსეა მის მიერ ათასჯერ წაკითხული წიგნები, რადგან მასში მუდამ ბატონობდა სულ სხვა გრძნობა — ყოვლისმომცველი და დამთრგუნველი შიში.

ამიტომაც ვერ მოიცალა სხვა ქალისათვის, ამიტომაც ჩაიკეტა კვერცხის ნაჭუჭში — პალიმფსესტში, რომელსაც ალბათ მის გარდა სხვა არავინ წაიკითხავდა... და აი, სიჭარმაგის ჟამს, როცა უკუღმართმა ბედმა ზონაში გადმოისროლა, როცა სიკვდილზე ფიქრი თუ აძლებინებდა, მოულოდნელად ამ ურჩხულეთიდან გამოცქრიალდა ცისფერი ანგელოზი — ნატაშა... და ეს იყო უმაღლესი ჯილდო, სიცოცხლის საფასურად გადმოგდებული...

ასაკი დაავიწყდა ბერის, ჩვიდმეტი წლის ყმაწვილის მგზნებარებით ელოდებოდა თავის სატრფოს... დაავიწყდა,

რომ ის პატიმარია ამ საკნისა, ამ ზონისა, ამ პატარა გოგოსი... ვეღარ ხვდებოდა, რა ღირსებების გამო გამოარჩიეს სხვა უბედურთაგან... ალბათ გოგონას ბავშვურმა ფანტაზიამ შექმნა არარსებული ხატი, თვითონ თავი ნატაშა რასტოვად წარმოიდგინა, ბერი ზაქარაიაში კი ანდრეი ბალკონსკი ამოიკითხა და ეს ყოველივე რეალობას იმდენად იყო დაშორებული, მხოლოდ ბავშვის უმწიფარ გონებას თუ შეეძლო შეეერთებინა შეუერთებელი.

შიში განდევნა ბერიმ, ვიწრო საკანში თავისუფლება იგრძნო და ბედნიერების ყოველ წამს ჯილდოდ ითვლიდა განვლილი წამების წილ... თითქოს ვიღაცა მოვალე უხდიდა ვალს... ახლდა ამ გატაცებას სხვა გრძნობაც, რომლის გამხელისა რცხვენოდა და უფალ ღმერთს თვალს არიდებდა. ეს იყო ტკბილი გრძნობა შურისძიებისა! თითქოს დასცინოდა ყოვლისშემძლე კომენდანტს, დასცინოდა მთელ საბჭოეთს, ნიშნს უგებდა, თქვენ მე გამწირეთ, მაგრამ რევანში ავიღე, გაჯობეთ, რადგან თქვენი ულამაზესი ასული აგერ, ამ ბნელ საკანში, ამ ჭუჭყიან სარეცელზე ხასად მიწევსო...

ეს იყო ამბოხება, ეს იყო გამოწვევა, და თუმცა ყოველივე უცილოდ სიკვდილით უნდა დამთავრებულიყო, იცოდა ბერიმ, მისი შიში აქამდეც სიკვდილის შიში როდი იყო. სიკვდილი გარდუვალია და მას ვერსად გაექცევი! უფრო აუტანელი ისაა, რომ ცხოვრებამ ფუჭად ჩაიარა, უშინაარსოდ, იმ დეფისადაც არ ღირს, საფლავზე წარწერილ ციფრებს შორის რომ დასვამენ...

თურმე რა ცბიერება ჩაბუდებულა ბერის სულში?.. აი, გაიჩხაკუნებს კარის რაზა, მთქნარებით გაიღება ლევიათანის ყბა და დერეფნის სიბნელიდან ზღურბლზე წამოიმართება კასრივით მრგვალი და მძიმე კომენდანტი, ფენაფენა ქონიდან ძლივსღა მოჩანს ორი პაწია ჭრილი — ტახის თვალები. უხეში ძალისა და ბოროტების სიმბოლო, იგი შემობაჯბაჯდება, სიკვდილის სიცივეს შემოიტანს, ეჭვიანად ახედდახედავს პატიმარს და ცხვირში ჩაიდუდღუნებს:

— როგორ მიდის მეცადინეობა?

— დიახ, დიახ, ნიჭიერი ბავშვია, ძალიან კარგად ითვისებს ჩემს გაკვეთილებს! — უწყინარი თვალთმაქცობით პასუხობს ბერი, სულში კი პაწია ეშმა სიცილით ჩაბჟირდება.

მისი გაკვეთილები მართლაც სწრაფად აითვისა მოწაფემ. ოთახში მსუბუქი ხალათით შემოდიოდა, იმის ქვეშ საცვლებს არც იცვამდა, რათა დრო არ დაეკარგა და ჭაბუკადქცეული ბერი ნეტარების ისეთ მწვერვალებზე დაფრინავდა, ზონიდან და მთელი ციმბირეთიდან ცის ლაჟვარდოვანს აღწევდა.

— ბებერი ტურა! — კრუტუნებდა ნატაშა, თრთოლვა უვლიდა, ნდომისაგან დნებოდა. მოშიშვლებულ, გლუვ კანზე კაცის შავად დაკორძებული ხელი გართხმულ ობობას ჰგავდა, მაგრამ ამას ის ვერ ხედავდა, რადგან ნეტარებდა წიგნის რომანტიკულ გმირთან, რომლის რეალური ხატი არც აინტერესებდა. იგი მხოლოდ საკუთარ ქალურ საწყისს უგდებდა ყურს და მისი კარნახით ცხოვრობდა.

გაზაფხული ზამთრის გაგრძელებას დაემსგავსა, ოღონდ ოდნავ უფრო ჭინჭყლი და უსიამოვნო იყო. სწორედ ასეთ დღეს შემოვიდა ნატაშა. ხალათის ნაცვლად მოწაფური კაბა ეცვა. მკერდზე კომკავშირული სამკერდე ნიშანი მიებნია. დაწნული თმები თავზევით გვირგვინად შეეკრა. სიმკაცრეს და მიუკარებლობას ასხივებდა და ბერი უჩვეული რიდმა შეიპყრო.

— იოსებ სტალინი მოკვდა! — თქვა მოწყვეტით ნატაშამ, ტახტის კიდეზე ჩამოჯდა, დიდრონ თვალებში ცრემლი შეუგუბდა.

ბერი გაშრა, ტაბურეტზე დაეშვა და ხელისგულები პირზე აიფარა.

თითქოს დაბნელდა, გონება აერია, ვეღარ გაზომა მოულოდნელი ელდის სიღრმე.

მხრები შეუთრთოლდა, შეაძაგძაგა.

ტაბურეტიდან წამოიწია, ტახტზე პირქვე დაემხო და ზმუილი მორთო.

ცდილობდა თავს მორეოდა, ხელისგულით პირი მოემუწა, მაგრამ გულმუცლიდან შეუკავებული ზმუილი ამოსდიოდა და ვერაფრით შეეჩერებინა.

ნატაშა შეშინდა, ფეხზე წამოხტა, დახედა აძაგძაგებულ კაცს და გარეთ გავარდა.

ბერი ზაქარაია ზმუოდა, ზმუოდა და ბოლოს წასკდა — ტირილი გიჟურ ხარხარში გადაეზარდა... ზურგზე გადაბრუნდა, კოტრიალობდა, ტლინკებს ისროდა და ხარხარებდა... თან თვალთაგან ცრემლი სდიოდა, თვითონაც ვერ გაეგო, სიხარულისა თუ მწუხარებისაგან...

33

ზონამ მხოლოდ ზაფხულში გაიგო დიდი ბელადის გარდაცვალების ამბავი. პლაცზე პატიმრები ჩაამწკრივეს და კომენდანტმა წაუკითხა ეს სამწუხარო ცნობა, თანაც დაამატა, გლოვა გლოვაა, მაგრამ დისციპლინა და განაწესისადმი მორჩილება აუცილებელიაო.

გარიჟრაჟზე კი უბედურება მოხდა! ვინ იცის, ბიძგი ვინ მისცა, როდიდან დაგუბებულმა ბოღმამ იფეთქა, როდის დათესილი შხამიანი თესლიდან ურჩხული ამოიზარდა.

ბინდი იცრიცებოდა, როცა კოშკურიდან შაშხანის სროლა მოისმა. ბერი წამოხტა, მზერა სიბნელეს მიაპყრო. სარკმლის შუშა წითლად ღუდღუდებდა. გარედან ტკაცატკუცი და კაცთა ჟრიამული ისმოდა.

„ხანძარია!“ — დაასკვნა.

სწრაფად ჩაიცვა და ჭუჭრუტანას მიეწება.

ბარაკი იწვოდა, ცეცხლი უკვე სახურავზე ავარდნილიყო. მეწამულ ფონზე შავი ლანდები მიმორბოდნენ და ბერის მოეჩვენა, ცეცხლს აქრობენო... უცებ ასწია ვიღაცამ ნაჯახი და მეორის თავზე დაუშვა... საზარელი კივილი, ხმის მოულოდნელი ჩაწყვეტა, დაცემული სხეულის ბრაგვანი...

ბერის შიშისაგან თითქოს დამბლა დაეცა, ხერხემალი გაუკავდა. ვერა და ვერ მოსცილდა ჭუჭრუტანას. აშკარად გაარჩია გამყინავი, მძულვარებით სავსე ღრიალი:

— ბეი გრუზინ!

ცეცხლი მეზობელ ბარაკებს გადაედო, აგურგურდა. ზონა დღესავით გაანათა. ბერიმ იხილა, ბრბო ღრიანცელით როგორ ნადირობდა ადამიანებზე... აგერ ჟორა იცნო... დარბაისელი, თავმომწონე ჟორა აქეთკენ გამორბოდა, საშველს ეძებდა... მავთულხლართს გადააწყდა, ზედ აბობღდა, მაგრამ მიუსწრეს, ნაჯახებითა და სახანძრო ბარებით აკუწეს...

— დასცხეთ ქართველებს!

რამდენიმემ აკრძალულ სივრცეში შეასწრო, შიდა მავთულხლართი გადალახა... უმალ კოშკურებიდან აკაკანდა ტყვიამფრქვევი და ვინც ნაჯახს გაექცა, ტყვიით მოცელილნი ჩაწვნენ...

— დასცხეთ ქართველებს! — მოისმოდა ზონის სხვადასხვა ბოლოდან... ცეცხლი კი ძლიერდებოდა, ბარაკიდან ბარაკზე გადადიოდა, ხარბად ლოკავდა ჩაშავებულ კედლებს.

ბერის მუხლები მოუდუნდა, ძირს გაწვა. ბავშვივით ტიროდა და ტახტის ქვეშ მიძვრებოდა, შორეულ კუნჭულში, რათა დამალვოდა საშინელ ხვედრს.

ყურში კი ძველებურად, იქედნურად ჩაიხითხითა ქოსა ძღვიბიამ:

„ჩაიფსი, ბიჭო, ბერი?“

თანდათან მიწყნარდა ხმები. უკვე აღარ ისმოდა სისხლმოწყურებული ბრბოს ხავილი, კოშკურებიდან კანტიკუნტად თუ გაისროდნენ გამაფრთხილებლად.

დღის სინათლე შემოიპარა ოთახში, გაცრეცილი და უღონო.

შიშით დალეული ბერი გამოფოფხდა ტახტიდან, კვლავ ჭუჭრუტანას მიეწება.

ჯანღი გაიფანტა. მზე დაეკიდა აღმოსავლეთის ჰორიზონტზე და მისი მეწამული სხივები დაეფინა დანახშირებულ ბარაკებს, მხრჩოლავ მორებს, ლანდადქცეულ ადამიანებს, საკუთარი ბოროტებით დათრგუნვილები რომ დალასლასებდნენ აქეთიქით და უჩუმრად აგროვებდნენ მიმოფანტულ გვამებს.

ბერიმ თვალი ვერ გაუსწორა მავთულხლართზე გადაკიდებულ გვამს, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ მისი კეთილისმ-

ყოფელი ჟორა იყო, დღეს კი ხორცის გროვად ქცეულიყო. თავი აქეთკენ მოეღრიცა და ცალი, გადარჩენილი თვალი საყვედურით მოებჯინა, ვაჟკაცობა რატომ არ გეყო, რატომ არ მიშველეო.

უყურებდა ყოველივე ამას ბერი ზაქარაია, ცრემლი თავისთავად ჩამოსდიოდა. ამ რამდენიმე საათში მოტყდა, დაბერდა, კვლავ შეუბრუნდა შიშის სენი, მეტასტაზებად მოედო სხეულსა და სულს...

ალბათ დაავიწყდათ მისი არსებობა. მთელი დღე არავინ მოაკითხა... გარეთ კოლონებად აწყობდნენ პატიმრებს. ავტომატიან ჯარისკაცებს ავი ქოფაკები სადავით ძლივს ეჭირათ. პირუტყვი სისხლის სუნს გაეცოფებინა... კოლონები გაჰყავდათ ზონიდან. „ზეკების“ ჯგუფი კი ეზოს კუთხეში ხაროს თხრიდა, რათა მსხვერპლნი ერთიანად ჩაეხვეტათ და მათი არსებობის კვალიც წარეშალათ.

გულისრევა მოაწვა ბერის, თავი ძლივს შეიკავა. ტაბურეტზე დაჯდა, მაგიდაზე დაემხო და ბედს მიენდო.

მეორე დღეს მოიცალა კომენდანტმა მისთვის, ზღურბლზე გადმოალაჯა, ყურადღებით შეათვალიერა.

— საქმე მოსალოცადა გაქვს! — დაიხრუტუნა. — ქართველებიდან შენღა გადარჩი. ეს ჩემი ნატაშას დამსახურებაა... არადა, დასანანია, დღეს ამნისტია უნდა გამომეცხადებინა, დაღუპულებს განთავისუფლება ეწერათ, მაგრამ თურმე ბედი არა ჰქონიათ.

გამტკნარებული უსმენდა ბერი. ამნისტიაო, განთავისუფლებაო... ვინ ეშმაკმა შეაბრუნა ჯოჯოხეთის ეს კევრი...

— მოწესრიგდი! კანცელარიაში შენი საბუთები მზადაა. რაკი არეულობაში მონაწილეობა არ მიგიღია, ამნისტია შენზეც ვრცელდება. ამასაც ნატაშას უნდა უმადლოდე. გოგონა აღფრთოვანებულია თავისი მასწავლებლით. ნეტა ვიცოდე, ისეთი რა თაფლი წაუცხე!

ბერის პირი გაშრობოდა, ნერწყვი ვერ გადაეყლაპა.

— მოქალაქე უფროსო, მსხვერპლი ბევრი იყო?

კომენდანტს თვალები უფრო დაუწვრილდა, თითქმის გაუქრა.

— ეს შენ არ გეხება! ზონის ამბებზე, გაფრთხილებ, სიტყვა არსად დაგცდეს! ეს სახელმწიფო საიდუმლოებაა და მისი გაცხადება კანონით ისჯება.

საათიც არ გასულა და ძველ ბამბურაში ჩაცმული ბერი ზაქარაია თავისი შუშაგაბზარული სათვალიდან ბეცად შეჰყურებდა ნატაშას, საკონტროლო პუნქტამდე რომ გამოაცილა.

— ბებერო ტურავ, — ასე უთხრა ნატაშამ, — არ დამივიწყო! ჩვენც მალე გავემგზავრებით, ზონას ხურავენ. რა ბედნიერებაა, მამაჩემი დედაქალაქში გადაჰყავთ. იქ კინოც იქნება, ბიჭებიც, ცეკვებიც... მაინც არ დამივიწყო, ბებერო ტურავ!

— ნატაშა, ძვირფასო ბავშვო, ჩემო გადამრჩენელო! — წაილუღლუღა ბერიმ.

გოგონას სახე მოეღრუბლა, ჩასჩურჩულა:

— ოცდაჩვიდმეტი ქართველი დაჩეხეს, მარტო შენ გადარჩი!

ცერზე აიწია, ლოყაზე მიამიტურად, რაღაცნაირად უბიწოდ აკოცა, შეტრიალდა და გაიქცა...

წარსული ცხოვრებით დატვირთული მიემგზავრებოდა ბერი ზაქარაია შინისაკენ, ძლივს მიათრევდა შიშის მეტასტაზებით დამძიმებულ სხეულს...

„ძია, გეხვეწები, როცა დამმარხავენ, პერანგს ნუ გამხდიან, მრცხვენია!“ — პატარა, დალეული გოგონას ჩურჩული სდევდა...

34

— „დამწუხრდა დედა მოსკოვი, თავი დახარა თბილისმაც, დროშის ტალღაზე ესვენა მედროშე კომუნიზმისა!..“ — ქალის მწუხარე ხმას სამგლოვიარო მუსიკა ახლდა, რაც ამძაფრებდა ისტორიული მომენტის მნიშვნელობას.

აქამდე სამშობლო და სტალინი თითქოს გაიგივებული იყო. ამიერიდან ქვეყანა დაობლდა და არავინ იცოდა, ხვალინდელი დღე რას მოიტანდა... *„ეს რა გლოვის ხმა გვესმის ამ დილით, ეს რა გლოვის ზარს არისხებს კრემლი...“*

ქალაქი შავლენტიანი წითელი დროშებით მოიფინა, ყველგან სტალინის შავარშიანი პორტრეტებია გამოფენილი... *„შავი არშია სურათს მიეკრა, დროშას ავლია გლოვის არშია...“* ხელმძღვანელ ამხანაგებსაც წითელი, შავარშიანი სამკლაურები უკეთიათ...

სამგლოვიარო პროცესიები მერეთის სხვადასხვა კუთხიდან დაიძრა, მოაქვთ მაღლა აღმართული პორტრეტები და დაბლა დახრილი დროშები...

სასულე ორკესტრი სამგლოვიარო მუსიკას აჟღერებს. მოფარფატე ბგერები ცაში დაფრინავენ და ჩიტებად იქცევიან...

საყოველთაო მწუხარებას აღარ უხდება კამკამა ლურჯი ცა და მზის ცინცხალი სიკაშკაშე...

მომიტინგეები მაცხოვრისგორასთან გროვდებიან. ზევით, სტალინის მონუმენტთან ფიცარნაგზე ამხანაგები დგანან, ისე შორს და მაღლა არიან, პაწაწა წერტილებივით ჩანან ქვევიდან.

კიბეები კვლავ პიონერებსა და ოქტომბრელებს უპყრიათ და მოუთმენლად ცმუკავენ.

ნიავზე ფარფატებს დროშები, ჟღერს სამგლოვიარო მუსიკა. ენის ბორძიკი აუტყდა მიკროფონთან ჭიპმოჭრილ ამხანაგ გრიშას. მას საკუთარი ბედიღბალი ადარდებს, უღრუბლო ცაზე ჭექაქუხილს ელოდება.

მატრაკვეცა კეკემ ლექსი წაიკითხა:

— „სტალინი ცოცხლობს, ყველას ასე სჯერა ურყევად. გულს ნუ გაიტეხთ! — დღეს პარტიამ გასცა ბრძანება, მზეს ელვარება არასოდეს არ გაუქრება, უკვდავებასთან ხელი არ აქვს გარდაცვალებას!..“

ბიკენტის შვილია კეკე და ათას ბავშვში იგი შეარჩიეს... წინ იხედება ბიკენტი, მომავალსა ჭვრეტს...

ოღონდაც, მართალი თოდუა ვინ შეარჩია?

მართალი ფიცარნაგის კიდეზე დგას... მის უკან პატარა გოგონები ჩამწკრივებულან.

მარჯვენას ასწევს, კამკამა ცას ახედავს და ამაღლებულად ამეტყველდება:

— „ჰე, ამხანაგებო! შორს დარდი და ცრემლი, ეს გული ულეველ სიყვარულს რომ იტევს, — ეკუთვნის სამშობლოს, — ყმაწვილის მჭექარე ხმა თეთრი მტრედივით მაღლა მიფრინავს, გარეშემო სივრცეს გადაევლება, ექო შორით შორიდან პასუხობს: *— მოსკოვი, კრემლი, პარტიის სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!* — ხმას დეპეშის სტილზე დაიყენებს, მერე კვლავ მაღლა აიჭრება: *— არა, ჩვენ არ გვჯერა სტალინის სიკვდილი — დღეს მისი პარტია კვლავ სდგას ტიტანივით, სტალინი იცოცხლებს, იგი არ მოკვდება, რადგანაც წინსწრაფვა...“*

აი, აქ შეირხევიან გოგონები, შოშიის ბარტყებივით პირებს დააღებენ და რეფრენს მიუსწრაფებენ:

— „ეს არის სტალინი!“

მართალი კვლავ მიუგდებს:

— „რადგანაც სინათლე...“

— „ეს არის სტალინი!“

— „რადგანაც პარტია...“

— „ეს არის სტალინი!“

— „რადგან კომუნიზმი...“

— „ეს არის სტალინი!“

რეპროდუქტორებმა მრავალგზის გაიმეორეს ეს სიტყვები, მერეთის თავზე აფარფატდნენ, მიმოიფანტნენ, გარეუბნებს უწიეს — „ეს არის სტალინი!..“ „ეს არის სტალინი!..“ „ეს არის სტალინი!..“

ბრინჯაოს მონუმენტმა ულვაშებში ჩაიღიმა, ჩიბუხი შეარხია და მეგობრულად ჩაიდუდუნა:

„დიახ! დიახ!“

გოგონები ჩამოფრთხიალდნენ ფიცარნაგიდან. მართალიც ჩამოხტა, ხალხში გაერია. წუთის წინანდელი აღმაფრენა დაიცხრო, რატომღაც უკმაყოფილება იგრძნო. გლოვა სპექტაკლით შეიცვალა. ცარიელი სიტყვები ცაში გაიფანტა და გულში არაფერი ჩარჩა.

— როგორი ქართველი დავკარგეთ! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ მის გვერდით. გოდორა კაცი იყო. სხვებმა დაუდასტურეს:

— აბა, აბა!

„როგორი ქართველი! — იაზრა მართალიმ. — სტალინი ხომ თავისთავად გენიაა, ეპოქაა, მაგრამ ამავე დროს ის ქართველია...“ აქამდე გულის კუნჭულში მიმალულ პატივმოყვარეობას მალამოდ მოეცხო ეს სიტყვები და გლოვისათვის სრულიად შეუფერებლად, გუნებაში ჩაიღიღინა:

„პატარა გორი დიდია, დიდი სტალინის მშობელი...“

დიახ, მსოფლიოს ხომ ვუჩვენეთ ვინცა ვართ!

მკლავზე მოჰქაჩეს. კეკემ შემოსცინა, უსწორო კბილები თეთრად უელავდა.

— კარგი იყო!

— შენ იყავი კარგი, ლამაზი იყავი! — უნებლიეთ შეეპასუხა.

კეკეს სინათლემ გადაურბინა და თვალები აუკიაფდა.

„ბავშვებს გლოვა არ შეუძლიათ!“ — გაიფიქრა მართალიმ. არც თვითონ შეეძლო დიდხანს ეზიდა მწუხარების მძიმე ტვირთი, მით უფრო გაზაფხულის ამ ცისკროვან დღეს.

— როგორა ხარ, ბიჩო? — ჰკითხა საიდანღაც გამომძვრალმა ზინაიდა პეტროვნამ.

მკერდზე სტალინის მომცრო პორტრეტი ჩაეხუტებინა და ნამტირალევი თვალები დასწითლებოდა.

მართალიმ ამოიოხრა. ამით დაუმტკიცა, მეც შეწუხებული ვარო, თუმცა ცოტათი შერცხვა საკუთარი ფარისევლობისა.

კეკეზე ფიქრობდა, თვალწინ მისი „გონჯი“ სახე ედგა და წამით გამოითიშა.

— მაგარი ქართველი დავკარგეთ! — თქვა ისევ იმ კაცმა.

— მეორე მაგარი ქართველი დაგვრჩა მოსკოვში! — ჩაურთო ვიღაცამ.

ამ დროს ჩამოჰკრეს ჩონგურის სიმს და დაბალ ხმაზე, სევდანარევად წაუმღერეს მეჩონგურე ქალებმა:

— *„ჩქინი ბერია თექ ვარენო, ირო თქუანს სიმართლესი, მუნაფასი ფაჩუნსუ დო მოძირანა სინათლესი, ნა...“*

„თითო ქართველი ყოველთვისა გვყავს დედაქალაქში!“ — გაიფიქრა მართალიმ და ეს აზრი ესიამოვნა...

35

გამოცდები დიდად არ გაძნელებიათ. საღამო სკოლას ისედაც სულ რამდენიმე ახალგაზრდა შერჩა და ამათ ვინ გააშავებდა. სამ სახელგანთქმულ ჭაბუკს, სტალინის მონუმენტის კომკავშირელ მშენებლებს მით უფრო არავინ გადაუღობავდა გზას. აღნიშნა კიდეც აქლემაპარმენმა:

— სულაც გამოტვინებულნი რომ იყოთ, ჩვენი უბადლო ბელადის მონუმენტის აღმშენებლებს დაბალ ნიშნებს მაინც ვერ გაკადრებთ!

ასე იყო თუ ისე, ივნისის მზიან დღეს დირექტორმა თამარამ ახალგაზრდებს სკოლის დამთავრება მიულოცა, ატესტატები ჩამოურიგა, რის შემდეგაც ყველანი აივანზე გაიკრიფნენ და სამახსოვრო ფოტოსურათები გადაიღეს.

— ახლა კი დედაჩემი გველოდება, ეს ამბავი უნდა აღვნიშნოთ! — განუცხადა დურუმ მართალის და არიქას.

— დედაჩემიც გველოდება! — თქვა არიქამ.

ამაზე შეკამათდნენ. მართალის არავინ ელოდებოდა და მორჩით, იქაც მივიდეთ და იქაცო, ძმაკაცები დააშოშმინა.

ციცქნა, მუდამჟამს დამფრთხალი კატო დეიდა დაბნეული ფაცურობდა, ხელიდან ყველაფერი უვარდებოდა. ზოგჯერ გაირინდებოდა, სათითაოდ შეათვალიერებდა ყმაწვილებს, თითქოს უკვირდა, ასე უცებ, თვალის დახამხამებაში რანაირად დაკაცდნენო. გუშინ რომ დურუს ღვინო მოეთხოვა, კატო დეიდას, ალბათ, გული შეუღონდებოდა, ახლა კი მისი შვილი კაცივით დაჯდა სუფრის თავზე, გადახედა ლამაზად გაწყობილ პურმარილს და ბრძანა:

— შენ მარჯვნივ დაჯექი, შენ მარცხნივ! — მერე დედას მიუბრუნდა: — შენც დაჯექი, ოღონდ მამაჩემის პატარა ყანწიც აქ დამიდგი, მაგით განსხვავებულს შევსვამთ!

„შევსვამთო!“ — არიქამ და მართალიმ ერთმანეთს გადახედეს, კაცები იყვნენ და უნდა შეესვათ კიდეც. თუმცა, რა ასმევთ ნეტა კაცებს ამ მჟავე სითხესო, კი გაივლეს გუნებაში.

— ძმებო, დღევანდელ დღეს გაუმარჯოს! — რიხით წამოიწყო დურუმ. — ადრეც ბევრი გვილაპარაკნია, გვიკამათნია, მაგრამ რაც იყო, ბავშვობა იყო და დღეის იქით ჩაგორდა წარსულში! ამიერიდან სამყაროს კარიბჭესთან ვდგავართ და რასაც დავიპყრობთ, სულ ჩვენია!

— *„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!“* — ჩაურთო მართალიმ.

— ცხოვრება ყველას შეახვედრებს კუთვნილ სიკეთეს, ოღონდ დროულად შევამჩნიოთ და ხელი ვსტაცოთ! — მიულექსა არიქამ.

— ამინ, ღმერთმა გისმინოთ, შვილებო! — კატომ პირჯვარი გადაიწერა.

ჭიქები მიაჭახუნეს... ყელში არ გადადიოდა, მაგრამ ჯიბრით დაცალეს. მეგობრებს დურუმ დაასწრო, წვეთი არ ჩატოვა და შეუტია:

— აბა, გოგოებივით ნუ ინაზებით, თუ ქეიფია, ქეიფი იყოს!

მეორე ჭიქა უფრო ძნელი აღმოჩნდა, მესამე — არც ისე ძნელი.

„განსხვავებული სასმისიო“ და დურუმ ყანწი შეივსო. ჭიქანახევრიანი იყო, მაგრამ აქამდე ხომ ყანწი ხელში არა სჭეროდათ და მართლაც დაიჯერეს, კაცები ვართო, რაკი კაცები ვართ, ამის დალევასაც შევძლებთ, ნებართვა არავისგან გვჭირდება, ჭკუა ჩვენ თვითონ მოგვეკითხებაო.

წამოდგა დურუ ფეხზე. ხვალზეგ ბეჭებგანიერი და ახოვანი ვაჟკაცი დადგებოდა ალბათ, ახლაც ვერავინ დაუწუნებდა ტანადობას.

— ცხონებული მამაჩემის სული მაპატიებს, რადგან ამ განსხვავებული სასმისით ჯერ სხვა სადღეგრძელო უნდა წარმოვთქვა! — განაცხადა საზეიმო კილოთი. — მე მინდა ამით დავლიო ნომერ პირველი ქართველის სადღეგრძელო!

— რუსთაველის? — იკითხა არიქამ.

— რამ დაგათრო, ბიჭო, ასე უცებ? — გაუკვირდა დურუს. — მე მინდა მსოფლიო ხალხთა დიდი ბელადის სტალინის

სადღეგრძელო დავლიო!.. შეიძლება, დედამიწის ზურგზე უკანასკნელი ქართველი არ დარჩეს, მისი სახელი კი დარჩება!

— ღმერთმა ნუ ქნას, შვილო! — ხელები გაასავსავა კატომ.

— ასეთი მაგრები ვართ ჩვენ, ქართველები! — გალაღდა დურუ. — მეოცე საუკუნეში აბა ვისა ჰყავს ასეთი გმირი... ჩვენც მაგრები ვართ, ძმებო, მაგრა ვიმუშავეთ!

— ჰო, მაგრები ვართ, ქვები ვზიდეთ! — გონება დაებინდა მართალის, უაზროდ პასუხობდა.

— მე კი ფეხიც შევწირე! — ჩაიჭიჭყინა არიქამ.

გემრიელი ხაჭაპური გამოეცხო დეიდა კატოს. ელარჯი ისე იწელებოდა, ლუკმას ვერ მოაცილებდი... გარეთ მზე ჩასვლას აპირებდა, სიცხე ნელდებოდა, ღია კარფანჯრებში ნიავი ქაქანებდა... ახალგაზრდებსაც თავში უქაქანებდა და თამადა ცდილობდა გეზი არ შეშლოდა... მამის სული მოიხსენია... დედა ცამდე აიყვანა. მართალი და არიქა წამოდგნენ, დიდის ამბით უთხრეს, ჩვენთვის დეიდა კი არა, ნამდვილი დედა ხარო, კოცნეს და კოცნეს... კატომ თვალებიდან ბედნიერების ცრემლი გადმოყარა...

— ახლა კი, — თითი ასწია დურუმ, ვიღაცას დაემუქრა, — „მარგალი კოჩიში“ * სადღეგრძელო შევსვათ. ის მეორე კაცია ქართველებში და პირველი მარგალებში! მთავარია, ჩვენ უპატრონოდ არა ვართ მოსკოვში!

— უპატრონოები ინდიელებია რეზერვაციებში, ჩვენ რატომ ვიქნებით უპატრონოდ? — უკმაყოფილოდ იკითხა არიქამ.

მართალიმ ჭიქა ასწია და ლექსი ჩააჭიკჭიკა:

— *„სტალინის დროშის დიდებას იცავ, სტალინის სიბრძნის გათბობს ნათელი. სიმართლის მცველო, ორგულთა რისხვავ, შენს სახელს ჰფიცავს ყველა ქართველი...“*

დურუმ „ვაშა“ შესძახა და ტაშიც შემოჰკრა. არიქამ მოიწყინა და ჯიუტად თქვა:

— დედა მელოდება!

თამადა დაცხრა, მხარზე ხელი მოფერებით მოუთათუნა:

— კაი თუ ძმა ხარ, ისე კარგად ვქეიფობთ, სუფრას ნუ ამიშლი!

— დედა მელოდება! — გაიმეორა არიქამ და საწყლად დაამატა: — ცუდად ვარ, ბიჭებო!

— ვაიმე, შვილო, ღვინომ გაწყინა? — დაფრთხა კატო.

— დაჯექი, დედა, შენ ნუ ღელავ! — მკაცრად თქვა დურუმ. — ამას ჩვენ გავარკვევთ! მაშ, მეგობრების სადღეგრძელო აღარ დავლიოთ?

— ჩვენთან დავლიოთ! — არიქას ფერი დააკლდა, გაიცრიცა. — დედა მელოდება, თან ცუდადა ვარ!

მართალი უცბად გამოფხიზლდა.

— ჰო, წავიდეთ, არიქა წავიყვანოთ!

დურუმ ჭიქა მაინც არ დადგა, მეგობრების სადღეგრძელო დალია, ლუკმაც დააყოლა და არიქა ჩიტივით აიტაცა, მხრით შეებჯინა.

ქუჩაში გავიდნენ. შებინდებულიყო.

— ისევ ცუდადა ხარ? — ჰკითხა დურუმ.

— გადამიარა, ახლა უკეთა ვარ! — გრილმა ჰაერმა არიქა გაახალისა.

დურუ მხიარულ ჭკუაზე იყო და ჩაიღიღინა:

— ართ ცოროფილ მათ ქოპუნსი, გურშა მიხუტოლუანს, ნა...

— სი სოთინი მიდურქუნი, შხვასი ქიხუტოლუანსი, ნა... — ჩაურთო არიქამ.

— ქიანას კოჩი გოჭყორდუნი, უკული მოგიგონუანსი, ნა... * — დაასრულა მართალიმ.

სიცილხითხითით მიღწიეს არიქას სახლამდე.

აქაც გაშლილი სუფრა ელოდებოდათ. ფუცუ დეიდამ სათითაოდ ჩაიხუტა, ლოყები დაუკოცნა სამივეს.

— მოგილოცავთ, შვილებო, მოგილოცავთ! დაკაცდით, დავაჟკაცდით, კაცებოვაჟკაცებო!.. ეს რამდენი მალოდინეთ, ღომი გამიცივდა კარდალში!

დურუ აქაც სუფრის თავზე გამოიჭიმა, ღვინო ჩამოასხა ჭიქებში.

არიქამ პირი განზე მიაბრუნა, ცხვირზე ხელი იტაცა და გარეთ ძლივს გაასწრო.

— ჩემი სიკვდილი, აწყინა ღვინომ! — უკან გამოეკიდა ფუცუ.

— სუსტია! — განაცხადა დურუმ. — არიქა ძაძუა სმაში ვერასოდეს დაჯაბნის დურუ გეგიას!

— მაგას დაგიმახსოვრებ! — მართალის ღვინო დასანახადაც შესჯავრდა. — ათი წლის შემდეგ შეგაჯიბრებთ...

ხელი ხელს დაუკრეს.

ძლივს შემოლასლასდა არიქა, დედა ეხმარებოდა, ფერი არ ედო.

— მეტი არ შემიძლია, ბიჭებო! — სუფრას თვალი მოარიდა.

— ფუცუ დეიდა, წაიყვანე და ლოგინში ჩააწვინე ეგ გლახა! — დიდის ამბით ბრძანა დურუმ. — მე და მართალი დავლევთ ახლა მაგის სადღეგრძელოს და ხვალ კენჭივით იქნება!

— ჩვენ ძმები ვართ! — მართალის დაასლოკინა. — ჩვენ ვართ ათოს, პორტოს და არამისი!

— დიაახ! ამ ჭიქით ჩვენს არიქას ვადღეგრძელებთ!

დურუმ ორისამი სადღეგრძელო კიდევ მოაქიჩმაჩა, მაგრამ მართალისაც უკვე მეტი ღონე აღარა ჰქონდა.

გვიანი იყო, როცა ფუცუ დეიდას გამოემშვიდობნენ. მისავათებულმა არიქამ თვალი ძლივს გაახილა და გამოსამშვიდობებელი სიტყვა წაილუღლუღა.

ტალახაძის ქუჩა მთლად ჩაბნელებულიყო.

დურუ შედგა და უცებ მთელი ხმით დასჭექა:

— ცოროფილი აკა პუნსუ, ქუმოძირუნ აკა წუნსუ...*

მართალიმ ხმა აუწყო, ოღონდ უფრო მოზომილად, მეზობლებისა მოერიდა.

— ცოროფილი ჟირი პუნსუ, ჟირი ხოლო ჯგირი პუნსუ...*

დურუმ ყროყინი შეწყვიტა და იკითხა:

— რატომ ჰქვია ამ ქუჩას, მაგალითად, ტალახაძე? ტალახი რომაა, იმიტომ?

— წამო, შინ მიგაცილებ! — შესთავაზა მართალიმ.

— არა, მე მიგაცილებ!

— არა, მე!

ცოტა ხანს იძიძგილავეს, მერე ხელი ხელს დაუკრეს და თავთავიანთი გზით წავიდნენ.

ბნელში, ჭიშკართან შეყოვნებული მართალი ურდულს ეძებდა და ღიღინებდა:

— ᲪᲝᲠᲝᲤᲘᲚᲘ ᲕᲘᲗᲘ ᲞᲣᲜᲡᲣ, ᲗᲔᲗ ᲞᲣᲜᲡᲣ ᲓᲝ ᲗᲘᲗᲘ ᲞᲣᲜᲡᲣ...*

„არა, რატომ ჰქვია ტალახაძე? — წყენით გაიფიქრა. — ვინ ოხერია ეს ტალახაძე?.. ბერიას დიდი მეგობარიაო, ჰი... სახელი უნდა გამოვუცვალოთ... ერთი კაი სახელი უნდა მოვიგონო!“

ლოგინს ხელის ფათურით მიაგნო და უკვე ძილბურანში წაიბუტბუტა:

— რა დავარქვა?.. ყველაზე გრძელ გვარს მოვიგონებ... მამუკა თავაქალაშვილისა... მამუკას ქუჩა...

ჩაეძინა...

36

მერეთში ჭორი გავრცელდა, თვით ლავრენტი ბერია ჩამოვიდა მონუმენტის სანახავადო. თურმე საგანგებო მატარებელი ჩამოდგა რკინიგზის სადგურზე. სამგზავრო ვაგონებს ერთი საბარგოც ება. გააღეს კარი და შავი ლიმუზინი ჩამოაგორეს. ისეთიაო, ამბობდნენ, ტყვიას არ ატარებსო. ამხანაგი გრიშა და ბიკენტი თოლორაია დახვდნენ სტუმარს თავიანთი მანქანებით. მთელი მილიცია ფეხზე იდგა, მაგრამ ჩამოსულს დაცვის ბიჭები ჩამოჰყვნენ, ტყვიას კბილებით რომ იჭერენ, ისეთები.

მართალიმ თავისი თვალით დაინახა შავი, გრძელი მანქანა. ფანჯრებზე ფარდები ჩამოეწიათ და მგზავრები არ ჩანდნენ. ამხანაგი გრიშას და ბიკენტის მანქანებიც კუდში მისდევდნენ. ბულვარს რამდენჯერმე შემოუარეს, ალბათ სტუმარი ქალაქს ათვალიერებდა. მაცხოვრისგორასაც მიადგნენ, იქიდან კარგა ხანს არ მობრუნებულან. მართლა ავიდა სტუმარი იმ კიბეზე თუ ქვევიდან ახედა, ეს ვერავინ გაიგო. ერთხანს მუზეუმთანაც იდგნენ. სადილობის ჟამს რესტორან „ჩხერიაში“ შევიდნენ. იმ დღეს რესტორანი რიგითი მოქალაქეებისათვის დაიკეტა და მილიცია არავის უშვებდა. მერე ოფიციანტები ირწმუნებოდნენ, ლავრენტის ვემსახურებოდითო, მაგრამ უფრო ჭკუათმყოფელნი არ იჯერებდნენ, ასეთ დროს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ჩვენს დიად სამშობლოს იმპერიალისტური აგრესია ემუქრება, სად ეცლებოდა მთავარ „მარგალს“ მერეთში ჩამოსასვლელადო.

14 ივნისს კეკეს თოთხმეტი შეუსრულდა. არც მართალის, არც მის ძმაკაცებს დაბადების დღე არასოდეს გადაუხდიათ. ისე დალხენით არავინ ცხოვრობდა, საკუთარი დაბადების დღე გახსენებოდა. შემთხვევით ვავა ზარქუამ უთხრა, კეკეს დაბადების დღეზე თოლორაიებმა სტუმრობა იციანო. ზინაიდა პეტროვნა რუსია, რუსმა კი დაბადების დღეზე ცეკვისაგან ქუსლები თუ არ გადაიტყავა, დარდით მოკვდებაო... ამიტომაც გადაწყვიტა მართალიმ წასვლა...

ცხადია, საჩუქარზე უნდა ეზრუნა. მრჩეველი არავინა ჰყავდა, თვითონ კი დიდხანს იჭყლიტა ტვინი. წიგნებში ამოეკითხა, ქალებს დაბადების დღეზე ბრილიანტებს ან ყვავილებს მიართმევენო. ბრილიანტების ფული სადა ჰქონდა, ყვავილებით კი მერეთში არავინ დადიოდა და ბიჭები დასცინებდნენ. ბოლოს თავში ბედნიერი აზრი მოუვიდა. აიღო ვატმანის ქაღალდი და ზედ ფერებით დახატა: კეკე დამჯდარა ყვავილებით მორთულ მდელოზე და თავზე გვირილების გვირგვინი დაუდგამს... შორიდან შეხედავ, თვითონ კეკე ჰგავს თეთრ გვირილას...

გაზეთში ფრთხილად გაახვია, ბაწრით შეკრა.

იჯახირა, შარვალი გააუთოვა. წინა ღამეს ცივ წყალში ამორეცხილ პერანგზე ღილი დააკერა და უთო ამასაც გადაუსვა.

დიდხანს კოხტაობდა სარკესთან. თმა სავარცხელს არ ემორჩილებოდა. პირისახეზე ბურტყლი მოსდებოდა და საპარ-

სის ერთი ჩამოსმაც კმაროდა. ხან მოსწონდა საკუთარი თავი, ხან კი არა. ამიტომაც ჯერ ვერ დახატა ავტოპორტრეტი, ჯერაც ვერ შეიცნო საკუთარი თავი, ყველაზე უცნობი ნაცნობთა შორის.

დღის სიცხე შენელდა, საღამოს ჩრდილებს სასიამოვნო, რბილი ნიავი მოჰყვებოდა.

თოლორაიების ჭიშკართან ის გრძელი ლიმუზინი იდგა, ორი სხვა მანქანაც. შიგ დიდთავა, დაკუნთული ახალგაზრდები ისხდნენ. ეჭვით შეათვალიერეს მართალი, მანქანიდან არ გადმოსულან, ისე მიადევნეს მზერა.

რიდისაგან ფეხი უკან რჩებოდა. გაბრუნება გვიანი იყო და მოკლე ეზო სწრაფად გადაჭრა.

ლესტამბე წინკარში დახვდა, კედელს მიაჭეჭყა, სახეში შემოაორთქლა.

— სტუმარი გვყავს. — შეთქმულივით ჩასჩურჩულა. — ვითომ ვერ იცანი, გესმის, რამე არ სთხოვო!

მართალი წამოწითლდა, უნდოდა ხელის კვრით მოეშორებინა, მაგრამ კეკემ გამოიხედა, გაუცინა. იღლიაში ამოჩრილი რაღაც დაუნახა და მხიარულად ჰკითხა:

— რა მომიტანე?

მართალიმ გაზეთი შეხსნა, ქაღალდი გაშალა.

კეკემ ტაში შემოჰკრა, ყმაწვილს კისერზე ჩამოეკიდა და ლოყაზე ტკაცანით აკოცა.

თითქოს ეტკინაო, ნაკოცნზე ხელი იტაცა მართალიმ. გოგონამ კი საჩუქარი წააფრიალა.

ბიჭები მიჰყვნენ.

ზალაში სუფრა გაეშალათ, ზედ ხორაგი არ ეტეოდა.

აქ იმ კაცებს მოეყარათ თავი, საზეიმო დღეებში ტრიბუნაზე რომ ჩამომწკრივდებიან და რიგით მოქალაქეებს ზევიდან მოწყენით უქნევენ ხელს. ამ სიცხიან დღეს კოსტიუმებში იხრჩობოდნენ, მძიმე, დახურული კარადებივით შემოწყობოდნენ მაგიდას. ერთადერთი ქალი ერია, ამხანაგი დოდონა, ამასაც რაიკომის თანამშრომლისათვის შესაფერისი სიმკაცრით ეცვა, მაგრამ არც სიკეკლუცე აკლდა... ყველანი მისჩერებოდნენ შუაში მოკალათებულ სტუმარს, რომელიც იმით განსხვავდებოდა სხვათაგან, რომ თავს ლაღად გრძნობდა, თვალებში არავის შესციცინებდა. მისი მრგვალი პირისახე ზომიერი სისავსით გამოირჩეოდა, მელოტზე შუქის ანარეკლი უბრწყინავდა. ოქროს პენსნედან უყურებდა მასპინძლებს და ვისაც მზერას მიაბჯენდა, ის თითქოს წამით კვდებოდა

კეკეს შემოვარდნამ დაარღვია საუბრის რიტმი. ბიკენტის ჭიქა აეწია, ალბათ სადღეგრძელოს ამბობდა და ხელი ეგრევე გაუჩერდა.

სტუმარმა ნახატს გახედა, თავი მოწონებით დაუქნია.

— ყოჩაღ, ნიჭიერი ყმაწვილი ჩანს! — თვალი ჩაუკრა მართალის, ვითომ ეშმაკობაში გამოგიჭირეო, დასძინა: — შეყვარებულის ნახატსა ჰგავს!

მართალის ზაფრა ეცა, სწრაფი მზერა ესროლა ბიკენტის. მასპინძელი არ გატოკებულა, ჭიქა წინანდებურად ეჭირა, მაგრამ მართალი მიხვდა, ბიკენტის სულში რაღაცა მოხდა, უტაქტო სიტყვებმა შეაკრთო თითქოს, უსიამოვნო წამი განაცდევინა.

ლესტამბემ მკლავზე მოჰქაჩა, უკან, სასადილო ოთახისაკენ წაიყვანა.

ბიკენტიმ სახეზე ღიმილი დაიხატა.

— ჩემი გოგო ნიჭიერია, ლექსს ისე წაიკითხავს, თქვენი მოწონებული! სტუმრის პატივსაცემად, მგონი, ახალი ლექსიც დაიზეპირა.

სასადილოში ყმაწვილებისათვის ცალკე სუფრა გაეშალა ზინაიდა პეტროვნას.

— დადუეკით, ბიჩებო, აკ ისადილეთ!

ლესტამბემ ჭიქები შეავსო და სადღეგრძელოსათვის განემზადა, წინა ოთახში კი კეკე აუღურტულდა:

— „ამ ლექსს თვით ხალხი მკარნახობს, არა სჭირდება მგოსანი, მე მხოლოდ შევკარ, შევკონე რითმების კრიალოსანი...“

ტაში დაუკრეს და გახარებული კეკე სასადილოში შემოფრთხიალდა, მართალის პირისპირ დასკუპდა.

— ოჰ, სიყვარული, სიყვარული! — კომიკურად დაინაზა ხმა სტუმარმა. – ყველაფერს თავისი ასაკი უხდება! მე, მაგალითად, ბოლო დროს სულ რაიკომის თანამშრომლები მომწონს!

სუფრაზე თავშეკავებულად ჩაიხითხითეს. აქედან გაუგებარი იყო, ამხანაგი დოდონა მორცხვად გაწითლდა, თუ თვითონაც ხითხითებდა.

— ჩემს სადღეგრძელოს რატომ არ ამბობთ? — ჭირვეულად იკითხა კეკემ.

— ჭკუა მოგმატებოდეს! — მოკლედ მიუგდო ლესტამბემ.

— სულ შენი ჭკუით დავდივარ, აი!

— თოთხმეტი წელი ცოტა არაა, — გაუღიმა მართალიმ, — საცაა სიბერეში შეაბიჯებ! უკვე მომავალ პროფესიაზე უნდა იფიქრო! ალბათ არტისტობა მოგიხდება... „ჯულიეტას როლშია კეკე თოლორაია!“ როგორია, ჰა?

— შენ კი რომეოს როლში, ხომ? — იქედნურად ჩაიხვიხვინა ლესტამბემ.

მართალი გაწითლდა, იხტიბარი არ გაიტეხა, ნათქვამი ყურს იქით გაუშვა.

— მე ალბათ მხატვარი გამოვალ! სახელოსნოს გავხსნი, ქაღალდი და საღებავი ულევია, მიდი და ხატე!

ზინაიდა პეტროვნა ნირშეცვლილი გამოვიდა ზალიდან, თვალებში ძრწოლა ედგა, ხელები გაასავსავა:

— ამ კაცს სტალინი არ მოცონს, ისეტნაირად სტკვამს, კურები დამიგრდზელდა!

ყმაწვილებმა სმენა გააფაციცეს. ეს რაღაც ახალი ამბავი იყო! დედამიწის ზურგზე, პირწავარდნილი იმპერიალისტის გარდა, ვის შეიძლებოდა სტალინი არ მოსწონებოდა! მით უფრო ძნელი წარმოსადგენი იყო, „ამ კაცის“ პირიდან ბელადის თუნდაც მცირე აუგი.

ეტყობა, ზინაიდა პეტროვნას მსგავსად, სხვებსაც ენები ჩაუვარდათ, რაკი მხოლოდ სტუმრის მშვიდი ხმა ისმოდა:

— ბიძია ჯო ბოლო წლებში მეტად ეჭვიანი გახდა! ქვეყანა დახურულ ყუთს დაემსგავსა. ფანჯრები თუ არ გამოვჭერით, სიბნელეში მოვიგუდებით. ცოტა უნდა განვმუხტოთ ვითარება, თორემ დენთის კასრზე ვზივართ და დავიღუპებით. რად გვინდა, მაგალითად, გერმანიის გახლეჩა? ძლიერი, ერთიანი გერმანია მოკავშირედ რომ გავიხადოთ, უფრო მოგებულნი არ დავრჩებით? ომი გათავდა და სულ ომის მდგომარეობაში ვერ ვიქნებით...

მერე ბიკენტი ჩაერთო. ხმადაბლა და მორიდებით ლაპარაკობდა და სიტყვების გარჩევა ჭირდა. აჭრაჭუნდა სავარძლები, აწკარუნდა სასმისები, ღვინო ლიკლიკით ისხმებოდა ჭურჭელში... სერიოზული საუბრიდან კვლავ სადღეგრძელოებზე გადავიდნენ...

უმთავრესად სტუმარს ადღეგრძელებდნენ. სახელს არავინ ამბობდა, ეგრევე „სტუმრად“ მოიხსენიებდნენ. ხატოვან და ამაღლებულ სიტყვებში პირმოთნეობა და შიში ამოიკითხებოდა.

სტუმარმა გიტარა ახსენა. ალბათ ცოტათი შეჭუკჭუკდა უკვე და სიმღერის იშტაზე დადგა... არიქა, გიტარა, გიტარაო, აყვირდნენ... ახლავეო, წამღერებით მოურბენინა ზინაიდა პეტროვნამ... თურმე სტუმარს ყურში ჩააწვეთეს, ამხანაგი დოდონა შესანიშნავად უკრავსო.

მართალი და დაძმაც წამოხტნენ და ზალაში შელაგდნენ, კუთხეში მოკალათდნენ.

დაიდო ამხანაგმა დოდონამ ლამაზ მუხლებზე გიტარა, ლამაზი თითები სიმებზე დააწყო, მარჯვენა ხელის არანაკლებ ლამაზი თითებით სიმებზე გადაირბინა, ლამაზი ყელი მოიღერა და ისეთი ნარნარი ხმა ამოუშვა, კაცებს გაახსენა, რომ კაცებად იწოდებიან... სტუმარმა გულზე ხელი მიიდო და თაფლნაჭამივით ტკბილად იღიმებოდა.

*— ართ გიტარა ქომუჩუნი, სოფელი დომილინუუნი, სქანი დო ჩქიმი გურიშ ჭუა ლექსო ქომიბირუუნი, ნა...**

სტუმარმა უცებ მკერდზე მუშტი დაიბრაგუნა, საღი კბილები დაკრიჭა და გაიხუმრა:

— არ ვიცი, ბოლო დროს რა მემართება, რაღაც სულ რაიკომის მდივნები მიყვარდება! ვენაცვალე, მდივანი რომ კაი გოგოა!

ამხანაგ გრიშას ფერი ეცვალა. პირი ისე მოაღო, ეტყობა, ჰაერი არ ყოფნიდა. ამხანაგი დოდონა კი ვარდივით გაწითლდა.

კარადებივით ჩამწკრივებული კაცები თითქოს დენმა დამუხტაო. აქამდე ამხანაგ გრიშას მიზიდულობა იგრძნობოდა, ახლა კი ამხანაგ დოდონას შეჰყურებდნენ სინაზით.

სახეაწითლებულმა, ღვინისაგან ამჩატებულმა სტუმარმა დანაჩანგალი აიღო, თეფშის კიდეზე ჩამოჰკრა და ჩახლეჩილი ხმით ჩასძახა:

*— ჩქიმი ჩონგური ტუმუტუმუ, განათლებას ქუმურთუმუ, კოლექტივშა მიშებლი დო უნარღებუ ღუმუს ბჭკუმუ!..**

პენსნე ჩამოუვარდა, ხელით დაიჭირა, ხელახლა ცხვირზე წამოიცვა და მართალი მთლად დაიბნა, კიდეც იცნო და კიდეც ვერ იცნო ეს უცნაური სტუმარი.

კაცებმა ტაში დასცხეს. ამხანაგმა დოდონამ ხელისგულით სიმების თრთოლა შეაჩერა.

უცებ კარი გაიღო და მორიდებით თავი შემოჰყო ვავა ზარქუამ, ბიკენტის თვალით რაღაცა ანიშნა.

ყველამ მისკენ მიიხედა.

— შემოდი, ვავა, გვითხარი, რითი გაგვახარებ!

ვავამ თითის წვერებზე გაიარა, თითქოს მოიპარებაო. ბიკენტის ყურთან დაიხარა, თან სტუმარს არ აშორებდა თვალს და საკმაოდ ხმამაღლა წასჩურჩულა:

— კატასტროფა მოხდა, ამხანაგებო, ჩვენს ცაზე!

— რა კატასტროფა? — იკითხა სტუმარმა მოუთმენლად.

— თვითმფრინავი ჩამოვარდა ციდან, მეხი დაეცაო და...

სიჩუმე ჩამოწვა. ვავამ ეს წახალისებად მიიღო და განაგრძო:

— ნატო დაიღუპა, ჩვენი მსახიობი, ვაჩნაძე!

ერთმანეთს გადახედეს. ზოგს წყენა დაეტყო, ნატო ვაჩნაძე მართლაც ყველას უყვარდა, ზოგს კი ქეიფის ჩამწარება თუ ემცხეთა.

ბიკენტიმ სტუმარს შეხედა. იმან მელოტზე ხელი გადაისვა, ჭიქა აიღო და პურზე ღვინო დააწვეთა.

— ეჰ, პირველი ქალი იყო არტისტებში!

მართალის გულზე მოაწვა, თითქოს უბიძგესო, სწრაფად მიაშურა კარს. სტუმარმა თვალი გააყოლა და მოულოდნელად გასძახა:

— ყმაწვილო!

მართალი შეჩერდა.

— ვითომ რა, ყმაწვილო, შენ ჩვენზე უფრო გიყვარდა ნატო ვაჩნაძე? — ნასვამის ახირებით ჩააჯინდა, მერე ბიკენტის მიუბრუნდა და ჰკითხა: — ესაა ტატაჩის ვაჟი?

— დიახ! — ბიკენტი მონაფესავით წამოდგა.

— ჰო, დავამთავროთ! — მოწყვეტით თქვა უცებ გაბეზრებულმა სტუმარმა...

შინ ბნელში ბრუნდებოდა და მარჩიელობდა, მართლაცდა ვინ იყო თოლორაიების სტუმარი.

სახლს რომ მიუახლოვდა, შორიდან შუქი შეამჩნია. მარომ მომაკითხაო, იფიქრა.

ფეხს აუჩქარა, კიბეზე აირბინა.

— მარო მამიდა!

კარი შეაღო და გაშეშდა.

მაგიდას წელგამართული უჯდა დამჭკნარი დედაბერი და უხმოდ შემოსცქეროდა.

ძლივს იცნო მართალიმ, ყელში ბურთი მოაწვა.

მიირბინა, დაუჩოქა და მუხლებზე მოეხვია.

— რამოდენა გამხდარხარ, ბიჭო! — ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა ეფრომ და თავზე თავისი გაძვალტყავებული ხელი დაადო...

37

სოფლიდან მარო მოქოქოთდა, ეფროს ჩაეხვია და მოთქმით იტირა. ეფრო ჩუმად უსმენდა, უცხოსავით. დარიკო მამიდას სიკვდილი ოდნავადაც არ შეუცხადებია. აცხონოს ღმერთმაო, ასე თქვა და პირჯვარი გადაიწერა.

მარო ენას არ აჩერებდა, ცაცანას ბედს კითხულობდა.

— აცხონოს ღმერთმა! — პასუხობდა ეფრო და პირჯვარს იწერდა.

მართალის ცრემლი მოადგა, მაგრამ თავი შეიკავა. დედაბრისაგან უნდა ესწავლა სიმტკიცე და მხნეობა. სიზმრებიდან იცოდა ცაცანას თავგადასავალი და ამიტომ არას კითხულობდა.

მარომ აიჩემა, სოფელში წავიდეთ, დარიკოსა და ცაცანას საკურთხი დავუდგათ, თან შორი გზიდან ნამგზავრი ეფრო სულს მოითქვამს, მოკეთდებაო, წველაც კარგი მაქვს და ხილი და ბოსტნეული თავზე საყრელიო.

ასეც გადაწყდა. მართალიმ აბგა სახელმძღვანელოებით გამოტენა, ინსტიტუტისათვის უნდა მომზადებულიყო.

აივანზე რომ გავიდნენ, ეფრომ მაცხოვრისგორისაკენ გაიხედა, პირჯვრის გადასაწერად ხელი შემართა და უცბად ნირი შეეცვალა.

— ფუი, ეშმაკს, ეს რა წამოუყუდებიათ!

— სტალინია, მაგი, ბებია, დაგაკლდა ალბათ თვალს!

— სტალინია თუ ვიღაც ეშმაკი, წმინდა ადგილზე ღმერთი სატანას ვერ მოითმენს! — მკვახედ დაუტატანა ეფრომ.

მართალის ენა მუცელში ჩაუვარდა. დედაბერთან კამათს აზრი არ ჰქონდა. ამ საცოდავს იმდენი რამ გადახდენია, სტალინი რომ სტალინია, ისიც მტრად ეჩვენება.

„სევისტრანით“ გაემგზავრნენ. ცხელოდა, ბრეზენტის ბოლოს ნიავი აფართქალებდა.

ეფრო წელგამართული იჯდა და წინ კუშტად იყურებოდა.

მზე კაბადონზე ეკიდა, როცა მანქანიდან ჩამოვიდნენ.

დედაბერი ხელჯოხს ეყრდნობოდა და მჩატედ მიდიოდა.

მარო ტუტუნებდა, სულ რაღაცას ეკითხებოდა, ეფრო კი ხან უჩუმდებოდა, ხან მოკლე ჰოს ან არას მიუგდებდა.

სასაფლაოსთან გაიარეს. დარიკოს საფლავთან შეჩერდნენ. თავთით მოზრდილი ქვა იდო, ფერხთით — მომცრო.

ეფრომ ქვაზე ჯოხი დააკაკუნა და ჩასძახა:

— მანდ როგორა ხარ დროულად წასულო? — მიაყურადა, თითქოს პასუხს ისმენსო. — ცაცანას თუ შეხვდი სადმე? ცივი ქვეყნიდან თუ ჩამოაღწია მაგ უბედურმა? — კვლავ მიუგდო ყური და მერე დასძინა: — დიდხანს არ ვაპირებ აქ დარჩენას, მალე ჩამოვალ და ერთად ვიქნებით!

მარო შეშინებული უსმენდა, მალმალე იწერდა პირჯვარს. მართალისაც შეეშინდა, ოღონდ იმიტომ, ჭკუაზე ვერ არისო.

შინ მისვლისთანავე მარო დატრიალდა, სადილის თადარიგი დაიჭირა.

ეფრო მსხლის ჩრდილში, ჯორკოზე ჩამოჯდა და გაყუჩდა, ეზოგარემოს თვალი მიაშტერა.

მართალიმ ჭილოფი მოათრია, ზედ წამოგორდა და ირგვლივ წიგნები შემოიწყო.

გაკრიალებული ციდან სიმშვიდე ჩამოეფინა. ნელი ნიავი ფოთლებს აშარიშურებდა... მარო ჭურჭელს აჩხაკუნებდა... სადღაც ჭრიჭინობელა ჭრიჭინებდა... ბალახში კუტკალია გადახტა... მზის სხივებმა მსხლის ტოტებს გაატანა და წიგნს ჭრელმა ჩრდილმა გადაუარა.

თვალი აუჭრელდა მართალის, ასოთა რიგი წარიშალა, აზრი შემოეფანტა. იქნებ ჩასთვლიმა კიდეც და ეს ველარ შეამჩნია.

ჯორკოზე ეფრო შეირხა, შვილიშვილს გადმოხედა. ჩამოსვლის წუთიდან თითქოს უბრად არიანო, არაფერზე ულაპარაკნიათ. სათქმელს მდუმარება უხდებოდა, მაგრამ დუმილის წუთებიც ამოიწურა.

— რას კითხულობ? — გულსგარეშე ჰკითხა დედაბერმა.

— ისტორიას. ვემზადები!

— ჰოო! — ეფროს ხმა შეურბილდა. — მაინც რაო?

— საქართველო მეთერთმეტე არმიამ მენშევიკებისაგან გაათავისუფლაო. აგერ ორჯონიკიძემ დეპეშა გაუგზავნა ლენინს, სტალინსო...

— სიცრუეა ეს და სატანის ნამოქმედარი! — თქვა უცებ ეფრომ.

— რა, დეპეშა რომ გააგზავნა?

— დეპეშისა არაფერი ვიცი! — ეფრო თითქოს საკუთარ ფიქრებს პასუხობდა: — ცაცანამ შემოგითვალა ასე, სიცრუეა ყოველიო!

— მაინც რაო? — სუნთქვა შეეკრა მართალის.

— იცი, სად ვიყავით?

— ვიცი! იქ ტრიალი მინდორია, ირგვლივ ცა დედამიწას უერთდება. რკინიგზა ჭრის ამ მინდორს და პატარა ბაქანის პირას მიწურებია ჩამწკრივებული...

არ გაჰკვირვებია ეფროს, არ უკითხავს, საიდან იცი, ვისგან გაიგეო.

— ჰო! — თავი დაუქნია. — ასეა!.. მაგრამ მანამდე გრძელი გზა ვერ გათავდა საქონლის ვაგონებში... შიმშილი და სიცივე... შიგნითაც ისევე ყინავდა, როგორც გარეთ! განსაკუთრებით ბავშვები და ბერიკაცები იხოცებოდნენ... კაცებს ნაკლები გაძლება აქვთ... მე და ცაცანამ სხვებს ვაჯობეთ, ბოლომდე ჩავაღწიეთ...

შეისვენა, კვლავ სივრცეს მისჩერებოდა, თვალები თითქოს ჩაშრეტოდა.

— წითელ წიგნს მიათრევდა ცაცანა. გზაშიც იმას კითხულობდა და იქაც... იმ მიწურში ჩაათავა, დახურა, სათვალე დადო და დაასკვნა: „სიცრუეა ეს!“

ეფრომ ხელჯოხით მიწა მოჩხრიკა, პირი მოკუმა, ჩაფიქრდა. მართალიმ გადაწყვიტა, მეტს არაფერს იტყვისო, დედაბერი კი ისევ ალაპარაკდა:

— ღამით გამოიღვიძა. მიწურში ციოდა. ჩემკენ თავი მოაბრუნა და მითხრა, სიცრუის გზას ვადექი თურმე, ეშმაკის მსახური ვყოფილვარ უნებლიეთო. ჩემი ცოდვა იმას ჰქონდეს, ვინც ჭეშმარიტ გზას ამაცდინაო... ოდესმე თუ შინ დაბრუნდები, მართალის გადაეცი, სიცოცხლეს ტყუილუბრალოდ ნუ გახარჯავს, ჭეშმარიტი გზა იპოვოსო... ყველა ქონებაზე უფრო დიდი ქონება ჭეშმარიტებაოო... აი, ასე შემოგითვალა ცაცანამ!

შუბლზე ხელი მოისვა, თითქოს ტკივილს იყუჩებსო.

— დიდხანს არ უცოცხლია მერე, ჩაეძინა და გულიც გაუჩერდა... ბედნიერი!

დიახ, ბედნიერი იყო, რაკი გული გაუჩერდა და ტანჯვას განერიდა...

38

თითქმის ერთი თვე დარჩნენ მაროსთან. მზიანი ამინდი იდგა, ცა ლურჯად გადასარკულიყო და ოქროსფერი მზე ასავალიდან დასავალამდე ისე გადაგორდებოდა, ღრუბლის ფთილა არსად აეფარებოდა.

ხილით დაიტვირთა ხეხილი. ბოსტანი უხვად ხასხასებდა, ყანაში სიმინდი კედლად დადგა.

ეზოში წიწილა მომრავლდა. ქათამი კაკანებდა, მოდით, ოქროს კვერცხი დავდეო...

იქით გოჭი ჭყვიროდა, აქეთ ინდაური ქოთქოთებდა...

დილასაღამოს ძროხა ზმუოდა, არიქა, მიშველეთ, ჯიქანი მისკდებაო...

მოკლედ, სუფევდა იდილია და სიმშვიდე, არსად ჩანდა თავმჯდომარე და გადასახადის ამკრეფი.

სიმშვიდე არ სუფევდა მართალი თოდუას სულში... ეფრო ბებიას ნათქვამს აეფორიაქებინა, ცაცანას შემონათვალს გაურბოდა... ცდილობდა უკუეგდო ეჭვები, უფრო ის ცოდნა, რომელიც სხვა სამყაროდან ჩამოიტანა დედაბერმა და ასე არ ესადაგებოდა მისეულ სიმართლეს, უნგრევდა მწყობრ შენობას... მართალი ცდილობდა გადაერჩინა იგი და ამით თავისი თავიც... მისი გონება შემზადებული არ იყო განდგომისათვის და მინებდა სოფლის მოჩვენებით იდილიას.

პირველსავე დღეს მარომ გააფრთხილა სტუმრები, სახლის უკან, ჩეროში ქოფაკი მყავს დაბმული, ძუკა ჰქვია, ახლოს არ გაეკაროთ, თორემ ცოცხლად შეგჭამთო.

— თავმჯდომარეზე უარესი მაინც არ იქნება! — თქვა ეფრომ და იქითკენ გაემართა.

მართალი წუწუნით აედევნა, აფრთხილებდა, არ გაგიჟდე, ბებია, ხბოს ტოლაოო.

ძუკამ ყური ცქვიტა, ღრენა აღმოხდა, მაჯის სიმსხო ჯაჭვი ააჟღრიალა.

ეფრო არ შეჩერებულა, საშიში მიჯნა გადაიარა.

— რა იყო, ძუკა, რაზე მიღრენ, შე ბომბორა! — ხმადაბლა, შინაურულად უთხრა.

ძაღლი მაინც ავად აჩენდა კბილებს, ყელიდან გამაფრთხილებელი ბგერები ამოსდიოდა.

მივიდა ეფრო, ჩხინკა თითები კისრის ბეწვში ჩაუფლო.

— შენით ქვეყანას აშინებენ, ჩემო ძუკა, შენზე ავები კი აშვებულნი არიან!

ძაღლი კვლავ იღრინებოდა, თუმცა წეღანდელი სიავე არ ეტყობოდა.

ეფრომ ჯაჭვი შეხსნა, საყელოში ხელი ჩაავლო.

— წამო, ძუკა, მზეზე გავიდეთ! რავა ამ ნესტიან ჩეროში მიუჩენია იმ დამწვარ მაროს შენთვის ბინა!

ძაღლი მორჩილად წამოჰყვა, კედელს აკრულ ყმაწვილს რომ ჩაუარა, თვალი დაუბრიალა, ვინა ხარ, აქ რომ ატუზულხარო, მაგრამ ეფრომ ხელის თათუნით დაამშვიდა.

— აქ დაწექი, ძუკა, ჩემს ფეხთან! — უბრძანა.

ძაღლი ჯორკოსთან წამოწვა, უზარმაზარი ენა გადმოაგდო.

ეფროც დაჯდა.

მართალიმ შიშს სძლია, გვერდით ჩაცუცქდა, მოფერებით მიმართა:

— ძუკა, ძუკა!

ჩუმი, ზანტი ღრენით შეეპასუხა ძუკა, თავი თათებზე დადო და გაილურსა.

— იცის ძაღლმა ავკარგის გარჩევა! — თქვა ეფრომ. — მთელი ცხოვრება ჩეროში რომ დაგაბან, გაავდები კი არა, უარესი დაგემართება! კაცი პირიქითაა, ავი ვერ იშლის ავობას და სიავეში საზღვარი არ იცის!

ასე სულაც არ ფიქრობს მართალი, მაგრამ ბებიას არ ეკამათება... არცაა კამათის გუნებაზე. სოფლის სიმშვიდე აწყნარებს და იმიტომ!

დრო მიდის და არაფერი იცვლება. დღეს ღამე მოსდევს, ღამეს დღე...

საღამოები მშვენიერია, გრილი, ნიავიანი, ხანგრძლივი, თითქოს მზეს ეძნელება ჩასვლა, სინათლეს არ სურს ქვეყნიერების დატოვება და სიბნელესაც ეზარება მოსვლა.

გერონტი შემოივლის ამ დროს, ფულარია. ჩაიდებს ყალიონს პირში, აბოლებს და ყვება ნაირ-ნაირ ამბებს. ხან ტყაში მაფასა და ოჩოკოჩს ახსენებს, ხან მკვდარ სულებს... მერე ბაზრის მაზანდაზე იქაქანებს, ხმას დაუწევს, შინაურები ვართო და მთავრობას მიალანძღავს, ინდივიდუალისტია, ვერ იტანს კოლექტივს... *„კოლექტივი ჯგირი, მარა მუ რე ათე ზაცია?..“** — მიალექსავს და ხითხითებს გამომწვევად.

ეფროს კუშტ სახეზე ღიმილი გაკრთება. ზის ერთნაირად წელგამართული, უსმენს გერონტის, თვითონ არაფერს ამბობს. გერონტიმ იცის, რამდენი გადახდენია დედაბერს, რასაა გადარჩენილი და მოწიწებით მიმართავს: „ოსურპატენი, თქვენ კი იცით, მარა...“

რა იცის ეფრომ? — ფიქრობს მართალი. თავისი გაჭირვებისა იცის! ოჯახის უბედური თავგადასავალი იცის! მაგრამ არ იცის მაღალი პოლიტიკა... სტალინური სიბრძნე... ბერიას გამჭრიახობა... რთულია ეს ყველაფერი! ერთმანეთს რანაირად უნდა მიუსადაგო იდეალი და რეალობა... იდეალი სუფთა და ამაღლებულია, რეალობა ჭუჭყიანი და ტკივილებით აღსავსე... სადაა ჭეშმარიტება, როგორ უნდა შეასრულოს ცაცანას თხოვნა, რა გზები ეძებოს?

— ნამეტანი ეშმაკია „მარგალი კოჩი“, — ხითხითებს გერონტი, თან ყალიონს აპლაკუნებს, — თურმე გერმანიაც მოატყუა. მარგალურად გადასცემდა ფრონტიდან დანესენიებს. თავი იტეხეს ფრიცებმა, ეს რანაირი შიფრიაო. ვერაფერი გაუგეს! მარგალი არავინ ჰყავდა ჰიტლერს, მაგ სულწაწყმედილს, სტავკაში... ხეხეხე...

სწორედ აი, ამ დროს გამოარბენინებს მარო დაბალ ტაბლას, უცბად გააწყობს ვახშამს, — მოხალულ ღომს, მწვანილს, ყველს, ხან უბრალოდ დაჭრილს, ხან „გემაბჟალიას“, ან დაფჩხვნილს... ხან ელარჯს, ან ყველიან კვერებს... გერონტის ღვინოს გამოუტანს, ისიც დალევს ორსამ ჭიქას...

— მთავრობას რად უნდა დღეგრძელობა, — გაიცინებს, — მთავრობას ყველაფერი აქვს და ჩვენი სადღეგრძელო შეიძლება ის წვეთი აღმოჩნდეს, მოპირთავებულ ჭიქაში რომ ჩააწვეთებენ და კიდეებიდან გადმოიღვრება. ვუფრთხილდები მე მთავრობის ჯანმრთელობას და ამიტომ აგერ, ა, ეფროს ვადღეგრძელებ... აგერ, ა, მართალის ვადღეგრძელებ! გაიზრდება, კაცი გახდება და მტყუანსაც განსჯის და მართალსაც!..

ჩამოწვება ბინდი და ადგება გერონტი. წელებზე ხელებს შემოიწყობს, კრუსუნს მოჰყვება, აქაოდა ქარმა გამკრა, გამათავა კაციო. ცოტათი აჭარბებს კიდეც, თავს აცოდებს ქალებს... მართალი და ძუკა მიაცილებენ ჭიშკრამდე. ძუკა ავად გახედავს გარე მიდამოს, ჩაშავებულ ღობეყორეს შეუღაფღაფებს, თუ რამ ეშმაკეული მიმალულა, დააფრთხობს...

ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაბლა ჩამოეშვება, ცის თავანზე მსხვილმსხვილი ვარსკვლავები ჩახჩახებს და ბინდს ანელებს... ჭასთან წყალს ააჩხრიალებს მარო, ფეხის წყალს გაახაზირებს, სამზადიდან გამოტანილი თბილით გაანელებს... იქვე, ეზოში დაიბანენ ფეხებსა და ხელპირს, მერე ოდაში შელაგდებიან.

აივანზე წვება მართალი. უსმენს ღამის ხმებს და გული უკანკალებს. კიბესთან სძინავს ძუკას. ხანდახან თავს ასწევს, სიბნელეს ყრუდ შეუღრენს და მართალიმ იცის, ქოფაკის რისხვას ვერა მტერი ვერ გადაურჩება. გულდამშვიდებულს ჩაეძინება და მაშინ ციდან ქალწული ვინმე ჩამოაკითხავს... თეთრი კაბა მოსავს ქალწულს, უხვი თმები ბეჭებზე აყრია. საწოლზე ჩამოუჯდება ყმაწვილს, გულისპირზე ხელისგულს ჩამოუსვამს, აათრთოლებს...

გამოეღვიძება მართალის, ბნელს მიუგდებს ყურს. ვარსკვლავეთში თეთრი ლანდი გაკრთება. ყმაწვილის გულის ბაგუნი ახშობს ყველა სხვა ბგერას... რაღაც უნდა, რაღაც სწადია!

კვლავ ჩაეძინება, ამჯერად უსიზმრო ძილში ჩაეფლობა. ჟანგისფერი რიჟრაჟი რომ მოეფინება ქუთუთოებზე, კედლისკენ შებრუნდება, რათა დილის სინათლეს არ დანებდეს. ამასობაში მარტოობით მოწყენილი ძუკა შეუძახებს, ადექი, ადექიო, ძილს საბოლოოდ დაუფანტავს.

ერთხელ გერონტის შვილიშვილი მოვიდა, ზიტა... ბაბუას სწვეოდა სანავსადგურო ქალაქიდან. გერონტის შვილი იქ მუშაობდა თურმე მილიციაში. მავან ქალს გადაეკიდა, ვერც რომ ეროვნებას გაუგებდა კაცი, ვერც სადაურობას. ერთი გოგო გაუჩინა და გადაიკარგა. სხვა ქალი შეირთო გერონტის შვილმა. იმან გაზარდა, შვილივით მოუარა, მაგრამ გერონტი ბუზღუნებდა, დედის ალიკვალია მაინცო, ვაშლი ვაშლის ხესთან ვარდებაო... პატარა ტანის გოგო იყო ზიტა, უხვი, ქერა თმები მხრებზე ზვინივით ეყარა. შუქია, მოელმო, გაურკვეველი შეფერილობის თვალები სახის უსწორო ნაკვთებს მიმზიდველსა ხდიდა... ისე შეაშტერდა მართალის, ყმაწვილს შეეშინდა, ქალებმა არაფერი იეჭვიანონო, ამიტომაც მოშორდა ქალთა საკრებულოს, ძუკა აიყოლია, უკანა ეზოს ბაღში გადავიდა საკბილოს საძებრად.

ვაშლის ტოტს მისწვდა, ის იყო, უნდა მოეწყვიტა, ხითხითმა შეაჩერა.

ზურგსუკან ზიტა წამოპარვოდა.

— რა გინდა? — უხეშად შეეკითხა.

— ვაშლი!

— სამაგიეროს რას მომცემ? — ნაძალადევად გაეხუმრა.

— მე თვითონაც კარგად მოვწყვეტ! — იმავე ტოტს წაეპოტინა და ამ დროს ზედ აეკრა, მისი მკვრივი სხეულის სიმხურვალემ მართალის გულღვიძლში გაატანა, ვაშლი თავისთავად მოწყდა და გოგობიჭს შორის ჩაეკვეხა.

დაასწრო ზიტამ, ხელი სტაცა და მტაცებლის წვრილი კბილები ჩაასო.

— გამაცილე!

ბაღზე მოკლე ბილიკი გადიოდა. ხეხილის მიღმა, ეკალბარდებში ღობე იყო ჩაყოლებული და ერთგან ალაგე მოეწყოთ.

შეხტა ეშმაკი გოგო იმ ალაგეზე, ზედ ჩამოჯდა.

კაბის კალთა ზე აეწია და ქათქათა მუხლისთავები გამოუჩნდა.

მართალის გააჟრჟოლა, სისუსტე იგრძნო.

— მოდი აქ! — ხმადაბლა მოიხმო ზიტამ. — ხელები მიჩვენე!

ყმაწვილმა ხელები გაუწოდა, ზიტამ ორივეში ჩასჭიდა და მისი ხელისგულები მუხლებზე დაიდო.

მართალის სირცხვილისა და ნდომისაგან ცეცხლი წაეკიდა. ხელები გააცოცა. ეს იყო უმაღლესი ნეტარება, უსაზღვრო ტკბობა, ზიტამ კი გაიცინა, მისი ხელები მოიშორა, ალაგეს გადაახტა და მხიარულად მოაძახა:

— ზედმეტი არ მოგივიდეს!

მართალი ღობის გამოღმა დარჩა. ეშმაკუნამ თვალი ჩაუკრა, ხვალ ამ დროს აქ დამხვდიო, დაუგდო და გაქრა.

ღამე შფოთიან ძილღვიძილში გაატარა. ზიტას მხურვალე ტანი და გლუვი მუხლისთავები ეზმანებოდა და წადილისაგან თრთოლვა უვლიდა. გოგოზე ფიქრს სირცხვილი ახლდა, დანაშაულის გრძნობა, რაკი ღალატობდა გერონტის ნდობას... ზოგჯერ ძილი გადასძლევდა, რაღაც უსაგნოსა და ფაფუკში ჩაეფლობოდა. ამ დროს ძუკა შეუღრენდა ბნელ ჩირგვნარს, მოჩვენებებს აფრთხობდა. გამოფხიზლდებოდა მართალი, ტკბილი ოცნება შეუბრუნდებოდა. ვითომ ზიტასაც არ სძინავს, მართალიზე ფიქრობს და ოცნებობს... უფრო მეტიც, თამამი გოგო ამდგარა და ახლა აქეთკენ მოიპარება. ძუკასი მას არ ეშინია, ძაღლი წკმუტუნით შეეგებება ნაცნობს. გოგო ამოიპარება კიბეზე, ჩაიჩოჩე ცოტაო, წასჩურჩულებს. მართალი განზე გაიწევს, ადგილს უთმობს, თან სხეულში ცახცახი დაუვლის... მიხვდება, რომ ეს მხოლოდ ფიქრია და იგი მარტოდმარტოა... ეზო ბნელია და ცა ვარსკვლავიანი... ერთგული ძუკა კიბესთან გარინდულა, პატრონს დარაჯობს.

დილის ძილმა ღრმად ჩაითრია, დავიწყების მორევში ჩასძირა. მაროს ადგომა და ფაციფუცი არც გაუგია, არც ძუკას ღაფღაფი, გამვლელ ნახირს რომ აშინებდა, არც ხბოს ზმუილი, ძუძუს ბურჩნა რომ ეწადა, არც ქათმების კრიახი...

ეფრო გამობრძანდა აივანზე, გახედა მზიან ეზოგარემოს და გაკვირვებულმა შეუძახა:

— ადე, ძილისგუდავ, გაკეთდა ქვეყანა!

ადგა, ეზოში ჩავიდა, პირზე ცივი წყალი შეისხა, მაგრამ თავს კვლავ ბურანში გრძნობდა. დაბნეული მიმოდიოდა. მარომ მოიხმო და ვერა გააგონა რა. ეფროს ნათქვამიდანაც აზრი ვერ გამოიტანა. ძუკამ თავი შეახსენა, აქა ვარო, მაგრამ იმასაც გვერდი უქცია და განაწყენებული ძაღლი ზლაზვნით გაშორდა, ღობის ძირას, ჩრდილში წამოწვა.

დრო გაიწელა, არ თავდებოდა. მზე თითქოს გაჩერდა, არ აპირებდა მაღლა აგორებას. როდისროდის მოვიდა ჟამი სადილობისა, როდის განერიდნენ შუადღის სიცხეს ეფრო და მარო, როდის დაგრძელდა საღამოს ჩრდილი... დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას მოვიდა გულგაწვრილებული ყმაწვილი... ზიტას შეაგვიანდა.

მზე უკვე გადაგორდა, სიცხემ იკლო. იმედი ამოეწურა და გოგონა სწორედ მაშინ გამოჩნდა ბილიკზე. მოკლე, მსუბუქი ხალათი ეცვა, იქნებ მთლად შიშველ ტანზე. ამ ფიქრისაგან ყმაწვილს შეახურა და ენა დაება.

ზიტა ალაგეზე შეხტა, ზედ ჩამოჯდა და გაუცინა. მართალის ენის წვერზე სიტყვები გაუქრა და უბრალო სალამი ვერ ამოღერღა. ხელები მუხლებზე შეახო. ზიტა გამომწვევად ხითხითებდა, ბიჭის ხელებს ვითომ იშორებდა, მაგრამ ამ მსუბუქ წინააღმდეგობაში მოწოდება უფრო იგრძნობოდა. ხალათის ღილები თავისთავად შეეხსნა, მოშიშვლებული ნაკვთები გამოუჩნდა. ხალათქვეშ თურმე საბანაო კოსტუმიღა ეცვა. იოლზე იოლად შეიძლებოდა იმისი ჩამოღლეტა, სიფრიფანა ზღვარის გადალახვა, ოღონდ გამოცდილება არ ჰქონდა ამისა, არ იცოდა რა როგორ მოემოქმედა. ზიტა კი იმ დასაწვავი ალაგედან არ ჩამოდიოდა, ხითხითებდა და იშორებდა ბიჭის ხელებს, თითქოს ნებდებოდა და არც ნებდებოდა.

ბოლოს ვითომც სახე გაუმკაცრდა.

— გეყოფა, თავს ნუ გახვედი!

მართალი ასე იოლად ვერ ცხრებოდა, აკანკალებულ ხელს არ უშვებდა. ზიტა წამოიწია, უკან, ალაგეს მიღმა ჩახტა და ღილების შეკვრას შეუდგა.

— დაუკრეფავში კი ნუ გადაძვრები!

— ზიტა! — ხმა გაებზარა მართალის. — მოდი, ცოლად წამომყევი!

— იჰ, — გადაიკისკისა ზიტამ, — ცოლი არა, ის არ გინდა! სულელი ხომ არ გგონივარ?

შეტრიალდა და გაიქცა. სანამ გაქრებოდა, მოიხედა, ხელი დაუქნია:

— ჯერ ტუჩზე რძე არ შეგშრობია!

მართალი ღობეს ეცა, უნდოდა, გადევნებოდა, მაგრამ ამ დროს მაროს ხმა მოესმა:

— აი, შენ, თურმე, სადა ხარ!

მართალის სირცხვილის მწვავე გრძნობამ თავით ფეხამდე დაუარა. საბედნიეროდ, მაროს არაფერი შეუნიშნავს და ყმაწვილის მღელვარება არაფრად ჩაუგდია.

საღამოს გერონტი გადმოვიდა. ყალიონი გააწყო, ამ ქვეყნისა და იმ ქვეყნის ამბებს მისწვდა. უცებ დააგდო, ხვალ ჩემი შვილი ჩამოდის, ზიტა ქალაქს უნდა წაიყვანოსო. ამას რომ ლაპარაკობდა, მართალის უყურებდა. ყმაწვილი აწრიალდა, თითქოს ჯორკოზე ეკლები ამოიზარდაო.

— თვალსა და ხელს შუა დაიზარდნენ ბავშვები! — შენიშნა მარომ.

— მალე ჩემს მართალისაც შევრთავ ცოლს, ხომ უნდა მოვესწრო თოდუების გვარჯიშის გამგრძელებელს! — ბრძანა ეფრომ.

უფროსებმა ჩაიცინეს. მართალი ვერ ისვენებდა, გული უკანკალებდა. ვაითუ გერონტი მიუხვდა ფარულ ზრახვებს, ახლა კი ანიშნებს, ქალებთან დაგინდობ, თორემ ყური უნდა აგიწიოს კაცმაო...

ის ღამე თეთრად გაათენა. რა დროს ეგეებიაო, — ფიქრობდა, — ცხოვრება აიწეწაო. ეგერ დიდი სტალინი მოკვდა და კაცმა არ იცის, ომი როდის გაჩაღდება... სანამ მე სოფელში დროს ვატარებ, ჭილობზე ვგორაობ, გოგოს ვეპრანჭები, ქვეყნიერების მატარებელი თავისი გზით მიდისო...

ნასაუზმევს ჭიშკრიდან გაიხედა და ზიტა დაინახა. მამისთვის ჩაეკიდა ხელი. მარომ და ეფრომ ლოყაზე აკოცეს. მართალის უცხოსავით დაუქნია თავი. შებრუნდა და უკან არც მოუხედავს.

ორღობის ბოლოს „სევისტრანმა“ გაიარა, ქალაქისაკენ გააქროლა.

— დროა, ჩვენც შინ დავბრუნდეთ, გამოცდები კარს მოგვადგა! — განაცხადა ეფრომ...

39

ქვეყნიერების მატარებელი მართლაც ისე მიდიოდა, მართალის არავინ ეკითხებოდა. ლესტამბე შეხვდა, თოლორაია. ხელში პასპორტი ეჭირა. პასპორტიანი კაცი უკვე მოქალაქეა და მართალიმ დაკაცება მიულოცა.

— მივდივარ! — შეთქმულივით თვალი ჩაუკრა ლესტამბემ.

— საით?

— რუსეთში, სასწავლებლად!

მართალი და ეფრო წუთის წინ ჩამოვიდნენ „სევისტრანიდან“. ეფროს ხელჯოხი ეჭირა, მართალი კი სხვადასხვა ზომის ჩანთებითა და ფუთებით იყო დატვირთული, რადგან მარომ ბლომად გამოატანა საგზალი.

— რა უნდა გამოხვიდე? — ზრდილობისათვის იკითხა.

— ეს „სეკრეტია“! — თითი ასწია ლესტამბემ. — შენთან დასამალი რა მაქვს, მაგრამ თქმა არ შეიძლება და...

— ერთი ეს მითხარი, — მართალის კარგა ხანია ეს კითხვა თავში უტრიალებდა, — ის სტუმარი, თქვენთან რომ ვნახე, მართლაც ლავრენტი იყო?

ლესტამბემ თვალი განზე წაიღო, ენის წვერი ტუჩებზე მოისვა, რატომღაც გაღიზიანდა.

— აფრაკად ხომ არა ხარ, იმას ჩვენთან რა უნდოდა! თანაც მამაჩემს ლავრენტი, ხომ იცი, გულზე არ ეხატებოდა! — აჩქარდა, წასასვლელად გაემზადა. — უმჯობესია, იმაზე ფიქრს მოეშვი, ვითომც არ გინახავს! რიგითი თანამშრომელი იყო ცენტრიდან!

ჩუმად წამოვიდნენ ბებია და შვილიშვილი. ეფრო ნელა მოაბიჯებდა, ჯოხს ეყრდნობოდა. გაჩერდა, ჯოხი მიწას დაჰკრა და თქვა:

— რაღაცა გაუჭირდა იმ კაცს!

— ვინ კაცს, ბებია?

— ლავრენტის გაუჭირდა რაღაცა, თორემ ეს მაკვარანცხი თოლორაია გაბედავდა ასეთ სიტყვებს?

— დიდი ამბავი! — მხრები აიჩეჩა მართალიმ, თუმცა ლესტამბეს სითამამე მართლაც გაუკვირდა. — კაცს ვინმე გულზე თუ არ ეხატება, ამისათვის შეჭამენ თუ რა!

— ვინმე კი არა, ლავრენტის შებედა, გულზე არ ეხატებაო! — ურწმუნოდ გააქნია თავი ეფრომ.

მართალი მოუსვენრობამ შეიპყრო. ერთი სული ჰქონდა, ტვირთს როდის დაყრიდა შინ და ძმაკაცებთან გაიქცეოდა. სოფელში ყოფნამ, იმ პატარა მაიმუნმა, ზიტამ, ქვეყნის ამბები გადაავიწყა... ზიტას გამგზავრების შემდეგ ხურვება გაუნელდა, ბოლოს გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ გოგოს ხატი მეხსიერებიდან წაშლოდა და მისი გახსენება სისხლს სულაც არ უმღვრევდა.

ეფრო აივნის სკამზე დაჯდა, ჯოხი იქვე მიაყუდა და თქვა:

— ლავრენტის აუგად ხსენება პატარა საქმე არ არის! წადი, გაიკითხე, ქვეყანა ხომ არ ამოტრიალდა!

თურმე მართლაც ამოტრიალდა! მართალის ყურბალიშზე ეძინა, ამასობაში კი ბევრი რამ ცხადი შეიქმნა. არიქამ მეგობარს ცხვირწინ გაზეთი აუფრიალა. შავით თეთრზე ეწერა, ეს საზიზღარი ნაძირალა, ლავრენტი ბერია იმპერიალიზმის აგენტი აღმოჩნდაო. სტალინის ერთგულ თანამებრძოლად მოჰქონდა თავი, სინამდვილეში უცხოური სპეცსამსახურების დავალებით ცდილობდა ხალხი და პარტია ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა, ავტორიტეტი გაეტახა ხელმძღვანელი ამხანაგებისათვის, მედგარი ლენინსტალინელებისათვის... აი, რატომ ხდებოდა ამდენი უსამართლობა, აი, ვინ ატყუებდა იოსებ სტალინს, ვინ ჩრიდა ჯოხს სოციალიზმის ბორბლებში!

თავზარდაცემული დაჰყურებდა მართალი გაზეთს, ასოები გაურბოდა აცაბაცა, ბოლოს ახედა არიქას, თვალი გაუსწორა და დაასკვნა:

— აი, თურმე, რა ყოფილა!

ერთმნიშვნელოვანი პასუხი გაეცა ყველა მის ეჭვს და ამან შვება მოჰგვარა. ეს ეჭვი, ჩუმჩუმა გულით რომ დაჰქონდა და სტანჯავდა, ჩრდილად ადგებოდა სტალინის ნათელ ხატებას. ამიერიდან გონება განთავისუფლდა შავი ქიმერისაგან. მისი კერპი, მისი ღვთაება, და არა მარტო მისი, ყველა მისი ტოლსწორისა, უცოდველი და წმინდა ყოფილა. ყოველივე ბნელი, რაც ცხოვრებას ახლდა, ქვეყნის ამ გამყიდველმა საფლავში ჩაიტანა.

ჩუმად მიაშურეს დურუ გეგიას. დურუს თვალები დაჰბუშტებოდა, ნამტირალევსა ჰგავდა, ანდა უძილობა სჭირდა. მეგობრებს ხელი ისე ჩამოართვა, თითქოს ქელეხზე შეიყარნენ და ერთმანეთს სამძიმარს ეუბნებიანო.

— აი, თურმე, რა ყოფილა! — ამანაც ესა თქვა.

არიქამ კი, მუდამ ეჭვიანმა და თავის ეჭვებში გაუტეხელმა, გამოსცრა:

— არ მჯერა მე ეს!

— რა არ გჯერა? — შეეკითხა დურუ.

— არ მჯერა და ესაა! — ურწმუნოდ გააქნია თავი და კოჭლობით წავიდა.

რა არ სჯეროდა? ბერიას ღალატი თუ სტალინის წმინდანობა?

დურუ შინ შებრუნდა, მართალი კი ბულვარის გზას გაუყვა.

ქალაქი თითქოს აპათიას შეეპყრო, შიშისაგან გაყურსულიყო. ქუჩაში იშვიათად ჩანდა გამვლელი, ყველა შინისაკენ მიიჩქაროდა, გადამალვას ესწრაფვოდა... თითქოსდა საიდანღაც თავდასხმას ელიანო, რადგან უნდა დასჯილიყო მხარე, რომელმაც თავის წიაღში შვა და გაზარდა სოციალიზმის მტერი, აქამდე რომ მეგობარის ნიღაბს ატარებდა.

კინოთეატრთან ვავა ზარქუას წააწყდა. უფრო დაჩიავებული მოეჩვენა, ისედაც ფერნაკლული მთლად გაცრეცილიყო.

ფეხი მოინაცვლა, ამოღერღა:

— გაიგე? ასეც მეგონა!

მართალიმ არაფერი უპასუხა, გაშორდა. საოცარია, კვირით ადრე იმ კაცის სახელი საქვეყნოდ ქუხდა და ცასა სწვდებოდა, ახლა კი ადამიანი ვერ მოინახა, სიტყვით მაინც გამოქომაგებოდა, თანაგრძნობა გამოეხატა.

ფეხებმა თავისით მიიყვანა მაცხოვრისგორის ძირამდე. აიხედა, მაღალ პოსტამენტზე სტალინი იდგა. მზე დაჰყურებდა, მისი სხივები თავზე შარავანდს ჰქმნიდა. მონუმენტისაგან გადმოფენილი ჩრდილი შორს განფენილიყო და ყმაწვილს შეამცივნა.

ნელა, მძიმედ შეუდგა კიბეს. ვინ ერეკებოდა? ვინ აძალებდა? თვითონაც არ იცოდა, რა ძალას აჰყავდა ზევით, რა იზიდავდა...

ნახევრამდე რომ მიაღწია, მოიხედა.

ქალაქი თითქოს დაცარიელდაო, ხმა, ბგერა იქიდან ვერ აღწევდა. ალბათ მერეთმა უკეთესი დროის მოლოდინში თავი მოიმკვდარუნა, ცდილობდა თვალში არავის შესჩხეროდა, თავისი არსებობა დაევიწყებინა უხილავი მტრისათვის, რომლის არსებობა მოაზრებულიც არ ჰქონდა.

გაურკვეველი შიშით გულდამძიმებულმა გზა განაგრძო და კიბეს თავზე რომ მოექცა, მოშორებით, კვარცხლბეკთან კაცი დაინახა.

ემცნაურა... რაც უახლოვდებოდა, გაკვირვებაც და შიშიც უძლიერდებოდა და გული ძალუმად უცემდა.

კაცმა მოიხედა. პირმრგვალი იყო, მელოტი, ოქროს პენსნე ეკეთა.

„დაიჯერე?“ — ჩაიცინა.

მართალი შორიახლო გაჩერდა. გრძნობდა, მუხლები ეკეცებოდა.

კაცმა ჰორიზონტს ხელი მოავლო, თითქოს სივრცე მოხვეტაო.

„მე ამ წიაღში დავიბადე! ჩვენი ხალხი მცირეა, მაგრამ ნიჭიერი. ზოგიერთი ერი ასი მილიონია, მაგრამ მიწას ამძიმებს, რაკი ერთ ყალიბში ჩამოსხმულსა ჰგვანან. ჩვენ კი, რამდენიცა ვართ, იმდენნი მართლაცა ვართ. აქ ქრისტეც შეიძლება დაიბადოს და სატანაც... და ყველა სხვაც, ვინც ამათ შორის მოთავსდება...“

მართალიმ კაცს თვალი გაუსწორა, გრძელმა მონოლოგმა შიში გაუნელა.

„თქვენ? თვითონ თქვენ საითკენა ხართ?“

კაცი ერთხანს დუმილით შემოჰყურებდა, თითქოს პასუხს წონისო. პენსნეზე სხივის ანარეკლი აბრჭყვიალდა და თვალების გამომეტყველება აღარა ჩანდა... მერე კვარცხლბეკს ხელი შეახო, მაღლა, მონუმენტს ახედა.

„მე ამ კვარცხლბეკის ერთი ლოდი ვარ, გამოაცლი და ეს მონუმენტი ჩამოშვავდება!“

„ეს ლოდები საფლავის ქვებია!“ — ხმა აუკანკალდა მართალის.

„გზა სამოთხისაკენ უცოდველთა ჩონჩხებითაა მოფენილი!“ — თქვა კაცმა, კვარცხლბეკს ჩაეკრა და თითქოს ზედ მიეშრიტაო, გაქრა.

მართალიმ ნაბიჯი უკანუკან გადადგა. გაქცევა ვერ იკადრა, მაგრამ სწრაფად კი გაშორდა იმ ადგილს...

40

— ასეც მეგონა! — თქვა ვავა ზარქუამ კინოთეატრთან.

რა ეგონა ვავას ასე? ის, რომ ბერია მოღალატე ყოფილა და დიდ ბელადს უგანა, თუ ის, რომ იგი იყო ერთი ლოდი კვარცხლბეკისა, გამოაცლი და მონუმენტიც ჩამოშვავდება!.. ეს კითხვები მაშინ დაიბადა მართალის თავში, როცა ვავა უკვე ვერ შეძლებდა პასუხის გაცემას... ალბათ წინასწარმეტყველური ალღო ჰქონდა ვავას, მიხვდა, საყრდენი ეცლებოდა მის

არსებობას და ამიტომ აჩქარდა, არ ისურვა მისთვის თავზარდამცემ მომავალს დალოდებოდა... ან იქნებ ხაფანგში იგრძნო თავი და გამოსავალი სხვა ვერაფერი იპოვა...

ყმაწვილები იმ დღეს კარგ გუნებაზე იყვნენ. მერეთის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში, პედინსტიტუტის ფილიალში ჩაირიცხნენ. კომკავშირულ სამეულს რაიონული მასშტაბის სახელი მიუძღოდა წინ და სტუდენტურ წიგნაკებს ვერავინ დაამადლიდა.

შენობიდან გამოსულებმა მაღლა აიხედეს. ცარგვალზე მწველი, შემაწუხებელი მნათობი ეკიდა. ცას სილურჯე აკლდა, უფერული პირბადე აჰფენოდა და ჰაერი დახუთულიყო.

— ბიკენტი თოლორაია მთლად გაცოფდა თურმე! — ჩაილაპარაკა გამვლელმა.

— ჰო, გადაირია! — შეეპასუხა მეორე და ფეხაჩქარებით წავიდნენ.

ყმაწვილებმა ერთმანეთს გადახედეს. მერეთის ცხელ ჰაერში შიშნარევი ჭორი დაფარფატებდა და პირველმა არიქამ იყნოსა:

— ძამიკოებო, რაღაცა ხდება, მგონია!

— თავში ყოველთვის მოჩვენებები გაქვს! — უდარდელად შეეპასუხა დურუ.

— ა, უყურეთ!

ქუჩაში გამოფენილ მოქალაქეთა უმრავლესობა ერთი მიმართულებით, მაცხოვრისგორისაკენ მიეშურებოდა.

— ზოგი იქით მიდის, ზოგი აქეთ! — იხტიბარი არ გაიტეხა დურუმ.

— შენ საითაც გინდა, წადი, მე კი ახალი ამბის გასაგებად მივდივარ! — თქვა არიქამ და კოჭლობით დაადგა გზას.

მეგობრებიც მიჰყვნენ, ფეხს აუჩქარეს.

ჩხერიის ხიდთან მოზრდილი ბრბო შეყრილიყო. აქედან, ცხადია, მხოლოდ ზურგები ჩანდა და ყოველ წუთს ახალ-ახალი ცნობისმოყვარენი ემატებოდნენ.

— წინ გავძვრეთ!

ხალხი მჭიდროდ იდგა, ყველანი წინ გასვლას ცდილობდნენ, თან ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— რა ხდება? რატომ შევჩერდით? ვინ გაგვაჩერა?

სამეულმა სხვაზე მეტად იყოჩაღა, იდაყვები ენერგიულად აამუშავეს, ყაყანსა და ჩხუბს ყური არ უგდეს და სხვებზე წინ რომ გაძვრნენ, მილიციას გადაეყარნენ.

ხიდზე გარდიგარდმო მანქანა ეყენა. ნაპირის გასწვრივაც ჩამომწკრივებულიყვნენ, რათა ვინმე ცნობისმოყვარე ჩხერიაში ფეხდაფეხ არ გასულიყო.

ბიკენტი მილიციელებთან იდგა, განკარგულებებს იძლეოდა, მერე ბრბოსკენ მოიხედა და ხელი ასწია.

— მოქალაქენო, ისეთი არაფერი ხდება, გვაცალეთ მუშაობა! დაიშალენით, აბა, დაიშალენით!

მისი სიტყვა ყურად არ იღეს, დაშლას არავინ აპირებდა.

უცებ ყმაწვილებს მოჰკრა თვალი და თითით მოიხმო:

— შენ, შენ და შენ!

მართალი, დურუ და არიქა ბრბოს მოშორდნენ.

— წამოდით, დაგვეხმარეთ!

„ვილისში“ ჩასხდნენ და მოკლე მანძილი გორის ძირამდე წამში გაირბინეს.

— ეს რა გვიქნა, კაცო, ვავა ზარქუამ? — წამოიძახა ბიკენტიმ და პირისახეზე ხელები ისე ჩამოისვა, თითქოს სიზმრის განდევნას ლამობსო.

მანქანა მოწყვეტით გაჩერდა და ბიკენტი ჩამოხტა. ყმაწვილებს თვალები გაუშტერდათ და ჩამოსვლა შეაგვიანდათ. გონს პირველად არიქა მოეგო, ძმაკაცებს შორის იყო ჩაჭყლეტილი და ორივეს მუჯლუგუნი უთავაზა, ჩადით, ნუ აყოვნებთო.

კიბის დასაწყისში, მოედნის გასწვრივ სტალინის დიდრონი პორტრეტები დაემწკრივებინა ვავას, რვა ტილო ერთ მხარეს და რვაც — მეორეს... ერთგან ბელადს უბრალო სალდათური შინელი ეცვა, მეორეგან გენერალისიმუსის მუნდირი, მესამე სურათზე სავარძელში იჯდა, სხვაგან მორზე, ბაღის სკამზე... აგერ სტალინი სპასკის კოშკთან, აგერ, კრემლის ეზო-

ში, მავზოლეუმის ტრიბუნაზე... წელზევით დახატული ტრადიციული პორტრეტები, სტანდარტულად ერთი ასაკის ამსახველნი... აგერ, სტალინს მამლაკატი ჩაუხუტებია, აგერ კრეისერის გემბანზე დგას, ნიავი მაზარის კალთას უფრიალებს... აგერ, ტუშინოს საჰაერო პარადს ადევნებს თვალს...

— რა უბედურებაა! — სასოწარკვეთით ამოიოხრა ბიკენტიმ. – ნეტა ვინ ამოატანინა ამდენი, მარტო ხომ ვერ შეძლებდა!

კიბეზე ძირიდან თავამდე ყოველ მეორე საფეხურზე თითო სტალინი იდგა. თაბაშირის, ბრინჯაოსი, მარმარილოს სკულპტურები, სხვადასხვა ზომის ბიუსტები... გიმნაზიელის ასაკიდან ზრდასრულობამდე... ზომიერი სიდიდის ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები... ხის კუნძი, ბელადს რომ ჩამოჰგავს... ქოთანში ამოსული კაკტუსი, ესეც სტალინს მიმგვანებული...

კიბეს შეუყვნენ ბიკენტი, ყმაწვილები და რამდენიმე „თანამშრომელი“...

— გამოფენა თუ უნდოდა, ვინ უშლიდა! — ბრაზობდა ბიკენტი. — ეს კი პოლიტიკურ პროვოკაციას ჰგავს და პასუხსაც ვაგებინებთ... მთელი ქალაქის სალაპარაკო გავხდით!

„თანამშრომლები“ თავს უქნევდნენ, ყმაწვილები კი დუმდნენ. ერთი კაცის ნაირსახეობაში იყო რაღაც შემაძრწუნებელი, დანაშაულებრივი, ზნეობის უარმყოფი, თუმცა ამათ ჯერაც ვერ გაეაზრებინათ, რატომ არ უნდა მოსწონებოდათ საყვარელი ბელადის ხატთა სიმრავლე...

„როგორ მოახერხა ეს ვავამ?“ — ეკითხებოდა მართალი თავის თავს.

წარმოიდგინა ღამის სურათი: ვავა ზარქუას ვნებანი... კერპის მსახურება... ძაღლი, რომელსაც პატრონი მოუკვდა და საფლავზე ყმუის... მარტოსული, ოთხ კედელში რომ არის გამომწყვდეული და ყოველი მხრიდან ასეული სტალინი შემოჰყურებს... მის ტვინში ადგილი არ რჩება სხვა რამისათვის, იქ შიში გაბატონებულა, სურვილი, დაემალოს ამ მოყურადე თვალებს... კაცი შეურაცხადი ხდება, შეურაცხადი ადამიანი

ყოვლისშემძლეა... ვავა ზარქუა ყველას ადამიანი ეგონა, მასში კი ერთგული ქოფაკი ცხოვრობდა... და ეს ქოფაკი უკანასკნელად უერთგულებს პატრონს, მაცხოვრისგორის მაღალ ფერდობს გადააქცევს ბელადის მუზეუმად...

მთელი ღამე იმუშავა ალბათ ვავა ზარქუამ. თითოთითოდ, მარტოდმარტომ გადმოზიდა, სათანადო ადგილი მიუჩინა ყოველ ახალ ნივთს... ამისათვის ხომ ასჯერ მაინც უნდა ასულიყო კიბეზე, იქნებ ასორმოცდაათჯერ... მერე გარიჟრაჟმა მოუსწრო, უკანასკნელად გადახედა ჯერ კიდევ მძინარე ქალაქს და მაშინ...

აქ მართალის ფიქრთა მდინარება ჯებირს წააწყდა. ამ ამბავს ვერ მოუძებნა ლოგიკური ბოლო, დამაგვირგვინებელი რამ... ნეტა სად გაქრა თვითონ ვავა? კიბის პირველ საფეხურთან ხომ უნდა დახვედროდა პირველ სტუმრებს?

— სად დამემალება, ვასწავლი ჭკუას! — იქადნებოდა ბიკენტი და მართალის გაუნათდა:

— ვავა ალბათ ზევით გველოდება, ოღონდ ავჩქარდეთ, თორემ გვიანი იქნება!

რა ჰქონდა მხედველობაში? თუ ვავა ზევით იცდიდა, სადღა გაიქცეოდა? ამ კიბის გარდა, სხვა რა გზა ადიოდა მაცხოვრისგორაზე? მერე, როცა ყველაფერი გაირკვა, გაოცებულმა ჰკითხა ბიკენტიმ, წინასწარ რა იცოდიო. მართალიმ მხრები აიჩეჩა, წინასწარ არც არაფერი ვიცოდიო.

ზედა მოედნის პარაპეტზე სტალინის პორტრეტებიანი ხალიჩა და ნაქსოვი ფარდაგი იყო გადმოფენილი.

ბოლო საფეხურიდან მიმოიხედეს და მოედანი ცარიელი მოეჩვენათ.

კიდეზე, მაღალ კვარცხლბეკზე ბრინჯაოს ბელადი იდგა და ქალაქს მჭმუნვარედ გადაჰყურებდა.

— ეგერ, ვავა! — წამოიძახა არიქამ.

კვარცხლბეკზე ხის კიბე მიედგა და ზედ ასულიყო.

ბაწრის ბოლო ბელადის ჩიბუხს მოაბა ვავამ, თავი მარყუჟში გაყო.

— ეჰეი! — ხელი დაუქნია მოსულებს, კიბეს წიხლი ჰკრა და ბაწარზე ჩამოეკიდა, აფართხალდა...

დურუ და მართალი ადგილს მოწყდნენ, თითქოს გაფრინდნენო...

ვავა ხროტინებდა, პირი დაეღო და ენა გადმოეგდო.

უცებ ბაწარი მოძვრა ჩიბუხს, ვავა ძირს წამოვიდა და ბიჭებს ხელებში ჩაუვარდა.

ქვაფენილზე დააწვინეს, ბაწარი შეუხსნეს.

ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა ვავამ... პირი საზარლად დაეღო და ყელიდან სტვენა ამოსდიოდა...

თანდათან დაწყნარდა, სუნთქვა დაუამდა, თითქოს მიიძინაო...

მოულოდნელად თვალი დააჭყიტა და ჩახრინწული, უგვანი ხმით ამღერდა ჰიმნის სიტყვებით:

— ქვეყანას მიეც დიიდი სტალინი, ხაალხთა მონობის დამამხობელი...

მეგრულ-ქართული

გვ. 5. „შქვით ნოემბერქ მუ მიღუნი ვაგაჭყორდუ მოხანდეს, არწივიში მანგიორო ჩაქუჩ-მაგანა დოხანტეს.“	რაც შვიდმა ნოემბერმა მოიტანა, არ დაავიწყდება მშრომელს, არწივის ნაცვლად ჩაქუჩი და ნამგალი დახატეს.
გვ. 8. „უტუში ჯარიში გოლუაფირო...“ იგულისხმება უტუ მიქავას ლაშქარი.	„უტუს ჯარს ვენაცვალე...“ უტუ თოდუა, „მართალიად“ წოდებული, აჯანყების ერთ-ერთი ბელადი იყო.
გვ. 9. „ბჟა დია რე ჩქიმი, დიდა — მუაჩქიმი...“	„მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამაჩემი...“

გვ. 25. „ყაზაყიში“ — გლეხის.
გვ. 26. „ჟინოსქუაში“ — აზნაურის.
გვ. 77. „ოსურ-პატონი“ — ქალბატონო.
გვ. 100. „ოსური“ — ქალო.

გვ. 109. „ვავა, ბაბა, ამდღა დოპილუნა, ბაბა!“	ვაიმე, მამა!.. დღეს მომკლავენ, მამა!
გვ. 194. „ჩქიმი სქვამი საქორთუოს მაფშალიეფქ დიკათესი, სტალინიშ ოძირაფუშა მოსკოვიშა მიდართეს, ნა...“	ჩვენს ლამაზ საქართველოში ბულბულები შეიყარნენ, სტალინის მოსანახულებლად მოსკოვში გაფრინდნენ, ნა...

გვ. 305—306.

„სი ქოული, ბატა, მა დომიტალენქო?“	სად მიდიხარ, ბატა, მე მტოვებ?
„გურს გენია მონტებულსუ ვაშემბრალენქო?“	გულზე ცეცხლშემონთებულს არ შემიბრალებ?
„ჭოფილ ვორექ, თოკილ ვორექ, ვაგომიტალენქო?“	დაჭერილი ვარ, შებოჭილი ვარ აღარ გამიშვებთ?

გვ. 374. „ჩქინ ბერია თექ ვარენო,	ჩვენი ბერია ხომ იქ არის,
ირო თქუანს სიმართლესი,	მუდამ სიმართლეს ამბობს
მუნაფასუ ფაჩუნსუ დუ	ღრუბლებს ფანტავს და
მოძირანა სინათლეს, ნა...	სინათლეს გვიჩვენებს...
გვ. 377. „მარგალი კოჩი“ — მეგრელი კაცი.	
გვ. 378. „ართ ცოროფილ მათ ქოპუნსი,	ერთი შეყვარებული მეცა მყავს,
გურშა მიხუტოლუანს, ნა...“	გულში ჩამიხუტებს,
„სი სოთინი მიდურქუნი,	შენ სადმე თუ წახვედი,
შხვასი ქიხუტოლუანსი, ნა...“	სხვას ჩაიხუტებს...
„ქიანას კოჩი გოჭყორდუნი,	ქვეყნად მამაკაცი თუ გაწყდა,
უკული მოგიგონუანსი, ნა...“	მერე მოაგონდები...
გვ. 379. „ცოროფილი აკა პუნსუ,	შეყვარებული ერთი მყავს,
ქუმოძირუნ აკა წუნსუ...“	ნეტავ მანახვა ერთ წამს...
„ცოროფილი ჟირი პუნსუ,	შეყვარებული ორი მყავს,
ჟირიხოლო ჯგირი პუნსუ...“	ორივენი კარგი მყავს...
გვ. 380. „ცოროფილი ვითი პუნსუ,	შეყვარებული ათი მყავს,
თეთ პუნსუ დო თითი პუნსუ...“	ესეც მყავს და ისიც მყავს...
გვ. 385. „ართ გიტარა ქომუჩუნი,	ერთი გიტარა მომცა,
სოფელი დომილინუუნი,	სოფელი მომავლევინა,
სქანი დო ჩქიმი გურიშ ჭუა	შენი და ჩემი გულისტკივილი
ლექსო ქომიბირუუნი, ნა...	ლექსად მამღერა, ნა...
გვ. 386. „ჩქიმი ჩონგური ტუმუ-ტუმუ,	ჩემი ჩონგური ტუმ-ტუმი
განათლებას ქუმურთუმუ,	განათლება მოსულა,
კოლექტივშა მიშებლი დო	კოლექტივში შევედი და
უნარღებუ ღუმუს ბჭკუმუ!..“	დაუყვედრებელ ღომსა ვჭამ!..
გვ. 393. „კოლექტივი ჯგირი, მარა	კოლექტივი კაი, მაგრამ
მუ რე ათე ზაცია“.	რა არის ეს „ზაცია“.